

ნიკოს კაზანდაკისი

ალექსის ზორბასის ცხოვრება

შესავალი

არაერთხელ მოვიწადინე, დამეწერა ცხოვრება ალექსის ზორბასისა, ერთი მშრომელი ბერიკაცისა, რომელმაც ძლიერ შემაყვარა თავი.

ცხოვრებაში ყველაზე მეტად მოგბაურობები და ოცნებები დამეხმარა. ადამიანთაგან, ცოცხალთა თუ გარდაცვლილთაგან, ძალიან ცოტა შემეწია ბედთან ჭიდილში. თუმცა, რომ მომენდომებინა და მათ შორის ისინი გამომერჩია, რომლებმაც ჩემს სულზე ღრმა კვალი დატოვეს, ოთხიოდეს თუ დავასახელებდი: ჰომეროსს, ბერგსონს, ნიცშესა და ზორბასს.

პირველი ჩემთვის მზის ნათელი დისკოს დარი აღმოჩნდა, რომელიც ყოველივეს თავისი ბრწყინვალეობით ასხივოსნებს; ბერგსონმა ყმანვილკაცობის თანამდევი მტანჯველი, დაუძლეველი ფილოსოფიური შფოთვა შემიძვირა; ნიცშემ სხვაგვარად ამიფორიაქა გული და უბედურების, მწუხარების, მერყეობის სიამაყედ გარდაქმნაში დამეხმარა; ზორბასმა კი სიცოცხლის სიყვარული და სიკვდილის შიში მასწავლა.

დღეს რომ ამერჩია სულიერი წინამძღოლი, “გურუ”, როგორც მას ინდოელები ეძახიან, ანდა “მოძღვარი”, როგორც მას წმინდა მთის ბერები უწოდებენ, ნამდვილად ზორბასს ავირჩევდი.

მას ჰქონდა ყველაფერი, რაც განსწავლულს გადასარჩენად სჭირდება: უნარი, ყოველ დილას მიამიტურად, ახლებურად შეეხედა ჩვეული გარემომცველი სამყაროსთვის: ჰაერისთვის, ზღვისთვის, ცეცხლისთვის, ქალისთვის, პურისთვის; სანდო ხელი, ჭაბუკური გული, საკუთარი თავის დაცინვის გამბედაობა, თითქოს რაღაც სულზე

მალლა მდგომი ძალა მართავდა, დაბოლოს - თავანწყვეტილი სიცილი, რომელიც ადამიანის გულგვამზე გაცილებით ღრმა წყაროდან ამოსდიოდა და უკიდურესი დაძაბულობისას ზორბასის მკერდიდან მის გამოსახსნელად ამოხეთქდა ხოლმე; ამოხეთქილს შეეძლო დაენგრია და ანგრევდა კიდევ ყოველგვარ წინაღობას: მორალს, რელიგიას, სამშობლოს, რომლებსაც ბეჩავი, ლაჩარი ადამიანი გარს შემოირტყამს, რათა ცხოვრება უშფოთველად გალიოს.

როცა ვიხსენებ, ამდენი წლის განმავლობაში დამშეული სულის დასანაყრებლად წიგნები და მასწავლებლები რით მასაზრდოებდნენ და სულ რამდენიმე თვეში ზორბასმა რა ლომის ტვინით გამომკვება, გულისწყრომასა და კაეშანს ძლივს ვერევი. ისე მოხდა, რომ ჩემმა ცხოვრებამ ამაოდ ჩაიარა; ძალიან გვიან გადავეყარე ამ “მოდვარს” და ის, რის გადარჩენაც ჩემში ჯერ კიდევ შეიძლებოდა, მეტისმეტად უმნიშვნელო აღმოჩნდა. უმნიშვნელოვანესი ცვლილება, სრული გარდატეხა - “აალება” და “განახლება” - არ მოხდა. უკვე ძალიან გვიან იყო. ამგვარად, იმის ნაცვლად, რომ ზორბასი ჩემთვის ცხოვრების უმთავრეს მაგალითად ქცეულიყო, სავალალოდ, იქამდე დაეშვა, რომ ლიტერატურულ გმირად იქცა და თაბახის რამდენიმე ფურცლის დასვრის საშუალება მომცა.

ცხოვრების ხელოვნებად ქცევის ამ სამწუხარო თვისებას ბევრი მებრძოლი სული დაღუპვისკენ მიჰყავს. ამგვარად ძლიერი ვნება გამოსასვლელს აგნებს, მკერდიდან გამოდის და სული შვებას პოულობს, აღარ იგუდება, სხეული აღარ გრძნობს ბრძოლის, ცხოვრებასა და მოქმედებაში ჩარევის აუცილებლობას. უხარია და ამაყობს, რომ ეს ძლიერი ვნება ჰაერში იფანტება და ქრება.

არა მართო უხარია, არამედ ამაყობს კიდევ; ჰგონია, რომ დიად საქმეს აღასრულებს, ეფემერულ წამს - ერთადერთს უსაზღვრო დროში, რომელსაც სხეული და სისხლი გააჩნია - თითქოს მარადისობად გარდასახავს. ასე იქცა ხორცითა და ძვლებით სავსე ზორბასი ჩემს ხელში მეღნად და ქალაქდად. ეს ჩემდა უნებურად მოხდა. მე სრულიად საპირისპირო რამ მწადადა. ჩემში ზორბასის მითმა კარგა ხანია დაიწყო ჩამოყალიბება. შინაგანი იდუმალი გადაშეშავებისას თავიდან მუსიკით მოგვრილი მღელვარება, ალგზნე-

ბული ტკობა და უკმაყოფილება დამეუფლა, თითქოს ჩემს სისხლში უცხო სხეული შემოიჭრა და ორგანიზმი მისი დამორჩილების, მონელებისა და განადგურებისთვის იბრძოდა. მალევე სიტყვებმა ამ ბირთვის გარშემო დაიწყო თავმოყრა, გარსში მოაქცია და ჩანასახვით გამოკვება. დაბინდულმა მოგონებებმა სიცხადე შეიძინა, ფსკერზე დაშვებული სიხარული და მწუხარება ზედაპირზე ამოვიდა, ცხოვრება მსუბუქ ნიავად გარდაიქმნა, ზორბასი კი ზღაპრად გადაიქცა.

ჯერ არ ვიცოდი, ზორბასის ამ ზღაპრისთვის რა ფორმა მიმეცა: რომანის, სიმღერის, ჰალიმას ჩახლართული ფანტასტიკური მოთხრობის თუ მშრალად გადმომეცა კრეტის სანაპიროზე გამართული დიალოგები.

კრეტაზე ვცხოვრობდით და ვითომდა მურა ნახშირს მოვიპოვებდით. ორივემ კარგად ვიცოდით, რომ ეს ხალხისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად მარჯვე საშუალება იყო; თავად კი ერთი სული გვექონდა, მზე ჩასულიყო, რომ მუშებს სამუშაო დაესრულებინათ, ორივენი ქვიშაზე გავეხლართულიყავით, გემრიელი სოფლური საქმელი გვეჭამა, მყავე კრეტული ღვინო დაგველია და გვებაასა.

მე უმეტესად ვდუმდი; “ინტელიგენტმა” დრაკონს რა უნდა უთხრას? ვუსმენდი ოლიმპოსზე მდებარე თავისი სოფლის, თოვლის, მგლების, აჯანყებულების, აია-სოფის, მურა ნახშირის, მაგნეზიტის, ქალების, ღმერთის, სამშობლოსა და სიკვდილის ამბებს. როცა სული ეხუთებოდა და სიტყვები აღარ ჰყოფნიდა, ერთბაშად წამოიჭრებოდა ხოლმე და სანაპიროს მსხვილ კენჭებზე ცეკვას იწყებდა.

აწონილი, გაძვალტყავებული, უკან თავგადაგდებული, ჩიტივით წვრილთვალეა მოხუცი ცეკვაავდა, ყვიროდა, დიდრონ ტერფებს ნაპირს ურტყამდა და ზღვის წყალს სახებზე მასხურებდა.

მისი ხმისთვის ყური რომ მეგდო - ხმისთვის კი არა, შეძახილისთვის - ჩემი ცხოვრება ღირებულებას შეიძენდა; სისხლსავსე ცხოვრებით ვიცხოვრებდი, ახლა კი ჰაშიშით გაბრუებულივით ფიქრებში ჩაძირული ვმოქმედებ.

მაგრამ ვერ გავბედე. ვუყურებდი ზორბასს, რომელიც ცეკვავდა, ჭიხვინებდა და მიხმობდა, კეთილგონიერებისა და წეს-ჩვეულების მყუდრო ბაკნიდან გამოვსულიყავი და მასთან ერთად მემოგზაურა; მე კი უძრავად ვიდექი და ვცახცახებდი.

ბევრჯერ შევრცხვენილვარ ცხოვრებაში, საკუთარი სული სიგიჟის ჩადენის გაუბედაობაში არაერთხელ დამიჭერია, არადა ცხოვრების არსი სწორედ ეს არის; თუმცა ჩემი სულის გამო არასოდეს ისე არ შემრცხვენია, როგორც ეს ზორბასის წინაშე მოხდა.

ერთ დილას, განთიადისას, დავზორდით. მე, სწავლის ფაუსტური ავადმყოფობით უნეგემოდ შეპყრობილმა, კვლავ უცხოეთს მივაშურე; ის ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა, სერბეთში, სკოპიასთან ახლოს ერთ მთაზე ავიდა, სადაც, როგორც მითხრეს, მაგნეზიტით მდიდარ ფენას მიაგნო, რამდენიმე სულელი აიყოლია, სამუშაო იარაღები შეიძინა, მუშები დაიქირავა და კვლავ გვირაბების გათხრა დაიწყო. კლდეები ჩამოანგრია, გზები გაჭრა, წყალი გამოიყვანა, სახლი ააშენა, ჭარმაგი ბერიკაცი ერთ ლამაზ ქვრივზე, ლუბაზე, დაქორწინდა და შვილიც გაუჩნდა.

ერთ დღეს ბერლინში დეპეშა მივიღე: “მშვენიერ მწვანე ქვას მივაგენი. დაუყოვნებლივ ჩამოდი. ზორბასი”.

გერმანიაში დიდი შიმშილობა იდგა. მარკა იმდენად გაუფასურებულიყო, სულ მცირე რამის საყიდლად ტომრით მილიონები უნდა გეთრია; რესტორანში ჭამის შემდეგ ქალალდის ფულით გამოტენილ საფულეს ხსნიდი და გადასახდელად მაგიდაზე ცლიდი. დადგა დროც, როცა ერთ საფოსტო მარკაში ათი მილიარდი მარკა უნდა გადაგეხადა.

შიმშილი, სიცივე, გაქუცული პიჯაკები, ძირგავარდნილი ფეხსაცმელი, ოდესღაც წითელი, ახლა გაყვითლებული გერმანული ლოყები ყოველდღიურობად იქცა. შემოდგომამზე ადამიანები გზებზე ფოთლებივით ცვიოდნენ. ჩვილებს მოსატყუებლად რეზინის ნაჭერს აძლევდნენ, რომ ეღეჭათ და არ ეტირათ. პოლიცია ხიდებზე პატრულირებდა, რომ ღამით დედები ჩვილებთან ერთად თავის დასახრჩობად მდინარეში არ გადამხტარიყვნენ.

ზამთარი იდგა. თოვდა. მეზობელ ოთახში ჩინური ენის მცოდნე გერმანელი ლექტორი გასათბობად გრძელ ფუნჯს იღებდა და რომელიღაც ძველი ჩინური პოემის ან კონფუციის რომელიმე გამონათქვამის გადანერას შორეული აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი სიჭიუტით ცდილობდა. ფუნჯის წვერს, ოდნავ წამოწეულ იდაყვსა და ბრძენის გულს სამკუთხედი უნდა შეექმნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კმაყოფილი მეუბნებოდა: “ილიებიდან ოფლი გამომდის და ვთბები”.

ზორბასის დეპეშა სწორედ ასეთ სუსხიან დღეს მივიღე. ჯერ გავბრაზდი. მილიონობით ადამიანს მუხლები ეკვეთება და კვდება, რადგან ერთი ნაჭერი პურიც კი არ აქვთ, სული კბილით უჭირავთ, მე კი დეპეშას ვიღებ, რომ ლამაზი მწვანე ქვის სანახავად ათასობით მილი გავიარო! წყეულიმც იყოს უგულო სილამაზე, რომელსაც ადამიანის ტკივილი არ აღარღებს.

მაგრამ უცებ შიშმა შემიპყრო. ბრაზი უკვე მიყუჩებულიყო და შემფოთებული ვგრძნობდი, რომ ზორბასის ეს არაადამიანური ყვირილი ჩემში არსებულ არაადამიანურ ყვირილს ეხმიანებოდა. შინაგანმა მტაცებელმა ფრინველმა გასაფრენად ფრთები გაშალა.

მაგრამ არ წავედი. კვლავაც ვერ გავბედე. არ აგედი მატარებელში, არ მივყევი ჩემს შინაგან უცნაურ ღვთიურ ძახილს, გაბედული და უგუნური საქციელი არ ჩავიდინე. გონიერების თავდაჭერილ ცივ ხმას მივყევი. მოკლედ, კალამი ავიღე, ზორბასს მივწერე და ყველაფერი ავუხსენი...

მან კი მიპასუხა:

“არ გეწყინოს, ბატონო და ეს განსწავლულობის ბრალია. შეგეძლო, საცოდავო, სიცოცხლეში ერთხელ ლამაზი მწვანე ქვა გენახა და არ ნახე. ღმერთს გეფიცები, ვიჭექი ერთხელ, როცა სამუშაო არ მქონდა და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: “არსებობს ჯოჯოხეთი თუ არა?” მაგრამ გუშინ, შენი წერილი რომ მივიღე, ვთქვი: “ზოგიერთი სწავლულისთვის ნამდვილად უნდა არსებობდეს ჯოჯოხეთი!”

წამოშლილი მოგონებები ერთმანეთში აირია. მათი მოწესრიგების დრო დადგა. თავიდან უნდა დავიწყო ზორბასის ცხოვრების აღწერა. მასთან დაკავშირებულ ყველაზე უმნიშვნელო ამბებსაც კი თვალნათლივ ვხედავ. ჩემს გონებაში ისინი ისე გაიფანტებენ ხოლმე, როგორც ფერადი თევზები ზაფხულის გამჭვირვალე ზღვაში. მისეული არაფერი მომკვდარა ჩემში. ყველაფერმა, რასაც ზორბასი შეეხო, თითქოს უკვდავება შეიძინაო. თუმცა ამ დღეებში მოულოდნელი შფოთვა შემომეპარა: ორი წელია, მისგან წერილი არ მიმიღია, უკვე სამოცდაათს გადასცილდებოდა, შეიძლება განსაცდელშიც იყოს. ნამდვილად განსაცდელშია, სხვაგვარად რით ავხსნა მისი ნათქვამისა და წამოქმედარის გახსენების, აღდგენისა და ყოველივეს ქალაქდზე აღბეჭდვის უცნაური სურვილი. თითქოს მინდოდა, ამით მისთვის სიკვდილი ამერიდებინა. მეშინია, რომ, რასაც ვწერ, წიგნი კი არა, მოსახსენებელია.

ახლა ვხედავ, რომ ამ წიგნს მოსახსენებლის ყველა ნიშანი აქვს. ლანგარია დარიჩინით შეზავებული და სქლად შაქარმოფრქვეული კოლიოთი, რომელზეც ნუშის გულებით წერია: ალექსის ზორბასი. ვუყურებ ამ სახელს და თვალწინ კრეტის ლილისფერი ზღვა მიტორტმანებს, გონება მეზინდება. სიტყვები, სიცილი, ცეკვა, თრობა, საფიქრალი, საღამოობით მშვიდი ბაასი, სითბოთი და მზრუნველობით სავსე მრგვალი თვალეები მაგონდება, რომლებიც თითქოს ყოველ წუთს მეგებებიან, თითქოს ყოველ წუთს სამუდამოდ მემშვიდობებიან.

მიცვალებულისთვის გამზადებული საკურთხის ყურებისას გულის გამოქვაბულში სხვა მოგონებებიც ღამურებივით ჩამიმწკრივდნენ. ჩემდა უნებურად, პირველივე წუთიდან ზორბასის აჩრდილს კიდევ ერთი ძალიან ძვირფასი აჩრდილი გადაეწნა, მერე მოულოდნელად კიდევ ერთი - დაცემული, ათასგზის ნაკოცნი ქალისა, რომელსაც მე და ზორბასი კრეტის ქვიშიან სანაპიროზე, ლიბიის ზღვასთან შევხვდით...

ადამიანის გული ნამდვილად სისხლით სავსე დახურული ხაროა. თუ გაიხსნება, ყველა უნუგეშო მწყურვალე აჩრდილი მასთან მიირბენს, რათა დალიოს და გაცოცხლდეს. ისინი სულ უფრო და უფ-

რო მრავლდებიან ჩვენ გარშემო და ჰაერს აბნელებენ. მორბიან, რათა ჩვენი გულის სისხლი შესვან. იციან, რომ სხვა აღდგომა არ არსებობს. დღეს ყველაზე წინ ზორბასი მოალაჭებს, სხვა აჩრდილებს განზე სწევს, რადგან იცის, რომ დღეს მოსახსენებელი მისთვის ტარდება.

დაე მივცეთ მას ჩვენი სისხლი გასაცოცხლებლად. დაე ყველაფერი გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია, რომ ცოტა ხანს იცოცხლოს ამ გამორჩეულმა მოქეიფემ, მსმელმა, მშრომელმა, მექალთანემ და მეამბოხემ. ყველაზე თავისუფალმა სულმა, სიცოცხლით სავსე სხეულმა, ყველაზე მოუთოკავმა ყვირილმა, რომელსაც ოდესმე გადავყრივარ.

მას პირველად პირეასში შევხვდი. ნავსადგურში კრეტაზე მიმაგ-
ალ თბომავალს ველოდებოდი. თენდებოდა. წვიმდა. ძლიერი სი-
როკო უბერავდა და ზღვის შხეფები პატარა კაფემდე მოჰქონდა.
კარ-ფანჯარა დაეკეტათ, ჰაერში ადამიანის მყრალი ამონასუნთქი-
სა და სალბის ნაყენის - ფასკომილოს - სუნი იდგა. გარეთ ციოდა
და მინები დაორთქლილიყო. ყავისფერტყაპუჭიანი ხუთი-ექვსი ღა-
მენათევი მებღვაური თუ მეთევზე ყავასა და ფასკომილოს შეექცეო-
და და დაბურული მინებიდან ზღვას გასცქეროდა.

შტორმისაგან რეტდასხმულ თევზებს თავშესაფარი ღრმა მშვიდ
წყალში ეპოვათ და გემოთ სამყაროს დამშვიდებას ელოდნენ. ყავ-
ახანებში შეყუჟული მეთევზეებიც ღვთის რისხვის ჩაცხრომას უცდი-
დნენ, რომ თევზებს შიში დაეძლიათ, გედაპირზე ამოსულიყვნენ და
ანკვსს წამოგებოდნენ. ზღვის ენები, კამბალები, სკაროსები ღამეუ-
ლი თარეშის შემდეგ დასაძინებლად ბრუნდებოდნენ. თენდებოდა.

მინიანი კარი გაიღო. ნავსადგურის დაბალი, სახედანაოჭებული
თანამშრომელი შემოვიდა. უქულო და ფეხშიშველი ერთიანად
ლაფში ამოგანგლულიყო.

- ჰეი, კოსტანტის, - დაუძახა ერთმა ცისფერლაბადიანმა ბებერმა
ზღვის მგელმა, - როგორ ხარ, ბიჭო?

კოსტანტისმა ბრაზიანად გადააფურთხა.

- როგორ უნდა ვიყო? დილა მშვიდობისა, ყავახანა! საღამო მშ-
ვიდობისა, სახლო! დილა მშვიდობისა, ყავახანა! საღამო მშვიდო-
ბისა, სახლო! აი, ეს არის ჩემი ცხოვრება. სამუშაო ფაფუ!

ზოგს გაეცინა, ზოგმაც თავი გადააქნია და შეიგინა.

- სიცოცხლე სამუდამო სასჯელია, - თქვა ერთმა ულვაშამ, რო-
მელიც ფილოსოფიას ქუჩის წარმოდგენებზე დაუფლებოდა, - სამუ-
დამო სასჯელი, წყეულიმც იყოს!

ჭუჭყიან მინებზე თბილი ცისფერ-მწვანე შუქი გადმოიღვარა, ყავახანაში შეაღწია, ხელებს, ცხვირებსა და მუბლებს დაეცა, ბუხარში შეხტა, ბოთლები ააელვარა. ელექტროშუქმა ძალა დაკარგა, ყავახანის ღამენათევმა პატრონმა ხელი ბანტად გაიწოდა და გამორთო.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ ტალახიან დღეს გახედა გარეთ. ტალღების ბათქისა და რამდენიმე მობუყბუყე ნარგილეს ხმა გაისმა.

ბებერმა ზღვის მგელმა ამოიხვნეშა.

- ვაცო, ნეტა კაპიტანი ლემონისი რას შვრება? - დაიძახა. - ღმერთი შეეწიოს!

ზღვას მრისხანე მზერა მოავლო.

- ფუი შენი, ცოლ-ქმრის გამყრელო! - დაიღრინა და ჭაღარა უღვაში ჩაიკვნითა.

კუთხეში მიმჭდარი ვიყინებოდი. მეორე ფასკომილო შეფუკვეთე. რული მომერია. ძილს, დაღლილობასა და დილის ნაღველს ვებრძოდი. დაბურული მინებიდან ნავსადგურს გავცქეროდი, რომელიც იღვიძებდა და გემების სირენების, ურიკებისა და მენაგეების წყალობით ერთიანად გუგუნებდა. ზღვა, წვიმა და გამგზავრებაზე ფიქრი გულზე სქელ ბადესავით შემომხვეოდა.

სიბნელეში დიდი თბომავლის ცხვირს მივაშტერდი. წვიმდა. წვიმის ძაფები ზეცას ტალახთან აერთებდნენ.

სანამ შავ თბომავალს, ჩრდილებსა და წვიმას ვუცქერდი, ჩემი დარდი ნელ-ნელა ფორმას იძენდა, მოგონებები იღვიძებდა, წვიმისა და მონატრებისგან შექმნილი საყვარელი მეგობრის სახე სველ ჰაერში ისახებოდა. როდის მოხდა ეს? შარშან? წინა ცხოვრებაში? გუშინ? ადრე ამ ნავსადგურში მასთან გამოსამშვიდობებლად ჩამოვედი. წვიმა, სიცივე და განთიადი მომაგონდა, აფორიაქებული გული მაშინაც არ მასვენებდა.

საყვარელ ადამიანებთან განშორების პროცესის გაჭიანურება ძალიან მწარეა; ჯობია, ერთბაშად მოიკვეთო და კვლავ ადამიანის ბუნებრივ გარემოში - მარტოობაში - დარჩე. მაგრამ იმ წვიმიან განთიადზე მეგობარს ვერ ველეოდი (მოგვიანებით, სამწუხაროდ, ძალიან გვიან, ვიგრძენი - რატომაც). თბომავალზე ავყევი. მის კაიუტაში, მიმოფანტულ ჩემოდნებს შორის, ვიჭეჭი. როცა ის სხვაგან იყურებოდა, მალულად გავხედავდი ხოლმე. თითქოს მიხდოდა, მისი სახის ნაკვთები დამემახსოვრებინა: ცეცხლოვანი ცისფერ-მწვანე თვალები; ახალგაზრდული სახე; ამაყი გამომეტყველება; ყველაზე მეტად კი - გრძელთითებიანი არისტოკრატიული ხელები.

წამით თვალი ჰკიდა ჩემს მზერას, რომელიც მის სახეზე შეფარვით, დაჟინებით დაცოცავდა. მობრუნდა, დამცინავი გამომეტყველებით გადმოძახდა, რომელსაც მღელვარების დასამალად მიიღებდა ხოლმე. ყველაფერს მიხვდა. განშორებით გამოწვეული დარდის განსაქარვებლად ირონიული ღიმილით მკითხა:

- როდემდე?

- რა როდემდე?

- როდემდე უნდა ჭამო ქაღალდი, როდემდე უნდა ითხუპნო მელნით? წამო, კავკასიაში გამომყევი. ათასობით ჩვენი თანამემამულე საფრთხეშია. წავიდეთ, ვიხსნათ.

გაიცინა, თითქოს თავისი დიადი განზრახვის აბუჩად აგდება უნდოდა.

- რა თქმა უნდა, შეიძლება, ვერ გადავარჩინოთ, - დასძინა, - მაგრამ სხვათა ხსნის მცდელობით თავად გადავრჩებით. ასე არ არის? განა ამას არ ქადაგებ, მასწავლებლო? "საკუთარი თავის ხსნის ერთადერთი გზა სხვების გადასარჩენად ბრძოლაა...". მაშ, რაღას უცდი... გამომყევი!

არაფერი მიპასუხია. ღმერთების მშობელი მრისხანე აღმოსავლეთი, აწონილი მთები, კლდეზე მიჭაჭვული პრომეთეს ყვირილი მომაგონდა... იმ წლებში ჩვენი მოდგმაც იმ კლდეზე მიჭაჭვული

ხაოდა. საფრთხე ემუქრებოდა, გამოსახსნელად კვლავ თავის ძეს მოუხმობდა. გაუნძრევლად ვუსმენდი, თითქოს ტკივილი უბრალოდ სიზმარი ყოფილიყო, ცხოვრება - რომელიღაც მომხიბლავი ტრაგედია, პარტერიდან სცენაზე გადახტომა და მოქმედებაში ჩართვა კი მეტად გულუბრყვილო საქციელად მიმაჩნდა.

ჩემი მეგობარი პასუხს არ დალოდებია, წამოდგა და ხელი გამომიწოდა. თბომავალმა უკვე მესამედ დაიკვივლა.

- კარგად იყავი, წიგნის ჭიავ! - მღელვარების დასაფარავად დამცინავად მითხრა.

კარგად იცოდა, სირცხვილი იყო, საკუთარ გულს ვერ მორეოდი. ცრემლები, ნაზი სიტყვები, ხელის დაქნევა, ადამიანური სიახლოვე კაცისთვის შეუფერებელ სიმახინჯედ მიაჩნდა. ასეთი სიყვარულის მიუხედავად, ერთმანეთისთვის ერთი თბილი სიტყვაც არ გაგვიმეტებია. ვთამაშობდით და მხეცებივით ერთმანეთს ვკანწავდით. ის დახვეწილი, ირონიული, განათლებული იყო, მე - ბარბაროსი. ის, თავდაჭერილი, სულის ყოველ გამოვლინებას თავშეკავებული ღიმილით გამოხატავდა, მე, იმპულსური, უადგილოდ, ხეპრულად ვხარხარებდი.

მკვახე სიტყვით მღელვარების გადაფარვას ვლამობდი, მაგრამ თავი შევირცხვინე. არა, თავი კი არ შევირცხვინე, ვერ შევძელი. ხელი ჩამოვართვი და ველარ ვუშვებდი. გაოცებულმა შემომხედა.

- ღელავ? - მკითხა და გაღიმება სცადა.

- კი, - წყნარად ვუპასუხე.

- რატომ? განა წლების წინ არ შევთანხმდით? რას ეძახიან იაპონელები იმას, რაც გიყვარს? "ფუდოშინ"! ეს აპათიაა, უშფოთველობა, უძრავი მოლიმარი ნილაბი. ნილბის უკან რა ხდება, ეს უკვე ჩვენი საქმეა.

- დიახ, - მივუგე, ვცდილობდი, გრძელი წინადადება არ წარმომეტქვა. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ხმას დავიმორჩილებდი და

არ ამითრთოლდებოდა.

თბომავალზე გონგის ხმა გაისმა, რომელიც მნახველებს კაიუტებიდან ერეკებოდა. ჟინჟლავდა. ჰაერი განშორების პათეტიკური სიტყვებით, ფიცით, ხანგრძლივი კოცნით, სწრაფი, აქოზინებული საუბრით გაივსო... დედა ვაჟს ეხვეოდა, ცოლი - ქმარს, მეგობარი - მეგობარს. თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ეს ხანმოკლე გაყრა დიდ განშორებას მოაგონებდათ. სველ ჰაერში გემის კიჩოზე გონგის ხმა სამგლოვიარო ზარივით გაისმა.

მეგობარი ჩემკენ გადმოიხარა და ჩუმად მკითხა:

- მომისმინე, ცუდი წინათგრძნობა ხომ არ გაქვს?

- კი, - კვლავ ვუბასუხე.

- ასეთი ზღაპრების გჭერა?

- არა, - მივუგე მტკიცედ.

- აბა, რა ხდება?

არც არაფერი. არ მჭეროდა, მაგრამ მეშინოდა.

მეგობარმა მარცხენა ხელი მუხლზე დამადო, როგორც ეს ყველაზე გულითად წუთებში სჩვეოდა, როცა ვსაუბრობდით და გადაწყვეტილების მისაღებად ვუბიძგებდი. ის ჯერ მეწინააღმდეგებოდა, ბოლოს მთანხმდებოდა და მუხლზე მეხებოდა, თითქოს მეუბნებოდა: “სიყვარულის ხათრით, რასაც გინდა, იმას გაგაკეთებ...”

წამწამები ორ-სამჯერ დააფახულა. კვლავ შემომხედა. მიხვდა, რომ ძალიან ვდარდობდი და ორჭოფობდა, ჩვენი საყვარელი იარაღი - სიცილი და ხუმრობა - გამოეყენებინა თუ არა.

- კარგი, - მითხრა, - ხელი ჩამომართვი. თუ ჩვენგან რომელიმეს სიკვდილი დაემუქრება...

გაჩუმდა, თითქოს შერცხვავო. ჩვენ ხომ წლებია ამ მეტაფიზიკურ “გაფრენებს” დავცინოდით და ვეგეტარიანელებს, სპირიტუზმის მიმდევრებსა და თეოსოფებს ერთ ორმოში ვუძახებდით...

- მაშ? - ვკითხე და შევეცადე, გამომეცნო, რის თქმა უნდოდა.

- მოდი, ვითამაშოთ, - მითხრა ნაჩქარევად, რათა თავი დაეღწია სახიფათო ფრაზისთვის, რომელშიც გაიხლართა. - თუ ჩვენგან ერთ-ერთს სიკვდილი დაემუქრება, ისეთი დაჟინებით იფიქროს მეორეზე, რომ, სადაც უნდა იმყოფებოდეს, აგრძნობინოს... შევთანხმდით?

გაცინება უნდოდა, მაგრამ ტუჩები გაშეშებოდა, ვერ ახერხებდა.

- შევთანხმდით, - ვუთხარი.

ჩემს მეგობარს შეეშინდა, მღელვარება არ დასტყობოდა და ნაჩქარევად დასძინა:

- რა თქმა უნდა, ამგვარი სულიერი, ტელეპათიური კავშირებისა არ მჭერა.

- კარგი, - ჩავილულულუდე, - ასე იყოს...

- მაშ, კეთილი. დაე ასე იყოს; მოდი, ვითამაშოთ. შევთანხმდით?

- შევთანხმდით, - გავუმეორე.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი სიტყვები. ერთმანეთს ხელი მდუმარედ ჩამოვართვით. თითები სურვილით ჩაენვნენ და მყისვე დაშორდნენ. სწრაფად, უკანმოუხედავად წავედი, თითქოს მომდევნო. მინდოდა, მიმეხედა და მეგობარი უკანასკნელად დამენახა, მაგრამ ცდუნებას ვძლიე. “არ მიბრუნდე! - ვუბრძანე თავს. - კმარა!”.

ადამიანის სული ლაფითაა სავსე. დაუმუშავებელი და გაურანდავია; უხეში, ხეპრული მოთხოვნილებები აქვს, სუფთა და სანდო ვერაფერი ამოუცნია; ამოცნობა რომ შესძლებოდა, რა სხვანაირი იქნებოდა ეს განშორება!

შუქმა იმატა, თითქოს ორი დილა შეერთებულიყო. მეგობრის საყვარელ სახეს ახლა უფრო ნათლად ვხედავდი - უძრავსა და ნაღვლიანს, ზედ აწვიმდა. ყავახანის კარი გააღეს. ზღვამ დაიგუგუნა. ფეხმოკლე, უღვაშდაშვებელი კაცი რწევა-რწევით შემოვიდა. მხიარული შეძახილები გაისმა:

- კაპიტან ლემონისს გაუმარტოს!

კუთხეში მივიკუნჭე, კვლავ გონების მოკრება ვცადე, მაგრამ მეგობრის სახე უკვე წვიმაში გაღლაბნილიყო.

მშვიდი, სერიოზული, სიტყვაძუნწი კაპიტანი ლემონისი ხელში კრიალოსანს ათამაშებდა. თავს ვებრძოდი, არაფერი დამენახა, არაფერი მომესმინა და ხილვა, რომელიც უჩინარდებოდა, ცოტა ხანს კიდევ შემეჩერებინა. მინდოდა, ხელახლა განმეცადა ბრაზი, რომელმაც მაშინ მომიცვა, ბრაზი კი არა, სირცხვილი, როცა მეგობარმა “წიგნის ჭია” მიწოდა. მართალი იყო! მე, სიცოცხლის ასეთი მოტრფიალე, უკვე წლებია, ქალაქებსა და მელანში ჩავეფალი! ჩემმა მეგობარმა იმ განშორების დღეს ნათლად დამანახვა ეს. გამიხარდა, რადგანაც ჩემი უბედურების სახელი უკვე ვიცოდი; უფრო ადვილად შემეძლო დამემარცხებინა იგი. თითქოს უსხეულო და მოუხელთებელი აღარ იყო, თითქოს ახლა განსხეულებულიყო და მასთან ბრძოლა გაადვილებულიყო.

მეგობრის ეს მკაცრი სიტყვა ჩემში ყრუდ მიიკვლევდა გზას. მას შემდეგ საბაბს ვეძებდი, ქალაქდები მიმეტოვებინა და საქმეს მოვკიდებოდი. მეზიზღებოდა და მეთაკილებოდა, სულიერ გერბად საცოდავი ჭია რომ მყავდა. ერთი თვის წინ დრო ვიხელთე, კრეტის სანაპიროზე, ლიბიის ზღვასთან, მურა ნახშირის მითოვებული საბადო ვიქირავე და ახლა კრეტაზე მივემგზავრებოდი, რათა უბრალო ხალხთან, მუშებთან, სოფლელებთან ერთად მეცხოვრა, წიგნის ჭიების კლასისგან შორს.

წასასვლელად მოვემზადე. ძლიერ აფორიაქებული ვიყავი, თითქოს რაღაც მეტად ფარული ამრი ჰქონდა ჩემს ამ მგზავრობას. გადავწყვიტე, ცხოვრების გზა შემეცვალა. “აქამდე, ჩემო სულო, - ვამბობდი, - ლანდის ყურებით კმაყოფილდებოდი. ახლა არსისკენ მი-

მყავხარ”.

მზად ვიყავი. გამგზავრების წინა დღეს, საბუთების ძებნისას, ნახევრად დასრულებული ხელნაწერი ვიპოვე. ავიღე, გადავფურცლე, ვორჭოფობდი. უკვე ორი წელია, სულში შფოთვას, ძლიერ სურვილს, თესლს - ბუდას - ვინახავდი. შიგადაშიგ მუდმივად ვგრძნობდი, როგორ მნოვდა, ყველაფერს მაცლიდა, მბოჭავდა, იზრდებოდა, წელში იმართებოდა, მკერდზე მირტყამდა, გამოსვლას ლამობდა. ახლა გული მის მოშორებას არ მანებებდა. არ შემეძლო. ასეთი სულიერი განშორებისთვის მეტისმეტად გვიანი იყო.

ხელნაწერი მეჭირა და ვყოყმანობდი, როცა წამით ჰაერში ჩემი მეგობრის ირონიით, თან სინაზით სავსე ღიმილმა გაიელვა. “წავიღებ! - ვთქვი ჭიუტად. - შენი არ მეშინია, წავიღებ. ნუ იცინი!”. ფრთხილად შევახვიე, თითქოს ჩვილს ვახვევდი ჩვრებში, და წავიღე.

ვაპიტან ლემონისის ჩახლეჩილი ხმა გაისმა. ყური მივუგდე, წყლის სულებზე ლაპარაკობდა, რომლებიც ქარიშხალში მისი გემის ანძებზე მიცოცავდნენ და ლოკავდნენ.

- რბილები და სლიკინები არიან. თუ დაიჭერ, ხელები აგიკაშკაშდება. ხელი უღვაშზე გადავისვი და მთელი ღამე ეშმაკივით ვლაპლაპებდი. ზღვამ გემში შემოაღწია, დატვირთული ქვანახშირი დასველდა, დამძიმდა. გემი გადაიხარა, მაგრამ ღმერთმა გვიშველა, მეხი დასცა. ლიუკები დაიმსხვრა, ზღვა ქვანახშირით გაივსო. გემი შემსუბუქდა და გასწორდა. ასე გადავრჩი. გვეყო ამაზე!

ჭიბიდან დანტეს პატარა გამოცემა, ჩემი თანამგზავრი, ამოვიღე, ჩიბუხს მოვუკიდე, კედელს მივეყრდენი, მოვკალათდი. წუთით შეყოყმანდი. რომელი ადგილიდან ამომეკითხა უკვდავი სტროფები? ჯოჯოხეთის მწველი უკუნეთიდან, განსაწმენდელის გამაგრილებელი ალიდან თუ პირდაპირ ადამიანის იმედების მწვერვალებისთვის მიმეშურებინა? რასაც მინდა, იმას ავირჩევ. დანტეს მცირე ზომის გამოცემა მეჭირა, თავისუფლებით ვხარობდი. დილაუთენია არჩეული სტროფები მთელი დღის რიტმს განმისაზღვრავდა.

გადაწყვეტილების მისაღებად ყველაზე მკვეთრ ხილვას მივა-

ჩერდი, მაგრამ ვერ მოვასწარი. უცებ აღელვებულმა წამოვწიე თავი. ვიგრძენი, თითქოს კეფას რალაც მიხვრეტდა. მკვეთრად შემოვბრუნდი, უკან, კარისკენ, გავიხედე. გონებაში იმედმა გამიელვა: “მეგობარს ისე ვნახავ”. სასწაულისთვის მზად ვიყავი, მაგრამ მოვტყუვდი. სამოცდახუთი წლის აწონილ, გაძვალტყავებულ, თვალეზღაფტე ილ მოხუცს ცხვირ-პირი შუშისთვის მიეჭყლიტა და მომშტერებოდა. ნაჭერში გახვეული პატარა ბრტყელი ნივთი იღლიაში ამოეჩარა.

ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მისმა ირონიულმა, ნადვლიანმა, მოუსვენარმა, ცეცხლოვანმა თვალებმა მოახდინა. ასეთად მომეჩვენა ისინი.

ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. თითქოს დარწმუნდა, რომ სწორედ ის ვიყავი, ვისაც ეძებდა, დანდობილად ჰკრა ხელი კარს და შემოაღო. მაგიდებს შორის ჩქარი, მოქნილი ნაბიჯით გამოიარა, მომიახლოვდა და თავზე წამომადგა.

- მოგბაურობ? - მკითხა. - საით გაგიწვია? კეთილი მგზავრობა.

- კრეტაზე. რატომ მეკითხები?

- თან წამიყვან?

ყურადღებით შევათვალიერე. ჩაცვნილი ლოყები, სქელი ყბა, ამობურცული ყვრიმალეები, ჭადარა ხუჭუჭა თმა და ელვარე თვალები დავინახე.

- რატომ? რაში მჭირდება?

მხრები აიჩეჩა.

- რატომ! რატომ! - თქვა ამრეზით. - ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ამ “რატომის” გარეშე ვერაფერი უნდა გააკეთოს? ისე, უბრალოდ წამიყვანე. აი, მაგალითად, მზარეულად. წვნიანების გაკეთება ვიცი!..

გამეცინა. მისი უხეში მანერები და ლაპარაკი მომეწონა, წვნიანებიც არ იყო ურიგო. ცუდი არ იქნებოდა, გავიფიქრე, ეს ბებერი აყ-

ლაყუდა იმ შორეულ, უკაცრიელ სანაპიროზე თან წამეყვანა. წვნიანები, სიცილი, მასლაათი... ჩანდა, ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, ბევრი რამ ენახა სინდბადს. მომეწონა.

- რაზე ფიქრობ? - მკითხა და გორბა თავი გაიქნია. - სასწორი გიჭირავს, არა? მისხალ-მისხალ წონი, ხომ? ბიჭო, გადაწყვეტილება მიიღე, სასწორები ეშმაკსაც წაუღია!

გაძვალტყავებული ახმახი თავზე წამომდგომოდა. წარამარა თავის აწვევ-დანვევამ დამლალა და დანტე დაგხურე.

- დაჯექი, - ვუთხარი. - ფასკომილოს დალევ?

დაჯდა. ნაჭერში გახვეული ნივთი ფრთხილად დაიდო გვერდით სკამზე.

- ფასკომილოს? - მკითხა ზიზღით. - უფროსო, ერთი რომი!

რომი ყლუპ-ყლუპად დალია; დიდი ხნით გაიჩერა პირში, დააგემოვნა და შემდეგ აცალა, ნელ-ნელა ჩასულიყო და მისთვის შიგნეული გაეთბო. “ტკბობის მოყვარული, - გავიფიქრე, - სილამაზის მოტრფიალე...”

- რას საქმიანობ? - ვკითხე.

- ყველაფერს ვაკეთებ. ფეხითაც ვმუშაობ, ხელითაც და თავითაც, ყველაფერი მეხერხება. შენ მხოლოდ შეარჩიე.

- ბოლოს სად მუშაობდი?

- მალაროში. იცოდე, კარგი ამფეთქებელი ვარ. ლითონებისა გამეგება, შრეებს ვპოულობ, გვირაბები გამყავს, სიღრმეებში ჩავდივარ, არ მეშინია. კარგად ვმუშაობდი, ბრიგადირი ვიყავი, საწუნუნო არაფერი მქონდა. მაგრამ, აი, ეშმაკმა გაურია ხელი. გასულ შაბათ საღამოს ატეხილი ვიყავი, მივდექ-მოვდექი, მესაკუთრე მოვძებნე, რომელიც იმ დღეს ჩვენს გასაკონტროლებლად მოსულიყო და კარგად მივბეგვე.

- რატომ? რა დაგიშავა?

- მე? არაფერი! სრულიად არაფერი! პირველად ვხედავდი ადამიანს. სიგარეტიც კი ჩამოგვირიგა სანწყალმა.

- მაშინ რატომ?

- ჰმ, მეკითხები კიდეც?! ასე მომეპურიანა, ძმაო! ადამიანის გონება მენისქვილის ცოლის ტრაკია, შენ კი მისგან წერა-კითხვის სწავლა მოგნდომებია.

ადამიანის გონების მრავალი განსაზღვრება მქონდა წაკითხული; ეს საუკეთესოდ მომეჩვენა, მომეწონა. ახალ ნაცნობს შევხედე. სახე დანაოჭებოდა, გარანდულ, მზე-წვიმაში ნაგდებ ჭიანჭამ ხესავით იყო. რამდენიმე წლის შემდეგ კიდეც ერთმა სახემ სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს იყო უბედური პანაიტი ისტრატისი(პანაიტი ისტრატისი (1884-1935) - ბერძნული წარმოშობის რუმინელი მწერალი და ლიტერატორი. კაზანძაკისის მეგობარი.).

- ფუთაში რა გაქვს? საჭმელი? ტანსაცმელი? სამუშაო იარაღი?

ჩემმა თანამოსაუბრემ მხრები აიჩეჩა და გაიცინა.

- მეტისმეტად პრაქტიკული ჩანხარ, - მითხრა, - მაპატიე, თუ იმედი გაგიცრუე.

გრძელი, ძლიერი თითები ბოლჩას მოუთათუნა.

- არა, - დაამატა, - სანთურია(სანთური - აღმოსავლური სიმებიან-დასარტყამი საკრავი.).

- სანთური! სანთურიზე უკრავ?

- როცა სიღარიბე კლანჭებში მომიქცევს, ყავახანებს დავივლი ხოლმე და სანთურიზე ვუკრავ. ძველ კლავტურ(კლავტები - უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების წევრები, რომლებიც საბერძნეთში ოტომანთა იმპერიის ბატონობის პერიოდში ტყეში იყვნენ გავარდნილი. ბერძნული ხალხური სიმღერების ციკლს მათი სახელის მიხედ-

დვით “კლექტური” ეწოდა.), მაკედონიურ მოტივებსაც ვმღერი. შემდეგ კი, აი, ამ ქუდს ვინწვდი და გროშებს ვაგროვებ.

- რა გქვია?

- ალექსის ზორბასი. გასაბრაზებულად “ასტამს” მეძახიან, რადგან მაღალი ვარ და თავი ღვებელს მიმიგავს. მაგრამ რაც უნდათ, ისა თქვან! “მოხალულსაც” მეძახიან, რადგან ოდესღაც მოხალულ გოგრის თესლს ვყიდდი. “ნაცრიანსაც” მეძახიან, რადგან, სადაც უნდა წავიდე, ყველაფერს ნაცართუტად ვაქცევ. სხვა მეტსახელებიც მაქვს, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

- სანთურიზე დაკვრა როგორღა ისწავლე?

- ოცი წლის ვიყავი. პირველად სანთურის გაღმა, ოლიმპოსის ძირას, ჩემი სოფლის ერთ-ერთ დღეობაზე მოვესმინე. სუნთქვა შემეკრა. სამი დღე პირში ლუკმა არ ჩამსვლია. “რა გჭირს, ბიჭო?” - მეკითხებოდა მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს. “სანთურიზე დაკვრა მინდა ვისწავლო!” - “ბიჭო, არა გრცხვენია? ბოშა ხომ არა ხარ! საკრავებზე უნდა დაუკრა?” - “სანთურიზე დაკვრა მინდა ვისწავლო!..”. გადანახული ფული მქონდა, ქორწილისთვის გადადებული. ბავშვური საქციელი იყო, ხომ ხედავ, სულელი ვიყავი, სისხლი მიდუღდა, დაქორწინება მინდოდა! მთელი ფული, რაც კი მქონდა, აი, რომ უყურებ, ამ სანთურიში გადავიხადე. სალონიკიში წავედი, ერთი თურქი ოსტატი ვიპოვე, რეჯეფ ეფენდი, სანთურის მასწავლებელი. ფეხებში ჩავუვარდი. “რა გინდა, ბერძნის შვილო?” - მეკითხება. “სანთურიზე დაკვრა მინდა ვისწავლო!” - “ფეხებში რატომღა მივარდები?” - “გროშიც არ მაბადია, რომ გადავიხადო!” - “სანთურის ჟინი გაქვს?” - “მაქვს”. - “ჰოდა, დარჩი, ნუ გადამიხდი!”. მასთან ერთ წელიწადს დავრჩი და დაკვრა ვისწავლე. ღმერთმა აკურთხოს მისი ძვლები, უკვე მკვდარი იქნება. ღმერთს სამოთხეში თუ ძაღლებიც შეჰყავს, დაე რეჯეფ ეფენდიც შეუშვას. მას მერე, რაც სანთურიზე დაკვრა ვისწავლე, სხვა ადამიანად ვიქეცი. როცა დარდი შემომანწვება ან სილარიზე შემომიტევს, ვუკრავ და გულზე მეშვება. დაკვრისას რომ მელაპარაკებიან, არ მესმის. თუ გავიგებ, ლაპარაკი არ შემიძლია. მინდა, განა არ მინდა, მაგრამ არ შემიძლია.

- რატომ, ზორბას?

- ეჰ, სევდას ვერ ვერევი!

კარი გაიღო, ყავახანაში კვლავ ზღვის გუგუნი შემოვარდა. შემოჭრილი სიცივისგან ყველა აკანკალდა. უფრო ღრმად მივჭექი კუთხეში და მჭიდროდ გავეხვიე პალტოში. მოულოდნელი ნეტარება ვიგრძენი. “სად უნდა წავიდე? - გავიფიქრე. - აქაც კარგად ვარ. ნეტავ ეს წამი წლობით გაგრძელდეს”.

უცნაურ სტუმარს შევხედე, რომელიც პატარა, მრგვალი შავი თვალებით მომშტერებოდა. სკლერებზე წითელი კაპილარები მოუჩანდა. ვიგრძენი, რომ მზერით მხვრეტდა და ხარბად მხრეკდა.

- შემდეგ რა მოხდა? - ვკითხე.

ზორბასმა ისევ აიჩეჩა გაძვალტყავებული მხრები.

- ნეტავი შენ! - მითხრა. - სიგარეტს ვერ მომცემ?

მივეცი. ჟილეტიდან კვეს-აბედი ამოიღო, აანთო. კმაყოფილმა თვალები მილულა.

- დაქორწინებული ხარ?

- მე რა, ადამიანი არა ვარ? ადამიანი კი ბრმას ნიშნავს. მეც თავით გადავეში ორმოში, რომელშიც ჩემ წინ მიმავალნი ჩაცვივდნენ. დაქორწინდი. მივქარე. ოჯახს მოვეკიდე, სახლი ავიშენე, შვილები გავაჩინე. ტანჯვა-წამება გამოვიარე. მაგრამ სანთური მყავდეს კარგად.

- შინ უკრავდი, რომ სიმწარე დაგევიწყებინა?

- ეჰ, ბიჭო, როგორ გემჩნევა, რომ არც ერთ საკრავზე არ უკრავ. აბა, რას ლაპარაკობ? სახლში საბრუნავია, ცოლი, შვილები. რა ვჭამოთ, რა ჩავიცვათ, რა გვეშველება? ჯოჯოხეთი! სანთურის კი კარგი გული სჭირდება. ცოლი ზედმეტ სიტყვას თუ მეტყვის, რა გულით-ღა დაუკრა? ბავშვებს თუ შიათ და ტირიან, მიდი აბა, დაუკარი. სა-

ნთურის უნდა, რომ მხოლოდ მასზე იფიქრო. მიხვდი?

მივხვდი, რომ ზორბასი სწორედ ის ადამიანი იყო, რომელსაც ამდენ ხანს ვეძებდი და ვერ ვპოულობდი - ცოცხალი გული, თვითნაბადი დიდი სული, რომელსაც თავისი მშობლის - დედამიწის - ჭიპლარი ჯერაც არ გადაეჭრა.

რას ნიშნავს ხელოვნება, სილამაზის სიყვარული, სისპეტაკე, ჟინი - ეს მუშა უმარტივესი სიტყვებით მიხსნიდა.

შევხედე ამ დაკოჟრილ, დახეთქილ და ნერვიულ ხელებს, რომლებსაც წერაქვიც ეჭირა და სანთურისაც ამღერებდა. ამ ხელებმა ბოღია ფრთხილად და ნაზად გახსნა, თითქოს ქალს ხდიდა, სიმეზიანი, ბრინჯაოსა და სპილოს ძვლის მოსართავეზიანი, კიდეში წითელი აბრეშუმის პომპონით დამშვენებული ძველი, გაპრიალებული სანთური ამოიღო და სქელი თითებით ნელა, ვნებიანად მოეფერა, როგორც ქალს. შემდეგ კი კვლავ გაახვია, როგორც საყვარელ სხეულს ფფუთნით ხოლმე, რომ არ გაგვიცივდეს.

- აი, ეს არის! - ჩაიჩურჩულა სიყვარულით და საკრავი ფრთხილად დადო სკამზე.

მემღვაურები ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებდნენ, ხარხარებდნენ. ერთ-ერთმა კაპიტან ლემონისს მოფერებით ბეჭზე ხელი წამოართყა.

- ეჰეი, კარგა გვარიანად კი შეშინდებოდი, კაპიტანო ლემონის, აღიარე! ერთმა ღმერთმა იცის, რამდენი კელაპტარი აღუთქვი წმინდა ნიკოლოზს!

კაპიტანმა გაბურძგნილი წარბები შეჭმუნა.

- გეფიცებით, ბიჭებო, ზღვას გეფიცებით, როცა ჩემ წინ სიკვდილი დავინახე, არც ღვთისმშობელი გამხსენებია, არც წმინდა ნიკოლოზი! ცოლი გამახსენდა, სალამინისკენ მივბრუნდი და დავიყვირე: "ჰეი, გოგო კატერინა, ნეტავ ახლა შენს ლოგინში მამყოფა!".

მეზღვაურები ისევ გადაბჟირდნენ სიცილისგან. კაპიტანმა ლემონისმაც გაიცინა.

- კაცო, რა მხეცია ადამიანი! - თქვა. - ხმალშემართული მთავარანგელოზი თავზე წამოსდგომია, მისი გონება კი სულ სხვაგან ქრის! ფუი, დაიკარგოს ნაძირალა!

ტაში შემოჰკრა.

- ჰეი, უფროსო, - ყავახანის პატრონს გასძახა, - მოიტანე, ბიჭებს გაუმასპინძლდი!

ზორბასი ყურდაცქვეტილი უსმენდა. შებრუნდა, ჯერ მეზღვაურებს შეხედა, მერე - მე.

- სად “სხვაგან”? - იკითხა. - ამას რას ამბობს?

მაგრამ მოულოდნელად მიხვდა და წამოვარდა.

- ყოჩაღ, ბიჭო! - აღტაცებით შესძახა. - ამ მეზღვაურებმა რაღაც საიღუმლო იციან, რადგან დღედაღამ სიკვდილს ებრძვიან.

ხელი ჰაერში გაიქნია.

- კარგი, - თქვა, - ამაზე სხვა დროს. ჩვენს საქმეს მიხვდით. დავრჩე თუ წავიდე? გადაწყვიტე.

- ზორბას, - ვუთხარი და თავი ძლივს შევიკავე, რომ ხელში არ ვწვდომოდი, - ზორბას, შევთანხმდით. ჩემთან ერთად წამოხვალ. მურა ნახშირის საბადო მაქვს კრეტაზე, მუშებს უხელმძღვანელებ. საღამოთი ორივენი ქვიშაზე წამოვწვებით - ცოლი, შვილები, ძაღლები არ მყავს - ერთად შევჭამთ და დავლევთ. მერე კი სანთურიზე დაუკრავ.

- ხასიათზე თუ ვიქნები, გესმის? ხასიათზე თუ ვიქნები. შენთვის რამდენსაც გინდა, იმდენს ვიმუშავებ, შენი მონა ვარ! მაგრამ სანთური სხვა რამეა. მხეცია, თავისუფლება სჭირდება. ხასიათზე თუ ვიქნები, დავუკრავ, ვიმღერებ კიდევ. ზეიბეკიკოს, ხასაპიკოს, პენდლობ-

აღისაც ვიცეკვებ, მაგრამ ხასიათზე უნდა ვიყო! თავიდანვე გავარკვიოთ ყველაფერი. თუ დამაძალებ, დამკარგავ. ამ საკითხში, იცოდე, ადამიანი ვარ.

- ადამიანი? რის თქმა გინდა?

- აი, თავისუფალი.

- უფროსო, - გავძახე, - კიდეც ერთი რომი!

- ორი რომი! - წამოხტა ზორბასი. - შენც დალიე, ერთმანეთს მიგუჭახუნოთ ჭიქები. ფასკომილო და რომი ერთმანეთს ვერ ეწყობიან. შენც რომი დალიე, რომ შევეწყოთ.

ჭიქები მიგუჭახუნეთ. უკვე კარგად გათენებულიყო. თბომავალმა დაუსტვინა. მენავე მოვიდა. მანიშნა, ჩემოდნებს გემზე ავიტანო. წამოვდექი, ზორბასს მხარზე შევვხე.

- წავედით, - ვუთხარი, - ღმერთი შეგვეწიოს!

- ეშმაკიც! - წყნარად დაამატა ზორბასმა.

დაიხარა, სანთური ამოიიღლიავა, კარი გააღო და პირველი გავიდა.

ზღვას, ტკბილ შემოდგომას, გაჩახჩახებულ კუნძულებსა და წვრილი წვიმის გამჭვირვალე პეპლოსს გავცქეროდი, რომელიც საბერძნეთის უკვდავ სიშიშვლეს ბურავდა. ბედნიერია ადამიანი, გავიფიქრე, რომელსაც სიცოცხლეში ეგეოსის ზღვაში ცურვა ღირსებია.

მრავალგვარი სიხარული არსებობს ამ სამყაროში - ქალები, ბილი, იდეები, თუმცა, მგონია, ნაზ შემოდგომასა და ზღვაში ცურვისას თითოეული კუნძულის სახელის ჩურჩულით წარმოთქმით მოგვრილ სიხარულზე მეტად ვერაფერი ჩაძირავს ადამიანის სულს სამოთხეში. სინამდვილიდან ოცნებაში გადასვლა, ასე მშვიდად და ამაზე ადვილად, სხვაგან არსადაა შესაძლებელი. საზღვრები იშლება, ყველაზე გაპარტახებული გემის ანძებიც კი ვაზის ლერწებს ამოიყრის და მტევნებს მოისხამს. მართლაც, აქ, საბერძნეთში, მწირი მიწა ხშირად სასწაულს ბადებს.

შუადღისას წვიმამ გადაიღო. მზემ ღრუბლებში გამოაღწია, გრილმა, ნაზმა, ახალდაბანილმა გამოანათა და საყვარელ მიწა-წყალს სხივებით მიელამუნა.

კიროზე ვიდექი და ამ სასწაულით უსაზღვროდ ვხარობდი. ვუყურებდი გონებაგახსნილ ბერძნებს, მტაცებლის თვალები და მწვრილმანის გონება რომ ჰქონდათ. მცირე პოლიტიკური კამათი, აშლილი პიანინოს ხმა, გესლიანი “ქალბატონების” ჭორაობა, გულდრძო, ერთფეროვანი პროვინციული საუბრები ისმოდა. მოგინდებოდა, გემს ორივე გვერდში ჩასჭიდებოდი, ზღვაში ჩაგეძირა, კარგა გვარიანად შეგენჯღრია, რათა მისი დამაბინძურებელი ყველა ცოცხალი არსება - ადამიანები, თაგვები, ბალღინჯოები - ჩამოგეცილებინა და ცარიელი, ახალგარეცხილი კვლავ ზედაპირზე ამოგეყვანა.

ხანდახან ისევ თანაგრძნობა დამეუფლებოდა ხოლმე. ბუდისტური, ცივი თანალმობა, როგორც ჩახლართული მეტაფიზიკური ფიქრების შედეგი. თანაგრძნობა არა მართო ადამიანებისადმი, არამედ მთელი სამყაროსადმი, რომელიც იბრძვის, ყვირის, ტირის, იმედოვნებს და ვერ ხედავს, რომ ყველაფერი ამაოების ფანტასმაგო-

რიაა. თანადგომის გრძნობა დამეუფლა ბერძნებისადმი, გემისადმი, ზღვისადმი, საკუთარი თავისადმი, მურა ნახშირის ბიზნესისადმი, “ბუდას” ხელნაწერისადმი, შუქ-ჩრდილის ყველა ამ ამაო კავშირისადმი, რომლებიც ჰაერს წუთით აფორიაქებენ და აბინძურებენ.

ვუყურებდი ზღვის ღელვისგან ფერდაკარგულ ზორბასს, რომელიც გემის ცხვირზე გვარლის გორგალზე წარბშეკრული მოკალათებულიყო. ლიმონის სუნი ასდიოდა. ყურადღებით უსმენდა მგზავრებს, რომელთაგან ნაწილი მეფეს უჭერდა მხარს, ნაწილი - გენიზელოსს.

ზორბასი თავს აქნევდა, იფურთხებოდა.

- ძველი პოლიტიკაა! - მიზლით ჩურჩულებდა. - არც კი რცხვინიათ!

- რა ძველ პოლიტიკაზე ლაპარაკობ, ზორბას?

- აი, ყველაფერზე: მეფეებზე, დემოკრატიაზე, პარლამენტარებზე, უმსგავსოებაზე!

ზორბასის გონებაში თანამედროვე ამბები უძველესად ქცეულიყო, იმდენად ჰქონდა გულში განცდილ-გატარებული. მისთვის ტელეგრაფი, გემი, რკინიგზა, თანამედროვე ეთიკა, სამშობლო და რელიგია ძველ პოლიტიკას წარმოადგენდა. მისი სული სამყაროზე ბევრად სწრაფად ვითარდებოდა.

გემსართავები ჭრიალებდა, ნაპირები ტორტმანებდა, ქალები ფლურივით გაყვითლებულიყვნენ. ფერ-უმარილი, თმის სარტყები, სავარცხლები მიეყარათ, ტუჩები გაფითრებოდათ, ფრჩხილები გალურჯებოდათ. გაპუტულ კაჭკაჭებს დამსგავსებოდნენ, ნათხოვარი ფრთები - ლენტები, ხელოვნური წარბები, ხალები, ლიფები - მოემორებინათ და პირღებინებამდე მისულნი მიზღნარევი თანაგრძნობას იწვევდნენ.

ზორბასიც გაყვითლდა, გამწვანდა, მოციმციმე თვალები დაებინდა და მხოლოდ საღამო ხანისთვის გაუბრწყინდა. ხელი გაიწოდა

და გემს გაჭიბრებული ორი დიდი მხტუნავი დელფინი დამანახა.

- დელფინები! - წამოიძახა გახარებულმა.

მაშინ პირველად მოგვარი თვალი მისი მარცხენა ხელის შუამდე მოკვეთილ საჩვენებელ თითს.

- თითზე რა დაგემართა, ზორბას? - შევყვირე.

- არაფერი! - მიპასუხა იმით შეწუხებულმა, რომ დელფინების დანახვა ჯეროვნად არ გამიხარდა.

- დაზგაზე მოიჭერი? - დავიჟინე.

- რა დაზგაზე მელაპარაკები? მე თვითონ მოვიჭერი!

- შენ თვითონ? რატომ?

- შენ რას მიხვდები, ბატონო! - მითხრა და მხრები აიჩეჩა. - ხომ გითხარი, ყველა ხელობა მოვსინჯე-მეთქი. ერთ დროს მეთუნეც ვიყავი. ეს საქმე სიგიჟემდე მიყვარდა. იცი, რას ნიშნავს, ტალახის გუნდა აიღო და რაც მოგეპრიანება, ის გააკეთო? იიიფ! ბორბალი და ტალახი გაცოფებული ტრიალებენ, შენ კი დასცქერი და ამბობ: დოქს გავაკეთებ, თეფშს გავაკეთებ, ლამპარს გავაკეთებ, ეშმაკს გავაკეთებ! ამას ნიშნავს-მეთქი ადამიანად ყოფნა. ეს არის თავისუფლება!

ზღვა აღარ ახსოვდა, ლიმონის ჭამასაც თავი მიანება, მგერა დაენმინდა.

- მერე? - შევეკითხე. - თითზე რა მოგივიდა?

- ბორბალზე ხელს მიშლიდა, შუაში ეჩრებოდა და საქმეს მიფუჭებდა. ჰოდა, ერთ დღესაც წალღს ხელი დავავლე...

- არ გეტკინა?

- როგორ არ მეტკინა? კუნძი ხომ არ ვარ? ადამიანი ვარ, მეტკი-

ნა. მაგრამ მუშაობაში ხელს მიშლიდა-მეთქი, გეუბნები. ჰოდა, მოვიკვეთე!

მზე ჩავიდა, ზღვა ოდნავ მიყურდა, ღრუბლები მიმოიფანტა. ცაზე ხარიპარია გამოჩნდა. ზღვას თვალი მოვაგლე, ცას ავხედე, ფიქრებმა წამილო... ისე გიყვარდეს, რომ წალდი აიღო, გტკიოდეს და მაინც მოიკვეთო... მაგრამ მღელვარება დავმალე.

- უხეირო მეთოდია ეს, ზორბას! - ვუთხარი სიცილით. - ერთმა ასკეტმაც, ასე გვიამბობს სვინაქსარი, ერთხელ ქალი დაინახა, ცდუნდა, ნაჭახი აიღო...

- ვაი, მაგის პატრონს! - სიტყვა შემანწყვეტინა ზორბასმა, რომელიც მიხვდა, რის თქმასაც ვაპირებდი. - ის მოიჭრა! ვაი, მაგის პატრონს, სულელი! მაგრამ ეგ დალოცვილი ხომ ხელს არასოდეს გიშლის...

- როგორ?! - შევძახე. - გიშლის და თანაც როგორ.

- რაში?

- ცათა სასუფეველის დამკვიდრებაში.

ზორბასმა ალმაცერად, დამცინავად გადმომხედა და მითხრა:

- ბრიყვო, ეგ ხომ სამოთხის გასაღებია!

თავი ასწია, კარგად დამაკვირდა, თითქოს უნდოდა, გაეგო, რას ვფიქრობდი მომავალ ცხოვრებაზე, ცათა სასუფეველზე, ქალებსა და მღვდლებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი ვერაფერი გაარკვია და ჩაფიქრებულმა ჭაღარა თავი გაიქნია.

- ხეიბრები სამოთხეში ვერ შედიან! - თქვა და გაჩუმდა.

კუპეში წამოვწექი, წიგნი ავიღე. ბუდა ჯერ კიდევ ბატონობდა ჩემს ფიქრებზე. “ბუდასა და მწყემსის დიალოგი” წავიკითხე, რომელიც ეს ბოლო წლებია გულს სიმშვიდისა და თავდაჯერებულობის გრძნობით მივსებდა.

“მწყემსი: - საჭმელი მოვამზადე, ცხვრები მოვწველე, ქოხი ჩარაბულია, ცეცხლი მინთია. შენ კი იწვიმე, რამდენიც გინდა, ცაო!”

“ბუდა: - საჭმელი და რძე აღარ მჭირდება, ქარებია ჩემი ქოხი, ცეცხლი ჩამიქრა. შენ კი იწვიმე, რამდენიც გინდა, ცაო!”

“მწყემსი: - ხბორები მყავს, ძროხები მყავს, მამაპაპისეული საძოვრებიც ჩემია. ერთი ბუდაც მყავს, რომელიც ძროხებს მიმაკვებს. შენ კი იწვიმე, რამდენიც გინდა, ცაო!”

“ბუდა: - არც ხბორები მყავს, არც - ძროხები; არ მაქვს საძოვრები, არაფერი მაბადია. არაფრის მეშინია. შენ კი იწვიმე, რამდენიც გინდა, ცაო!”

“მწყემსი: - ერთი მორჩილი, ერთგული მწყემსის გოგო უკვე წლებია, ჩემი ცოლია. მიხარია და ღამით მას ვეთამაშები. შენ კი იწვიმე, რამდენიც გინდა, ცაო!”

“ბუდა: - მორჩილი და თავისუფალი სული მაქვს. წლებია ვწვრთნი და ვასწავლი, მეთამაშოს. შენ კი იწვიმე, რამდენიც გინდა, ცაო!”

ეს ორი ხმა კიდევ ლაპარაკობდა, როცა ძილმა წამიღო. ქარი ისევ ამოვარდა, ტალღები ილუმინატორის შუშაზე იმსხვრეოდა. ძილ-ღვიძილს შორის ვირყეოდა. ზვირთები ძლიერ შტორმად იქცა, საძოვრები დატბორა, ხარი, ხბორები, ძროხები დაახრჩო. ქარმა ქოხს სახურავი გადაახადა, ცეცხლი ჩაქრა, ქალმა დაიკვივლა და ტალახში უსულოდ ჩაენარცხა. მწყემსმა გოდება მორთო. ყვიროდა, მაგრამ არ მესმოდა, რას ამბობდა. სულ უფრო ღრმად მივსრიალებდი ძილში, როგორც თევზი წყალში.

დილაუთენია გამეღვიძა. მარჯვნივ დიდი, ძნელად მისადგომი, ამაყი, დიდებული კუნძული გადაშლილიყო, მთები დილის მზებზე მშვიდად ილიმებოდნენ. ზღვა ლურჯი აკვანივით ირწეოდა.

სქელ ყავისფერ საბანში გახვეული ზორბასი ხარბად გაჰყურებდა კრეტას. მისი მზერა მთიდან ველზე გადადიოდა, შემდეგ კი ნაპირ-ნაპირ ჩხრეკა-ჩხრეკით მიემართებოდა, თითქოს მთელი ეს მიწა

მისთვის ნაცნობი იყო და ახლა უხაროდა, რომ გონებით ისევ მასზე დააბიჭებდა.

მიგუახლოვდი, მხარზე შევეხე.

- კრეტაზე პირველად არ უნდა იყო, ზორბას! - ვუთხარი. - ძველი შეყვარებულისგან უყურებ.

ზორბასმა ზანტად დაამთქნარა, ლაპარაკის ხასიათზე არ იყო გამეცინა.

- ლაპარაკი გეზარება, ზორბას?

- არ მეზარება, ბატონო, მიძნელდება.

- გიძნელდება?

მაშინვე არ უპასუხია. სანაპიროს ნელი მზერა მოავლო. გემბანზე ეძინა და ჭადარა ხუჭუჭა თმიდან ცვარი მოსწვეთავდა. ლოყების, ნიკაპისა და ყელის ღრმა ნაოჭები მზის შუქზე მკვეთრად უჩანდა.

ბოლოს თხასავით სქელი, ჩამოკიდებული ტუჩები შეარხია.

- დილით პირის გაღება და ლაპარაკი მიძნელდება, რა ვქნა, მაპატიე, - მითხრა, დადუმდა და მზერა კვლავ კრეტას მიალურსმა.

ზარმა დილის ყავაზე მიგვიხმო. კაიუტებიდან გასავათებული, სახეგამწვანებული მგზავრები გამოლასლასდნენ, თმაჩამოშლილი ქალები მოკლე-მოკლე ნაბიჭებით, ბარბაცით დადიოდნენ მაგიდებს შორის, ნარწყვისა და სუნამოს სუნი ასდიოდათ და გამოლენიებული თვალები ამღვრეოდათ.

ზორბასი ჩემ პირდაპირ იჭდა, ყავას ხარბად ხვრეპდა, პურზე კარაქსა და თაფლს უსვამდა და ჭამდა. სახე დაუმშვიდდა, ღიმილი მოეფინა. შევცქეროდი, როგორ ფხიზლდებოდა ნელ-ნელა და თვალები უბრწყინდებოდა.

სიგარეტს მოუკიდა, მადიანად მოქაჩა, ბალნიანი ნესტოებიდან

ლურჯი კვამლი გამოუშვა და აღმოსავლურად მოირთხა ფეხი. ახლა უკვე შეეძლო ლაპარაკი.

- პირველად ვარ თუ არა კრეტაზე? - წამოიწყო, თვალები მოჭუტა და ილუმინატორიდან გაღმა აელვარებულ ფსილორიტის(ფსილორიტისი - მთა კრეტაზე.) გახედა. - არა, პირველად არ ვარ. 96-ში(კრეტის მოსახლეობა თავდაუზოგავად იბრძოდა ოსმალეთის იმპერიისგან გასათავისუფლებლად. 1896 წელს კრეტა ნახევრად ავტონომიურ სახელმწიფოდ გამოცხადდა, ხოლო 1913 წელს საბერძნეთს შეუერთდა.) ბრდასრული მამაკაცი ვიყავი. ბუნებრივი, ყორანივით შავი თმა-წვერი და ოცდათორმეტივე კბილი მქონდა. მთვრალი, საჭმელს რომ შევჭამდი, თეფშსაც ზედ ვაყოლებდი. სწორედ მაშინ იმდენი ქნა ეშმაკმა, რომ კრეტა კვლავ ააჭანყა.

იმ დროს მეწვრილმანე ვიყავი. მაკედონიაში სოფელ-სოფელ დავდიოდი, ათას რამეს ვყიდდი და თანხის სანაცვლოდ ყველს, მატყლს, კარაქს, კურდღლებს, სიმინდს ვიღებდი. შემდეგ ამ ყველაფერს ხელახლა ვყიდდი და ორმაგ მოგებას ვნახულობდი. რომელ სოფელშიც უნდა მოვხვედრილიყავი, ვიცოდი, ვის სახლში უნდა გამეთია ღამე. მუდამ რომელიღაც გულმონყალე ქვრივთან ვრჩებოდი. ღმერთმა კარგად ამყოფოთ! ყველა სოფელში არიან. ჰოდა, კოჭის ძაფს, სავარცხელს ან ცხონებული ქმრის სახელზე შავ თავსაფარს ვაძლევდი და მასთან ვწვებოდი. იაფობა იყო!

ცხოვრება, ბატონო, იაფია. მაგრამ ეშმაკს არ სძინავს! კრეტამ ისევ თოფს წამოავლო ხელი. "ფუი, წყეულიმც იყოს ჩემი ბედი! ბოლოს და ბოლოს, აღარ უნდა მოგვასვენოს ამ კრეტამ?!" - ვთქვი, კოჭის ძაფებსა და ქვრივებს შევეშვი, თოფი ავიღე, სხვა მემამბოხეებს შევუერთდი და კრეტისკენ გავემართე.

ზორბასი გაჩუმდა. ახლა წყნარ, ქვიშიან სანაპიროზე მივაბიჯებდით. ტალღები ნაპირს ელამუნებოდა და, ქვიშაზე გაშლილი, ცოტაოდენ ქაფს ტოვებდა. ღრუბლები მიმოფანტულიყო, მზე ანათებდა და მკაცრი კრეტა უშფოთველად იღიმებოდა.

ზორბასი მობრუნდა და დამცინავად შემომხედა.

- შენ გგონია, ბატონო, რომ ახლა დავგდები და ჩამოგირაკრაკ-ებს, რამდენ თურქს მოვკვებთ თავი და რამდენის ყური ჩავდე სპირტში, როგორც ეს კრეტაზე სჩვევიათ... არც იფიქრო, მეზარება, თან მრცხვენია. რა სიგიჟაა, ვფიქრობ ახლა, როცა გონებას მოგუხმე, რა სიგიჟაა, მივარდე და უკბინო ადამიანს, რომელიც არაფერს გიშავებს, ცხვირი და ყური მოსჭრა, მუცელი გაუფატრო და თან ღმერთს მოუხმო, რომ ჩამოვიდეს და დაგეხმაროს, ანუ მანაც მოჭრას ცხვირები და ყურები, მანაც გაუფატროს მუცლები. მაგრამ მაშინ, იცი, სისხლი მიდუღდა, ტვინს ძალას ვინ ატანდა? მართალი, პატიოსანი ფიქრისთვის სიმშვიდე, სიბერე, ჩლიფინია საჭირო. როცა უკბილო ხარ, ადვილია თქვა: "სირცხვილია, შვილებო, ნუ იკბინებით!", მაგრამ როცა ოცდათორმეტივე კბილი გაქვს... ადამიანი სიჭაბუკეში ნადირია, მოუთვინიერებელი მხეცი, კაციჭამია!

თავი გაიქნია.

- ცხვრებსაც ჭამს, ქათმებსაც და გოჭებსაც, მაგრამ რად გინდა, ადამიანი თუ არ შეჭამა, ვერ ძლება, - დაუმატა და სიგარეტი ყავის ლამბაქზე დაასრისა. - არა, ვერ ძლება! შენ რას იტყვი, მწიგნობარო?

მაგრამ პასუხისთვის არ დაუცდია:

- რის თქმა შეგიძლია? - მკითხა, თან თვალით მზომავდა. - როგორც ვხვდები, შენს კეთილშობილებას არ მოშივნია, არ მოუკლავს, არ მოუპარავს, არ უმრუშია. მაშ, რა იცი სამყაროს შესახებ? მოუმწიფებელი ტვინი, უმზეური ხორცი... - ჩაიჩურჩულა აშკარა ზიზღით.

უმუშევარი ხელების, ფერმკრთალი სახისა და უფერული ცხოვრების გამო შემრცხვა.

- რაც არის, არის, - თქვა ზორბასმა და მძიმე ტორი მაგიდას შემწყნარებლურად დაუსვა, თითქოს ღრუბლით წმენდდა, - რაც არის, არის. მხოლოდ ერთი რამ მინდოდა შენთვის მეკითხა. მთელი სკივრი წიგნები გექნება გადაფურცლული, შეიძლება, იცოდე...

- აბა, თქვი, ზორბას, რა გინდა?

- აქ, ბატონო, ერთი სასწაული მოხდა... უცნაური სასწაული და გონება ამებნა. ყველა იმ უღირსობამ, ქურდობამ, მკვლელობამ, რომლებიც ჩვენ, კაცებმა, ჩავიდინეთ, პრინცი გეორგიოსი კრეტაზე მოიყვანა; ამას თავისუფლებაც მოჰყვა!

თვალეზდაჭყეტილი, განცვიფრებული მიყურებდა.

- ამოუხსნელი რამაა! - ჩაიჩურჩულა. - ამოუხსნელი! ესე იგი ქვეყნის თავისუფლებისათვის ამდენი კაცისკვლა და უნამუსობაა საჭირო? რომ დაგჭდე და გადმოგილაგო, რამდენი არაკაცური საქციელი და მკვლელობა ჩავიდინეთ, თმა ყალყზე დაგიდგება. შედეგად კი რა მივიღეთ: თავისუფლება! იმის ნაცვლად, რომ ღმერთს ჩვენთვის მეხი დაეცა და დავენვით, თავისუფლება მოგვცა! არაფერი მესმის!

შემომხედა, თითქოს დახმარებას ითხოვდა. ჩანდა, ამ საიდუმლოს ძლიერ აეფორიაქებინა, გამოსავალს ვერ პოულობდა.

- შენ გესმის, ბატონო? - მკითხა მოუთმენლად.

რა უნდა მესმოდეს? რა ვუთხრა? ან არ არსებობს ის, რასაც ღმერთს ვუწოდებთ, ან ღმერთს კაცისკვლა და ცოდვა უყვარს, ან ის, რასაც მკვლელობასა და ცოდვას ვუწოდებთ, ბრძოლისა და მღელვარე სამყაროსთვის აუცილებელია...

შევეცადე, ზორბასისთვის სხვა პასუხი მომეძებნა:

- ყვავილი ხომ ნეხვისა და სიბინძურისგან იზრდება და იკვებება? ზორბას, ნეხვი ადამიანია, ყვავილი კი - თავისუფლება.

- ნაყოფი? - მკითხა ზორბასმა და მაგიდაზე მუშტი დაარტყა. - ყვავილი რომ გაიზარდოს, თესლია საჭირო. ვინ ჩავვიდო ასეთი თესლი ბინძურ შიგნეულში? ან ეს თესლი კეთილსა და პატიოსან ყვავილს რატომ არ გამოიღებს? სისხლი და სიბინძურე რისთვისაა საჭირო?

თავი გავიქნიე.

- არ ვიცი.

- ვინ იცის?

- არავინ.

- მაგრამ მაშინ, - უსასოოდ აღმოხდა ზორბასს და ირგვლივ გადარეულმა მიმოიხედა, - რაში მჭირდება ხომალდები, ორთქლმაგლები და ჰალსტუხები?

ზღვის ღელვისგან დარეტიანებული ორი-სამი კაცი, რომლებიც მეზობელ მაგიდასთან ისხდნენ და ყავას სვამდნენ, გამოცოცხლდნენ, აყალმაყალის სუნი იკრეს და ყური ცქვიტეს.

ზორბასს არ ესიამოვნა, ყურს რომ უგდებდნენ და ხმას დაუწია:

- მოდი, შევეშვათ, ეშმაკებისკენაც გზა ჰქონიათ! როცა ამაზე ვფიქრობ, ირგვლივ ყველაფერის დალენვა მინდება, სკამი იქნება თუ ლამპა. ლამის თავიც კედელს მივახეთქო. მაგრამ ამით რას ვიგებ? ან დამტვრეულს ვანაზღაურებ, ან აფთიაქში მივდივარ და თავს დოლბანდით მიხვევენ. კიდევ უარესი, თუ ღმერთი არსებობს! ახლა, ალბათ, ციდან გადმომყურებს და სიცილით კვდება, - მოულოდნელად ხელი გაიქნია, თითქოს აბეზარ ბუმს იგერიებდნენ.

- სინამდვილეში, - მითხრა სიმწრით, - აი, რის თქმა მინდოდა შენთვის: როცა აღმებით მორთულმა სამეფო გემმა ჩამოაღწია, ზარბაზნები დააქუხეს და პრინცმა კრეტაზე ფეხი დადგა... როდისმე გინახავს თავისუფლებისგან ერთბაშად ჭკუიდან შეშლილი ხალხი? არა? აბა, მაშინ, ჩემო საწყალო ბატონო, უკუღმართი დაბადებულხარ და უკუღმართი მოკვდები. ათასი წელიც რომ ვიცოცხლო და ცოცხალი ხორცის ერთი პატარა ნაგლეჯილა დავრჩე, რაც იმ დღეს დავინახე, არ დამავიწყდება. თითოეულ ადამიანს სამოთხე თავისი გემოვნების მიხედვით რომ აერჩია - ეს ასეც უნდა იყოს! სამოთხე ხომ ამას ნიშნავს! - ყოვლისშემძლეს ვეტყოდი: "ღმერთო ჩემო, ჩემი სამოთხე მირტებითა და დროშებით მორთული კრეტა იყოს; საუკუნე

გაგრძელდეს ის წუთი, როცა პრინცმა გეორგიოსმა კრეტაზე ფეხი დადგა... სხვა არაფერი მინდა!”.

ზორბასი კვლავ დადუმდა. უღვაში გადაიგრიხა, ჭიქა ცივი წყლით გაივსო და ერთ ყლუპად გამოცალა.

- რა მოხდა, ზორბას, კრეტაზე? მომიყვი!

- რა უნდა მოგიყვე? - მკითხა და კვლავ გადაირია. - ბიჭო, მე შენ გეუბნები, რომ ეს სამყარო საიდუმლოა, ადამიანი კი - დიდი საქონელი. დიდი საქონელი და დიდი ღმერთი. იქ ერთი ბოროტმოქმედი იყო, გიორგაროსი, მაკედონიიდან ერთად ჩამოვედით. დაუჭერებელი საქმეები ჰქონდა ჩადენილი. ჰოდა, აი, ის ბინძური ღორიც კი ტიროდა. “რათა ტირი, ბიჭო გიორგაროს? - შევეკითხე. მე თვითონაც თვალებიდან ცრემლები ღვარად ჩამომდიოდა. - რა გატირებს, შე ღორო?”. ის კი მეცა, მკოცნიდა და ბალღით ბღაოდა. მერე ამ ძუნწმა ქისა ამოიღო, თავისი დახოცილი თურქების სახლებიდან წამოღებული ოქროს ლირები გადმოყარა და ჰაერში მუჭა-მუჭა ისროდა. გაიგე, ბატონო? ამას ჰქვია თავისუფლება!

წამოვდექი და სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად გემბანზე ავედი.

ამას ჰქვია თავისუფლება, ვფიქრობდი. ჟინი გქონდეს, ოქროს ლირები აგროვო, მოულოდნელად ვნება დაამარცხო და მთელი შენი ქონება ჰაერში ისროლო! ვნებისგან გათავისუფლდე და უფრო მაღალს დაემორჩილო... მაგრამ ეგებ იდეისთვის, რასისთვის, ღვთისთვის თავის განწირვაც მონობაა? ეგებ, რაც უფრო მაღლა დგას ბატონი, მონობის საბელი მით უფრო გვიგრძელდება? მაშინ ძალიან ფართო კალოზე ვხტივართ და ვთამაშობთ; ისე ვიხოცებით, რომ მის კიდეს ვერ ვაგნებთ და ამას თავისუფლებას ვეძახით?

ნაშუადღევს ქვიშიან სანაპიროს მივადექით. თეთრი წმინდა ქვიშა, ჯერაც მოყვავილე ოლეანდრები, ლელვები, კერატის ხეები დავინახეთ, უფრო იქით, მარჯვნივ - დაბალი ნაცრისფერი შიშველი გორა, რომელიც თავგადაწეული ქალის სახეს ჩამოჰგავდა. ყელზე მურა ნახშირის წაბლისფერ-შავი ძარღვები გადიოდა.

ქარი უბერავდა და განწილ ღრუბლებს მიერეკებოდა, რომლებიც მიწას ჩრდილს ფენდნენ. მათ სხვა ღრუბლები მოსდევდნენ გამალებით. მზე ხან იმალებოდა, ხან ჩნდებოდა. დედამიწის ზედაპირი ცოცხალი, აღელვებული სახის დარად ხან ნათდებოდა, ხანაც იქუფრებოდა.

ცოტა ხნით ქვიშაზე გავჩერდი და გავიხედე. ჩემ წინ წმინდა, მკაცრი, მომნუსხველი, უდაბნოს დარი მარტოობა გადაიშალა. მიწიდან ბუდისტური სიმღერა ამოვიდა და გულისგულში შემოაღწია: “ბოლოს და ბოლოს, როდის გავწიო უდაბნოში - მარტო, უამხანაგოდ, მხოლოდ წმინდა რწმენით, რომ ყველაფერი სიზმარია? ძონძმანძში გამოწყობილი, სურვილებისგან დაცლილი და გახარებული, მთას როდის მივაშურებ? როდის მივხვდები, რომ ჩემი სხეული სხვა არაფერია, ავადმყოფობის, მკვლელობის, სიბერისა და სიკვდილის გარდა, რათა თავისუფალმა, უშიშარმა, მხიარულმა ტყისკენ გავწიო? როდის? როდის? როდის?”.

ზორბასი მომიახლოვდა. სანთური დაეიღლიაგებინა.

- აი, მურა ნახშირი! - ვუთხარი მღელვარების დასამალად და ხელი თავგადააწეული ქალის სახისკენ გავიშვირე.

ზორბასმა წარბები შეკრა, იქით არც მიბრუნებულა, ისე მომიგო:

- სხვა დროს, ბატონო, ჯერ მიწა დამშვიდდეს. ჯერაც ირყევა, ეშმაკმა წაიღოს, გემბანივით ტორტმანებს უნამუსო. ჩქარა წავიდეთ სოფელში! - თქვა და მტკიცედ გადადგა ნაბიჯი.

ორმა ფეხშიშველა, მზით დამწვარმა სოფლელმა ბიჭუნამ მოიბინა. ჩემოდნები მოიკიდეს. ლურჯთვალეება მსუქანი მეზაჟე ნარგილეს უწეოდა ბანაკში, რომელიც საბაჟოს მაგივრობას სწევდა. ირიბად გადმოგვხედა, ჩემოდნებს ზანტი მზერა მოავლო, წამით სკამზე შეირხა, წამოდგომა უნდოდა, მაგრამ დაეზარა. ნარგილეს მილი ნელა ასწია:

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! - გვითხრა ზღაზვნით.

ერთ-ერთი ბავშვი მომიახლოვდა; ზეთისხილივით შავი თვალები აუბრჭყვიალდა.

- კრეტელი არ არის! - თქვა დაცინვით. - ზარმაცია!

- კრეტელები რა, ზარმაცები არ არიან? - ვკითხე.

- ზარმაცები არიან... ზარმაცები არიან... - მიპასუხა კრეტელმა ბავშვმა, - მაგრამ სხვანაირად...

- სოფლამდე შორია?

- ერთ გასროლაზე! აგერ, ბაღია-ბაღების უკან, მდინარის ხეობაში. კარგი სოფელია, ბატონო, ღვთის წყალობაა მასზე გადმოსული: კერატის ნაყოფი, ფხალეული, ზეთი, ღვინო. იქ, ქვიშაში, კრეტაზე ყველაზე საადრეო კიტრი იზრდება. ქარი არაბეთიდან უბერავს მათ გასაზრდელად. ღამით ბოსტანში რომ დაიძინო, ჭრიალს მოჰკრავ ყურს. ჭრო! ჭრო! ჭრო! გაიგონებ, როგორ იზრდებიან.

ზორბასი წინ მიდიოდა და თავბრუდახვეული ჯერაც ბორძიკობდა.

- ყოჩაღად, ზორბას! - დავეძახე. - გვეშველა, ნულარ გეშინია!

სწრაფად მივაბიჯებდით. მიწა, ქვიშა და ნიჟარები ერთმანეთში არეულიყო; აქა-იქ იალღუნი, ლაქაში, შხამიანი ქერიფქლა დავინახე. მიწიდან ალმური ადიოდა. ღრუბლები სულ უფრო და უფრო ქვემოთ ეშვებოდნენ, ჰაერი იხუთებოდა.

დიდ ლედვის ხეს ჩავუარეთ; ტანი განშტოებოდა და გადაწვნილად, სიბერისგან დაფუღუროება დაეწყო. ბავშვი შედგა, ჩემოდნებისთვის ხელი არ გაუშვია, ნიკაპით ბებერ ხეზე მიმითითა.

- ბატონის ასულის ლედვის ხეა! - მითხრა.

გავჩერდი. კრეტის მიწაზე ყოველ ქვას, ყოველ ხეს რაღაც ტრაგიკული ამბავი უკავშირდება.

- ბატონის ასულის? რატომ?

- პაპაჩემის დროს ერთ თავადის ქალს მწყემსი შეჰყვარებია. მამა წინააღმდეგი ყოფილა; ქალი თურმე ტიროდა, ყვიროდა, თავს იკლავდა, მაგრამ მოხუც მამას არ დაუთმია! ერთ საღამოს შეყვარებულები გადაკარგულან. ერთი, ორი, სამი დღე, ერთი კვირა უძებნიათ; მაგრამ გაუჩინარებულან! ზაფხული მდგარა და აყროლებულან. ამ ლელვის ძირას უპოვიათ გახრწნილები, ჩახუტებულები. მიხვდი? სიმყრალით მიუგნიათ? ფუი! ფუი! - თქვა ბავშვმა და გადაიხარხარა.

სოფლის ხმაური გაისმა; ძაღლები ყეფდნენ, ქალები წიოკობდნენ, მამლები ყიოდნენ. ჰაერში საარყე ქვაბიდან ამოსული ციპუროს(ციპურო - არყის ნაირსახეობა.) სუნი იდგა.

- აი, სოფელიც! - შეჰყვირეს ბავშვებმა და იქით გაცვივდნენ.

ქვიშის გორის უკან მდინარის ხეობის ფერდობზე შეფენილი პატარა სოფელი გამოჩნდა. კირით შეთეთრებული ბანიანი, პატარა, ერთიმეორეზე მიკრული სახლები გავარჩიეთ, რომლებსაც ღია კარ-ფანჯარა შავად აჩნდა და ქვებში ჩაჭედილ თეთრ თავის ქალებს ჩამოჰგავდა.

ზორბასს მივეახლოვდი.

- ჭკუით, ზორბას, - ჩუმად ვუთხარი, - ისე მოიქეცი, როგორც სოფელში შესვლისას არის საჭირო. რამე არ იყნოსონ, ზორბას! სერიოზულ საქმოსნებად მოგაჩვენოთ თავი, მე ბატონად, შენ - ოსტატად. კრეტელებს ნუ ეხუმრები. თვალის ერთ შევლებაზევე ნაკლს გიპოვიან და მეტსახელს მოგანებებენ. ვერ გადაურჩები; მერე უკვე კულბელითონის ქილაგამობმული ძაღლივით მოგიწევს სირბილი.

ზორბასმა უღვაშზე ხელი გადაისვა, ჩაფიქრდა.

- ერთი რამ უნდა გითხრა, ბატონო, - მომიბრუნდა, - აქ ქვრივი თუ ჰყავთ, ნურაფრის გეშინია, მაგრამ თუ არ ჰყავთ...

იმწამს სოფლის შესასვლელიდან ჩამოკონკილი, ხელგამონ-
ვდილი მათხოვარი დედაბერი გამოიქცა. მზისგან დამწვარსა და წვ-
ირიანს მსხვილი შავი ულვაში ამოზრდოდა.

- ჰეი, ნათლია, - დაუძახა ზორბასს, - ჰეი, ნათლია, სული გაქვს?

ზორბასი შედგა.

- მაქვს, - უპასუხა სერიოზულად.

- მაშინ ხუთი დრაქმა მომეცი!

ზორბასმა უბიდან ტყავის ძველი საფულე ამოიღო.

- გამომართვი! - უთხრა და კუთხეებდაშვებულ ტუჩებს ღიმილმა
მოხაზულობა შეუცვალა.

მომიტრიალდა:

- აქ, ვხედავ, დიდი იაფობაა: სული ხუთი დრაქმა ღირს.

სოფლის ძაღლები მოგვცვივდნენ, ბანებიდან ქალები გადმოე-
კიდნენ, ბავშვები უკან სტვენა-სტვენით მოგვდევდნენ. ზოგი ყეფდა,
ზოგი მანქანის საყვირს ბაძავდა, ზოგიც წინიდან გვივლიდა და დი-
დი, განცვიფრებული თვალებით შემოგვცქეროდა.

სოფლის მოედანზე მივედით: ორი აწონილი ალვის ხე დავინა-
ხე. მათ გარშემო სკამები დაეწყოთ, მოპირდაპირე მხარეს კი ყავა-
ხანა შევნიშნე დიდი გახუნებული წარწერით: "გრცხვენოდეთ".

- რა გაცინებს, ბატონო? - მკითხა ზორბასმა.

მაგრამ პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, ყავახანიდან ხუთი-ექვსი
ახმახი გამოვარდა. ფარფარა შარვლებზე წითელი სართყლები შე-
მოერთყათ.

- ნათლიებს გაუმარჯოს! - დაიყვირეს. - ერთი ჭიქა არაყი დაგვ-
ილიეთ, ჯერ კიდევ ცხელ-ცხელია, პირდაპირ ქვაბიდან.

ზორბასმა ენა გააწკლაპუნა:

- რას იტყვი, ბატონო? - მომიბრუნდა და თვალი ჩამიკრა. - დავლიოთ?

დავლიეთ, გულ-ღვიძლი გამოგვეწვა. ყავახანის პატრონმა, ერთმა ჭარმაგმა, ცქვიტმა მოხუცმა, სკამები მოგვირბენინა.

ვიკითხე, რომელ სახლში შეგვეძლო დარჩენა.

- მადამ ჰორტენზიასთან წადით, - გადმოგვძახა ვიღაცამ.

- ფრანგია? - ვიკითხე გაცეხულმა.

- ჯანდაბიდანაა. სად არ უცხოვრია. თავს ბევრი რამ გადახდენია. ახლა კი, როცა დაბერდა, აქ დაიბუდა და სასტუმრო გახსნა.

- კარამელეებსაც ყიდის! - წამოხტა ერთი ბავშვი.

- ფერუმარილსაც ისვამს და იღებება! - დაიყვირა მეორემ. - ყელზე ლენტს იკეთებს... თუთიყუშიც ჰყავს...

- ქვრივია? - იკითხა ზორბასმა. - ქვრივია?

არავინ უპასუხა.

- ქვრივია? - კვლავ იკითხა და მოუთმენლად დაელოდა პასუხს.

ყავახანის პატრონმა სქელი ჭალარა წვერი ჩაბლუჭა:

- რამდენი ბენჯია აქ, ნათლია? რამდენი? აი, იმდენი მამაკაცის ქვრივია ის. მიხვდი?

- მივხვდი, - უპასუხა ზორბასმა და ტუჩები გაილოკა.

- შეიძლება შენი ქვრივიც გახდეს, ჭკუით იყავი! - შესძახა ერთმა მხიარულმა მოხუცმა და ყველამ გადაიხარხარა.

ყავახანის პატრონმა ლანგრიტ ქერის ბლითები, ხაჭო და მს-

ხლები მოიტანა და გაგვიმასპინძლდა.

- ხალხო, შეეშვით ამ ადამიანებს! - დაიყვირა. - რა მაღამი, რის მაღამი? ჩემსას დაიძინებენ.

- მე წავიყვან მაგათ, კონდომანოლიოს! - უთხრა მოხუცმა, - შვილები არ მყავს, დიდი სახლი მაქვს, ადგილს გამოვნახავ.

- მაპატიე, ძია ანაღნოსტის, - ყავახანის პატრონი მოხუცის ყურთან დაიხარა და ჩაჰყვირა: - პირველმა მე ვთქვი!

- შენ ერთი წაიყვანე, - უთხრა ძია ანაღნოსტისმა, - მეორეს კი, მოხუცს, მე წავიყვან.

- რომელ მოხუცს? - ზორბასს თვალებში რისხვა ჩაუდგა.

- ერთმანეთს არ დავშორდებით, - ვთქვი მე და ზორბასს თვალთ ვანიშნე, არ გაბრაზებულიყო. - არ დავშორდებით. მაღამ ჰორტენზიასთან წავალთ.

- მობრძანდით! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ტანდაბალი, ჩათქვირებული, ფეხმოქცეული და ხელგაშლილი ქალი ალვებშორის პრანჭვა-გრეხით მოემართებოდა ჩვენკენ. ქერა თმა გახუნებოდა, ნიკაპზე ბეწვიანი ხალი წამოსკუპებოდა. ყელზე ხავერდის წითელი ლენტი ეკეთა და დამჭკნარ ლოყებზე ვარდისფერი პუდრი ჰქონდა შეფრქვეული. ხელოვნური ქოჩორი შუბლზე ჩამოშლოდა და დაბერებულ სარა ბერნარს ჰგავდა, როცა ის “მართვეში” თამაშობდა.

- კეთილი იყოს ჩვენი ფეხი, მაღამ ჰორტენზია! - მივმართე და მოულოდნელი სურვილი დამეუფლა, ხელზე ვმთხვეოდი.

ცხოვრება ზღაპრად მომეჩვენა, შექსპირის კომედია “ქარიშხალი” მომაგონა. გემიდან ახალი გადმომსხდრები ვიყავით, წარმოსახვითი ჩაძირვის გამო დასველებულები, ბრწყინვალე სანაპიროებს ვიკვლევდით და ადგილობრივებს თავდაჭერილად ვესალმებოდით. ქალბატონი ჰორტენზია კუნძულის ქალბატონად, რომელიდაც

სახეობის დიდულვაშა, მბზინვარე სელაპად მომეჩვენა, რომელიც ათასობით წლის წინ ამ ქვიშაში მიხრწნილი, ფერუმარილწაგლესილი და გახარებული გამოირიყა. მის უკან უამრავი წვირიანი, ბანჯგვლიანი თავი მოჩანდა. ეს ხალხი და კალიბანი(კალიბანი - შექსპირის “ქარიშხლის” პერსონაჟი.) დედოფალს მიზღითა და ქედმაღლურად შესცქეროდნენ.

ზორბასსაც, ამ გადაცემულ უფლისწულს, მოსწონდა ეს თვალეზადმოკარკლული ქალი, თითქოს მისი ძველი საყვარელი ყოფილიყო. ეს ბებერი კარაველა ოდესღაც თავადაც შორეულ ზღვებში იბრძოდა, გაიმარჯვა, დამარცხდა, დაიჭრა, ლიუკები გაეხსნა, ანძები დაემსხვრა, აფრები დაეხა და ახლა პუდრით ნაოჭებამოგმანულმა ამ სანაპიროსკენ გამოსწია და დაელოდა. ნადვილად ელოდა ზორბასს - ორმოცჯერ დაჭრილ კაპიტანს. მიხაროდა ამ ორი მსახიობის შემხედვარეს, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ტკბილად შეხვდნენ ერთმანეთს ამ მარტივად დადგმულ, სქლად შეღებილ კრეტულ სცენაზე.

- ორი სანოლი, მადამ ჰორტენზია! - ვუთხარი და სასიყვარულო სცენების ბებერი მსახიობის წინაშე ქედი მოვიხარე. - ორი სანოლი ბალვინჯოების გარეშე...

- ბალვინჯოები არ მყავს! არ მყავს! - მიპასუხა და თან კაბარეს ძველი მომღერლის ნელ, გამომწვევ მზერას მესროდა.

- ჰყავს! ჰყავს! - გადაიხარხარეს კალიბანების პირებმა.

- არ მყავს! არ მყავს! - გაჭიუტდა მთავარი როლის შემსრულებელი და ლურჯწინდიანი მსუქანი ფეხი ქვებზე დააბაკუნა.

ძველი, გაცვეთილი, კოკეტური, აბრეშუმის ბაფთიანი ფეხსაცმელი ეცვა.

- უი, მოწყდი თავიდან, პრიმადონა! - ისევ გადაიხარხარეს კალიბანებმა.

მაგრამ მადამ ჰორტენზია წინ ამაყად გაგვიძღვა. პუდრისა და

იაფფასიანი სურნელოვანი საპნის სუნი ასდიოდა.

ზორბასი უკან მიჰყვებოდა და თვალეზით ჭამდა.

- ბიჭო, აბა, ერთი შეხედე, - მითხრა და თვალი ჩამიკრა, - უკანა-
ლს იხვივით როგორ მიიქნევს, ეს უნამუსო! ვაჰ! ვაჰ! ნერბივით ქონ-
ით გატენილ დუმას როგორ მიათამაშებს!..

ორი-სამი მსხვილი წვეთი ჩამოვარდა, ცა მოიქუფრა. ელვამ მთა
გაანათა. თხისტყაპუჭიანი პატარა გოგოები აჩქარდნენ, თხასა და
ცხვარს საძოვრიდან მოერეკებოდნენ. ქალები სავახშმოდ ბუხარში
ცეცხლს ანთებდნენ.

ზორბასმა ულვაში ნერვიულად ჩაიკვნიტა და მადამის მოქანავე
გავას ხარბი მზერა მიაწება.

- ჰმ! - ამოიოხრა. - წყეულიმც იყოს ცხოვრება! უნამუსოს, ბოლო
არ უჩანს!

მადამ ჰორტენზიას პატარა სასტუმრო ერთიმეორეს მიწებებულნი, ძველისძველი ქობიახების რიგს წარმოადგენდა. პირველს მაღალიად იყენებდა, სადაც ვარამელს, სიგარეტს, არაბულ ფსტას, ლამპის ფითილებს, ანბანებს, საკმეველს ყიდდა. დანარჩენ ოთახებში საძინებლები მოეწყო; უკან, ეზოში, სამზარეულო, სამრეცხაო, საქათმე და საბოცვრე გაემართა. ირგვლივ სქელ ქვიშაში ხშირი ლერწამი და ოპუნციები ხარობდა. მთელ ამ ავლადიდებებს ზღვის, სკინტლისა და შარდის მძაფრი სუნი ასდიოდა. ჰაერში ხანდახან, მხოლოდ მადამ ჰორტენზიას ჩავლისას, განსხვავებული სურნელი დატრიალდებოდა ხოლმე, თითქოს სადალაქოდან ნარეცხი წყალი გადმოღვარესო.

ლოგინები გაგვიშალეს, დავწექით და მყისვე ჩაგვეძინა. არ მახსოვს, რა მესიზმრა, მაგრამ დილით თავი მსუბუქად და მხნედ ვიგრძენი, ზღვაში ცურვის შემდეგ წყლიდან ახლად ამოსულივით.

კვირა დღე იყო, მუშები მეორე დღეს ახლომახლო სოფლებიდან უნდა მოსულიყვნენ და მურა ნახშირზე მუშაობას შესდგომოდნენ; დღეს კი დრო მექონდა, მესეირნა და მენახა, ბედმა რომელ ნაპირზე გამომრიყა. ალიონზევე გარეთ გავვარდი, ბაღჩა-ბაღები გავიარე, ნაპირ-ნაპირ წრე შემოვარტყი, ადგილობრივი წყალი, მიწა, ჰავა მალევე შევისწავლე, სურნელოვანი ბალახბულახი დაგვკრიფე და ხელისგულეებზე ქონდრის, სალბისა და ფლისკუნის სუნი ამივიდა.

ბორცვზე ავედი, გადავიხედე. მკაცრი, პირქუში ადგილი იყო. გრანიტი, ჩამუქებული ხეები და კირქვა მოჩანდა, რომელსაც, გეგონებოდა, წერაქვიც ვერ გაკვეთდა; დაუჭერებელი იყო, ამ ყვითელმა ნაზმა შროშანებმა, რომლებიც ახლა მზეზე ელვარებდნენ, ეს კიბორჩხალის ქერქივით მაგარი მიწა როგორ გააპეს. შორს, სამხრეთისკენ, დაბალი ქვიშიანი კუნძული ვარდისფრად ციალებდა და დილის პირველ სხივებში წითლდებოდა.

სანაპიროდან ოდნავ უფრო მოშორებით ზეთისხილის, კერატისა და ლელვის ხეები, პატარა ვენახები გაეშენებინათ, ქარისგან

დაცულ უბეებში, ბორცვებს შორის, ციტრუსები და ზღმარტლი და-
ერგოთ, სანაპიროსთან უფრო ახლოს კი ბოსტნები მოჩანდა.

დიდხანს ვტკბებოდი მალლობიდან მიწის მსუბუქი ტალღების
თვალიერებით. გრანიტი, მუქმწვანე კერატის ხეები, ვერცხლისფერ-
ფოთლება ზეთისხილის ხეები სარტყელ-სარტყელ მოჩანდა, ჩემ
წინ ვეფხვის ბოლიან ტყავად დაფენილი. გაღმა, სამხრეთისკენ,
ჭერ კიდევ ბორგავდა აღელვებული, უკიდევანო, მარტოსული ზღვა,
აფრიკამდე აღწევდა, ღმუოდა, კრეტას ეხეთქებოდა, თითქოს ჩა-
ნთქმას უპირებსო.

ეს კრეტული გარემო გარეგნულად კარგ პროზას ჰგავდა: კარგ-
ად დამუშავებულს, სიტყვაძუნწს, ზედმეტი ბიზილ-პიპილებისაგან
თავისუფალს, ძლიერსა და თავდაჭერილს. თავის არსს უმარტივესი
საშუალებებით გამოხატავდა. რამე ხრიკის გამოყენებას საჭიროდ
არ თვლიდა, არ მჭევრმეტყველებდა, სათქმელს მამაკაცური სიმკ-
აცრით ამბობდა. მაგრამ მის უხემ ხაზებს შორის ამ კრეტულ გარე-
მოში მოულოდნელ მგრძობელობასა და სინაზესაც წააწყდებოდი.
მყუდრო უბეებიდან ლიმონისა და ფორთოხლის ხეების სურნელება
იფრქვეოდა. ზღვის მხრიდან უშრეტი პოეზია მოედინებოდა.

- კრეტა, - ჩავიჩურჩულე, - კრეტა... - და გული ამიფართხალდა.

გორიდან დავეშვი და ნაპირს გავეყევი. სოფლიდან სიცილ-კისკ-
ისით მომავალი ქათქათათავსაფრიანი, ყვითელჩექმებიანი კაბააკ-
ვალთული გოგონები გამოჩნდნენ. გაღმა ნაპირზე მდგარ მონასტ-
ერში წირვაზე დასასწრებად მიიჩქაროდნენ.

გავჩერდი. თვალი მომკრეს თუ არა, სიცილი შეწყვიტეს. უცხო
მამაკაცის დანახვაზე სახე ბრაზით მოექუფრათ, სხეული თავიდან
ბოლომდე მოეჭიმათ, თითები მკერდთან საგულდაგულოდ შეკრ-
ულ საკინძეებს ნერვიულად ჩასჭიდეს.

მათში მჩქეფარე უძველესი სისხლი ბრაზსა და შიშს მოეცვა. მთ-
ელ ამ კრეტულ სანაპიროს, რომელსაც აფრიკისკენ ექნა პირი, მრ-
ავალი საუკუნის განმავლობაში ესხმოდნენ თავს მეკობრეები. ცხ-
ვრებს, ქალებს, ბავშვებს იტაცებდნენ, წითელი სარტყლებით აბამ-

დნენ, ტრიუმფებში ყრიდნენ და ალჟირში, ალექსანდრიაში, ბეირუთში მიჰყავდათ გასაყიდად. ამ სანაპიროზე გოდების ხმა მრავალი საუკუნის განმავლობაში ისმოდა, ქვიშა თმის ბლუჭებით იყო მოფენილი. ვუყურებდი გოგონებს, რომლებიც გაბრაზებულები, ერთმანეთს მიკრულები მიახლოვდებოდნენ, თითქოს გადაულახავი ჯებირის აღმართვა უნდოდათ, რომელიც საუკუნეების წინ აუცილებლობა იყო, დღეს კი განვლილი აუცილებლობის რიტმს ძველი ჩვეულებით მიჰყვებოდა.

გოგონებმა რომ ჩამიარეს, უხმოდ გავუდიმე. მყისვე, თითქოს იგრძნეს, რომ ოდინდელი საფრთხე, რომელიც მამაკაცისაგან ელოდათ, ახლა აღარ ემუქრებოდათ, სახეები გაუნათდათ და ყელმოდერებულები, ყველანი ერთად რაკრაკა ხმებით მომესალმნენ. იმავე წამს შორეული მონასტრის ზარების მხიარულმა რეკვამ ჰაერი ნეტარებით აავსო.

მზე შუბის ტარზე იდგა, ცა მოკრიალებულიყო. კლდის ნაპრალებში თოლიასავით შევიყუჟე, ზღვას ბედნიერი გავყურებდი. ვიგრძენი, სხეული როგორი ძლიერი და დამყოლი გამიხდა. ჩემი გონებაც, ტალღებს აყოლილი, ზღვის საცეკვაო რიტმს წინააღმდეგობის გაუნეველად ემორჩილებოდა.

ნელ-ნელა გული ამიბორგდა, ბუნდოვანი ხმები მომესმა. ვიცოდი, ვინც მეძახდა. წუთით მართო დავრჩებოდი თუ არა, გამოუთქმელი სურვილისგან, ალტყინებისგან, შიშისგან აქოშინებული ღრენას ინწყებდა და ხსნას ჩემგან ელოდა.

სამგზავრო დანტე სწრაფად გადავშალე, რომ ამ ხმებისთვის არ მესმინა და ჩემში არსებული საშიში, სევდიანი და ძლიერი დემონი განმედევნა. ფეურცლავდი, აქ ერთ სტროფს ვკითხულობდი, იქ - ნაწყვეტს მეორიდან და უკვე მთელი სიმღერა მაგონდებოდა, ცეცხლოვანი გვერდებიდან ცოდვილები ოხვრა-კვნესით ამოდიოდნენ. მოშორებით დიდი, აფორიაქებული სულები მაღალ მთაზე აცოცებას ცდილობდნენ; უფრო ზემოთ კი, ბურმუხტის მდელოებზე, მოციმციმე ციციანათელებივით ნეტარი სულები დასეირნობდნენ. ბედისწერის საშინელ სამსართულიან შენობაში ავდი-ჩავდიოდი, თავისუფლად ვმოძრაობდი ჯოჯოხეთში, განსაწმენდელში, სამოთხეში,

თითქოს ეს ნაგებობა ჩემი სახლი ყოფილიყო. მტკიოდა, ველოდი და მიხაროდა, როცა განსაცვიფრებელ სტროფებს შორის დაგვხეტებოდი.

დანტე დაგხურე და ზღვას გავხედე. თოლია მუცლით ტალღას შეეხო და სხეული დიდ, გრილ ნეტარებას მიანდო. მზეზე გაშავებული ბიჭი გამოჩნდა, ნაპირ-ნაპირ ფეხშიშველი მოდიოდა და სატრფიალო შაირებს მოიძღვროდა. შეიძლება, გუმანით უკვე ჩასწვდომოდა მათში ასახულ მოსალოდნელ ტკივილს. ხმა ყვინჩილასავით ჩახრინწოდა.

წლების, საუკუნეების განმავლობაში დანტეს სტროფებსაც ამგვარადვე მღეროდნენ მის სამშობლოში. როგორც სატრფიალო სიმღერა ამზადებს ბიჭებს სიყვარულისთვის, ამგვარადვე ამზადებდა ცეცხლოვანი ფლორენციული სტროფები იტალიელ ჭაბუკებს ეროვნული ბრძოლისა და გადარჩენისთვის. ნელ-ნელა ყველა ეზიარებოდა პოეტის სულს და მონობას თავისუფლებად გარდასახავდა.

ზურგს უკან სიცილის ხმა მომესმა. დანტეს მწვერვალებიდან თვალის დახამხამებაში ჩამოვგორდი, მივტრიალდი და სახემოცინარი ზორბასი დავინახე.

- რა არის ეს, ბატონო? - დამიყვირა. - რამდენი ხანია დაგეძებ და ვერ გპოულობ!

ასე მდუმარედ და უმოძრაოდ რომ დამინახა, შემომძახა:

- შუადღე გადავიდა, ქათამი იხარშება. სადაცაა, ჩაიხარშება უბედური! მიხვდი?

- მიხვდი, მაგრამ არ მშია.

- არ გშია! - თქვა ზორბასმა და ხელები ბარძაყებზე დაირტყა. - დილას აქეთია ლუკმა არ ჩავსვლია პირში. სხეულსაც აქვს სული, შეიბრალე. აჭამე, ბატონო, აჭამე. ის ჩვენი სახედარია, თუ არ აჭმევ, შუა გზაზე დაგივარდება.

წლებია, სხეულის ამ მოთხოვნებებს არაფრად ვაგდებდი. ჩემად ვჭამდი, თითქოს რამე სამარცხვინოს ჩავდიოდი. მაგრამ ახლა, ოღონდ ზორბასს არ ეყვირა, დავთანხმდი:

- კარგი, მოვდივარ.

სოფლისკენ გავემართეთ. კლდეებში გატარებულმა რამდენიმე საათმა სატრფიალო წამებივით გაიელვა. ფლორენციელის ცეცხლოვან სუნთქვას ჯერ კიდევ ვგრძნობდი.

- მურა ნახშირზე ფიქრობდი? - მკითხა დაეჭვებულმა ზორბასმა.

- აბა, სხვა რაზე? - მივუგე სიცილით. - ხვალ საქმეს ვინყებთ, რაღაცები უნდა დამეანგარიშებინა.

ზორბასმა ცერად გამომხედა, გაჩუმდა. ვხვდებოდი, რომ კვლავ მაკვირდებოდა, ჯერაც არ იცოდა, დაეჭვებინა თუ არა ჩემთვის...

- მერე, რა მიიღე? - მკითხა და ჩაფიქრებულმა განაგრძო გზა.

- დღეში ათი ტონა მურა ნახშირი უნდა ამოვიღოთ, რომ სამ თვეში ხარჯების დაფარვა შევძლოთ.

ზორბასმა ახლა უკვე აფორიაქებულმა შემომხედა. ცოტა ხანში კი მკითხა:

- ანგარიშის საწარმოებლად ზღვაზე წახვედი? მაპატიე, ბატონო, რომ გეკითხები, მაგრამ არ მესმის. მე როცა რიცხვებთან მაქვს საქმე, მინდა, თავი მიწაში ჩავრგო, დავბრმავდე და არაფერი დავინახო. გემოთ რომ ვიხედები და ზღვას, ხეს ან ქალს ვხედავ, თუნდაც დედაბერი იყოს, ანგარიში მერევა. რიცხვები, წყეულიმც იყვნენ, ფრთებს ისხამენ და მიფრინავენ!

- რატომ, ზორბას? - ვკითხე გამომწვევად. - შენი ბრალია. ძალა არ გყოფნის, რომ გონება მოიკრიბო.

- აბა, რა ვიცი, ბატონო? შეიძლება, მართალიც იყო. არის რაღაცები, რასაც სოლომონ ბრძენიც ვერ... ერთხელ რომელიღაც პატა-

რა სოფელში გამოვიარე. ერთი ოთხმოცდაათი წლის გადაღრძე-
ებული მოხუცი ნუშს რგავდა. “ჰეი, ბერიკაცო, - შევეკითხე, - ნუშის
ხეს რგავ?” წელში მოხრილი მოხუცი მომიბრუნდა და მიპასუხა: “მე,
შვილო, ისე ვიქცევი, თითქოს უკვდავი ვიყო!” - “მე კი ისე ვიქცევი,
თითქოს ნებისმიერ წამს შეიძლება მოვკვდე”, - ვუპასუხე. ჩვენგან
რომელი იყო მართალი, ბატონო?

- აბა, მიდი, მიპასუხე! - მითხრა და ქედმაღლურად შემომხედა.

ვდუმდი. თანაბრად ციცაბო და მამაცურია ორივე გზა, მწვერგ-
ალზე ორივე აგიყვანს. შეგიძლია ისე მოიქცე, თითქოს სიკვდილი
არ არსებობდეს, ან ისე მოიქცე, რომ გონებაში ყოველ წუთს სიკვ-
დილი გიტრიალებდეს - ეს ერთი და იგივეა; მაგრამ ზორბასმა რო-
ცა მკითხა, მაშინ არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

- აბა, რაო? - დამცინავად მკითხა. - ნუ იბღვირები, ბატონო, გა-
მოსავალს ვერ პოულობ. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მე საჭმელზე,
ქათამსა და დარიჩინმოყრილ ფლაგზე ვფიქრობ და მთელ ჩემს
ტვინს ფლავივით ორთქლი ასდის. ჯერ ვჭამოთ, მუცელი ამოვიყ-
ოროთ და მერე ვნახოთ. ყველაფერს თავისი დრო და რიგი აქვს.
ახლა ჩვენ წინ ფლავია, მაშ, ფლაგზე ვიფიქროთ. ხვალ ჩვენ წინ მუ-
რა ნახშირი იქნება და მაშინ მურა ნახშირზე ვიფიქროთ. ყველაფე-
რი გულიანად უნდა აკეთო, გასაგებია?

სოფელში შევდიოდით. ზღურბლზე ჩამომსხდარი ქალები ჭო-
რაობდნენ, ჯოხს დაყრდნობილი მოხუცები დუმდნენ. დახუნძლული
ბროწეულის ძირას დაჩამიჩებული დედაბერი შვილიშვილს თავს
უხილავდა.

ყავახანის წინ ერთი ხმელ-ხმელი მოხუცი იდგა, თვალი რაღაც-
ისთვის გაეშტერებინა, არწივისებრი ცხვირი და მკაცრი ბატონკაცუ-
რი იერი ჰქონდა. მაგრანტონისი იყო, სოფლის უხუცესი, რომელმაც
მურა ნახშირის საბადო მოგვაქირავა. გუშინ მადამ ჰორტენზიასთან
შემოიარა, ჩვენი წაყვანა უნდოდა თავისთან.

- დიდი სირცხვილია, სასტუმროში იცხოვროთ, თითქოს ადამია-
ნები არ იყვნენ სოფელში, რომ გიმასპინძლონ, - გვითხრა.

სერიოზული და სიტყვაძუნწი იყო, ნამდვილი ბატონი. უარი ვუთხარით. ეწყინა, მაგრამ არ ჩაგვაცვიდა.

- მე ჩემი ვალი მოვიხადე, - თქვა და წავიდა.

ცოტა ხანში ორი თავი ყველი, ერთი კალათა ბროწეული, ერთი ქოთანის ქიშიში, ლელვის ჩირი და მოწნული ბოცით არაყი გამოგვიგზავნა.

- ინებეთ, მოკითხვა კაპიტან მაგრანტონისისგან, - გვითხრა მისმა მსახურმა და ვირს ბარგი ჩამოხსნა. - მცირედიო, შემოგითვალათ, მაგრამ დიდი სიყვარულით მოძღვნილი!

ამის შემდეგ სოფლის უხუცესს ყოველთვის გულითადად ვესალმებოდით.

- დიდხანს იცოცხლეთ! - სალამს გულზე ხელის დადებით გვიბრუნებდა.

სხვას აღარაფერს ამბობდა.

- ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, - ჩაიჩურჩულა ზორბასმა, - მკაცრი აღამიანია.

- ამაყია, - ვუთხარი, - მე მომწონს.

როგორც იქნა, მივედი. ზორბასს ნესტოები სიხარულით უთროდა.

მადამ ჰორტენზიამ, ზღურბლიდან შეგვნიშნა თუ არა, მხიარულად შესძახა და შიგნით შევარდა.

ზორბასმა სუფრა ეზოში, ფოთლებგაცვენილი ვაზის ქვეშ, გაშალა. პური დიდ ნაჭრებად დაჭრა, ღვინო მოიტანა, თევზები და დანა-ჩანგალი დააწყო. მომიბრუნდა, ეშმაკურად შემომხედა, მაგიდისკენ მიმითითა: სამ კაცზე გაეშალა!

- მიხვდი, ბატონო? - ყურში ჩამჩურჩულა.

- მივხვდი, - ვუპასუხე, - მივხვდი, გარყვნილო ბებერო!

- ბებერი ქათამი უფრო გემრიელია, - თქვა და ტუჩები გაილოკა,
- რალაც გამეგება ამ საქმეში.

მარდად დააბიჯებდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ისროდა, ძველ მელოდიებს ღიღინებდა.

- აი, ამას ჰქვია ცხოვრება, ბატონო, ისე იცხოვრო, რომ ქათამი არ მოიკლო, - ამბობდა. - აი, ახლა ისე ვიქცევი, თითქოს ამწამს უნდა მოვკვდე და ვჩქარობ, ფეხი ქათმის შეჭმამდე არ გავფშვიკო.

- სუფრასთან მობრძანდით! - მიგვიპატიჟა ქალბატონმა ჰორტენზიამ.

თიხის ქოთანს მოიტანა და წინ დაგვიდგა.

სამი თეფშის დანახვაზე პირი დააღო. კმაყოფილებისგან წამოჭარხლდა, ზორბასს შეხედა და ლურჯი თვალელები აუციმციმდა.

- ვაი, სანყალი, - ჩამჩურჩულა ზორბასმა.

შემდეგ მადამს ძალიან ზრდილობიანად მიმართა:

- სანაპიროს მზეთუნახავო ფერია, გემი დაგვემტვრა და ზღვამ შენს სამეფოში გამოგვრიყა. უარს ნუ გვეტყვი, შემოგვიერთდი, ჩემო გორგონა!(გორგონა - ბერძნული ხალხური გადმოცემის თანახმად, ალექსანდრე დიდის და გორგონამ ჯადოსნური სითხე შესვა, ქალთევზად გადაიქცა და მას შემდეგ ზღვაში ცხოვრობს. იგი მებღვაურებს ეკითხება, ცოცხალია თუ არა ალექსანდრე. თუ მებღვაურები უპასუხებენ, "ალექსანდრე დიდი ცოცხალია, მეფობს და მთელ სამყაროს განაგებსო", მაშინ გორგონა მათ დამშვიდებულ ზღვაზე ცურვის ნებას დართავს. თუ მებღვაურები საპირისპიროს ეტყვიან, მაშინ ქალთევზა უზარმაზარ ტალღებს აშლის და გემს დალუპავს.)

კაბარეს ბებერმა მომღერალმა მკლავები ფართოდ გაშალა, თითქოს ჩვენი, ორივეს, ჩახუტება სწადიაო, კეკლუცად შემოტრიალდა, ოდნავ ვნებიანად შეეხო ჯერ ზორბასს, შემდეგ - მე და გახა-

რებული თავისი ოთახისკენ გაიქცა. ცოტა ხანში, გავიხედოთ და, პრანჭვა-გრეხით გამოვიდა, საუკეთესო სამოსელში გამონწყობილიყო: ძველი, გაცრეცილი მწვანე ხავერდის კაბა ეცვა, რომელიც ყვითელი განწყალებული თასმებით იყო განწყობილი. სტუმართმოყვრულად გადაღვლილი მკერდის ღართან ტილოს მომჩვარული ვარდი დაემაგრებინა. თუთიყუშის გალია მოიტანა და მოპირდაპირე მხარეს, ვაზზე, ჩამოკიდა.

ქალი შუაში ჩავისვით. ზორბასი მარჯვნივ ეჭდა, მე - მარცხნივ.

სამიგენი საჭმელს ვეცით. კარგა ხანს კრინტი არ დაგვიძრავს, ჩვენ-ჩვენს სახედრებს გამალებული ვკვებავდით, ღვინოს ვასმევდით. საჭმელი მალე სისხლად იქცა. შიგნეულობა დამშვიდდა, სამყარო მშვენდებოდა, ჩვენ გვერდით მჭდომი ქალიც სულ უფრო და უფრო ახალგაზრდავდებოდა, ნაოჭები უქრებოდა. ჩვენ პირდაპირ ჩამოკიდებული გალიიდან გულყვითელა მწვანე თუთიყუში შემოგვცქეროდა. იგი ხან პანაწინა მოჭადლოებულ კაცუნად გვეჩვენებოდა, ხანაც კაბარეს მომღერალი დედაბრის სულად, რომელიც ასევე ყვითელ-მწვანე სამოსში გამონწყობილიყო. ფოთლებგაცვნილმა ვაზმაც მოულოდნელად შავმარცვლიანი მტევნები გამოისხა.

ზორბასმა ხელები ფართოდ გაშალა, თითქოს სამყაროს ჩახუტება უნდაო.

- ვაჰ, ეს რა არის? - წამოიყვირა დაბნეულმა. - ერთი ჭიქა ღვინის დალევაზე ადამიანს გონება გერევა. ვაჰ, რა კარგი რამ არის ცხოვრება, ბატონო? ღმერთს გაფიცებ, ჩვენ თავს ზემოთ რომ კიდია, ყურძნის მტევნებია თუ ანგელოზები, ვერ გამირჩევია. ეგებ არც არაფერია, ეგებ არაფერი არსებობს: არც ქათამი, არც ფერია, არც კრეტა? თქვი, ბატონო, თქვი, თორემ გავგიჟდები!

ზორბასი ხასიათზე მოსულიყო. ქათამს თავი მიანება, ახლა მადამ ჰორტენზიას შეჰყურებდა ხარბად. თვალებით ჭამდა, ათვალაიერებდა, სავსე მკერდს მიშტერებოდა და თავის წარმოსახვაში ხელებს უფათურებდა. ჩვენს ქალბატონსაც თვალები აელვარებოდა. საკმაოდ შეზარხოშებულიყო. სკანდალების მოყვარულმა ღვინის დემონმა იგი ძველ ცხოვრებას დაუბრუნა. კვლავ სათუთი, გულდია გახდა.

წამოდგა, კარი ჩარაბა, რათა სოფლელებს - მისი თქმით, “ველურ ადამიანებს” - არ დაენახათ. სიგარეტს მოუკიდა და აპრეხილი ფრანგული ცხვირიდან კვამლი რგოლებად გამოუშვა.

ამგვარ წამებში ქალის ყველა კარი ღიაა, გუშაგები თვლემენ და ერთი სასიამოვნო სიტყვა ამ დროს ოქროსა და სიყვარულის ძალას იძენს.

მეც ჩიბუხი ავანთე და ტკბილად ვუთხარი:

- მაღამ ჰორტენზია, სარა ბერნარს მაგონებ... ახალგაზრდობაში. ამ ველურ ადგილას ამგვარი ელეგანტურობის, მშვენების, კეთილშობილებისა და სილამაზის ნახვას არ ველოდი. აქ, ამ კაციჭამიებში, რომელმა შექსპირმა გამოგგზავნა?

- შექსპირმა? - მკითხა და უფერული თვალები დააჭყიტა. - რომელმა შექსპირმა?

გონების თვალი გადაავლო თეატრებს, სადაც ყოფილა, კაფე შანტანში გაისეირნა, პარიზიდან ბეირუთამდე იმოგზაურა, იქიდან აღმოსავლეთის სანაპიროებს დაუყვა და უცებ გაახსენდა - ალექსანდრიაში დიდი მისაღები ოთახი უთვალავი ჭალითა და ხავერდის სკამებით, უამრავი მამაკაცი და ზურგმოშიშვლებული ქალი, სუნამოები, ყვავილები. უცებ ფარდა გაიხსნა და შიშის მომგვრელი შავკანიანი გამოჩნდა...

- რომელი შექსპირი? - იკითხა კვლავ გახარებულმა, როცა ბოლოს და ბოლოს გაიხსენა. - ის, ოტელოსაც რომ ეძახიან?

- სწორედ ის. რომელმა შექსპირმა გადმოგაგდო, ჩემო ქალბატონო, ამ ველურ სანაპიროზე?

ირგვლივ მიმოიხედა. კარები დაკეტილი იყო, თუთიყუშს ეძინა, კურდღლები სიყვარულში გართულიყვნენ, მარტონი ვიყავით. გული ძველი სკვირივით გადაგვეხსნა, რომელიც სუნელებით, გაყვითლებული სასიყვარულო ბარათებითა და ძველი სამოსითაა სავსე...

ბერძნულად დამტვრეულად ლაპარაკობდა, მარცვლებს ადგილებს უცვლიდა, უნდოდა ეთქვა “ადმირალი” და ამბობდა “ადმილარი”, “აჯანყების” ნაცვლად “აჟანკებას” გამოთქვამდა. მაგრამ დაილოცოს ღვინო, მისი ბრწყინვალედ გვესმოდა. ხან ძლივს ვიკავებდით სიცილს, ხან ტირილიც კი აგვივარდებოდა ხოლმე.

- აი, მე რომ მიყურებთ (დაახლოებით ამ ზღაპრებს გვიყვებოდა ბებერი სირენა თავის სურნელოვან ეზოში), ყველა მიცნობდა. კაბარეს უბრალო მომღერალი კი არა, სახელგანთქმული მსახიობი ვიყავი და აბრეშუმის მაქმანებიანი საცვლები მეცვა. მაგრამ სიყვარულმა...

ღრმად ამოიოხრა. ზორბასის ჩიბუხიდან ახალ სიგარეტს მოუკიდა.

- ერთი ადმირალი შემეყვარდა. კრეტა ისევ აჯანყებულიყო და ფლოტი სუდანში გაჩერდა. რამდენიმე დღის შემდეგ მეც ჩამოვედი. ოჰ, რა დიდებული დღეები იყო! ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და რუსეთის ოთხი ადმირალი უნდა გენახათ. ოქროსფერი სამოსი და გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცვათ, ქუდეებში ბუმბულები გაერჭოთ. დიდმა მამლებმა, 80-100 კილო რომ იყო თითოეული, ბოლო მომიღეს. რა წვერი ჰქონდათ! ხუჭუჭა, მთლად აბრეშუმის, შავი, ქერა, ჭადარა, წაბლისფერი, თან რა სურნელი ასდიოდათ! თითოეულს თავისი ჰქონდა და ასე ვასხვავებდი დამდამობით. ინგლისელს ოდეკოლონის სურნელი ასდიოდა, ფრანგს - იის, რუსს - მუშკის, ხოლო იტალიელი - ოჰ, იტალია! - სურნელოვან ზეთზე გიჟდებოდა. რა წვერი ჰქონდათ, ღმერთო, შენი ჭირიმე, რა წვერი!

ბევრჯერ ვისხედით ხუთივენი საფლაგმანო გემში და აჯანყებაზე ვლაპარაკობდით. ყველა გულგაღებელი იყო. მე აბრეშუმის პერანგი მეცვა, რომელიც ზედ მეკვრებოდა, რადგან შამპანურს მასხამდნენ. იცით, ბაფხული იდგა. ჰოდა, აჯანყებაზე ვსაუბრობდით, სერიოზული საუბარი იყო. წვერში ვწვდებოდი ხოლმე და ვევედრებოდი, საწყალი კრეტელები არ დაებომბათ. მათ ერთი კლდის თავზე, ხან იასთან ახლოს ჭოგრიტებით ვხედავდით. ჭიანჭველასავით პატარებს ლურჯი ჟილეტები და ყვითელი ჩექმები ეცვათ. “გაუმარჯოს! გაუმარჯოსო!” ყვიროდნენ და ღროშას აფრიალებდნენ...

ემოს გარშემო ღობედ შემორტყმული ლერწმები შეირხა. ადმი-
რალთან მებრძოლი შეშინებული შეჩერდა. ლერწმებს შორის პატა-
რა ეშმაკუნა თვალეზმა გაიელვეს. სოფლის ბავშვებს ეყნოსათ, რომ
ვქეიფობდით და გვითვალთვალეზდნენ.

კაბარეს მომღერალმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძ-
ლო. ბევრი ეჭამა და დაეღია, გაოფლიანებული უკანვე დაჯდა. ზო-
რბასი ქვას დასწვდა. ბავშვები ჟივილ-ხივილით მიმოიფანტნენ.

- განაგრძე, ძვირფასო ნერეისო, განაგრძე, ჩემო ოქრო! - უთხრა
ზორბასმა და მის სკამს მიუჩოჩდა.

- ჰოდა, ვეუბნებოდი იტალიელს, რომელსაც ყველაზე მეტს ვუბე-
დავდი. წვერზე ვექაჩებოდი და ვეუბნებოდი: "ჩემო კანავარო - ასე
ერქვა! - ჩემო კანავარო, არ ქნა ბახ! ბახ! არ ქნა ბახ! ბახ!"

მე, აგერ რომ მიყურებთ, იცით, რამდენჯერ ვიხსენი კრეტელები
სიკვდილისგან?! რამდენჯერ იყო ბარბაზნები მზად, მე კი ადმი-
რალის წვერი მეჭირა და არ ვანებებდი, გაეკეთებინა ბახ! ბახ! მაგრ-
ამ ვინ დამიფასა? როგორც თქვენ არ გინახავთ ჯილდო, ისე - მე...

ადამიანების უმადურობით გაბრაზებულმა მაღამ ჰორტენზიამ
ფაფუკი, დანაოჭებული მუშტი მაგიდას დაჰკრა. ზორბასმა მუხლებ-
ზე ხელი მოუთათუნა და, ვითომდა აღელვებულმა, წამოიყვირა:

- ჩემო ბუბულინა(ბუბულინა - საბერძნეთის ეროვნულ-გამათავი-
სუფლებელი ბრძოლის (1821-1828 წწ.) გმირი ქალი.), შემოგველე,
არ ქნა ბახ! ბახ!

- ხელები მომაშორე! ვინ გგონივარ, ბიჭო? - ჩაიხითხითა ქვრივ-
მა და ზორბასს ნაზი მზერა ესროლა.

- ღმერთი არსებობს, - ამბობდა გარყვნილი ბერიკაცი. - არ აღ-
ელდე, ჩემო ბუბულინა! ღმერთი არსებობს! ჩვენც აქ ვართ, ნუ ოხრ-
ავ.

ფრანგმა დედაბერმა ნაღვლიანი ლურჯი თვალეზი ბეცისკენ აღ-

აპყრო, მაგრამ გალიაში მძინარე მწვანე თუთიყუში დაინახა.

- ჩემო კანავარო, ჩემო კანავარო, - ჩაიჩურჩულა სიყვარულით.

თუთიყუშმა ხმა იცნო, თვალები გაახილა, გალიის გისოსებიდან თავი გამოყო და დახრჩობის პირას მისული ადამიანის ჩახრინწული ხმით აყვირდა:

- კანავარო! კანავარო!

- მე ვარ! - დაიძახა ზორბასმა და ხელი კვლავ ბებერი მუხლებისაკენ გაიწოდა, თითქოს დაპყრობას უპირებდა.

ბებერი მომღერალი სკამს გაეხახუნა და კვლავ დაალო დანაოჭებული პირი:

- მხარდამხარ, ვაჟკაცურად ვიბრძოლე, მაგრამ ავი დღეებიც დადგა. კრეტა გათავისუფლდა, ფლოტებმა იქაურობის დატოვების ბრძანება მიიღეს. “მე რა მეშველება, - ვყვიროდი და ოთხ წვერს ვექაჩებოდი. - სად მტოვებთ? დიდებულად ცხოვრებას მივეჩვიე, შამპანურსა და წინილას მივეჩვიე, მემღვაურებს მივეჩვიე, რომლებიც ჩემ გამო რიგში დგებოდნენ, ქვემეხებს მივეჩვიე, რომლებიც კაცებივით წამოწოლილები და შემართულები მომჩერებოდნენ, რომ მათით დავმტკბარიყავი! რა მეშველება, ოთხგზის დაქვრივებულს, ჩემო აღმირალებო?”

ისინი კი ხარხარებდნენ. ოჰ, ეს კაცები! ფუნტებით, ლირებით, რუბლებითა და ფრანკებით ამავეს. წინდაში, უბესა და ფეხსაცმელში ჩავიტენე. გამოსამშვიდობებელ საღამოს ვტიროდი, ვყვიროდი. აღმირალებმაც შემეცოდეს, აბაზანა შამპანურით ამივსეს, შიგ ჩამაყურყუმელავეს. მათ წინაშე ვიბანავე - იცი, ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან - მერე ჭიქები ჩაყვეს. ყველამ დალია შამპანური, გაიხარონ! დათვრნენ და შუქი ჩააქრეს...

დილით ყველაფრის სუნი ამდიოდა: იის, ოდეკოლონის, მუშკისა და სურნელოვანი ზეთის. ოთხივე დიდი ძალა - ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, იტალია - აქ, აქ, უბეში მყავდა და ასე ვათამაშებდი.

აი, ასე!

მადამ ჰორტენზიამ მოკლე, მსუქანი მკლავები გამოიწოდა, გემოთ-ქვემოთ ამოძრავებდა, თითქოს ჩვილს არწევდა.

- აი, ასე, ასე! გათენებისას ჩემ პატივსაცემად მარბაზნები დააქუხეს და თორმეტნიჩიანი თეთრი ნავით ხანიაში გადმომსვეს...

ცხვირსახოცს ხელი დასტაცა და უნუგეშოდ ატირდა.

- ჩემო ბუბულინა, - შესძახა აღელვებულმა ზორბასმა, - თვალები დახუჭე... თვალები დახუჭე, ჩემო ოქრო, მე ვარ კანავარო!

- ხელები მომაშორე-მეთქი, გეუბნები! - კვლავ ჩაიდუდღუნა ქვრივმა. - რას ჰგავხარ! სად არის ოქროს ეპოლეტები, სამკუთხა ქუდი, სურნელოვანი წვერი? ეჰ! ეჰ!

ზორბასს ხელი ხელზე ნაზად მოუჭირა და ისევ ატირდა.

აგრილდა. გავყუჩდით. ზღვამ ლერწმების მიღმა ახლა ჩუმად, ნაზად ამოიხვნეშა. მზე ჩავიდა. ორმა ჩასუქებულმა ყვავმა გადაგვიფრინა. მათმა ფრთებმა გაიშხუილა, თითქოს აბრეშუმის ქსოვილი - კაბარეს მომღერლის აბრეშუმის პერანგი - გაიხაო.

ბინდდებოდა. ჩამავალი მზის სხივებმა იქაურობა მოაოქროვა. მადამ ჰორტენზიას ქოჩორი ცეცხლისფრად აენტო და სალამოს ნიავზე ისე ირხეოდა, თითქოს ჩვენთვისაც უნდა წაეკიდებინა ცეცხლი. მოლელილი მკერდი, დაბერებული, მსუქანი მუხლები, ყელის ნაოჭები და გაცვეთილი ფეხსაცმელი ოქროთი გაივსო.

ჩვენს ბებერ სირენას გააჟრჟოლა. ცრემლისა და ღვინისაგან ჩაწითლებული თვალები მილულა და ხან მე შემომყურებდა, ხან ზორბასს, რომელსაც ვინრო, ვაცისებრი ტუჩები დაეღო და მკერდზე მიშტერებოდა. ორივეს კითხვით სავსე თვალებით შემოგვეყურებდა - გვარიანად ჩამობნელებულიყო - და ცდილობდა, გაერჩია, ჩვენგან რომელი იყო კანავარო.

- ჩემო ბუბულინა, - ჩასჩურჩულებდა აღგზნებული ზორბასი და

მუხლით ქალის მუხლს ეხახუნებოდა, - ღმერთი არ არსებობს, ემ-
მაკიც არ არსებობს, არ დამიღონდე. თავი ასწიე და გვიმღერე, რომ
სიკვდილი დაამარცხო!

ზორბასს ცეცხლი ნაჰკიდებოდა! მარჯვენა ხელით უღვაშს იგ-
რებდა, მარცხენას კი თავბრუდახვეული ქალისკენ იწვდიდა. აქოში-
ნებული ლაპარაკობდა, თვალეები მიეღულა. უდავოდ, ახლა ამ წა-
დღაბნილ, დაბალზამებულ დედაბერს კი არ ხედავდა, არამედ მთ-
ელ “მდედრობით სქესს”, როგორც ჩვეულებისამებრ ქალს ეძახდა.
პიროვნება ქრებოდა, სახე იკარგებოდა, ახალგაზრდა თუ გადაღრ-
ძეებული, ლამაზი თუ მახინჯი უმნიშვნელო სახესხვაობებს წარმოა-
დგენდა. ყოველ ქალში აფროდიტეს მკაცრი, წმინდა, იღუმალეებით
სავსე სახე აღიმართებოდა ხოლმე.

სწორედ ამ სახეს ხედავდა ზორბასი, მას ელაპარაკებოდა, ის
სწადდა. მაღამ ჰორტენზია კი მხოლოდ ერთი ეფემერული კეთი-
ლშობილური ნიღაბი იყო. ზორბასი მისჩერებოდა, რათა მარადი-
ულ ბაგეებს დასწაფებოდა.

- ფითქინა ყელი მოიღერე, ჩემო ოქრო, - კვლავ იწყებდა მავედ-
რებელი და აქოშინებული ხმით, - ფითქინა ყელი მოიღერე და მი-
მღერე!

ბებერმა მომღერალმა მრავალტანჯული, რეცხვისგან დახეთქი-
ლი ხელი ლოყაზე მიიღო და თვალეები მიღულა. სევდიანი ხმით სა-
ყვარელი, მრავალჯერ ნამღერი სიმღერა წამოიწყო. თან მიღულუ-
ლი თვალეებით (არჩევანი უკვე გაეკეთებინა) ზორბასს უყურებდა:

დავდიოდი, ქალს ვეტრფოდი, მიყვარდა და ვამაყობდი,

ახლა მიკვირს, რა მინდოდა, რატომ უნდა გადავყოფიდი?!..(ლე-
ქსები თარგმნა მარინა თექთუმანიძემ.)

ზორბასიც წამოვარდა, შიგნიდან სანთური გამოიტანა, ძირს მო-
ირთხა, შალითა მოაძრო, მუხლებზე დაიდო, ხელეები მოიმარჯვა.

- ვაჰ! ვაჰ! - დაიღმუვლა. - დანა აიღე და ყელი გამომჭერი, ჩემო

ბუბულინა!

ღამე ჩამოწვა. ცაზე ცისკრის ვარსკვლავი გამობრწყინდა. სანთურის მგრძნობიარე, მომხიბვლელი ხმა გაისმა. ქათმით, ბრინჯით, მოხალული ნუშითა და ღვინით გამოტენილი მადამ ჰორტენზია ზორბასისკენ გადაიხარა, ამოიოხრა, გაძვალტყავებულ ფერდზე მსუბუქად გაეხახუნა, დაამთქნარა და კვლავ ამოიხვნეშა.

ზორბასმა თვალი ჩამიკრა და გადმომიჩურჩულა:

- ქალი მზად არის, ბატონო, მარტო დაგვტოვე!

IV

კიდევ ერთი დღე გათენდა. თვალეები გაგახილვე და ზორბასი დავინახე, რომელიც საწოლის კიდეზე ფეხმორთხმით მჭდარი ღრმა ფიქრებში ჩაფლულიყო. პატარა, მრგვალი თვალეები სარკმლისთვის მიეშტერებინა. ცა ალიონის შუქზე ფერმკრთალდებოდა. ზორბასს თვალეები შეშუპებოდა, შიშველი, გაძვალტყავებული, გრძელი კისერი დასჭიმვოდა და რომელიდაც ფრინველს დამსგავსებოდა.

გუშინ საღამოს ქეიფიდან ადრე წამოვედი და იგი ბებერ გორგონას შევატოვე.

- მივდივარ, - ვუთხარი, - კარგი დრო გაატარე, ზორბას!

- აბა, კარგად, ბატონო, - მიპასუხა. - დაგვტოვე, რომ საქმეს მივხედოთ.

როგორც ჩანს, მართლაც მიხედეს საქმეს, რადგან ძილში ფაჩიფუჩი ჩამესმოდა. წამით თითქოს მემობელი ოთახი შეზანზარდა. შემდეგ კვლავ ძილმა წამიღო. ნაშუალამევს ვიგრძენი, როგორ შემოვიდა ფეხშიშველი ზორბასი და, რომ არ გავეღვიძებინე, ლოგინში ძალიან ფრთხილად ჩანვა.

ახლაც, გამთენიისას, ვხედავდი, ჯერ კიდევ დაბინდული თვალეებით შორს, უკვე განათებულ ცას როგორ გაჰყურებდა. ვგრძნობდი, რომ სიხარულში ჩაძირულს, ძილისთვის თავი ჯერაც ვერ დაეღწია. ნახევრად ბნელ, თაფლივით ბლანტ მდინარეს ჩუმად, ვნებიანად ნებდებოდა. სამყარო, მიწა, წყალი, ფიქრები, ადამიანები შორეული ზღვისკენ მიედინებოდნენ, ზორბასიც მათ მიჰყვებოდა - დაუბრკოლებლად, დაუეჭვებლად, ბედნიერი.

სოფელი იღვიძებდა. მამლების, ღორების, სახედრების, ადამიანების ხმები ერთმანეთში აირია. ლოგინიდან წამოხტომა და დაყვრება მინდოდა: “ეჰეი, ზორბას, დღეს საქმე გველოდება!”, მაგრამ მეც ასე, მდუმარედ და გაუნძრევლად, დიდ ნეტარებას ვგრძნობდი.

ალიონის ვარდისფერი შუქით ვტკბებოდი. ამგვარ ჯადოსნურ წუთებში მთელი ცხოვრება ბუმბულივით მსუბუქი გეჩვენება, მიწა კი - რბილი, ღრუბელივით ფაფუკი, რომელიც ქარის ყოველ დაბერვაზე სახეს იცვლის.

ვუყურებდი, როგორ აბოლებდა ზორბასი. შემშურდა, ხელი გავიწოდე, ჩიბუხს დაგწვდი და აღელვებულმა დაგხედე. ის სწორედ იმ ნაცრისფერ-მწვანე თვალებიანმა მეგობარმა მაჩუქა, არისტოკრატული, გრძელთითებიანი ხელები რომ ჰქონდა. ეს წლების წინ იყო, უცხოობაში, შუადღისას. სწავლა დაესრულებინა და იმ საღამოს საბერძნეთში ბრუნდებოდა. “სიგარეტს შეეშვი, - მითხრა, - უკიდვებ, ნახევარს ეწევი და მეორე ნახევარს ქუჩის ქალივით ისვრი. სამარცხვინო საქმეა. ჩიბუხზე იქორწინე, ის ერთგული მეუღლეა. შინ დაბრუნებულს ადგილზე დაგხვდება, - ჰაერში რგოლებად ამაველ კვამლს უყურებდა. - ჩემგან სახსოვრად გქონდეს!”

შუადღე იყო, ბერლინის მუზეუმიდან გამოვდიოდით. თავის საყვარელ რემბრანდტის “მეომართან” გამომშვიდობება უნდოდა, რომელსაც ბრინჯაოს მაღალი ჩაჩქანი ეხურა, ფერმკრთალი, ჩამომდნარი ლოყები ჰქონდა და შეუპოვარი, სევდიანი თვალებით იყურებოდა. “თუ ოდესმე სიცოცხლეში გაბედულ საქმეს ჩავიდენ, - ჩაიჩურჩულა ამ თავგანწირულ მეომარს მიჩერებულმა, - ამის ვალში ვიქნები...”

გარეთ გამოვედით, მუზეუმის ეზოში სვეტს მივეყუდეთ. ჩვენ პირდაპირ შიშველი ამორძალის სპილენძის გაშავებული ქანდაკება იდგა, რომელიც ენით აუწერელი მოხდენილობით მტკიცედ იჭდა უბელო ცხენზე. პატარა ნაცრისფერი ჩიტი, ბოლოქანქარა, წუთით ამორძალის თავზე ჩამოჯდა, ბოლო ააქანქარა, ორ-სამჯერ დამცინავად დაუსტვინა და გაფრინდა.

გამაჟრჟოლა. მეგობარს შევხედე: “ჩიტის ხმა გაიგონე? - ვკითხე. - თითქოს რაღაც გვითხრა და წავიდა”. “- ღვთიური ვალია, ჭიკჭიკით გაგვართოს, გაუშვი, რას ერჩი, რა გინდა?!” (ფრაგმენტი ბერძნული ხალხური ლექსიდან “არეტეს დატირება”.) - მომიგო მეგობარმა და გამიღიმა.

დღეს, დილაუთენია, ამ კრეტულ სანაპიროზე ის შორეული წამი რამ მომაგონა?! გონება მომეწამლა!

ჩიბუხი თამბაქოთი ნელ-ნელა გავტენე და მოვუკიდე.

ამ სამყაროში ყველაფერს რაღაც ფარული აზრი აქვს, გავიფიქრე. ყველაფერს: ადამიანებს, ცხოველებს, ხეებს, ვარსკვლავებს. ეს ყველაფერი იეროგლიფებია და ვაი მას, ვინც მათ ამოკითხვას მოინდომებს... იმნამს, როცა უყურებ, მნიშვნელობას ვერ იგებ; გგონია, რომ ნამდვილად ადამიანები, ცხოველები, ხეები, ვარსკვლავები არიან. აზრს მხოლოდ წლების შემდეგ, ძალიან გვიან ჩასწვდები.

ბრინჯაოსჩაჩქნიან მეომარს, იმ მოღუშულ შუადღისას სვეტს მიყრდნობილ ჩემს მეგობარს, ბოლოქანქარას ჭიკჭიკსა და ხალხურ ლექსს - “არეტეს დატირებას”, ახლა ასე მგონია, რაღაც ფარული აზრი ჰქონდა. ოღონდ რა?

თვალს ვადევნებდი რგოლებად ასულ კვამლს, რომელიც ბინდში იშლებოდა, წამით ლურჯად ციმციმებდა და, არეულ-დარეული, ნელი როკვით მიჰყვებოდა ნიაგს. ჩემი სული მასში ჩაწნულიყო, კიაფობდა, იკარგებოდა, კვლავ კვამლის ახალ რგოლთან ერთად ადიოდა და ისევ უჩინარდებოდა. დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ სხეულით ვცხოვრობდი, გონების ჩაურევლად, სამყაროს დასაბამით, განვითარებითა და გაქრობით. კვლავ ბუდაში ვიძირებოდი, ოღონდ ახლა მაცდური სიტყვებისა და ურცხვი გონებრივი აკრობატიკის გარეშე. ეს კვამლი მისი სწავლების არსია, ეს ეფემერული, შეცვლილი ფორმები სიცოცხლეა, რომელიც, მშვიდი, უხმაურო და ბედნიერი, ლურჯ ნირვანაში სრულდება... არ მიფიქრია, არ მიცდია, რამე მეპოვა, არავითარი ეჭვი არ მექონდა, გულდაჭერებული ვცხოვრობდი.

ნელა ამოვიოხრე. თითქოს ამ ოხვრამ ახლანდელ წამთან დამაბრუნა. გავიხედე და ირგვლივ ერთი უბადრუკი ფიცრული ოთახი და ჩემ გვერდით დაკიდებული პატარა სარკე დავინახე. ზედ პირველი სხივი ეცემოდა და ათინათებს ისროდა. პირდაპირ ლოგინზე ზორბასი ბურგმექცევით წამომჭდარიყო და აბოლებდა.

უცებ გუშინდელი დღე მომაგონდა მთელი თავისი ტრაგიკომიკური თავგადასავლებით - იის, ოდეკოლონის, მუშკისა და სურნელოვანი ზეთის აქროლებული სურნელით. თუთიყუში, თუ ადამიანის სული, რომელიც თუთიყუშად გარდაიქმნა, ფრთებს რკინის გალიას უფართხუნებდა და ყვიროდა; ძველ ბარჯას მოგაგონებდათ, რომელიც ფლოტს მოსწყდა და საზღვაო ბრძოლებს იხსენებდა...

ზორბასმა ჩემი ოხვრა გაიგონა, თავი გააქნია და შემობრუნდა:

- ცუდად მოვიქეცი, - ჩაიჩურჩულა, - ცუდად მოვიქეცი, ბატონო. შენ გაიცინე, მეც გავიცინე, უბედურმა კი დაგვინახა! ასე რომ წამოხვედი და არ ეცი, თითქოს ათასი წლის გადალრძეებული ბებრუხანა ყოფილიყო, დიდი სირცხვილია! ეს არ არის თავაზიანობა, ბატონო, ადამიანები ასე არ იქცევიან, არა, ნუ მიწყენ! ქალია, იცოდე, უძლური არსება, წუნუნა. კიდევ კარგი, მე მაინც დავრჩი, რომ მენუგეშებინა.

- რას მეუბნები, ზორბას, - ვუთხარი სიცილით. - მართლა ფიქრობ, რომ ქალები სხვა არაფერზე ფიქრობენ?

- არა, სხვა საფიქრალი არ აქვთ, ბატონო. დაუჯერე კაცს, რომელსაც ბევრი უნახავს, განუცდია, ჩაუდენია კიდევ და, ასე ვთქვათ, ცოდნა შეუძენია. ქალი სხვა რამეზე არ ფიქრობს. ავადმყოფი რამაა-მეთქი, გეუბნები, წუნუნა. თუ არ ეტყვი, რომ გიყვარს და გსურს იგი, ტირის. შეიძლება, სულაც არ უნდოდე, ემიზლებოდე კიდევ, შეიძლება, "არა" გითხრას, ეს სხვა რამეა, მაგრამ მუდამ უნდა, რომ მისი შემხედვარე სურვილით აღიძრან. ეს უნდა საცოდავს. ჰოდა, ხათრი არ უნდა გაუტეხო!

ბებო მყავდა, ოთხმოცი წლისა იქნებოდა. ამ დედაბრის ისტორია ნამდვილი ზღაპარია. ამაზე სხვა დროს... მაშინ ოთხმოც წლამდე იქნებოდა. ჩვენი სახლის პირდაპირ ერთი ლამაზი, წყაროს წყალივით ცქრიალა გოგონა ცხოვრობდა, კრუსტალოს ეძახდნენ. ყოველ შაბათ საღამოს ჩვენ, სოფლის ღლაპები, ვსვამდით, ხასიათზე მოვდიოდით, ყურზე რეჰანის ღერს გავიდებდით ხოლმე, ჩემი ბიძაშვილი ტამბურასს იღებდა და გოგონას სერენადებს ვუმღეროდით. ვნება და სევდა გვახრჩობდა, კამეჩებივით ვბლაოდით. ყველას გვ-

სურდა იგი. ყოველ შაბათ საღამოს ნახირივით მივადგებოდით ხოლმე, რომ ამოერჩია.

არ ვიცი, დაიჭერებ თუ არა. ქალი უზარმაზარი საიდუმლოა. ერთი ჭრილობა აქვს, რომელიც არასოდეს უხორცდება. ყველა ჭრილობა იხურება, ის - არასოდეს. მერე რა, რომ ოთხმოცი წლის ქალია? ჭრილობა ღიაა.

ჰოდა, ყოველ შაბათს დედაბერი ლეიბს ფანჯარასთან მოათრევდა, სარკეს მალულად ამოიღებდა, შერჩენილ თმას ივარცხნიდა და შუაზე იყოფდა. ირგვლივ ქურდულად იყურებოდა, რომ არავის დაგვენახა. როცა ახლომახლო რომელიმე ჩვენგანს შენიშნავდა, ყველაფერს მოჩვენებითი სიმშვიდით აალაგებდა და თავს იმძინარებდა. მაგრამ რა დააძინებდა! ოთხმოცი წლის ქალი სერენადას ელოდა! ხვდები, რამხელა საიდუმლოა ქალი, ბატონო? ახლა მეტირება, მაგრამ მაშინ სულელი ვიყავი, ვერ ვხვდებოდი და ვიცინოდი. ერთ დღეს მასზე გაგბრაზდი, რადგან სულ მეჩხუბებოდა, რომ გოგონებს დავდევი. მეც ერთი კარგად წავკბინე: “რას იპრიალებ შაბათობით კაკლის ფოთლით კბილებს ან თმას რატომ იყოფ? გგონია, შენთვის ვმღერით სერენადებს? ჩვენ კრუსტალო გვინდა, შენ კი უკვე საკმევლის სუნი აგდის!”

დაიჭერებ, ბატონო? მაშინ მივხვდი პირველად, რას ნიშნავს ქალი. ჩემმა ბებომ ორი მდულარე ცრემლი გადმოაგდო. მოიბუზა, ქვედა ყბა აუკანკალდა. “კრუსტალო, - დავიყვირე და მივუახლოვდი, რომ უკეთ გაეგონა, - კრუსტალო!”. ველური რამ არის ახალგაზრდობა, არაადამიანური, რადგან ბევრ რამეს ვერ ხვდება. ბებიაჩემმა გაძვალტყავებული ხელები ზეცისკენ აღაპყრო: “გულით დამინწყევლიხარ!” - დამიყვირა. იმ დღიდან უბედური ბებიაჩემი საიმქვეყნო დაღმართს დაუყვა. ჩამოჭვნა და ორ თვეში ლოგინად ჩავარდა. სულთმობრძავმა თვალი მკიდა, გველივით დაისისინა და გაძვალტყავებული ხელი გამოიშვირა, რომ მწვდომოდა: “შენ მომინელე, ალექსის! შენ მომინელე. დამინწყევლიხარ. რაც მე დამემართა, შენც ის დაგემართოს!”

ზორბასმა გაიცინა.

- ბებოს წყევლამ მიწია! - თქვა და თან უღვაშზე ხელს ისვამდა. - მგონი, სამოცდახუთს უკვე გადავაბიჯე, მაგრამ ასი წლისაც რომ გავხდე, ჭკუას მაინც ვერ ვისწავლი. სარკე ისევ მიდევს ჭიბეში და მდედრობით სქექსს არ ვასვენებ.

კვლავ გაიცინა, სიგარეთი სარკმლიდან მოისროლა და გაიზმო-რა.

- ბევრი ნაკლი მაქვს, - თქვა, - მაგრამ ეს მომინელებს!

ლოგინიდან წამოვარდა:

- გვეყოფა, ბევრი ვილაპარაკეთ. საქმე გვაქვს!

ნაჩქარევად ჩაიცივა, სქელძირიანი ფეხსაცმელი მოირგო და გარეთ, ეზოში, გავარდა.

თავი ჩაგვინდრე. ზორბასის სიტყვებზე ვფიქრობდი და მოულოდნელად გონებაში ერთი შორეული დათოვლილი ქალაქი ამომიტ-ივტივდა. როდენის გამოფენაზე ვიყავი და უზარმაზარ ბრინჯაოს ხელს, “ღვთის ხელს”, ვუყურებდი. მტევანი ნახევრად ჰქონდა მომუჭუ-ლი. ნებზე მამაკაცი და ქალი გონწართმეული იბრძოდნენ და ერთმანეთს ერწყმოდნენ.

ვიღაც გოგონა მომიახლოვდა და გვერდით დამიდგა. მანაც აღელვებულმა შეხედა მღელვარე, მარადიულ გადაჭდობას. თხელი, ტანკენარი იყო, ხშირი ქერა თმა, ძლიერი ნიკაპი, თხელი, ნატიფი ტუჩები ჰქონდა. იყო მასში რაღაც შეუპოვარი და მამაკაცური. უსაგნო საუბრის წამოწყება მეჭავრება, მაგრამ არ ვიცი, რამ მიბიძგა, მივუბრუნდი და გამოველაპარაკე.

- რაზე ფიქრობთ? - ვკითხე.

- თავის დაღწევა ვინმეს თუ შეუძლია, - მწარედ ჩაიჩურჩულა.

- სად წავა? ღვთის ხელი ყველგანაა. ხსნა არსით არის. რამეზე დარდობთ?

- არა, შეიძლება, სიყვარული ყველაზე დიდი სიხარული იყოს დედამიწაზე. შეიძლება. მაგრამ ახლა, ამ ბრინჯაოს ხელის შემყურე, თავის დაღწევას ვისურვებდი.

- თავისუფლება გირჩევნიათ?

- დიახ.

- მაგრამ მხოლოდ მაშინ თუ ვართ თავისუფლები, როცა ბრინჯაოს ხელს ვემორჩილებით? თუ სიტყვა “ღმერთს” არა აქვს ის უბრალო მნიშვნელობა, რომელსაც ხალხი ანიჭებს?

შეშფოთებულმა შემომხედა. თვალები ნაცრისფერი ჰქონდა, ტუჩები - მშრალი და მოკუმული.

- არ მესმის, - თქვა და შეშინებული გამშორდა.

გოგონა გაქრა. მას შემდეგ აღარ გამხსენებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემში ცხოვრობდა და ახლა ამ უდაბურ სანაპიროზე უმბეური, ფერმკრთალი, დარდიანი გამოვიდა ჩემი არსებიდან!

ცუდად მოვიქეცი, მართალი იყო ზორბასი. ეს ბრინჯაოს ხელი კარგი საბაბი იყო, კარგად დაიწყო ნაცნობობა, კეთილგანწყობით ნათქვამი პირველი სიტყვების შემდეგ ნელ-ნელა შეგვეძლო, ისე, რომ ვერც ერთს ვერ გვეგრძნო და რომც გვეგრძნო, არ შეგვრცხვენოდა, ერთმანეთს ჩავხუტებოდით და ღვთის ნებზე ერთმანეთს მდუმარედ შევრწყმოდით. მაგრამ მოულოდნელად მიწიდან გეცაში ავხტი, ქალიც შეშინდა და წავიდა.

მადამ ჰორტენზიას ეზოში ბებერმა მამალმა იყივლა. ფანჯრიდან უკვე ქათქათა დღე შემოდის. გეზე წამოვხტი.

მუშები მოსულიყვნენ და თოხები, ძალაყინები და წერაქვები მოეტანათ. გავიგონე, როგორ გასცემდა ბრძანებებს ზორბასი. საქმეში ჩართულიყო. ვხედავდი ადამიანს, რომელმაც ხელმძღვანელობაც იცოდა და პასუხისმგებლობასაც არ გაუბოდა.

სარკმლიდან თავი გავყავი და იგი - ძალიან მაღალი და აყლა-

ყუდა - ოცდაათიოდე მზემოკიდებულ, წელწვრილ ვაჟკაცს შორის დავინახე. ხელს მბრძანებლურად იქნევდა, ცოტას და მიუკიბ-მოუკიბავად ლაპარაკობდა. უცებ ქეჩოში სწვდა ერთ ახალგაზრდას, რომელიც რაღაცას დაბალ ხმაზე ლულლულებდა.

- რამის თქმა გინდა? - დაუყვირა. - ხმამალლა მითხარი! ჩურჩული არ მომწონს. მუშაობას ხალისი სჭირდება, თუ არ გაქვს, ყავახანაში წადი!

სწორედ იმწამს მაღამ ჰორტენზია გამოჩნდა. თმაგაჩეჩილი, ლოყებშეშუპებული და შეუღებავი იყო. ჭუჭყიანი, განიერი ღამის პერანგი ეცვა და ძველ, დაგლეჯილ ჩუსტებს მოაფლატუნებდა. კაბარეს ბებერი მომღერალი ხმაჩახლეჩილი სახედარივით ახველებდა. გაჩერდა, ზორბასს ამაყად შეხედა. თვალევი ამღვრეოდა. ქალმა მის გასაგონად კვლავ ჩაახველა და ზორბასს პრანჭვა-გრეხითა და გავის ქნევით ჩაუარა. ცოტაც და მსუქანი მკლავით შეეხებოდა კიდევ. მაგრამ ზორბასი ქალის შესახედად არც კი მიტრიალებულა. ერთ-ერთ მუშას ქერის ფუნთუშა და ერთი მუჭა ზეთისხილი გამოართვა.

- წინ, ყმანვილებო, - დაუყვირა, - პირჯვარი გადაინერეთ. ღმერთი შეგეწიოთ!

მუშები დაიძრნენ და ფართო ნაბიჯებით პირდაპირ მთისკენ გაემართნენ.

მურა ნახშირის საქმეებზე არ მოგყვები. ამას მოთმინება სჭირდება, რომელიც არ გამაჩნია. ლერწმებით, წნელებითა და ბენზინის ბიდონებით ზღვასთან ახლოს ბარაკი გავმართეთ. ზორბასი დილაუთენია იღვიძებდა, წერაქვს იღებდა, მუშებს მიუძლოდა, გალერეას ჭრიდა და მურა ნახშირის ძარღვის პოვნისას გახარებული ცეკვავდა. თუმცა რამდენიმე დღეში ფენა წყდებოდა, ზორბასი გულაღმა წვებოდა და ზეცას წყევლა-კრულვას უგზავნიდა.

საქმეს მთელი სულითა და გულით მოეკიდა. მე აღარაფერს მეკითხებოდა. პირველივე დღეებიდან მთელმა ნერვიულობამ და პასუხისმგებლობამ ჩემგან მის ხელში გადაინაცვლა. გადანყვეტილ-

ბის მიღებაცა და აღსრულებაც საკუთარ თავზე აიღო. მე მხოლოდ ფინანსური მხარე ვითავე. სულაც არ ვწუხდი, რადგან კარგად ვგრძნობდი, ეს თვეები ყველაზე ბედნიერი იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში. ანგარიშის დროს ვხედავდი, რომ ბედნიერებას ძალიან იაფად ვყიდულობდი.

პაპაჩემი, დედაჩემის მხრიდან, კრეტის ერთ სოფელში ცხოვრობდა, ყოველ საღამოს ფარანს აიღებდა და სოფელს დაივლიდა ხოლმე, რომ ენახა, ვინმე უცხოელი ხომ არ ჩამოსულიყო. შემდეგ შინ მიჰყავდა, უხვად აჭმევდა და ასმევდა. ტახტზე დაჯდებოდა, ყალიონს გააჩაღებდა, როცა გადახდის დრო დადგებოდა, სტუმარს მიუბრუნდებოდა და უბრძანებდა: “მოჰყევი!” - “რა მოგიყვე, ძია მუსტოგიორგი?” - “რა ხარ, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, რომელი ქალაქები და სოფლები გინახავს, ყველაფერი, ყველაფერი მიამბე. მიდი, მომიყევი!”

სტუმარიც ერთმანეთში არეულ ტყუილ-მართალს უყვებოდა. პაპაჩემი ყალიონს აბოლებდა, უსმენდა და ტახტზე მშვიდად მჯდომი მასთან ერთად მოგზაურობდა. სტუმარი თუ მოეწონებოდა, ეუბნებოდა: “ხვალაც დარჩი, არ წახვიდე. მოსაყოლი კიდეც გექნება”.

პაპაჩემს თავისი სოფლიდან ფეხი არასოდეს გაუდგამს, არც მეღალო კასტროში(იგულისხმება ქალაქი ირაკლიონი.) წასულა, არც რეთიმნოში. “რისთვის წავიდე? - ამბობდა. - აქ გამოივლიან რეთიმნოელები და კასტროელები, რეთიმნო და კასტრო თავად მაკითხავენ. ჩემი წასვლა რა საჭიროა?”

ახლა მეც აქ, კრეტის სანაპიროზე, პაპაჩემის გზას ვაგრძელებ. მეც, თითქოს ფარნით მეძებნა, სტუმარი ვიპოვე. არ გავუშვებ. ერთ ვახშამზე მეტი მიჭდება, მაგრამ ამად მიღირს. ყოველ საღამოს ველოდები, სამუშაოს როდის დაამთავრებს, წინ ვისვამ, ვჭამთ და გადახდის დრო რომ მოდის, ვეუბნები: “მიამბე!”. ჩიბუხს ვაბოლებ და ვუსმენ. ამ სტუმარს მთელი დედამინა მოუვლია, ადამიანის სულშიც ბევრი უხეტიალია, მისი მოსმენით ვერ ვძლები. “მიამბე, ზორბას, მიამბე!”

ჩემ წინაშე პატარა ადგილზე, ჩემსა და ზორბასს შორის, მთელი

მაკედონია იშლება მთებით, ტყეებით, წყლებით, აჭანყებულებით, მშრომელი ქალებითა და მტკიცე, უტეხი მამაკაცებით... ხან მთაწმინდის ოცდაერთ მონასტერზე, გემთსაშენსა და სექლტრაკა მუქთახორებზე მიაბობს. წმინდა მთის ისტორიებს რომ ჰყვება, ზორბასი თავს იქნევს და ხარხარებს: “ღმერთმა დაგიფაროს, ბატონო, ჯორის უკანალისა და ბერის წინასაგან!”

ზორბასი ყოველ საღამოს საბერძნეთში, ბულგარეთში, კონსტანტინოპოლში დამასეირნებს. მეც თვალებს ვხუჭავ და ვხედავ. აწეწილი, მრავალტანჯული ბალკანეთი აქვს მოვლილი. ქორივით პატარა თვალს ყველაფერს ელვისებურად ავლებს. თვალეზგაფართოებული უყურებს საგნებს. რასაც ჩვენ შევეჩვიეთ და გულგრილად ჩავევლით, ზორბასის წინაშე უზარმაზარი გამოცანებივით წამოიძვრება. ხედავს ქალს, რომელიც გვერდით გაუვლის და შემკრთალი ჩერდება: “ეს რა საიდუმლოა? - კითხულობს. - რას ნიშნავს ქალი? ასე რატომ გვიბნევს გონებას? ეს რა არის, არ მეტყვი?!”. ამგვარადვე აჭყეტს თვალებს, გაცოცხლებული უყურებს ადამიანს, აყვავებულ ხეს, ჭიქა ანკარა წყალს და კითხულობს. ზორბასი ყველაფერს ყოველდღე პირველად ხედავს.

გუშინ ბარაკის გარეთ სკამზე ჩამოვსხედით. ერთი ჭიქა ღვინო დალია, მომიბრუნდა და შეშფოთებულმა შემომხედა:

- ეს რა წითელი წყალია, ბატონო, ხომ ვერ მეტყვი? რომელიღაც ჯირკი ყლორტებს ამოიყრის, მყავე ნაყოფს გამოისხამს. დრო გადის. მზე მას დაამწიფებს, თაფლივით დაატკბობს და მაშინ მას ყურძენს ვუნოდებთ. ვსრესთ, წვენს ვაცლით, კასრებში ვასხამთ. იგი თავისით დადუღდება, მერე წმინდა გიორგი მეთისტის(წმ. გიორგი მეთისტის დღესასწაული - კრეტაზე წმინდა გიორგის, როგორც მინათმოქმედებისა და მევენახეობის მფარველი წმინდანის, დღესასწაულზე ახალი ღვინის კასრებს ხსნიან. ამიტომაც ხალხში მას “მეთისტის”, ანუ “მთვრალს” უწოდებენ.) სახელზე ოქტომბერში ვხსნით და ღვინო გამოდის! ეს რა სასწაულია? სვამ ამ წითელ წვენს და სულის მხნეობა გემატება. არამზადა ადამიანი ცდუნებას ველარ უძლებს და ღმერთს იწვევს ორთაბრძოლაში. რა არის ეს, ბატონო, ვერ მეტყვი?

ხმას არ ვიღებდი. ზორბასის შემყურე ვგრძნობდი, რომ სამყაროს ქალწულობა უბრუნდებოდა. ყოველდღიური და გახუნებული, კვლავ იმ ბრწყინვალეობას იძენდა, რომელიც პირველ დღეებში, ღვთის ხელიდან ახალგამოსულს, ჰქონდა. წყალი, ქალი, ვარსკვლავი, პური პირველქმნილ, საიდუმლო საწყისს უბრუნდებოდა. ღვთიური ბორბალი ჰაერში ბრუნვას თავიდან იწყებდა.

ამიტომაც ყოველ სადამოს სანაპიროს კენჭებზე წამოწოლილი ზორბასს მოუთმენლად ველოდი. მიწის წიაღიდან ტალახიანი, ნახშირით მოთხვრილი, უზარმაზარი თავგვივით მძიმედ გამოდიოდა. შორიდანვე ვხვდებოდი, როგორ ჩაიარა დღემ. მისი სხეულის გამართულობით, მისი ჩაქინდრული თუ აწეული თავის მიხედვით. იმის მიხედვით, როგორ იქნევდა გრძელ ხელებს.

თავიდან მეც თან მივყვებოდი, მუშებს თვალყურს ვადევნებდი. ცხოვრების ახალ გზაზე დადგომას და პრაქტიკული სამუშაოებით დაინტერესებას ვცდილობდი. მინდოდა, გამეცნო და შემეყვარებინა ადამიანური მასალა, რომელიც ხელში ჩამივარდა, დიდი ხნის ნანატრი სიხარული მეგემა და საქმე სიტყვებთან კი არა, ცოცხალ ადამიანებთან დამეჭირა. რომანტიკულ გეგმებს ვადგენდი, მურა ნახშირის საქმე კარგად თუ წავიდოდა, ერთგვარი ტიპის კომუნა დაგვეარსებინა, სადაც ყველანი ვიმუშავებდით, ყველაფერი საერთო იქნებოდა, ერთნაირ საჭმელს შევჭამდით, ძმებავით ერთნაირად ჩავიცვამდით. გონებაში ახალ საზოგადოებას ვქმნიდი, ადამიანთა ახალი თანაცხოვრების დვრიტას...

მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამებედა, ჩემი გეგმები ზორბასისთვის გამემხილა. ვხედავდი, როგორი გაოგნებული მიყურებდა, როცა მუშათა შორის ვტრიალებდი, ვეკითხებოდი, საქმეში ვერეოდი და მუდამ მუშის მხარე მეჭირა. ზორბასმა ტუჩები მომუნა.

- ბატონო, - მითხრა მერე, - გარეთ ხომ არ გაისეირნებდი? მგეა, ღვთის თვალი, წადი!

პირველ ხანებში ვკიუტობდი, არ მივდიოდი. ვეკითხებოდი, ვსაუბრობდი, თითოეული მუშის ამბავი ვიცოდი: ბავშვებზე, რომლებიც უნდა გამოეკვებათ, სატრფოებზე, რომლებზეც უნდა ექორწინათ,

მოხუც, დაუძლურებულ მშობლებზე. საზრუნავზე, ავადმყოფობებზე, ტანჯვა-წამებაზე.

- მათ ამბებში ნუ იქექები, ბატონო, - მეუბნებოდა წარბშეკრული ზორბასი, - გულზე მოგხვდება. ისინი იმაზე მეტად შეგიყვარდება, ვიდრე საქმეს სჭირდება და რაც უნდა დააშავონ, აპატიებ... მაშინ საქმე ეშმაკებში წავა, იცოდე ეს. მკაცრი ბატონისა მუშებს ეშინიათ, პატივს სცემენ და მუშაობენ, დამყოლ ბატონს თავზე ასხდებიან და ზარმაცობენ. გაიგე?

ერთ საღამოს, როცა საქმე მოამთავრა, აღშფოთებულმა წერაქვი ბარაკს გარეთ მოისროლა.

- ბატონო, გეხვეწები, ნუ ჩაერევი. მე ვაშენებ, შენ კი აფუჭებ. რას ეუბნებოდი დღეს? სოციალიზმი და სისულელეები! მქადაგებელი ხარ თუ კაპიტალისტი? ან ერთი აირჩიე, ან მეორე.

რა უნდა ამერჩია! სურვილი მჭამდა, ორივე შემეერთებინა, კავშირი მომეძებნა, ურთიერთგამომრიცხავი ცნებები დამეძმობილებინა, რათა ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც კარგად წამსვლოდა საქმე და ცათა სასუფეველიც დამემკვიდრებინა. პატარაობიდანვე, როცა ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, ახლო მეგობრებთან ერთად “საიდუმლო ორგანიზაცია” (ასე ვეძახდით მას) დავაარსე. ჩემს ოთახში ჩაკეტილებმა შევფიცეთ, რომ ცხოვრებას ყველანი უსამართლობასთან ბრძოლას მივუძღვნიდით. იმწამს, როცა გულზე ხელი დავიდეთ და ფიცს ვდებდით, თვალებიდან მსხვილი ცრემლები ჩამოგვცვივდა.

ბავშვური იდეალები! მაგრამ ვაი იმ ადამიანს, რომელიც ამას ისმენს და იცინის! როცა ვხედავ, “საიდუმლო ორგანიზაციის” წევრები - ექიმბაშები, ადვოკატები, ვაჭრუკანები, ვაიპოლიტიკოსები, მეგაზეთეები - სადამდე დაეშვნენ, გული მეკუმშება. როგორც ჩანს, მძიმე და ძალიან მკაცრია ამქვეყნიური ჰავა და უძვირფასესი თესლი ან არ ამოიყრის ყლორტს, ან გვირილებსა და ჭინჭარში იხრჩობა. მაგრამ ჩანს, სათანადო ცოდნა ჯერაც არ მქონდა შეძენილი და

ახლაც - დიდება შენდა, ღმერთო! - დონკიხოტურ ლაშქრობას ვაპირებდი.

კვირა დღეს ორივენი სასიძოვებივით ვირთვებოდით, ვიპარსებოდით, თეთრ სუფთა პერანგებს ვიცვამდით და საღამო ხანს მაღამ ჰორტენზიას ვესტუმრებოდით ხოლმე. ყოველ კვირას ქათამს გვიკლავდა და სამივენი ვსხდებოდით, ვჭამდით და ვსვამდით. ზორბასი გრძელ ხელებს იწვდიდა ქალბატონის მყუდრო უბისკენ და იპყრობდა. ღამით, როცა ჩვენს სანაპიროზე ვბრუნდებოდით, ცხოვრება მაღამ ჰორტენზიასავით კეთილმოსურნე, ჩასუქებულ, ძალიან გემრიელ და სტუმართმოყვარე დედაბრად გვეჩვენებოდა.

ერთ ასეთ კვირადღეს, გულუხვი სუფრიდან დაბრუნებულმა, გადავწყვიტე, პირი მომეხსნა და ჩემი გეგმები ზორბასისათვის გამენდო. პირდაღებული მოთმინებით მისმენდა, მხოლოდ ხანდახან აქნევდა თავს გაბრაზებული. ჩემს პირველივე სიტყვებზე გამოფხიზლდა, გონება დაეწმინდა. როცა დავამთავრე, უღვაშიდან ორი ბენჯი ნერვიულად ამოიწინკნა.

- მომიტევე, ბატონო, - მითხრა, - მაგრამ, მგონია, ტვინი გალაყებული გაქვს. რამდენი წლის ხარ?

- ოცდათხუთმეტის.

- მაშინ აღარაფერი გეშველება, - თქვა და სიცილისგან გადაბყირდა.

გავჭიუტდი:

- ადამიანის არ გნამს?

- ნუ ბრაზობ, ბატონო. არა, არაფრის მნამს. ადამიანის რწმენა რომ მქონოდა, ღვთის რწმენაც მექნებოდა და ეშმაკისაც. ეს კი დიდი აურზაურია. ბატონო, შარში გავებმები.

დადუმდა. ქუდი მოიხადა, თავი გაშმაგებულმა მოიქექა, კვლავ მოქაჩა უღვაში, თითქოს ჩამოგლეჯა სურდა. რალაცის თქმა უნდო-

და, მაგრამ თავს იკავებდა. ალმაცერად მიყურებდა, თვალს არ მაცილებდა. ბოლოს გაბედა.

- ადამიანი პირუტყვია! - დაიყვირა და გაბრაზებულმა ჯოხი ქვებს დაჰკრა. - დიდი პირუტყვი. შენს კეთილშობილებას საიდან ეცოდინება, ყველაფერი უწვალეზლად მოგერთვა. აბა, მე მკითხე. პირუტყვია-მეთქი, გეუბნები! ცუდად მოექეცი? პატივს გცემს და შენი ეშინია. სიკეთე გაუკეთე? თვალეზს დაგთხრის.

თავი შორს დაიჭირე, ბატონო! ადამიანებს ბევრს ნუ გააბედვინებ, ნუ ეტყვი, რომ ყველანი ერთნი ვართ, რომ ყველას თანაბარი უფლებები გვაქვს, თორემ შენს უფლებებს გათელავენ, პურს წაგართმევენ და მიგაგდებენ, რომ შიმშილით სული ამოგხდეს. მათგან თავი შორს დაიჭირე, შენთვის კარგი მინდა!

- კი, მაგრამ არაფრის გწამს? - ვკითხე გაბრაზებულმა.

- არა, არაფრის მწამს. რამდენჯერ უნდა გაგიმეორო? არაფრის მწამს, არც არავისი, მხოლოდ ზორბასისა. არა იმიტომ, რომ ზორბასი სხვებზე უკეთესია, არა, სულაც არა! ისიც პირუტყვია. მაგრამ ზორბასის მწამს, რადგან მხოლოდ მას ვიცნობ, ყველა დანარჩენი მოჩვენებაა. ზორბასის თვალეზით ვხედავ, მისი ყურეზით მესმის, მისი ნაწლავეზით ვინელებ. ყველა დანარჩენი, მე შენ გეუბნები, აჩრდილია. მე რომ მოვკვდეზი, ყველა მოკვდება. ზორბასის მთელი სამყარო ფსკერზე დაეშვება!

- კაცო, ეს ხომ ეგოიზმია! - ვუთხარი დაცინეზით.

- რა ვქნა, ბატონო? რაც არის, ეს არის. თესლს ვჭამ, თესლზე ვლაპარაკობ. ზორბასი ვარ და ზორბასიეზით ვლაპარაკობ.

არაფერი მითქვამს. წკეპლასავით მომხვდა მისი სიტყვეზი. მომწონდა, ასეთი ძლიერი რომ იყო. შეეძლო, ასე მიზლებოდა ადამიანეზი და, იმავდროულად, მათთან ერთად ცხოვრეზისა და ბრძოლის ხალისი ჰქონოდა. მე ან ასკეტი უნდა გავმხდარიყავი, ან ადამიანეზისთვის არარსეზული ფრთეზი შემეხსა, რათა ისინი ამეტანა.

ზორბასი მომიბრუნდა და შემომხედა. ვარსკვლავების შუქზე გავარჩიე, რომ თბილად მიღიმოდა.

- განყენინე, ბატონო? - მკითხა.

უკვე ბარაკამდე მიგვეღწია.

არ ვუპასუხე. ჩემი გონება ზორბასს ეთანხმებოდა, მაგრამ გული ეწინააღმდეგებოდა, რომელსაც ძალის მოკრება სურდა, რომ პირუტყვს გაქცეოდა და გზა ეპოვა.

- არ მეძინება, ზორბას, - ვუთხარი, - შენ წადი, დაიძინე.

ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ზღვა მშვიდად ოხრავდა და კენჭებს ლოკავდა. ციცინათელას მუცლიდან სასიამოვნო ოქროსფერ-მწვანე შუქმა ამოანათა, ღამის თმიდან სიგრილემ ჩამოწვეთა.

სანაპიროზე წავმოვწევი, სიჩუმეში ჩავიძირე, არაფერზე ვფიქრობდი. ღამესა და ზღვას შევერწყი, ჩემმა სულმა ციცინათელასავით სასიყვარულო ნათურა აანთო, ნესტიან შავ მიწაზე ჩამოჯდა და ლოდინად იქცა.

ვარსკვლავები ცაზე მოძრაობდნენ, დრო გადიოდა. წამოვდექი. შინაგანად, თავადაც ვერ გავიგე, ისე გამოვკვეთე საბოლოოდ ორმაგი ვალი, რომელიც ამ სანაპიროზე უნდა აღმესრულებინა:

ა) თავი დავაღწიო ბუდას, გავთავისუფლდე ყოველგვარი მეტაფიზიკური ტანჯვა-წამებისაგან;

ბ) ახლაც და შემდგომშიც მშვიდი, თბილი დამოკიდებულება მქონდეს ადამიანებთან.

“ეგებ ჯერ კიდევ არ არის გვიან”, - ვამბობდი გულში.

სოფლის უხუცესმა, ბიძია ანაღნოსტისმა, შემოგვითვალა, თუ ისურვებთ, შინ მენვიეთ, პური გავტეხოთო. დღეს ბეითალი ღორების დასაკოდად სოფელს ჩამოივლის. ქალბატონი ანაღნოსტენა(ბერძნული ტრადიციისამებრ, ცოლს ქმრის სახელით მოიხსენიებენ.) შემწვარი არსახსენებლით(იგულისხმება ყვერები.) გამასპინძლებას გპირდებათ, თან დიდხანს სიცოცხლევ უსურვეთ ჩემს შვილიშვილ მინასს, რომელსაც დღეს დღეობა აქვსო.

დიდი სიამოვნებაა კრეტელი გლეხის სახლში შესვლა. ირგვლივ ყველაფერი ძველისძველია, მარადიული: ბუხარი და მის გვერდით ჩამოკიდებული ლამპარი, ზეთითა და მარცვლეულით სავსე ქოთნები. შესასვლელთან, იქვე, მარცხნივ, კედლის ნიშში, სადგამზე ნაქურჩალით თავდაცობილი, გრილი წყლით სავსე დოქია. ძელებზე ჰკიდია აჯაგნული კომპები, ბროწეულები და სურნელოვანი ბალახი: სალბი, პიტნა, რომმარინი, ქონდარი. სიღრმეში რბილი ტახტი დგას, რომელზეც ლოგინი აწყვია. თავთან, წმინდა ხატების წინ, კანდელი ანთია. სახლი ცარიელი მოგეჩვენება, მაგრამ ყველაფერია შიგნით. სინამდვილეში ასე ცოტა რამ სჭირდება ადამიანს.

საამური დღე იყო, შემოდგომის მზე სათუთად, ალერსიანად ანათებდა. გარეთ, პატარა ბაღში, დახუნძლული ზეთისხილის ქვეშ დავსხედით. ვერცხლისფერ ფოთლებში მშვიდი, უმოძრაო, მოლიცლიცე ზღვა მოჩანდა. ზემოთ, იალკიალში, მზე ხან იმალებოდა, ხანაც გამოანათებდა, გეგონებოდა, სამყარო სუნთქავს, ხან გახარებულია და ხანაც მოწყენილიო.

პანანინა ბალის მეორე კიდებე ერთი პატარა ბაკიდან დაკოდლი ღორის ყურთასმენის წამლები ჭყვიტინი გვესმოდა, ტკვილისაგან ჭყიოდა. ბუხრიდან კი გავარვარებულ ნაღვერდალზე მისი შემწვარი ყვერების სურნელი გამოდიოდა.

ვსაუბრობდით მათ ყოველდღიურობაზე: ნათესებზე, ვენახებზე, წვიმაზე. ვყვიროდით, რადგან სოფლის უხუცესს კარგად არ ესმოდა. ასე ამბობდა, მეტად სმენადაქვეითებული ვარო. ბიძია ანაღნ-

ოსტისი ტკბილმოუბარი იყო, მყუდრო ყურეში ამოსულ ხესავით მშვიდი ცხოვრება ჰქონდა. დაიბადა, გაიზარდა, დაქორწინდა, შვილები გაუჩნდა, შვილიშვილებს მოესწრო, ზოგი მოუკვდა, მაგრამ დანარჩენები ცოცხლები არიან. მოდგმა გადაარჩა.

მოხუცმა კრეტელმა ძველი ამბები, თურქთა ბატონობის წლები, მამის სიტყვები, სასწაულები გაიხსენა, რომლებიც ძველად ხდებოდა, რადგან უნინ ადამიანები ღვთისმოშიშნი და მორწმუნენი იყვნენ.

- აი, მე რომ მიყურებთ, ბიძია ანაღნოსტისს, სასწაულებრივად დავიბადე. დიახ, სასწაულებრივად. რომ გიამბოთ, გაგიკვირდებათ, იტყვიან: “მინყალე, ღმერთო!” და სანთლის დასანთებად ღვთისმშობლის მონასტერს მიაშურებთ.

პირჯვარი გადაიწერა და ნება-ნება, ტკბილი ხმით დაიწყო:

- ჩვენს სოფელში, ამბობენ, იმ დროს ერთი მდიდარი თურქის ქალი ცხოვრობდა - ძალღი მიაკვდა სულში! ერთხელაც, წყეული, დაორსულდა და მშობიარობის დროც დაუდგა. ტახტზე დაანჯინეს. ქალი სამი დღე და სამი ღამე ბოჩოლასავით ბლაოდა, მაგრამ ბავშვი არ გამოდიოდა. ერთი მეგობარი - იმასაც ძალღი მიაკვდა სულში! - ეუბნება: “ჯაფერ-ხანუმ, საშველად მეირე დედას არ მოუხმობ?” “მეირე დედას” თურქები ღვთისმშობელ მარიამს ეძახდნენ, დიდია მონყალეა მისი! “მას მოვუხმობ? - დაიღრინა ჯაფერ-ხანუმმა. - მას? ჯობია, მოვკვდე!”. ტკივილმა უმატა. კიდევ ერთი დღე-ღამე გავიდა. ღმუოდა, მაგრამ ვერ აჩენდა. რა უნდა ექნა? ტკივილს ვეღარ უძლებდა, დაიყვირა: “მეირე დედა! მეირე დედა!” ყვიროდა, ყვიროდა, მაგრამ ტკივილი არ ქრებოდა, ბავშვი არ გამოდიოდა. “არ ესმის, - უთხრა მეგობარმა, - თურქული არ იცის, ბერძნული სახელით დაუძახე: “ბერძენთა ღვთისმშობელო!”. მაშინ ძუკნამ დაიყვირა: “ბერძენთა ღვთისმშობელო!”, მაგრამ ამაოდ, ტკივილი მატულობდა. “სწორად არ ეძახი, ჯაფერ-ხანუმ, - ისევ უთხრა მეგობარმა, - სწორად არ ეძახი და არ მოდის”. აი, მაშინ კი ურჯულო ძუკნამ, რომელიც ხედავდა, რა საფრთხის წინაშე იდგა, მთელი ძალით ამოიყვირა: “ღვთისმშობელო დედაო!” და ბავშვი მაშინვე გველთეგზასავით გამოსრიალდა მუცლიდან.

ეს კვირადღეს მოხდა. და აი, იღბალი ნახეთ: მეორე კვირადღეს დედაჩემსაც ასტკივდა მუცელი. საცოდავი ტკივილისგან ღმუოდა, ყვიროდა: “ღვთისმშობელო დედაო! ღვთისმშობელო დედაო!”, მაგრამ ხსნა არსად ჩანდა. მამაჩემი შუა ეზოში, მიწაზე, იჯდა, ჭავრისაგან არც ჭამდა, არც სვამდა, ღვთისმშობელზე იყო გაბრაზებული. ძუკნა ჭაფერ-ხანუმმა ერთხელ დაუძახა და მის საშველად მაშინვე იქ გაჩნდა, ახლა კი... მეოთხე დღეს მამაჩემმა ვეღარ მოითმინა, ორკაპა ჭოხი აიღო და სფამენის ღვთისმშობლის მონასტერში - ჩვენს მხსნელთან - წავიდა! მივიდა, ეკლესიაში ისე შევიდა, პირჯვარი არ გადაუწერია, ისე იყო განრისხებული, კარი შეიკეტა და ღვთისმშობლის ხატის წინ დადგა: “ჰეი, ღვთისმშობელო! - დაუყვირა. - ჩემს ცოლ მარულიას, ხომ იცნობ, ყოველ შაბათ საღამოს ბეთი რომ მოაქვს და კანდელებს გინთებს, ჩემს ცოლ მარულიას, სამი დღე-ღამეა, მუცელი სტკივა და მოგიხმობს. მისი არ გესმის? დაყრუვდი, მგონია და არ გესმის. ერთი ძუკნა ჭაფერ-ხანუმი, ვილაც წაბილწული თურქის ქალი რომ ყოფილიყო, თავ-პირის მტვრევით გავარდებოდი და გამოიხსნიდი. მაგრამ დაყრუვდი და ქრისტიანის, ჩემი ცოლი მარულიასი არ გესმის! იცი, ღვთისმშობელი რომ არ ყოფილიყავი, აი, ამ ჭოხით სეირს გიჩვენებდი!”

უთხრა და, თაყვანი არ უცია, ისე შეაქცია ბურგი და წავიდა. მაგრამ - დიდი ხარ, უფალო! - იმწამს ხატი ძლიერად აჭრიალდა, თითქოს გაიბზარაო. ასე ჭრიალებენ ხატები, იცოდეთ, თუ არ გაგიგონიათ, ასე ჭრიალებენ, როცა სასწაულს სჩადიან. მამაჩემი მიხვდა, მიბრუნდა, მეტანია შეასრულა, პირჯვარი გადაიწერა: “შეგცოდე, ღვთისმშობელო დედაო, - შესძახა, - რაც გითხარი, დაივიწყე!”

სოფელში არც კი იყო მისული, რომ კარგი ამბავი ახარეს: “გაგიზარდოს, კოსტანტის, შენმა ცოლმა ვაჟი გააჩინა”. ეს მე ვიყავი, აგერ რომ მხედავთ, მე, ბიძია ანაღნოსტისი. მაგრამ ოღნავ სმენადაქვეითებული დავიბადე. მამაჩემმა ხომ მკრეხელობა ჩაიღინა და ღვთისმშობელს ყრუ უწოდა. “ასე ხომ? - იტყოდა ღვთისმშობელი. - ჭკუის სასწავლებლად ვაჟს დაგიყრუებ!”

ბიძია ანაღნოსტისმა პირჯვარი გადაისახა.

- კიდევ კარგი, - თქვა, - დიდება შენდა, ღმერთო! შეეძლო, ბრმა,

ბნელიანი, კუზიანი დავებადე ან - ღმერთო, შენ მიშველე! - ქალად გავეჩინე. კიდევ კარგი. მისი მოწყალების წინაშე ქედს ვიხრი!

ჭიქები გაავსო:

- მისი მადლი შეგვეწიოს! - თქვა და სავსე ჭიქა ასწია.

- გაგიმარჯოს, ბიძია ანაღნოსტის. ასი წელი იცოცხლე, შვილთა-შვილებსაც მოესწარი!

მოხუცმა ღვინო ერთ ყლუპად გამოცალა და უღვაშები მოიწმინდა:

- არა, შვილო, კმარა! შვილიშვილები მყავს. საკმარისია! მეტს აღარ ვითხოვ! ჩემი დრო მოვჭამე, დავბერდი, თირკმლები დამიცარიელდა. ბავშვების გაკეთება მინდა, მაგრამ აღარ შემიძლია. მაშ, სიცოცხლე რიდასთვის მინდა?

ჭიქები კვლავ აავსო, ნიგვზითა და დაფნის ფოთოლში გახვეული ლეღვის ჩირით გაგვიმასპინძლდა.

- რაც მქონდა და არ მქონდა, შვილებს გავუნაწილე. გავდარიბდით, გავლატაკდით, მაგრამ არ მადარდებს. არსებობს ღმერთი!

- არსებობს ღმერთი, ბიძია ანაღნოსტის, - ყურში ჩასძახა მოხუცს ზორბასმა. - არსებობს ღმერთი, მაგრამ ჩვენთვის არა. ჩვენთვის არაფერს იმეტებს ქვანჯია!

სოფლის უხუცესმა წარბები შეჭმუნა.

- ეჰეი, ნათლია, ღმერთს ნუ აგინებ, - უთხრა მკაცრად. - ნუ ეჩხუბები. ის საწყალი იქით ელის ჩვენგან!

ამასობაში უტყვმა, მორჩილმა ქალბატონმა ანაღნოსტენამ თიხის ქოთნით ღორის შემწვარი ყვერები და თუნგი ღვინო მოიტანა, მაგიდაზე დააწყო, თვითონ კი გულხელდაკრეფილი და თვალებდახრილი გვერდზე დადგა.

კერძი ზიზღს მგვრიდა, მაგრამ უარის თქმისაც მრცხვენოდა. ზორბასი აღმაცერად მიყურებდა და იღიმებოდა.

- უგემრიელესი ხორცია, ბატონო, - მარწმუნებდა, - ნუ გეზიზღება.

მოხუცმა ანაღნოსტისმა გადაიხარხარა.

- მართალს ამბობს, მართალს, გასინჯე და ნახავ. ტვინივით ნაზია! როცა ჩვენს მონასტერში უფლისწულმა გეორგიოსმა - ღმერთმა კარგად ამყოფოს! - გამოიარა, ბერებმა სამეფო სუფრა გაუშალეს. ყველას ხორცი დაუდეს, უფლისწულს კი - ერთი მათლაფა წვნიანი. ბატონიშვილმა კოვზი აიღო, ამოურია: “ლობია?” - იკითხა განცვიფრებულმა. “მიირთვი, უფლისწულო, - უთხრა მოხუცმა იღუმენმა, - მიირთვი და მერე ვილაპარაკოთ”.

ბატონიშვილმა ერთი კოვზი გასინჯა, ორი, სამი, მათლაფა დააცარიელა, თითები გაილოკა. “ეს რა სასწაულია? - თქვა. - რა გემრიელი ლობია! ტვინივით ნაზია”. “ლობიო არ არის, ჩემო უფლისწულო, - უთხრა იღუმენმა და გაიცინა, - ლობიო არ არის, ეპარქიის ყველა მამალი დაგკოდეთ!”

მოხუცმა გაიცინა და ჩანგალი ღორის ყვერის ნაჭერს ჩაარჭო.

- სამეფო კერძია! - მითხრა. - პირი გამიღე.

პირი გავულე და შიგ ჩამჩარა. ჭიქები კვლავ გაავსო. შვილიშვილი ვუდღეგრძელეთ. პაპას თვალეები გაუბრწყინდა.

- რა გინდა, რომ შენი შვილიშვილი გამოვიდეს, ბიძია ანაღნოსტის? - ვკითხე. - გვითხარი, რომ ვუსურვოთ.

- რა უნდა მინდოდეს, შვილო? მინდა, რომ სწორ გზას დაადგეს. კარგ ადამიანად გაიზარდოს, კარგი მეოჯახე დადგეს, იქორწინოს, მასაც შეეძინოს შვილები და შვილიშვილები, ბავშვებიდან ერთ-ერთი მე დამემსგავსოს, მოხუცებმა შეხედონ და თქვან: “ბიჭო, მოხუცი ანაღნოსტისის ალი-კვალია! ღმერთმა აცხონოს, კარგი ადამიანი იყო”.

- ანეზინიო, - უთხრა ცოლს ისე, რომ მისკენ არც კი მიბრუნებულა, - ანეზინიო, კიდევ გააფსე თუნიგი ღვინით!

იმწამს თავლის პატარა კარი ძლიერი დარტყმით გაიღო და ტკივილისგან გასაგათებული ღორი ჭყვიტინით შემოვარდა პატარა ბაღში. ბორგავდა სამი ადამიანის წინ, რომლებიც ისხდნენ, ტკბილად მასლათობდნენ და მის ყვერებს შეექცეოდნენ.

- სტკივა უბედურს... - თანაუგრძნო ზორბასმა.

- სტკივა, აბა რა! - თქვა ბებერმა კრეტელმა და გაიცინა. - შენთვისაც რომ იგივე გაეკეთებინათ, არ გეტკინებოდა, ჩემო ბატონო?

ზორბასი შეკრთა.

- ენა გაქვს მოსაჭრელი, გამოყრუებულო! - ჩაიჩურჩულა შეშინებულიმა.

ღორი ჩვენ წინ წრიალებდა და გადარეული გვიყურებდა.

- ღმერთს გეფიცები, გეგონება, ხვდება, ის რომ შევუჭამეთ! - გაიმეორა მოხუცმა ანაღნოსტისმა, რომელიც ღვინოს ხასიათზე მოეყვანა.

მაგრამ ჩვენ კანიბალებივით წყნარად, კმაყოფილები შევექცეოდით გემრიელ კერძს, შავ ღვინოს ვაყოლებდით და ზეთისხილის ვერცხლისფერი ტოტებიდან გავცქეროდით ზღვას, რომელიც ახლა, მზის ჩასვლისას, შევარდისფრებულიყო.

უკვე სადამო იყო, სოფლის უხუცესის სახლიდან რომ გამოვედით. ზორბასიც შეზარხოშებულიყო, ლაპარაკი სწაღდა. დაიწყო:

- გუშინწინ რაზე ვლაპარაკობდით, ბატონო? ამბობდი, მინდა, ხალხი გავანათლო, თვალი აფუხილოო! მიდი, აბა, ბიძია ანაღნოსტისს აუხილე თვალი! დაინახე, მისი ცოლი ბრძანების მოლოდინში ფეხის წვერებზე როგორ იდგა? ახლა მიბრძანდი და ასწავლე, რომ ქალს მამაკაცის თანაბარი უფლებები აქვს; რომ დიდი სისასტიკეა, ღორის ხორცი ჭამო და წინ ცოცხალი ღორი გიჭყიოდეს; და რომ

დიდი სიბრყველა, კმაყოფილი იყო იმით, რომ ღმერთი არსებობს, თუნდაც შიმშილისაგან სული გძვრებოდეს! რას მოიგებს ბეჩავი ბიძია ანაღნოსტისი მთელი ამ შენი განმანათლებლური მონაჩმახით? მხოლოდ შარში გახვევ. ქალბატონი ანაღნოსტენა რაღას მოიგებს? ატყდება აყალმაყალი, დედალს მამლობა მოუნდება, ცოლ-ქმარი სულ კინკლაობასა და ერთმანეთის ცემა-ტყეპაში იქნება... შეეშვი ადამიანებს, ბატონო, თვალს ნუ აუხელ მათ. რომც აუხილო, რას დაინახავენ? თავიანთ სიავესა და გულცივობას! ჰოდა, ყველაფერი ხელუხლებლად დატოვე. დაე ეძინოთ.

წამით დადუმდა, თავი მოიქექა.

- გარდა, - თქვა ბოლოს, - გარდა...

- რისა? ბოლომდე თქვი!

- იმ შემთხვევის გარდა, თუ თვალებს გაახელენ და მათ უკეთეს სამყაროს აჩვენებ... გაქვს ასეთი სამყარო?

არ ვიცოდი. კარგად ვიცოდი, რა უნდა დანგრეულიყო, არ ვიცოდი, ნანგრევებზე რა უნდა აშენებულიყო. "ეს დაბეჭითებით არავინ იცის, - ვფიქრობდი. - ძველი ხელშესახებია, მყარი, ასე ვცხოვრობთ და ვიბრძვით ყოველ წამს, ის არსებობს; მომავალი დაუბადებელია, მოუხელთებელი, მარად მდინარი; იმავე მასალისგანაა გაკეთებული, რომლითაც ოცნებები იქმნება; ღრუბელია, რომელსაც ძლიერი ქარები - სიყვარული, წარმოსახვა, ბედი, ღმერთი - ხან მიმოფანტავს, ხან ისევ ერთად მოუყრის თავს და გადაასხვავფერებს... ყველაზე დიდ წინასწარმეტყველსაც კი შეუძლია, მხოლოდ მიანიშნოს ადამიანებს და რაც უფრო ბუნდოვანია ეს მინიშნება, მით უფრო დიდ წინასწარმეტყველია ის".

ზორბასი დამცინავი ღიმილით მიყურებდა. გავბრაზდი.

- მაქვს, - ვუპასუხე ჭიუტად.

- გაქვს? აბა, ერთი მითხარი!

- ვერ გეტყვი; ვერ მიხვდები.

- ჰოდა, მაშინ არა გქონია! - მითხრა ზორბასმა და თავი გააქნია. - ხეპრედ ნუ ჩამთვლი, ბატონო. თუ ასე გითხრეს ჩემზე, მოგატყუეს. მეც ბიძია ანაღნოსტისივით გაუნათლებელი კი ვარ, მაგრამ სულელი ნამდვილად არ მეთქმის! თუ მე ვერ გავიგებ, როგორ გინდა, რომ ამ კეთილმა ადამიანმა და მისმა ქალბატონმა, მისმა თანამეცხედრემ, გაიგონ? ამ სამყაროს ყველა ანაღნოსტისმა და ყველა ანეზინომ გაიგოს? ახალი წყვდიადი გინდა, დაანახო? ძველში დატოვე, შეგუებულები არიან. ვერ ხედავ? ცხოვრობენ და თანაც კარგად, მრავლდებიან, შვილიშვილები ჰყავთ. ღმერთი მათ აყრუებს, აბრმავებს და ისინი მაინც ყვირიან: “დიდება შენდა, ღმერთო!”. უბედურებას მოერგნენ. ჰოდა, შეეშვი მათ, იყუჩე.

გავჩუმდი. ქვრივის ბაღს ჩაგუარეთ. ზორბასი ცოტა ხნით გაჩერდა, ამოიხვნეშა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. სადღაც ეწვიმა და ჰაერს სიგრილისა და მიწის სუნი ასდიოდა. პირველი ვარსკვლავები გამოჩნდა, ახალმა მთვარემ ნაზად, მომწვანოდ გამოანათა და გეციდან სიტკბო ჩამოიღვარა.

“ამ ადამიანს, - გავიფიქრე, - სკოლაში არ უვლია და გონება არ დამახინჯებია. ბევრი ნახა, გააკეთა და განიცადა, მაგრამ სიმამაცე არ დაუკარგავს. ყველა ჩახლართულ, ჩვენთვის გადაუჭრელ პრობლემას მისი თანამემამულის, ალექსანდრე მაკედონელის, მსგავსად ხმლის ერთი დავკრით გადაჭრის. არასოდეს ნაიქცევა, რადგან მიწაზე მყარად დგას. აფრიკის ველურები გველს აღმერთებენ, რადგან მთელი სხეულით მიწას ეხება და, ამგვარად, მისი ყველა საიდუმლო უწყის. თავისი მუცლით იცის, თავისი კუდით, ყვერებით, თავით. დედას ეხება, ერწყმის, ერთიანდება. ჩვენ, განათლებულები, ჰაერში მოფარფატე სულელი ფრინველები ვართ”.

უხეში, სასტიკი, ადამიანთა მიმართ შეუბრალებელი ვარსკვლავები მომრავლდა.

მეტი აღარ გვილაპარაკია. ორივე შიშით შევყურებდით ზეცას. ვგრძნობდით, ნელ-ნელა როგორ ენთებოდა სხვა ვარსკვლავებიც და ხანძარი ძლიერდებოდა.

ბარაკს მივალწიეთ. ჭამა არ მინდოდა, ზღვის პირას ლოდზე ჩამოვჯექი. ზორბასმა ცეცხლი აანთო, შეჭამა. ჩემთან უნდოდა მოსვლა, მაგრამ გადაიფიქრა, დანვა და დაიძინა.

ზღვა შედედებულიყო, არ ინძრეოდა. აციმციმებული ვარსკვლავების ქვეშ გაკერპებული მიწაც განაბულიყო. ერთი ძალიც არ ყფდა, არც ერთი ღამის ფრინველი არ მოთქვამდა, ღრმა მდუმარება გამეფებულიყო. მუხთალი, შიშის მომგვრელი სიჩუმე ჩამონოლილიყო, ათასობით ისეთი შორეული ან შინაგანი ყვირილისგან შემდგარი, რომელიც არ გვესმის. მხოლოდ ჩემი სისხლის ხმაურს ვუგდებდი ყურს, რომელიც საფეთქლებსა და ყელის არტერიებს ურტყამდა.

“ვეფხვის სიმღერა!” - გამახსენდა და ჟრუანტელმა დამიარა.

ინდოეთში ღამის დადგომისას ძალიან ხმადაბლა სევდიანად, მონოტონურად მღერიან მხეცის შორეული ბრღღვინვის მსგავს ველურ, ნელ მელოდიას - ვეფხვის სიმღერას. ამ დროს ადამიანის გულს გამოუთქმელი შიში იპყრობს.

როგორც კი ამ შიშის მომგვრელ მელოდიაზე გავიფიქრე, მკერდი ნელ-ნელა გამებერა. სმენა დამიბრუნდა, სიჩუმე ყვირილად იქცა, იმავე მელოდისგან შექმნილი სული დაიძაბა და აღელვებული სხეულიდან გამოვარდნას ლამობდა, რათა უკეთ მოესმინა.

დავიხარე, პეშვი ზღვის წყლით გავივსე, შუბლსა და საფეთქლებზე შევისხი, გავგრილდი. ჩემ შიგნით თავბარდამცემი, შემბორკავი ღმუილი გაისმა - ჩემში მყოფი ვეფხვი ღრიალებდა. უცებ ნათლად გავიგონე ხმა: “ბუდა! ბუდა!” და ზეზე წამოვვარდი.

ნაპირს სწრაფად გავუყევი, თითქოს გაქცევა მწადდა. უკვე კარგა ხანია, ღამით, როცა მარტო ვარ, სრულ სიწყნარეში მისი ხმა მესმის - თავდაპირველად ნაღვლიანი, მავედრებელი, დატირებასაგვით, მაგრამ ნელ-ნელა ბრაზდება, ივინება, ბრძანებებს იძლევა. გული მუცლად მყოფი დროული ნაყოფივით მიფართხალებს.

შუალამე იქნებოდა. ცაზე შავი ღრუბლები მოგროვდა, ხელებზე

მსხვილი წვეთები დამეცა. მაგრამ გონებით სხვაგან ვიყავი. გავარგარებულ ატმოსფეროში ჩაძირული საფეთქლებზე ცეცხლის ორ ენას ვგრძნობდი.

“დადგა წამი, - გავაცნობიერე და ჟრუანტელმა დამიარა. - ბუდისტურმა ბორბალმა ამიტაცა. დრო მოვიდა, ჩემში არსებული ღვთიური სიმძიმისაგან გავთავისუფლდე”.

სწრაფად დავბრუნდი ბარაკში, ჭრაქი ავანთე. ზორბასს შუქმა მიანათა, თვალები ააფახულა, გაახილა, შემომხედა, დამინახა, ქალაღმზე დამხობილი როგორ ვწერდი, რაღაც ჩაიბურღუნა, ვერ გავარჩიე, კედლისკენ გადაბრუნდა და თავი კვლავ ძილს მისცა.

გამალეებული, სულმოუთქმელად ვწერდი, მეჩქარებოდა. მთელი “ბუდა” ჩემში იყო. ვხედავდი, როგორ იშლებოდა ჩემი არსების სიღრმიდან ასოებით სავსე ლურჯი ლენტივით. იშლებოდა ძალიან სწრაფად და ხელი გამირობოდა, რომ მომესწრო. ვწერდი, ვწერდი, ყველაფერი ძალიან გაადვილებულიყო. კი არ ვწერდი, ვიწერდი. ჩემ წინ ყველაფერი მოძრაობდა, შექმნილი თანაგრძნობით, უარყოფითა და ჰაერით: ბუდას სასახლეები, ჰარამხანის ქალები, ოქროს ეტლი, სამი საბედისწერო შეხვედრა: მოხუცთან, ავადმყოფთან, მკვდართან; გაქცევა, ასკეტური ცხოვრება, გადარჩენა, ხსნის ქადაგება; მიწა ყვითელი ყვავილებით მოირთო. გლახაკნი და მეფენი ყვითელ ანაფორებს იცვამდნენ. ქვები, ხეები, სხეულები შემსუბუქდა; სულები ჰაერად იქცეოდა, ჰაერი - სულად და სული ქრებოდა. თითები დამეღალა, მაგრამ შეჩერება არ მინდოდა, არ შემეძლო. ხილვამ სწრაფად ჩაიარა, მირობოდა, უნდა მომესწრო.

დილით ზორბასმა ხელნაწერზე დამხობილი და მძინარე მნახა.

VI

მზე უკვე შუბის წვერზე იდგა, როცა გამედვიდა. მარჯვენა ხელი წერისაგან გამშებობდა და თითებს ველარ ვლუნავდი. ჩემს თავზე გადავლილმა ბუდისტურმა ქარიშხალმა სიქა გამომაცალა და გამომფიტა.

დავიხარე, ძირს მიმოფანტული ხელნაწერები შევაგროვე, მათი დანახვის აღარც ხალისი მქონდა და აღარც ძალა; თითქოს მთელი ეს მძაფრი გარდამოსვლა სიზმარი იყო და არ მინდოდა, სიტყვებში დატყვევებული და დამცრობილი დამენახა.

დღეს მშვიდად წვიმდა. ბორბასმა წასვლამდე მაყალი ამინთო. მთელი დღე ფეხმორთხმით, ცეცხლისკენ ხელეგანწვდილი, უჭმელი ვიჭექი და ნელ წვიმას გაუნძრევლად ვუსმენდი.

არაფერზე ვფიქრობდი. ჩემი გონება თხუნელასავით სველ მიწაში გახვეული ისვენებდა. ვაყურადებდი მიწის გუგუნს, მესმოდა, როგორ მოდიოდა წვიმა და იბერებოდა თესლი. ვგრძნობდი, ზეცა და მიწა როგორ ერწყმოდა ერთმანეთს, როგორც პირველყოფილ ხანაში ერწყმოდნენ ერთმანეთს მამაკაცი და ქალი და ბავშვებს ქმნიდნენ. ყურს ვუგდებდი ზღვას, რომელიც ნადირივით იღრინებოდა, ნაპირებს ლოკავდა, თითქოს ენის წკლაპუნის ხმაც ისმოდა, წყლის დაღვევისას რომ სჩვევიათ მხეცებს.

ბედნიერი ვიყავი და ეს ვიცოდი. სანამ ბედნიერები ვართ, ამას ძნელად ვგრძნობთ; როცა ჩაივლის და უკან მოვიხედავთ, მაშინღა ვხვდებით - ხანდახან გაკვირვებითაც - რა ბედნიერები ვყოფილვართ. მაგრამ მე ამ კრეტულ სანაპიროზე ბედნიერი ვიყავი და ვიცოდი კიდევ ეს.

უზარმაზარი ზღვა აფრიკის სანაპიროებამდე გადაჭიმულიყო. შიგადაშიგ ძალიან ცხელი სამხრეთის ქარი უბერავდა, ხორშაკი, რომელიც შორეული ცეცხლოვანი ქვიშიანი სანაპიროებიდან აღწევდა. დილით ზღვას საზამთროს სუნი ჰქონდა, შუადღისას ოხშივარი ასდიოდა; პატარა აქაფებული ტალღები მოუმწიფებელ მკერდს მოგა-

გონებდათ; სალამოს ვარდისფერი, ღვინისფერი, იისფერი, მუქი ლურჯი ედებოდა და ოხრავდა.

სალამოს თავშესაქცევად მუჭა წვრილი ოქროსფერი ქვიშით აგვისე და ნელ-ნელა ვაბნევდი, რომ ცხელი და რბილი მასა ჩემს თითებს შორის გასრიალებულიყო და წასულიყო. მუჭა ქვიშის საათია, საიდანაც სიცოცხლე გაედინება და იკარგება; მე კი ზღვას გავცქერო, ზორბასს ვუსმენ და საფეთქლები ბედნიერებისაგან მიფეთქავს.

ერთხელ, მახსოვს, ჩემი პატარა დისწული, ოთხი წლის ალკა და მე ახალი წლის დამდეგს სათამაშო მაღაზიის ვიტრინას მივშტერებოდით. ამ დროს მომიბრუნდა და მითხრა: “ბიძია დრაკონო (ასე მეძახდა), ბიძია დრაკონო, ძალიან დიდი სიხარულისაგან რქები ამომივიდა!”. შემეშინდა. აი, რა სასწაულია ცხოვრება, როგორ ერთდება სულები, როცა ფესვებს ღრმად იდგამენ და ერთიანდებიან! მაშინვე გამახსენდა ერთ შორეულ მუზეუმში ნანახი ბუდას პრიალა, აბანოზის ხისგან გამოკვეთილი ნიღაბი. ბუდა გადარჩენილიყო და შვიდი წლის მღელვარების შემდეგ უმაღლესი სიხარულისთვის მიეღწია. შუბლის ვენები ისე დაბერვოდა, რომ კანიდან ამომხტარიყვნენ და ფოლადის ზამბარასავით დაგრეხილ ორ რქად ქცეულიყვნენ.

სალამოსკენ წვიმამ გადაიღო, ცა მოიწმინდა. მწყუროდა, მიხაროდა, რომ მწყუროდა, რადგან ახლა ზორბასი მოვიდოდა, ცეცხლს დაანთებდა, საკვების მომზადების რიტუალი და საუბარი დაიწყებოდა.

- ეს კიდევ ერთი დაუსრულებელი ისტორიაა! - ხშირად ამბობდა ზორბასი და თიხის ქოთანს ცეცხლზე დგამდა. - მხოლოდ ქალი კი არ არის დაუსრულებელი ისტორია - ღმერთმა კარგად ამყოფოს! - საჭმელიცაა.

პირველად საჭმელს ამ სანაპიროზე ჩავატანე გემო. სალამოს ზორბასი ორ ქვას შორის ცეცხლს ანთებდა, ამზადებდა, შემდეგ ჭამას ვიწყებდით, შიგადაშიგ ვსვამდით და საუბარი ფრთებს შლიდა. სწორედ მაშინ ვგრძნობდი, რომ საჭმელიც სულიერი მსახურებაა და რომ ხორცი, პური და ღვინო პირველადი ნედლეულია, რომლი-

სგანაც სული იქმნება.

ზორბასი სადამოს, მომქანცველი სამუშაოს შემდეგ, სანამ არ შეჭამდა და დაღევდა, ხასიათზე ვერ მოდიოდა. ნაძალადეგად ლაპარაკობდა, სიტყვები მარწუხით უნდა ამოგვეგლიჯა. ზანტად და მოუხეშავად მოძრაობდა. მაგრამ მაშინვე, როგორც კი, მისი თქმით, მანქანაში ნახშირს ჩაყრიდა, მისი სხეული - გაშეშებული, უმოქმედო ქარხანა - ცოცხლდებოდა, ძალას იკრებდა და მუშაობას იწყებდა. თვალეები ენთებოდა, მეხსიერება უმახვილდებოდა, ფეხებზე ფრთები ესხმებოდა, ცეკვავდა.

- მითხარი, რას უშვრები საჭმელს, რომელსაც ჭამ, - მითხრა ერთხელ, - და გეტყვი, ვინ ხარ. ერთნი მას ქონად და ნეხვად აქცევენ, მეორენი - საქმედ და ხალისიან განწყობად, სხვები კი, გამიგონია - ღმერთად. სამი ტიპის ადამიანები არსებობენ; მე, ბატონო, არც უარესთაგანი ვარ, არც საუკეთესოთაგანი, შუაში ვდგავარ. საჭმელს საქმედ და მოლხენად ვაქცევ. ურიგო არ უნდა იყოს!

ეშმაკურად შემომხედა, გაიცინა.

- შენ, ბატონო, მგონი საჭმლისგან ღვთის გაკეთებას ცდილობ, მაგრამ ვერ ახერხებ და იტანჯები. ყვავივით დაგემართა.

- ყვავს რა დაემართა, ზორბას?

- თავიდან დარბაისლურად დადიოდა, ყვავის შესაფერისად, მაგრამ ერთხელ გნოლივით ამაყად სიარული მოეპოიანა. მას შემდეგ უბედურმა საკუთარი სიარულის მანერაც დაივიწყა, დაიბნა და ახლა - ვერ ხედავ? - ხტუნვა-ხტუნვით დადის.

ავიხედე. მურა ნახშირის საბადოდან ჩამომავალი ზორბასის ფეხის ხმა მომესმა. ცოტა ხანში დავინახე, ცხვირჩამოშვებული, მოღუშული მოდიოდა; მოღუნებული მკლავები ჩამოჰკიდებოდა.

- სადამო მშვიდობისა, ბატონო! - ცალყბად მომესალმა.

- გაუმარჯოს. როგორ წავიდა დღეს საქმე, ზორბას?

არ მიპასუხა.

- მოდი, ცეცხლს დაგანთებ, - თქვა, - და საჭმელს მოგამზადებ.

კუთხიდან შეშა აიღო, გარეთ გავიდა, ორ ქვას შორის კობხად დაალაგა, ცეცხლი დაანთო, თიხის ქოთანში შემოდგა, წყალი ჩაასხა, ხახვი, პომიდორი, ბრინჯი ჩაყარა და მომზადებას შეუდგა. მე ამასობაში მრგვალ მაგიდას სუფრა გადავაფარე, ხორბლის პური მოზრდილ ნაჭრებად დავჭერი და დოქიდან ღვინო ბიძია ანაღნოსტისის ნაჩუქარ მოჩუქურთმებულ მათარაში ჩამოვასხი.

ზორბასს ფეხი დოქის წინ მოერთხა, ცეცხლს თვალს არ აცილებდა, ხმას არ იღებდა.

- შვილები გყავს, ზორბას? - ვკითხე მოულოდნელად.

მომიბრუნდა:

- რატომ მეკითხები? ერთი ქალიშვილი მყავს.

- გათხოვილი?

ზორბასმა გაიცინა.

- რატომ იცინი, ზორბას?

- ამას კითხვა უნდა, ბატონო? შტერი ხომ არ არის, რომ ვერ გათხოვდეს? სპილენძის მალაროში ვმუშაობდი ქალკიდიკიში, პრაგაცაში. ერთ დღეს ჩემი ძმა იანისისგან წერილი მივიღე. მართლა, დამავიწყდა, შენთვის მეთქვა, რომ ერთი ძმა მყავს, მეოჯახე, წესიერი, მორწმუნე, მევახშე, ფარისეველი, ისეთი ადამიანი, როგორიც საჭიროა, საზოგადოების ბურჯი. ბაყალია სალონიკიში. “ძმაო ალექსის, - მწერდა, - შენი ქალიშვილი ფროსო ცუდ გზას დაადგა, ჩვენი პატიოსანი სახელი შეარცხვინა; საყვარელი ჰყავს, მისგან ბავშვიც გაუჩნდა. თავი მოგვჭრა! ლამის გავვარდე და სოფლის თვალწინ ყელი გამოვჭრა”.

- შენ რაღა ქენი, ზორბას?

ზორბასმა მხრები აიჩეჩა:

- “ჰმ! ქალები!” - ვთქვი და წერილი დავხიე.

საჭმელს ამოურიცა, მარილი მოაყარა, გაიცინა.

- მოიცა, ყველაზე სასაცილო წინაა. ერთ თვეში ჩემი სულელი ძმისგან მეორე წერილი მივიღე: “ბედნიერებასა და სიხარულს გისურვებ, საყვარელო ძმაო ალექსის! - მწერდა ის შტერი. - ღირსება დაგვიბრუნდა და ახლა შეგიძლია თავი მაღლა ასწიო. ვაჟბატონი ფროსოზე დაქორწინდა!”

ზორბასი მომიბრუნდა, შემომხედა. სიგარეტის შუქზე მისი თვალები გავარჩიე, რომლებიც ნაპერწკლებს ყრიდნენ. კვლავ აიჩეჩა მხრები:

- ჰმ! მამაკაცები! - თქვა ენით გამოუთქმელი გულგრილობით.

და ცოტა ხანში:

- რას ელი ქალებისგან? ბავშვებს, ვისთანაც მოუხდებათ, იმასთან აკეთებენ. რას ელი მამაკაცებისგან? მახეში ებმებიან. ქონდარი დაამატე, ბატონო!

ქოთანი გადმოდგა. ფეხი მოვირთხით და ჭამას შევუდექით.

ზორბასი ფიქრებში ჩაეფლო. რაღაც საფიქრალი არ ასვენებდა. მიყურებდა, პირს აღებდა, მაგრამ ისევ ხურავდა. ჭრაქის შუქზე ნათლად ვარჩევდი მის შეწუხებულ და აფორიაქებულ თვალებს. ველარ მოვითმინე:

- ზორბას, თუ რამის თქმა გინდა, ბარემ მითხარი!

ზორბასი დუმდა. კენჭი აიღო და ღია კარში ღონივრად ისროლა.

- ქვებს შეეშვი, მითხარი!

ზორბასმა დანაოჭებული ყელი მოიღერა.

- მენდობი, ბატონო? - ადელვებულმა მკითხა და თვალი თვალში გამიყარა.

- გენდობი, ზორბას, - ვუპასუხე. - რაც უნდა ჩაიღინო, არ გაგაგდებ. რომც გინდოდეს, არ გაგაგდებ. ასე ვთქვათ, ლომივით თუ მგელივით ხარ, ეს მხეცები ცხვრებივით ან ვირებივით არასოდეს იქცევიან, თავიანთ ბუნებას არ დალატობენ; ასე ხარ შენც, ზორბას, თხემით ტერფამდე.

ზორბასმა თავი დამიქნია.

- მაგრამ მე უკვე აღარ ვიცი, სად ეშმაკებში მივაბიჭებთ!

- მე ვიცი, ნუ გენალვლება. წინ იარე!

- აბა, ერთხელაც გამიმეორე, ბატონო, რომ გავმხნევდე! - წამოიყვირა ზორბასმა.

- წინ იარე!

ზორბასს თვალეები გაუბრწყინდა.

- ახლა შემიძლია შენთან საუბარი. უკვე რამდენიმე დღეა, ერთი დიდი გეგმა მაქვს, ერთი გიჟური იდეა მომიმწიფდა გონებაში. განგახორციელოთ?

- მეკითხები კიდევ? სწორედ ამისთვის ჩამოვედით აქ, იდეების განსახორციელებლად.

ზორბასმა ყელი მოიღერა, შიშნარევი სიხარულით შემომხედა:

- გარკვევით ილაპარაკე, ბატონო! - შესძახა. - აქ ნახშირისთვის არ ჩამოვედით?

- ნახშირი საბაბია, რათა ხალხი არ დავაფრთხოთ. დაე ეგონოთ, რომ სერიოზული მენარმეები ვართ, არ მინდა, უსაქმურებად

ჩაგვთვალონ. მიმიხვდი, ზორბას?

ზორბასმა პირი დაალო, ასეთი ბედნიერების დაჯერება უჭირდა. უცებ მიხვდა და მომვარდა, მხარზე ხელი გადამხვია.

- ცეკვავ? - ხალისიანად მკითხა. - ცეკვავ?

- არა.

- არა?!

გაოცებულს ხელები ჩამოუცვივდა.

- კარგი, - თქვა ცოტა ხანში, - მაშინ მე ვიცეკვებ, ბატონო. გვერდზე მიდექ, არ წამაქციო. ჰეი! ჰეი!

ერთი ნახტომით ბარაკის გარეთ აღმოჩნდა, ფეხსაცმელი, პერანგი, ჟილეტი მოისროლა, შარვალი მუხლებამდე აიკაპინა და ცეკვა დაიწყო. ნახშირისგან გამურული სახე ძალიან შავად მოუჩანდა; თვალები თეთრად უელავდა.

ცეკვავდა, ტაშს უკრავდა, ბუქნავდა, ჰაერში ტრიალებდა, მუხლებზე ეცემოდა და უმალ მსუბუქად, რეზინივით, ხტებოდა. ერთბაშად ისე მალლა შეხტებოდა ხოლმე ჰაერში, თითქოს უნდოდა, ბუნების კანონზომიერებები დაერღვია, ფრთები გამოესხა და გაფრენილიყო. გრძობდი, ამ გაძვალტყავებულ, ცხოვრებისაგან მოქანცულ სხეულში როგორ იბრძოდა სული, რათა სხეული მოეხიბლა და მასთან ერთად, მოწყვეტილი ვარსკვლავივით, წყვდიადში გადაშვებულიყო. სული სხეულს მალლა შეისროდა, მაგრამ ის ჰაერში დიდხანს ვერ ძლებდა და ძირს ვარდებოდა. უღმობელი სული ისევ შეისროდა, ახლა ოდნავ უფრო მალლა, მაგრამ საწყალი სხეული აქოშინებული ეცემოდა ძირს.

ზორბასი შუბლს იკრავდა, მის სახეზე შემაშფოთებელ სერიოზულობას ამოიკითხავდი; აღარ ყვიროდა, ტუჩებმოკუმული იბრძოდა, რათა შეუძლებელს მისწვდენოდა.

- ზორბას, ზორბას, - დაუყვირე, - კმარა!

მეშინოდა, ვაითუ ასეთი ძალდატანებისთვის მის ბებერ სხეულს ვერ გაეძლო და ჰაერში ნამსხვრევებად მიმოფანტულიყო.

ვეძახდი, მაგრამ ზორბასი მიწის ხმას რას გაიგებდა, ჩიტის სული და გული ჩასდგომოდა.

ოდნავ შემკრთალი თვალს ვადევნებდი ველურ, სასონარკვეთი-ლებამდე მისულ ცეკვას. პატარა რომ ვიყავი, ჩემი წარმოსახვა აღვირმიშვებული მუშაობდა, მეგობრებს საზარელ ამბებს ვუყვებოდი და მათი თვითონაც მჯეროდა.

- პაპა როგორ მოგიკვდა? - მკითხეს ერთხელ პირველ კლასში თანაკლასელებმა.

მეც მაშინვე ზღაპარი შევთხმე. ვლაპარაკობდი და გზადაგზა ვიგონებდი სათქმელს; რაც უფრო მეტს ვთხზავდი, მით მეტად ვიჭვრებდი თავადაც:

- პაპაჩემს რეზინის ფეხსაცმელი ეცვა. ერთ დღეს, როცა თეთრი წვერი ამოუვიდა, ჩვენი სახლის სახურავიდან გადმოხტა, მაგრამ როგორც კი მიწას შეეხო, ბურთივით ახტა და სახლს ასცდა. სულ უფრო და უფრო მაღლა მიქროდა, სანამ ღრუბლებში არ გაუჩინარდა. ასე დაიღუპა პაპაჩემი.

იმ დღიდან მოყოლებული, რაც ეს მითი შევქმენი, რამდენჯერაც წმინდა მინასის პატარა ეკლესიაში მივდიოდი და დაბლა, კანკელზე, ქრისტეს ამაღლებას ვუყურებდი, ხელს ვიშვერდი და თანაკლასელებს ვეუბნებოდი:

- აგერ, რეზინისფეხსაცმლიანი პაპაჩემი!

ამალამაც, ამდენი წლის შემდეგ, ზორბასს რომ ვუყურებდი, როგორ ხტოდა ჰაერში, კვლავ განვიცადე ბავშვობისდროინდელი ძრწოლა: მეშინოდა, ღრუბლებში არ გაუჩინარებულიყო.

- ზორბას, ზორბას, - ვეძახდი, - კმარა!

აქოშინებულმა ზორბასმა მიწაზე მოიკალათა. სახე ბედნიერები-საგან უბრწყინავდა. ჭაღარა თმა შუბლზე მისწებებოდა და ნახშირთ-ან არეული ოფლი ლოყებსა და ნიკაპზე ჩამოსდიოდა.

შეშფოთებული დავიხარე მისკენ.

- ამოვისუნთქე, - მითხრა ცოტა ხანში, - თითქოს სისხლი გამომი-შვეს. ახლა ლაპარაკი შემიძლია.

ბარაკში შევიდა და მაყალის წინ ჩამოჯდა. სახე უბრწყინავდა.

- რამ მოგიარა, რამ აგაცეკვა?

- რამ, ბატონო? დიდი სიხარული მახრჩობდა, გული უნდა გადა-მეყოლებინა. ადამიანმა გული რას უნდა გადააყოლოს? სიტყვებს? კმ!

- რა გიხარია?

აღელვებულმა შემომხედა, ტუჩები უთრთოდა.

- რა მიხარია? ის, რაც ახლა მითხარი, ისე, უაზროდ თქვი? შენ თვითონ ვერ მიხვდი? აქ ნახშირისთვის არ მოვსულვართო, ასე არ თქვი?.. ისე, გულის გადასაყოლებლად! ჩამოვედით, რომ დრო გავიყვანოთ, ხალხს თვალეებში ნაცარი შევაყაროთ, თან სულელები არ ვეგონოთ და გამონურული ლიმონის ქერქი არ გვესროლონ. ჩგ-ენ კი, უცხო თვალისგან მიფარებული, მართო რომ დავრჩებით, სი-ცილით ჩავბჟირდეთ! გეფიცები, მეც ეს მინდოდა, მაგრამ წესიერად ვერ ვხვდებოდი. ხან ნახშირზე ვფიქრობდი, ხან ქალბატონ ბუბული-ნაზე, ხან შენზე... როდესაც გალერეას ვჭრიდი, ვამბობდი: “ნახშირი მინდა! ნახშირი მინდა! ნახშირი მინდა!”, თხემით ტერფამდე ნახშ-ირად გადავიქცეოდი ხოლმე. მუშაობის დამთავრების შემდეგ ამ ბებერ სელაპს რომ ვეთამაშებოდი, მურა ნახშირსაც და ყველა ბა-ტონსაც მის ყელის თასმაზე ვცვლიდი. ზორბასსაც ვკარგავდი. მარ-ტო რომ ვრჩებოდი და საქმე არ მქონდა, შენზე ვფიქრობდი, ბატო-ნო და გული მეზბარებოდა. სულზე ლოდად მანვა: “სირცხვილია, ბიჭო ზორბას, - ვყვიროდი, - ამ კარგ ადამიანს დასცინო და ფული

შეუჭამო. როდემდე უნდა მოიქცე ნაძირალასავით, ბიჭო ზორბას? კმარა უკვე!”

გეუბნები, ბატონო, დაბნეული ვიყავი, ერთი მხრიდან ეშმაკი მექაჩებოდა, მეორე მხრიდან - ღმერთი, შუაზე მგლეჯდნენ. ახლა, შენ კი გაიხარე, ბატონო, ერთი მნიშვნელოვანი რამ თქვი და თვალები ამეხილა! მივხვდი! შევთანხმდით. ახლა ცეცხლი ზარბაზნებს! ფული კიდევ რამდენი დაგრჩა? ჩამოდი! ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი!

ზორბასმა ოფლი მოიწმინდა, ირგვლივ მიმოიხედა. ვახშმის ნარჩენები სუფრაზე მიმოხრეულიყო. ხელი გაიწოდა:

- შენი ნებართვით, ბატონო, - მითხრა, - ისევ მომშივდა.

ერთი ნაჭერი პური, ხახვი, ერთი მუჭა ზეთისხილი აიღო. ხარბად ჭამდა. მათარა ისე მოიყუდა, რომ ტუჩებით არ შეხებია. ღვინო არაკრავდა. კმაყოფილმა ზორბასმა ენა გააწკლაპუნა.

- გული საგულეს ჩამიდგა, - თქვა.

შემომხედა და თვალი ჩამიპაჭუნა:

- რატომ არ იცინი? - მკითხა. - ასე რატომ მიყურებ? ასეთი ხასიათი მაქვს. ეშმაკი მიზის შიგნით და ყვირის. მეც მის ბრძანებებს ვასრულებ. ყოველთვის, როცა ლამისაა შევიშალო, მიყვირის: “იცეკვე!” და ვცეკვავ. გულზე მეშვება. ერთხელ, როცა ქალკიდიკიში შვილი, დიმიტრაკისი, მომიკვდა, ავდექი და ვიცეკვე. ნათესავ-მეგობრებმა ნეშტის წინ მოცეკვავე რომ დამინახეს, დასაჭერად მომცვივდნენ. “ზორბასი გაგიყდა! - ყვიროდნენ. - ზორბასი გაგიყდა!”. მაგრამ იმნამს რომ არ მეცეკვა, ვერ მოვინელებდი, ტკივილისაგან გაგვიყდებოდი. ჩემი პირველი ვაჟი იყო, სამი წლისა და მისი დაკარგვის გადატანა არ შემეძლო. მიხვდი, რას გეუბნები, ბატონო, თუ წყალს ვნაყავ?

- მივხვდი, ზორბას, მივხვდი, წყალს არ ნაყავ.

- ერთხელ რუსეთში ვიყავი, იქაც, ნოვოროსიისკთან, სპილენძის

მალაროში სამუშაოდ წავედი.

ხუთიოდე რუსული სიტყვა მქონდა ნასწავლი, რაც მუშაობაში მჭირდებოდა: “არა, კი, პური, წყალი, მიყვარხარ, მოდი, რამდენი?”. ერთ რუსს, თავგამოდებულ ბოლშევიკს, დავუმეგობრდი. ჰოდა, წამოვიჭიმებოდით ხოლმე ყოველ საღამოს ნავსადგურის დუქანში, რამდენიმე გრაფინ არაყს გადავხუხავდით და ხასიათზე მოვდიოდით. ხასიათზე მოსულებს კი გული გვეხსნებოდა. მას უნდოდა, რუსული აჯანყების დროს ნანახი და გადატანილი ჩემთვის დაწვრილებით მოეთხრო, მე კი - ჩემი ცხოვრებისა და ტანჯვა-წვალების შესახებ გამეჩინო; დავთვერით და დავმეგობრდით.

ფესტებით, მიკიბულ-მოკიბულად ვაგებინებდით ერთმანეთს. ის პირველი იწყებდა ლაპარაკს. როცა ვეღარ ვიგებდი, ვუყვირებდი: “სტოპ!”. მაშინ საცევკაოდ წამოდგებოდა ხოლმე, რომ სათქმელი ცეკვით გამოეხატა. მეც ასე ვშვრებოდი. რასაც სიტყვებით ვერ ვამბობდით, ფეხებით, ხელებით, მუცლით ან ველური შეძახილებით ვამბობდით: “ჰაი-ჰაი! ჰოპლა! შეუბერე!”.

პირველმა რუსმა დაიწყო. ჰყვებოდა, როგორ აიღეს ხელში იარაღი, როგორ გაჩაღდა ომი, როგორ ჩამოვიდნენ ნოვოროსიისკში... როცა მის ნათქვამს ვერ ვიგებდი, ხელს ვწევდი, ვყვიროდი: “სტოპ!”. რუსი მაშინვე წამოხტებოდა ხოლმე და ცეკვას იწყებდა! შეპყრობილივით ცეკვავდა, მე კი მის ხელებს, ფეხებს, მკერდს, თვალებს ვუცქერდი და ყველაფერს ვხვდებოდი: როგორ შემოვიდნენ ნოვოროსიისკში, როგორ დახოცეს ბატონები, როგორ გაძარცვეს მალაზიები, როგორ შეცვივდნენ სახლებში და ქალებს ეცნენ. უნამუსოები თავიდან ტიროდნენ, იკანრებოდნენ, მაგრამ თანდათან მოთვინიერდნენ, თვალებს ხუჭავდნენ და კმაყოფილებისგან კვნესოდნენ. ქალები არიან, ხომ იცი...

მერე მე ვიწყებდი. რუსი - მგონი, ცოტა გონებაჩლუნგი იყო - მაშინვე ყვიროდა: “სტოპ!”. მეც მეტი რა მინდოდა! წამოვვარდებოდი ხოლმე, სკამებსა და მაგიდებს გავწევდი, ცეკვას ვიწყებდი... ეჰ, ბიჭო, სადამდე დაემზენ ადამიანები, ფუი, მოწყდნენ თავიდან! სხეულს აღარ უსმენენ და დაუმუნჯდათ, მხოლოდ პირითლა ლაპარაკობენ. მაგრამ რას იტყვის პირი, რის თქმა შეუძლია? რუსისთვის უნ-

და შეგეხედა, თავიდან ფეხებამდე თვალებით როგორ მჭამდა. ყველაფერი ესმოდა! ცეკვა-ცეკვით ვუამბე ჩემს ტანჯვა-წამებაზე, მოგზაურობებზე, რამდენჯერ ვიქორწინე, რა ხელობებს დავეუფლე. ქვის სამტეხლოს მუშა, მენადმე, მენვრილმანე, მეთუნე, აჯანყებული, სანთურიზე დამკვრელი, თხილქულის მხალავი, მათხოვარი, კონტრაბანდისტი რომ ვიყავი; ციხეში როგორ ჩამაყუდეს, როგორ გამოვიპარე, როგორ ჩამოვალწიე რუსეთში...

ყველაფერს, ყველაფერს ხვდებოდა, მერე რა, რომ ჩლუნგი იყო. ჩემი ხელ-ფეხი, თმა, ტანსაცმელი ლაპარაკობდნენ. ქამარზე ჩამოკიდებული ჯიბის დანაც კი ლაპარაკობდა... რომ დავასრულე, რუსი გადამეხვეოდა, მკოცნიდა, ისევ ვივსებდით ჭიქებს არყით, ვტიროდით და ვიცინოდით, ერთიმეორეს ვეხვეოდით... დილაუთენია კი ვშორდებოდით და დასაძინებლად ბარბაცით მივდიოდით. საღამოს ისევ ვხვდებოდით ერთმანეთს.

გეცინება? არ გჯერა, ბატონო? გულში ამბობ: “ეს სინდბადი რას მიედ-მოედება? განა ცეკვით შეიძლება ლაპარაკი?”. მაგრამ თავს დავდებ, რომ ღმერთები და ეშმაკები სწორედ ასე ლაპარაკობენ.

ვხედავ, ძილი მოგერია. ძალიან სათუთი ხარ, ვერ უძლებ. მიდი, ჰე, დაიძინე. ხვალ ისევ შევხვდებით. ერთი გეგმა მაქვს, მნიშვნელოვანი გეგმა. ხვალ გეტყვი. კიდევ ერთ სიგარეტს მოვწვევ, შეიძლება, თავი ზღვაშიც ვდურთო: ცეცხლი მომედო, უნდა ჩავაქრო. ღამე მშვიდობისა!

დიდხანს ვერ დავიძინე. წასულია-მეთქი ჩემი ცხოვრება, ვფიქრობდი. ნეტავ შემძლებოდა, ღრუბელი ამელო და ყველაფერი - ნაკითხული, ნანახი და გაგონილი - წამეშალა, ზორბასის სკოლაში შევსულიყავი და დიდი, ჭეშმარიტი ანბანის სწავლა დამეწყო! რა განსხვავებულ გზას დავადგებოდი! ჩინებულად გავივარჯიშებდი ხუთივე გრძნობას, მთელ კანს, რათა ეგრძნო და გაეხარა. სირბილს, ჭიდაობას, ცურვას, ჯირითს, ნიჩბის მოსმას, ავტომობილის მართვას, თოფის სროლას ვისწავლიდი. სულს ხორციით ავივსებდი, ხორცს - სულით. ბოლოს და ბოლოს, ამ ძველისძველ მტრებს დავამეგობრებდი ჩემში...

ლოგინში წამომჯდარი ჩემს დაღუპულ ცხოვრებას ვიგონებდი. ღია კარიდან ვარსკვლავების ნათებაში ბუნდოვნად გავარჩიე ზორბასი, რომელიც ღამის ფრინველივით ქვაზე დაყუნცული ზღვას გაჰყურებდა და მისი მშურდა. "ჭეშმარიტებას მიაგნო, - ვფიქრობდი. - ის არის გზა!"

უძველეს დროში ზორბასი მოდგმის მამამთავარი იქნებოდა, წინ ივლიდა და წალდით გზას გაკაფავდა; ან სახელგანთქმული ტრუბადური იქნებოდა, დიდებულთა ციხე-კოშკებს დაივლიდა და ყველანი - ბატონები, მსახურები, ქალბატონები - მის სქელ ტუჩებს მიაჩერდებოდნენ... ჩვენს გაუხარეელ ეპოქაში კი დამძეული მგელივით ბაკებს ირგვლივ უვლის, დაძრწის, ან კნინდება და რომელიმე მწიგნობრის მასხარა ხდება.

უცებ დავინახე, ზორბასი ადგა. გაიხადა, ტანსაცმელი კენჭებზე მიყარა და ზღვაში გადაეშვა. მიღეული მთვარის შუქზე შიგადაშიგ ვარჩევდი მის თავს, რომელიც წყლიდან ამოდიოდა და კვლავ იკარგებოდა. დროდადრო ყვიროდა, ყფდა, ჭიხვინებდა, მამალივით ყიოდა. მისი სული ამ უდაბურ ღამეს ზღვაში მარტოდმარტო ცურვით ცხოველურ მდგომარეობას უბრუნდებოდა...

ძილმა შეუმჩნევლად წამართვა თავი. გამთენიისას ღიმილიანი, დასვენებული ზორბასი დავინახე, რომელიც ფეხზე მექაჩებოდა.

- ადექი, ბატონო, - მითხრა, - ჩემი გეგმა მინდა გაგანდო. მისმენ?

- გისმენ.

მუხლებზე დაჯდა და მიჩვენა, როგორ გაიყვანდა საბაგიროს მთის წვერიდან სანაპირომდე, რომ გალერეისთვის საჭირო ხის მასალა ჩამოეზიდა, ნარჩენებს კი შეშად გაყიდდა. გადანყვეტილი გვექონდა, მონასტრის ფიჭვის ტყე დაგვექირავებინა, მაგრამ გადაზიდვა ძვირი დაჯდებოდა და საკმარის ჯორებსაც ვერ ვიშოვიდით. ასე რომ, ზორბასმა მოიაზრა, სქელი ბაგირით, ბოძებით, ჭოჭონაქებით საბაგირო აეგო, რომ მთის მწვერვალიდან დაკიდებული მორები სანაპიროსკენ ძალიან სწრაფად დაშვებულიყო.

- თანახმა ხარ? - მკითხა დამთავრებისთანავე.

- თანახმა ვარ, ზორბას, მიდი.

მაყალი ამინთო, ყავადანი შემოდგა, ყავა მომიდულა, ფეხებზე პლუდი გადამაფარა, რომ არ გავციებულიყავი და კმაყოფილი წავიდა.

- დღეს, - თქვა, - ახალ გალერეას გაჭვრით, ერთი ისეთი ფენა ვიპოვე, ნამდვილი შავი ალმასია!

“ბუდას” ხელნაწერი გადავშალე, მეც ჩემს გალერეებში ჩავიძირე. რაც უფრო მეტს ვმუშაობდი, მით მეტად ვგრძნობდი ერთმანეთში გადახლართულ შვებას, სიამაყესა და ზიზღს. მაგრამ თავდაუზოგავად ვმუშაობდი, რადგან ვიცოდი, ამ ხელნაწერს რომ დავასრულებდი და ბაზრით შევკრავდი, გავთავისუფლდებოდი.

მშიოდა. ცოტაოდენი ქიშმიში, ნუში და ერთი ნაჭერი პური შევჭამე. ზორბასს ველოდებოდი, რომ მოვიდოდა და თან გულიან სიცილს, სასიამოვნო საუბარს, გემრიელ საჭმელს მოიტანდა.

სადამო ხანს გამოჩნდა. საჭმელი მოამზადა, ვჭამეთ, მაგრამ გონებით სხვაგან იყო. მუხლი მოიყარა, წკირები მიწაში ჩაარჭო, კანაფი გაჭიმა, ასანთის ღერები დაკიდა და ცდილობდა, დაედგინა, რა დახრა მიეცა მავთულისთვის, რომ ყველაფერი ნამსხვრევებად არ ქცეულიყო.

- თუ დახრა საჭიროზე მეტი იქნება, - მიხსნიდა, - ეშმაკი წაგვიღებს, თუ ნაკლები იქნება, ისევ ეშმაკი წაგვიღებს. ზუსტად ის დახრა უნდა მოვძებნოთ, რომელიც საჭიროა. ამას კი, ბატონო, ჭკუა და ღვინო სჭირდება.

- ღვინო უხვად გვაქვს, - ვუთხარი სიცილით, - მაგრამ ჭკუა?

ზორბასი სიცილისგან ჩაბჟირდა:

- შენც გაგეგება რაღაც, ბატონო, - მითხრა და სიყვარულით შემომხედა.

დასასვენებლად ჩამოვტა და სიგარეტს მოუკიდა. ხასიათზე მოვიდა და ენა აეხსნა.

- საბაგრო თუ გამოგვივა, - მითხრა, - მთელი ტყე ჩამოვზიდოთ, ქარხანა გავხსნათ, ფიცრები, ბოძები და მუყაო დავამზადოთ, ფული გავაკეთოთ, სამაფრიანი გემი ვიშოვოთ, გულა-ნაბადი ავიკრაოთ, აქედან ფეხი ამოვიკვეთოთ და სამყარო შემოვიაროთ!

ზორბასს გაბრწყინებული თვალები შორეული ქალებით, ქვეყნებით, ილუმინაციით, უზარმაზარი სახლებით, მანქანებით, თბომავლებით გაეფსო.

- ჭაღარა გამომერია, ბატონო, კბილები მერყევა, დასაკარგავი დრო აღარ მაქვს. შენ ახალგაზრდა ხარ, შეგიძლია, მოითმინო, მე არ შემიძლია. ღმერთს გეფიცები, რაც უფრო ვბერდები, ვგიჟდები! არადა მეუბნებიან, სიბერე ადამიანს ამშვიდებსო. ამბობენ, ადამიანს ჭკუა აკლდებაო, სიკვდილს ხედავს, კისერს უშვერს და ეუბნება: "მომკალი, ბატონო, რომ განვიწმინდო". მე კი, რაც უფრო ვბერდები, ვგიჟდები. არ ვნებდები, მთელი სამყაროს მონელება მიწდა.

წამოდგა, კედლიდან სანთური ჩამოხსნა.

- მოდი აქ, დემონო, - უთხრა, - რას დაკიდებულხარ კედელზე და დადუმებულხარ? ხმა ამოიღე!

ვერ ვძლებოდი იმის ყურებით, როგორი ყურადღებითა და სიყვარულით იღებდა ზორბასი ტილოდან სანთურის, თითქოს ლედვს ფცქვნიდა, თითქოს ქალს აშიშვლებდა.

სანთური მუხლებზე დაიდო, მისკენ დაიხარა, სიმებს მსუბუქად მიეალერსა - თითქოს უთანხმებდა, რა უნდა ემღერათ. ევედრებოდა, გაეღვიძა, იყოლიებდა, მის სულთან გაამხანაგებულიყო, რომელიც უკვე ფორიაქობდა და მარტოობას ვერ უძლებდა. სიმღერა წამოიწყო, არ გამოსდიოდა, თავი მიანება, ახლა მეორე დაიწყო. სიმები წიოდნენ, თითქოს სტკიოდათ, თითქოს არ უნდოდათ. ზორბასი კედელს მიეყრდნო, შუბლიდან ერთბაშად გადმომსკდარი ოფლი მოიწმინდა.

- არ უნდა... - ჩაიჩურჩულა და სანთურის შიშით შეხედა, - არ უნდა...

ისევ ფრთხილად გაახვია, გეგონება, მხეცი იყო და ეშინოდა, მისთვის არ ეკბინა. ნელა წამოდგა და კედელზე ჩამოკიდა.

- არ უნდა... - კვლავ ჩაიჩურჩულა, - არ უნდა... ძალას ვერ დავატან.

ისევ ძირს დაჯდა, მაყალის ნაკვერცხალზე წაბლი დაყარა, ჭიქები ღვინით შეავსო. დალია, კიდევ დალია, ერთი წაბლი გაფცქვნა, მომანოდა.

- გესმის რამე, ბატონო? - მკითხა. - მე დავიბენი. ყველაფერს აქვს სული: შეშასაც, ქვებსაც, ღვინოსაც, რომელსაც ვსვამთ და მიწასაც, რომელზეც დავაბიჯებთ. ყველაფერს, ყველაფერს, ბატონო.

ჭიქა ასწია.

- შენ გაგიმარჯოს!

გამოცალა, ისევ შეივსო.

- უნამუსო ცხოვრება! - ჩაიჩურჩულა. - უნამუსო! ისიც ქალბატონ ბუბულინასავითაა.

გამეცინა.

- მომისმინე, ბატონო, ნუ იცინი. ცხოვრება ქალბატონ ბუბულინასავითაა. ბებერია, მაგრამ კარგად მართობს, მოღალატე; ნამდვილი ხელოვანია, გონებას გაკარგვინებს. თვალეებს დახუჭავ და გგონია, რომ ოცი წლის გოგოს ეხვევი. კაცო, ოცი წლის გოგოს ემსგავსება-მეთქი, მე შენ გეუბნები, როცა ხასიათზე ხარ და შუქს აქრობ!

მეტყვი, ნახევრად მიხრწნილია, ცხოვრებაში დაუჭერებელი ამბები ჩაუდენია, აღმირალების, მეზღვაურების, ჯარისკაცების, სოფლელების, მეწვრილმანეების, მღვდლების, მეთევზეების, ჟანდარმების, მასწავლებლების, მქადაგებლების, მომრიგებელი მოსამა-

რთლებების ხელში გამოუვლიაო, მაგრამ მერე რა? უღირს ქალს მალე ავიწყდება, არც ერთი საყვარელი არ ახსოვს, სიმართლეს გეუბნები, უმნიკვლო, ახალგამოჩევილ მტრედად, ლამაზ გოგონად იქცევა და წითლდება. ყური მიგდე, რას გეუბნები, წითლდება და თრთის, თითქოს კაცთან პირველად იყოს. გამოუცნობია ქალი, ბატონო. ათასჯერაც რომ დაეცეს, ათასჯერ ქალწულად წამოდგება ფეხზე. რატომ? - შემეკითხები. იმიტომ, რომ არ ახსოვს.

- სამაგიეროდ, თუთიყუშს ახსოვს, ზორბას, - ვუთხარი გასადიზიანებლად. - მუდამ ყვირის სახელს, რომელიც შენი არ არის. განა ეს არ გაგიჟებს? როცა მასთან ერთად მეცხრე ცაზე იმყოფები და თუთიყუშის ყვირილი გესმის: “კანავარო! კანავარო!”, არ გიჩნდება სურვილი, ყელში სწვდე და დაახრჩო? ბოლოს და ბოლოს, უკვე დროა, ასწავლო, “ზორბასი! ზორბასი!” იყვიროს.

- ვაჰ, ვაჰ! მეტი საქმე არა გაქვს! - დაიყვირა ზორბასმა და ყურებზე ხელები აიფარა. - დაახრჩვეო, მეუბნები. მე, პირიქით, ვგიჟდები, იმ სახელს რომ ყვირის. დაკიდებს ხოლმე უღმერთო საწოლის თავთან, მას კი ისეთი თვალი აქვს, წყვილიადს ხვრეტს. როგორც კი დაგვინახავს, რომ ერთად ვწევართ, ყვირილს იწყებს: “კანავარო! კანავარო!”.

მეც გეფიცები, ბატონო, მაშინვე... მაგრამ შენ რას გაიგებ, წყეულმა წიგნებმა შეგჭამეს! გეფიცები, ფეხებზე გალაქულ ფეხსაცმელს ვგრძნობ, თავზე ბუმბულებს, აბრეშუმის წვერს, რომელსაც სურნელოვანი ზეთი უსვია. “ბონ ჯორნო! ბუონა სერა! მანგიატე მაკარონი?!”(დილა მშვიდობისა! საღამო მშვიდობისა! მაკარონი მიირთვით! (იტალ.)) ნამდვილი კანავარო ვხდები. ჩემს ათასგზის დახვრეტულ საფლაგმანო გემზე ავდივარ და ქვემეხების ქუხილი იწყება!

ზორბასს სიცილი აუტყდა. მარცხენა თვალი მოჭუტა, შემომხედა.

- მაპატიე, ბატონო, - მითხრა, - მაგრამ პაპაჩემს ვგავარ, კაპიტან ალექსისს, ღმერთმა აცხონოს! ასი წლისა იყო, საღამოს თავისი სახლის ბღურბლზე დაჯდებოდა ხოლმე, რომ წყაროზე მიმავალი გოგონების ყურებით დამტკვარიყო. თვალის ჩინი დაკლებოდა, კარგად ვერ არჩევდა. ჰოდა, გოგონებს გასძახებდა ხოლმე. “რომელი

ხარ, გოგო? - მასტრანტონისის ლენიო! - მოდი, გოგო, შეგეხო! მოდი, გოგო, ნუ გეშინია!". გოგონაც სიცილს იკავებდა და უახლოვდებოდა. პაპაჩემი დაადებდა ხელისგულს სახეზე, მიასრიალებდა. საათუთად, ნდომით ეხებოდა და ტირილი უფარდებოდა. "რატომ ტირი, პაპა?" - ვკითხე ერთხელ. "ეჰ, შვილო, როგორ არ ვიტყვო, რომ ვკვდები და ამდენ ლამაზ გოგოს ვტოვებ?"

ზორბასმა ამოიხვნეშა.

- ეჰ, უბედურო პაპა, - თქვა, - როგორ მესმის შენი! ხშირად ვზივარ და ჩემთვის ვამბობ: "ეჰ! ეჰ! ნეტავ ყველა ლამაზმანი ჩემთან ერთად მოკვდებოდეს!". მაგრამ ეს ქუჩის ქალები იცოცხლებენ, კარგად იცხოვრებენ, არც ალერსი და კოცნა მოაკლდებათ, ზორბასი კი მიწად იქცევა, რომ ზედ გადაუარონ!

გავარვარებული ნაკვერცხლებიდან რამდენიმე წაბლი ამოიღო, გაფცქვნა. ერთმანეთს ჭიქები მივუჭახუნეთ. კარგა ხანს ვსვამდით, ორი დიდი ბოცვერივით პირს ვაცმაცუნებდით და ზღვის ღრიალს ვუსმენდით.

VII

კარგა ხანს ჩუმად ვისხედით მაყალთან. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა უბრალო და ზომიერი რამაა ბედნიერება: ჭიქა ღვინო, წაბლი, უბრალო მაყალი, ზღვის გუგუნი - სხვა არაფერი. რათა იგრძნო, რომ ეს ყველაფერი ბედნიერებაა, მხოლოდ უბრალოება და ზომიერებაა საჭირო.

- რამდენჯერ იქორწინე, ზორბას? - ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ.

ორივენი კარგ ხასიათზე ვიყავით, იმდენად ბევრი ღვინისგან არა, რამდენადაც შინაგანი, გამოუთქმელი ბედნიერებისგან. ორივენი ჩვენებურად ვხვდებოდით შინაგანად, რომ დღემოკლე, დედამიწის ქერქს კარგად ჩაჭიდებული პატარა მწერები ვიყავით; სანაპიროსთან, ლერწმების, ფიცრების, ბიდონების უკან, მყუდრო თავშესაფარი მოგვეძებნა და ერთიმეორეს მჭიდროდ მიგვკვროდით. წინ სასიამოვნო და გემრიელი საჭმელი გვედგა, გულში - მყუდროება, სიყვარული და უსაფრთხოება.

ზორბასმა ვერ გაიგონა. ერთმა ღმერთმა უწყის, რომელ ზღვებში დაცურავდა მისი გონება. ჩემი ხმა ვერ სწვდებოდა. ხელი გავიწოდე, შევეხე.

- რამდენჯერ იქორწინე, ზორბას? - კითხვა გავუმეორე.

გაიგონა, წამოხტა და ხელი აიქნია.

- უჰ, - მომიგო, - ნეტა ერთი, რას იქექები! ადამიანი არა ვარ? მეც ჩავიდინე დიდი სიბრიყვე. ყველა დაქორწინებულმა მაპატიოს, მაგრამ ასე ვუნოდებ ქორწინებას. ჰოდა, დიდი სიბრიყვე ჩავიდინე, დავქორწინდი.

- კარგი, მაგრამ რამდენჯერ?

გალიზიანებულმა ზორბასმა კეფა მოიქექა, წამით ჩაფიქრდა.

- რამდენჯერ? - თქვა ბოლოს. - კანონიერად ერთხელ, პირველად და უკანასკნელად, ნახევრად კანონიერად - ორჯერ; უკანონოდ - ათასჯერ, ორი ათასჯერ, სამი ათასჯერ. დავთარში ხომ არ ჩავიწერდი!

- მიდი, მომიყევი, ზორბას! ხვალ კვირა დღეა, გავიპარსოთ, საგარეო ტანსაცმელი ჩავიცვათ, ქალბატონ ბუბულინასთან წავიდეთ, ცხოვრებით ვისიამოვნოთ! საქმე მაინც არაფერი გვაქვს, ჰოდა, რამე მომიყევი.

- აბა, რა მოგიყვე? ეს რა სალაპარაკოა, ბატონო. კანონიერი შეწყვილება წყალწყალა, უწინაკო საჭმელია. რა გითხრა? იმგვარი კოცნაა, წმინდანები რომ მოგიწონებენ და კანკელიდან დაგლოცავენ. ჩვენს სოფელში ამბობენ ხოლმე: “მხოლოდ მოპარული ხორცია გემრიელი”. ცოლი მოპარული ხორცი არ არის.

უკანონო შეწყვილებას რომელ ერთს დაიმახსოვრებ! მამალი დავთარს აწარმოებს? ნეტა ერთი! ან კი რატომ უნდა აწარმოოს? ერთხელ, ახალგაზრდობაში, ახირება მქონდა, ყოველი ქალისთვის, რომელთანაც ვწვებოდი, კულული უნდა გამომემართმია. მაკრატელი სულ თან დამქონდა. ეკლესიაშიც რომ წავსულიყავი, მაკრატელი ჭიბეში მედო. ადამიანები ვართ, რა იცი, რა ხდება.

ვაგროვებდი კულულებს: შავს, ქერას, წაბლისფერს, ჭადარაშერეულსაც კი; ვაგროვე, ვაგროვე და ბალიში ავაკსე. თავქვეშ ამოვიდებდი ხოლმე და ასე ვიძინებდი; ოღონდ მხოლოდ ზამთარში, ზაფხულში ცეცხლს მიკიდებდა. თუმცა ცოტა ხანში ესეც შემზიზილდა: სუნი აუშვა და დავწვი.

ზორბასმა გაიცინა.

- ეს იყო ჩემი დავთარი, ბატონო, დაიწვა. მომწყინდა, მეგონა, ცოტა იქნებოდა, მაგრამ ვნახე, რომ დასასრული არ ჰქონდა და მაკრატელი გადავაგდე.

- ნახევრად კანონიერი შეწყვილებები, ზორბას?

- ოჰ, ეგეც კარგი სამხიარულო რამაა, - ჩაიხითხითა. - ოჰ, დაილოცოს სლავი ქალი! თავისუფლებაა! არ გეკითხება: სად იყავი? რატომ დაიგვიანე? სად გეძინა? არც თვითონ გეკითხება, არც შენ ეკითხები. თავისუფლება!

ჭიქა გაალიცლიცა, გამოცალა, წაბლი გაფცქენა. ღეჭვა-ღეჭვით განაგრძო:

- ერთს სოფინკა ერქვა, მეორეს - ნიუშა. სოფინკა ერთ დიდ სოფელში გავიცანი, ნოვოროსიისკთან ახლოს. ზამთარი იდგა, თოვდა. მალაროში მივდიოდი, სოფელში გავიარე და გავჩერდი. იმ დღეს ბაზრობა იყო, გარშემო სოფლებიდან ქალები და კაცები სავაჭროდ ჩამოსულიყვნენ. დიდი შიმშილობა იდგა, საშინლად ციოდა. პურის საყიდელი ფულისთვის ადამიანები, რაც ჰქონდათ და არ ჰქონდათ, ყველაფერს ყიდდნენ, ხატებსაც კი.

ბაზარში რომ დავეხეტებოდი, ჩათქვირებული, ორმეტრიანი, ზღვასავით ლურჯთვალემა, ფაშატივით თეძოგანიერი გლეხის გოგო დავინახე, რომელიც საზიდრიდან ჩამოხტა... თავგზა ამებნა. “ეჰეი, საცოდავო ზორბას, - ჩავილაპარაკე, - დაილუპე!”

გავედევნე. თვალებით ვჭამდი. ვჭამდი, მაგრამ როგორ უნდა გავმძღარიყავი! ღუნღულები აღდგომის ბარებივით ერხეოდა. “მალაროს რას დაეძებ, შე კაცო? - გულში ვამბობდი. - სად მიდიხარ და იკარგები, სულელო? აგერ, ნამდვილი მალარო, თავით გადაეშვი, გვირაბები გაჭერი!”

გოგო შეჩერდა, ივაჭრა, შეშა იყიდა, ასწია - ღმერთო, რა მკლავები ჰქონდა! - და საზიდარზე შეყარა. ცოტა პური და ხუთი-ექვსი შებოლილი თევზი იყიდა. “რა ღირს?” - იკითხა. “ამდენი”. გადასახდელად ოქროს საყურე მოიხსნა. ფული არ ჰქონდა, საყურის მიცემას აპირებდა. აქ კი გავცხარდი. დამეცლია ქალისთვის, რომ საყურე, მოსართავები, სურნელოვანი საპონი, ლავანდის ბოთლი მიეცა... ესეც რომ მიეცა, სამყარო დაილუპებოდა! ეს ხომ ფარშევანგის გაპუტვა იქნებოდა. გული მოგიტმენს, ფარშევანგს გაპუტვა აცალო? არასოდეს! “არა, არა, სანამ ზორბასს პირში სული უდგას, - ვთქვი, - ეს არ მოხდება”. ქისა გავხსენი, გადავიხადე. ის დრო იყო, როცა

რუბლი ქალაქის ნაგლეჯად იქცა, ასი დრაქმით ჯორს ყიდულობდი, ათი დრაქმით - ქალს.

გადავიხადე. ჩათქვირებული გოგო ჩემკენ მობრუნდა, შემომხედა. ხელზე დამწვდა სამთხვევად, მაგრამ გამოვგლიჯე. რა, ბებრად ჩამთვალა?! “სპასიბა! სპასიბა!” - დამიყვირა, აქაოდა: “მადლობა! მადლობაო!” და ერთი ნახტომით საზიდარზე აღმოჩნდა, ალვირი მოსწია, შოლტი შემართა. “ზორბას, - ვთქვი მაშინ, - ჭკუით, ბიჭო, გაგექცევა!”. მეც ერთი ნახტომით საზიდარზე აღმოვჩნდი, მის გვერდით. არაფერი უთქვამს, არც კი შემოუხედავს. ცხენს გადაუჭირა, დავიძარიო.

გმაში მივახვედრე, რომ ცოლად მინდოდა. ცოტა რუსული ვიცოდი, მაგრამ ამ საქმეს ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. თვალებით, ხელებით, მუხლებით ვლაპარაკობდით. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სოფელში ჩავედით, ერთი ქოხის წინ გავჩერდით. ჩამოვხტით. გოგომ კარს ხელი ჰკრა, გააღო, შევედით. შეშა ეზოში ჩამოვცალეთ, თევზი და პური ოთახში შევიტანეთ. ჩამქრალ ბუხართან დედაბერი იჯდა, კანკალებდა. ტომრებში, კონკებში, ცხვრის ტყავში ჩაფუთულიყო, მაგრამ მაინც ცახცახებდა. ისეთი სიცივე იყო-მეთქი, ფრჩხილები დაგძვრებოდა. დავიხარე, ბუხარში ბლომად შეშა დავანყვე, ცეცხლი დავანთე. დედაბერი მიყურებდა და მილიმოდა. ქალიშვილმა რაღაც უთხრა, მაგრამ ვერ გავიგე. ცეცხლს შევუკეთე. დედაბერი გათბა, გამოცოცხლდა.

გოგონამ ამასობაში სუფრა გააწყო. ცოტა არაყი მოიტანა, დავლიეთ. სამოვარი აანთო, ჩაი დააყენა, დავსხედით, ვჭამეთ, მოხუცსაც მივანოდეთ. შემდეგ გოგონამ ლოგინი გაშალა, სუფთა ბენარი გადააფარა, ღვთისმშობლის ხატის წინ კანდელი აანთო, პირჯვარი გადაიწერა. მანიშნა, ორივემ დედაბრის წინაშე მუხლი მოვიყარეთ და ხელზე ვემთხვიეთ. მანაც გაძვალტყავებული ხელები ჩვენს თავზემით გამოიწოდა და რაღაც ჩაიბუტბუტა, ჩანს, დაგვლოცა. “სპასიბა! სპასიბა!” დავიძახე და ერთი ნახტომით მე და ჩათქვირებული გოგო ლოგინში აღმოვჩნდით.

ზორბასი დადუმდა. თავი ასწია, გაღმა, ზღვისკენ, გაიხედა.

- სოფინკა ერქვა... - თქვა ცოტა ხანში და გაჩუმდა.

- მერე? - ვკითხე სულწასულმა. - მერე?

- რაღა მერე? ეს რა აკვიატება გაქვს, ბატონო, სულ “მერეს” და “რატომს” გაიძახი! ამისი თქმა იქნება, ღმერთს გაფიცებ? ქალი გამაგრილებელი წყაროა, იხრები, შენს სახეს ხედავ, ენაფები, ენაფები და ძვლები გიჭრიალებს. მერე სხვა მწყურვალე მოდის, ისიც იხრება, თავის სახეს ხედავს და ენაფება. შემდეგ სხვა... ამას ნიშნავს წყარო, ამას ნიშნავს ქალი.

- მერე, წამოხვედი?

- აბა, რა უნდა მექნა? ხომ ვთქვი, ის წყაროა, მე - გამვლელი, ისევ გზას გავუდექი. მასთან სამი თვე დავრჩი, ღმერთმა კარგად ამყოფოს, ვერ დავიჩივლებ. მაგრამ სამი თვის შემდეგ გამახსენდა, რომ მალაროში სამუშაოდ ვიყავი წამოსული. “სოფინკა, - ვუთხარი ერთ დილას, - საქმე მაქვს, უნდა წავიდე”. “კარგი, - მითხრა სოფინკამ, - წადი. ერთი თვე დაგელოდები; ერთ თვეში თუ არ დაბრუნდი, თავისუფალი ვარ. შენც თავისუფალი ხარ. ღმერთმა დაგლოცოს!”. წამოვედი.

- ერთ თვეში დაბრუნდი?

- ბოდიში, მაგრამ სულელი ხომ არა ხარ, ბატონო! - დაიყვირა ზორბასმა. - სად უნდა დავბრუნებულიყავი! თავს განებებენ წყეულები? ერთი თვის შემდეგ ყუბანში ნიუშას გადავეყარე.

- მიაბზე! მიაბზე!

- სხვა დროს, ბატონო! საწყლებს ერთმანეთში ნუ აგურევთ! სოფინკას გაუმარჯოს!

ღვინო ერთ ყლუპად გადაუშვა, კედელს მიეყუდა.

- კარგი, - თქვა, - ნიუშაზეც მოგიყვები. თავში ამაღამ რუსეთი მიტრიალებს. ყველაფერს ბოლომდე ვიამბობ!

ულვაში შეიმშრალა, ნაკვერცხალი გაქექა.

- ის, ნიუშა-მეთქი რომ გეუბნები, ყუბანის ერთ სოფელში გავიცანი. იქ ბაფხულია. საზამთროსა და ნესვის მთებია. დავიხრებოდი, ავიღებდი და არავინ მეუბნებოდა: “ეი, რას აკეთებო”. შუაზე ვჭრიდი და შიგ ცხვირ-პირით ვეფლობოდი.

იქ, კავკასიაში, ყველაფერი უხვადაა, ბატონო, აარჩიე, რაც გინდა და აიღე! განა მართო ნესვი და საზამთრო? თევზიც, კარაქიცა და ქალებიც. ჩაივლი, დაინახავ საზამთროს, ხელს დაავლებ; დაინახავ ქალს, ხელს წამოავლებ. ისე კი არ არის, როგორც აქ, საცოდავ კოცენაში, ერთი ნაჭერი საზამთროსთვის სასამართლოში გიჩივლებენ, ქალს თუ შეეხე, ძმა დანას დააძრობს და აგკუნავს. სილატაკე, სიძუნწე, შენჩემობა, ფუი, მომწყდნენ თავიდან, გალღეტილები! ბიჭო, რუსეთში წადით, ბატონკაცური ცხოვრება ნახეთ!

მაშ, ყუბანში ვიყავი. ბოსტანში ქალი დავინახე, მომეწონა. უნდა იცოდეთ, ბატონო, სლავი ქალები ანგარებიანი ბერძენი ქალებივით არ არიან, სიყვარულს გრამობით რომ მოგყიდიან და მცდელობას არ აკლებენ, წონაში მოგატყუონ; სლავი ქალი, ბატონო, უხვად გინონის, თავმძიმედ; ძილშიც, სიყვარულშიცა და საჭმელშიც ძალიან ენათესავენებინ ცხოველებს, ძალიან ენათესავენებინ მიწას: იძლევა, უხვად იძლევა. ბერძენი ქალებივით, ამ მენვრილმანეებივით, არ ძუნწობს! “რა გქვია”, - ვკითხე. იცი, ქალებმა ცოტა რუსული მასწავლეს... “ნიუშა. შენ? - ალექსისი. ძალიან მომწონხარ, ნიუშა”. კარგად შემათვალეირა გასაყიდი ცხენივით. “შენც კაი ჯანიანი ჩანხარ, - მეუბნება. - მაგარი კბილები გაქვს, დიდი ულვაში, განიერი ბეჭები, მსხვილი მკლავები. მომწონხარ”. ბევრი არ გვილაპარაკია, არც იყო საჭირო, უმაღვე შევთანხმდით. იმავე საღამოს უნდა მივსულიყავი მასთან საგარეო ტანისამოსში გამოწყობილი. “ქურქი გაქვს?” - მეკითხება ნიუშა. “მაქვს, მაგრამ ამ სიცხეში...” “არა უშავს, თავის მოსაწონებლად წამოიღე”.

საღამოს სასიძოსავით გამოგენყე, მკლავზე ქურქი გადავიკიდე, ვერცხლისტარიანი ხელჯოხიც ავიღე, მივედი. დიდი სოფლური სახლი იყო, ეზოთი, ძროხებით, საწნახელებით. ეზოში ცეცხლი დაენთოთ, ქვაბები შემოედგათ. “რას ხარშავთ აქ?” - შევეკითხე. “საზამთრო-

ოს შარბათს”. “აქ?”. “ნესვის შარბათს”. “ბიჭო, ეს რა არის? - ვთქვი ჩემთვის. - გესმის, ნესვისა და საზამთროს შარბათი! ალთქმული მინაა, შორს სიღარიბე! დამილოცნიხარ, ზორბას, კარგ ადგილზე მოხვდი, როგორც თავგი - ყველის გუდაში”.

ხის კიბებზე ავედი. საფეხურები აჭრიალდა. კიბის ბაქანზე ნიუშას დედ-მამა იდგა. მწვანე შარვლებში გამოწყობილიყვნენ, წითელი სართყლები ამშვენებდათ. კეთილშობილებს ჰგავდნენ. მკლავები გაშალეს, ჩამიხუტეს, ჩამკოცნეს, დამდობლეს. სხაპასხუპით მეღაპარაკებოდნენ, იწიბინჩი არ გამეგებოდა, მაგრამ რა უჭირდა? სახებზე ვატყობდი, ჩემთვის ცუდი არ უნდოდათ.

შიგნით შევდივარ და რასა ვხედავ? კერძებით სავსე მაგიდებს. ყველა ნათესავი, ქალიცა და კაციც, ფეხზე იდგა, წინ კი შეღებილი, მორთული, გემის ცხვირზე მიმაგრებულ ქანდაკებასავით მკერდგამობვეკილი ნიუშა დავინახე. სილამაზესა და სიყმაწვილეს ასხივებდა, თავზე წითელი თავსაფარი წაეკრა, რომლის შუაშიც ნამგალი და ურო ამოექარგათ. “ბიჭო, ზორბას, შე უღმერთო, - გავიფიქრე, - ნუთუ ეს ხორცი სულ შენია? ნუთუ ამაღამ ამ სხეულს უნდა ჩაეხუტო?”

ქალებიცა და კაცებიც საჭმელში თავით გადავეშვით. ღორებივით ვთქვლევდით, კამეჩებივით ვხაპავდით. “მღვდელი? - ვკითხე ნიუშას მამას, რომელიც გვედით მეჯდა და ბევრი ჭამისაგან სხეულიდან ოხშივარი ასდიოდა. - მღვდელი სად არის, რომ დაგვლოცოს?” - “მღვდელი არ არის, - მიპასუხა და ნერწყვი შემომამხეფა. - მღვდელი არ არის. რელიგია ხალხის ოპიუმია”.

გაჭიმული წამოდგა, წითელი სართყელი შემოიხსნა და სიჩუმის დასამყარებლად ხელი ასწია. გალიცლიცებული ჭიქა ეჭირა და თვალეებში მიყურებდა. ლაპარაკი დაიწყო, გეგონებოდა, მოხსენებით გამოდისო. ღმერთმა უწყის, რას ამბობდა. დგომით დავიღალე, უკვე თავბრუ მეხვეოდა. ისევ დაგჯექი. დაგჯექი და მუხლი ნიუშას მუხლს მივანებე.

მოხუცი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, გაოფლიანდა. მისცვივდნენ, გასაჩუმებლად ჩაეხუტნენ. გაჩუმდა. ნიუშამ მანიშნა: “მიდი, შენც თქვი რამე!”

მაშინ მეც წამოვდექი და სიტყვა წარმოვთქვი, ნახევრად რუსულად, ნახევრად ბერძნულად. რა ვთქვი? წყეულიმც ვიყო, თუ ვიცოდე. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ბოლოს კლექტური სიმღერა წამოვიწყე. ავღრიალდი:

კლექტები მოდიან,

მაგ მთებში მოდიან,

დამალეთ ცხენები -

კლექტების ხუშტური,

კლექტებს გაუხუნდათ

წადილი,

ხელთ შერჩათ ნიუშა და

ტყუილი ქადილი!

ხედავ, ბატონო, შემთხვევას მივუსადაგე, ცოტა შევცვალე კიდეც:

კლექტები მიდიან, ნიუშა,

შენთან ახლოს არ მიუშვია...

ეხ, ჩემო ნიუშა,

საბრალო ნიუშა!

“ვაი!” დავიბღავლე თუ არა, ნიუშას ვეცი და ვაკოცე.

სულ ეს იყო! თითქოს სწორედ ამ ნიშანს ელოდნენო, მეტი არ უნდოდათ, რამდენიმე ყლალწვერა ახმახი წამოვარდა და შუქი ჩააქრო.

ქალებმა თვალთმაქცურად შეჰკვივლეს, თითქოს შეეშინდათო. მაგრამ მალე - ხიხიხი! - სიბნელებში ხითხითი გაისმა.

რა მოხდა, ბატონო, ერთმა ღმერთმა უწყის. მაგრამ, მგონი, მანაც არ უწყოდა, რადგან რომ სცოდნოდა, მეს დაგვცემდა და გადაგვბუგავდა. ერთმანეთში ჩახვეული კაცები და ქალები ძირს გაგორდნენ. ნიუშას ვეძებდი, მაგრამ სად უნდა მეპოვა! სხვას ვტაცე ხელი, მასთან დავწევი.

გარიჟრაჟზე ავდექი, რომ ცოლი წამეყვანა და წავსულიყავით. ჯერ კიდევ ბნელოდა, კარგად ვერ ვხედავდი. ერთ ფეხს დავწვდი, მოვქაჩე, ნიუშასი არ იყო, მეორეს მოვკიდე, არც ეს იყო! მესამე მოვქაჩე, არც ეს! კიდევ და კიდევ გამოვწიე. ჩემი დამემართა! ბოლოს ნიუშას ფეხი ვიპოვე, გამოვათავისუფლე ორი-სამი ჯეელისგან, რომლებსაც საწყალი მიეჭყლიტათ და გავადვიძე. “ნიუშა, - ვუთხარი, - წავედით!” - “ქურქი არ დაგავინწყდეს! - მიპასუხა. - წავიდეთ”. და წამოვედით.

- მერე? - ვკითხე, რადგან ზორბასი დადუმდა.

- რაღა “მერე”? - მკითხა გაღიზიანებულმა.

ამოიოხრა.

- ექვსი თვე ვიცხოვრე მასთან. მას შემდეგ, ღმერთს გეფიცები, აღარაფრის მეშინია. აღარაფრის-მეთქი, გეუბნები! მხოლოდ ერთი რამის: ოღონდ კი ეშმაკმა ან ღმერთმა ეს ექვსი თვე მოგონებიდან არ ამომიშალონ. გაიგე? გავიგე-თქო, მითხარი.

ზორბასმა თვალეები დახუჭა. ძალიან აღელვებული ჩანდა. პირველად ვხედავდი გავლილ წამზე ამგვარად ჩაფრენილს.

- მაშ, ასე ძლიერ შეგიყვარდა ის ქალი? - ვკითხე მოგვიანებით.

ზორბასმა თვალეები გაახილა.

- ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, ბატონო, ჯეელი. რა გესმის? თმა შენც რომ გაგითეთრდება, მოდი და ამ მარადიულ პრობლემაზე მაშინ ვილაპარაკოთ...

- რომელ მარადიულ პრობლემაზე?

- ქალზე. რამდენჯერ უნდა გითხრა? მარადიული პრობლემა ქალია. ახლა მამლაყინწასავით ხარ, ელვისებურად რომ ეცემა ქათმებს, შემდეგ ჩიჩახვს დაბერავს, სანებვებზე ავა, ყვივის და ყოყლო-ჩინობს. ქათამს კი არა, თავის ბიბილოს უყურებს. აბა, სიყვარულისა რა გაეგება, საცოდავს?

ძირს მიზლით დააფურთხა, ზურგი შემაქცია, ჩემი დანახვა აღარ უნდოდა.

- მერე, ზორბას? - ვკითხე კვლავ. - ნიუშას რა დაემართა?

ზორბასი გაღმა, ზღვისკენ, იყურებოდა:

- ერთ საღამოს, - მიპასუხა, - შინ დაბრუნებულს აღარ დამხვდა. წასულიყო. ვიღაც ლამამ ჯარისკაცს გამოევლო იმ დღეებში სოფელში, თან გაჰყოლოდა. წავიდა! გული გამისკდა, ორად გამეპო, მაგრამ, უნამუსო, მალე გამიმთელდა. გინახავს გემის წითელი, ყვითელი, შავი საკვრებლებითა და მსხვილი კანაფით ათასგზის ამოკერილი აფრა, რომელიც უძლიერეს ქარიშხალშიც კი აღარ იხევა? ჩემი გულიც ასეთია. ათასგან გახვრეტილი, ათასგან დაკვრებული, არწივისებრი.

- ნიუშაზე არ გაბრაზდი, ზორბას?

- რატომ უნდა გავბრაზებულიყავი? რაც გინდა, თქვი, ქალი სხვა რამეა, ბატონო, სხვა რამე, ადამიანი არაა. რატომ უნდა გავბრაზებულიყავი? ქალი ამოუხსნელი რამეა. სახელმწიფოსა თუ რელიგიის ყველა კანონი მცდარია. არ უნდა ეპყრობოდნენ ქალებს ასე, არა! ძალიან მკაცრად ექცევიან, ბატონო, ძალიან უსამართლოდ... კანონების დანესება ჩემს ხელში რომ ყოფილიყო, მამაკაცებისთვის სხვას დავადგენდი, ქალებისთვის - სხვას. ათ, ას, ათას ბრძანებას მამაკაცისთვის, კაცია, ასწევს, მაგრამ ქალისთვის - არც ერთს. რამდენჯერ უნდა გითხრა, ბატონო? ქალი სუსტი ქმნილებაა. ნიუშას გაუმარჯოს, ბატონო! ქალს გაუმარჯოს! ღმერთმა ჩვენც, კაცებსაც, მოგვცეს კეთილგონიერება!

დალია, ხელი ასწია, მაგრამ მოწყვეტით დაუშვა, თითქოს ნაჭახი

უჭირავსო.

- ან კეთილგონიერება მოგვცეს, - თქვა, - ან დაგვკოდოს. თორემ
იცოდე, ბატონო, დაღუპულები ვართ!

VIII

დღეს ნელა, მსუბუქად წვიმს, ცა მიწას უკიდევანო სინაზით ერწყმის. ინდიელთა ერთი ბარელიეფი მახსენდება, მუქ ნაცრისფერ ქვაზე ამოკვეთილი: კაცს ქალისთვის მკლავები შემოუხვევია და ისე ნაზად და დაჟინებით იხუტებს, როგორც დრო ლოკავს და ლევს სხეულებს. გგონია, რომ ორ მწერს ხედავ, რომლებიც შეერთდნენ, მაგრამ წვიმამ მოუსწრო და ფრთები დაუსველა. ახლა ორივეს მშვიდად, სიყვარულით, ძლიერად ჩახუტებულებს მიწა შთანთქავს.

ბარაკში ვზივარ და დაბინდულ სამყაროსა და ნაცრისფერ-მწვანედ მოლაპლაპე ზღვას გავცქერი. სანაპიროს ერთი კიდიდან მეორემდე არც ადამიანი მოჩანს, არც ნავის იალქანი, არც ჩიტი. ღია სარკმლიდან მხოლოდ მიწის სურნელი შემოდის.

წამოვდექი, წვიმაში ხელი მათხოვარივით გავიწოდე და ანაზღად ტირილი მომინდა. ნაღველი შემომანვა. ნაწვიმარი მიწიდან რალაც ღრმა, ბნელი ამოდიოდა და ჩემში აღწევდა. ძრწოლამ შემიპყრო. ისეთმა ძრწოლამ, უდარდელად მობალახე ცხოველს რომ ეუფლება. მართალია, საფრთხეს ჯერ ვერ ამჩნევს, მაგრამ გუმანით გრძნობს, რომ ალყაშია მოქცეული და თავს ვერ დააღწევს.

ყვირილი მინდოდა, ვიცოდი, შვებას მომგვრიდა, მაგრამ შემრცხვა.

ცა სულ უფრო და უფრო ქვემოთ ეშვებოდა. სარკმლიდან გავიხედე.

ღრუბლებს მურა ნახშირის მთა დაეფარა, ქალის სახე გაუჩინარებულიყო.

წვიმის დრო ტკბილი და სევდიანია. თითქოს სული - პეპელა - გისველდება და მიწა შთანთქავს. გულში დაგუბებული ყველა მწარე მოგონება გახსენდება: მეგობრებთან განშორება, ქალების გამქრალი ღიმილი, პეპლებივით ფრთებჩამოცვნილი იმედები, რომელთაგანაც მხოლოდ მატლი დარჩა; ეს მატლი ახლა შენი სულის

ფოთლებზე მიხობავს და ხრავს.

თანდათან წვიმამ და სველმა მიწამ კავკასიაში გადახვეწილი მეგობარი გამახსენა. კალამი ავიღე და ქალღმერთზე დავიხარე, რათა წვიმის ბადის გარღვევა და სვედისთვის გამოლოცვა შემძლებოდა:

“ძვირფასო, კრეტის უდაბური სანაპიროდან გწერ, სადაც მე და ბედისწერა შევთანხმდით, რამდენიმე თვე სათამაშოდ დავრჩენილიყავი. კაპიტალისტი, მურა ნახშირის მალაროს მფლობელი, საქმოსანი უნდა ვითამაშო. ჩემი თამაში თუ გაამართლებს, მაშინ იმას კი აღარ ვიტყვი, ვითამაშე-მეთქი, არამედ დიდი გადაწყვეტილება მივიღე და ცხოვრება შევცვალე-მეთქი.

ხომ გახსოვს, გამგზავრებისას “წიგნის ჭია” მიწოდე. მეც მტკიცედ გადავწყვიტე, ცოტა ხნით (ან სამუდამოდ) ქალღმერთებისთვის თავი დამენებებინა და მოქმედებაზე გადავსულიყავი. იჯარით მურა ნახშირის გორა ავიღე, მუშები დავიქირავე, წერაქვები, ნიჩბები, აცეტ-ილინის ლამპები, კალათები, ურიკები ვიყიდე, გალერეები გავჭერი და თავი შიგ შევრგე. შენს ჭინაზე, მიწის თხრითა და გვირაბების გაჭრით წიგნის ჭია თხუნელად ვიქეცი.

იმედია, ცვლილებას მომიწონებ. ხშირად დაცინვით გითქვამს, რომ ჩემი მოსწავლე ხარ. მეც ვსარგებლობ, რადგან კარგად ვიცი, რა არის ჭეშმარიტი მასწავლებლის მოვალეობა და ჭილდო: შეეცადოს, რაც შეიძლება მეტი ისწავლოს თავისი მოსწავლისაგან, იყნოსოს, საით მიდის ახალგაზრდობა და თავისი სული იქით მიმართოს. აი ასე, ჩემი მოსწავლის სწავლისთვის თვალყურის დევნებამ კრეტაზე ჩამომიყვანა.

ჩემი სიხარული დიდია, რადგან ძალიან მარტივი, მარადიული ელემენტებისაგან შედგება: ჰაერი, ზღვა, ხორბლის პური, საღამოს კი ბრწყინვალე სინდბადი, რომელიც ფეხმორთხმით მიზის წინ, პირს მოაღებს, ლაპარაკს იწყებს და სამყარო ფართოვდება. ზოგჯერ, როცა სიტყვა ვეღარ იტევს, ზეზე ნაშოიჭრება და ცეკვავს; მაშინ, როცა ცეკვაც ვეღარ იტევს, მუხლებზე თავის სანთურის იღებს და უკრავს.

ზოგჯერ მიზანი იმდენად დიდია, რომ ლამისაა გაიგუდო, რადგან მოულოდნელად ხვდები, რომ შენნაირი უმინაარსო და უბადრუკი ცხოვრების მქონე ადამიანისთვის ეს დიადი მიზანი შეუფერებელი იყო. ზოგჯერ თვითონ მიზანია უმნიშვნელო და გრძნობ, რომ ცხოვრება გადის, ქვიშასავით თითებს შორის გეფანტება და ხსნა არსაითაა.

გული მკერდში მიბორგავს, კედლებს ეხეთქება და ქსელს ხლართავს. ეს ხლართვა გრძელდება რამდენიმე თვეა, რაც კრეტაზე ვართ. ღმერთმა მომიტევოს, მაგრამ მგონია, ბედნიერი ვარ.

კონფუცი ამბობს: “ბევრი ბედნიერებას ადამიანზე უფრო მაღლა ეძებს, ზოგი - უფრო დაბლა, მაგრამ ბედნიერება ადამიანის სიმაღლისაა”. მართალია. იმ ზომის ბედნიერება არსებობს, რა სიმაღლისაცაა ადამიანი. ეს არის, ჩემო საყვარელო მოსწავლე და მასწავლებლო, ახლა ჩემი ბედნიერება; აფორიაქებული ვზომავ მას, რათა გავიგო, რა სიმაღლის ვარ, რადგან კარგად იცი, ადამიანის სიმაღლე ცვალებადია.

ადამიანის სული ამინდის, დუმილის, მარტოობის ან მეგობრების ზეგავლენით იცვლება! მარტოობის გამო ადამიანები ჭიანჭველებად კი არ მეჩვენებიან, რაც ბუნებრივია, არამედ პირიქით - დიდ ცხოველებად, დინოზავრებად და პტეროდაქტილებად, რომლებიც ნახშირორქანით გაჟღენთილ ჰაერში, შესქელებულ კოსმოგონიურ ხრწნაში ცხოვრობენ. ამოუცნობი, აბსურდული, საზარელი ჯუნგლებია. ცნებები “სამშობლო” და “ერი”, რომლებიც ასე გიყვარს, ცნებები “ზესამშობლო” და “კაცობრიობა”, რომლებმაც მაცდუნეს, განადგურების უძლეველ ატმოსფეროში ერთსა და იმავე ღირებულებას იძენენ. ვგრძნობთ, რომ მხოლოდ რამდენიმე მარცვლის წარმოთქმა შეგვიძლია, ხან - არც მარცვლის, მხოლოდ დაუნაწევრებელი ბგერებისა - “ა!” “უ!” ყველაზე ამაღლებული იდეებიც კი, თუ გაქექავ, დაინახავ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქატოთი და ნამჭით გამოტენილი ზამბარიანი თოჯინებია.

კარგად იცი, რომ ეს უღმობელი ფიქრები არა თუ მაშინებენ, ჩემში ცეცხლის გაღვივების აუცილებელი საშუალებაა. რადგან, როგორც ჩემი მასწავლებელი, ბუდა, ამბობს, განვჭვრიტე. და რადგან

განვჭვრიტე, თვალის დახამხამებაში დავუმეგობრდი მხიარულ, უცნაურ, უხილავ სცენარისტს. ეს როლი მხოლოდ მან კი არ მომცა, ვინც დამეოქა, არამედ ჩემი სურვილითაც მოვიმართე. რატომ? იმიტომ, რომ განვჭვრიტე; მეც ღვთის დადგმულ ამ სპექტაკლში, მის მოწყობილ სცენაზე ვთამაშობ.

ამგვარად, მსოფლიო სცენას თვალი რომ მოვაგლე, კავკასიის ლეგენდარულ ადგილებში დავინახე. შენც თამაშობ და იბრძვი საფრთხეში მყოფი ჩვენი მოდგმის რამდენიმე ათასობით სულის გადასარჩენად. ფსევდოპრომეთე, ნამდვილად იტანჯები ბნელი ძალებისგან - შიმშილისგან, სიცივისგან, ავადმყოფობისგან, სიკვდილისგან - რომლებსაც ებრძვი და რომლებიც გებრძვიან. შენც, ზვიადს, ასე მგონია, ვიხარია, რომ ბნელი ძალა ასე ბევრია და დაუმარცხებელი. ასე ხომ შენი ბრახვა თითქმის უიმედო და ამიტომაც უფრო გმირული ხდება. შენი სულის ბრძოლაც ტრაგიკულ დიდებულებას იძენს.

ასეთ ცხოვრებას ნამდვილად ბედნიერებად თვლი. და რადგანაც თვლი, არის კიდევ. შენც შენს ზომამე მოჭერი ბედნიერება. შენი სიმაღლე ახლა - დიდება შენდა, ღმერთო! - ჩემსას უსწრებს. ამაზე დიდი საზღაური კარგ მასწავლებელს რა უნდა: მოსწავლე მას აღემატებოდეს!

ხშირად ვტყუვდები, გზიდან ვუხვევ, ჩემი რწმენა ურწმუნობისგან აწყობილი მოზაიკაა. ხანდახან მინდება, ერთ პატარა ნუთს მთელი სიცოცხლე ვანაცვალო, შენ კი მყარად გიჭირავს საჭე და ყველაზე ტკბილ მომაკვდინებელ წამებშიც კი არ გავიწყდება, გვბი საით აიღე.

გახსოვს, ერთხელ იტალიის გავლით საბერძნეთში რომ ვბრუნდებოდით? საფრთხეში მყოფი პონტოსის დახმარება გვქონდა გადაწყვეტილი და იქ მივდიოდით. ერთ პატარა ქალაქში მატარებლიდან ჩავვდივით. ვჩქარობდით. მეორე მატარებლის მოსვლამდე ცოტა დრო გვქონდა, მხოლოდ ერთი საათი. ზღვისპირა მწვანე აყვავებულ პარკში შევედით. ფართოფოთლოვანი ხეები, ბანანები, ლერწმები და ფუტკრებდასეული აყვავებული ტოტი დავინახე. გახარებული თრთოდა, რომ ნექტარს წოვდნენ.

მოხიბლულები, მდუმარედ მივდიოდით, როგორც სიზმარში. აგერ, აყვავებული ხეივნის მოსახვევში ორი გოგონა გამოჩნდა, რომლებიც წიგნის კითხვით მოდიოდნენ. არ მახსოვს, ლამაზები იყვნენ თუ უშნოები, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ერთი ქერა იყო, მეორე - შავგვრემანი და ორივეს საგაზაფხულო კაბა ეცვა.

იმ სითამამით მივუახლოვდით, ოცნებებში რომ გვახასიათებს. შენ მათ სიცილით მიმართე: “სულერთია რას კითხულობთ, ვისაუბროთ და გავერთოთ!”

გორკის კითხულობდნენ. გვეჩქარებოდა, სხაპასხუპით ავლაპარაკდით ცხოვრებაზე, სიღარიბეზე, სულის ამბოხზე, სიყვარულზე...

არასოდეს დამავინწყდება ჩვენი სიხარული და მწუხარება. თითქოს ამ ორი უცხო გოგონას ძველი მეგობრები, ძველი შეყვარებულები ვყოფილიყავით, თითქოს მათი სულებისა და სხეულების გამო პასუხს ვაგებდით და ვჩქარობდით, რადგან ცოტა ხანში სამუდამოდ გავიყრებოდით. ჰაერში განშორებისა და სიკვდილის სუნი იდგა.

მატარებელი ჩამოდგა, დაუსტვინა. შევკრთით, თითქოს გამოვფხიზლდით, და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. რა დამავინწყებს ხელების, ათი თითის მჭიდრო უსასლო გადაჭდობას. უბედურებს, განშორება არ უნდოდათ! ერთ-ერთ გოგონას ფერი წასვლოდა, მეორე კი იცინოდა და თრთოდა.

ალბათ, გახსოვს, მაშინ გითხარი: “აი, ნამდვილი ცხოვრება! საბერძნეთი და მოვალეობა კი არაფერს ნიშნავს”, შენ კი მომიგე: “საბერძნეთი და მოვალეობა არაფერს ნიშნავს, მაგრამ ამ არაფრისთვის მზად ვართ, თავი გავწიროთ!”

რატომ გწერ ამ ყველაფერს? იმიტომ, რომ მინდა, გითხრა: ერთად გადატანილი არაფერი დამვიწყებია. ბოლოს და ბოლოს, დრო ვიხელთე და ჩემს წერილებში ის გაგიმჟღავნე, რაც ერთად ყოფნისას არასოდეს გამიმხელია: ჩვენი კარგი თუ ავი ჩვეულების თანახმად ხომ ემოციებს ვთოკავდით.

ახლა, როცა ჩემ გვერდით არ ხარ, ჩემი სახის გამომეტყველებას

ვერ ხედავ და ნაზი და სასაცილო არ გამოვჩნდები, გეუბნები, რომ ძალიან მიყვარხარ”.

წერილი დავასრულე. მეგობარს ველაპარაკე და გულზე მომეშვა. ზორბასი კლდეს შეფარებოდა, რომ არ დასველებულიყო და საბაგიროს სცდიდა.

- მოდი, ზორბას, - დავუძახე. - წამოდი, სოფელში გავიაროთ.

- წვიმს, ბატონო, თუ ხასიათზე ხარ, მარტო წადი.

- ხასიათზე ვარ და არ მინდა, გავიფუტო. როცა ერთად ვართ, ამისი არ მეშინია. წამოდი.

გაიცინა.

- მიხარია, რომ გჭირდება. წავიდეთ!

ჩემი ნაჩუქარი კრეტული მატყლის ნაწვეტებულქუდიანი ტყაპუჭი ჩაიცვა. გზას გავუდექით, ტალახში მივაბოტებდით.

წვიმდა. მწვერვლები დაბურულიყო, ქარი არ ქროდა, ქვები ლაპლაპებდა. მურა ნახშირის გორა ნისლში ჩაძირულიყო, ადამიანურ სევდას მოეცვა. ქალისსახიანი გორის შემყურეს გეგონებოდა, წვიმაში გული წასვლიაო.

- წვიმის დროს ადამიანის გული იტანჯება, - თქვა ზორბასმა, - ნუ დაღონდები.

ღობის ძირას დაიხარა, ადრეული ველური ზამბახები მოწყვიტა და დიდხანს ხარბად დაჰყურებდა, თითქოს პირველად ხედავსო. თვალეზღაბეჭულმა დაყნოსა ისინი, ამოიოხრა და გამომიწოდა.

- ნეტავ ვიცოდეთ, ბატონო, - თქვა, - ქვები, ყვავილები, წვიმა რას ამბობენ! შეიძლება, ყვირიან, გვეძახიან, მაგრამ ვერ გვაგონებენ. აი, ისე, ჩვენ რომ ვყვირით და მათ ვერ ვაგონებთ. როდის გაიხსნება სამყაროს ყურები, ბატონო? როდის აგვეხილება თვალეზღაბეჭულმა დაყნოსა? როდის გავშლით მკლავებს, რომ ქვები, ყვავილები, წვი-

მა და ადამიანები ერთმანეთს ჩავეხუტოთ? შენ რაღას იტყვი, ბატონო? წიგნები რას ამბობენ?

- ვაი, მაგათ პატრონს! - ზორბასის საყვარელი ფრაზა გამოვიყენე. - ვაი, მაგათ პატრონს. ისინიც ამას ამბობენ, სხვას არაფერს.

ზორბასმა მკლავზე მომკიდა ხელი და მითხრა:

- ერთი იდეა უნდა გაგიმხილო, ბატონო, მაგრამ ნუ გაბრაზდები: შენი წიგნები ერთად დაახვავე და ცეცხლს მიეცი. მაშინ, ვინ იცის... სულელი არ ხარ, კარგი ადამიანი ხარ... შენც რაღაცას მიხვდები!

“მართალია, მართალია! - შეგძახე გულში. - მართალია, მაგრამ არ შემოძლია!”

ზორბასი წუთით შედგა, დაფიქრდა და ცოტა ხანში მითხრა:

- რაღაც მესმის...

- რა? აბა, მითხარი, ზორბას!

- აბა, რა ვიცი? ასე მგონია, რაღაც მესმის... მაგრამ სიტყვებით თუ გადმოვცემ, ყველაფერს გავაფუჭებ. ერთ დღეს, ხასიათზე რომ ვიქნები, ცეკვით გეტყვი.

წვიმა გაძლიერდა. სოფელს ვუახლოვდებოდით. პატარა გოგონები საძოვრიდან ცხვრებს მოერეკებოდნენ, გუთნისდედებს ხარები უღლიდან გამოეშვათ, სანახევროდ მოხნული მიწა მიეტოვებინათ, ქალები შვილებს ორლობეებში აგროვებდნენ. ხანმოკლე თავსხმა წვიმაში სოფელი უეცარ შიშნარევ სიხარულს მოეცვა. ქალები კი-ოდნენ და თვალები უცინოდათ, მამაკაცებს ხშირ წვერსა და აპრეხილ უღვაშზე მხვილი წვეთები ჩამოჰკიდებოდათ, მიწას, ქვებს, ბალახს სუნი ასდიოდა.

თავი შევრგეთ ყავახანაში “გრცხვენოდეთ”. ბევრი ხალხი ირეოდა, ვიღაცები პრეფერანსს თამაშობდნენ, სხვები გაღმა-გამოღმა გორაზე მყოფებივით ყვირილით ლაპარაკობდნენ. ერთ მაგიდასთან სიღრმეში, ფიცრის ბაქანზე, სოფლის თავკაცები მოკალათებუ-

ლიყვნენ: ფართოსახელოებიან თეთრ პერანგში გამონწყობილი ბიძია ანაღნოსტისი; სიტყვაძუნნი, მკაცრი მავრანტონისი, რომელიც ნარვილეს აბოლებდა და თვალები იატაკისთვის მიეშტერებინა; შუახნის გაძვალტყავებული მასწავლებელი, რომელიც მსხვილ ხელჯობზე დაყრდნობილი მონყალე ღიმილით უსმენდა ერთ ბანჯგვლიან ახმახს, რომელიც სულ ახლახან კასტროდან მობრუნებულიყო და დიდი ქალაქის სასწაულებს ჰყვებოდა. დახლზე დაყრდნობილი ყავახანის პატრონი უსმენდა, იცინოდა და თან ცალი თვალი გაგარვარებულ ნაკვერცხალზე ჩამწკრივებულ ყავადნებზე ეჭირა. ბიძია ანაღნოსტისმა დაგვინახა თუ არა, წამოიწია და გამოგვძახა:

- აქეთ მობრძანდით, მეგობრებო, სფაკიანონიკოლისი გვიყვება, რაც კასტროში ნახა და გადახდა... სასაცილოა, მობრძანდით, მოუსმინეთ.

ყავახანის პატრონს მიუბრუნდა:

- ორი არაყი, მანოლაკის.

დავსხედით. მწყემსი უცხოების დანახვაზე დადუმდა.

- თეატრშიც იყავი, კაპიტანო ნიკოლის? - ჰკითხა მასწავლებელმა, რათა სალაპარაკოდ გამოეწვია. - როგორ მოგეწონა?

სფაკიანონიკოლისმა ტორი გამოიშვირა, ღვინის ჭიქა ჩაბლუტა, ერთბაშად გადაუშვა და გამბედაობა მოიკრიბა.

- აბა, არ ვიყავი? - შესძახა. - ვიყავი. სულ “კოტოპული, კოტოპული” (კოტოპული - ცნობილი ბერძენი მსახიობი ქალი. ეს სახელი ქართულად “ვარიკად” ითარგმნება.) მესმოდა. ერთ საღამოს პირჯვარი გადავიწერე და ვთქვი: წავალ, რჯულს ვფიცავ, წავალ და ვნახავ. ეშმაკია და კოტოპული კი ჰქვია!

- რა ნახე, ბიჭო? - ჰკითხა ბიძია ანაღნოსტისმა. - გვითხარი, ღვთის გულისათვის.

- არაფერი მინახავს, შენი სულის ჭირიმე, არაფერი! თეატრიო

გაიძახიან და გგონია, წახვალ და რამე გასართობს ნახავ; აფსუს, რა ფული გადავყარე. კალოსავით მრგვალი ყავახანა იყო, სკამებით, შანდლებითა და ადამიანებით გამოჭედილი. დავიბენი, თვალე-ბი დამებინდა, ველარაფერს ვხედავდი. “ეშმაკმა წამიღოს, - ვთქვი გულში, - აქ მომაჯადოებენ. წავალ!” მაგრამ ერთი ქარაფშუტა ქალი ხელზე ჩამეჭიდა. “სად მიგყავარ, გოგო?” - ვკითხე, ის კი მიმართევდა, მერე მომიბრუნდა და მითხრა: “დაჯექი!”. დავჯექი. ირგვლივ ხალხი ისხდა. ბიჭო, გავიგუდები, ვიფიქრე, გავიგუდები, ჰაერი არ მყოფნის! მეზობელს მივუბრუნდი: “ნათლია, პერმადონები(პერმადონები - ნიკოლისი შეცდომით წარმოთქვამს მისთვის უცხო სიტყვა “პრიმადონებს”.) საიდან გამოჩნდებიან?” - ვკითხე. “აგერ იქიდან, შიგნიდან!” - მითხრა და ფარდაზე მანიშნა. მეც თვალეები ფარდას მივაშტერე.

მართლაც, ზარი ირეკება, ფარდა იხსნება და იქიდან ეს ვილაც კოტოპული შემოდის. რჯულს გეფიცებით, კოტოპული კი არა, ქალი იყო. ნამდვილი ქალი. იცანცარა, იხტუნა, ხალხი დაიღალა, გასამრ-ჯელო გადაუხადეს და ქალი გავიდა.

სოფლელები ხარხარებდნენ. სფაკიანონიკოლისი აირია, შე-რცხვა, კარისკენ შებრუნდა.

- წვიმს! - თქვა, რომ საუბრის თემა შეეცვალა.

ყველანი კარისკენ მიბრუნდნენ და სწორედ მაშინ, ეშმაკის ოინი თუ იყო, მუხლებამდე შავკაბაკვალთულმა, მხრებზე თმაჩამოყ-რილმა ქალმა ჩამოიარა. ჩათქვირებული ნაზად მოირხეოდა, სვე-ლი სამოსი თევზივით სხმარტალა სხეულზე მიჰკვროდა.

დამბურძგლა. ძუ ვეფხვად მომეჩვენა, ნამდვილ მტაცებლად.

ქალი წუთით მობრუნდა და ყავახანაში კუშტად შემოიხედა, წამ-ონთებული სახე უთრთოდა, თვალეები უელავდა.

- ღვთისმშობელო! - ჩაიჩურჩულა ფანჯარასთან მჯდომმა ერთმა ბენვაშლილმა ჭაბუკმა.

- წყეულიმც იყავ, მაცდურო! - დაიბღავლა მეველე მანოლაკას-
მა. - ცეცხლს გვიკიდებ და არ აქრობ.

ფანჯარასთან მჯდომმა ჭაბუკმა სიმღერა წამოიწყო. თავიდან
ჩუმად, გაუბედავად მღეროდა, მაგრამ ნელ-ნელა ხმას უმატა:

ქვრივი ქალის ბალიშს სურნელი აქვს კომშის,

ვნებააღმძვრელი და მომგვრელია ხოშის.

- ხმა გაიკმინდე! - დაიყვირა მავრანტონისმა და ნარგილეს მი-
ლი შემართა.

ჭაბუკი ჩაჩუმდა. გრძელწვერა ბებერი მეველე მანოლაკასისკენ
დაიხარა.

- ბიძაშენი, - უთხრა ჩუმად, - ისევ გადაირია. მისი ნება რომ იყოს,
იმ უბედურს ნაკუნებად აქცევდა.

- ბებერო ანდრულიოს, - უთხრა მანოლაკასმა, - მგონი, შენც გა-
მოეკიდე ქვრივის კაბას. არა გრცხვენია, მნათე მაინც არ იყო?

- იცი, რას გეტყვი, ღმერთმა კარგად ამყოფოს! ვერ უყურებ ჩვენი
სოფლის ბავშვებს, რომლებიც ამ ბოლო დროს იბადებიან? ბავშვე-
ბი კი არა, ანგელოზები არიან. რატომ, როგორ გგონია? ქვრივი კა-
რგად გვიმყოფოს! მთელ სოფელს ის ჰყავს მაცდურად: ჭრაქს აქრ-
ობ და გგონია, რომ ცოლს კი არა, ქვრივს ეფერები. ასე იბადებიან
ჩვენს სოფელში ლამაზი ბავშვები.

მოხუცი ანდრულიოსი წამით გაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ ჩუ-
რჩულით დასძინა:

- დაილოცა ის ფერდები, მას რომ ეკვრიან! ბიჭო, რა იქნებოდა,
მავრანტონისის პავლისივით ოცი წლისა ვყოფილიყავი!

- სადაც არის, გამოჩნდება! - თქვა ვილაცამ და გაიცინა.

კარისკენ გაიხედეს. კოკისპირულად წვიმდა, წყალი ქვებზე მო-

ჩხრიალებდა, ელვა აქა-იქ ცას სერავდა. ქვრივის გამოჩენით ჯერ კიდევ თავგზააბნეული ზორბასი მომიბრუნდა.

- აღარ წვიმს, ბატონო, - მითხრა, - წავიდეთ!

კარში ფეხშიშველი, თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა გამოჩნდა. დიდი, უაზრო თვალები ჰქონდა. ამგვარად გამოსახავენ ხოლმე წმინდა იოანე ნათლისმცემელს, შიმშილისა და ლოცვისაგან თვალებგაფართოებულს.

- მიმითოსს გაუმარჯოს! - შესძახა რამდენიმემ სიცილით.

ყველა სოფელს თავისი გიჟი ჰყავს. თუ არ ჰყავს, ქმნის, რომ გაერთოს. მიმითოსი სოფლის გიჟი იყო.

- სოფლელებო, - დაიყვირა მიმითოსმა ენამოჩლექილი ქალური ხმით, - სოფლელებო, ქვრივმა სურმელინამ ცხვარი დაკარგა, ვინც იპოვის, გასამრჯელოდ ხუთ ლიტრ ღვინოს მიიღებს!

- გადი გარეთ, გადარეულო! - კვლავ გაისმა მავრანტონისის ხმა.
- გადი!

შეშინებული მიმითოსი კართან კუთხეში ჩაჭდა.

- დაჯე, მიმითოს, არაყი დალიე, არ გაცივდე! - უთხრა მოხუცმა ანაღნოსტისმა, რომელსაც იგი შეეცოდა. - რა ეშველება ჩვენს სოფელს გიჟის გარეშე?

კარში ფერმკრთალი, წვერგაბურძგნილი, ლურჯთვალება ახალგაზრდა გამოჩნდა. აქოშინებულს თმა შუბლზე მისწებებოდა და წვეთები ჩამოსდიოდა.

- პავლისს გაუმარჯოს! - შესძახა მანოლაკასმა. - ბიძაშვილს გაუმარჯოს, შემოგვიერთდი.

მავრანტონისი მობრუნდა, თავისი ვაჟი დაინახა და წარბები შეჭმუნა. "ეს არის ჩემი შვილი? - გაიფიქრა. - ეს საცოდავი? ვინ ეშმავს ჰგავს? ლამის ქეროში ჩავავლო ხელი და რვაფეხასავით მიწაზე და-

ვანყვიტო!”

ზორბასი ეკლებზე იჯდა. ქვრივმა გონება აურია, ოთხ კედელში ველარ ეტეოდა.

- წავედით, ბატონო, წავედით... - მიმეორებდა წამდაუნუმ. - აქ გავგიჟდებით!

ეჩვენებოდა, რომ ღრუბლები გაფანტულიყო და მზეს გამოენათებინა.

ყავახანის პატრონს მიუბრუნდა:

- ვინ არის ეს ქვრივი? - ჰკითხა ვითომდა გულგრილად.

- ერთი ფაშატია, - უპასუხა კონდომანოლიოსმა. თითი ტუჩებზე მიიღო და თვალით მავრანტონისი დაანახვა, რომელიც ისევ მიწას მიშტერებოდა. - ერთი ფაშატია, - გაიმეორა, - მასზე ნუ ვილაპარაკებთ, არ შეეცოდოთ.

მავრანტონისი წამოდგა, მილი ნარგილეს ყელს შემოახვია.

- მაპატიეთ, - თქვა, - შინ წავალ. პავლის, მომყევი!

ვაჟი წაიყვანა, წინ გაუძღვა და ორივენი წვიმაში გაუჩინარდნენ. მანოლაკასი წამოდგა, უკან გაჰყვათ.

კონდომანოლიოსი მაშინვე მავრანტონისის სკამზე წამოიჭიმა.

- საცოდავი მავრანტონისი გულზე გასკდება, - ისე ჩაიჩურჩულა, გვერდით მაგიდებთან მსხდომებს რომ არ გაეგოთ. - მის სახლში დიდი ცეცხლი გიბგიბებს. გუშინ ჩემი ყურით მოვისმინე, პავლისი როგორ ეუბნებოდა: “ჩემი თუ არ გახდება, თავს მოვიკლავო!”, მაგრამ ის უსირცხვილო ბიჭს არ იკარებს, ცინგლიანს ეძახის.

- წავედით, ბატონო, - გამიმეორა ზორბასმა, რომელსაც ქვრივზე რაც უფრო მეტი ესმოდა, მით მეტად იგზნებოდა.

მამლები აყვივლდნენ. წვიმა ოდნავ შენეელდა.

- წავიდეთ, - ვთქვი და წამოვდექი.

კუთხეში მიკუნჭული მიმითოსი წამოხტა და აგვედევნა.

ქვები პრიალებდა, დასველებული კარები გაშავებულიყო, დედაბრებს კალათები აეღოთ და ლოკოკინების შესაგროვებლად გამოსულიყვნენ.

მიმითოსი მომიახლოვდა, მკლავზე შემეხო:

- ერთი სიგარეტი მომეცი, ბატონო, შენ გახარებას, - მითხრა.

მივეცი. გალუული, მზისგან გაშავებული ხელი გამომიწოდა:

- ცეცხლიც მომეცი!

მივეცი. გულიანად მოქაჩა, კვამლი ნესტოებიდან გამოუშვა, თვალები მილულა.

- თავადურია! - ჩაიჩურჩულა კმაყოფილმა.

- სად მიდიხარ?

- ქვრივის ბაღში. ცხვრის ამბავს ყველას თუ გააგებინებ, გაჭმევო, ასე მითხრა.

სწრაფად მივდიოდით. ღრუბლები გაიფანტა, მზემ გამოანათა. ახლად გარეცხილმა სოფელმა გაიცინა.

- ქვრივი მოგწონს, მიმითოს? - ჰკითხა ზორბასმა.

მიმითოსმა ჩაიხითხითა.

- რატომ არ უნდა მომწონდეს, ნათლია? განა მეც სიბინძურის ბუდიდან არ ვარ ამომძვრალი?

- სიბინძურის ბუდიდან? - ვკითხე გაკვირვებულმა. - რის თქმა

გინდა, მიმითოს?

- აი, დედის მუცლიდან.

შემეშინდა. გავიფიქრე, მხოლოდ შექსპირს შეეძლო-მეთქი ყველაზე შემოქმედებით წამებში ასეთი ზედგამოჭრილი გამონათქვამის მიგნება, რომელიც დაბადების მთელ ბნელ, ბინძურ საიდუმლოს ააშკარავებდა.

მიმითოსს შევხედე. დიდი, შეშუპებული, ოდნავ ელაში თვალები ჰქონდა.

- მთელი დღე რას აკეთებ, მიმითოს?

- რას უნდა ვაკეთებდე? ბატონკაცურად ვცხოვრობ! დილით ვიღვიძებ, ერთ ნაჭერ პურს ვჭამ. მერე ნებისმიერ სამუშაოს ვასრულებ, რასაც ვიპოვი და სადაც ვიპოვი; ხან ნეხვს ვეზიდები, ხან ჩონჩორიკს ვაგროვებ. ანკესიც მაქვს და ვთევზაობ. მამიდაჩემთან, ლენიოსთან, ვცხოვრობ. მოზარეა, გეცოდინებათ. ყველა იცნობს, სურათიც კი გადაუღეს. სალამოს შინ ვბრუნდები, ერთ ჯამ საჭმელს ვჭამ, თუ მაქვს, ღვინოსაც ვაყოლებ, თუ არ მაქვს - ღვთის ბოძებულ წყალს იმდენს ვსვამ, მუცელი დოლივით მიხდება. მერე კი - ძილი ნებისა!

- დაქორწინებას არ აპირებ, მიმითოს?

- მე? კი არ გამოგყეყეჩებულვარ? რას ამბობ, შე კაი კაცო? თავს შარი ავუტეხო? ცოლს ფეხსაცმელი სჭირდება! სად ვიპოვო? აგერ, მე ფეხშიშველი დავდივარ.

- ჩექმები არ გაქვს?

- როგორ არ მაქვს. შარშან ვიღაც მოკვდა, მამიდაჩემმა ლენიომ ფეხზე გახადა და მომცა. ყოველ აღდგომამზე ვიცვამ და ეკლესიაში მივდივარ, მღვდლების ყურებით ვერთობი. მერე კი ვიხდი, კისერზე ვიკიდებ და შინ ვბრუნდები.

- მიმითოს, ამქვეყნად ყველაზე მეტად რა გიყვარს?

- პირველ რიგში პური. დაილოცოს! თბილ-თბილი, ხორბლის უნდა იყოს! არა უშავს, თუნდაც ქერისა იყო! მერე - ღვინო. მერე კი - ძილი.

- ქალი?

- ფფფ! ჭამე, დალიე და წადი, დაიძინე-მეთქი, გეუბნები! ყველაფერი დანარჩენი სისულელეა!

- ქვრივიც?

- ეშმაკსაც წაუღია იმისი თავი, შენ ჯვარი გწერია!

სამჯერ გადაანერწყვა და პირჯვარი გადაისახა.

- კითხვა იცი?

- პატარა რომ ვიყავი, ძალით მაგდებდნენ სკოლაში, მაგრამ მალე ტიფი დამემართა და გამოვშტერდი. ასე გადავრჩი!

მაგრამ ზორბასს ეს საუბარი არ აინტერესებდა, ქვრივზე ფიქრობდა.

- ბატონო... - მითხრა და მკლავზე ხელი მომკიდა.

მიმითოსს მიუბრუნდა:

- შენ წინ წადი, - უბრძანა, - სალაპარაკო გვაქვს რაღაც.

ხმას დაუნია, აღელვებული ჩანდა:

- ბატონო, მამრობითი სქესი არ შეარცხვინო! ამ საკბილოს ან ღმერთი გიგზავნის, ან ეშმაკი. კბილები გაქვს, ჩააფრინდი! ხელი გაიწოდე, აიღე! რისთვის გაგვიკეთა შემოქმედმა ხელები? რომ მოვკიდოთ. ჰოდა, მოკიდე! ბევრი ქალი მინახავს ცხოვრებაში, მაგრამ ამ ქვრივს ვერავინ აჯობებს, წყეულიმც იყოს!

- შარი არ მინდა! - ვუპასუხე გაგულისებულმა.

გავბრაზდი, რადგან ღრმად გულში ეს ყოვლისშემძლე სხეული მეც მინდოდა, ამბუვნებული მხეცივით წინ რომ ჩამიარა და მუშკის სურნელი შემომაფრქვია.

- შარი არ გინდა?! - მკითხა განცვიფრებულმა ზორბასმა. - აბა, მაშ რა გინდა, ბატონო?

არ ვუპასუხე.

- სიცოცხლე შარია, - განაგრძო ზორბასმა, - სიკვდილი - არა. ცოცხალი ადამიანი, იცი, რას ნიშნავს? იმას, რომ არაფერზე იფიქრო და შარი ეძებო.

ხმას არ ვიღებდი. ვიცოდი, რომ ზორბასი მართალი იყო, ვიცოდი, მაგრამ ვერ ვბედავდი. ჩემი ცხოვრება არასწორ გზას დაადგა, იმას მივალწიე, რომ ადამიანებთან შინაგანი მონოლოგებით ვურთიერთობდი. იმდენად ვიყავი დაცემული, ასარჩევად რომ მქონოდა საქმე: ან ქალი შემყვარებოდა, ან სიყვარულზე კარგი წიგნი წამეკითხა, ამ უკანასკნელს ავირჩევდი.

- ნუ ანგარიშობ, ბატონო, - განაგრძობდა ზორბასი, - რიცხვებს შეეშვი, ეგ უნამუსო სასწორიც დაამტვრიე, საბაყლო დაკეტე, მე შენ გეუბნები. ახლა სულს ან გადაირჩენ, ან დაიღუპავ. მომისმინე, ბატონო, ცხვირსახოცში ორი-სამი ლირა გამოკვანძე, მაგრამ ოქროსი, ქალაქის არა, ისინი თვალს არ ჭრიან, და მიმითოსს ქვრივთან გაატანე. მასთან სათქმელიც დაავალე: “მოკითხვა ნახშირის ბატონისგან, ცხვირსახოცი ინებე. მცირედია, მაგრამ დიდი სიყვარულითაა მორთმეული. ცხვირს გამო არ იღელვო, რომც დაიკარგოს, ნუ ინალვლებ. აქ ვართ, ნუ გეშინია! დაგინახე, ყავახანასთან რომ ჩაიარე, გონება დამებინდა-თქო”.

სულ ეს არის. მეორე საღამოსვე - ვინც იჩქარებს, ის მოიგებსო, ნათქვამია - კარზე დაუკაკუნე. გზა ამებნა-თქო, უთხარი, დაღამდა, ფარანი მომეცი-თქო. ან, უცებ ძილი მომერია, ჭიქა წყალი მომინდა-თქო. კიდევ უკეთესი, ცხვარი იყიდე, მიუყვანე და უთხარი: “ინებე, ჩემო ქალბატონო, შენი დაკარგული ცხვარი ვიპოვე!”. ყური მიგდე, ბატონო, ქვრივი გასამრჯელოს მოგცემს და შეხვალ - უკ, ერთი შენი

ცხენის გავაზე მამყოფა! - ამხედრებული შეხვალ-მეთქი სამოთხეში. სხვა სამოთხე, შე უბედურო, არ არსებობს. მღვდლებს არ უსმინო, სხვა სამოთხე არ არსებობს!

უკვე ქვრივის ბაღს ვუახლოვდებოდით. მიმითოსმა ამოიხვნეშა და ქალური ხმით ტკივილით სავსე სიმღერა წამოიწყო:

რას რა უხდება,

კაკალს - თაფლი, ხოლო წაბლს - ღვინო,

გოგო-ბიჭი კი უერთმანეთოდ

ვინა თქვა, ვინო.

ზორბასს ნესტოები აუთამაშდა, შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა და შემომხედა:

- აბა? - მკითხა მოუთმენლად.

- წავედით! - ვუთხარი ანაზღად და ნაბიჯს მოვუჩქარე.

ზორბასმა თავი გააქნია, რაღაც ჩაიღრინა, მაგრამ არ გამიგია.

ბარაკში რომ მივედით, ფეხი მოირთხა, სანთური მუხლებზე დაიდო, ფიქრებში ჩაფლულმა თავი ასწია, თითქოს გონებაში მელოდიას არჩევსო და ერთი ძალიან მწარე, სამდურავით სავსე სიმღერა წამოიწყო...

შიგადაშიგ მზერას გამოაპარებდა ხოლმე, ალმაცერად მიყურებდა. ვგრძნობდი, რის თქმაც სიტყვებით არ შეეძლო ან არ უნდოდა, სანთურით მეუბნებოდა: რომ ჩემი ცხოვრება ილუპება, რომ მე და ქვრივი ორი მწერი ვართ, წამიერად ვცხოვრობთ მზეზე და მერე ვკვდებით. სამუდამოდ!

ზორბასი მოულოდნელად წამოდგა, უცებ მიხვდა, რომ ამაოდ ირჭებოდა. კედელს მიეყრდნო, სიგარეტს მოუკიდა. ცოტა ხანში კი მომიბრუნდა:

- რაღაცას მოგიყვები, ბატონო, რაც ოდესღაც ერთმა ხოჭამ გამანდო სალონიკიში. მოგიყვები, თუნდაც ამაოდ ჩაიაროს.

მაშინ სალონიკიში მეწვრილმანედ ვმუშაობდი. უბან-უბან დავდიოდი, კოჭის ძაფებს, ნემსებს, წმინდანთა ცხოვრებას, მუშკსა და წინაკას ვყიდდი... ბულბულის ხმა მქონდა. იცოდე, ქალები ხმასაც ეტანებიან - თუმცა რას არ ეტანებიან ქუჩის ქალები! - რა ხდება მათ შიგნულში, ერთმა ეშმაკმა უნყის! უშნოც რომ იყო, კოჭლი და კუბიანი, ტკბილი ხმა თუ გაქვს და მღერი, ქალები სულელდებიან.

ჰოდა, მეწვრილმანე ვიყავი და თურქულ უბანშიც დავდიოდი. როგორც ჩანს, ჩემი ხმა ერთ მდიდარ თურქის ქალს გულზე მოხვდა და გონება დააკარგვინა. ბებერ ხოჯას დაუძახა, მუჭა ფულით აუვსო. “ამან(ამან! (თურქ.) - ვაი!), - ეუბნება, - გიაურს დაუძახე, მეწვრილმანეს, რომ მოვიდეს, ამან! ნახვა მინდა! ველარ ვუძღებ!”

ხოჯა წამოვიდა, მომნახა: “ჰეი, ბერძენო, - მეუბნება, - გამომყვი!” - “რატომ უნდა წამოვიდე? - ვეკითხები. - სად მიგყავარ?” - “წყაროს წყალივით ხანუმა თავის ოთახში გელოდება, წამოდი!” ვიცოდი, რომ ქრისტიანებს ღამით თურქულ უბნებში ხოცავდნენ. “არა, არ წამოვალ!” - ვეუბნები. - “ღვთის არ გეშინია, გიაურო?” - “რატომ უნდა მეშინოდეს?” - “იმიტომ, ბერძენო, რომ ვისაც შეუძლია, ქალს თანაეყოს და ამას არ აკეთებს, დიდ ცოდვას სჩადის. ქალი თავის საწოლში გეძახდეს, ბიჭო, და არ წახვიდე, სული წაგიწყდება! ეს ქალი ღვთის დიდ სამსჯავროზე ამოიოხრებს და მისი ეს ოხვრა, ვინც უნდა იყო და დანარჩენი სულ სიკეთე რომ გქონდეს გაკეთებული, ჯოჯოხეთში ჩაგაგდებს!”.

ზორბასმა ამოიოხრა.

- ჯოჯოხეთი თუ არსებობს, ჯოჯოხეთში წავალ. მიზეზი ეს იქნება. არა იმიტომ, რომ მოვიპარე, მოგვალი, ვიმრუშე, არა, არა! ეს არაფერია. ღმერთი მაპატიებს. მაგრამ ჯოჯოხეთში წავალ, რადგან იმ დამეს ქალი თავის ლოგინში მელოდა და არ მივედი...

წამოდგა, ცეცხლი აანთო, საჭმლის მზადებას შეუდგა. ცერად გამომხედა. ბიზღნარევად გაიღიმა.

- შეაყარე კედელს ცერცვი! - ჩაიჩურჩულა, დაიხარა და გაბრაზებულმა სველ შეშას სულის შებერვა დაუწყო.

IX

დღეები სულ უფრო და უფრო მოკლდებოდა, დღის შუქი მალე ილუოდა, ადამიანებს ნაშუადღევადან უკვე გული ეწურებოდათ. მიწაზე მდებარე მზეს მიჩერებულთ, იმ პირველყოფილ ადამიანთა შიში ეუფლებოდათ, რომლებიც მთელ ღამეს თეთრად ათენებდნენ ბორცვებზე და აღელვებულნი და აცახცახებულნი ფიქრობდნენ: “ხვალ მთლად ჩაქრება”.

ზორბასი ამ მღელვარებას ჩემზე უფრო ღრმად, მთელი არსებით გრძნობდა. თავის დასაღწევად მიწის ქვეშ თავშესაფარი მოიწყობდა. გაღვრებებიდან მანამდე არ გამოდიოდა, სანამ ცაზე ვარსკვლავები არ აკაშკაშდებოდა ხოლმე.

ზორბასს ნაკლებნაცრიანი და ნაკლებნესტიანი მურა ნახშირის კარგი ძარღვისთვის მიეგნო და უკვე მოგებად, მოგზაურობად, ქალებად და ახალ თავგადასავლებად გარდასახავდა. ერთი სული ჰქონდა, ბევრი მოეგო, რომ ფრთები შეესხა (ფრთებს ფულს ეძახდა) და გაფრენილიყო. ამის გამო ღამეები არ ეძინა, თავის ჰანაწინა საბაგიროს სცდიდა. სწორი დაქანების მოძებნას ცდილობდა. მორები ისე მსუბუქად უნდა ჩამოსრილდეს, თითქოს ანგელოზები ჩამოჰყავსო, - ამბობდა.

ერთხელ დიდი ქაღალდი და ფერადი ფანქრები აიღო და მთა, ტყე, საბაგირო და ბაგიროზე დაკიდებული მორები დახატა. თითოეულს აქეთ-იქით დიდი ლურჯი ფრთები მიუხატა. ნავსადგურში თუთიყუშებივით მწვანე მებღვაურებით სავსე შავი თბომავლები დახატა. ბარჟები ყვითელ მორებს ეზიდებოდნენ. ოთხ კუთხეში მდგარი ოთხი ბერის პირიდან გამოსულ ვარდისფერ ლენტეხებზე შავი მთავრული ასოებით ეწერა: “დიდ ხარ შენ, უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი!”

ბოლო ხანებში ზორბასი ფაციფუცით ანთებდა ცეცხლს, საჭმელს ამზადებდა, ვჭამდით და მაშინვე სოფლის ორღობებში უჩინარდებოდა. კარგა ხნის შემდეგ მოლუშული ბრუნდებოდა.

- სად დადიხარ, ზორბას? - ვეკითხებოდი.

- მოგცლია ერთი, ბატონო, - მეუბნებოდა და საუბრის თემას ცვლიდა.

ერთ საღამოსაც რომ დაბრუნდა, განერვიულებულმა მკითხა:

- ღმერთი არსებობს თუ არ არსებობს? რას იტყვი, ბატონო? თუ არსებობს - ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია - როგორი წარმოგიდგენია იგი?

მხრები ავიჩეჩე, ვერაფერი ვუპასუხე.

- მე, ოღონდ არ გაიცინო, ბატონო, ღმერთი ზუსტად ჩემნაირი მგონია. ოღონდ უფრო მაღალი, ძლიერი, თამამი და უკვდავი. ცხვრის რბილ ტყავებზეა წამოკოტრიალებული, მისი ბარაკი ზეცაა, მაგრამ ჩვენსავით ბენზინის ბიდონებისგან კი არა, ღრუბლებისგან აქვს გაკეთებული. მარჯვენაში ხმალი და სასწორი - მკვლელებისა და ბაყლების იარაღი - კი არა, დიდი, საავდრო ღრუბელივით წყლიანი ღრუბელი უჭირავს. მის მარჯვნივ სამოთხეა, მარცხნივ - ჯოჯოხეთი. მოდის უბედური სული, დედიშობილა, რადგან სხეული დაჰკარგვია, და კანკალებს. ღმერთი უყურებს და უღვაშებში ეცინება, მაგრამ ბუასავით იქცევა. “მოდი აქ, - ეუბნება და ხმას იბოხებს: - მოდი აქ, წყეულო!” და დაკითხვას იწყებს. სული ღმერთს ფეხებში უვარდება. “შემინდე! - შესძახის. - შევცოდე!”, მერე თავის ცოდვებს უყვება. უყვება და უყვება. ღმერთს ბებრდება, ამთქნარებს. “გეყოფა! - უყვირის. - გამომაყრუე!” მერე ბახ! ღრუბელს დაჰკრავს და ყველა ცოდვას შლის. “სამოთხეში მოუსვი! - ეუბნება. - პეტრე, ეს საცოდავიც შეუშვი!”

უნდა იცოდე, ღმერთი დიდი ბატონია. ბატონობაც ამას ნიშნავს: მიუტევო!

იმ საღამოს, როცა ზორბასი ამას მიყვებოდა, მახსოვს, გამეცინა, მაგრამ მას შემდეგ ღვთის, როგორც სულგრძელისა და ხელგაშლილის, ეს “დიდებული” იღვია ჩემში თანდათან ხორცს ისხამდა.

მეორე საღამო წვიმიანი იყო და მობუზულები ჩვენს ბარაკში ვი-

სხედით. მაყალზე ისევ წაბლს ვწვავდით. ზორბასი მომიბრუნდა, კარგა ხანს მიყურა, თითქოს უნდოდა, რაღაც დიდ საიდუმლოს ჩასწვდომოდა. ბოლოს ველარ მოითმინა:

- ერთი მაცოდინა, ბატონო, - მითხრა, - რა ეშმაკს ნახულობ ჩემში? ყურში რატომ არ მწვდები და გარეთ არ გამისვრი! გითხარი, ნაცრიანსაც მეძახიან-მეთქი, რადგან, სადაც მივდივარ, ყველაფერს ნაცართუტად ვაქცევ... ეშმაკებში წავა, იცოდე, შენი საქმე. გამაგდემეთქი, გეუბნები!

- მომწონხარ, - ვუპასუხე, - მეტს ნურაფერს მკითხავ.

- ვერ ხვდები, ბატონო, რომ სრულ ჭკუაზე ვერა ვარ? შეიძლება, ბევრი ცოდნისგან, შეიძლება - ნაკლებისგან, წყეულიმც ვიყო, თუ ვიცოდე. მაგრამ სრულ ჭკუაზე ნამდვილად არ ვარ. მომისმინე და გაიგებ: უკვე რამდენი დღეა და რამდენი ღამეა, ქვრივი მოსვენებას არ მაძლევს. ჩემთვის არ მინდა, არა, გეფიცები. ეშმაკსაც წაუღია! დანამდვილებით ვიცი, არასოდეს შევხები, ჩემი საკბილო არ არის... მაგრამ არ მინდა, ვვლავ დაიღუპოს. არ მინდა, რომ მარტოს ეძინოს. უსამართლობაა, ბატონო, ამას ჩემი გული ვერ გაუძლებს. ღამით მისი ბალის გარშემო ვწრიალებ, ამიტომაც ვიკარგები. შენ მკითხავ, რისთვის ვიქცევი ასე? მინდა, ვნახო, მიდის თუ არა და სძინავს თუ არა მასთან ვინმეს, რომ დაგწყნარდე.

გამეცინა.

- ნუ გეცინება, ბატონო! თუ ქალს მარტო სძინავს, ჩვენ, თითოეული მამაკაცი, დამნაშავე ვართ. ერთ დღესაც ყველას მოგვიწევს ღვთის სამსჯავროზე თავის მართლება. ღმერთს, როგორც უკვე ვთქვით, ღრუბელი უჭირავს, ყველა ცოდვას პატიობს, ამ ერთის გარდა. ვაი, იმ მამაკაცს, ბატონო, რომელსაც ქალთან დაძინება შეეძლო და ეს არ გააკეთა; ვაი, ქალს, რომელსაც მამაკაცთან დაძინება შეეძლო და ეს არ გააკეთა. გაიხსენე, რას მეუბნებოდა ხოჭა.

ცოტა ხანს დადუმდა და მერე მოულოდნელად მკითხა:

- შეიძლება, გარდაცვლილი ადამიანი ხელახლა დაიბადოს?

- არა მგონია, ზორბას.

- არც მე. მაგრამ რომ შესძლებოდათ, ეს ადამიანები, რომლებმაც ახლა ვლაპარაკობთ, ვინც უარი თქვა მომსახურებაზე, ასე ვთქვათ დებერტირები, მიწაზე, იცი, რად დაბრუნდებოდნენ? ჯორცხენებად! - ისევ დადუმდა და ჩაფიქრდა. უცებ თვალები გაუბრწყინდა.

- ვინ იცის, - მხიარულად წამოიძახა, - შეიძლება, ყველა ჯორცხენი, რომლებსაც ახლა ქვეყნად ვხედავთ, ის სულელი ადამიანები არიან, რომლებიც, სანამ ცოცხლობდნენ, კაცები და ქალები თან იყვნენ, თან არა. ამიტომაც გადაიქცნენ ჯორცხენებად, ამიტომაც არიან ასეთი ჭიუტები და წიხლს იკვრევიან. რას იტყვი, ბატონო?

- კარგად ვერ ხარ, ზორბას, - ვუბასუხე ღიმილით. - ადექი, სანთური მოიტანე!

- ამ საღამოს სანთური არ იქნება, ბატონო, მაგრამ არა იმიტომ, რომ შენ განწყენილი. ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ, სისულელეებს ვროშავ და იცი, რატომ? დიდი საფიქრალი მაქვს. დიდი სადარდებელი. ახალი გაღერეა, ის წყეული, მისახელია. შენ კიდევ სანთური მომინდომე...

ნაკვერცხლიდან წაბლი აიღო, ერთი მუჭა მომანოდა და ჭიქები არყით გაავსო.

- ღმერთმა ხელი მოგვიმართოს! - ვუთხარი და მივუჭახუნე.

- ღმერთმა ხელი მოგვიმართოს! - გაიმეორა ზორბასმა. - თუმცა აქამდე მისგან ხეირი არ გვინახავს.

რისხვის ცეცხლი ერთბაშად დაეშრიტა და ლოგინში ჩაწვა.

- ხვალ, - თქვა, - დიდი ძალა მჭირდება, ათასობით დემონს უნდა ვებრძოლო. ღამე მშვიდობისა!

მეორე დღეს, დილაუთენია, ზორბასი თავით გადაეშვა სამუშაოში. კარგ შრეში ახალი გაღერეა უკვე ღრმად გაეჭრათ, ჭერიდან

წყალი მოწვეთავდა, მუშები ტალახში დააბოტებდნენ.

ზორბასმა გალერეის შესაკრავად ხის მორების მოზიდვა ორი დღის წინ დაიწყო. შფოთავდა. მორები საკმარისად სქელი არ იყო და თავისი შეუმცდარი ინსტინქტით, რომელიც აიძულებდა, როგორც საკუთარი სხეული, ისე მთელი ეს მიწისქვეშა ლაბირინთი უშუალოდ ეგრძნო, ხვდებოდა, რომ ხის კარკასი არასაიმედო იყო. სხვებისთვის შეუმჩნეველი ჭრიალი უკვე ყრუდ ესმოდა, ჭერის კონსტრუქცია სიმძიმისგან თითქოს ხვნეშოდა.

ზორბასი დღეს კიდევ უფრო აფორიაქდა: სწორედ მაშინ, გალერეაში ჩასასვლელად რომ ემზადებოდნენ, ჯორბე ამხედრებულმა სოფლის მღვდელმა, მამა სტეფანოსმა, ჩაიარა. მეზობელ დედათა მონასტერში ერთი სულთმობრძავი მონაზვნის საზიარებლად მიდიოდა. ზორბასმა, საბედნიეროდ, მოასწრო და სანამ ის რამეს ეტყოდა, სამჯერ გადააფურთხა.

- დილა მშვიდობისა, მამაო! - მღვდელს ცალყბად გაეპასუხა.

და მყისვე ჩაიდუღუნა:

- განვედ, სატანავ!

მაგრამ გრძნობდა, რომ უბედურების განსადევნად ეს შელოცვა საკმარისი არ იყო და აღელვებულმა ახალ გალერეაში შერგო თავი.

მურა ნახშირისა და აცეტილინის მძიმე სუნი იდგა. მუშები გუმინინდელი დღიდან ხეებს ამაგრებდნენ და გალერეას კრავდნენ.

სახედაძმარებული ზორბასი პირქუშად მიესალმა მათ, მკლავები დაიკაპინა და მუშაობას შეუდგა.

ათამდე მუშა ნახშირის ფენას წერაქვებს ურტყამდა, ნახშირი მათ ფეხებთან ხვავდებოდა, სხვები ნიჩბით ხელის ურიკაში ყრიდნენ და გარეთ ეზიდებოდნენ.

ზორბასი წუთით შეჩერდა, მუშებსაც ანიშნა, გაჩერდითო და მი-

აყურადა. როგორც მხედარი ერთიანდება თავის ცხენთან, ხოლო კაპიტანი - თავის გემთან, ზორბასიც ასევე შეერწყა მაღაროს და გრძნობდა, როგორ იტოტებოდა გალერეები მის სხეულში. მთის ბნელი მასა გვიან ხვდებოდა იმას, რასაც ზორბასი ადამიანური გუმანით მასზე ადრე გრძნობდა.

სმენადქცეული იდგა. ამ დროს მეც მივედი. თითქოს რაღაც ცუდმა წინათგრძნობამ, ვიღაცის ხელმა მიბიძგა. ლოგინიდან წამოვხტი, ჩავიცვი, გარეთ გავვარდი, არ ვიცი, რატომ. ფეხები უყოყმანოდ მურა ნახშირის საბადოს გზას დაადგა. სწორედ მაშინ მივედი, როცა აფორიაქებული ზორბასი სმენად ქცეულიყო, რაღაცის გაგონებას ცდილობდა.

- არაფერია... - თქვა ცოტა ხანში, - მომეჩვენა. საქმეს მიხედეთ, ბიჭებო!

შემობრუნდა, თვალი მომკრა და ტუჩები მოკვმა:

- ამ დილაადრიან აქ რამ მოგიყვანა, ბატონო?

მომიახლოვდა:

- ზემოთ ხომ არ ახვიდოდი ჰაერის ჩასაყლაპად? - მერე ჩამჩურჩულა: - სასეირნოდ სხვა დროს მოდი.

- რა ხდება, ზორბას?

- არაფერი... ჩემი აკვიატებაა. დილაუთენია მღვდელს გადავეყარე. ნადი!

- თუ სახიფათოა, წასვლა სირცხვილი არ იქნება?

- არ იქნება, - მიპასუხა ზორბასმა.

- შენ წახვიდოდი?

- არა.

- მერე?

- მე სხვა სამომი მაქვს ზორბასისთვის, - მითხრა გაღიზიანებულმა, - სხვებისთვის კი - სხვა. მაგრამ, რადგანაც მიხვდი, რომ წასვლა სირცხვილია, ნუ წახვალ, დარჩი.

ჩაქუჩი აიღო, ფეხის წვერებზე შედგა და დიდი ლურსმნებით ჭერზე ხის კონსტრუქციის მიჭედება დაიწყო. აცეტილინის ლამპა ბოძიდან ჩამოვხსენი, ტალახში ბოლთას ვცემდი, ფენას ვუყურებდი. მუქი წაბლისფერი იყო და ბრწყინავდა; უკიდევანო ტყეები ჩაიძირა, მილიონობით წელმა ჩაიარა, მინა ღეჭავდა, ინელებდა, თავისივე შვილებს გარდასახავდა. ხეები ნახშირად იქცა, მოვიდა ზორბასი და იპოვა.

ლამპა კვლავ თავის ადგილას დაგვიდე, ვუყურებდი, როგორ მუშაობდა ზორბასი. გულიანად შრომობდა, არაფერზე ფიქრობდა, მიწასთან, წერაქვთან, ნახშირთან ერთიანდებოდა. ჩაქუჩი და ლურსმნები თითქოს მის სხეულად ქცეულიყვნენ, რომელიც ხეს ებრძოდა; გალერეის ჭერს შესჭიდებოდა, რომელიც მუცელივით ჩამოებრილიყო, მთელ მთას უტევდა, უნდოდა, მისთვის ნახშირი წაერთმია. ზორბასი წიაღისეულს ბუსტად გრძნობდა და შეუმცდარად ურტყამდა იქ, სადაც მთა უფრო სუსტი და ადვილად დასამარცხებელი იყო. ახლა, ასე გამურულის შემყურეს, მხოლოდ თვალების თეთრი გარსი რომ უნათებდა, ნახშირად ქცეული მეგონა. ასე შენიღბული, მოწინააღმდეგეს უფრო ადვილად მიუახლოვდებოდა და მის ციხეკოშკში შეიჭრებოდა.

- გამარჯვებას გისურვებ, ზორბას! - წამოვიძახე უნებლიეთ.

მაგრამ ის არც კი მობრუნებულა. რას მოიცლიდა ახლა ერთ “უმბეურ ხორცთან” სამასლაათოდ, რომელსაც წერაქვის ნაცვლად ხელში ფანქარი ეჭირა? საქმე ჰქონდა, ლაპარაკს საჭიროდ არ თვლიდა. “მუშაობისას ნუ დამელაპარაკები, - მითხრა ერთ საღამოს, - შეიძლება გაგტყდე!” - “გატყდე, ზორბას? როგორ?” - “პატარა ბავშვივით ისევ “როგორო” გაიძახი! როგორ აგისნა? სამუშაოს ვეძლევი, ფეხის ფრჩხილებიდან თავამდე დაჭიმული ვარ, ხან ქვისა და ნახშირის გამო, რომელსაც ვებრძვი, ხანაც სანთურის გამო. მოულო-

დნელად რომ შემეხო ან დამელაპარაკო და მომაბრუნო, შეიძლება გაგტყდე. თუმცა შენ რას მიხვდები!”

საათს დაგხედე, ათი სრულდებოდა.

- წახემსების დროა, ბიჭებო, - ვთქვი, - დაგვიანდა კიდევ.

მუშებმა იარაღები სიხარულით მიყარეს კუთხეში, ოფლი მოინ-
მინდეს, გალერეიდან გასასვლელად მოემზადნენ. საქმეში გართ-
ულმა ზორბასმა ვერ გაიგონა. მაგრამ თუნდაც გაეგონა, მუშაობას
მანც არ შეწყვეტდა.

- მოიცადეთ, - ვუთხარი მუშებს, - თითო სიგარეტი გააბოლეთ.

ჭიბეები მოვიქევე, რომ სიგარეტის კოლოფი მეპოვა. ირგვლივ
შემოხვეული მუშები მიცდიდნენ.

მოულოდნელად ზორბასი შეხტა, ყური გალერეის კედელს მი-
ანება, აცეტილინის ლამპის შუქზე მისი ნერვიულად დაფჩენილი პი-
რი გავარჩიე.

- რა მოგივიდა, ზორბას? - დავეყვირე.

მაგრამ იმწამს გალერეის ჭერი ერთიანად შეტორტმანდა ჩვენს
თავზე.

- გაიქეცით! - დაიყვირა ხმაჩახლეჩილმა ზორბასმა. - გაიქეცით!

გასასვლელს მივანყდით, მაგრამ სანამ ხის პირველ კონსტრუქ-
ციამდე მივალწვედით, მეორედ და უფრო ძლიერად დაიჭრიალა.
ზორბასი დიდ მორს დასწვდა, რომ შესუსტებული ხის კონსტრუქცი-
ისთვის შეედგა. ცდილობდა, რამდენიმე წამით კიდევ შეემაგრებინა
ჭერი, რომ გაქცევა მოგვესწრო.

- გაიქეცით! - ზორბასის მოგუდული ხმა ისე გაისმა, თითქოს მინ-
ის წიალიდან ამოდიოდა.

ყველანი ლაჩრულად (საბედისწერო წუთებში ხშირად რომ გვ-

ეუფლება) გავცვივდით გარეთ. ზორბასი არც კი გაგვხსენებია... მაგრამ რამდენიმე წამში გონს მოვეგე და უკან მივბრუნდი.

- ზორბას, - დავუძახე. - ზორბას!

მომეჩვენა, რომ დავუძახე, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ყელიდან ხმა არ ამომსვლია, შიშისაგან ჩამწყდომოდა.

შემრცხვა. ერთი ნაბიჯი კიდევ გადავდგი ხელების ცეცებით. ზორბასს სწორედ იმწამს სქელი მორის შეყენება მოესწრო და თავის საშველად გიჟივით გამოვარდნილი, ბინდბუნდში პირდაპირ მე შემეფეთა. ჩვენდა უნებურად, ერთმანეთს ჩავეხუტეთ.

- გავიქცეთ! - ხმაჩახლეჩილმა დაიღრინა. - გავიქცეთ!

გავცვივდით, სინათლეზე გავალწიეთ. შესასვლელთან მოგროვილი ზაფრანისფერგადაკრული, ენაჩავარდნილი მუშები სმენად ქცეულიყვნენ.

ჭრიალის ხმა მესამედ უფრო ძლიერად გაისმა, თითქოს მორი შუაზე ტყდებოდა. იმწამსვე ჩამოშლილი ქანი გრიალით წამოვიდა, მთა შეირყა, გალერეა ჩამოინგრა.

- ღმერთო, შენ გვიშველე! - ჩაიჩურჩულეს მუშებმა და პირჯვარი გადაისახეს.

- წერაქვები შიგნით დატოვეთ? - დაიყვირა გაცოფებულმა ზორბასმა.

მუშები ხმას ველარ იღებდნენ.

- რატომ არ წამოიღეთ? - ისევ დაიყვირა გადარეულმა. - ჩაისვარეთ, ვაჟკაცებო?! აფსუს იარაღები!

- ახლა წერაქვები ვიდარდოთ, ზორბას? - ჩავერიე. - მადლობლები ვიყოთ, რომ არავინ დაშავებულა. გაიხარე, ზორბას, გადარჩენას ყველანი შენ უნდა გიმადლოდეთ.

- მშია! - თქვა ზორბასმა. - მადა გამეხსნა.

ხელსახოცში გახვეული სამხარი ქვაზე დადო, გახსნა და პური, ზეთისხილი, ხახვი, ერთი მოხარშული კარტოფილი, ერთი მათარა ღვინო ამოიღო.

- მოდით, ვჭამოთ, - თქვა პირგამოტენილმა.

ხარბად ჭამდა, თითქოს მოულოდნელად დიდი ძალა დაკარგა და ახლა კვლავ აღდგენას ცდილობდა.

თავჩარგული ჩუმად იღეჭებოდა. მერე მათარა აიღო და თავი გადასწია. ღვინო გამომშრალ ყელში არაკრავდა.

მუშებიც გამხნევდნენ, მოქარგულ აბგებს პირი მოხსნეს და ჭამას შეუდგნენ. ყველანი ზორბასს შემოუსხდნენ, ილუკმებოდნენ და თან თვალს არ აშორებდნენ. უნდოდათ, ფეხებში ჩასცვივნოდნენ, მისთვის ხელები დაეკოცნათ, მაგრამ იცოდნენ, რომ ზორბასი ხუშტურიანი იყო და პირველობა ვერავის გაებედა.

ბოლოს ყველაზე ასაკოვანმა, ჭადარა სქელულვაშა მიხელისმა გაბედა:

- შენ რომ არა, ბატონო ალექსის, - უთხრა, - შვილები დაგვიობლდებოდნენ.

- მოკეტე! - უთხრა პირგამოტენილმა ზორბასმა და ხმის ამოდება ველარავინ გაბედა.

X

“ვინ შექმნა ეს მერყეობის ლაბირინთი, პათივმოყვარეობის ტაძარი, ცოდვებით სავსე კოკა, ინტრიგების ყანა, ჯოჯოხეთის კარიბჭე, მზაკვრობებით გატენილი გოდორი, შხამი, რომელიც თაფლს ჰგავს, ჭაჭვი, რომელიც მოკვდავთ სამყაროს - ქალს - აბამს?”

ისევ დავიწყე ამ ბუდისტური შესხმის წერა ანთებული მაყალის გვერდით ფეხმორთხმულმა. ვიბრძოდი, შელოცვას შელოცვაზე ვიხსენებდი, რათა გონებიდან წვიმისგან დასველებული, მოთამთამე სხეული განმედევნა, რომელიც ბამთრის ღამეებში კვლავ გაიფლავებდა ხოლმე ჰაერში. არ ვიცი, როგორ, მაგრამ გალერეის ჩამონგრევისთანავე, როცა ჩემი ცხოვრება შეიძლებოდა მოულოდნელად შეწყვეტილიყო, სისხლში ქვრივი ჩამისახლდა და ამძუვნეებული მხეცივით ხან მბრძანებლურად, ხანაც მუდარით მიხმობდა.

“მოდი, მოდი, - მეძახდა. - ცხოვრება ერთი გაელვებაა, მოდი მალე, მოდი. მოდი, რომ მოასწრო!”

ვიცოდი, რომ მარა - მაცდური სული - მეცხადებოდა ტანწერწეტა ქალის სხეულით. ვიბრძოდი. ვიჭექი და “ბუდას” ვწერდი იმ ველურების მსგავსად, რომლებიც თავიანთ გამოქვაბულებში ბასრი ქვით კვეთდნენ ან საღებავებით ხატავდნენ მშიერ მხეცებს, გარშემო რომ დაძრწოდნენ. ცდილობდნენ, ნადირები ამგვარად გაეშეშებინათ, რომ მათ ლუკმად არ ქცეულიყვნენ.

იმ დღიდან, რაც სიკვდილს თვალებში ჩავხედე, მარტოობაში ჩაძირულს ქვრივი თედოების მსუბუქი რხევით მიწვევდა. დღისით ძალა შემწევდა, გონება ფხიზლად მქონდა, მისი განდევნა შემეძლო. ვწერდი, რა სახით ეწვია ბუდას მაცდუნებელი. მანაც ქალად გადაიცვა, აზვირთებული მკერდით ძლიერად მიეკრა. ბუდამაც საფრთხე იგრძნო, სულიერ ძალებს მოუხმო და ცდუნება დაამარცხა. ბუდასთან ერთად ცდუნებას მეც ვამარცხებდი.

ვწერდი და ყოველი ფრაზის შემდეგ სულ უფრო მეტი შვება მეუფლებოდა, ვძლიერდებოდი. ვგრძნობდი, რომ ყოვლისშემძლე

შელოცვით, სიტყვით განდევნილი ცდუნება მტოვებდა. დღისით შეძლებისდაგვარად გულადად ვიბრძოდი, მაგრამ ღამით ჩემი გონება ფარ-ხმალს ყრიდა, კარს ალებდა და ქვრივი შემოდოდა.

დილაობით ქანცმილეული და დამარცხებული ვიღვიძებდი. ომი ხელახლა ჩაღებოდა. ზოგჯერ საღამოსკენ ვწევდი თავს, როდესაც დამარცხებული შუქი მიიძურნებოდა და მოულოდნელად სიბნელე მეფდებოდა. დღეები მოკლდებოდა, შობა ახლოვდებოდა. ამ დაუსრულებელ ბრძოლას კვლავ განვაგრძობდი და ვამბობდი: “მარტო არ ვარ, დიდი ძალა - სინათლეც - იბრძვის, მარცხდება, ისევ იმარჯვებს, იმედს არ კარგავს. მასთან ერთად მეც გავიმარჯვებ!”

მეჩვენებოდა, და ეს გამბედაობას მმატებდა, რომ მეც ქვრივთან ბრძოლით სამყაროს დიდ რიტმს მივდევდი. სხეულმა, ვფიქრობდი, მუხანათური გზა აირჩია, რათა ჩემში არსებული თავისუფალი ცეცხლი ჩემივე ნებით დაეთრგუნა და ჩაექრო. ვამბობდი: “ღმერთი შეუვალი ძალაა, რომელიც მატერიას სულად გარდასახავს. ყოველი ადამიანი თავის არსებაში ამ ღვთიური ქარტეხილის ნაფლეთს დაატარებს. ამიტომაც ახერხებს პურის, წყლისა და ხორცის გარდასახვას და თავის ფიქრად და ქმედებად ქცევას. მართალი იყო ზორბასი: “მითხარი, რად აქცევ იმას, რასაც ჭამ და გეტყვი, ვინ ხარ შენ!”. თავს არ ვზოგავდი, რომ სხეულის მთელი ეს ძლიერი სურვილი “ბუდად” გარდასახულიყო.

- რაზე ფიქრობ? აფორიაქებული ჩანხარ, ბატონო, - შობის დამდეგს მკითხა ზორბასმა, რომელიც მიხვდა, რომელ ეშმაკსაც ვებრძოდი.

თავი მოვიკატუნე, თითქოს ვერ გავიგე, მაგრამ ზორბასი არ მომეშვა.

- ახალგაზრდა ხარ, ბატონო, - მითხრა და მოულოდნელად მის ხმაში სიმწარე და ბრაზი გაისმა. - ახალგაზრდა ხარ, ჯანმრთელი, კარგად ჭამ და სვამ, სუფთა ჰაერს სუნთქავ, ძალას იკრებ და რას უშვრები? მარტოს გძინავს, აფსუს ძალა! აი, ამალამ მაინც წამოდექი, დროს ნუ კარგავ, მარტივია სამყარო, ბატონო, რამდენჯერ უნდა გითხრა, ნუ ხლართავ ყველაფერს!

წინ “ბუდას” ხელნაწერები მედლო და ვფურცლავდი. ზორბასის სიტყვები მესმოდა, ვიცოდი, რომ უსაფრთხო გზას მიხსნიდა. ეს მარას - გაიძვერა შუამავლის - ხმაც იყო.

ჯერ მდუმარედ ვუსმენდი, მერე გადავწყვიტე, შევწინააღმდეგებოდი. ხელნაწერს ნელ-ნელა ვფურცლავდი და შფოთვის დასამალად ვუსტვენდი. ამდენ ხანს ჩემმა მდუმარედ ყოფნამ ზორბასს მოთმინება დააკარგვინა:

- ამაღამ შობაა, ჩქარა წადი და ნახე, სანამ ეკლესიაში წავიდოდე. ქრისტე იბადება, ბატონო, ამაღამ, შენც მოახდინე სასწაული!

გალიზიანებული წამოვდექი:

- კმარა, ზორბას, - ვუთხარი, - ყოველ ადამიანს საკუთარი გზა აქვს, როგორც თითოეულ ხეს. ლედვის ხესთან როდისმე იმის გამო გიჩხუბია, რომ ბალი არ მოისხა? ჰოდა, გაჩუმდი! შუალამე დგება. ჩვენც წავიდეთ ეკლესიაში, რომ ქრისტეს შობას დავესწროთ.

ზორბასმა ზამთრის ქუდი ჩამოიფხატა.

- კარგი, - ამოიხვნეშა, - წავედით. მაგრამ იცოდე, ღმერთი გაცილებით კმაყოფილი იქნებოდა, ამაღამ მთავარანგელოზ გაბრიელივით ქვრივთან რომ წასულიყავი. ბატონო, ღმერთი შენს გზას რომ დასდგომოდა, მარიამთან არასოდეს წავიდოდა, ქრისტე არასოდეს დაიბადებოდა. მე თუ მკითხავ, ღვთის გზა რომელია, გეტყვი, რომ ეს მარიამთან მიმავალი გზაა. ქვრივი მარიამია.

დადუმდა, პასუხს ამაოდ ელოდა, მერე ანაზღად კარს ხელი ჰკრა და გარეთ გავედით. ზორბასმა ხელჯოხი კენჭებს დაჰკრა.

- დიახ, დიახ, - დაიჟინა, - მარიამია ქვრივი!

- წავიდეთ, - ვუთხარი, - ნუ ყვირი!

სწრაფად მივდიოდით ზამთრის ღამეში. ცა მოკრიალებულიყო. მსხვილი ვარსკვლავები გავარვარებული ნაღვერდლებით დაკვი-

დებულებები და ანათებდნენ. ნაპირის გასწვრივ მიმავლებს ღამე ზღვის კიდებზე მწოლიარე მოკლულ მხეცად გვეჩვენებოდა.

“ამ ღამიდან, - ვფიქრობდი, - ზამთრისგან შევიწროებული სინათლე თავად დაუნყებს მას დაჯაბნას. თითქოს ამაღამ ღვთიურ ყრმასთან ერთად ისიც დაიბადა”.

ქრისტიანები თბილ, სურნელოვან სკაში, ეკლესიაში, შეყუყულებულნი. წინ მამაკაცები იდგნენ, უკან - ქალები. მაღალი, გაძვალტყავებული, ორმოცდღიანი მარხვისგან გამგელებული მღვდელი სტეფანოსი, ოქროსფერში გამოწყობილი, წინ და უკან დაალაჭებდა, გუნდრუკს აკმევდა, ხმამაღლა გალობდა, ქრისტეს შობის ნახვა ეჩქარებოდა, რათა შინ დროზე წასულიყო და მსუქანი ხორცის წვნიანს, ძხვეულსა და შაშხს დასძგერებოდა...

თუ იტყოდნენ: “დღეს სინათლე იშვა”, ადამიანის გული არ შეშინდებოდა, იდეა ზღაპრად არ იქცეოდა და სამყაროს ვერ დაიპყრობდა. ერთ ჩვეულებრივ ბუნებრივ მოვლენად დარჩებოდა, რომელიც წარმოსახვას, ანუ სულს, არ აგვიფორიაქებდა. მაგრამ სინათლე, რომელიც შუაგულ ზამთარში იშვა, ბავშვად იქცა, ბავშვი - ღმერთად და უკვე ოცი საუკუნეა, სულს იგი უბეში უბის და კვებავს...

შუალამე ახალი გადასული იყო, საიდუმლო რიტუალი რომ დასრულდა. ქრისტე იშვა. დამშეული სოფლები გახარებული გაცვივდნენ სახლებში, რათა ეჭამათ და განხორციელების საიდუმლო მუცლის სიღრმემდე ეგრძნოთ. მუცელი მტკიცე საძირკველია, პირველ რიგში - პური, ღვინო და ხორცი. მათ გარეშე ღმერთი არ იქმნება.

დიდი ვარსკვლავები ანგელოზებივით გაბრწყინდნენ, ირმის ნახტომი მდინარე იორდანესავით ზეცის ერთი კიდიდან მეორემდე გადაჭიმულიყო, ერთი მწვანე ვარსკვლავი ჩვენს თავზე ბურმუხტივით დაეკიდა. ამოვიხვინებე.

ზორბასი მომიბრუნდა:

- გჭერა, ბატონო, რომ ღმერთი განკაცდა და ბოსელში იშვა,

გჭერა თუ ხალხს ატყუებ?

- პასუხის გაცემა მიჭირს, ზორბას, თან მჭერა, თან არა. შენ?

- რჯულს გეფიცები, მეც არეულ-დარეული ვარ. აბა, რა გითხრა? როცა ლაწირაკი ვიყავი და ბებიანიჩემი ზღაპრებს მიყვებოდა, საერთოდ არ მჭეროდა, მაგრამ მოლოდინისგან ვკანკალებდი, ვიცინოდი და ვტიროდი, თითქოს მჭეროდა. როცა წვერი ამომივიდა, ყველა ამ ზღაპარს შევეშვი და თავს ვიკატუნებდი, მაგრამ ახლა უკვე, სიბერეში, გამოვყეყეჩიდი, ბატონო, ისევ ვინწყებ მათ დაჯერებას... უცნაური რამაა ადამიანი!

მადამ ჰორტენზიასკენ მიმავალ გზას დავადექით, მშვიერი ცხენებით მივთოხარიკობდით.

- ძალიან ჭკვიანები არიან წმინდა მამები! - თქვა ზორბასმა. - მუცლით ყავხარ გამოჭერილი, რა გინდა ქნა? ორმოცი დღე ხორცი არ ჭამო, მარხვააო. რატომ? ხორცი რომ მოგინდეს! ოჰ, ამ სალახანებმა ყველა ხრიკი იციან!

ნაბიჯს მოუჩქარა.

- დროზე, ბატონო, - მითხრა, - ინდაურით პირი ჩავიგემრიელოთ!

ჩვენი ქალბატონის ფართოსანოლიან ოთახში შევედით. მაგიდაზე თეთრი სუფრა გადაეფარებინა, ფეხებგაფარჩხულ ინდაურს ორთქლი ასდიოდა, ანთებული ბუხრიდან სასიამოვნო სითბო იღვრებოდა.

მადამ ჰორტენზიას თმა დაეხვია, გრძელი, გახუნებული, ფართოსახელოებიანი, დაძენძილმაქმანებიანი ვარდისფერი ხალათი ჩაეცვა. განიერი, ორი თითის დადება, მჭახე ყვითელი ლენტი დანაოჭებულ ყელზე უჭერდა. ილღიებში ყვავილის ესენცია ესხურებინა.

“ყველაფერი როგორ სრულყოფილადაა მოწყობილი სამყაროში! - გავიფიქრე. - რა კარგად არის შეხამებული დედამიწა ადამიან-

ის გულთან! აი, კაბარეს ამ ბებერმა მომღერალმა რამდენი რამ გადაიტანა და ახლა, ამ უდაბურ სანაპიროზე გამორიყული, ამ უბადრუკ ოთახში ქალის უსათნოეს მზრუნველობას, სითბოსა და დიასახლისობას სრულად უყრის თავს”.

უხვი საჭმელი, მოგიზგიზე ბუხარი, მორთულ-მოკაზმული სხეული, ყვავილის ესენციის სურნელი - მთელი ეს უბრალო, ადამიანური, ხორციელი სიხარული როგორ მარტივად და სწრაფად გარდაიქმნება ხოლმე დიდ სულიერ ბედნიერებად!

წამით თვალეებზე ცრემლი მომადგა, მომეჩვენა, რომ ამ დიად ღამეს აქ, ზღვის პირას, მარტოდმარტო არ ვიყავი და ჩემზე ზრუნვას ერთი მდედრი ცდილობდა, რომელიც თავისი თავდადებით, სინაზითა და მოთმინებით დედას, დას, ქალს განასახიერებდა. მეც, ღრმად დარწმუნებულმა, რომ არაფერი მჭირდებოდა, მოულოდნელად ვიგრძენი, რაოდენ მაკლდა ეს ყოველივე.

ეტყობა, ზორბასიც იმავე ტკბილმა მდეღვარებამ შეიპყრო, რადგან, შევედით თუ არა, ეცა და ჩვენი მორთულ-მოკაზმული, ათასკაცგამოვლილი დედაბერი გულში ჩაიკრა.

- ქრისტე იშვა! - დაიყვირა. - იხარე, მდედრობითო სქესო! - მერე სიცილით მომიბრუნდა:

- დაინახე, რა ეშმაკის ერთია ქალი, ბატონო? ღვთის შებმაც მოახერხა!

სუფრას შემოგუსხედით, საჭმელს ვეცით, ღვინო დავლიეთ, მუცელი გავახარეთ, გული აგვიფრთხილდა. ზორბასს კვლავ ცეცხლი მოედო.

- ჭამე და დალიე, - მეძახდა შიგადაშიგ, - ჭამე და დალიე, ბატონო. ხასიათზე მოდი, შე კაცო, შენც მწყემსებივით იგალობე: “დიდება მაღალთა შინა!..” ქრისტეს შობა ხელწამოსაკრავი არ არის, იგალობე, რათა ღმერთმა მოგისმინოს, იმ საბრალომაც გაიხაროს. ვაკმაროთ სამსალა, რომელსაც ვასმევთ!

ხასიათზე მოსული ემხში შევიდა.

- ქრისტე იშვა, ბრძენო სოლომონ, ჩემო მწიგნობარო! ძალიანაც ნუ ჩაეძიები: იშვა, არ იშვა? იშვა, ბიჭო, სულელი ნუ იქნები! გამადიდებელ შუშას თუ აიღებ და სასმელ წყალს დახედავ, მითხრა ერთხელ ერთმა ინჟინერმა, ნახავ, რომ წყალი წვრილ-წვრილი, თვალისთვის უხილავი მატლებითაა სავსე. მატლებს დაინახავ და არ დალევ. არ დალევ და წყურვილით სული გაგძვრება. ლინზა გატეხე, ბატონო, გატეხე ის უნამუსო, რომ მატლები მყისვე გაქრნენ, წყალი დალიო და გაგრილდე!

ჭრელაჭრულაში გამონყობილ ჩვენს თანამეინახეს მიუბრუნდა, სავსე ჭიქა ასწია:

- ჩემო ქალწულო და თანამებრძოლო, - უთხრა, - ამ ჭიქით შენს სადღეგრძელოს ვსვამ! ჩემს ცხოვრებაში ხომალდის ცხვირზე მილურსმული, ძუძუებზე ხელებაფარებული, ლოყებ-და ტუჩებზედებილი ბევრი ფიგურა მინახავს. ყველა ზღვა მოუვლიათ, ღუბა ყველა ნავსადგურში ჩაუშვიათ. როცა გემი ღებება, ისინი ხმელეთზე გადმოაქვთ და მას მერე თევზის დუქნებისა და ყავახანების კედელზე არიან მიყუდებული, სადაც კაპიტნები დასალევად დადიან.

კაპიტნის ცოლო, ამალამ ამ სანაპიროზე რომ მიყურებ, ახლა, როცა კარგად ნაჭამ-ნასვამმა თვალეებში გამოვიხედე, დიდი გემი მგონიხარ. მე კი შენი უკანასკნელი ნავსაყუდელი ვარ, ჩემო ბუბულინა; მე ვარ ყავახანა, სადაც კაპიტნები დასალევად მიდიან. მოდი, დამეყრდენი, აფრები დაუშვი! ამ სავსე ჭიქით გაგიმარჯოს, ჩემო გორგონა!

გულაჩუყებულ მადამ ჰორტენზიას ტირილი აუვარდა და ბორბასს მხარზე ჩამოეყრდნო.

- ნახავ, - ბორბასმა ყურში ჩამჩურჩულა, - ამ კეთილი სიტყვით, რომელიც ვუთხარი, შარს გადავეყრები, უნამუსო ამალამ არ გამიშვებს. მაგრამ რა ვქნა, მებრალებიან უბედურები!

- ქრისტე იშვა! - შესძახა ხმამაღლა თავის გორგონას. - გაგვიმა-

რჯოს!

მადამს მკლავი მკლავში გაუყარა. ორივემ ერთ ყლუპად, ვახტანგურად გადაუძახა ღვინო და ერთმანეთს მორიდებით შეაცქერდნენ.

ალიონი მოახლოებულიყო, როცა თბილი ოთახიდან მართო გამოვედი და ბარაკისკენ მიმავალ გზას დავადექი. კარგად გამძლარ სოფელს კარ-ფანჯრები ჩაეკეტა, ზამთრის მსხვილი ვარსკვლავების ქვეშ ეძინა.

ციოდა. ზღვა გუგუნებდა. ცისკრის ვარსკვლავი კეკლუცად, უდარდელად დაეკიდა აღმოსავლეთის ცაზე. ნაპირს მივუყვებოდი, ტალღებს ვეთამაშებოდი: ჩემ დასველებას ლამობდნენ, მე კი გაგურბოდი. ბედნიერი ვიყავი, ვამბობდი: “ეს არის ნამდვილი ბედნიერება, არავითარი პატივმოყვარეობა არ გაგაჩნდეს და თან ვირიგით იმუშაო, თითქოს პატივმოყვარე იყო; ადამიანებისგან შორს იცხოვრო, არ გჭირდებოდეს ისინი და მაინც გიყვარდეს. ქრისტეშობაზე კარგად ჭამო, დალიო და მერე ყველა საცდურს გამოექცე; ვარსკვლავები დაგნათოდნენ, მარცხნივ მიწას ხედავდე, მარჯვნივ - ზღვას და მოულოდნელად აცნობიერებდე, რომ ცხოვრების უკანასკნელი გმირობა დასრულდა და ზღაპრად იქცა”.

დღეები შეუჩერებლად გადიოდა. ვცდილობდი, მხნეობა მომეკრიბა. ვყვიროდი, ვეთამაშობდი, მაგრამ სულში ნალველი მედგა. ამ ბრწყინვალე კვირაში მოგონებები წამომეშალა, მთელი არსება მუსიკითა და საყვარელ ადამიანთა სახეებით ამევსო. კვლავ ვიგრძენი, რამდენად მართალი იყო უძველესი ზღაპარი, რომ ადამიანის გული სისხლით სავსე ორმოა, რომელშიც საყვარელი მიცვალებულები პირქვე ეშვებიან და გასაცოცხლებლად ჩვენს სისხლს ენაფებიან. და რაც უფრო ძვირფასნი არიან ჩვენთვის, მით მეტ სისხლს გვწოვენ.

ახალი წლის დამდეგი იყო. სოფლელი ბავშვების ხმაურიანი ჭგუფი ჩვენს ბარაკსაც მოადგა. ხელში ქალაქის დიდი გემი ეჭირათ და წკრიალა მხიარული ხმებით “ალილოს” მღეროდნენ. წმინდა ბასილი კესარიიდან წამოვიდა, ისიც სწავლული გახლდათ. ათასი

წვრილმანი წამოიღო და კრეტის ამ ლილისფერ სანაპირომდე მოაღწია, რათა ზორბასის, ჩემი და არარსებული “დიდებული ქალბატონის” სადიდებელი შეეთხზა.

მდუმარედ ვუსმენდი. ვგრძნობდი, რომ კიდევ ერთი ფოთოლი, ერთი წელიწადი მგარდებოდა გულიდან. შავი ხაროსკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი.

- რა მოგივიდა, ბატონო? - მკითხა ზორბასმა, რომელიც პატარებთან ერთად მღეროდა და დოღზე უკრავდა. - რა დაგემართა, ჩემო ბიჭო? გაფითრდი, გეგონება, დაბერდიო, ბატონო. მე კი ამ დამეს თითქოს პატარა ბავშვად ვიქეცი, ქრისტესავით თავიდან ვიბადები. როგორც ის იშვება ყოველ წელს, ისე - მეც.

ლოგინში ჩავნექი და თვალები დავხუჭე. აფორიაქებულს ლაპარაკი არ მინდოდა.

ვერ ვიძინებდი. თითქოს ამაღამ ჩემი საქციელის გამო თავი უნდა მემართლებინა. მთელი ჩემი ცხოვრება სიმშარივით სწრაფი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ბუნდოვანი ამბებივით ამომიტივტივდა და უიმედოდ შევცქეროდი მათ.

ჩემი ცხოვრება ქარისგან დევნილი ფაფუკი ღრუბელივით იცვლიდა ფორმას: იკუმშებოდა, იშლებოდა, ისევ ერთდებოდა და გელად, ძაღლად, დემონად, მორიელად, ოქროს ფარშევანგად, მაიმუნად გარდაისახებოდა. ქარი სულ უფრო ძლიერად უბერავდა, ღრუბლებსა და ცისარტყელას ფანტავდა.

ცხოვრებაში დასმული ყველა კითხვა არა მხოლოდ პასუხგაუცემელი რჩებოდა, არამედ ერთმანეთში იხლართებოდა. ყველაზე დიდი იმედებიც კი გამიქარწყლდა, კეთილგონიერი გავხდი...

გათენდა. თვალებს არ ვახელოდი. ვცდილობდი, ჩემი სურვილებ-ისთვის თავი მომეყარა, ტვინის გამაგრებულ ქერქში შემეღწია და ბნელ სახიფათო არხში შევსულიყავი, სადაც ყოველი ადამიანური წვეთი დიდ ოკეანეს უერთდება. ვჩქარობდი, საბურველი გამეხია და მენახა, ეს ახალი წელი რას მომიტანდა...

- დილა მშვიდობისა, ბატონო, ახალ წელს გილოცავ!

ხმამ მოულოდნელად კვლავ მიწაზე დამაბრუნა. თვალები გავახილე და ზორბასი დავინახე, რომელმაც ბარაკის ზღურბლზე ერთი დიდი ბროწეული დააგდო. ლალის მარცვლები ჩემს საწოლამდე გამოგორდნენ. რამდენიმე ავილე, შევჭამე, ყელი გავიგრილე.

- ხეირს გისურვებ, ბატონო და კარგი გოგონები არ მოგვკლებოდეს! - მხიარულად შეძახა ზორბასმა.

დაიბანა, გაიპარსა, საგარეო ტანსაცმელი - მწვანე მაუდის შარვალი, უხეში ტილოს ნაცრისფერი პიჯაკი და მოკლე, ნახევრად გაქუცული ტყაპუჭი - ჩაიცვა, რუსული კრაველის ქუდი დაიხურა, უღვაში ჩაიგრიხა.

- ბატონო, - მითხრა, - წავალ, ეკლესიაში გამოვჩნდები, ფირმის წარმომადგენელი ვარ. ნახშირის საქმეს არ წაადგება, მასონებად ჩაგვთვალონ. რას ვკარგავ? დროსაც გავიყვან.

თავი მოაბრუნა, თვალი ჩამიკრა.

- შეიძლება, ქვრივიც ვნახო, - ჩაიჩურჩულა.

ღმერთი, ფირმის სასარგებლოდ მიღებული სარფიანი გადაწყვეტილება და ქვრივი ზორბასის გონებაში განუყრელად შეერთდნენ. მისი მსუბუჭი ნაბიჯების ხმა გავიგონე, რომელიც მშორდებოდა. ფეხზე წამოვხტი, ჯადო გამქრალიყო, სული კვლავ ხორცის დილეგში გამოიკეტა.

ჩავიცვი, სანაპიროს გავუყევი, სწრაფად მივაბიჯებდი. გახარებული ვიყავი, თითქოს რაღაც საფრთხეს ან ცოდვას გადავურჩი; თითქოს მოულოდნელად მკრეხელური მომეჩვენა ჩემი წადილი, ჯერ კიდევ დაუბადებელი მომავალი დამეზვერა.

ერთი დილა გამახსენდა, როცა ფიჭვზე პეპლის ჭუპრი დავინახე. სწორედ იმწამს კანს არღვევდა და გამოსასვლელად ემზადებოდა. ველოდი, ველოდი, მაგრამ აგვიანებდა, მე კი მეჩქარებოდა. მაშინ

მისკენ დავიხარე და ჩემი ამონასუნთქით გათბობა დავუწყე. ერთი სული მქონდა, როდის გათბებოდა და ბუნების საწინააღმდეგო სწრაფი რიტმით თვალწინ სასწაული გადამეშლებოდა. კანი მთლიანად გადაიხსნა და პეპელა გამოჩნდა. მაგრამ არასოდეს დამავიწყდება მაშინ დაუფლებული შიში: დანაოჭებული ფრთები არ იშლებოდა, მთელი სხეულით ცახცახებდა. იბრძოდა, ფრთები გაეშალა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მეც ჩემი ამონასუნთქით მის დახმარებას ამოდ ვცდილობდი. მას მოთმინებით სავსე მომწიფება და მზეში გაშლა სჭირდებოდა, მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო. ჩემმა სუნთქვამ პეპელა აიძულა, ნაადრევად, დანაოჭებული, უდღეური გამოსულიყო. მოუმწიფებელი, სასოწარკვეთილი შეინძრა და ცოტა ხანში ჩემს ხელისგულზე დალია სული.

პეპლის ეს ჭუპრი, მგონია, უდიდეს სიმძიმედ მანევს სინდისზე. აგერ, დღეს მივხვდი: მარადიული კანონების დაჩქარება მომაკვდინებელი ცოდვაა. მოვალე ხარ, უკვდავ რიტმს ნდობით მისდიო.

ლოდზე მოგვალათდი, რომ ეს საახალწლო ფიქრი წყნარად მომენელებინა. ნეტავ შემძლებოდა, ვფიქრობდი ჩემთვის, ამ ახალწელს ჩემი ცხოვრება ასე, ისტერიკული სულსწრაფობის გარეშე მომენესრიგებინა! იმ პატარა პეპელასაც, რომელიც მოგვალი, რადგან მის მკვდრეთით აღდგენას ვჩქარობდი, ნეტავ მუდამ ჩემ წინ ეფრინა და გზა ეჩვენებინა! და ასე ნაადრევად მოკლეული პეპელა თავის დას - ადამიანის სულს - დახმარებოდა, რომ არ ეჩქარა და ფრთები მშვიდად, ნება-ნება გაეშალა!

XI

ფეხზე გახარებული წამოვვარდი, საახალწლო საჩუქარი ხელში მეჭირა - ცივი ჰაერი, წვრილა ცა, ლაპლაპა ზღვა.

სოფლის გზას დავადექი, წირვა უკვე დასრულებული იქნებოდა. მივდიოდი და უცნაური გულის ფანცქალით ველოდი, ვინ იქნებოდა პირველი ადამიანი, რომელსაც წლის დასაწყისში დავინახავდი და რომელიც ჩემს სულში მეკვლედ შემოაბიჯებდა. ნეტავ ბავშვი იყოს-მეთქი, ვამბობდი, საახალწლო სათამაშოებით ხელში ან ვალმოხდილი მოხუცი, თეთრ ფართოსახელოებიან პერანგში გამონწყობილი! რაც უფრო ვუახლოვდებოდი სოფელს, მით უფრო მემატებოდა შფოთვა.

ანაზღად მუხლები მომეკვვითა. სოფლის შარასთან, ზეთისხილის ხეების ქვეშ, რხევა-რხევით მომავალი, სახენამონთებული, შავმანდილიანი, კელაპტარივით ჩამოქნილი ქვრივი გამოჩნდა.

შავ ავაზასავით მოირხეოდა და მომეჩვენა, რომ ჰაერში მუშკის მძაფრ სურნელს აფრქვევდა. “ნეტა გაცლა შემეძლოს!” გავიფიქრე. კარგად ვიცოდი, რომ ეს შემართული მდედრი შეუბრალებელი იყო და გამარჯვება მხოლოდ გაცლით მოხერხდებოდა. მაგრამ როგორ უნდა მომეხერხებინა ეს? ქვრივი მიახლოვდებოდა, კენჭები ისე ჩხრილებდა, თითქოს ჯარი მოდისო. თავი შეარხია, მანდილი ჩამოუსრიალდა და მბზინვარე ყორნისფერი თმა გამოუჩნდა. წამწამების ნელი ფახულით შემომხედა და გამიღიმა. თვალებში სითბო ედგა. თავსაფარი უმაღლესე მოიხვია, თითქოს შერცხვა, რომ ქალის დიდი საიდუმლო - თმა - გამოუჩნდა.

მისალმებას ვაპირებდი, “მრავალს დაესწარი-მეთქი”, მინდოდა, მეთქვა, მაგრამ ყელში ბურთი გამეჩხირა იმ დღის მსგავსად, როცა გალერეა ჩამოინგრა და ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. მისი ბალის ღობის ლერწმები შეირხა, ოქროსფერი ლიმონებისა და ფორთოხლების მუქ ვარჯებს ზამთრის მზის სხივი დაეცა. მთელი ბალი სამოთხესავით გაბრწყინდა.

ქვრივი შედგა, ბალის კარს ძლიერად ჰკრა ხელი და შეალო. სწორედ იმნამს გვერდით ჩაგუარე, მივბრუნდი, მანაც შემომხედა, წარბები შეუტოკდა.

კარი ღია დატოვა და დავინახე, თეძოების რხევით როგორ გაუჩინარდა ფორთოხლის ხეებში.

ზღურბლს გადავაბიჯო, კარი ჩავრაზო, გავეკიდო, წელზე ხელი მოვხვიო, სიტყვის უთქმელად გაშლილ საწოლზე დავეცეთ - ამას ნიშნავს მამაკაცი! ამას გააკეთებდა პაპაჩემი, ნეტავი ჩემი შვილიშვილიც ასე მოიქცეოდეს, მე კი, მათ შორის, ვდგავარ და ვყოყმანობ...

- სხვა ცხოვრებაში, - მწარედ ჩავიღიმე, - უკეთ მოვიქცევი. ახლა კი წავედი!

თავი მწვანე ხეობაში შევრგე, გული დამიმძიმდა, თითქოს მომაკვდინებელი ცოდვა ჩამედინოს. ვწრიალებდი, ვწრიალებდი, ციოდა, მაკანკალებდა. ქვრივის კეკლუცობას, ღიმილს, თვალებს, მკერდს გონებიდან ვდეგნიდი, მაგრამ ეს ყველაფერი ისევ ბრუნდებოდა და გავრბოდი, თითქოს ვიღაც მომდევადა.

ხეებს ჯერ კიდევ ეძინათ, მაგრამ დაბერილი კვირტები დასკდომაზე ჰქონდათ. ყოველ კვირტში გასაშლელად გამზადებული ყვავილებისა და შემდეგ - ნაყოფის ამოცნობა შეიძლებოდა. ზამთარში მშრალი ქერქის ქვეშ უხმაუროდ, მალულად დღედაღამ გაზაფხულის დიდი სასწაული მზადდებოდა.

მოულოდნელად გახარებულმა ამოვიყვირე: ჩემ წინ, ხევში, ერთი გაბედული ნუშის ხე აყვავებულიყო, გაზაფხულის მაცნე ყველა ხისთვის დაესწრო.

ამოვისუნთქე. ეს მინდოდა. ღრმად ვისუნთქავდი მომწარო სურნელს, გზიდან გადავუხვიე, წავედი და აყვავებული ტოტების ქვეშ მოვკალათდი.

ბედნიერი, კარგა ხანს, არაფერზე ვფიქრობდი, არაფერზე ვდარდობი. თითქოს მარადისობაში ჩაძირული, სამოთხის ერთ-ერთი

ხის ძირას ვიჭეცი.

მოულოდნელად სამოთხიდან ვიღაცის ხაფმა ხმამ გამომაგდო.

- სად ორმოში ჩავარდნილხარ, ბატონო? ქვეყანა მოვიარე შენს ძებნაში, შუადღე ახლოვდება, წავედით!

- სად?

- სად?! მეკითხები კიდევ? გოჭის დედიკოსთან. არ მოგშივდა? გოჭი უკვე გამოიღეს ღუმლიდან, მისი სურნელი ცხვირში მცემს, წავედით-მეთქი, გეუბნები.

წამოვდექი, ნუშის მაგარ, იდუმალ ტანს მოვეფერე, რომელმაც ამ ყვავილოვანი სასწაულის გამოტყორცნა შეძლო. მშვიერი ზორბასი წინ ხალისიანად მიმიძლოდა. ადამიანის ძირითადი საჭიროებები - საჭმელი, სასმელი, ქალი, ცეკვა - ჯერაც ცოცხლად იყო შენარჩუნებული მის სხეულში. ხელში ვარდისფერ ქალაღში გახვეული, ოქროს ყაითნით შეკრული ნივთი ეჭირა.

- საახალწლო საჩუქარია? - ვკითხე.

ზორბასმა გაიცინა, აღელვების დამალვა სცადა.

- აი, უბედურმა რომ არ იწუნუნოს! - ისე მითხრა, ჩემკენ არ მობრუნებულა. - წარსული დიდება გაიხსენოს... ქალია, ხომ შევთანხმდით? წუნუნა არსება.

- ფოტოსურათია? შენი ფოტოსურათია, მკრეხელო?

- ნახავ... ნახავ, ცოტა მოითმინე; თავად გაგაკეთე. ვიჩქაროთ.

შუადღის მზე ადამიანს ძვლებს უთბობდა. ზღვაც მზეზე ნებივრობდა, ისიც კმაყოფილი იყო. ზღვაში პატარა, შიშველი, მსუბუქ ნისლში გახვეული კუნძული მოჩანდა.

სოფელს მივაღებთ. ზორბასი მომიახლოვდა და ხმადაბლა მითხრა:

- იცი, ბატონო, ის ეკლესიაში იყო. წინ, მედავითნის გვერდით, ვიდექი. დავინახე, წამით კანკელი როგორ განათდა. ქრისტე, ღვთისმშობელი, თორმეტი მოციქული გაბრწყინდნენ... “ეს რა არის? - ვთქვი და პირჭვარი გადავისახე. - მზე?”. მოვბრუნდი, ქვრივი იყო.

- მორჩი ლაპარაკს, ზორბას, კმარა! - ვუთხარი და ნაბიჯს აგუჩქარე.

მაგრამ ზორბასი უკან გამომედევნა:

- ახლოდან დავინახე, ბატონო. ლოყაზე ხალი აქვს, ჭკუას დაგაკარგვინებს. ქალის ლოყაზე ამოსული ხალიც რა იდუმალი რამეა!

თვალეები კვლავ განცვიფრებისგან გადმოკარკლა.

- გესმის, ბატონო? გლუვ კანზე მოულოდნელად ერთ შავ შხეფს მოჰკრავ თვალს. გონებას დაგაკარგვინებს! რამე გაგეგება? შენი წიგნები რას ამბობენ?

- ჭირსაც წაულია ყველა!

ზორბასმა კმაყოფილმა გაიცინა.

- აი, ასე, - მითხრა, - ნელ-ნელა გაგებას იწყებ.

ყავახანას სწრაფად ჩავუარეთ, არ გავჩერებულვართ.

“დიდებულ ქალბატონს” ფურნეში გოჭი შეეწვა და ზღურბლზე გველოდებოდა.

ყელზე კვლავ მჭახე ყვითელი ლენტი შემოეხვია, პუდრი ისე უხვად შეეფრქვია და ტუჩები ალუბლისფრად ისე სქლად შეეღება, შეგეშინდებოდა. ჩვენს დანახვაზე მთელი სხეულით შეხტა. გახარებულს სხივჩამქრალი თვალეები კეკლუცად აუციმციმიდა და ზორბასის აპრეხილ ულვაშს მიაშტერდა. მანაც, შესასვლელი კარი ჩაიკეტა თუ არა, ქალს წელზე ხელი მოხვია.

- მრავალს დაესწარი, ჩემო ბუბულინა, ნახე, რა მოგიტანე! - უთხ-

რა და დანაოჭებულ მსუქან კისერში აკოცა.

ბებერ სირენას მოელიტინა, მაგრამ არ დაბნეულა, თვალი საჩუქრისთვის არ მოუცილებია, ხელი სტაცა, ოქროს ყაითანი შემოხსნა, დახედა და შეჰკვივლა.

მეც დავიხარე, რომ დამენახა: სქელ მუყაოზე მკრეხელ ზორბასს ოთხი სხვადასხვა ფერის საღებავით - ყვითლით, ყავისფრით, ნაცრისფრითა და შავით - დროშებით მორთული ოთხი დიდი ჯავშნოსანი გემი დაეხატა. გემების წინ ტალღებზე წამოწოლილი თეთრი, შიშველი, თმაჩამოშლილი, მკერდშემართული, თევზის დახვეული კუდით, ყელზე მჭახე ყვითელლენტშებმული გორგონა - ქალბატონი ჰორტენზია - დაცურავდა. ოთხი კანაფით ინგლისური, რუსული, ფრანგული და იტალიური ალმით მორთულ ხომალდებს ექაჩებოდა. ჩარჩოს თითოეულ კუთხეში ყვითელი, ყავისფერი, ნაცრისფერი და შავი წვერი ეკიდა.

ბებერი სირენა წამში მიხვდა ყველაფერს.

- მე ვარ! - თქვა და გორგონაზე ამაყად მიუთითა.

ამოიხვნეშა.

- ეჰ, ერთ დროს მეც დიდი ძალა ვიყავი...

საწოლის თავთან, თუთიყუშის გალიის გვერდით, ჩამოკიდებული მრგვალი სარკე ჩამოხსნა და ზორბასის ნამუშევარი დაკიდა. სქელი წითელი საღებავი გაფითრებულ სახეს უმაღავდა.

ამასობაში ზორბასი სამზარეულოში შემძვრალიყო, შიოდა. ტაფით გოჭი გამოიტანა, წინ ბოთლით ღვინო დაიდგა, სამი ჭიქა შეავსო.

- მობრძანდით! - დაგვიძახა და ტაში შემოჰკრა. - საძირკვლიდან, მუცლიდან დავიწყეთ. ჩემო ბუბულინა, ჩვენ შემდეგ გავაგრძელოთ!

მაგრამ ბებერი გორგონა გაუთავებლად ოხრავდა. მასაც ყოველ

ახალ წელს თავისი მცირე მეორედ მოსვლა ჰქონდა, ისიც წონიდა განვლილ ცხოვრებას და აღმოაჩენდა, რომ დაღუპული იყო. მნიშვნელოვან დღეებში ამ ცხოვრებისაგან გათელილ ქალს სახელმწიფოები, მამაკაცები, აბრეშუმის ხალათები, შამპანურები, სუნამონაპკურები წვერები აგონდებოდა.

- არ მაქვს მადა, - ჩურჩულებდა ნებივრად, - არ მაქვს... არ მაქვს...

ბუხრის წინ ჩაიმუხლა, ღაღარი გამოჩხრიკა. მოშვებული ლოყები ალმა გაუნათა. ცეცხლი შუბლზე ჩამოვარდნილ კულულს მისწვდა. ოთახში შეტრუსული თმის გულისამრევი, მყრალი სუნი დადგა.

- არ შევჭამ... არ შევჭამ... - კვლავ ჩაიჩურჩულა, რადგან ხედავდა, რომ ყურადღებას არ ვაქცევდით.

გალიზიანებულმა ზორბასმა მუშტი შეკრა, გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. შეეძლო, ქალისთვის ყურადღება არ მიექცია და მასაც, რამდენიც უნდოდა, იმდენი ეჩურჩულა, ჩვენ კი ჭამა-სმას შევდგომოდით; შეეძლო, მის წინ მუხლი მოეყარა, გულში ჩაეკრა და ერთი კეთილი სიტყვით დაეთაფლა. ვუცქერდი და მის დანაოჭებულ სახეზე ტალღებად გადავლილ ურთიერთსაპირისპირო გამომეტყველებას ვხედავდი.

მოულოდნელად ზორბასის სახეზე მოძრაობა შეწყდა, გადაწყვეტილება მიიღო. დაიჩოქა, სირენას მუხლებს ჩაეჭიდა:

- შენ თუ არ შეჭამ, ჩემო ბუბულინა, - უთხრა სულის შემძვრელი ხმით, - სამყარო დაიღუპება. შეიბრალე სამყარო, ჩემო ქალბატონო, გოჭის ფეხი შეჭამე!

და პირში კნაუნა, ცხიმიანი ფეხი ჩასჩარა.

ქალი გულში ჩაიკრა, აიყვანა და ჩვენ შორის, თავის სკამზე დასვა.

- ჭამე, - უთხრა, - ჭამე, რომ წმინდა ბასილი ჩვენს სოფელშიც შე-

მოვიდეს! თორემ იცოდე, არ შემოვა. უკან, თავის სამშობლოში, კესარიში, გაბრუნდება, ყველაფერს - ბასილებს, საჩუქრებს, ბავშვების სათამაშოებს, ამ გოჭს - უკან წაიღებს და წავა. აბა, ჩემო ბუბულინა, პირი გააღე, მიირთვი!

ორი თითით იღლიაში მოუღიტინა. ბებერმა სირენამ ჩაიხითხითა, დაწითლებული თვალები შეიმშრალა და დაბრანული ფეხი გემრიელად ჩაკვნიტა...

იმწამს ორმა შეყვარებულმა კატამ ბანზე, ჩვენს თავგემოთ, კნავილი მორთო. გაცოფებულები საძაგლად ღნაოდნენ. მათი ხმები შემადრწუნებლად მოისმოდა. უცებ გავიგონეთ, სახურავზე როგორ გორავდნენ და ერთმანეთს პორჭყნიდნენ.

- მიაუ-მიაუ... - თქვა ზორბასმა და ბებერ სირენას თვალი ჩაუკრა.

მანაც გაუღიმა და მაგიდის ქვეშ მალულად ხელზე ხელი მოუჭირა. გახალისებული, მადიანად შეუდგა ჭამას.

მზე გადაინვერა, მისმა სხივებმა ფანჯრიდან შემოაღწიეს, ბუბულინას ფეხებთან მოიკალათეს. ბოთლი დაიცალა, ველურ კატასავით უღვაშაპრეხილი ზორბასი “მდედრობით სქესს” მიახლოებოდა. მადამ ჰორტენზია, მოკუნტული, მხრებში თავჩარგული, მამაკაცის თბილ ღვინიან ამონასუნთქს გრძნობდა და აჟრჟოლებდა.

- ეს რაღა სასწაულია, ბატონო? - მომიბრუნდა ზორბასი. - ყველაფერი უკუღმა მიმდის. როგორც მიყვებოდნენ, პატარაობისას ბებერს ვგვანებივარ, სერიოზული და სიტყვაძუნწი ვყოფილვარ, ბოხი ბებრული ხმა მქონია. თურმე პაპაჩემს მამსგავსებდნენ! წლების მატებასთან ერთად ხასიათიც მიმჩატდებოდა. ოცი წლისამ სიგიჟეების კეთება დავიწყე, მაგრამ ძალიან ბევრისაც არა, ჩვეულებრივის. ორმოცი წლისამ მთელი სისავსით შევიგრძენი ახალგაზრდობა და დიდ სიგიჟეებში გადავეშვი. ახლა კი, როცა სამოცის შევსრულდი (სინამდვილეში სამოცდახუთის ვარ, ბატონო, მაგრამ ეს ჩვენ შორის დარჩეს), რჯულს გეფიცები - როგორ ავიხსნა, ბატონო? - სამყარო ველარ მიტევს!

ჭიქა ასწია და თავის ქალბატონს მოკრძალებით მიუბრუნდა:

- გაგიმარჯოს, დიდებულო ქალბატონო, - უთხრა სერიოზული ხმით, - ღმერთმა ქნას, რომ ახალ წელს ბასრი კბილები და გადაკალმული წარბები ამოგივიდეს, მარმარილოს კანი დაგიბრუნდეს, რომ ყელიდან ეგ ოხერი ლენტები მოიშორო! კრეტამ კვლავ წამოიწყოს აჯანყება და კვლავ მოვიდეს, ჩემო ბუბულინა, ოთხი დიდი ძალა თავიანთი ფლოტებით; თითოეულ ფლოტს თავისი ადმირალი ჰყავდეს და ყოველ ადმირალს ხუჭუჭა და სურნელოვანი წვერი ჰქონდეს. კვლავ ამოხტე, ჩემო გორგონა, ტალღებიდან და - ღმერთო, შენ გვიშველე! - ამღერდე. და ყველა ფლოტი ამ ორ მრგვალ ციცაბო კლდეს შეელენოს! - თქვა და თათი მადამის გაფუებული მკერდისკენ გაიწოდა.

ზორბასი კვლავ აღგზნებულიყო, ვნებისგან ხმა ჩახლენოდა. ოდესღაც კინოთეატრში ნანახი მყავდა ერთი თურქი ფაშა, რომელიც პარიზის კაბარეში ერთობოდა. მუხლებზე ქერა მოცეკვავე ეჯდა. ფაშა ენთებოდა, ეგზნებოდა და ხედავდი, მისი ფესის ფუნჯი ნელ-ნელა ფეხზე როგორ დგებოდა. ჯერ ჰორიზონტალურად შეშდებოდა, შემდეგ კი ერთბაშად სწორდებოდა.

- რატომ იცინი, ბატონო? - მკითხა ზორბასმა.

მაგრამ მადამი ჯერ კიდევ მის სიტყვებზე ფიქრობდა.

- ეჰ, - თქვა, - რას იზამ, ჩემო ზორბას? ახალგაზრდობა წავიდა!

ზორბასმა მისკენ მიიწია, ორი სკამი ერთმანეთს მიეკრა.

- მომისმინე, რა გითხრა, ჩემო ბუბულინა, - თან ცდილობდა, მისი ზედატანის მესამე, ბოლო ღილიც, გაეხსნა, - მომისმინე, რა საჩუქარი მინდა მოგართვა: ერთი ახალი ექიმი, სასწაულებს სჩადის. წამალს გაძლევს, წვეთებია თუ ფხვნილი, ვერ გეტყვი, და კვლავ ოცი წლისა, დიდი-დიდი ოცდახუთისა ხდები. შენ მშვიდად იყავი, ჩემო ქალბატონო ბუბულინა, ევროპაში შეგიკვეთავ...

ბებერი სირენა შეხტა, მეჩხერ თმაში პრიალა მოწითალო კანი

წამოენთო.

- მართლა? - შესძახა. - მართლა?

ჩათქვირებული მკლავები ზორბასს კისერზე შემოხვია:

- ჩემო ზორბას, - ჟღურტულებდა და ზედ ეგლისებოდა, - თუ წვეთებია, ჩემთვის ერთი ბოცა შეუკვეთე; თუ ფხვნილია...

- ერთი ტომარა! - უთხრა ზორბასმა და მესამე ღილიც შეუხსნა.

კატებმა, რომლებიც ცოტა ხნით ჩაჩუმებულიყვნენ, კვლავ კნავილი მორთეს. ერთი ხმა მოთქვამდა და ეგვიდრებოდა, მეორე უარს ეუბნებოდა და აშინებდა...

ჩვენმა ქალბატონმა დაამთქნარა, თვალები მოერღვა.

- კატების გესმის? არ რცხვენიათ... - ჩაიჩურჩულა და ზორბასს კალთაში ჩაუჭდა.

თავი დახარა და ამოიხვნეშა. მეტისმეტი სმისგან თვალები ეცრემლებოდა.

- რაზე ფიქრობ, ჩემო ბუბულინა, თვალები რატომ აგინწყლიანდა? - ჰკითხა ზორბასმა და მისი მკერდი ჩაბლუჭა.

- ალექსანდრიაზე... - ამოიქვითინა მრავალი ქვეყნის მნახველმა გორგონამ, - ალექსანდრიაზე... ბეირუთზე... კონსტანტინოპოლზე... თურქ ქალებზე, არაბ ქალებზე, შარბათზე, ოქროს ქოშებზე, ფესებზე.

კვლავ ამოიხვნეშა.

- როცა ალი ბეგი ღამით ჩემთან რჩებოდა - რა უღვაში, რა წარბები, რა მკლავები ჰქონდა! - ფულს იხდიდა და განთიადამდე ჩემს ეზოში დაფა-ზურნა უკრავდა. მეზობლის ქალები შურისგან სკდებოდნენ და ამბობდნენ: "ალი ბეგი ისევ მაღამთანაა..."

კონსტანტინოპოლში სულეიმან-ფაშა პარასკევს სასეირნოდ არ მიშვებდა, რომ შემთხვევით მეჩეთში მიმავალ სულთანს არ დაგენახე და ჩემი სილამაზით გაოგნებულს თავის ჰარამხანაში არ წავეყვანე... დილით ჩემგან რომ მიდიოდა, სამ არაბს კართან მიყენებდა, რომ სხვა მამაკაცი არ მოახლოებოდა... ეჰ, ეჰ, ჩემო სულეიმან!

ცხვირსახოცი აიღო და კუსავით წინკნა დაუწყო.

ზორბასმა გვერდითა სკამზე გადასვა და გაცეცხლებული წამოდგა, ბოლთის ცემას მოჰყვა. ქშენდა, ოთახში ველარ ეტეოდა. ჯოხს ხელი სტაცა, ეზოში გავარდა, კედელს კიბე მიაყუდა და დავინახე, ორ-ორ საფეხურს როგორ ახტებოდა.

- ვის საცემად მიდიხარ, ზორბას? - დაგუძახე. - სულეიმან-ფაშის?

- წყუელიმც იყვნენ კატები, მშვიდად ყოფნას არ მაცლიან! - და ერთი ნახტომით ბანზე აღმოჩნდა.

მადამ ჰორტენზიას, მთვრალს, თმაგაჩეჩილს, მრავალგზის ნაკოცნი თვალები დაეხუჭა. სიზმარს იგი აღმოსავლეთის დიდ ქალაქებში დახურული ბაღებისკენ, ბნელი ჰარამხანებისკენ, შეყვარებული ფაშებისკენ მიჰყავდა. ზღვებს გადაატარებდა. ეზმანებოდა, რომ თევზაობდა, ოთხი ანკესის ძუა ჰქონდა ჩაგდებული და ოთხი დიდი ჭავჭავოსანი ხომალდი დაეჭირა...

წყნარი, ზღვაში დასველებული ბებერი სირენა ძილში იღიმებოდა.

ზორბასი ჯოხის ქნევით შემოვიდა.

- სძინავს? - იკითხა და მადამს შეხედა. - სძინავს კახპას?

- კი, - მივუგე, - ჩემო ზორბას-ფაშა, ძილმა წაიყვანა, ბებრებს რომ აახალგაზრდავებს. ახლა ის ოცი წლისაა და ალექსანდრიაში, ბეირუთში დასეირნობს...

- მომწყდეს თავიდან, ძუკნა! - ჩაიჩურჩულა ზორბასმა და ძირს დააპურტყა. - შეხედე ერთი, როგორ იღიმება! წამოდი, წავიდეთ, ბა-

ტონო!

ქუდი დაიხურა და კარი გამოაღო.

- ასე რომ შევანუხეთ და მარტოდმარტო ვტოვებთ, სირცხვილი არ არის? - ვკითხე.

- მარტო არ არის, - ჩაიბურღუნა ზორბასმა, - სულეიმან-ფაშასთან ერთად არის, ვერ ხედავ? მეცხრე ცაზეა ბინძური დედაკაცი, წავედით!

გარეთ, ცივ ჰაერზე გავედით, წყნარი მთვარე მშვიდ ცაზე დაცურავდა.

- ქალები, - მიზლით თქვა ზორბასმა, - ფუი! მაგრამ თქვენი ბრალი არ არის, ჩვენი - სულელების, ქათმისტვინების, სულეიმანებისა და ზორბასების - ბრალია!

ცოტა ხანში კი დასძინა:

- არც ჩვენი ბრალია, მხოლოდ ერთია დამნაშავე, დიდი სულელი და ქათმისტვინა, დიდი სულეიმანი და ზორბასი... იცი, ვინ?

- თუ არსებობს, - ვუთხარი, - მაგრამ თუ არ არსებობს?

- მაშინ დავიღუპეთ!

კარგა ხანს ჩქარა, უხმოდ მივაბიჯებდით. ზორბასი მძიმე ფიქრებში ჩაფლულიყო, რადგან შიგადაშიგ ხელჯოხს ქვებს ურტყამდა და აპურჭყებდა.

მოულოდნელად მომიბრუნდა:

- ღმერთმა აკურთხოს პაპაჩემის ძვლები, - თქვა, - ქალებისა გავეგებოდა, რადგან იმ ცხონებულსაც ძალიან უყვარდა ისინი. ცეცხლის კალოში აყენებდნენ. “დამილოცნიხარ, ალექსის, - მეუბნებოდა. - და შორს ქალებისგან! როდესაც ღმერთმა - წყეულიმც იყოს ის საათი! - დედაკაცის შესაქმნელად ადამს ნევნი ამოუღო, ეშმაკი გველ-

ად გადაიქცა, ნეკნი მოიტაცა და წავიდა... ეცა ღმერთი, დაიჭირა, მაგრამ ეშმაკი გაუსხლტა და ხელში მისი რქებიღა შერჩა. “კარგი დიასახლისი, თქვა ღმერთმა, რწყილსაც გაატყავებს, მეც ეშმაკის რქებისგან დედაკაცს გავაკეთებ”. შექმნა იგი და სწორედ მაშინ დავიღუპეთ, ჩემო ალექსის. ქალს სადაც გინდა შეეხე, ეშმაკის რქაა. შორს მათგან, ჩემო ბიჭო! სამოთხის ვაშლებიც მან მოიპარა, უბეში ჩაილაგა, ახლა კი არხეინად დადის და ამაყოფს, იმან არ გაიხაროს! ის ვაშლები გიჭამია? დაიღუპე. არ გიჭამია? მაინც დაიღუპე. აბა, რა გირჩიო, შვილო? რაც გინდა, ის ქენი!” - ამას მეუბნებოდა ცხოვრებული პაპაჩემი, მაგრამ ჭკუას როგორ ვისწავლიდი! მეც ჩემს გზას დავადექი, ეშმაკებისკენ!

სოფელი სწრაფად გამოვიარეთ. მთვარის შუქი გვაფორიაქებდა. თითქოს სასეირნოდ მთვრალი გამოვსულიყავი, სამყარო შეცვლილი დამხვდა. გზები რძის მდინარეებად გადაიქცა, ორმოებიდან კირი მოჩანდა, მთები ჩამოთოვლილიყო. ხელები, სახე, ყელი ციცინათელას მუცელივით ფოსფორისფრად მინათებდა. მთვარე კი მრგვალ, უცხო თილისმასავით მეკიდა გულზე...

ცხენებივით გამალებული მივთოხარიკობდით. ნასვამები, სხეულში სიმსუბუქეს ვგრძნობდით, თითქოს დავფრინავდით. დაძინებულ სოფელში ძაღლები ბანებზე ასულიყვნენ და ყმოდნენ. თვალები მთვარისთვის მიელურსმათ და უნებურად გინდებოდა, ყელი მოგელერებინა და შენც ნაღვლიანი სიმღერა წამოგეწყო.

ქვრივის ბაღს ჩავუარეთ. ზორბასი შედგა. ღვინოს, საჭმელს, მთვარეს მისთვის თავბრუ დაეხვია. ყელი მოიღერა და აყროყინდა, უნმანური შაირი წამოიწყო, რომელიც თავის აღგზნებულ ფიქრებს შეუხამა:

მე სულს ამომხდის შენს წელს ქვემოთ

ბორცვი მაცდური,

ხარობს სხეული, როცა მანდ ხელს

შემოგიცურებ!

- კარგი ემბაკის რქაა ესეც! - თქვა. - წავედით, ბატონო!

უკვე თენდებოდა, როცა ბარაკს მივადექით. ქანცგანწყვეტილი სანოლზე მივეგდე. ზორბასმა დაიბანა, სპირტქურა აანთო, ყავა მოხარშა. კარის წინ ფეხმორთხმით დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და მშვიდად გააბოლა. წელში გამართული, გაშეშებული ზღვას გაჰყურებდა. სახე სერიოზული და დაფიქრებული ჰქონდა, გარანდულ, წვიმისგან გაშავებულ ხეზე შესრულებულ ჩემს საყვარელ იაპონურ ნახატს ჰგავდა: ფეხმორთხმული, ფორთოხლისფერ სამოსში გამონყობილი ასკეტი მის, სახე გაბრწყინებია, მკაცრი და ქედმოუდრეკელი, მოღიმარი კუნაპეტ ღამეს უშიშრად გაჰყურებს...

მთვარის შუქზე ზორბასს ვუყურებდი. მომწონდა, რა გაბედულად და მარტივად ფიქრობდა სამყაროზე. მისთვის სხეული და სული ერთი იყო. ყველაფერი: ქალი, პური, გონება, ძილი, ჰარმონიაში იყო სხეულთან და ზორბასი სიხარულით ეხებოდა მათ. არასოდეს მინახავს ადამიანისა და სამყაროს ასეთი მეგობრული დამოკიდებულება და ურთიერთგაგება.

მრგვალი, მქრქალი მწვანე მთვარე დასავლეთისკენ მისრიალებდა. ზღვაში ენით აუნერელი სიტკბო ჩაიღვარა.

ზორბასმა სიგარეტი გადააგდო, ხელი გაიწოდა, კალათში რაღაც მოძებნა, კანაფი, კოჭა, წვირები ამოიღო, ლამპა აანთო და საბაგროს გამოცდა დაიწყო. თავის პრიმიტიულ სათამაშოზე დახრილი, ნამდვილად რთული ფიქრებით იყო თავგზააბნეული. შიგადაშიგ გამწარებული თავს იქექავდა და იგინებოდა.

მოულოდნელად გაბებრებულმა ფეხი მოიქნია და საბაგრო დაანგრია.

XII

ძილმა თავი წამართვა. გამოღვიძებულს ზორბასი წასული და-
მხვდა. ციოდა. სულ არ მინდოდა ადგომა. ხელი თავზემით, პატარა
თაროსკენ გავიწოდე, საყვარელი წიგნი ავიღე, რომელიც თან მქ-
ონდა წამოღებული - მალარმეს ლექსები. ნელა, გონებაგაფანტუ-
ლად ვკითხულობდი. დავხურე, ისევ გადავშალე, მერე მოვისრო-
ლე. დღეს პირველად ყველაფერი უსისხლო, უსუნო და უსიცოცხ-
ლო მომეჩვენა. უფერული, ჰაერში გამოკიდებული ცარიელი სიტყ-
ვები. თავანკარა, უმიკრობო წყალი, თუმცა საკვები ნივთიერებების-
განაც დაცლილი და უსიცოცხლო.

გამქრალ რელიგიებში ღმერთები პოეტურ მოტივებად და სახე-
ებად გარდაისახებიან, რათა, ამ პოეზიის მსგავსად, ადამიანური მა-
რტობა და კედლები გაალამაზონ. გულის მინავლებული გზნება,
მიწითა და თესლით სავსე, წარმოსახვით თამაშად იქცევა.

წიგნი ისევ გადავშალე, კითხვა განვაგრძე. რატომ მხიბლავდა
ეს ლექსები ამდენი წლის განმავლობაში? წმინდა პოეზია! უხილავ,
მსუბუქ თამაშად ქცეულ სიცოცხლეს სისხლის ერთი წვეთიც კი არ
ამძიმებს. სოფლური, ხეპრე, ბინძური ადამიანური ელემენტი - სიყვ-
არული, სხეული, ყვირილი - დაე აბსტრაქტულ იდეად იქცეს, გონებ-
ის ბრძმედში, ალქიმიკში, მატერიალური სახე დაკარგოს და გაიფ-
ანტოს!

როგორ მოხდა, რომ ეს ყველაფერი, რაც მხიბლავდა, დღეს
დილით შარლატანურ აკრობატიკად მომეჩვენა! ნებისმიერი ციფ-
ილიზაცია ერთნაირად გადადის ოინბაზობაში, ძალიან ოსტატურ
თამაშებში - წმინდა პოეზიაში, წმინდა მუსიკაში, წმინდა გონებაში.
ეს ადამიანის აგონიაა. უკანასკნელი ადამიანისა, რომელიც ყოვე-
ლგვარი რწმენისა და შეცდომისაგან გათავისუფლდა, რომელიც
უკვე აღარაფერს ელის, აღარაფრის ეშინია, მთელი მისი მიწა სულ-
ად იქცა და სული ვეღარ პოულობს ადგილს, სადაც შეიძლება ფეს-
ვი გაიდგას, რომ იქიდან საზრდო შეიწოვოს და გამოიკვებოს... და-
ცარიელდა ადამიანი, აღარც თესლი აქვს, აღარც - განავალი, აღა-

რც - სისხლი. ყველაფერი სიტყვებად იქცა, ყველა სიტყვა - მუსიკალურ კოკობზიკობად; და ახლა ჩამომჭდარა უკანასკნელი ადამიანი მარტოობის კიდებზე და მუსიკას უხმო მათემატიკურ განტოლებებად გარდაქმნის.

შევკრთი. “ბუდა უკანასკნელი ადამიანი!” შევძახე. ეს არის მისი შიშის აღმძვრელი იდუმალი ამრი. ბუდა “წმინდა” სულია, რომელიც დაცარიელდა, შიგნით აღარაფერი დარჩენია, არაფრად ქცეულა. “დაიცარიელეთ შიგნეული, დაიცარიელეთ გონება, დაიცარიელეთ გული!” - მოგვიწოდებს. მისი ფეხდადგმული ადგილიდან წყალი აღარ ამოდის, ბალახი აღარ იზრდება, ბავშვი აღარ იბადება. ვიფიქრე, ჯადოსნური ხმისთვის მიმებაძა, ბუდა ალყაში მომექცია, მომეჯადოებინა, მეიძულებინა, სამუდამოდ მომშორებოდა. მისთვის სიტყვათა ბადის სროლას ვაპირებდი, რათა დამეჭირა და გადავრჩენილიყავი!

“ბუდას” დაწერას ლიტერატურულ თამაშად აღარ ვთვლიდი. ეს იყო ბრძოლა დიდ გამანადგურებელ ძალასთან ჩემ შიგნით, ბრძოლა დიდ “არასთან”, რომელიც გულს მიჭამდა. ჩემი ცხოვრება ამ ბრძოლის შედეგზე იყო დამოკიდებული.

გახარებულმა ხელნაწერი ავიღე, არსისთვის მიმეგნო. ახლა უკვე ვიცოდი, სად უნდა დამერტყა! ბუდა უკანასკნელი ადამიანია, ჩვენ ჯერ კიდევ დასაწყისში ვართ, საკმარისად არ გვიჭამია, არ დაგვიღვია, არ გვიკოცნია, ჯერ არ გვიცხოვრია, ნაადრევად მოვიდა ეს უძღური, მისაგათებული მოხუცი. მოუსვას აქედან!

ასე ვყვიროდი გულში. წერა დავიწყე. ეს წერა კი არა, ომი იყო, დაუნდობელი დევნა, ჩასაფრება და შელოცვა, რათა მხეცი ბუნადიდან გამომეტყუებინა. ჯადოსნური წმინდა მსახურება და სიმართლე ხელოვნებაა, ჩვენს არსებაში ბნელი მომაკვდინებელი ძალები, მოკვლის, ნგრევის, სიძულვილის, შერყვნის შემადრწუნებელი ჟინი სახლობს. ხელოვნება კი ტკბილი სალამურიტ მოდის გადასარჩენად.

ვწერდი, მთელი დღე ვიბრძოდი. სალამოს უკვე არაქათგამოცლილი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ წინ წავიწიე. დღეს

რალაც სიმაღლეები დავძლიე. ერთი სული მქონდა, ზორბასი როდის მოვიდოდა, რომ მეჭამა, დამეძინა, ძალა მომეკრიბა და დილასისხამზე კვლავ ბრძოლაში ჩავბმულიყავი.

ზორბასი გვიან დაბრუნდა, სახე უბრწყინავდა. “მიაგნო მანაც, მიაგნო!” - გავიფიქრე და მოლოდინად ვიქეცი.

შენუხებული ვიყავი. ორი დღის წინ გაბრაზებულმა განგუცხადე:

- ფული გვითავდება, ზორბას, რაც მოსახდენია, დროზე მოხდეს! დავძრათ საბაგიროს საქმე. ნახშირში თუ არ გაგვიმართლა, ხეტყის დამზადებას მივყოთ ხელი. თორემ დავიღუპეთ.

ზორბასმა თავი მოიქეცა.

- ფული გვითავდება, ბატონო? ეს ცუდია!

- გვითავდება, შევჭამეთ, ზორბას! საბაგიროს გამოცდა როგორ მიდის? კიდევ გრძელდება?

ზორბასს ნირი წაუხდა, თავი ჩაქინდრა და არაფერი უპასუხია. გამარჯვება მთელი გულით ეწადა. და, აი, ახლა სახე უბრწყინავდა.

- დავადგინე, ბატონო! - დამიძახა შორიდან. - დახრის სწორი კუთხე დავადგინე, სრიალებდა, ხელიდან მისხლტებოდა, მაგრამ დავიჭირე!

- მაშ, საქმეს დროზე შეუდექი! ცეცხლი ზარბაზნებს, ზორბას! რა გჭირდება?

- ხვალ დილაუთენია კასტროში უნდა წავიდე, რომ საჭირო მასალა - სქელი ფოლადის გვარლი, ჭოჭონაქები, ლილვის საბჭუნები, ლურსმნები, კავები ვიყიდო... ჩიტივით გავფრინდები და მოვფრინდები.

ცეცხლი მკვირცხლად აანთო, საჭმელი მოამზადა. მაღიანად ვჭამეთ და დავლიეთ. დღეს ორივე გვარიანად გავისარჯეთ.

დილით ზორბასს სოფლამდე გავყევი. მურა ნახშირზე საქმიანად ვსაუბრობდით. დაღმართზე ზორბასი ქვაზე წაბორძიკდა, ქვა დაგორდა. ზორბასი გაოცებული შედგა, თითქოს ცხოვრებაში პირველად ხედავდა ასეთ შესანიშნავ სანახაობას. მობრუნდა, შემომხედა, მის თვალებში მსუბუქი შიში დავლანდე.

- შენიშნე, ბატონო? - მკითხა ბოლოს. - ქვები დაღმართში ცოცხლდებიან!

ხმა არ ამომიღია, მაგრამ ძალიან გამიხარდა. დიდი მეოცნებეები, დიდი პოეტების მსგავსად, ყველაფერს პირველად ხედავენ. ყოველდღე თავიანთ წინ ახალ სამყაროს ამჩნევენ. ახალ სამყაროს კი არ უცქერენ, ქმნიან.

სამყარო ზორბასისთვის ისეთივე იყო, როგორც პირველყოფილი ადამიანებისთვის: საფეთქლებზე ვარსკვლავები ეხებოდა, ზღვა ეხეთქებოდა, გონების ჩაურევლად, მიწით, წყლით, ცხოველებით, ღმერთით ცხოვრობდა.

მადამ ჰორტენზიას გაეგო და შეღებილი, ზედმეტად შეპუდრული, აფორიაქებული გველოდა ზღურბლზე. ისე მორთულიყო, როგორც კაბარე შაბათ საღამოს. კართან შეკამბული ჯორი იდგა. ზორბასი წამში იქ გაჩნდა და აღვირს სწვდა. ბებერი სირენა შემკრთალი მოგვიახლოვდა და მსუქანი ხელი ჯორს მკერდზე დაადო, თითქოს უნდოდა, თავისი რჩეული შეეჩერებინა და არ გაეშვა.

- ზორბას... - ჩაილულლულა და ფეხის წვერებზე აიწია, - ზორბას...

ზორბასმა თავი მიაბრუნა. ასე, ქუჩაში, არშიყი არ მოსწონდა. საბრალო მადამმა ზორბასის გამოხედვას თვალი შეასწრო, შეეშინდა, მაგრამ ხელი ისევ მუდარით ჰქონდა მიდებული ჯორის მკერდზე.

- რა გინდა? - ჰკითხა გაღიზიანებულმა ზორბასმა.

- ზორბას, - ვედრებით ჩაიჩურჩულა ქალმა. - არ დამივიწყო, ზო-

რბას...

ზორბასმა აღვირი მოქაჩა, პასუხი არ გაუცია. ჯორი გზას გაუყვა.

- კარგად, ზორბას! - დავუძახე. - სამი დღე, გესმის? მეტი არა!

მობრუნდა, ხელი დაგვიქნია. ბებერი სირენა ტიროდა. ცრემლებს პუდრში რუები გაჰყავდა.

- გპირდები, ბატონო! მომავალ შეხვედრამდე! - და ზეთისხილის ხეთა შორის გაუჩინარდა.

მადამ ჰორტენზია ტიროდა და თან უყურებდა, როგორ მხიარულად ანათებდა და ქრებოდა ვერცხლისფერ ფოთლებს შორის წითელი თოქალთო, რომელიც, სანყალს, ჯორისთვის გადაეფარებინა, რომ მისი რჩეული მოხერხებულად დამჭდარიყო. მალე ისიც გაუჩინარდა. მადამ ჰორტენზიამ გარშემო მიმოიხედა: სამყარო დაცარიელებულიყო.

სანაპიროზე აღარ დავბრუნებულვარ, გზას ზემოთ, მთისკენ, შევუყევი. სანამ აღმართზე ბილიკს შევედგებოდი, საყვირის ხმა გავიგონე: ფოსტალიონი სოფელს თავის მოსვლას ატყობინებდა.

- ბატონო! - დამიძახა ხელის ქნევით.

მომიახლოვდა, ჟურნალ-გაზეთების შეკვრა და ორი წერილი გადმომცა. ერთი მაშინვე ჯიბეში ჩავიდე, რომ საღამოს წამეკითხა, როცა დღე ჩაივლიდა და გონება დამშვიდდებოდა. ვიცოდი, ვინც მწერდა და მინდოდა, გადამედო, სიხარული გამეხანგრძლივებინა.

მეორე წერილი ნერვიული ნაწერიტა და უცხოური მარკით ვიცანი. მას ერთი ძველი თანაკლასელი, კარაიანისი, მიგზავნიდა აფრიკიდან, ტანგანიკასთან ახლოს მდებარე ერთი მთიანი ადგილიდან.

უცნაური და გამოუცნობი კაცი იყო. შავტუხას თეთრი ბასრი კბილები ჰქონდა. ცალი ეშვი ტახივით გამოსჩროდა. ლაპარაკის ნაცვლად ყვიროდა; კამათის ნაცვლად ჩხუბობდა. სამშობლო, კრეტა,

მიეტოვებინა, სადაც თეოლოგიის პროფესორი იყო. ძალიან ახალგაზრდა უკვე სამღვდლო შესამოსელს ატარებდა. თავის მოსწავლესთან გააბა რომანი. ერთ დღეს ყანაში კოცნაობისას წაასწრეს და გამოაჭენეს. იმავე დღეს პროფესორმა შესამოსელი გაიხადა, თბომავლით აფრიკაში წავიდა თავის ნათესავთან და საქმეს ეცა: თოკების დამამზადებელი ქარხანა გახსნა და ფული იშოვა. დროდადრო მწერდა და მიწვევდა, რომ ჩავსულიყავი და მასთან ექვს თვეს დავრჩენილიყავი. მისი ყოველი წერილის გახსნისას ქარს ვგრძნობდი, რომელიც ძლიერად უბერავდა კანაფით შეკერილი ფურცლებიდან და თმას მიწნავდა. ყოველ ჯერზე გადავწყვეტიდი ხოლმე, აფრიკაში წავსულიყავი მის სანახავად და მაინც არ მივდიოდი.

ბილიკიდან გადავუხვიე, ქვაზე ჩამოვჯექი და კითხვას შევუდექი:

“აბა, ბერძნულ ხამანკა, ჩამოსვლას როდის მოიფიქრებ? მგონი, შენც ბერძენს დაემსგავსე და კაფეებში დაიარები. ნუ გგონია, რომ აქ მხოლოდ ყავახანებია; წიგნებიცაა, ჩვეულებებიც და ცნობილი იდეოლოგიებიც. დღეს კვირაა, არ ვმუშაობ, შინ, ჩემს მამულში, ვარ და შენზე ვფიქრობ. მზე აცხუნებს. წვეთი წვიმა არ მოდის. აქ კოკისპირული წვიმები აპრილში, მაისსა და ივნისში იცის.

მარტოდმარტო ვარ და მომწონს ეს. რამდენიმე ბერძენია აქ, მაგრამ მათი დანახვაც არ მინდა. მეზობლებიან. აქ ბერძენი ქალებიც არიან, წყეულიმც იყვნენ, თქვენი კეთრი ჩამოგვითრის უწმინდურმა პარტიულებმა. ეს ჭამს ბერძენს. ჩიხში მოქცეულს, გაუნათლებლობა და ავხორცობაც უღებს ბოლოს.

მძულს ევროპელები, ამიტომაც აქ, ვასამბას მთებში, დავბინავდი. მეჭავრებიან ევროპელები, მაგრამ ყველაზე მეტად ბერძენი და ბერძნული ენა მეზობლება. ფეხს აღარ დავდგამ თქვენს საბერძნეთში. აქ ამომხდება სული. ჩემს სახლთან უდაბურ მთაზე უკვე საფლავიც გავათხრევი. ქვაც დავადე და ზედ დიდი მთავრული ასოებით საკუთარი ხელით ამოვკვეთე:

აქ განისვენებს ბერძენი,

რომელსაც სძულდა ბერძენი

საბერძნეთზე ფიქრისას სიცილით ვიხრჩობი, ვიფურთხები, ვიგინები, ვტირი. ბერძენი და ბერძნული რომ არ დამენახა, სამშობლოდან გადავიხვეწე, აქ მოვედი, აქ მოვიტანე ჩემი ბედი - ბედს არ მოვუყვანივარ. ადამიანი იმას აკეთებს, რაც უნდა! - აქ მოვიტანე ჩემი ბედი, ვირივით ვმუშაობდი და ვმუშაობ. ოფლის მდინარეები დავღვარე და ვღვრი. მიწას, ჰაერს, წვიმას, მუშებს - შავებსა და წითლებს - ვებრძვი.

ჩემი ერთადერთი სიხარული შრომაა - ფიზიკურიცა და სულიერიც, მაგრამ მაინც ფიზიკური მირჩევნია. მიყვარს, რომ ვიღლები, ვოფლიანდები და ძვლების ტკაცუნის ხმა მესმის. ფული მეზიზღება, როგორც მომეპრიანება, ისე ვანიავებ, ფულის მონა არა ვარ, ფულია ჩემი მონა. მე - პატიოსნებას გეფიცები! - შრომის მონა ვარ. ხეტყეს ვჭრი, ინგლისელებთან კონტრაქტი დავდე, თოკებს ვამზადებ, ახლა ბამბაც მომყავს. ბევრი მუშა მყავს, შავებიც, წითლებიც და შავწითლებიც. მანანწალები, ბედს მინდობილები, ბინძურები, მატყუარები, მეძავები. გუშინ ჩემი შავებიდან ორი ტომი - ვაგიაები და ვანგონები - ერთი ქალის, ერთი მეძავის გამო ერთმანეთს წაეკიდა. ღირსების გამო, ხელავ? იგივე გემართებათ თქვენც, ბერძნებო! ერთმანეთს აგინეს, კეტებით სცემეს და თავ-პირი დაუმტვრიეს. ქალები ღამით მოცვივდნენ და ყვირილით გამაღვიძეს, რომ ისინი განმესაჯა. გავბრაზდი, ჯერ ეშმაკებში გავგზავნე ყველა, შემდეგ - ინგლისურ პოლიციაში. მაგრამ მთელი ღამე ჩემს კართან იდგნენ და ყვიროდნენ. დილაადრიან ჩავედი და გავასამართლე.

ხვალ, ორშაბათს, დილასისხამზე ვასამბას მთაზე, უსიერ ტყეში, ცივ წყლებთან, მარადიულ სიმწვანეში ავალ... ეჰ, როდის მოსწყდები შენც, ბერძენო, ბაბილონს, “მეძავთა და სიძულვილის დედას”, ევროპას? როდის ჩამოხვალ, რომ ერთად ავიდეთ ამ უმნიკვლო მთებში?

ერთი შვილი მყავს ზანგი ქალისგან. გოგოა. დედამისი გავაგდე: აშკარად, დღისით-მზისით, ყოველი ხის ძირას რქებს მადგამდა. ჰოდა, მომბებრდა და გავაგდე. მაგრამ ბავში დავიტოვე, ორი წლისაა. დადის, ლაპარაკსაც ცდილობს, ბერძნულს ვასწავლი. აი, პირველი წინადადება, რომელიც ვასწავლე: “ფუი შენი, ბერძენო ერო!”

მე მგავს უნამუსო, მხოლოდ ცხვირი აქვს დედამისივით ფართო, დაბრტყელებული. მიყვარს იგი, მაგრამ ისე, როგორც კატა და ძაღლი გვიყვარს. შენც ჩამოდი, ვასამბასთან ერთი ბიჭი შენც გააკეთე და დაგაქორწინოთ!”

გახსნილი წერილი მუხლებზე დავიდე. წასვლის სურვილმა კვლავ აღმაგზნო, არა იმიტომ, რომ ამის აუცილებლობა მქონდა - ამ სანაპიროზეც კარგად ვარ, თავისუფლად მიტევეს, არაფერი მაკლია, მაგრამ ეს ფიქრი მჭამს: სიკვდილამდე რაც შეიძლება მეტი მიწა და ბღვა ვნახო და შევცხო.

წამოვდექი. მთაზე ასვლა გადავიფიქრე, ჩემს სანაპიროზე დავეშვი. პიჭაკის გულის ჯიბეში მეორე წერილს ვგრძნობდი და თავს ველარ ვიკავებდი. ერთი სული მქონდა, წაკითხულით მონიჭებული სიხარული და ბედნიერება განმეცადა.

ბარაკს მივალწიე, ცეცხლი დავანთე, ჩაი ავიდუღე, პური, კარაქი, თაფლი ვჭამე და ფორთოხლის წვენი დავაყოლე. გავიხადე, ლოგინში ჩავწექი და წერილი გავხსენი:

“ჩემო მასწავლებელო და ჩემო ახალბედა მოსწავლეც, მოგესალმები!

აქ ბევრი და მძიმე სამუშაოა, დიდება შენდა, “ღმერთო” - საშიშ სიტყვას ბრჭყალებში გამოვკეტავ (როგორც მხეცს გალიაში), რათა წერილის გახსნისთანავე არ გაბრაზდეს. მაშ ასე, აქ მძიმე სამუშაოა, დიდება შენდა, “ღმერთო”! ნახევარი მილიონი ბერძენი საფრთხეშია სამხრეთ რუსეთსა და ამიერკავკასიაში. ბევრი მათგანი მხოლოდ თურქულად და რუსულად მეტყველებს, მაგრამ მათი გული ბერძნულად ლაპარაკობს. ჩვენი საკუთარი სისხლია, საკმარისია, ნახო, როგორ მტაცებლურად უელავთ თვალები, როგორ ეშმაკურად და ვნებიანად უღიმით ბაგეები, როგორ მოახერხეს, ბატონებად ქცეულიყვნენ და სხვები მსახურებად ჰყოლოდათ. მიხვდები, საყვარელი ოდისევსის ჭეშმარიტი მემკვიდრეები არიან; მაშინ მათ შეიყვარებ და მათ დალუპვას არ დაუშვებ.

ისინი შეიძლება დაიღუპონ, რადგან ყველაფერი დაკარგეს, რაც

ჰქონდათ და შიმშილობენ. ერთი მხრივ, ბოლშევიკები დევნიან, მეორე მხრივ - ქურთები. ყოველმხრივ შევიწროებულები საქართველოსა და სომხეთის რამდენიმე ქალაქში ლტოლვილებად ცხოვრობენ. არ აქვთ საჭმელი, ტანსაცმელი, წამალი. ნავსადგურებში იკრიბებიან, მოუთმენლად გასცქერიან, ბერძნული გემები მათ წასაყვანად მოდიან თუ არა, რათა დედასაბერძნეთს დაუბრუნონ. ჩვენი მოდგმის ერთი ნაწილი, ჩემო მასწავლებელო, მაშასადამე, ჩვენი სულის ერთი ნაწილი, შიშმა მოიცვა.

თუ მათ ბედის ანაბარა მივატოვებთ, დაიღუპებიან. დიდი სიყვარული, დიდი გონიერება, ენთუზიაზმი და ორგანიზებაა საჭირო (ხომ გიყვარს, როცა ეს სათნოებები ერთად აქვს ადამიანს), რომ მათი გადარჩენა შევძლოთ და ჩვენს თავისუფალ მიწებზე დავასახლოთ, სადაც ყველაზე მეტად წაადგებიან ჩვენს მოდგმას - მალლა, მაკედონიისა და თრაკიის საზღვრებთან. ასეა საჭირო. მხოლოდ ამგვარად ვიხსნით ასობით ათას ბერძენს და ჩვენც მათთან ერთად გადავრჩებით. აქ ჩამოსვლის პირველივე წუთიდან, შენი სწავლების მიხედვით, მოქმედების გეგმა შევადგინე და “ჩემი მოვალეობა” ვუნოდე. ვთქვი, თუ ამ ყველაფერს შევასრულებ, მეც გადავრჩები, თუ ვერ შევასრულებ, დავიღუპები-მეთქი. 500 000 ბერძენის ბედი ჩემს ხელშია.

ქალაქებსა და სოფლებში დავქრივარ, ბერძნებს ვაგროვებ, ანგარიშებს ვწერ, დეპეშებს ვაგზავნი, თავს არ ვზოგავ, ოფიციალური პირები დავარწმუნო, რომ გემები, საჭმელი, ტანსაცმელი, წამლები გამოგზავნონ და ყველანი საბერძნეთში ჩამოიყვანონ. ამისთვის ასეთი შეუპოვარი ბრძოლა ბედნიერებაა. ბედნიერი ვარ. არ ვიცი, შენი თქმისა არ იყოს, ჩემი ბედნიერება ჩემი სიმაღლის მიხედვით გამოვჭერი თუ არა. ნეტავი ასე ყოფილიყო, მაშინ მაღალი ვიქნებოდი. მირჩევნია, ჩემი ზომა იმას შევუფარდო, რასაც ჩემს ბედნიერებად ვთვლი, მაშასადამე, საბერძნეთის უკიდურეს საზღვრებს. თუმცა თეორიებს შევეშვათ. შენ შენს კრეტის სანაპიროზე ხარ წამოკოტრილებული, ზღვასა და სანთურის უსმენ, დრო გაქვს, მე არ მაქვს. ჩემი ენერგია მჭამს და მიხარია. მოქმედება და მხოლოდ მოქმედება, სხვა ხსნა არ არსებობს. თავშიცა და ბოლოშიც მოქმედებაა.

ახლა ჩემი ფიქრი ძალიან მარტივია, სწორხაზოვანი: გუებნები, ეს პონტოელები და კავკასიელები, ყარსის მოსახლეობა და თბილისის, ბათუმის, ნოვოროსიისკის, როსტოვის, ოდესის, ყირიმის მსხვილი ვაჭრები თუ წვრილი მოვაჭრეები ჩვენები, ჩვენი სისხლია, ჩვენსავით მათი დედაქალაქიც კონსტანტინოპოლია. ყველას ერთი მეთაური გვყავს, შენ მას ოდისევეს უწოდებ, სხვები - კონსტანტინოს პალეოლოგოსს, არა იმას, რომელიც მოკლეს, არამედ მეორეს, ზღაპრულს, გაქვავებულს(გაქვავებული ხელმწიფე - კონსტანტინე XI (1405-1453), ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი 1449 წლიდან. დაიღუპა კონსტანტინოპოლის ალყის დროს. ლეგენდის თანახმად, მითურ მხარეში დგას მარმარილოდ ქცეული მეფე, რომელიც ერთ დღესაც კონსტანტინოპოლიდან თურქებს განდევნის.). მე, შენი ნებართვით, ჩვენი მოდგმის წინამძღოლს აკრიტასს(აკრიტასი - ბიზანტიური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლის, X ს.-ის ბერძნული პოემის, "დიგენის აკრიტასის" მთავარი პერსონაჟი. პოემა ასახავს ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების დამცველ მეომართა - აკრიტთა ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ და ლეგენდარული ძალისა და სილამაზის მქონე მეომრის, დიგენისის საგმირო და სატრფიალო თავგადასავალია.) ვუწოდებ. ეს სიტყვა გაცილებით მომწონს, უფრო მკაცრია და მებრძოლი, რადგან მისი გაგონებისთანავე თითოეულ ჩვენგანში მაშინვე შეიარაღებული მარადიული ბერძენი შეირხევა, რომელიც საზღვრებს სისხლის ფასად იცავს. ყველა საზღვარს: ეროვნულს, სულიერს, ფსიქიკურს. დიგენისს თუ შეარქმევ, კიდევ უფრო სიღრმისეულად მოჰყვები ჩვენს ჯიშზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელოვან შერწყმაზე.

ახლა ყარსში ვარ. ჩამოვედი, რომ ახლომდებარე სოფლებში მცხივრებ ბერძნებს თავი მოვუყარო. ჩემი ჩამოსვლის დღეს ქურთებს ყარსთან ჩვენი მღვდელი და მასწავლებელი შეეპყროთ, სახედრებივით დაეჭედათ. ყველანი თავბარდაცემულები შეიკრიბნენ სახლში, სადაც დავბანაკდი. სულ უფრო და უფრო ახლოდან გვესმის ქურთების ზარბაზნების ხმა. ყველა მე შემომყურებს, თითქოს მათი გადარჩენა ჩემს ხელში იყოს.

ხვალ თბილისში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ახლა, საფრთხისას, წასვლის მრცხვენია. ჰოდა, ვრჩები. არ ვამბობ, რომ არ მეშინია,

მეშინია, მაგრამ მრცხვენია. რემბრანდტის მეომარიც ასე არ მოიქცეოდა? დარჩებოდა. ჰოდა, მეც ვრჩები. ქურთები თუ შემოვლენ, ბუნებრივი და სამართლიანი იქნება, პირველი მე დამჭედონ. ასეთი ვირული აღსასრული ელის შენს მოწაფეს, ჩემო მასწავლებლო. ასეთ რამეს, ალბათ, ნამდვილად არ ელოდი.

ბერძნებისათვის დამახასიათებელი გაჭიანურებული მოლაპარაკებების შემდეგ გადავწყვიტეთ, ყველა ბერძენი ამაღამ თავ-თავიანთი ცოლ-შვილით, ჯორებით, ცხენებით, ხარებით, ცხვრებით შეიკრიბოს. დილაუთენია ყველანი ერთად გავემართებით ჩრდილოეთისაკენ. მე ყოჩივით წინ გავუძღვები.

ეს იქნება ერის პატრიარქალური სვლა მითური სახელების მქონე მთებსა და ველებს შორის. მე ერთგვარი მოსე - ცრუმოსე - ვიქნები, რომელიც რჩეულ ერს აღთქმული მიწისაკენ გავუძღვები, როგორც შენ საბერძნეთს უწოდებ. რა თქმა უნდა, მოსესეული მისიის სიმალლეზე რომ ვიყო და არ შეგარცხვინო, ჩემს კოხტა გეტრებს მოვისვრი, ასე რომ დასცინი და შალის წინდას ჩავიცვამ. გრძელი, ტალღოვანი, ქონიანი წვერი მექნება და, რაც მთავარია - ორი რქა. მაგრამ, სამწუხაროდ, ხათრს ვერ გაგინევ. სულს უფრო ადვილად შემაცვლევიანებ, ვიდრე სამოსს. გეტრები მაცვია, სიპ ქვასავით გაპარსული ვარ და დაუქორწინებელი.

საყვარელო მასწავლებლო, იმედი მაქვს, რომ ამ წერილს მიიღებ. ის, შეიძლება, ჩემი უკანასკნელი წერილი იყოს. არავინ იცის. არ მაქვს მისტიკური ძალების იმედი, რომლებიც ვითომდა ადამიანებს იცავენ. მწამს ბრმა ძალებისა, რომლებიც მარჯვნიდან და მარცხნიდან განურჩევლად, უმიზნოდ ურტყამენ და ნებისმიერს კლავენ, ვისაც მოიხელთებენ. მიწას თუ დავტოვებ (“დავტოვებ”-მეთქი, ვამბობ, რათა არ ვთქვა სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით, არც შენ შეგაშინო და არც საკუთარი თავი), მაშ, მიწას თუ დავტოვებ, მაშინ კარგად იყავი, საყვარელო მასწავლებლო! მრცხვენია ამის თქმის, მაგრამ, მაპატიე, უნდა გითხრა: მეც ძალიან მიყვარდი”.

ქვემოთ კი ფანქრით, ნაჩქარევად იყო მიწერილი:

“პ. შ. ის, რაზეც აქეთ გამომგზავრებისას ხომალდზე შევთანხმდ-

ით, არ დამვიწყებია. თუ მინას “დავტოვებ”, იცოდე, სადაც უნდა იმყოფებოდე, შეგატყობინებ და არ შეგეშინდეს”.

XIII

სამი დღე გავიდა, ოთხი, ხუთი. ზორბასი არ ჩანდა.

მეექვსე დღეს კასტროდან რამდენიმეგვერდიანი წერილი, ანგარიში, მივიღე. სურნელოვან ვარდისფერ ქალაქში იყო დაწერილი და კიდეში ისრით განგმირული გული ესაბა.

წერილი საგულდაგულოდ გადმოვიწერე, აქა-იქ მიმობნეული გატყლარჭული გამოთქმები უცვლელად დავტოვე, მხოლოდ სასაცილო ორთოგრაფიული შეცდომები გავასწორე. ზორბასს კალამი თოხივით ეჭირა, ძლიერად ურტყამდა და ამიტომ ბევრ ადგილას ქალაქი გახვრეტილი იყო, ბევრგანაც - მელნით მოთხუპნული.

“ძვირფასო ბატონო, ბატონო კაპიტალისტო!

პირველ რიგში, შენი ჯანმრთელობის ამბავი მინდა ვიკითხო. ჩვენც ჯანზე ვართ, დიდება ღმერთს.

აღმოვაჩინე, რომ სამყაროში ცხენად და ხარად არ მოვსულვარ, მხოლოდ ცხოველები ცხოვრობენ ჭამისთვის. რათა ზემოხსენებულ კატეგორიას გავექცე, დღედაღამ სამუშაოებს ვიგონებ, იდეისთვის ჩემს ლუკმაპურს საფრთხეში ვაგდებ, ანდაბა რომ შევაბრუნო: ხვალინდელი ქათამი მირჩევნია დღევანდელ კვერცხს.

ბევრი ადამიანი რალაცის საფასურად არის პატრიოტი. მე პატრიოტი არ ვარ და დაე ვიზარალო. ბევრს სამოთხისა სწამს და ვირი დაბმული ჰყავს. მე ვირი დაბმული არ მყავს, თავისუფალი ვარ და ჯოჯოხეთის არ მეშინია. ჩემი ვირი, სადაც უნდა, იქ ჩაძალდეს. არც სამოთხის იმედი მაქვს, სადაც სამყურას მოძოვს. გაუნათლებელი ვარ, ლაპარაკი არ მეხერხება, მაგრამ შენ, ბატონო, ჩემი კარგად გესმის.

ბევრს ეშინია ამაოების, მე იგი დავამარცხე. ბევრი ფიქრობს, მე ფიქრი არ მჭირდება. არც კარგი მახარებს და არც ცუდის გამო ვდარდობ, ჩემთვის სულერთია, ბერძნების მიერ კონსტანტინოპოლის

აღების ამბავს გავიგებ თუ თურქების მიერ - ათენისას.

ამ ჩემი წერილიდან თუ მიხვდი, რომ გამოვყვეყიდი, მომწერე. კასტროს მალაზიებში დავდივარ, რომ საბაგიროსთვის ბაგირი ვიყიდო და ვიცი. "რატომ იცი, ნათლია?" - მეკითხებიან. მაგრამ მე ანგარიშს არავის ვაბარებ! ვიცი, რადგან იმ დროს, როცა ბაგირს ხელით ვეხები, რომ გავიგო, კარგია თუ არა, იმაზე ვფიქრობ, რა არის ადამიანი, რატომ მოვიდა სამყაროში, რა საჭიროა იგი... მგონი, არც არაფერში. სულერთია, მყავს ცოლი თუ არ მყავს, პატიოსანი ვარ თუ უნამუსო, ბატონი ვარ თუ კურტნის მუშა, მხოლოდ იმაშია განსხვავება, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი. ეშმაკი წამილებს თუ ღმერთი (აბა, რა გითხრა, ბატონო? მგონი, ერთი და იგივეა), ჩავძაღვდები, მყრალ გვამად ვიქცევი, გარშემო ყველაფერს ავაქოთებ და იძულებული გახდებიან, მიწაში ღრმად ჩამფლან, რომ არ გაიგუდონ.

ახლა, რაკი სიტყვამ მოიტანა, იმის შესახებ შეგეკითხები, ბატონო, რისაც მეშინია (სხვა არაფრისა მეშინია) და დღედაღამ მოსვენებას არ მაძლევს: მე, ბატონო, სიბერე მაშინებს, ეშმაკმა წაიღოს! სიკვდილი არაფერია, დიდი არაფერი! უბრალოდ სანთელი ქრება, აი სიბერე კი დიდი სირცხვილია.

ძალიან დიდ სირცხვილად მიმაჩნია, ვალიარო, რომ მოხუცი ვარ. ძალას არ ვზოგავ, რათა არავინ მიხვდეს, რომ დავბერდი: ვხტუნავ, ვცეკვავ, თირკმლები მტკივა, მაგრამ მაინც ვცეკვავ. ვსვამ, თავბრუ მეხვევა, სამყარო ტრიალებს, მაგრამ ქედუხრელად ვდგავარ, თითქოს თავბრუ არ დამხვევია. ოფლიანი, ზღვაში ვხტები, ვცივდები, მინდა, დავახველო - ბუხ, ბუხ! - და ამოვისუნთქო, მაგრამ მრცხვენია, ბატონო, ხველას დიდი გაჭირვებით ვიკავებ. როდისმე ჩემი ხველა გაგიგია? არასოდეს! მხოლოდ სხვების თანდასწრებით კი არა, მარტოც არ ვახველებ. ზორბასის მრცხვენია, ბატონო! მისი მრცხვენია.

ერთხელ წმინდა მთაზე - იქაც წავედი, ნეტავ ფეხი მომტეხოდა! - ერთი ბერი, მამა ლავრენტიოსი, გავიცანი, ქიოსელი იყო. იმ ჭკუის კოლოფს ეგონა, რომ ეშმაკი ჰყავდა ჩაბუდებული და მისთვის სახელიც კი ჰქონდა შერქმეული: ხოჯას ეძახდა. "ხოჯას უნდა, რომ

წითელ პარასკევს ხორცი ჭამოს, - იღრინებოდა უბედური ლავრენტიოსი და თავს ეკლესიის ზღურბლს ურტყამდა. - ხოჯას ქალთან დანოლა უნდა, ხოჯას იღუმენის მოკვლა უნდა. ხოჯას, ხოჯას, მე კი არა!" - და მიდი, შუბლს ქვას ახლიდა.

მეც, ბატონო, ეშმაკი მიზის. ზორბასს ვეძახი. შიგნითა ზორბასს არ უნდა, რომ დაბერდეს, არა, არ უნდა. არც დაბერებულა, ვაჟკაცია, ყორნისფერი თმა და ოცდათორმეტივე კბილი აქვს, ყურზე მიხაკი გაუდვია. აი, გარე ზორბასმა კი ჩაიფსა სანწყალმა, გაჭაღარავდა, მოიკუნტა, ნაოჭები გაუჩნდა, კბილები სცვივა, ყურებიც თეთრი ბენგით ამოეფსო, ვირის ბენგით.

რა ვქნა, ბატონო? როდემდე უნდა იბრძოლოს ორმა ზორბასმა? ბოლოს ვინ გაიმარჯვებს? თუ მალე მოვკვდები, კარგად იქნება საქმე, მაგრამ თუ კიდევ დიდხანს ვიცოცხლე, დავიღუპე. დავიღუპე, ბატონო, მოვა დღე, როცა გავცამტვერდები. თავისუფლებას დავკარგავ, ჩემი რძალი და ასული მიბრძანებენ, ყურადღება მივაქციო ერთ ღლაპს, ერთ მხეცს, მათ ბავშვს, რომ არ დაინვას, რომ არ დავარდეს, რომ არ ჩაისვაროს; და თუ ჩაისვრის - ფუი! - ავდგე და ჩავბანო!

შენც იგივე დაგემართება, ბატონო, იცოდე, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ახალგაზრდა ხარ! ამიტომ მომისმინე, რას გეუბნები. იმ გზას მიჰყევი, რომელსაც მე მიუყვები, სხვა ხსნა არ არსებობს. მთები მოვიაროთ, ნახშირი, რკინა, სპილენძი ამოვიღოთ, ბევრი მოვიგოთ, რათა ნათესავებს ჩვენი რიდი ჰქონდეთ, მეგობრები გველაქუცებოდნენ, ოჯახის უფროსები ქუდის მოხდით გვესალმებოდნენ. ეს თუ ვერ შევძელით, სიკვდილი ჯობია, ბატონო, მგლებისგან, დათვებისგან, ნებისმიერი მხეცისგან, რომელიც წინ გადაგვეყრება! დმერთმა მხეცები ამისთვის გამოგზავნა სამყაროში, რომ ჩვენნაირი სუსტები შეჭამონ და დამცირება თავიდან ააცილონ”.

აქ ზორბასს ფერადი ფანქრებით მაღალი, გაძვალტყავებული ადამიანი დაეხატა, რომელიც მწვანე ხეების ქვეშ გარბოდა და უკან შვიდი წითელი მგელი მისდევდა. ქვემოთ დიდი ასოებით მიწერა: “ზორბასი და შვიდი ცოდვა”.

შემდეგ გრძელდებოდა:

“ჩემი წერილიდან, ვფიქრობ, მიხვდები, რა უბედური ადამიანი ვარ: მხოლოდ შენთან საუბრის მერე მეძლევა მცირე იმედი, რომ სევდას თავს დავაღწევ. შენც ჩემს დღეში ხარ, მაგრამ არ იცი. ეშმაკი შენც გიბის შიგნით, მაგრამ მისი სახელი ჯერ კიდევ არ იცი. რადგან არ იცი, რა ჰქვია, ჯავრობ. სახელი დაარქვი, ბატონო, რომ გულზე მოგეშვას.

ჰოდა, გამბობდი, უბედური ვარ-მეთქი. მთელი ჩემი სიბრძნე, ნათლად ვხედავ, სისულელეა და მეტი არაფერი. მაგრამ ხანდახან რამდენიმე დღეს დიდი ადამიანივით ფიქრებში ვატარებ და იმის განხორციელება რომ შემძლებოდა, რასაც შინაგანი ზორბასი მიბრძანებს, ხალხს გავაოცებდი!

რადგან სიცოცხლესთან ვადიანი ხელშეკრულება არ მაქვს გაფორმებული, მუხრუჭი სწორედ ყველაზე სახიფათო დაქანების დროს მლაღატობს. ყოველი ადამიანის ცხოვრების გზა დაღმართია და ყოველი მოაზროვნე მუხრუჭს იყენებს, მაგრამ მე - ამაშია ჩემი ფასი, ბატონო - დიდი ხანია, მუხრუჭი მოვიშორე, რადგან დაჯახება არ მაშინებს. ჩვენ, მუშები, დაჯახებას რელსებიდან გადასვლას ვუწოდებთ. წყეულიმც ვიყო, თუ დაჯახებას ყურადღებას ვაქცევდე. დღედაღამ სწრაფად დავრბივარ, ჩემს ჭკუაზე ვიქცევი, თუნდაც დავიმტვრე, ნამსხვრევებად ვიქცე. რას ვკარგავ? არაფერს. ვითომ კეთილგონივრულად თუ ვივლი, არ დავიმტვრევი? დავიმტვრევი. ჰოდა, მაშინ, ცეცხლი ზარბაზნებს!

ახლა, ალბათ, დამცინი, ბატონო, მაგრამ მე ჩემს სისულელეებს ან, ასე ვთქვათ, ჩემს ფიქრებს, ან ჩემს სისუსტეებს გწერ. თუმცა, ღვთის გულისთვის, რა განსხვავებაა ამ სამს შორის, არ მესმის. გწერ და იცინე, თუ არ გეზარება. შენს სიცილზე მეც მეცინება და, ამგვარად, სიცილს დასასრული არ აქვს ამქვეყნად. თითოეული ადამიანი თავისებურად აფრენს, მაგრამ ყველაზე დიდი სიგიჟე, ასე მგონია, ის არის, რომ ვიჟი არ იყო.

მაშ, მე აქ, კასტროში, ჩემს სიგიჟეს ვიკვლევ და ყველა წვრილმანს გწერ, რადგან რჩევა მინდა გთხოვო. მართალია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, ბატონო, მაგრამ ხანდამზულთა იმდენი ნაწერი წაგიკითხავს, მაპატიე და შენც, ცოტა არ იყოს, ბებერს ჰგავხარ. ჰო-

და, შენი რჩევა მჭირდება.

მე მგონია, რომ თითოეული ადამიანს თავისი სუნი აქვს: ამას ვერ ვხვდებით, რადგან სხვადასხვა სუნი ერთმანეთში ირევა. არ ვიცით, რომელია შენი და რომელი - ჩემი. მხოლოდ ვხვდებით, რომ ჰაერში სიმყრალის სუნი ტრიალებს და მას ადამიანის სუნს უწოდებენ. ზოგი მას ისე ყნოსავს, როგორც ლავანდს, მე გულისრევა მენწყება. მაგრამ, შევეშვათ ამას, ეს სხვა საუბრის თემაა.

მინდოდა, მეთქვა, რომ უნამუსო ქალებს ძუკნებივით მახვილი ყნოსვა აქვთ, მყისვე იკრავენ ხოლმე სუნს, რომელ მამაკაცს უნდა ისინი და რომელს ეჭავრება. ამის გამო, რომელ ქალაქშიც უნდა მივიდე, ახლაც კი, თუმცა ბებერი, უშნო და ცუდად ჩაცმული ვარ, ორისამი ქალი მაინც გამომევიკიდება ხოლმე უკან. მეძებარმა ძუკნებმა, ღმერთმა კარგად ამყოფოს ისინი, ჩემი სუნი იკრეს!

კასტროში რომ ჩავალწიე, საღამო იყო, ბინდბუნდი. მაშინვე მალაზიებში გავიქეცი, მაგრამ დაკეტილი დამხვდა. ერთ სასტუმროში გავჩერდი, ჯორსაც ვაჭამე და მეც ვჭამე, დავიბანე, სიგარეტს მოვუკიდე და სასეირნოდ გავედი. ქალაქში არავის ვიცნობდი, არც არავინ მიცნობდა, თავისუფალი ვიყავი. შემეძლო ქუჩაში მესტვინა, მეცინა, ჩემთვის მელაპარაკა. გოგრის მოხალული თესლი ვიყიდე, ვჭამდი, ვაფურთხებდი, დავსეირნობდი. ფარნები აანთეს, კაცები უზოს სვამდნენ, ქალები შინ ბრუნდებოდნენ, ჰაერში პუდრის, სურნელოვანი საპნისა და მწვადის სუნი იდგა. “ჰეი, ბიჭო, ბორბას, - ვამბობდი, - როდემდე იცოცხლებ, ბიჭო, როდემდე იმოძრავებს შენი ნესტოები? უბედურო, ვინ იცის, რა ცოტა დრო დაგრჩენია, ღრმად ჩაისუნთქე!”

ღრმად ვსუნთქავდი და, შენ რომ იცი, იმ მოედანზე დავსეირნობდი. ანაზღად სიმღერის, ცეკვის, დაირის ხმა შემომესმა. ყური ვცქვიტე, ხმას მიყყევი. კაბარე დავინახე, სხვა რაღა მინდოდა, შევედი. პატარა მაგიდასთან, წინა რიგში, მოვენწყვე. რატომ უნდა მომრიდებოდა? ხომ ვთქვი: კაციშვილი არ მიცნობდა, თავისუფალი ვიყავი!

სცენაზე ერთი მოცეკვავე ცეკვავდა, კაბას აფრიალებდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთი ბოთლი ლუდი შევუკვეთე. გავი-

ხედოთ და, ვილაც პატარა, გემრიელი, შავტუხა, სქლად სახეშეღები-
ლი გოგონა მოვიდა და გვერდით მომიჯდა.

- ნებას დამრთავთ, პაპა? - სიცილით მომმართა.

წამოვჭარხლდი, მომინდა, ყანყრატოში ვწვდომოდი ყმანვილ-
ქალს! მაგრამ მოვითმინე, დავინდე. ოფიციანტს დავუძახე.

- ორი შამპანური! - ვუბრძანე.

(მაპატიე, ბატონო, შენი ფული დაგხარჯე, მაგრამ შეურაცხყოფა
დიდი იყო, არ უნდა შევრცხვენილიყავი, შენც რომ არ შემერცხვინე,
ბატონო. ყველაფერი უნდა გამეკეთებინა იმისათვის, რომ ამ დლა-
პს ჩვენ წინაშე მუხლი მოეყარა. ყველაფერი უნდა გამეკეთებინა. გი-
ცნობ, ამ გასაჭირში მართო არ დამტოვებდი. მაშ, ორი შამპანური,
ოფიციანტო!)

შამპანური მოვიდა, ტკბილეულიც შევუკვეთე, კიდევ შევუკვეთე
შამპანური. ჟასმინები ჩამოატარეს, მთელი კალათა ვიყიდე და კა-
ლთაში ჩავუცალე.

ვსვამდით, ვსვამდით, მაგრამ გეფიცები, ბატონო, არც კი მივკ-
არებივარ. ჩემი საქმე ვიცი. ახალგაზრდა როცა ვიყავი, პირველი,
რასაც ვაკეთებდი, შეხება იყო; ახლა, როცა დაგბერდი, პირველ
რიგში ფულს ვხარჯავ. ხელგაშლილი რომ გამოვჩნდე, ფული უნდა
ვანიავო. ქალები ასეთ საქციელზე სულელდებიან, კაცის მოტრფია-
ლენი გიჟდებიან, გინდ კუზიანი, მოხუცი, ბეხრეკი და ცბიერი იყო,
ყველაფერი ავიწყდებათ. ბინძურები, ფულის მფლანგველი ხელის
გარდა, ვერაფერს ხედავენ.

ჰოდა, ვხარჯავდი - ღმერთმა მოგცეს, ბატონო - ვხარჯავდი და
ის ქალი გვერდიდან ვეღარ მცილდებოდა. ნელ-ნელა ჩემკენ მოინ-
ია, მუხლი ფეხზე მომაჭირა, მაგრამ მე ქვასავით ვიყავი, თუმცა კი
შიგნიდან ვდნებოდი. ეს აგიჟებს ქალებს, იცოდე, თუ ვითარება ხე-
ლს შეგინწყობს, აგრძნობინე, რომ შინაგანად იწვი, მაგრამ ხელი არ
მიაკარო.

ასეა თუ ისე, ბევრი რომ არ ვილაპარაკო, შუალამემ მოაღწია, ნელ-ნელა შუქი ჩაქრა, კაბარე იკვებოდა. ერთი ბლუჯა ათასიანები ამოვიღე, გადავიხადე, ოფიციალტსაც კარგა გვარიანი გასამრჯელო მივეცი.

გოგონა ზედ ჩამომეკიდა.

- რა გქვია? - მკითხა თავბრუდახვეულმა.

- პაპიკო! - ვუპასუხე ნაწყენმა.

უნამუსო მდედრმა ძლიერად მიჩქმიტა:

- წამო... - მითხრა და თვალი ჩამიკრა.

ხელზე ხელი მოგვიდევ და მრავალმნიშვნელოვნად მოვუჭირე.

- წავიდეთ, ჩემო პატარა... - ვუპასუხე. ხმა ჩამხრინწვოდა.

დანარჩენს თავადაც ხვდები. რაც საჭირო იყო, ყველაფერი ვქენით. მერე ჩაგვეძინა. როცა გამეღვიძა, უკვე შუადღე იქნებოდა. გარშემო მიმოვიხედე და რას ვხედავ? წვრიალა ოთახი, სავარძლები, პირსაბანი, საპნები, დიდი და პატარა ბოთლები, დიდი და პატარა სარკეები... კედლებზე ჭრელაჭრულა კაბები და უამრავი ფოტო ეკიდა: მებღვაურები, ოფიცრები, კაპიტნები, ჟანდარმები, მოცეკვავე ქალები, მხოლოდ ქოშებიანი ქალები. გვერდით კი, საწოლში, თბილი, სურნელოვანი, თმაგაჩეჩილი მდედრობითი სქესის არსება მენვა.

“ჰეი, ზორბას, - ჩავიჩურჩულე და თვალები დავხუჭე, - სიცოცხლეშივე სამოთხეში აღმოჩნდი. კარგია აქ, არ გაინძრე!”

ყოველ ადამიანს, ადრეც გითხარი, ბატონო, თავისი სამოთხე აქვს. შენი სამოთხე წიგნებითა და მელნის უზარმაზარი ბოცებით იქნება სავსე, ზოგის - ღვინით, უზოთი, კონიაკით სავსე კასრებით, ზოგის - ფუნტების დასტებით. ჩემი სამოთხე ეს არის: პატარა სურნელოვანი ოთახი ჭრელაჭრულა კაბებით, სურნელოვანი საპნებით, ორკაციანი ზამბარიანი საწოლით და გვერდით მდედრობითი სქეს-

ის წარმომადგენლით.

გამხელილი ცოდვა ცოდვად არ ითვლება. მთელი დღე ცხვირი არ გამიყვია გარეთ. სად უნდა წავსულიყავი? რა უნდა გამეკეთებინა? ხომ არ გადარეულხარ? კარგად ვიყავი აქ. საუკეთესო დუქანში ძალის აღსადგენი საჭმელი შეფუკვეთე. ლანგრით მოგვიტანეს: შავი ხიზილალა, დაბეგვილი ხორცი, თევზეული, ბლომად ხილი, კადაიფი(კადაიფი - ბერძნული ტკბილეულის სახეობა.) ისევ ვისიამტკბილეთ, მერე ისევ. საღამოს გაგვეღვიძა, ჩავიცვით, მკლავში ხელი გაგუყარე და თავის სამუშაოზე გავაცილე კაბარეში.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო და თავბრუ არ დაგახვიო, ბატონო, ეს განრიგი ახლაც გრძელდება. მაგრამ არ დაღონდე, ჩვენს საქმესაც ვაქცევ ყურადღებას. ხანდახან მალაზიებშიც დავდივარ, ვათვალთვლიერებ. ბაგირს ვიყიდი, რაც გვჭირდება, ავიღებ, მშვიდად იყავი. ერთი დღით ადრე, ერთი დღით ან ერთი კვირით გვიან, რა მნიშვნელობა აქვს. კატა, ამბობენ, სიჩქარის გამო არასწორად აკეთებს კნუტებსო. შენც ნუ იჩქარებ. შენი სიკეთისთვის, ველოდები, თვალები და გონება როდის დამენმინდება, რომ არ მოგვატყუონ. ბაგირი კარგი უნდა იყოს, უმაღლესი ხარისხისა, თორემ დავიღუპებით. ჰოდა, მოთმინება იქონიე, მომენდე.

ჩემ გამო საერთოდ არ იღელვო. მე თავგადასავლები მკვებავენ, რამდენიმე დღეში ოცი წლისა გავხდი. იმდენი ძალა მაქვს, რომ, ასე მგონია, ახალი კბილები ამომივა. მახსოვს, თირკმლები მტკიოდა, ახლა კენჭივით ვარ. ყოველ დილას სარკეში ვიყურები და მიკვირს, რომ თმა ჯერ კიდევ არ გამშავებია.

შეიძლება მკითხო, რატომ გწერ ყველაფერ ამას? იცოდე, მოძღვარივით მყავხარ და არ მრცხვენია, ყველა ჩემი ცოდვა გაგანდო. იცი, რატომ? ასე მგონია, ფეხებზე გკიდია, კარგად ვიქცევი თუ ცუდად. ღმერთივით სველი ღრუბელი გიჭირავს, ყველაფერს, ავსაც და კარგსაც, მიუსვ-მოუსვამ და შლი. ამიტომ ვბედავ და ყველაფერს გეუბნები. მაშ, მისმინე:

ყველაფერი ამერ-დამერია, ლამის გავგიჟდე. გეხვეწები, როგორც კი ამ წერილს მიიღებ, კალამი აიღე და მიპასუხე. პასუხის მიღე-

ბამდე ეკლებზე ვიჯდები. ასე მგონია, ღვთის დავთარში უკვე მრავალი წელია აღარ ვარ ჩანერილი, მაგრამ არც ეშმაკისაში, მხოლოდ შენს დავთარში ვწერივარ, ამიტომაც შენ გარდა ვერავის მივმართავ. გთხოვ, მიპასუხე. აი, რაშია საქმე:

გუშინ აქ, კასტროსთან ახლოს, დღესასწაული იყო, ეშმაკმა წამილოს თუ ვიცოდე, რომელი წმინდანისა. ლოლა (დამავიწყდა, შენთვის გამეცნო) მეუბნება:

- პაპიკო (ისევ პაპიკოს მეძახის, მაგრამ მოფერებით), პაპიკო, დღესასწაულზე მინდა წავიდე.

- წადი, - ვეუბნები, - ჩემო ბებიკო, წადი.

- შენთან ერთად მინდა წასვლა.

- მე არ მინდა, მეზარება. შენ წადი.

- ეჰ, მაშინ არც მე წავალ.

თვალეები გადმოგვკარკლე.

- არ მიდიხარ? რატომ? არ გინდა?

- შენც თუ მოდიხარ, მინდა. თუ არ მოდიხარ, არ მინდა.

- კი, მაგრამ რატომ? თავისუფალი ადამიანი არ ხარ?

- არა, არ ვარ.

- არ გინდა, თავისუფალი იყო?

- არ მინდა!

აბა, რა გითხრა, ბატონო? მეგონა, მომეყურა.

- არ გინდა, რომ თავისუფალი იყო? - ვუყვირე.

- არა, არ მინდა! არ მინდა! არ მინდა!

ბატონო, ლოლას ოთახიდან გწერ, ლოლას ქალაქდღმე. ყურადღებით იყავი, გთხოვ: მე მგონია, რომ ადამიანი ის არის, ვისაც თავისუფლება უნდა. ქალს არ უნდა თავისუფლება. მაშ, ქალი ადამიანია?

გთხოვ, დაუყოვნებლივ მიპასუხე.

გკოცნი და გეხვევი,

მე, ალექსის ზორბასი”.

ზორბასის წერილის კითხვა რომ დავასრულე, კარგა ხანს არ ვიცოდი, გავბრაზებულიყავი, გამეცინა თუ მეამაყა ამ პირველყოფილი ადამიანით, რომელიც ცხოვრების გარსს - ლოგიკას, ეთიკას, პატიოსნებას - არღვევდა და არსს სწვდებოდა. ყველა მცირე, ასე საჭირო სათნოება, აკლდა და მხოლოდ ერთი, სახიფათო სათნოება რჩებოდა - ჭიუტი ნებელობა, რომელსაც იგი უკიდურეს მიჯნამდე მიჰყავდა და უფსკრულში უბიძგებდა.

ეს გაუნათლებელი მუშა, რომელიც დაუოკებელი ჟინის გამო წერისას კალმებს ამტვრევდა, მაიმუნისგან წარმომდგარი პირველყოფილი ადამიანებივით თუ დიდი ფილოსოფოსებივით მინიერი, ძირეული პრობლემებით იყო შეპყრობილი და მათით, უშუალოდ მინიერი საჭიროებებით ცხოვრობდა. ბავშვივით ყველაფერს ისე უყურებდა, თითქოს პირველად ხედავდა, ყველაფერი უკვირდა, იძიებდა, ყოველივე სასწაულად ეჩვენებოდა. ყოველ დილას, თვალს რომ ახელდა და ხეებს, ზღვას, ქვებს, ჩიტს ხედავდა, პირდაღებული რჩებოდა. “ეს რა სასწაულია? - უკვირდა. - რას ნიშნავს ხე, ზღვა, ქვა, ჩიტი?”

ერთ დღეს, მახსოვს, როცა სოფლის შარაგზას მივუყვებოდით, ჯორზე ამხედრებული ვილაც ბერიკაცი შემოგვეყარა. ზორბასმა მრგვალი თვალები დააჭყიტა და ჯორს შეხედა. ჩანს, იმდენად გაოცებული მიშტერებოდა, რომ შეშინებულმა სოფელელმა დაიყვირა:

- ღვთის გულისათვის, ნათლია, თვალი არა ჰკრა! - და პირჯვარი გადაიწერა.

ზორბასს მივუბრუნდი:

- ასეთი რა უქენი ბერიკაცს, რომ ყვირის?
- მე? რა უნდა მექნა? ჯორს შევხედე. შენც ხომ დაგაინტერესა, ბატონო?
- რამ?
- იმან, რომ სამყაროში ჯორები არსებობენ.

ერთხელ, როდესაც სანაპიროზე წამოწოლილი ვკითხულობდი, ზორბასი მოვიდა, ჩემ პირდაპირ ფეხი მოირთხა, სანთური მუხლებზე დაიდო და დაკვრა დაიწყო. აგხედე. ნელ-ნელა სახე შეეცვალა, ველურმა სიხარულმა, უჩვეულო გზნებამ მოიცვა, გრძელ ყელზე ნაოჭები აუთამაშდა და სიმღერა წამოიწყო.

მაკედონიური მოტივები, კლედტური სიმღერები, ველური ხმები გაისმოდა. ის თითქოს ისევ პითეკანთროპულ ეპოქას დაუბრუნდა, როცა ყვირილი თავის თავში იმას აერთიანებდა, რასაც დღეს მუსიკას, პოეზიასა და აღმაფრენას ვუწოდებთ. “ახ! ახ!” - ამოიყვირა ზორბასმა თავისი არსების სიღრმიდან და თხელი ქერქი, რომელსაც კულტურას ვეძახით, გასკდა და შიგნიდან მარადი მხეცი, ბანჯგვლიანი ღმერთი თუ საშიში გორილა ამოხტა.

მურა ნახშირი, მარალი და მოგება, ბუბულინები - ყველაფერი ქრებოდა. ყველაფერს ყვირილი წარიტაცებდა. აღარაფერი გვჭირდებოდა. ორივენი წამით გავშეშდით კრეტის უდაბურ სანაპიროზე, ცხოვრების მთელ სიმწარესა და სიტკბოს მკერდით ვგრძნობდით. სიმწარე და სიტკბო არ არსებობდა. მზე ჩადიოდა, ღამე დგებოდა, დიდი დათვი გეცის უძრავი ღერძის ირგვლივ ცეკვავდა, მთვარე ამოდიოდა და სიფრთხილით დაჰყურებდა ორ პატარა ცხოველს, რომლებიც ქვიშაზე მღეროდნენ და არავისი ეშინოდათ.

- ბიჭო, ადამიანი მხეცია, - თქვა უცებ ზორბასმა, - მეტისმეტი სიმღერისგან გადარეული მხეცია. წიგნებს შეეშვი, არ გრცხვენია? ადამიანი მხეცია, მხეცები კი არ კითხულობენ!

ცოტა ხნით გაირინდა, მერე გაიცინა:

- იცი, - მითხრა, - როგორ შექმნა ღმერთმა ადამიანი? იცი, პირველად რა სიტყვები უთხრა ამ მხეცმა, ადამიანმა, ღმერთს?

- არა, საიდან უნდა ვიცოდე? იქ არ ვყოფილვარ.

- მე ვიყავი! - დაიყვირა ზორბასმა და თვალებიდან ნაპერწკლები ყარა.

- ჰოდა, ბრძანე!

ზორბასმა, ნახევრად ჭკუაარეულმა, დამცინავად დაიწყო. ადამიანის შექმნის ამბავს მომიყვა:

- მაშ, მისმინე, ბატონო! ერთ დღეს ღმერთმა გაგულისებულმა გაიღვიძა. “მე რა ღმერთი ვარ, - თქვა, - ადამიანები არ მყავს, რომ ან საკმეველი მიკმეონ, ან მაგინონ და გავერთო! ბაიყუშივით მართოდმართო ცხოვრება მომწყინდა!” - ხელებზე დაიფურთხა, მკლავები დაიკაპინა, სათვალე გაიკეთა, ერთი მუჭა მინა აიღო, დააფურთხა, ტალახად აქცია, კარგად მოზილა, კაცუნა გამოძერწა და მზეზე დადო. შვიდი დღის მერე აიღო. გამომწვარიყო. ღმერთმა დახედა და გაიცინა:

- ეშმაკმა წამიღოს, - თქვა, - ეს ხომ ორ ფეხზე შემდგარი ღორია. სხვა რამე მინდოდა, სხვა რამე გამომივიდა. რაც არის, არის, მორჩა!

ხელი ქეჩოში ჩაავლო და პანდური ამოართყა:

- აბა, გასწი, გოჭები გააჩინე, შენია დედამინა, გზას გაუდექი! ერთი, ორი, წინ!

მაგრამ ის, ჩემო ოქრო, ღორი არ იყო, ფეტრის ქუდი ეხურა, მხრებზე მოკლე პალტო ჰქონდა მოგდებული, ზოლიანი შარვალი და წითელპომპონიანი ფეხსაცმელი ეცვა. ნელზე კი - ეშმაკი მისცემდა - ალესილი სატევარი ეკიდა, რომელზეც ეწერა: “ბოლოს მოგიღებ!”

ადამიანი იყო. ღმერთმა სამთხვევად ხელი გაუწოდა, მაგრამ ადამიანმა უღვაში აიპრიხა და უთხრა:

- შენ, ჰეი, მოხუცო, გვერდზე მიდექი, გამატრე!

ზორბასი გაჩერდა, სიცილისგან ჩაბჭირებულს მომაცქერდა. შუბლი შეიკრა.

- ნუ იცინი, - მითხრა, - მართლა ასე მოხდა!

- კი მაგრამ, შენ საიდან იცი?

- ასე მოხდა-მეთქი, გეუბნები. ასე მოვიქცეოდი მე, ადამი რომ ვყოფილიყავი. თავს ვდებ, ადამიც ასე მოიქცეოდა. ნუ უსმენ იმას, რასაც წიგნები გიამბობენ, მე მომისმინე!

ხელი გაიწოდა და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, კვლავ სა-
ნთურის დაკვრა დაიწყო.

ჯერ კიდევ მეჭირა ზორბასის სურნელოვანი წერილი, რომელმაც ისარგაყრილი გული ეხატა და მასთან ერთად გატარებულ, ადამ-
იანური არსით საგსე თითოეულ დღეს ვიგონებდი. დრომ ზორბასის
გვერდით განსხვავებული გემო შეიძინა. ეს არც მოვლენების მექა-
ნიკური მონაცვლეობა იყო, არც ჩემ შიგნით არსებული გადაუჭრე-
ლი ფილოსოფიური პრობლემა. ეს იყო თბილი, წვრილი ქვიშა და
ვგრძნობდი, რა ნაზად მებნეოდა თითებს შორის.

- დაე კარგად მიმყოფოს ზორბასი, - ჩავიჩურჩულე. ჩემში არსე-
ბულ ცივ აბსტრაქტულ ცნებებს საყვარელი და თბილი სხეული მან
მიანიჭა. როცა ჩემთან არ არის, კვლავ ვითოშები.

ქაღალდი ავიღე, მუშას დავეძახე და სასწრაფო დეპეშა გავატა-
ნე:

“ახლავე ჩამოდი”.

XIV

შაბათი საღამო იყო, პირველი მარტი. ზღვის პირას კლდეს მიყრდნობილი ვწერდი. დღეს პირველი მერცხალი დავინახე. გახარებული ვიყავი, ბუდასგან გასათავისუფლებელი შელოცვა ქალაქდამ დაუბრკოლებლად გადამქონდა, მასთან ბრძოლა გაადვილებულიყო. აღარ ვჩქარობდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ თავს დავიხსნიდი.

მოულოდნელად ნაბიჯების ხმა გავიგონე. თავი ავწიე. ფრეგატივით მორთული ჩვენი ბებერი სირენა აჭარხლებული და აქომინებული მოიჩქაროდა სანაპიროზე. აფორიაქებული ჩანდა.

- წერილია? - წამოიძახა მოუთმენლად.

- კი! - ვუპასუხე სიცილით და მისაგებებლად წამოვდექი. - დიდ მოკითხვას გითვლის. ამბობს, დღედაღამ მხოლოდ მასზე ვფიქრობ, ვერცა ვჭამ, ვერც ვიძინებ, მასთან განშორებას ვერ ვუძლებო.

- სხვას არაფერს იწერება?

შემეცოდა, ჭიბიდან წერილი ამოვიღე, თავი მოვაჩვენე, ვითომ ვკითხულობდი. ბებერმა სირენამ უკბილო პირი დააფჩინა, თვალეზს აფახულებდა და ყურს აღელვებული მიგდებდა.

ყასიდად ვკითხულობდი, დროდადრო ისე ვიქცეოდი, თითქოს ასობეს ვერ ვარჩევდი: “გუშინ, ბატონო, სასადილოში საჭმელად შევიარე. მშიოდა. გავიხედოთ და ვხედავ, მზეთუნახავი გოგონა შემოდის, ნამდვილი ნერეისი. ღმერთო ჩემო, ჩემს ბუბულინას როგორ ჰგავდა! მაშინვე თვალთაგან ცრემლთა მდინარე წამომივიდა, ყელში ბურთი გამეჩხირა, როგორღა უნდა გადამეყლაპა! წამოვდექი, გადავიხადე, წამოვედი. მე, რომელსაც იშვიათად მახსენდება წმინდანები, სევდა ისე მომანვა, ბატონო, რომ წმინდა მინასის ეკლესიაში გავიქეცი და სანთელი დავუნთე. “წმინდაო მინას, შევევედრე, კარგი ამბები გამაგებინე ანგელოზისგან, რომელიც მიყვარს. დაუჩქარე, რომ ჩვენი ფრთები ერთმანეთს შეუერთდეს!”

- ბი-ბი-ბი! - ჩაიხითხითა მაღამ ჰორტენზიამ და სახეზე სინითლე მოერია.

- რატომ იცინი, ჩემო ქალბატონო? - ვკითხე და შევჩერდი, რომ სული მომეთქვა და მორიგი ტყუილიც მომეფიქრებინა. - რატომ იცინი? მე ლამის ავტირდე.

- რომ იცოდე... რომ იცოდე... - ხითხითებდა.

- რა?

- ფრთებს, უღმერთო, ფეხებს ეძახის. ასე ეძახის, როცა მარტონი ვრჩებით. ასე ამბობს, ჩვენი ფრთები შეერწყასო...

- მერე, მერე მოუსმინე, ჩემო ქალბატონო, გადაირევი...

გვერდი გადმოვაბრუნე, ისევ თავი მოვიკატუნე, ვითომ ვკითხულობდი:

“დღეს სადალაქოს წინ ჩავიარე, იმ დროს დალაქი საპნიანი წყლით სავსე ტაშტს ღვრიდა. გზას მუშკის სუნი აუვიდა. მე კი კვლავ ჩემი ბუბულინა გამახსენდა და ავტირდი. მისგან შორს ყოფნას ველარ ვუძლებ, ბატონო. გადავირევი. აგერ, უკვე ძალად მოლექსედ ვიქეცი. გუშინწინ რომ ვერ ვიძინებდი, დავჯექი და სიმღერა დავუნერე. გთხოვ, წაუკითხე, რომ ნახოს, როგორ ვიტანჯები.

ვახ, რა ვინროა ტრფიალისთვის

ეს ორლობე ოხერ-ტიალი,

რამ დაითოს ჩვენი ვნება!

სიყვარულის ღმერთმა ინება,

რომ იყო მუღამ ჩემი მუზა,

მკვდარმაც შენთან ჩავუშვა ღუზა!”

მადამ ჰორტენზია აღელვებული მისმენდა, თვალები მიეღულა. ყელიდან ლენტი მოიხსნა, რომელიც ახრჩობდა და ნაოჭები თავისუფლად მიუშვა. ჩუმად იღიმებოდა. სიხარულისა და ბედნიერებისაგან გონებით შორს, შორს, ღია წყლებში დაცურავდა.

თვალწინ მარტის ცვრიანი ბალახი, წითელი, ყვითელი, იისფერი ყვავილები წარმოუდგა. ანკარა წყალში კი თეთრი და შავი გედები სიყვარულით წყვილდებოდნენ: წითელნი სკარტა თეთრი მდედრები და შავი მამრები. წყლის ზედაპირზე მწვანე მურენები ფართხალებდნენ, დიდი ცისფერი გველები ერთმანეთს ერწყმოდნენ. მადამ ჰორტენზია ისევ თოთხმეტი წლისა გამხდარიყო, აღმოსავლურ ხალიჩებზე ცეკვავდა ალექსანდრიაში, ბეირუთში, სმირნაში, კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი - კრეტაზე, პრიალა გემბანზე... ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა, ზუსტად ვერ იხსენებდა, ერთიანი ეჩვენებოდა, მკერდი უღელავდა, სანაპირო ტორტმანებდა.

ცეკვისას მოულოდნელად ზღვა ოქროსცხვირიანი, აბრეშუმისაღმებიანი გემებით გაივსო. იქიდან ნაპირზე გადმოდიოდნენ და გადმოდიოდნენ წითელფესიანი ფაშები, მოხუცი მომლოცველი ბეგები ძვირფასი შესაწირავებით და პირტიტველა მონყენილი უფლისწულები. გადმოდიოდნენ პრიალა სამკუთხაქუდიანი ადმირალები, თეთრსაყელოიანი და ფართოშარვლიანი მემღვაურები. გადმოდიოდნენ ცისფერშარვლიანი და ყვითელჩექმებიანი, შავსარიკიანი(სარიკი - მამაკაცის კრეტული თავსაბურავი.) კრეტელები. სულ ბოლოს გადმოდიოდა ზორბასი, მაღალი, სიყვარულისგან დაღეული. თითზე მსხვილი საქორწინო ბეჭედი წამოეცვა და ჭაღარა თმაზე ლიმონის ყვავილების გვირგვინი დაედგა...

გემებიდან ყველა ის მამაკაცი გადმოდიოდა, ვინც კი ოდესმე გაეცნო. ყველა, უკლებლივ ყველა, ბებერი, ჩლიფინა, კუზიანი მენავეც კი, რომელმაც ერთ დღეს კონსტანტინოპოლში შებინდებისას ზღვაზე გაასეირნა და... ყველა, ყველა გადმოდიოდა, მათ უკან კი მურენები, გველები, გედები ერწყმოდნენ ერთმანეთს.

გადმოდიოდნენ მამაკაცები და გაზაფხულზე სასიყვარულოდ ჩაწნული გველების მსგავსად გარშემო ეხლართებოდნენ. შუაში ქათქათა, შიშველი, ოფლში გაღვრილი, ბაგეგაპობილი, ბასრკბილებ-

იანი, უძრავი, გაუმაძღარი, მკერდშემართული, თოთხმეტი, ოცდაათი, ორმოცი, სამოცი წლის მადამ ჰორტენზია იდგა...

არავინ დაკარგულა, არც ერთი საყვარელი არ მომკვდარა, მის დამტკნარ მკერდში ყველა იარაღასხმული აღდგა. თითქოს მადამ ჰორტენზია სამაფრიანი ფრევატი იყო და ყველა საყვარელი - ორმოცდახუთი წელი იმუშავა - ზედ აცოცდებოდა, ცრუქიმებზე, აღჭურვილობაზე, ტრიუმებში იჭრებოდა, ის კი, ათასჯერ დაცხავებული, ათასჯერ დაგმანული, შორეული ნავსადგურისკენ - ქორწილისკენ - მიცურავდა. ზორბასიც ათასობით სახეს იღებდა: თურქულს, ფრანგულს, სომხურს, არაბულს, ბერძნულს და მასთან ჩახუტებით მადამ ჰორტენზია მამაკაცთა მთელ უსასრულო რიგს ეხუტებოდა...

ბებერი სირენა უცებ მიხვდა, რომ გავჩერდი, მისი ხილვა მოულოდნელად გაიფანტა, დამძიმებული ქუთუთოები ასწია:

- სხვას არაფერს ამბობს? - უკმაყოფილოდ ჩაიჩურჩულა და ტკბილეულის მომლოდინესავით ტუჩები გაილოკა.

- სხვა რა გინდა, მადამ ჰორტენზია? განა ვერ ხედავ, მთელი წერილი მხოლოდ შენზეა. აი, შეხედე, ოთხი ფურცელია. აგერ, კუთხეში გულიცაა, ზორბასს საკუთარი ხელით დაუხატავს. შეხედე, შუაგულში ისარი აქვს გაყრილი, ეს სიყვარულია. ქვემოთ კი, აგერ, ორი მტრედია, რომლებიც ერთმანეთს ეამბორებიან. ფრთებზე წითელი მელნით, ძლივს შესამჩნევი ასოებით, ორი გადანული სახელი წერია: ჰორტენზია - ზორბასი.

არც მტრედები იყო, არც ასოები, მაგრამ ბებერ სირენას თვალეები ტკბილად მიელულა და რაც ენატრებოდა, ის ელანდებოდა.

- სხვა არაფერი? სხვა არაფერი? - კვლავ მკითხა დაუკმაყოფილებელმა.

მისთვის ეს ყველაფერი: ფრთები, დალაქის საპონი, მტრედები - ლამაზი, თუმცა ცარიელი სიტყვები იყო. ქალის პრაქტიკული გონება რაღაც სხვას ითხოვდა - უფრო ხელშესახებს, უფრო ნამდვილს. ცხოვრებაში არაერთხელ მოესმინა ეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები!

და რა მერე? ამდენი წლის მუშაობის შემდეგ შარაგზაზე მარტოღო-
არტო დარჩენილიყო.

- სხვა არაფერი? - კვლავ ჩაიჩურჩულა სევდიანად. - სხვა არაფე-
რი?

დევნილი შველივით შემომხედა. შემებრალა.

- სხვა რამესაც იწერება, ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანს, მად-
ამ ჰორტენზია, - ვუთხარი, - ბოლოსთვის ამიტომაც მოვიტოვე.

- აბა, ერთი ვნახოთ... - თქვა მოუთმენლად.

- წერს, როგორც კი დავბრუნდები, ფეხებში ჩავუვარდები, რომ
თვალცრემლიანმა ხელი ვთხოვო. მეტს ვეღარ უძლებს. უნდა,
რომ მისი ცოლი გახდეს, მადამ ჰორტენზია ზორბასი, რომ აღარას-
ოდეს დაშორდეთ...

ქალს მორღვეული თვალებიდან ახლა უკვე ცრემლები გადმოს-
ცვივდა. აი, დიდი სიხარული, აი, ნავსაყუდელი, აი, მთელი მისი ცხ-
ოვრების სადარდებელი! რომ დაწყნარდეს და პატიოსან ლოგინში
ჩაწვეს. კმარა უკვე!

თვალები შეიმშრალა.

- კარგი, - დაეთანხმა სულგრძელად, - თანახმა ვარ. მაგრამ
გთხოვ, მისწერე, რომ აქ, სოფელში, საქორწინო გვირგვინები არ
არის, კასტროდან ჩამოიტანოს. ორი ვარდისფერლენტიანი თეთრი
კელაპტარიც წამოიღოს. კარგი ხარისხის შაქარლამაც, ნუშიანი.
თეთრი საპატარძლო კაბა, აბრეშუმის წინდები და ატლასის ქოშებ-
იც მიყიდოს. ბეწრები გვაქვს, მისწერე, არ წამოიღოს. საწოლიც გვ-
აქვს.

შეკვეთა გაამზადა და თითქმის ქმარს ნივთების ჩამოტანა და-
ავალა. მერე წამოდგა და მოულოდნელად გათხოვილის დიდებუ-
ლი გამომეტყველება მიიღო.

- რაღაც მინდა, შემოგთავაზო, სერიოზული, - მითხრა და გულა-

ჩვილებული შეჩერდა.

- მითხარი, მაღამ ზორბას, შენს განკარგულებაში ვარ.

- ზორბასსა და მე ძალიან მოგვწონხარ, ხელგაშლილიც ხარ. ხელისმომკიდე იქნები?

შევკრთი. ოდესღაც მამისეულ სახლში ერთი მოახლე გვყავდა, მოხუცი დიამანდო, სამოც წელს გადაცილებული შინაბერა. ქალწულობისგან ნახევრად შეშლილი იყო, ნერვიული, დაჩამიჩბებული, უმკერდო, უღვაშა. უბნის მებაყლის შვილი, ერთი ქონიანი, გასიებული, უწვერული სოფლელი ბიჭი მიცო შეუყვარდა.

- როდის შემირთავ? - ეკითხებოდა ყოველ კვირადღეს. - შემირთე! როგორ ითმენ? მე ვეღარ ვითმენ!

- მეც ვერ ვითმენ, - პასუხობდა გაიძვერა ბაყალი, რომელიც კლიენტის დაკარგვის შიშით ქალს კარგად ექცეოდა, - მეც აღარ შემიდლია, ჩემო ბრილიანტო, მაგრამ ცოტა კიდევ მოითმინე. მოითმინე, სანამ მეც უღვაში ამომივა.

ასე გადიოდა წლები და ბებერი დიამანდო ითმენდა. ნერვები დაუმშვიდდა, თავის ტკივილმა უკლო, მისმა უკოცნელმა, გამწარებულმა ბაგეებმა გაიღიმეს. ტანსაცმელს უკეთ რეცხავდა, ნაკლებ თეფშს ამტვრევდა და საჭმელი აღარ ეწვებოდა.

- ხელისმომკიდე იქნები, ბატონო? - საიდუმლოდ მკითხა ერთ საღამოს.

- ვიქნები, დიამანდო, - მივუგე და სიმწრისაგან ყელში წამეჭირა.

იმ ხელისმომკიდეობამ ძალიან გამამწარა და ახლა მაღამ ჰორტენზიას რომ ვუყურებდი, შევკრთი.

- ვიქნები, - ვუპასუხე, - პატიოსან სიტყვას გაძღვევ, მაღამ ჰორტენზია.

- ამიერიდან, როცა მარტონი ვიქნებით, ნათლიდელა დამიძა-

ხე... - მითხრა და ამაყად გაიღიმა.

წამოდგა. ქუდიდან ჩამოყრილი დაღალეები გაისწორა და ტუჩები გაილოკა.

- ღამე მშვიდობისა, ხელისმომკიდევ! - მითხრა. - ღამე მშვიდობისა. ერთი სიკეთით დაგვიბრუნდეს...

ვხედავდი, პრანჭვა-გრეხით როგორ მშორდებოდა, ბებრული წელი გოგონას სიკეკლუცით ემტვრეოდა, სიხარულისაგან დაფრინავდა. მისი ძველი გაცვეთილი ქოშები ქვიშაში პატარა, ღრმა ნაკვალევს ტოვებდა.

ჯერ კიდევ არ შეეხვია კონცხისკენ, რომ სანაპიროზე განწირული კივილი გაისმა.

მეზე წამოვვარდი, გავიქეცი, გაღმა, მეორე კონცხზე ქალები კიოდნენ. ლოდზე ავედი და ლოდინად ვიქეცი. სოფლიდან მამაკაცები და ქალები გამორბოდნენ, ძაღლები ყუფით მოსდევდნენ, ორი თუ სამი ცხენოსანი წინ მოაჭენებდა და მტვრის სქელ ბუღს აყენებდა.

“რალაც უბედურებაა”, - გავიფიქრე და კონცხისკენ სწრაფად დავეშვი.

ღრიანცელის ხმა სულ უფრო მატულობდა. მზე ჩასულიყო. გაზაფხულის ორი-სამი ვარდისფერი ღრუბელი ცაზე უძრავად გაჩერებულიყო. ბატონის ასულის ლედვს ქორფა მწვანე ფოთლები ამოეყარა.

მოულოდნელად თმაგანწილი, აქოშინებული მადამ ჰორტენზია გამოჩნდა. ცალი ქოში გასძრობოდა. ხელში ეჭირა. მობობდა და ტიროდა.

- ხელისმომკიდევ... ხელისმომკიდევ... - დამიძახა, წაბარბაცდა და ჩაიკეცა.

წამოვაყენე.

- რატომ ტირი, ნათლიდედ?

გაცვეთილი ქოშის ჩაცმაში მივეშველე.

- მეშინია... მეშინია...

- რისა?

- სიკვდილის.

ჰაერში სიკვდილის სუნი ეკრა და შეშინებოდა. მომჩვარულ მკლავში ხელი მოვკიდე, მაგრამ ბებრული სხეული წინააღმდეგობას მიწევდა და კანკალებდა.

- არ მინდა... არ მინდა... - კიოდა.

უბედურს იმ ადგილთან მიკარებისა ეშინოდა, სადაც სიკვდილს დაებიჯებინა. ვაი და დაენახა და ისიც გახსენებოდა... როგორც ყველა ბებერი, ჩვენი სანყალი სირენაც ცდილობდა, ბალახში დამალულიყო და გამწვანებულიყო, მიწაში დამალულიყო და მიწის ფერი მიეღო, რათა სიკვდილს ვერ შეემჩნია. მოხრილ მსუქან მხრებში თავი ჩაერგო და ცახცახებდა.

გეთისხილის ხისკენ წაჩანჩალდა და დაკერებული პალტო გაიხადა.

- დამათარე, ხელისმომკიდე, - მითხრა, - დამათარე და წადი.

- გცივა?

- მცივა, დამათარე.

რაც შემეძლო კარგად დავათარე, რომ მიწისგან არ გარჩეულიყო და წავედი. კონცხს რომ მივუახლოვდი, უკვე მკაფიოდ მესმოდა მოთქმა. გვერდით მიმითოსმა ჩამირბინა.

- რა მოხდა, მიმითოს? - დავუყვირე.

- დაიხრჩო! დაიხრჩო! - მიპასუხა ისე, რომ არ გაჩერებულა.

- ვინ?

- მავრანტონისის პავლისი!

- რატომ?

- ქვრივი...

მისი ხმა გოდებამ გადაფარა. ასე ჰაერში გამოვიდებულმა სიტყვამ თვალწინ ქვრივის მთრთოლვარე, საბედისწერო სხეული დამიყენა.

კლდეებს მივალწიე, სადაც მთელი სოფელი შეკრებილიყო. მამაკაცები მდუმარედ, ქუდმოხდილი იდგნენ, ქალებს თავსაფრები მხრებზე ჩამოეშვათ, თმას იგლეჯდნენ და კიოდნენ. კენჭებზე გაბერილი, გალურჯებული სხეული ესვენა. მოხუცი მავრანტონისი გაუნძრევლად წამოსდგომოდა თავზე და დასცქეროდა. მხრებში მოხრილი, მარჯვენა ხელით ჯოხს ეყრდნობოდა, მარცხენით ჭაღარა ხუჭუჭა წვერი ჩაებლუჭა.

- წყულომც იყავ, ქვრივო! - მოულოდნელად გაისმა გაანჩლებული ხმა. - ღმერთმა მოგაგოს სამაგიერო!

ერთი ქალი წამოვარდა და კაცებს მიუბრუნდა:

- მაშ, ჩვენს სოფელში ერთი კაციც არ მოიძებნება, რომ ბიჭის ფეხებთან ცხვარივით დაკლას? ფუი, თქვენი! - და კაცებს მიაფურთხა, რომლებიც უხმოდ მისჩერებოდნენ. კონდომანოლიოსი, ყავახანის პატრონი, წამოვარდა:

- ნუ გვარცხვენ, დელიკატერინა, - დაუყვირა, - ნუ გვარცხვენ. ჩვენს სოფელს კარგი მამაკაცები ჰყავს, აი, ნახავ!

ვერ მოვითმინე და შევძახე:

- სირცხვილია, ხალხო, ქალის რა ბრალია? ეს მისი ბედისწერა

იყო. ღვთისა გეშინოდეთ!

მაგრამ არავინ მიპასუხა.

მანოლაკასი, დამხრჩვალის ბიძაშვილი, ბრგე ტანის კაცი, დაიხარა, გვამი აიღო და სოფლისკენ გასწია. ქალები გაჰკიოდნენ და გულში მჭიდს იცემდნენ. როგორც კი დაინახეს, რომ მკვდარი მიჰქონდათ, წამოცვივდნენ და გაეკიდნენ. მაგრამ ბებერმა მავრანტონისმა ჯოხი გაიწოდა, ისინი გვერდით მისწია და თავად გაუძღვა წინ. უკან მოთქმით მიჰყვებოდნენ ქალები, უფრო უკან - მღუმარე კაცები.

ბინდბუნდში გაუჩინარდნენ. ისევ გაისმა ზღვის ფშვინვა. მიმოვიხედე, მარტო დავრჩენილიყავი.

“უკან დავბრუნდები, - ვთქვი, - ეს დღეც მწარე გამოდგა, დიდება შენდა, ღმერთო!”

ჩაფიქრებული ბილიკს გავუყევი. ბინდბუნდში ძია ანაღნოსტისი გავარჩიე, რომელიც ჯერ კიდევ კლდეზე იდგა, ნიკაპი მალალ ჯოხზე ჩამოეყრდნო და ზღვას გაჰყურებდა.

დავუძახე, მაგრამ ვერ გაიგო. რომ მიგუახლოვდი, დამინახა და თავი გააქნია:

- საცოდავი ხალხი! - ჩაიჩურჩულა. - უბედური ახალგაზრდები! ბეჩავმა დარდს ვერ გაუძლო, ზღვაში გადავარდა და თავი დაიხრჩო. თავი დააღწია.

- თავი დააღწია?

- თავი დააღწია, შვილო, თავი დააღწია. რა უნდა ექნა, მითხარი, სიცოცხლისთვის? ქვრივი რომ შეერთო, მალე შეიძლებოდა მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო, იქნებ თავიც მოსჭროდა. ფაშატივითაა, უნამუსო, მამაკაცის დანახვაზე ჭიხვინებს. თუ ვერ შეერთავდა, მთელი ცხოვრება გულჯავრიანი ივლიდა, რადგან ეგონებოდა, რომ რაღაც დიდი განძი დაკარგა. წინ წყალი და უკან მენწყ-

რი.

- ამას ნუ ამბობ, ძია ანაღნოსტის, მაშინებ.

- ბიჭო, ნუ გეშინია, არავის ესმის. რომც გაიგონონ, ვინ დაიჭერებს. განა ჩემზე ბედნიერი არ აღმოჩნდა? ყანები, ვენახები, ზეთისხილის ხეები და ორსართულიანი სახლი მქონდა, ოჯახის პატრონი ვიყავი, ცოლიც კარგი გამომადგა, მორჩილი, ვაჟები გამიჩინა, თვალის გასწორებას ვერ მიბედავდა. შვილებიც კარგები გამომივიდნენ, სანუნუნო არაფერი მაქვს. შვილიშვილებსაც მოვესწარი, სხვა რაღა მინდა? ფესვი ღრმად გავიდგი. მაგრამ მაინც, ხელახლა რომ დავბადებულებიყავი, პავლისივით მეც ქვას ჩამოვიკიდებდი კისერზე და ზღვაში გადავვარდებოდი. მძიმეა ცხოვრება, იცოდე, ყველაზე ბედნიერისთვისაც კი მძიმეა, წყეულიმც იყოს!

- კი მაგრამ, რა გაკლია, ძია ანაღნოსტის? რატომ ხვნიეში?

- არაფერი მაკლია-მეთქი, გეუბნები! მაგრამ ადამიანის გულს რას გაუგებ?!

წამით გაირინდა, კვლავ ზღვას გახედა, რომელიც ბინდში იძირებოდა.

- კარგი ქენი, ბიჭო, პავლის! - დაიყვირა და ჯოხი ასწია. - დაე იტირონ ქალებმა, ქალები არიან, ტვინი არა აქვთ. შენ კი თავი დააღწიე. ეს იცის მამაშენმა, ამიტომაც - დაინახე? - კრინტი არ დაუძრავს.

თვალი მიმოავლო ზეცას და მთებს, რომლებსაც ახლა სიბნელე ნთქავდა.

- დაღამდა, - თქვა, - წავედით.

ცოტა ხნით შედგა, თითქოს ბაგეებიდან დაცდენილი სიტყვა ინანა, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლო გასცაო.

გაძვალტყავებული ხელი მხარზე დამადო:

- ახალგაზრდა ხარ, - მითხრა ღიმილით, - ბებრებს არ უსმინო.

ბებრებისთვის რომ ესმინათ, ქვეყანა მალე დაცარიელდებოდა. გზაზე რომელიმე ქვრივი თუ გადაგეყარა, ეცი! შეირთე, შვილები გააჩინე, არ შეშინდე. ბედთან ჭიდილი ვაჟკაცების ხვედრია!

ჩემს სანაპიროს რომ მივალწიე, ცეცხლი დავანთე და ჩაი მოვიმზადე. დაღლილი ვიყავი, მოშიებული და ახლა, რომ ვისვენებდი და ვჭამდი, მარადიული ცხოველური კმაყოფილება დამეუფლა.

უცებ სარკმელში მიმითოსმა შემოყო ვიწრო, მობრეცილი თავი, დამინახა, ცეცხლთან მიმჭდარი რომ ვჭამდი და ეშმაკურად გაიღიმა.

- რა გინდა, მიმითოს?

- მოსაკითხი მომაქვს შენთან, ბატონო, ქვრივისგან, ერთი კალათი ფორთოხალი. ახალი დაკრეფილიაო, შემოგიტვალა. მისი ბაღიდანაა.

- ქვრივისგან? - შეცბუნებულმა ვკითხე. - რატომ მიგზავნის?

- კეთილი სიტყვისთვისო, ამბობს, დღეს საღამოს სოფლელებს რომ უთხარიო.

- რომელი კეთილი სიტყვა?

- აბა, მე რა ვიცი? რაც მითხრა, იმას გეუბნები!

ფორთოხლები ერთბაშად გადმოცალა საწოლზე. ბარაკი სურნელით აივსო.

- საჩუქრისთვის მადლობა უთხარი. მაგრამ ფრთხილად იყოს, სოფელში ცხვირი არ გამოყოს, გესმის? შინ იჭდეს, სანამ ცოტა დრო არ გავა, ცუდი რომ დაივიწყონ. გაიგე, მიმითოს?

- სხვა არაფერი, ბატონო?

- სხვა არაფერი, წადი.

მიმითოსმა თვალი ჩამიკრა.

- სხვა არაფერი?

- წადი!

წავიდა. ფორთოხალი გავფცქვენი, წვნიანი იყო და თაფლივით ტკბილი. წამოვწექი, ჩამეძინა და მთელი ღამე ფორთოხლის ხეების ქვეშ დავსეირნობდი. თბილი ქარი უბერავდა, გაღეღილი და დაკუნთული მკერდი მქონდა, ყურს უკან რეჰანის ღერი მქონდა ჩამაგრებული. ოცი წლის სოფლელი ბიჭი ვიყავი, ფორთოხლის ბაღში დავეხეტებოდი, ვუსტვენდი და ველოდი... ვის ველოდი, არ ვიცი, მაგრამ გული ლამის იყო სიხარულისაგან გამსკდომოდა. უღვაშს ვიგრეხდი და მთელი ღამე მესმოდა, ფორთოხლების უკან ზღვა ქალივით როგორ ოხრავდა.

XV

დღეს აფრიკიდან ძლიერი, მწველი სამხრეთის ქარი უბერავდა. წვრილი ქვიშა ჰაერში ტრიალებდა და ყელსა და შიგანში ატანდა. კბილებში ქვიშა კრაჭუნობდა, თვალები გენვოდა. კარ-ფანჯრები უნდა დაგვემანა, რომ ერთი ნაჭერი პური ისე შეგეჭამა, ქვიშა არ მიგეყოლებინა.

ხვატი იდგა. ხეთა გამოცოცხლების სევდიან დღეებში გაზაფხულის მღელვარებამ მომიცვა. რა იყო ეს სისუსტე, მკერდში ფორიაქი, მთელ სხეულში დავლილი ჟრუანტელი - დიდი ბედნიერებით გამონვეული წყურვილი თუ მოგონება? იმავე ტკობას, იმავე ტკვილს განვიცდი ხეების კვირტობის დღეებში. ჭუპრად ქცეული მუხლუხები ნამდვილად გრძნობენ, რომ ბურგზე ორი ჭრილობა ეხსნებათ, ორი ფრთა გამოსდით.

მთის ქვიან ბილიკს დავადექი. სამი საათი ვიარე, ვიდრე პატარა მინოსურ ქალაქს მივადგებოდი. მიწის საფარველისგან გათავისუფლებული, სამი თუ ოთხი ათასი წლის შემდეგ კვლავაც საყვარელი კრეტის მზებზე თბებოდა. ვფიქრობდი, ეგებ სიარულით დავიღალლო და გაზაფხულის მელანქოლიას თავი დავაღწიო-მეთქი.

ნაცრისფერი ქვები, სინათლით გასხივოსნებული სიშიშვლე, ისეთი მთები, მე რომ მომწონს, მშვიდი რომანტიკული სიმწვანის გარეშე. ჭარბი სინათლისგან დაბრმავებული, მრგვალთვალა, სერიოზული, საყვარელი, იდუმალებით მოცული ბუ ქვაზე დაყუნცულიყო. მსუბუქად მივაბიჯებდი, რომ ჩემი მიახლოება არ გაეგო, მაგრამ ყურებად იყო ქცეული, დაფრთხა და კლდეებს შორის გაუჩინარდა. ჰაერში ბეჭონდარას სურნელი იდგა, ეკლოვან ბუჩქებს უკვე პირველი ნაბი ყვავილები გამოსვლოდა.

როდესაც ნანგრევებადქცეულ ქალაქს მივადექი, გავოგნდი. შუადღე იქნებოდა, მზის შუქი პირდაპირ ნანგრევებს ეცემოდა. ძველ, დაცარიელებულ ქალაქებში ეს დრო საშიშია. ჰაერი ხმებითა და აჩრდილებითაა სავსე. ტოტმა რომ გაიჭრიალოს, ხვლიკმა გაისრილოს ან ღრუბელმა გადაიაროს და ჩრდილი დააფინოს, შიში შე-

გიპყრობს. მიწის ყოველი მტკაველი, რომელზეც დააბიჯებ, იმავდროულად, სასაფლაოა, საიდანაც მკვდრები მოგძახიან.

ნელ-ნელა თვალი შევაჩვიე მკვეთრ შუქს. ამ ქვებს შორის უკვე შემეძლო ადამიანის ნახელავის გარჩევა: ორი ფართო, მოკირწყლული ქუჩა, მარჯვნივ და მარცხნივ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული შუკები, მრგვალი მოედანი, აგორა და იქვე, გვერდით, მეფის სასახლე ორმაგი სვეტებით, ქვის ფართო კიბით, მოგრძო ნაგებობებით.

ქალაქის შუაგულში, იქ, სადაც ქვეები ადამიანთა ფეხს ყველაზე მეტად გაუცვეთია, დიდი ქალღმერთის ტაძარი დგას; ქალღმერთს სავსე მკვერდი მოუშიშვლებია და ორივე ხელში წმინდა გველები უჭირავს.

ყველგან პატარა მალაზიები და სახელოსნოებია: ზეთუნის ზეთის სახდელები, სპილენძის სადნობები, სადურგლოები, მეთუნეთა სახელოსნოები. ჭიანჭველების ოსტატურად ნაგებ, კარგად დაცულ და მოვლილ ბუდეს ჰგავდა, ჭიანჭველები კი უკვე ათასი წელია გადაშენებულან. ერთ სახელოსნოში რომელიღაც ხელოსანი ძარღვებიან ქვაში დოქს, ხელოვნების ბრწყინვალე ქმნილებას, კვეთდა, მაგრამ დასრულება ვერ მოასწრო: ხელიდან გავარდნილი საჭრეთელი ათასი წლის შემდეგ დაუმთავრებელი ნამუშევრის გვერდით აღმოაჩინეს.

მარადიული, უადგილო, ბრიყული კითხვები: რატომ? რისთვის? - კვლავ გწამლავს. ეს დაუმთავრებელი, პირმოტეხილი დოქი, რომელმაც ხელოვანის სიხარული და ალტყინება დაიტია, მნახველს სამსალას ასმევს.

მოულოდნელად მზით დამწვარი, მუხლებგაშავებული, ხუჭუჭა თმაზე სარიკნაკრული მწყემსი ბიჭი დანგრეული სასახლის გვერდით ქვაზე შედგა.

- ჰეი, ნათლია! - დამიძახა.

მართო დარჩენა მინდოდა, ამიტომ თავი მოვაჩვენე, თითქოს არ მესმოდა. მაგრამ მწყემსმა დამცინავად მომმართა:

- თავს ნუ იყრუებ! ჰეი, ნათლია, სიგარეტი გაქვს? მომეცი, თორემ აქ, მარტოობაში, ლამის გადავირიო.

ბოლო სიტყვა ისე გზნებით ამოთქვა, რომ შემეცოდა.

სიგარეტი არ მქონდა, ფული ამოვიღე, რომ მიმეცა. მწყემსის ბიჭი გაბრაზდა.

- ეშმაკსაც წაუღია ფული! - შეჰყვირა. - რა უნდა ვუყო? ლამისაა გადავირიო-მეთქი, გუბნები. ერთი სიგარეტი მომეცი!

- არ მაქვს, - ვუთხარი სასონარკვეთილმა, - არ მაქვს!

- არ გაქვს! - დაიყვირა გაცეცხლებულმა მწყემსმა ბიჭმა და კომბალი ქვებს ძლიერად დაჰკრა. - არ გაქვს! მაშინ რა გიღვეს ჯიბეებში, რომ გამოგბერვია?

- წიგნი, ცხვირსახოცი, ქაღალდი, ფანქარი, ჯიბის დანა, - ვუპასუხე, თან ჯიბიდან ნივთები სათითაოდ ამომქონდა. - გინდა, ჯაყვა გაჩუქო?

- მაქვს, ყველაფერი მაქვს. პურიც, ყველიც, ზეთისხილიც და დანაც, შამფურიც, საჩექმე ტყავიცა და წყლით სავსე მათარაც, ყველაფერი! ყველაფერი! მაგრამ სიგარეტი არა მაქვს, მთავარი არა მაქვს! ამ ნანგრევებში შენ რაღას დაეძებ?

- სიძველეებს ვათვალიერებ.

- და რას მიხვდი?

- მთავარს!

- მეც მთავარს! ისინი დაიხოცნენ, ჩვენ ვცოცხლობთ. წადი აქედან! - თითქოს ამ ადგილის მოჩვენება იყო და მღვენიდა.

- მივდივარ, - ვუთხარი მორჩილად.

ჩქარი ნაბიჯით გავუყევი ბილიკს. წამით მივბრუნდი და გადარეუ-

ლი მწყემსი ბიჭი დავინახე, რომელიც ჯერ კიდევ ქვაზე იდგა, სარიკიდან ხუჭუჭა შავი თმა ჩამოშლოდა და ქარი უფრიალებდა. თავიდან ფეხებამდე შუქში გახვეული ჭაბუკი ბრინჯაოს ქანდაკებას ჰგავდა. ახლა კომბალი მხრებზე გაედო და უსტვენდა.

სხვა გზას დავადექი და სანაპიროსკენ დავეშვი. თავზე ახლომდებარე ბაღების სურნელით გაჟღენთილი ცხელი სუნთქვა მივლიდა. მიწას სუნი ასდიოდა, ზღვა იცინოდა, ლურჯი ცა ფოლადივით ბზინავდა.

ბამთარმა სხეული და სული გაგვითოშა, ახლა კი სითბომ მკერდი გაგვიფართოვა. მიმავალს ციდან ჩახრინნული ყვილი მომესმა. ავიხედე და იქაც განსაცვიფრებელი სანახაობა დავინახე, რომელიც ბავშვობიდან მიფორიაქებდა გულს: გამწკრივებული წეროები, რომლებიც თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებოდნენ. წარმოვიდგინე, რომ თავიანთი ფრთებით მერცხლები მოჰყავდათ.

დროის რიტმულმა წრებრუნვამ, სამყაროს მბრუნავმა ბორბალმა, მიწის ოთხმა სახემ, რომლებსაც მზე ერთიმეორის მიყოლებით ანათებს, სიცოცხლემ, რომელიც მიდის და ჩვენც თან მიყვებით, გული კვლავ მღელვარებით ამივსო. წეროს ხმა იმის შესხენება იყო, რომ ადამიანს ერთადერთი სიცოცხლე აქვს და სანამ ის ხელიდან დაუსხლტება, უნდა მოასწროს და გაიხაროს, რადგან მარადისობაში ამის შესაძლებლობა აღარ ექნება.

გონება, რომელიც ამ უღმობელ ცნობას იღებს, წყვეტს, დაამარცხოს თავისი უბადრუკობა, უძლურება, სიზარმაცე, ფუჭი იმედები და ყოველ წარმავალ წამს ჩაეჭიდოს.

შენს გონებაში დიდი სახელები ამოტივტივდება და ნათლად ხედავ, რომ არარაობა ხარ, რომ შენი სიცოცხლე პატარა სიხარულში, პატარა დარდში, უმნიშვნელო საუბრებში იკარგება. ყვირი: “გრცხვენოდეს! გრცხვენოდეს!” და ტუჩებს იკვნეტ.

წეროები სამხრეთით გაუჩინარდნენ, მაგრამ მათი ჩახლეჩილი ყვილი ჯერ კიდევ აწყდება საფეთქლებს.

ზღვას მივადექი, ნაპირზე სწრაფად მივაბიჭებდი. ძნელია ზღვის კიდებზე მართოდმართო სიარული. ყოველი ტალღა, ყოველი ჩიტი მოვალეობას შეგახსენებს. როცა სხვებთან ერთად მიდიხარ, იცინი და ლაპარაკობ, ხმაურის გამო ტალღებისა და ჩიტების ხმა არ გესმის. შეიძლება, არც არაფერს ამბობენ, ან უბრალოდ მდუმარედ გიყურებენ, სულელურ ლაქლაქში გართულნი როგორ ჩაივლით.

კენჭებზე წამოვწევი, თვალები დავხუჭე. “მაშ, რა არის სული? - ვფიქრობდი. - რა ფარული კავშირია მასა და ზღვას, ღრუბლებსა და სურნელს შორის? თითქოს ის ზღვაცაა, ღრუბელიც და სურნელიც...”

წამოვდექი და ისევ გზას გავუდექი. თითქოს გადაწყვეტილება მივიღე. მაგრამ რა? არ ვიცოდი.

მოულოდნელად უკნიდან ხმა მომესმა:

- საით გაგიწევია, ბატონო? მონასტრისკენ?

მივტრიალდი. ერთი ჯმუხი, ტანდაბალი ბერიკაცი უჭოხოდ მოდიოდა. თავზე შავი სარიკი შემოეხვია და ღიმილით მიქნევდა ხელს. უკან დედაბერი მოსდევდა, დედაბერს კი - შავგვრემანი, თვალ-ჟუჟუნა, თეთრხილაბანდიანი ქალიშვილი.

- მონასტრისკენ? - კვლავ მკითხა მოხუცმა.

ერთბაშად ვიგრძენი, რომ იქითკენ წასვლა გამამეწყვიტა. თვეები იყო, მინდოდა, ზღვასთან ახლოს დედათა პატარა მონასტერში წავსულიყავი და ვერ გამებედა. ახლა მოულოდნელად გადაწყვეტილება მივიღე.

- მონასტრისკენ, - ვუპასუხე, - ღვთისმშობლის “დაუჯდომელს”, მინდა, მოვუსმინო.

- მისი მადლი შეგეწიოს!

ნაბიჯს აუჩქარა, დამეწია.

- ნახშირის ფირმა შენია, არა?

- ჩემია.

- ღვთისმშობელმა ხეირი მოგცეს. ამ მხარისთვის კარგ საქმეს აკეთებ. ღარიბ ადამიანებს ფულს აძლევ, შენ გაიხარე!

ცოტა ხანში ბერიკაცმა, რომელმაც იცოდა, რომ ნახშირის საქმე ეშმაკებში მიდიოდა, ნუგეშისცემით დასძინა:

- რომც ვერაფერი მოიგო, შვილო, მშვიდად იყავი! მაინც გამარჯვებული გამოხვალ, შენი სული სამოთხეში შევა...

- მეც ეგ მინდა, პაპა.

- ნასწავლი არა ვარ, მაგრამ ერთხელ ეკლესიაში ქრისტეს სიტყვა გავიგონე, გონებაში ჩამებუჭდა და აღარ ამომდის: გაყიდეო, ამბობს, რაც გაქვს და არ გაქვს და დიდი მარგალიტი შეიძინეო. რა არის დიდი მარგალიტი? სულის ხსნა, შვილო. შენ, ჩემო ბატონო, დიდი მარგალიტისკენ მიდიხარ.

დიდი მარგალიტი! წყვდიადში რამდენჯერ გამიკრთა გონებაში, დიდი ცრემლივით?

გზა განვაგრძეთ, ჩვენ, მამაკაცები, წინ მივდიოდით, ქალები უკან მოგვყვებოდნენ. შიგადაშიგ გადავულაპარაკებდით ხოლმე ერთმანეთს: ბეთისხილის ხეები აყვავდებოდა თუ არა, იწვიმებდა თუ არა, ქერი რომ შემოსულიყო. როგორც ჩანს, ორივეს მოგვშივებოდა, რადგან საუბარი მალე საჭმელზე გადავიტანეთ და სალაპარაკო თემა აღარც შეგვიცვლია.

- რომელია შენი საყვარელი კერძი, პაპა?

- ყველა, ყველა, შვილო. დიდი ცოდვაა, რომ ვთქვათ, ეს საჭმელი კარგია, ის - ცუდი!

- რატომ? არჩევა არ შეგვიძლია?

- არა, არ შეგვიძლია.

- კი მაგრამ, რატომ?

- იმიტომ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც შიმშილობენ.

ნირწამხდარი გავჩუმდი. ასეთი ღრმა თანალმობის გრძნობა არასოდეს დამუფლებია.

მონასტრის ზარის ხმა ქალის სიცილივით მხიარულად და კეკლუცად გაისმა.

ბერიკაცმა პირჯვარი გადაისახა:

- შეგვეწიე სფამენის მადლმოსილო ღვთისმშობელო! - ჩაიჩურჩულა. - ყელი გამოსჭრეს და ახლაც სისხლი სდის. მეკობრეთა ხანაში...

და მოხუცმა ღვთისმშობლის ვნებების მოყოლა დაიწყო, თითქოს ჩვეულებრივი ქალი, განანამები ლტოლვილი ყოფილიყო, რომელიც ურჯულო აგარეველებმა ყელში დაჭრეს და აღმოსავლეთიდან შვილთან ერთად ტირილით მოვიდა.

- წელიწადში ერთხელ ნამდვილი თბილი სისხლი სდის ჭრილობიდან. მახსოვს, ერთხელ - მაშინ პირტიტველა ჭაბუკი ვიყავი - მის დღესასწაულზე მეზობელი სოფლებიდან ჩამოვედით, რათა მის წინაშე მუხლი მოგვეყარა. თხუთმეტი აგვისტო იყო. კაცები დასაძინებლად ეზოში მივწექით, ქალები შიგნით დანვნენ. ძილში - დიდი ხარ, უფალო! - ღვთისმშობელი ვიხილე, ყვიროდა. ზეზე წამოვვარდი, მის ხატთან მივირბინე, მისი ყელისკენ გავიწოდე ხელი და რას ვხედავ? თითები გამისისხლიანდა...

მოხუცმა პირჯვარი გადაიწერა, მიბრუნდა და ქალებს გახედა, შეეცოდა ისინი:

- ჰეი, ქალებო, - დაუძახა, - აბა, ყოჩაღად, სადაცაა, მივალთ!

ხმას დაუნია:

- ჯერ კიდევ დაუქორწინებელი ვიყავი, პირქვე დავემხე, თაყვანი ვეცი და გადაწყვეტილება მივიღე, ეს ცრუ სოფელი მიმეტოვებინა და ბერად შევმდგარიყავი...

გაიცინა.

- რატომ იცინი, პაპა?

- როგორ არ გავიცინო, შვილო? როცა იმავე დღეს, დღესასწაულზე, სატანამ ქალივით ჩაიცვა და წინ დამიდგა. ეს ქალბატონი იყო! - და ისე, რომ არ შემობრუნებულა, დედაბერზე მიმითითა, რომელიც უკან უხმოდ მოგვყვებოდა.

- ასე კი ნუ უყურებ, - მითხრა, - ახლა მისი შეხება არ მოგინდება, მაშინ კი თევზივით მოსხმარტალე იყო. გაიტანოფრიდი(გაიტანოფრიდი - აბრეშუმისწარბა.) ერქვა სახელად. ახლა - ეჰ, ბეჩავო წუთისოფელო! - სადღაა მისი წარბები? ეშმაკმა წაიღო!

ჩვენ უკან დედაბერმა დაბმული ავი ძაღლივით დაიღრინა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

- აგერ, მონასტერიც! - თქვა მოხუცმა და ხელით მანიშნა.

ზღვის პირას ორ დიდ კლდეს შორის ჩაჭედილი პატარა ქათქათა მონასტერი ანათებდა. ეკლესიის თავზე კირით ახლად შეთეთრებული მრგვალი, პატარა გუმბათი ქალის ძუძუს ჰგავდა. ეკლესიის გარშემო ხუთი თუ ექვსი ლურჯკარიანი სენაკი იდგა. ეზოში სამი დიდი კვიპაროსი კელაპტარივით ასვეტილიყო, ღობის გასწვრივ კი დაბერილი კვირტებით საგსე ოპუნციებს დაინახავდით.

ნაბიჯს ავეჩქარეთ. საკურთხევლის ღია ფანჯრიდან მელოდიური გალობა გაისმა, მლაშე ჰაერს გუნდრუკის სუნი აუვიდა. ჭიშკარი ფართოდ იყო გაღებული, განკრიალებული ეზო-ყურე სანაპიროს თეთრი და შავი ქვებით მოეკირწყლათ. მარჯვნივ და მარცხნივ, კედლის გასწვრივ, პიტნის, მაიორანისა და რეჰანის ქოთნები ჩაემწკრივებინათ.

სიმშვიდე გამეფებულიყო. ჩამავალმა მზემ კირით შეთეთრებული კედლები შეავარდისფრა.

თბილი, ნახევრად განათებული პატარა ეკლესია სანთლის სურნელს აფრქვევდა. მამაკაცები და ქალები გუნდრუკის კვამლში იდგნენ, შავ შესამოსელში გამოხვეული ხუთი-ექვსი მონაზონი ტკბილი წვრილი ხმით გალობდა: “უფალო უფლებათაო”. მეტანიებს ასრულებდნენ და შესამოსლის შრიალი ფრთების ფართხუნივით ისმოდა.

წლებია, “დაუკდომელი” არ მომისმენია. პირველი სიჭაბუკის აჯანყების შემდეგ მიზლითა და სიბრაზით ჩავევლიდი ხოლმე ეკლესიას. თუმცა დროთა განმავლობაში გული მომიბრუნდა. ხანდახან მთავარ დღესასწაულებზე ეკლესიაში მივდიოდი, ქრისტეშობისა და აღდგომის ღამისთვის ლოცვებს ვესწრებოდი და მიხაროდა, რომ ჩემში დავანებული ბავშვი კვლავ ცოცხლდებოდა. წარმართებს სწამდათ, რომ თუ მუსიკალურ საკრავს რელიგიური რიტუალებისთვის არ გამოიყენებდი, ღვთაებრივ ძალას დაკარგავდა. სარწმუნოება მხოლოდ ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებდა.

ერთ კუთხეში დავდექი, პრიალა სტასიდის(სტასიდი - საეკლესიო სკამი.) მივეყრდენი, რომელიც მორწმუნეთა ხელების ხშირი შეხებისგან სპილოს ძვალივით გაპრიალებულიყო. გარდასული დროის ბიზანტიური გალობა მესმოდა:

“გიხაროდენ, ადამიანის აზროვნებისთვის მიუღწევლო სიმალლეგ,

გიხაროდენ, ანგელოზთა თვალთათვისაც კი

მიუწვდომელო სიღრმეო...

გიხაროდენ, სძალო უსძლოო...”

მონაზვნები პირქვე ემხობოდნენ, მათი შესამოსელი კვლავ ფრთხილად ფართხუნობდა.

წამები ფრთიანი ანგელოზებით მიქროდნენ, რომლებსაც გუნდრუკის სურნელი ასდით, ხელში გაუშლელი შრომანები უჭირავთ და მარიამის მშვენებას უგალობენ. მზე ჩავიდა, ხავერდოვანი ლურჯი მწუხრი ჩამოწვა. არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი გარეთ, ეზოში, ყველაზე მაღალი კვიპაროსის ძირას, ბებერ წინამძღვარსა და ორ ახალგაზრდა მონაზონთან ერთად. მურაბა და ანკარა წყალი მოიტანეს, მშვიდი მასლაათი გამიბეს...

ვლაპარაკობდით ღვთისმშობლის სასწაულებზე, მურა ნახშირზე, ქათმებზე, რომლებიც ახლა, გაზაფხულზე, წინილების გამოჩევას იწყებენ, დედა ევდოქსიაზე, რომელიც ეპილევსიის შეტევას ეკლესიის ფილებზე ეცემა, თევზით ფართხალებს, ქაფი გადმოსდის, მკრეხელობს და ტანსაცმელს იხევს...

- ოცდათხუთმეტი წლისაა, - დაუმატა ხვნეშით ილუმენიამ, - წყეული ასაკია, რთული დრო. ღვთისმშობლის მაღლი შეეწევა და გამოტანმრთელდება. ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ განიკურნება...

- ათი-თხუთმეტი წელი... - ჩუმად ამოვიოხრე.

- რა არის ათი ან თხუთმეტი წელი, - მკაცრად მითხრა ილუმენიამ, - მარადიულობაზე არ ფიქრობ?

სიტყვა არ დამიძრავს. ვიცოდი, რომ ყოველი ჩავლილი წამი მარადიულობას უერთდება. ილუმენიას თეთრ, ფუმფულა, სურნელოვან ხელზე ვემთხვიე და წამოვედი.

მოსაღამოებულები. ორი-სამი ყორანი სწრაფად უბრუნდებოდა თავის ბუდეს, ფუღუროებიდან ბუები საკვების საშოვნელად გამოსულიყვნენ, მიწიდან ლოკოკინები, მუხლუხები, მატლები, თავგები გამოდიოდნენ, რათა ბუების საკბილო გამხდარიყვნენ.

იღუმალი გველი მეხვევა, კუდს პირში იქცევს. მიწაც ასევე შობს და ჭამს თავის შვილებს, ისევე შობს და ისევე ჭამს. სრულყოფილი წრეა.

ირგვლივ თვალი მოვაგლე. სიბნელე ჩამონოლილიყო, მარტ-

ოობა გამეფებულიყო. უკანასკნელი სოფლელიც წასულიყო, ვერაგინ მხედავდა. ფეხზე გავიხადე, ზღვაში ჩავყავი და ქვიშაზე გავგორდი. მომინდა, ქვებს, წყალს, ჰაერს შიშველი სხეულით შევხებოდი. წინამძღვრის ნათქვამმა “მარადისობამ” გამახელა, იმ ქამანდივით ჩამომეცვა, რომლითაც გაუხედნავ ცხენებს იჭერენ. წასასვლელად წამოვვარდი, რომ შიშველი შევხებოდი მიწასა და ზღვას. დანამდვილებით უნდა მეგრძნო, რომ ეს საყვარელი ეფემერა არსებობს.

“შენ არსებობ, მხოლოდ შენ, - ვყვიროდი გულში, - ო, ქვაო და მიწავ, წყალო და ჰაერო! მეც, ო, მიწავ, შენი ნაბოლარა ვაჟი ვარ, შენს ძუძუს ვარ ჩაფრენილი, ვწოვ და არ ვეშვები. შენგან მიტოვებული, მხოლოდ ნუთიერად ვცხოვრობ, მაგრამ ნუთიც ძუძუდ იქცევა და ვწოვ”.

ვგრძნობდი, რომ შეიძლებოდა, ამ კაციჭამია სიტყვა “მარადისობაში” ჩაგჩეხილიყავი, რომელსაც ადრე - ჯერ კიდევ შარშან - ასეთი მონდომებით წარმოვთქვამდი და ხელგაშლილი თვალებს ვხუჭავდი, რომ მასში თავით გადავშვებულებიყავი.

პირველ კლასში ანბანის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში ერთი ზღაპარი გვქონდა წასაკითხად: ჭაში ჩავარდნილმა ბავშვმა იქ ერთ უმშვენიერეს ქალაქს მიაგნო. მახსოვს დაბურული ბალები, თაფლი, ბრინჯის ფაფა, სათამაშოები... ვმარცვლავდი და ყოველი მარცვლის წარმოთქმისას სულ უფრო ღრმად ვეფლობოდი ზღაპარში. ერთხელ, შუადღისას, სკოლიდან სირბილით მივედი სახლში, ვაზის ქვეშ ჩვენი ეზოს ჭაბე დავიხარე და წყლის შავ პრიალა სარკეს მოხიბლული ჩავაშტერდი. მომეჩვენა, რომ მშვენიერი ქალაქი, სახლები, ქუჩები, ბავშვები და მტევნებით დახუნძლული ვაზი დავინახე. თავი ვედარ შევიკავე: გადავეკიდე, ხელებს ვიშვერდი და ფეხებს მიწას ვურტყამდი, რათა ძალა დამეტანებინა და ჩავვარდნილიყავი. დედაჩემმა თვალი მომკრა, ყვირილით გამოიქცა და ბეწვზე მომისწრო - ხელი წელზე მომხვია...

ბავშვი რომ ვიყავი, ჭაში ჩავარდნის საფრთხის წინაშე ვიდექი; რომ გავიზარდე, სიტყვა “მარადისობაში” ჩავარდნის საშიშროების წინაშე დავდექი; და კიდევ რამდენიმე სხვა სიტყვაში: “სიყვარული”, “იმედი”, “სამშობლო”, “ღმერთი”. ყოველ წელს მეჩვენებოდა, რომ

გადავრჩი და გზას განვაგრძობდი. თუმცა არა, მხოლოდ სიტყვას ვიცვლიდი და ხსნას ამას ვუწოდებდი. აგერ უკვე ორი წელია, სიტყვა “ბუდაბე” ვარ ჩამოკიდებული.

მაგრამ ზორბასი მყავდეს კარგად. ეს უკანასკნელი ჭაა, უკანასკნელი სიტყვა და უკვე სამუდამოდ გადავრჩები. სამუდამოდ? ყველა გამუდმებით ასე ამბობს.

წამოვხტი. მთელი არსებით ვგრძნობდი ბედნიერებას. გავიხადე, ზღვაში ჩავხტი, ტალღებს ვეთამაშებოდი. დაღლილი ამოვედი, ღამის ნიაგზე გავშრი და მსუბუქი ნაბიჯით გავუყევი გზას. მომეჩვენა, რომ დიდ განსაცდელს გადავურჩი, რომ კვლავ ჩავჭიდებოდი დედის ძუძუს და ვწოვდი.

XVI

მურა ნახშირის სანაპიროს რომ გავუსწორდი, უცებ შევდექი: ბარაკში სინათლე დავინახე. “ზორბასი ჩამოსულა!” - გავიფიქრე გახარებულმა.

გაქცევა მინდოდა, მაგრამ თავი შევიკავე. “სიხარული უნდა დავმალო, - ვთქვი, გაბრაზებულად უნდა მოვაჩვენო თავი და ვეჩხუბო. სასწრაფო საქმეზე გავაგზავნე, მან კი ფული გაანიავა, კაბარეს მომღერლებს გადაეკიდა, თორმეტი დღით დაიგვიანა. გაბრაზებულად უნდა მოვაჩვენო თავი, უნდა...”

ნელი ნაბიჯით დავიძარი, რათა გასაბრაზებლად დრო მქონოდა. წარბებს ვჭმუხნიდი, მუშტებს ვკრავდი, მაგრამ ვერ გავბრაზდი. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, სიხარული მით უფრო მემატებოდა.

ფეხის წვერებზე მივუახლოვდი, განათებულ სარკმელში შევიხედე. ზორბასი ფეხმორთხმით იჯდა, სპირტქურა აენტო და ყავას ადუღებდა. გულში სითბო ჩამედვარა. შევძახე:

- ზორბას!

კარი მყისვე გაიღო, ფეხშიშველა ზორბასი უპერანგოდ გამოვარდა გარეთ, სიბნელეში კისერი წაიგრძელა, თვალი მომკრა, ხელები გაშალა, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, ხელები ჩამოყარა.

- კეთილი იყოს შენი მობრძანება, ბატონო! - ამოილულულა და წინ დაძმარებული სახით დამიდგა.

შევეცადე, სერიოზული ხმით მეთქვა:

- კეთილი იყოს შენი მობრძანება! - მაგრამ სიცილი ვერ შევიკავე. - არ გამეკარო, სურნელოვანი საპნის სუნი აგდის.

- რომ იცოდე, როგორ დავიბანე, ბატონო, - ჩაიჩურჩულა. - როგორ გავიხეხე, სანამ გამოგეცხადებოდი, ეშმაკის ტყავი დავიურვე!

მთელი საათი ვიბანდი. მაგრამ ეს წყეული სურნელი... რას იზამ, პირველად ხომ არ არის? უნდა თუ არ უნდა, გაივლის.

- შიგნით შევიდეთ, - ვუთხარი.

ვგრძნობდი, რომ მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, სიცილს ვეღარ ვიკავებდი. შევედი, ბარაკში ფერ-უმარილის, საპნის, ქალის სურნელი იდგა.

- ეს რაღა ოხრობაა, არ მეტყვი? - შევძახე, როცა სკივრზე ჩამწკრივებული ჩანთები, სურნელოვანი საპნები, ქალის წინდები, წითელი ქოლგა და ორი ბოთლი სუნამო დავინახე.

- საჩუქრები... - ჩაიჩურჩულა თავდახრილმა მორბასმა.

- საჩუქრები? - ვკითხე და ისევ შევეცადე, გავბაზებულიყავი. - საჩუქრები?

- საჩუქრები, ბატონო, ნუ ბრაზობ, საცოდავი ბუბულინასთვისაა... აღდგომა ახლოვდება, ისიც ადამიანია.

სიცილი შევიკავე.

- ყველაზე მნიშვნელოვანი არ მოგიტანია... - ვუთხარი.

- რა?

- გვირგვინები, - და ვუამბე, რაც შეყვარებულ გორგონას შევეუბნებე.

მორბასმა თავი მოიქექა, მცირე ხნით ჩაფიქრდა.

- კარგად არ მოქცეულხარ, ბატონო, - თქვა ბოლოს, - კარგად არ მოქცეულხარ, მაპატიე. ასეთი ხუმრობა, ბატონო... ქალი სუსტი ქმნილებაა, სათუთი, რამდენჯერ უნდა გითხრა? ფაიფურის ვაზაა. დიდი სიფრთხილეა საჭირო, ბატონო.

შემრცხვა. მეც ვინანე. მაგრამ ძალიან გვიან იყო. საუბრის თემა

შევცვალე.

- ბაგირი? - ვკითხე. - სამუშაო იარაღები?

- ყველაფერი, ყველაფერი მოვიტანე, მშვიდად იყავი! არც მწვადი დაწვნი და არც შამფური. საბაგირო, ლოლა, ბუბულინა - ყველაფერი თავის ადგილზეა, ბატონო!

ყავადანი ცეცხლიდან გადმოიღო, ფინჯანი ამივსო, ჩამოტანილი ქუჩუთიანი ბლითები და თაფლიანი ჰალვა მომანოდა. იცოდა, რომ ძალიან მიყვარდა.

- ერთი დიდი ყუთი ჰალვა საჩუქრად ჩამოგიტანე! - თბილად მითხრა. - არ დამვიწყებხარ. აგერ, თუთიყუშისთვისაც წამოვიღე ერთი ტომსიკა არაბული ფსტა. არავინ გამომრჩენია. საღ გონებაზე ვარ-მეთქი, გეუბნები.

ბლითები და ჰალვა შევჭამე, ყავა დავლიე. ფეხმორთხმული ვიჭექი ძირს. ზორბასმაც დალია ყავა, გააბოლა, თან თვალს არ მაცილებდა. მისი მზერა გველივით მნუსხავდა.

- გადაჭერი პრობლემა, რომელიც განუხებდა, ბებერო ცოდვილო? - ვკითხე რბილად.

- რომელი პრობლემა, ბატონო?

- არის თუ არა ქალი ადამიანი.

- უუფ! ამან ჩაიარა! - მიპასუხა ზორბასმა და ხელი ჩაიქნია. - ისიც ადამიანია, ჩვენსავით ადამიანი, უარესიც კი! როგორც კი შენს ქისას თვალს მოჰკრავს, თავბრუ ესხმის, მოგწებება, თავისუფლებას კარგავს და უხარია, რომ კარგავს, რადგან მას ფულით სავსე ქისაში ცვლის. მაგრამ მალე... ჭირსაც წაუღია მაგათი თავი, ბატონო!

წამოდგა და ნამწვი სარკმლიდან მოისროლა.

- ახლა კაცურად ვილაპარაკოთ, - მითხრა. - ვნების კვირა ახლოვდება, ბაგირი მოვიტანე. დროა, მონასტერში ავიდეთ, იღუმენი

ვნახოთ, ტყის შესახებ საბუთებს ხელი მოგაწეროთ... სანამ საბაგიროს ნახავენ და რამეს მოიგონებენ, გაიგე? დრო მიდის, ბატონო, სიბარმაცის დრო არ არის. საქმეს უნდა მივხედოთ, რომ ხომალდები მოვიდნენ, დაიტვირთონ და დანახარჯები დაფაროთ... ეს კასტროს მოგზაურობა ძვირი დაჯდა. იცი, ეშმაკმა...

დადუმდა. შემეცოდა. ბავშვივით იყო, რომელმაც ონავრობა ჩაიღინა, ახლა კი არ იცის, გაფუჭებული როგორ გამოასწოროს და გული უფანცქალებს.

“გრცხვენოდეს, - ვსაყვედურობდი თავს, - განა შეიძლება, ასეთი ადამიანი იქამდე მიიყვანო, რომ შიშისაგან კანკალებდეს? გამოფხიზლდი, სხვა ზორბასს ვერასოდეს იპოვი. მიდი, ღრუბელი აიღე და წაშალე!”

- ზორბას, - დავიყვირე უცებ, - ეშმაკს შეეშვი! რაც იყო, იყო. სანთური აიღე!

ხელები გაშალა, თითქოს ისევ ჩემი ჩახუტება უნდოდა, მაგრამ მაშინვე ჩამოუშვა, ერთი ნახტომით კედელთან გაჩნდა და სანთურის მისწვდა. ლამპრის შუქს რომ მიუახლოვდა, მისი თმა შევნიშნე: ყარყუმივით შავი ჰქონდა.

- ჰეი, მკრეხელო, - დავუძახე, - თმას რა უქენი?

ზორბასს გაეცინა.

- შევიღებე, ბატონო, შევიღებე...

- რატომ?

- თავმოყვარეობის გამო. ერთ დღეს ლოლასთან ხელჩაკიდებული მივდიოდი. ვიღაც ციდა ნაბიჭვარი აგვედევნა. “ჰეი, ბებერო, - დამიძახა წყეულმა, - ჰეი, ბებერო, შვილიშვილი სად მიგყავს?”

საცოდავმა ლოლამ დაირცხვინა, მეც შემრცხვა. ამ დღეში სხვა დროსაც რომ არ აღმოჩენილიყო, იმავე საღამოს დალაქთან წავედი და შევიღებე.

გამეცინა. ზორბასმა სერიოზულად შემომხედა.

- შენ ეს სახუმაროდ გეჩვენება, ბატონო? მაგრამ ერთი მომისმინე, რა იდუმალეებითაა სავსე ადამიანი. შედეგის დღიდან სხვა კაცად ვიქეცი. იცი, თავადაც დავიჯერე, რომ შავი თმა მაქვს. ადამიანი ადვილად ივიწყებს იმას, რაც ხელს არ აძლევს. ღმერთს ვფიცავ, ძალა მომემატა. ამას ლოლაც მიხვდა. თირკმლის ძლიერი ტკივილი რომ მქონდა - გახსოვს? - ისიც გამიქრა! ვიცი, არ გჯერა. ამაზე შენს წიგნებში არ წერენ...

ირონიულად გაიცინა, მაგრამ მაშინვე ინანა:

- მაპატიე, - მითხრა. - ერთადერთი წიგნი, რომელიც ცხოვრებაში წამიკითხავს, "ბერტოლდია" და დიდი არაფერი მოუცია.

სანთური აიღო და ფრთხილად გახადა.

- გარეთ გავიდეთ, - მითხრა. - სანთური ოთხ კედელში ვერ ეტევა. მხეცია, სიხალვათე სჭირდება.

გარეთ გავედით. ვარსკვლავები კიაფობდა. ირმის ნახტომი მთელ ცაზე გადაჭიმულიყო. ზღვა ტორტმანებდა.

კენჭებზე ფეხი მოვირთხით, ტალღები ფეხისგულებს გვილოკავდნენ.

- სიღარიბეს კეთილდღეობა მოჰყვება, - თქვა ზორბასმა. - აბა რა! გგონია, სიღარიბე დაგვამარცხებს? მოდი აქ, სანთური!

- რომელიმე მაკედონიური მელოდია დაუკარი, შენი სამშობლოსი, ზორბას! - ვუთხარი.

- კრეტულს დავეკრავ, შენი მშობლიური მხარისას! - მითხრა ზორბასმა. - ერთ შაირს გიმღერებ, კასტროში მასწავლეს. იმ დღიდან, რაც ის ვისწავლე, ჩემი ცხოვრება შეიცვალა.

ცოტა დაფიქრდა:

- არა, არ შეცვლილა, - თქვა, - მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მართალი ვიყავი.

გახეშეშებული თითები სანთურის შეახო, ყელი მოიღერა. მისი ველური, ჩახლენილი, სევდიანი ხმა ჰაერში აიჭრა:

შეუდექი საქმეს, არ დაბოგო თავი,

(არა გძლიოს შიშმა უკეთესის, ავის)

მსხვერპლად სიჭაბუკეც, თუკი გთხოვოს, დათმე,

ასე გამოგივა დიდებული საქმე!

დარდი გაიფანტა, წვრილმანი შფოთი ჩამომცილდა, გული საგულეს ჩამიდგა. ლოლა, მურა ნახშირი, საბაგირო, “მარადისობა”, წვრილი თუ დიდი საბრუნავები - ყველაფერი ცისფერ კვამლად იქცა, გაიფანტა და დარჩა მხოლოდ ერთი ფოლადის ჩიტი - ადამიანის სული, რომელიც გალობდა.

- ალალი იყოს, ზორბას! - დაგუძახე, როცა ამაყი მელოდია დასრულდა. - ალალი იყოს შენზე ყველაფერი: კაბარეს მომღერალი, შედებილი თმა, შეჭმული ფული, ყველაფერი, ყველაფერი! კიდევ იმღერე!

გამხდარი, დანაოჭებული ყელი მოიღერა:

რწმენა გქონდეს და არ ინაღვლო საქმის შედეგზე,

არა ღირს დარდად, გაკეთდება თუ გაცუდდება!

ათიოდე მუშამ, რომლებსაც ნახშირის საბადოსთან ეძინათ, შაირები გაიგონეს, წამოდგნენ, ფეხაკრეფით დაეშვნენ და შორიახლოს ჩაცუცქდნენ. თავიანთ საყვარელ მელოდიებს უსმენდნენ და ერთი სული ჰქონდათ, ეცეკვათ.

მოულოდნელად თავი ველარ შეიკავეს და სიბნელიდან, როგორც იყვნენ, ნახევრად შიშვლები, თმაგაბურძგნილები, შარვლების

ამარა გამოცვივდნენ, ზორბასი სანთურით შუაში ჩაიყენეს და მსხვილ კენჭებზე ველურ ფერხულში ჩაებნენ.

მე კი, მონუსხული, მდუმარედ ვუცქერდი და ვფიქრობდი:

“აი, ნამდვილი ძარღვი, რომელსაც ვეძებდი, მეტი რაღა მინდა”.

მეორე დღეს, დილაუთენია, გალერეები ზორბასის წერაქვს ბანს აძლევდნენ. მუშები გაშმაგებით მუშაობდნენ, მხოლოდ ზორბასს შეეძლო მათი ასე აყოლიება. მასთან ერთად სამუშაო ღვინოდ, სიმღერად, სიყვარულად გარდაისახებოდა და ათრობდათ. მის ხელებში სამყარო, ქვები, ნახშირი, ხეები ცოცხლდებოდა, მუშები ენერგიულად მუშაობდნენ, გალერეებში, აცეტილინის ლამპის თეთრ შუქში ნამდვილი ბრძოლა მიმდინარეობდა. ზორბასი წინ მიიწევდა, ჭიქურ იბრძოდა. ყოველ გალერეასა და ყოველ შრეს სახელს არქმევდა, უსახურ ძალებს სახეს აძლევდა და ისინი ხელიდან ვეღარ უსხლტებოდნენ.

“თუ ვიცი, - ამბობდა, - რომ ეს გალერეა “კანავაროა” (ასე მონათლა პირველი გალერეა), სად წამივა? სახელით ვიცნობ. ცუდს ვერაფერს გამიბედავს. ვერც “ილუმენია”, ვერც “ფეხმოქცეული”, ვერც “ქვეშაფსია”. გეუბნები, სათითაოდ, სახელებით ვიცნობ-მეთქი”.

დღეს გალერეაში ისე შევძვერი, ჩემთვის თვალი არ მოუკრავს.

- ზევით! ზევით! - უყვიროდა მუშებს. - შეუტყე, ბიჭებო, მთა და ვიპყროთ! ადამიანები ვართ, დიდი მხეცები, ღმერთი გვიყურებს და შიში იტანს. თქვენ - კრეტელები, მე - მაკედონიელი ამ მთას მოგინელებთ, ის ვერ მოგვინელებს! ბიჭო, თურქეთს ვუჩვენეთ სეირი და ამ გორას შევუშინდებით? წინ!

ვიღაც სირბილით მიუახლოვდა ზორბასს. აცეტილინის შუქზე მიმითოსის ვიწრო სახე გავარჩიე.

- ზორბას, - დაუძახა მოჩლექილი ენით, - ზორბას...

მობრუნდა, მიმითოსი რომ დაინახა, მიხვდა და ხელი ასწია:

- წადი! მოუსვი აქედან!

- მადამისგან მოვდივარ... - დაიწყო სულელმა.

- წადი-მეთქი, გეუბნები! არ გვცალია!

მიმითოსი გაქრა. გაღიზიანებულმა ზორბასმა გადააფურთხა.

- დღე სამუშაოსთვისაა, - თქვა. - დღე მამაკაცია. ღამე გართობისთვისაა, ღამე ქალია. ერთმანეთში ნუ ავურევთ!

მეც ავყევი.

- ბავშვი, - ვთქვი, - შუადღეა. დროა, მუშაობა დაასრულოთ და ჭამას შევედგეთ.

ზორბასი მობრუნდა, დამინახა და სახე მოექუფრა:

- თუ შეიძლება, ბატონო, შეგვეშვი. წადი და თავად ისადილე. თორმეტი დღე დავკარგეთ, ბარალი უნდა ავინაზღაუროთ. გემრიელად მიირთვი!

გალერეიდან გამოვედი, სანაპიროზე ჩავედი და წიგნი გადავშალე, რომელიც ხელში მეჭირა. მშოიდა, მაგრამ შიმშილი დამავიწყდა. “ფიქრიც მაღაროა, - გავიფიქრე, - წინ!” და ტვინის დიდ გალერეებში შევიჭერი.

ამაღელვებელი წიგნი ტიბეტის თოვლით დაფარული მთების, იდუმალი მონასტრების, მღუმარე ყვითელშესამოსლიანი ბერების შესახებ მიაძობდა, რომლებიც თავიანთი ნებისყოფის დაძაბვით ეთერს აიძულებენ, სასურველი ფორმა მიიღოს.

მაღალი მწვერვალები, სულებით სავსე ჰაერი. იმ სიმაღლემდე სამყაროს ამოა ყაყანი ვერ აღწევს. დიდ ასკეტს მოწაფეები, თექვსმეტი-თვრამეტი წლის ჭაბუკები, შუალამისას მთის ერთ გაყინულ ტბასთან მიჰყავს. იხდიან, ყინულს ამტვრევენ, ტანსაცმელს გაყინულ წყალში ასველებენ, მერე იცვამენ და სხეულზე იშრობენ. ისევ ასველებენ და აშრობენ. ამას შვიდჯერ იმეორებენ. მერე სალოცავად

მონასტერში ბრუნდებიან.

მწვერვალზე ადიან, ხუთი-ექვსი ათასი მეტრის სიმაღლეზე. წელზევით შიშვლები ჩუმად სხედან, ღრმად, რიტმულად სუნთქავენ და არ სცივათ. თასით გაყინული წყალი უჭირავთ და დაჰყურებენ, გონებას იკრებენ, გაყინულ წყალს თავიანთ ენერგიას გადასცემენ, წყალი დუღდება და ჩაის იმზადებენ.

დიდი ასკეტი მოწაფეებს ირგვლივ იკრებს, მოძღვრავს:

“ვაი მას, ვისაც თავის შიგნით არ აქვს ბედნიერების წყარო!

ვაი მას, ვისაც სურს, სხვებს მოაწონოს თავი!

ვაი მას, ვინც ვერ გრძნობს, რომ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება ერთია!”

დაღამდა. ველარ ვხედავდი, კითხვა რომ გამეგრძელებინა. წიგნი დავხურე და ზღვას გავხედე. “უნდა გადავურჩე ყველა კომპარს: ბუდებს, ღმერთებს, სამშობლოებს, იდეებს... - ვფიქრობდი. - ვაი მას, ვინც ყოველივე ამას ვერ გადაურჩება!”

მოულოდნელად ზღვა გაშავდა, ახალი მთვარე დასავლეთით ჩავიდა. სადღაც შორიდან, ბალებიდან, ძაღლების გულისგამაწვრილებელი ყმუილი ისმოდა და მთელ ხეობას ავსებდა.

ბორბასი გალერეიდან გამურული გამოვიდა, პერანგი ძონძივით ეკიდა.

გვერდით ჩამიცუცქდა.

- დღევანდელმა დღემ კარგად ჩაიარა, - თქვა კმაყოფილმა, - ვიმუშავეთ.

ბორბასის სიტყვები გავიგონე, მაგრამ ვერ მივხვდი. გონებით ჭერაც შორეულ იდუმალ ჭიუხებში დავქროდი.

- რაზე ფიქრობ, ბატონო? შენი გონება სხვაგან ქრის.

გონება მოვიკრიბე, მივუბრუნდი და თავი დავექნიე.

- ზორბას, - ვუპასუხე, - შენ ფიქრობ, რომ საშიში და საზარელი სინდბადი ხარ, რომელმაც სამყარო მოიარე და ყოყლოჩინობ. მაგრამ არაფერი გინახავს, არაფერი, უბედურო! არც მე. სამყარო, ჩვენ რომ გვგონია, იმაზე გაცილებით დიდია. თითქოს გამუდმებით ვმოგზაურობთ, სინამდვილეში კი ჩვენი სახლის ზღურბლისთვის არ გადაგვიბიჭვბია.

ზორბასმა ტუჩები მოკუმა, არაფერი თქვა. მხოლოდ ერთგული ძაღლივით დაიდრინა, რომელსაც სცემენ.

- არსებობს მთები, - განვაგრძე, - ვეებერთელა მთები, მონასტრებით სავსე. იქ ყვითელშესამოსლიანი ბერები ცხოვრობენ, ფეხმორთხმულები სხედან ერთი თვე, ორი თვე, ექვსი თვე და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ. ერთზე, გესმის? და არა ორზე. ერთზე! ჩვენსავით არ ფიქრობენ ქალსა და მურა ნახშირზე, წიგნსა და მურა ნახშირზე. ზორბას, ერთადერთ საგანზე არიან მობილიზებული და სასწაულებს სჩადიან. სასწაულები სწორედ ასე ხდება. ხომ ნახე, ზორბას, როცა გამადიდებელი შუშით მზის სხივებს მხოლოდ ერთ წერტილში აგროვებ, ცოტა ხანში ამ ადგილს ცეცხლი ეკიდება. რატომ? იმიტომ, რომ მზის ძალა არ გაიფანტა, მთლიანად იქ მოიყარა თავი. ასევეა ადამიანის გონებაც; სასწაულებს სჩადი, თუ გონებას ერთადერთი საგნისკენ მიმართავ. მიხვდი, ზორბას?

ზორბასს სუნთქვა შეჰკვროდა. წამოიწია, თითქოს წასვლა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა.

- განაგრძე! - დაიდრინა.

მაგრამ მაშინვე ფეხზე წამოვარდა.

- ჩუმაღ! ჩუმაღ! - დაიყვირა. - ამას რას მეუბნები, ბატონო? რატომ მიწამლავ გულს? კარგად ვიყავი აქ, რატომ მკრავ ხელს? მშობიდა და ღმერთმა თუ ეშმაკმა (წყეულიმც ვიყო, თუ ვარჩევდე) ძვალი გადმომიგდო და ვლოკავდი. კუდს ვაქიცინებდი, მადლობას ვუხდიდი, ახლა კი...

ქვებს ფეხი დაჰკრა, ზურგი შემაქცია და ბარაკისკენ დაიძრა, მაგრამ შინაგანად ჯერ კიდევ დულდა. შეჩერდა.

- უუფ! გაუმარჯოს ძვალს, რომელიც ღმერთმა-ეშმაკმა გადმომიგდო! - დაიღრინა. - კაბარეს ბებერი მომღერალი!

მუჭით კენჭები მოხვეტა და ზღვაში ისროლა.

- მაგრამ ის ვინ არის, - დაიყვირა, - ძვლებს რომ გვიყრის?

ცოტა ხანს მელოდა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, აღელდა.

- ხმას არ იღებ, ბატონო? თუ იცი, მითხარი, რომ მეც ვიცოდე მისი სახელი, მშვიდად იყავი, ყველაფერს მოვაგვარებ. მაგრამ ასე, ალალებდად, რას ვეცე? ცხვირ-პირს დავიმტვრევ.

- მშია, - ვუთხარი, - სადილი მოამზადე, ჯერ ვჭამოთ!

- ერთი საღამო უჭმელად ვერ გაგვიძლია, ბატონო? ბიძაჩემი ბერი იყო. მთელი კვირა წყალს სვამდა და მარილს ჭამდა, კვირაობით და დიდ დღესასწაულებზე ცოტაოდენ ქათოსაც უმატებდა. ასოცი წელი იცოცხლა.

- ასოცი წელი იცოცხლა, ზორბას, რადგან სწამდა. თავისი ღმერთი იპოვა, სახედარი დაბმული ჰყავდა, არაფერზე დარდობდა. მაგრამ ჩვენ არ გყავს ღმერთი, რომელიც გამოგვკვებავს. ამიტომაც დაანთე ცეცხლი, თევზი გვაქვს, ცხელი წვნიანი გააკეთე, სქელი, ბლომად ხახვითა და წინაკით, ჩვენ რომ მოგვწონს, ისეთი, მერე კი ვნახოთ.

- რა ვნახოთ? - მკითხა გადარეულმა ზორბასმა. - როცა გავძლებით, დაგვაგინწყდება.

- სწორედ ეგ მინდა, ამის გამო აქვს ღირებულება საჭმელს... აბა, ჰე, თევზის წვნიანი მოამზადე, ზორბას, თორემ გასკდა თავი!

მაგრამ ზორბასი გაუნძრევლად იდგა და მომჩერებოდა.

- მომისმინე, რა უნდა გითხრა, - თქვა, - ვიცი, რაც გინდა. აი, ახლა, რომ მელაპარაკებოდი, გონება გამინათდა, მიგხვდი!

- რა მინდა, ზორბას? - ვკითხე სიცილით.

- მონასტრის აშენება გინდა, სადაც ბერების ნაცვლად შენნაირ სწავლულებს მოათავსებ, რომ დღედაღამ იკითხონ და წერონ. მერე კი, ფრესკებზე დახატული წმინდანების მსგავსად, წარწერიან ლენტებს გამოიღებენ პირიდან. აბა, გამოვიცანი?

დაღონებულმა თავი დაგხარე. ძველი ჭაბუკური ოცნებები, დიდი, ახლა უკვე დაგლეჯილი ფრთები, გულუბრყვილობა, კეთილშობილება, ამაღლებული სურვილები... გვინდოდა, სულიერი კომუნა დაგვეარსებინა, რომ იქ ათიოდე ამხანაგი გამოგვეტილიყავით - მუსიკოსები, მხატვრები, პოეტები... მთელი დღე გვემუშავა, მხოლოდ საღამოს შევხვედროდით ერთმანეთს, გვესაუბრა... მაშინ კომუნის წესდებაც მქონდა შედგენილი, შენობა - მოძებნილი იმიტოსის ერთ-ერთ კალთაზე შეფენილ სოფელში...

- მიგხვდი! - თქვა ზორბასმა კმაყოფილებით, როცა დაინახა, რომ წამოვწითლდი და დავღუმიდი.

- მიმიხვდი, ზორბას, - ვუპასუხე, მღელვარების დაფარვას ვცდილობდი.

- მაშინ ერთ რამეს გთხოვ, წმინდაო წინამძღვარო: ამ მონასტერში მეკარედ დამაყენე, რომ დროდადრო შიგნით კონტრაბანდა შევზიდო: ბუზუკი, უბოს ბოცები, შემწვარი გოჭები, ქალებიც შევიყვანო... რომ ცხოვრებამ ყბედობაში ამაოდ არ ჩაიაროს!

გაიცინა და სწრაფად გაემართა ბარაკისკენ. დავედევნე. ჩუმად გაასუფთავა თევზები. შეშა მოვიტანე, ცეცხლი დავანთე. წვნიანი გაკეთდა, კოვზებს ხელი დავავლეთ და პირდაპირ თიხის ქოთნიდან შევუდექით ჭამას.

ხმას არ ვიღებდით. მთელი დღის მშვივრები ხარბად ვილუკმებოდით. ღვინო დავლიეთ, ხასიათზე მოვედით. ზორბასმა ხმა ამოი-

ლო:

- მაგარი იქნება, ბატონო, ახლა ბუბულინა რომ გამოჩნდეს. კეთილი იყოს მისი მობრძანება, წყეულიმც იყოს! ისლა გვაკლია. იცი, რა გითხრა, ჩვენში დარჩეს, ბატონო, და - მომენატრა, ეშმაკმაც წაიღოს იმისი თავი!

- ახლა აღარ კითხულობ, ვინ გესვრის ძვალს?

- რა განადვლებს, ბატონო, თივაში რწყილები არიან თუ არა? ძვალს მიხედე და შეეშვი ხელს, რომელიც მას გიგდებს. გემრიელია? ცოტა ხორციც აბია? საკითხავი აი, ეს არის, ყველაფერი დანარჩენი...

- საჭმელმა სასწაული მოახდინა! - ვუთხარი ზორბასს და მხარზე ხელი დავარტყი. - მშიერი სხეული დანყნარდა? ჩემი სულიც დანყნარდა, რომელიც კითხვებს სვამდა... სანთური მოიტანე!

ზორბასი რომ წამოდგა, კენჭებზე ჩქარი, მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. ზორბასს ბანჯგვლიანი ნესტოები აუთამაშდა.

- ძალლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირე! - თქვა ჩუმად და ხელები ბარძაყებზე დაირტყა. - მოდის! ზორბასის სუნი იკრა ძუკნამ, გეში აილო და მოდის.

- მე მივდივარ, - ვთქვი და წამოვდექი. - მეზარება. წავალ, გავისეირნებ, თქვენ კი საქმეს მიხედეთ.

- ღამე მშვიდობისა, ბატონო!

- არ დაგავიწყდეს, ზორბას, ქორწილს დაჰპირდი, მატყუარად არ გამომიყვანო.

ზორბასმა ამოიხვნეშა:

- კიდევ დავქორწინდე, ბატონო? მომზებრდა უკვე.

სურნელოვანი საპნის სუნი გვიახლოვდებოდა.

- მხედ, ზორბას!

ავჩქარდი. გარედან უკვე ბებერი სირენას ქოშინი ისმოდა.

XVII

მეორე დღეს, გამთენიისას, ზორბასის ხმამ სიზმარს მომწყვიტა.

- რა დაგემართა ამ დილაადრიან, - ვეუბნები, - რა გაყვირებს?

- ამას მუშაობა არ ჰქვია, ბატონო, - მითხრა და თან საჭმლით თოფრას ივსებდა. - ორი ჯორი მოვიყვანე. ადექი, მონასტერში წავიდეთ, საბუთებს ხელი უნდა მოვანეროთ, საბაგიროს საქმე წინ წავწიოთ. ლომს ერთი რამის ეშინია: მკბენარისა. მკბენარები შეგვჭამენ, ბატონო!

- საცოდავ ბუბულინას მკბენარს რატომ ეძახი? - ვკითხე სიცილით.

მაგრამ ზორბასმა თავი მოიყრუა.

- წავიდეთ, - მითხრა, - სანამ მზე არ ამოსულა.

მთაზე ასვლა მომინდა, რომ ფიჭვის სურნელი ჩამესუნთქა. ავმხედრდით და აღმართს შევეუდექით. ცოტა ხნით ნახშირის საბადოსთან შევჩერდით, ზორბასმა მუშებს დავალებები მისცა: “იღუმენისათვის” დაერთყათ, წყლის ასაღებად “ქვეშაფსიას” გალერეა გაეხსნათ...

დღე აღმასივით გაბრწყინდა. რაც უფრო მაღლა ავდიოდით, სულიც მაღლდებოდა, იწმინდებოდა. კვლავ გამოვცადე, რა ღირებულება აქვს სულისთვის ჰაერის გამოცვლას, სუნთქვის სიმსუბუქეს, სივრცეს. გგონია, რომ სული გარეული ცხოველია, ფილტვები და ნესტოები აქვს, ბევრი ჟანგბადი სჭირდება და მტვერსა და უჰაერობაში იგუდება.

მზე კარგად აწეულიყო, როცა ფიჭვნარში შევედით. თაფლის სუნი იდგა, თავზე ქარი დაგვშხუოდა.

ზორბასი მთელი გზა მთის ფერდობს აკვირდებოდა, გონების

თვალთ გარკვეული დაშორებით ბოძებს ასობდა, ზემოთ იყურებოდა და უკვე ხედავდა ბაგირს, რომელიც მზეზე ბრწყინავდა და პირდაპირ სანაპიროსთან ჩამოდიოდა. ზედ დაკიდებული გათლილი მორები კი ისრებივით მოქროდა.

ხელებს იფშვნეტდა:

- კარგი საქმეა, - ამბობდა, - სარფიანი. ფულს აქანდაბით მოგვვტო და იმას გავაკეთებთ, რაც ვთქვით.

განცვიფრებულმა შევხედე.

- პეი, ისე იქცევი, თითქოს დაგავიწყდა! სანამ ჩვენს მონასტერს ავაშენებდეთ, დიდი მთისკენ გავწიოთ. რა ჰქვია? თებე?

- ტიბეტი, ზორბას, ტიბეტი... მაგრამ მხოლოდ მე და შენ. იქაურობა ქალებს ვერ გუობს.

- მერე ქალებზე ვინ გელაპარაკება? კარგები არიან, სანყლები, კარგები. კაცმა მათზე ჯავრი არ უნდა იყაროს, როცა კაცური საქმით - ნახშირის მოპოვებით, ციხე-კოშკების დანგრევით, ღმერთთან ლაპარაკით - არ არის დაკავებული. მაშინ რა უნდა გააკეთოს, რომ გულზე არ გასკდეს? ღვინო უნდა დალიოს, კამათელი გააგოროს, ქალებს მოეხვიოს. და დაელოდოს. დაელოდოს, დრო როდის მოვა - თუ საერთოდ მოვა.

კარგა ხანს დუმდა.

- თუ მოვა! - გაიმეორა გაბრაზებულმა. - რადგან, შეიძლება, არც არასოდეს მოვიდეს.

ცოტა ხანში კი დასძინა:

- მეტი აღარ შემიძლია, ბატონო. ან მიწა უნდა გაიზარდოს, ან მე უნდა დავპატარავდე, სხვაგვარად დავიღუპები.

ფიჭვნარიდან ვიღაც ბერი გამოვიდა. ჟღალთმიანსა და ზაფრანისფერს შესამოსელი აეკვალთა, შავი კუნკული ეხურა. რკინის ჯოხს

მინას ურტყამდა და სწრაფად მიდიოდა. დაგვინახა თუ არა, შედგა, რკინის ჯოხი ასწია:

- საით გაგინწევიათ, დალოცვილებო? - გვკითხა.

- მონასტერში, - უპასუხა ზორბასმა, - სალოცავად.

- უკან გაბრუნდით, ქრისტიანებო! - შესძახა ბერმა და შემუპებულ ლურჯი თვალები ჩაუწითლდა. - უკან გაბრუნდით, თქვენთვის სიკეთე მინდა! ეს ღვთისმშობლის ბალი არ არის, სატანის ბაღია. სილარიბე, მორჩილება, უმანკობა ბერის გვირგვინიაო, ამბობენ! ტყუილია! ტყუილია! უკან გაბრუნდით-მეთქი, გეუბნებით! ფული, პირტიტველა ბიჭები, ვინ გახდება იღუმენი - აი, მათი წმინდა სამება!

- რა სასიამოვნო მოსასმენია, ბატონო, - მომიბრუნდა ზორბასი და მხიარულად დაუსტვინა.

მერე ბერს მიუბრუნდა.

- რა გქვია, მამაო? - ჰკითხა. - საით გაგინწევია?

- ზაქარია მქვია, ჩემი თოფრა ავიღე და მივდივარ. მივდივარ, მივდივარ, მეტი აღარ შემიძლია. შენი სახელი მითხარი, ძმობილო.

- კანავარო.

- მეტი აღარ შემიძლია, ძმაო კანავარო. მთელი ღამე ქრისტე მოთქვამს და ძილს არ მაცლის; მეც მასთან ერთად მოვთქვამ. იღუმენმა - ჯოჯოხეთშიც წასულა! - დღეს დილით დამიძახა და მითხრა: “ზაქარია, მამებს ძილს უფრთხობ, გაგაგდე!” - “მე უფრთხობ ძილს? - ვეკითხები. - მე თუ ქრისტე? ის მოთქვამს”. ანტიქრისტემ კვერთხი მომიღერა და აი, შეხედეთ!

ქუდი მოიხადა და თმაში შედედებული სისხლის კოლტი გვაჩვენა.

- მეც გულა-ნაბადი ავიკარი და გზას გავედექი.

- ჩვენთან ერთად უკან, მონასტერში, წამოდი, - მიმართა ზორბასმა, - ილუმენტან შეგარიგებ. მოდი, გაგვიამხანავდი, გზაც გვიჩვენე. შენი თავი ღმერთმა გამოგვიგზავნა.

ბერი წამით ჩაფიქრდა, თვალები გაუბრწყინდა.

- რას მომცემთ? - თქვა ბოლოს.

- რა გინდა?

- ერთი კილო ვირთევზა და ერთი ბოთლი კონიაკი.

ზორბასი დაიხარა და შეხედა:

- ეშმაკი ხომ არ გიზის შიგნით, ბაქარია?

ბერი შეცბა.

- შენ რა იცი? - იკითხა განცვიფრებულმა.

- წმინდა მთიდან მოვდივარ, - უპასუხა ზორბასმა, - რაღაც მეც გამეგება.

ბერმა თავი ჩაქინდრა, მისი ხმა ძლივსღა ისმოდა:

- ჰო, მიზის.

- ვირთევზა და კონიაკი უნდა, არა?

- კი, უნდა, სამგზის წყეულს!

- მაშ, შევთანხმდით! ეწევა კიდევ?

ზორბასმა სიგარეტი გადაუგდო. ბერმა ჰაერში დაიჭირა.

- ეწევა, ეწევა, წყეულიმც იყოს! - უთხრა, უბიდან კვეს-აბედი ამოიღო, აანთო და ფილტვები კვამლით გაივსო.

- ღმერთი შეგვეწიოს! - თქვა, რკინის კვერთხი ასწია, მიბრუნდა

და წინ გაგვიძღვა.

- რა ჰქვია ეშმაკს, რომელიც შიგნით გიზის? - ჰკითხა ზორბასმა და თვალი ჩამიკრა.

- იოსები, - გვიპასუხა ბერმა ისე, რომ არ შემობრუნებულა.

ამ ნახევრად შეშლილ ბერთან ერთად სიარული არ მომეწონა. დასახიჩრებული გონება ისევე, როგორც დასახიჩრებული სხეული, ჩემში ერთდროულად ანტიპათიასაც იწვევს, თანაგრძნობასაც და ზიზზსაც. მაგრამ ხმას არ ვიღებდი, ზორბასს ვაცლიდი, რაც უნდოდა, ის ექნა.

სუფთა ჰაერმა მადა გაგვიხსნა. უზარმაზარი ფიჭვის ქვეშ მოგეწყვეთ და აბგა გავხსენით. ბერი დაიხარა, რომ დაენახა, შიგ რა იყო.

- ჰეი, ჰეი, - უთხრა ზორბასმა, - ნერწყვს ნუ ყლაპავ, მამა ბაქარია! დღეს დიდი ორშაბათია. ჩვენ მასონები ვართ, ხორცს შევჭამთ, ღმერთმა მოგვიტევოს. მაგრამ შენი უწმინდესობისათვის ჰალვაც გვაქვს და ზეთისხილიც, ინებე!

ბერმა წვირიან წვერზე ხელი ჩამოისვა.

- მე, - თქვა დარდიანად, - მე, ბაქარია, ვმარხულობ, ზეთისხილსა და პურს შევჭამ, წყალსაც დავლევ... მაგრამ იოსები ეშმაკია, არ მარხულობს. ისიც შეჭამს ხორცს, ჩემო ძმებო, თქვენი მათარიდან ღვინოსაც დალევს, წყეული!

პირჯვარი გადაიწერა, პურს, ზეთისხილს, ჰალვას ეცა, ხელით პირი მოიწმინდა, წყალი დალია. ისევ პირჯვარი გადაიწერა, თითქოს ჭამა დაამთავრაო.

- ახლა, - თქვა, - სამგზის წყეული იოსების ჯერია...

და ქათამს დაეძგერა.

- ჭამე, წყეულო, - იღრინებოდა და დიდ ლუკმებს კბეიდა, - ჭამე, ჭამე!

- ყოჩაღ, ბერო! - უთხრა ზორბასმა გულიანად. - ვხედავ, ორი კარი გაქვს.

მომიბრუნდა.

- როგორ მოგწონს, ბატონო?

- შენ გგავს, - მივუგე სიცილით.

ზორბასმა ბერს მათარით ღვინო მიაწოდა.

- იოსებ, შეხვრიპე!

- დალიე, წყეულო! - თქვა ბერმა, მათარას ხელი სტაცა და მოიყუდა.

მზე აცხუნებდა, თავი ჩრდილში უფრო ღრმად შევრგეთ. ბერს ოფლისა და გუნდრუკის მძაფრი სუნი ასდიოდა. თავარა მზეზე ლღვებოდა და ზორბასმა ჩრდილში შეათრია, რომ მეტისმეტად არ აქოთებულყო.

- ბერად როგორ შედექი? - ჰკითხა ზორბასმა. კარგად ნაჭამი, ლაპარაკის ხასიათზე დადგა.

ბერმა გადაიხარხარა:

- გგონია, სინმინდის გამო? სულაც არა. სიღარიბის გამო, ჩემო ძმაო, სიღარიბის გამო. საჭმელი არ მქონდა და ვიფიქრე: მოდი, მონასტერში წავალ, რომ შიმშილით სული არ გამძვრეს-მეთქი!

- მერე, კმაყოფილი ხარ?

- დიდება შენდა, ღმერთო! ხშირად ვოხრაგ, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევ. დედამიწის გამო არ ვოხრაგ, მაპატიეთ და ყოველდღე მასზე ვჭ... ზეციურის გამო ვოხრაგ. სასაცილო ამბებს ვყვები, ყირაზე გადავდივარ, ბერები მიყურებენ და იცინიან. ყველა მეუბნება, გიჟი ხარო და მლანძღავენ, მე კი თავს ვეუბნები: “ასე არ არის, ღმერთს სიცილი უყვარს. შიგნით შემოდი, მასხარაგ, - მეტყვის ერთხ-

ელაც, - გამაცინე!". ასე რომ, იცოდე, მეც შევალ სამოთხეში, ოღონდ როგორც მასხარა.

- ბიჭო, მგონი, კარგად ვერ უნდა იყო! - უთხრა ზორბასმა და წამოდგა. - წავიდეთ, ნუ დავიღამებთ!

ბერი კვლავ წინ გაგვიძღვა. მთაზე ავდიოდი და მეჩვენებოდა, რომ ჩემს სულში რაღაც ხდებოდა, ქვენა აზრებიდან ამაღლებული-სკვენ ვინაცვლებდი, მარტივი, ხელსაყრელი დოგმებიდან - დამღუპველი თეორიებისაკენ.

ბერი ანაზღად შედგა.

- შურისმაძიებელი ღვთისმშობელი! - გვითხრა და პატარა, კოხტა, მრგვალგუმბათიანი ეკლესია დაგვანახა.

პირქვე დაემხო და პირჯვარი გადაიწერა.

ჩამოვქვეითდი, გრილ სამლოცველოში შევედი. კედლის ნიშში ძველი, კვამლისგან გაშავებული, შესანიშნავებით მორთული ვერცხლის ხატი ესვენა. მის წინ ჩაუქრობლად ენთო ვერცხლის კანდელი.

ხატს თვალი ფრთხილად შევაგლე. წმინდა მებრძოლ ღვთისმშობელს ქალწულის მკაცრი, მშფოთვარე გამოხედვა ჰქონდა. ხელში წმინდა ყრმის ნაცვლად გრძელი შემართული ლახვარი ეჭირა.

- ვაი მას, ვინც ამ მონასტერს შეეხება! - თქვა ბერმა ღვთისმოსაობით. - ეცემა მას და ხელთ რომ უპყრია, იმ ლახვარს აძგერებს. ძველ დროს მონასტერს ალჟირელები მოადგნენ და გადაწვეს, მაგრამ ნახე, იმ წყეულებს რა დაემართათ: უკან დაბრუნებისას ამ სამლოცველოს რომ ჩაუარეს, ღვთისმშობელი ხატიდან გადმოვიდა, გარეთ გავარდა და თავისი ლახვარი დასცხო და დასცხო, ყველა დახოცა. პაპაჩემს ტყეში მიმოფანტული მათი ძვლები ახსოვდა. მას შემდეგ შურისმაძიებელი ღვთისმშობელი უწოდეს, მანამდე მას მონყალეს უწოდებდნენ.

- მონასტრის გადანვამდე რატომ არ მოახდინა სასწაული, მამაო ბაქარია? - ჰკითხა ზორბასმა.

- უზენაესის ნებაა! - უპასუხა ბერმა და პირჯვარი სამჯერ გადაისახა.

- ჰო, უზენაესის! - ჩაიჩურჩულა ზორბასმა და ისევ ამხედრდა. - წავედით!

ცოტა ხანში გეგანზე, მაღალ კლდეთა შორის, ფიჭვნარში, ღვთისმშობლის დიდი მონასტერი აღიმართა. მშვიდი, ღიმილიანი, სამყაროს მოწყვეტილი, მწვანე ღრმა ტაფობში მთის მწვერვალის დიდებულებასა და მდელოს სილბილეს ერთმანეთს უხამებდა. ეს მონასტერი ადამიანის ფიქრის დიდებულ, საგულდაგულოდ შერჩეულ თავშესაფრად წარმოიძგა.

ვფიქრობდი, სიცოცხლით სავსე მშვიდი სული აქ შეძლებდა, რელიგიურ აღმაფრენას მისცემოდა-მეთქი. არც ადამიანისთვის მიუზღდომელი მწვერვალია, არც ავხორცობისა და მცონარობის დამბადებელი მდელო, არამედ ისაა, რაც საჭიროა, რათა სული ისე ამალღდეს, რომ ადამიანური თვისებები არ დაკარგოს. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, ასეთი ადგილი არც გმირებს ზრდის და არც ღორებს, არამედ სრულყოფილ ადამიანებს-მეთქი.

აქაურობას ძველი საბერძნეთის კოხტა ტაძარიც დაამშვენებდა და მუსლიმური სალოცავიც. ღმერთი თავისი მოკრძალებული ადამიანური სახით დაეშვებოდა აქ, გაზაფხულის ბალახზე ფეხშიშველი ივლიდა და ადამიანებს მშვიდად დაელაპარაკებოდა.

- რა საოცრებაა, რა სიმშვიდეა, რა ნეტარება! - ჩავიჩურჩულე.

ჩამოვქვეითდით, კარიბჭე გავიარეთ და მესტუმრე ბერის სენაკში ავედით. ლანგრიტ არაყი, მურაბა, ყავა მოგვართვეს. მესტუმრე ბერი მოვიდა, ბერები გარს შემოგვეხვივნენ, საუბარი გაჩაღდა. ემბაკური თვალები, მსუნავი ბაგეები, წვერები, ულვაშები, აქოთებული ილღიები.

- გაზეთი ხომ არ მოგიტანიათ? - იკითხა მესტუმრე ბერმა.

- გაზეთი? - ვიკითხე განცვიფრებულმა. - აქ რაში გჭირდებათ?

- ნებისმიერი გაზეთი, ძმაო, რომ შევითხოვ, სამყაროში რა ხდება! - დაიყვირა ორმა-სამმა გულმოსულმა ბერმა.

აივნის ხის მოაჯირზე გადმოკიდებულები, ყორნებივით ყრანტალებდნენ. მგზნებარედ ლაპარაკობდნენ ინგლისზე, რუსეთზე, ვენიზელოსზე, მეფეზე. სამყარომ ისინი გარიყა, მაგრამ ისინი ვერ გაირიყნენ სამყაროსგან. მგერა ქალაქების, მალაზიების, ქალების, გაზეთების მონატრებით ჰქონდათ საგსე...

ერთი მსუქანი, ბანჯგვლიანი ბერი ღეჭვა-ღეჭვით წამოდგა.

- რაღაც მინდა გაჩვენო, - მითხრა, - შენი აზრი მითხარი. წავალ, მოვიტან.

მოკლე, ბანჯგვლიანი ხელები მუცელზე დაიწყო და მატყლის ჩესტების ფლასუნით კარს იქით გაუჩინარდა.

ბერებმა ბოროტად ჩაიხითხითეს.

- მამა დომეტიოსი, - თქვა მესტუმრე ბერმა, - ისევ თავის თიხის მონაბონს მოიტანს. სატანამ ის მიწაში ჩაფლა და ერთ დღესაც დომეტიოსმა ბალის ჩიჩქნისას იპოვა. თავის სენაკში წაიღო და მას შემდეგ საცოდავს ძილი აღარ ეკარება. მალე ჭკუიდანაც შეცდება.

ზორბასი წამოდგა, იხრჩობოდა.

- წმინდა ილუმენის სანახავად მოვედით, - თქვა, - საბუთებს ხელი უნდა მოვანეროთ...

- წმინდა ილუმენი, - უპასუხა მესტუმრე ბერმა, - აქ არ არის, ამ დილით მეზობელი სოფლის ეკლესიაში წავიდა, დაელოდეთ.

მამა დომეტიოსი გამოჩნდა, ქანდაკება ორივე ხელით მოჰქონდა, თითქოს წმინდა ბარძიმ-ფეშხუმი უჭირავსო.

- ეს არის! - თქვა და ხელები ფრთხილად გაშალა.

მივეახლოვდი. პატარა, ნახევრად შიშველი ტანაგრელი ქალი ქონიან ბერულ ნებთა შორის კეკლუცად იცინოდა. შერჩენილი ცალი ხელი თავზე მიედო.

- თავზე რომ მიგვითითებს, - თქვა დომეტიოსმა, - იმას ნიშნავს, რომ შიგნით რაღაც ძვირფასი ქვაა. შეიძლება, ბრილიანტი ან მარგალიტი იყოს. შენ რას იტყვი?

- მე მგონი, - წამოიძახა ერთმა გესლიანმა ბერმა, - თავი სტკივა.

თხისტუჩება მსუქანი დომეტიოსი ხგნეშოდა, შემომცქეროდა და მელოდებოდა.

- გატეხა მინდა, - თქვა. - მინდა, გაგტეხო და ვნახო. ველარ დამიძინია... ბრილიანტი რომ იყოს შიგნით?

შევხედე ძუძუებაკოკრილ კობტა გოგონას, რომელიც თავისდა უნებურად აღმოჩნდა აქ, მდელოზე, ჭვარცმული ღმერთის გვერდით, სხეულს, სიხარულსა და კოცნას რომ შეაჩვენებს.

ეჰ! მისი გადარჩენა რომ შემძლებოდა!

ზორბასმა თიხის ქანდაკება აიღო, ქალის თხელი, მოქნილი სხეული მოსინჯა. თითის წვერები ცოტა ხანს აკოკრებულ მკერდზე შეაჩერა.

- ვერ ხედავ, მამაო, - თქვა, - რომ თავად სატანაა? მშვიდად იყავი, ამ ურჯულოს კარგად ვიცნობ. შეხედე მის მკერდს, მამაო დომეტიოს, მრგვალია, მკვრივი, ქორფა. ასეთია, მამაო, ეშმაკის მკერდი!

ერთმა ლამაზმა ყმაწვილმა ბერმა ზღურბლს გადმოაბიჯა. მზემ ოქროსფერი თმა და მრგვალი ბუსუსიანი სახე გაუნათა.

ზაფრანისფერმა ბერმა მესტუმრე ბერს თვალი ჩაუკრა. ორივემ ეშმაკურად ჩაიღიმა.

- მამაო დომეტიოს, - უთხრეს, - შენი მორჩილი გაბრიელი.

ბერმა მაშინვე ჩაბღუჯა თიხის ქალი და კარისკენ გაგორდა. ყმანვილი ბერი ხმის ამოუღებლად, რხევა-რხევით მიდიოდა წინ. ორივენი პატარა, დანგრევვის პირას მისული ვერანდის ბოლოს გაუჩინარდნენ.

ზორბასს ვანიშნე და ეზოში გამოვედით. სითბო იღვრებოდა, ეზოში აყვავებული ფორთოხლის სურნელი იდგა. გვერდით ბატკნის თავის ფორმის მარმარილოს ქანდაკებიდან წყალი რაკრაკით გადმოდიოდა. თავი შევუშვირე, გავგრილდი.

- ბიჭო, ესენი ვინ არიან? - ზიზღით თქვა ზორბასმა. - არც კაცები არიან, არც ქალები. ჯორები არიან. ფუი, დაიკარგონ!

მანაც თავი ცივ წყალს შეუშვირა და გაიცინა:

- ფუი, დაიკარგონ! - გაიმეორა. - თითოეულს შიგნით ეშმაკი უბის. ერთს ქალი უნდა, მეორეს - ვირთეგბა, მესამეს - ფული, მეოთხეს - გაბეთები... ვაი, ამათ სულელ თავებს! ჯობს, ქვევით დაეშვან, ხალხში, რომ ამ ყველაფრით დაძღნენ და გონება დაეწმინდონ!

სიგარეტს მოუკიდა და აყვავებული ფორთოხლის ძირას ჩამოკადა.

- როცა რამე მინდა, - თქვა, - იცი, რას ვაკეთებ? ვჭამ. იქამდე ვჭამ, სანამ არ გავძლები, რომ ამაზე აღარ ვიფიქრო. სანამ საჭმლის დანახვაზე გულისრევას არ ვიგრძნობ. ბალღობისას, იცი, ბალღე ვგიჟდებოდი. არც ისე ბევრი ფული მქონდა, ცოტ-ცოტას ვყიდულობდი და ვჭამდი, მაგრამ კიდევ მინდოდა... დღედაღამე ბალღე ვფიქრობდი, ნერწყვი მახრჩობდა, ნამდვილი წამება იყო! მაგრამ ერთ დღეს გავბრაზდი - თუ შემრცხვა, რა ვიცი - მივხვდი, რომ ბალი თავის ჭკუაზე მატარებდა. ჰოდა, იცი, რა მოვიფიქრე? ღამით მამაჩემს ჩუმად ჯიბეები მოვუჩხრიკე, ერთი ვერცხლის მონეტა ვუპოვე და მოვპარე. დილით ადრე ავდექი, ერთი მებაღისგან მთელი კალათა ბალი ვიყიდე, ორმოში ჩავჭექი და ჭამას შევუდექი. იმდენი ვჭამე, გავიბერე, მუცელი ამტკივდა, გული ამერია. ვალებინე, ბატონო და მას

შემდეგ ბალს დასანახავად ველარ ვიტან. გავთავისუფლდი. ბლის დანახვაზე ვამბობდი: “არ მჭირდები!”. იმავეს ვაკეთებ ღვინობეც და სიგარეტბეც. ჯერ კიდევ ვსვამ და ვენევი, მაგრამ იმწამსვე, როგორც კი მოვისურვებ, ჰოპ! - ერთბაშად მოვიკვეთ. წადილი ვერ დამიმონებს. ასევეა სამშობლოც. მწყუროდა, გავძეხი, გული ამერია და გავთავისუფლდი.

- ქალებზე რას იტყვი? - ვკითხე სიცილით.

- მათი დროც მოვა, წყეულიმც იყვნენ, მოვა! მაგრამ როცა სამოცდაათი წლისა გავხდები.

წუთით ჩაფიქრდა, ეცოტავა:

- ოთხმოცი წლისა, - შეასწორა. - ნუ გეცინება, ბატონო! ასე თავისუფლდება ადამიანი, ყური მიგდე, ასე თავისუფლდება - როგორც მოქეიფე და არა როგორც ბერი. ბიჭო, როგორ უნდა გათავისუფლდე ეშმაკისგან, თუ სანახევროდ მაინც არ გაეშმაკდი?

ეზოში აქოშინებული დომეტიოსი გამოჩნდა, უკან ახალგაზრდა ქერა ბერი მოსდევდა.

- განრისხებულ ანგელოზს ჰგავს... - ჩაიჩურჩულა მისი ჭაბუკური მოუთოკაობითა და მოხდენილობით აღფრთოვანებულმა ზორბასმა.

ზედა სენაკებისაკენ ამავალ კიბეს უახლოვდებოდნენ. დომეტიოსი მიბრუნდა, ყმანვილ ბერს შეხედა და რაღაც უთხრა. ბერმა თავი გააქნია, თითქოს უარობდა, მაგრამ მაშინვე მორჩილად დახარა თავი. ბებერს წელზე ხელი მოხვია და კიბეზე ავიდნენ.

- მიხვდი? - მკითხა ზორბასმა. - სოლომი და გომორი!

ორი ბერი გამოჩნდა, ერთმა მეორეს თვალი ჩაუკრა, რაღაც ჩაიჩურჩულეს და გაიცინეს.

- რა ბოროტებაა! - დაიღრინა ზორბასმა. - ძალღი ძალღის ტყავს არ დახევს, მაგრამ ბერი ბერისას - კი. აბა, ამათ დამიხედე. თვალ-

ეზიკ დასთხრიათ ამ დედაკაცებს.

- ამ მამაკაცებს... - გაფუსნორე სიცილით.

- ბიჭო, ეს აქ ერთი და იგივეა! ჯორები არიან-მეთქი, ბატონო. გაბრიელიც შეგიძლია დაუძახო და გაბრიელაც, დომეტიოსიც და დომეტიაც. წავიდეთ, ბატონო, საბუთებს ხელი მოვანეროთ და აქაურობას დროზე მოვშორდეთ. აქ, ღმერთს გეფიცები, შეიძლება, კაციც შეგზიზღდეს და ქალიც.

ხმას დაუნია:

- ერთი გეგმაც მაქვს... - თქვა.

- ალბათ, ისევ რაღაც სიგიჟე, ზორბას... აბა, თქვი!

ზორბასმა მხრები აიჩეჩა.

- აბა, რა გითხრა, ბატონო! შენ, მაპატიე და, პატიოსანი ადამიანი ხარ, არავის წყენინება არ გინდა. ზამთარში შენს საბანზე რწყილი რომ ნახო, შიგნით ჩაისვამ, რომ არ გაცვიდეს. შენი უდიდებულესობა ჩემნაირ დარდიმანდს რას მიუხვდება! მე რომ რწყილი ვნახო, გავსრეს! კრავი რომ ვნახო, დავკლავ, შამფურზე ავაგებ და მეგობრებთან ერთად ვიქეიფებ. მეტყვი, შენი არ არისო. ვაღიარებ. მაგრამ გვაცალე, ძმაო, ჯერ შევჭამოთ და მერე მშვიდად ვიმსჯელოთ, რა არის შენი და რა - ჩემი. შენ გაუთავებლად ილაპარაკებ, მე კი ხის წკირით კბილებს გამოვიჩიჩქნი.

მისი სიცილი ეზოში ექოსავით გაისმა. შეშინებული ბაქარია გამოჩნდა, თითი ტუჩებზე მიიღო, ფეხაკრეფით მოგვიახლოვდა.

- ჩუ, - გვითხრა, - ნუ იცინით! აგერ იქ, ზემოთ, ღია ფანჯარასთან მიტროპოლიტი მუშაობს. ბიბლიოთეკაში. მთელი დღე წერს.

- ზუსტად შენ მჭირდებოდი, მამაო იოსებ! - უთხრა ზორბასმა და ბერს მკლავში ხელი სტაცა. - შენს სენაკში წავიდეთ, დავილაპარაკოთ.

მომიბრუნდა:

- შენ, ბატონო, ამასობაში ეკლესიაში გაიარე და ძველი ხატები დაათვალიერე. მე იღუმენს დაველოდები, სადაცაა, მოვა. ნუ ჩაერევი და საქმეს ნუ გააფუჭებ! მე მაცალე, გეგმა მაქვს.

ჩემს ყურთან დაიხარა:

- ტყეს ნახევარ ფასად ჩავიგდებთ ხელში... ხმა არ ამოიღო!

მოსულელო ბერს მკლავში ხელი გამოსდო და სასწრაფოდ გამეცალა.

XVIII

ეკლესიის ზღურბლს გადავაბიჯე და გრილ სურნელოვან ბინდუნდში ჩავიძირე.

სიმარტოვე სუფევდა, ვერცხლის კანდელები მკრთალად ანათებდა, ხეში გამოკვეთილ, მტევნებით დახუნძლული ოქროს ვაზით გამშვენებულ კანკელს მთელი ნიში დაეკავებინა. კედლები ნახევრად წაშლილი ფრესკებით იყო შემკული. წმინდა ასკეტები, ღმერთშემოსილი მამები, ქრისტეს ვნებანი გამოესახათ. ანგელოზებს ხუჭუჭათმა ფართო გახუნებული ლენტებით ჰქონდათ შეკრული.

ერთ-ერთი თალის თავზე ხელებგანვდილი მავედრებელი ღვთისმშობელი მოჩანდა. მის წინ ვერცხლის მძიმე კანდელი ენთო და მოცახცახე შუქი მოგრძო, მრავალტანჯულ სახეს მსუბუქად, ალერსიანად ელამუნებოდა. არასოდეს დამავინწყდება სევდიანი თვალები, ერთი ციდა ბაგე, ძლიერი ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი. ჩემი აზრით, ის, თავისი მწუხარებითაც კი, სრულიად კმაყოფილი დედაა, რადგან გრძნობს, რომ მისი წარმავალი საშოდან რაღაც უკვდავი გამოვიდა...

ეკლესიიდან რომ გამოვედი, მზე უკვე ჩადიოდა. ფორთოხლის ძირას კმაყოფილი დავჯექი. ეკლესიის გუმბათი ვარდისფრდებოდა, თითქოს თენდებოდა. სენაკებში განმარტოებული ბერები ისვენებდნენ; ღამისთევის ლოცვისთვის ძალა უნდა მოეკრიბათ. ქრისტე ამალამ გოლგოთის გზას დაადგებოდა და მასთან ერთად ასვლის ძალა უნდა ჰქონოდათ. ორ შავ ვარდისფერძუძუებიან ღორს უკვე კერატის ხის ძირში ეძინა. მტრედები ბანებზე ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ.

როდემდე ვიცოცხლებ, ვფიქრობდი. ამ მიწით, ჰაერით, სიჩუმი-თა და აყვავებული ფორთოხლის ტკბილი სურნელით როდემდე გავიხარებ? წმინდა ბაკქოსის ხატმა, რომელიც ეკლესიაში ვნახე, გული ნეტარებით ამივსო. კვლავ გაცოცხლდა ყველაფერი, რასაც ჩემში ფესვი ღრმად გაედგა: ერთიანობა, მუდმივი ძალისხმევა, მარადიული სურვილი. დაილოცოს ეს პატარა, საყვარელი ხატი, მას-

ზე გამოსახულ ქრისტიან წმინდანს ჭაბუკური კულულები შუბლზე შავი მტევნებივით რომ აყრია. ბერძენი დიონისე და წმინდა ბაკქოსი ჩემთვის ერთ სახედ იქცნენ. ვაზის ფოთლები და მოფრიალე შესამოსელი ერთსა და იმავე სასურველ, მზით დამწვარ სხეულს - საბერძნეთს - ფარავდნენ.

ემოში ზორბასი გამოჩნდა.

- იღუმენი მოვიდა, - მითხრა სვენებ-სვენებით, - დავილაპარაკეთ. ვერ დავარწმუნე, ამბობს, ეკლესიის მგალობლის გასამრტელოც კი არ გამოდისო, მეტს ითხოვს, მაგრამ სანადელს მივალწვე.

- ვერ დაარწმუნე? ხომ შევთანხმდით?

- ნუ ჩაერევი, ბატონო, გევედრები! - შემეხვეწა ზორბასი. - ყველაფერს ჩაშლი. შენ ძველ შეთანხმებაზე მელაპარაკები, არადა იმაზე აღარაა საუბარი! წარბებს ნუ ჭმუხნი, ეგ მორჩა-მეთქი, გეუბნები! ტყეს ნახევარ ფასად მივიღებთ.

- რა მოიფიქრე, ზორბას?

- შემეშვი, ეგ ჩემი საქმეა. ზორბალს დავგვითავ და გასრიალდება, მიხვდი?

- კი მაგრამ, რატომ? არ მესმის.

- იმიტომ, რომ კასტროში ზედმეტი ხარჯი გავწიე! იმიტომ, რომ ლოლამ რამდენიმე ათასი შემიჭამა, უფრო სწორად, შეგიჭამა. გგონია, დამავინწყდა? ნამუსი მაქვს, იცოდე. ჩემს სახელს ჩირქი არ უნდა მოეცხოს. დავხარჯე, ვიხდი. გამოვიანგარიშე: ლოლა შვიდი ათასი დაჯდა, ამას ტყიდან გამოვქვითავ. ლოლას ხარჯებს იღუმენი, მონასტერი, ღვთისმშობელი გადაიხდიან. აი, ასეთია ჩემი გეგმა, მოგწონს?

- სრულიადაც არა. შენი თავაშვებულობა რა ღვთისმშობლის ბრალია?

- არის და თანაც როგორ. მან გააჩინა თავისი ძე, ღმერთი, ღმ-

ერთმა შემქმნა მე და მომცა იარაღი, მშვენივრად იცი, რომელი. ამ წყეული იარაღის გამო სადაც კი მდებდრობით სქესს დავინახავ, თავბრუ მესხმის და ქისას ვხსნი. მიმიხვდი? ჰოდა, დამნაშავეა, დაე გადაიხადოს!

- არ მომწონს, ზორბას.

- ეგ სხვა საქმეა, ბატონო. მოდი, ჯერ შვიდი ათასი გამოვგლიჯოთ და მერე ვილაპარაკოთ. “თუ გიყვარს მამიდა, შეუდექ შენს საქმეს. აკეთებ? შეგაქებ!” - ეს სიმღერა გაგიგია?

სქელგავიანი მესტუმრე ბერი გამოჩნდა.

- მობრძანდით, - გვითხრა დათაფლული ხმით, - სადილი მზადაა.

სატრაპეზოში ჩავედით. დიდ მოგრძო ოთახში გრძელი სკამები და მაგიდები იდგა. ამძალებული ბეთისა და სიმჟავის სუნი იდგა. სიღრმეში “საიდუმლო სერობის” ამსახველი ფრესკა ნახევრად გადაშლილიყო. თერთმეტი ერთგული მონაფე ქრისტეს გარშემო ფარასავით მოგროვილიყო. მათ პირდაპირ კი, მაყურებლისკენ ზურგმექცეული, მარტოდმარტო იჯდა ჟღალწვერა, შუბლდანაოჭებული, არწივისცხვირიანი იუდა. ქრისტე მხოლოდ მას უყურებდა.

მესტუმრე ბერი დაჯდა, მის მარჯვნივ მე დავჯექი, მარცხნივ კი - ზორბასი.

- დიდი მარხვაა, - თქვა ბერმა, - მოგვიტევეთ. ნამგზავრები კი ხართ, მაგრამ ვერც ბეთიანს გთავაზობთ, ვერც ღვინოს. მიირთვიო!

პირჯვარი გადავიწერეთ და ბეთისხილს, მწვანე ხახვს, ბარდას უხმოდ შევექცით. სამივენი ნელა, უგემურად ვილოღნებოდით.

- ესაა მიწიერი ცხოვრება, - თქვა მესტუმრე ბერმა, - მარხვა. მაგრამ მოვითმინოთ, მოდის აღდგომა ცხვრით, მოდის ცათა სასუფეველი.

ჩავახველე. ზორბასმა ფეხზე ფეხი დამადგა, მანიშნებდა, ჩემად

იყავიო.

- მამა ბაქარია ვნახე... - თქვა ზორბასმა, რათა საუბრის თემა შეეცვალა.

მესტუმრე ბერი შეცბა:

- ეშმაკეულმა რამე ხომ არ გითხრა? - ჰკითხა შემფოთებულმა. - სულში შვიდი დემონი ჩაუსახლდა, არ უსმინოთ! მისი უწმინდური სული უწმინდურობას ხედავს.

ღამისთევის ლოცვის მარმა სევდიანად ჩამორეკა. მესტუმრე ბერმა პირჭვარი გადაიწერა და წამოდგა.

- მივდივარ, - თქვა. - ქრისტეს ვნებები დაიწყო. მასთან ერთად ჩვენც უნდა ვეცვათ ჭვარს. ამალამ შეგიძლიათ დაისვენოთ, ნამგზავრები ხართ. ხვალ წირვაზე ვნახავთ...

- უნამუსოები! - ბერის წასვლისთანავე კბილებში გამოსცრა ზორბასმა. - უნამუსოები, მატყუარები, ჯორკაცები!

- რა დაგემართა, ზორბას? ბაქარიამ რამე ხომ არ გითხრა?

- შევეშვათ ამას, ბატონო! საბუთს ხელი თუ არ მოაწერეს, სეირს ვუჩვენებ!

სენაკში წავედით, სადაც ჩვენთვის ლოგინი გაეშალათ. კუთხეში ერთი ძველი ხატი ეკიდა: ღვთისმშობელს ლოყა ძის ლოყისთვის მჭიდროდ მიეკრა. დიდი თვალები ცრემლებით ავსებოდა.

ზორბასმა თავი გააქნია:

- იცი, ბატონო, რატომ ტირის?

- არა.

- იმიტომ, რომ ხედავს. ხატმწერი რომ ვყოფილიყავი, ღვთისმშობელს უთვალოს, უყუროს, უცხვიროს დავხატავდი, რადგან მებრ-

ალება.

ხმელ საწოლებზე დაგწეხით. კოჭებს კვიპაროსის სუნი ასდიოდა. ღია სარკმლიდან სურნელით გაჭერებული გაზაფხულის ჰაერი შემოდის. შიგადაშიგ ეზოდან ხან მსუბუქი სიო უბერავდა, ხანაც სამგლოვიარო მელოდიები აღწევდა. ფანჯარასთან ბულბულმა დაინწყო გალობა, ცოტა ხნის შემდეგ მოშორებით მეორე აჰყვა, იმას - მესამე. ღამე სიყვარულს აფრქვევდა.

ვერ ვიძინებდი. ბულბულის გალობა ქრისტეს დატირებას ერწყმოდა და ვცდილობდი, აყვავებული ფორთოხლის ხეებს შორის დაცემულ სისხლის დიდ წვეთებს მივყოლოდი და გოლგოთაზე ავსულიყავი. გაზაფხულის ლურჯ ღამეში ქრისტეს ცივი ოფლით დაცვარულ სხეულს ვხედავდი. თითქოს ივედრებოდა, თითქოს რაღაცას თხოულობდა... გალილეველები უკან მისდევდნენ და გაიძახოდნენ: “ოსანა! ოსანა!” ფეხქვეშ პალმის რტოებსა და ტანსაცმელს უფენდნენ. თავის საყვარელ ადამიანებს უყურებდა, ვერც ერთი ვერაფერს ხვდებოდა, მხოლოდ მან იცოდა, რომ სასიკვდილოდ მიდიოდა. ვარსკვლავების ქვეშ ცრემლის ღვრით, მდუმარედ მიდიოდა და თან ადამიანურ, ათრთოლებულ გულს ინუგეშებდა: “ჩემო გულო, ხორბლის მარცვლივით უნდა ჩაეფლო მიწაში და მოკვდე. ნუ კანკალებ. სხვაგვარად როგორ გინდა, თავთავად იქცე, ჩემო გულო. როგორ გამოკვებავ ადამიანებს, რომლებიც შიმშილით იხოცებიან?”

მაგრამ ადამიანური გული უთრთოდა და სიკვდილი არ უნდოდა...

მონასტრის გარშემო ტყეში ბულბულის გალობა ისმოდა. ნამიანი ფოთლებიდან სიყვარულითა და ვნებით საგსე სიმღერა ადიოდა. ადამიანის გული მასთან ერთად ფეთქავდა, ტიროდა და ნაღვლით იგსებოდა.

ნელ-ნელა, ჩემდა შეუმჩნევლად, ქრისტეს ვნებებზე ფიქრით გართული და ბულბულის გალობით მოჭადლოებული მშვიდად მივინებდი ძილს, როგორც სული შედის სამოთხეში.

საათიც არ მიძინებია, რომ თავმარდაცემული წამოვვარდი:

- ზორბას, - დაგუდახე, - გაიგონე? სროლის ხმა იყო.

ზორბასი უკვე ლოგინში წამომჭდარიყო და ეწეოდა.

- მოგცლია ერთი, ბატონო, - მითხრა და თან ცდილობდა, რისხვას მორეოდა. - აცადე, თვალეზიკ დაუთხრიათ.

დერეფანში ყვირილის ხმა და ჩუსტების ფრატუნი გაისმა, კარები იღებოდა და იკეტებოდა, შორს ვიღაც კვნესოდა.

ლოგინიდან წამოვვარდი და კარი გავადე. წინ გაძვალტყავებული ბერი შემეფეთა, თეთრი წვეტიანი ქუდი ეხურა და თეთრივე, მუხლებამდე ღამის პერანგი ეცვა.

- ვინ ხარ?

- მიტროპოლიტი... - ათრთოლებული ხმით მიპასუხა.

კინაღამ გამეცინა. სად იყო ოქროს ფილონი, მიტრა, კვერთხი, ფერად-ფერადი ყალბი ქვები. პირველად ვხედავდი მიტროპოლიტს ღამის პერანგში.

- ვინ გაისროლა?

- არ ვიცი... არ ვიცი... - ჩაიჩურჩულა, თან უკან, ოთახისკენ, მანველობდა.

ზორბასს გაეცინა:

- შეგეშინდა, მამაო? - ჰკითხა. - შემოდი, უბედურო. ბერები არ ვართ, ნუ გეშინია.

- ზორბას, - ჩავეჩურჩულე, - ასე ნუ ელაპარაკები, მიტროპოლიტია!

- ბიჭო, ღამისპერანგიანი მიტროპოლიტი მიტროპოლიტი არაა.

შემოდი-მეთქი, გეუბნები!

ადგა, მკლავში ხელი მოჰკიდა, შიგნით შემოათრია და კარი დაკეტა. აბგიდან არყის ბოთლი ამოიღო და ჭიქა შეავსო.

- დალიე, მამაო, - უთხრა, - გულს დაგიმშვიდებს.

ბერმა არაყი დალია, გონს მოვიდა. ჩემს სანოლზე ჩამოჯდა და კედელს მიეყრდნო.

- თქვენო უსამღვდელოესობავ, ვინ ისროლა?

- არ ვიცი, შვილო ჩემო... შუალამემდე ვმუშაობდი. დასაძინებლად რომ დაგწევი, მამა დომეტიოსის სენაკიდან გავიგონე...

- აჰა! - თქვა ზორბასმა. - ბიჭო, ბაქარია, მართალი ყოფილხარ!

მიტროპოლიტმა თავი დახარა:

- ქურდი იქნებოდა... - ჩაიჩურჩულა.

დერეფანში მითქმა-მოთქმა შეწყდა, მონასტერი კვლავ სიჩუმეში ჩაიძირა. მიტროპოლიტმა კეთილი, შეშინებული თვალებით ვედრებით შემომხედა.

- გეძინება, შვილო ჩემო? - შემეკითხა.

ვიგრძენი, რომ წასვლა და თავის სენაკში ისევ მარტო დარჩენა არ უნდოდა. ეშინოდა.

- არა, - ვუპასუხე, - არ მეძინება. დარჩით.

საუბარი გავაბით. ბალიშზე მიყრდნობილი ზორბასი ეწეოდა.

- განათლებული ახალგაზრდა ჩანხარ, - მითხრა ბერმა, - დიდება შენდა, ღმერთო. აქ ვერავის ვპოულობ, რომ ვესაუბრო. სამი თეორია მაქვს, რომლებიც ცხოვრებას მილამაზებენ. მინდა, გაგანდო.

ჩემს პასუხს არც კი დალოდებია, ისე დაიწყო:

- ჩემი პირველი თეორია ასეთია: ფორმები, რომლებიც ყვავილებს აქვთ, გავლენას ახდენენ მათ ფერზე, ფერი გავლენას ახდენს მათ თვისებებზე; ამგვარად, ყოველ ყვავილს ადამიანის სხეულზე და, შესაბამისად, სულზე სხვადასხვაგვარი ზემოქმედება აქვს. ამიტომ ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, როცა აყვავებულ მდელოზე მივაბიჯებთ.

დადუმდა, თითქოს ჩემს შეფასებას ელოდა. ვხედავდი ბერს, რომელიც აყვავებულ მდელოზე დასეირნობდა, ყვავილებს, მათ ფორმასა და ფერს ფარული ძრწოლით დაჰყურებდა და კანკალებდა: გაბაფხულზე მთელი მდელო სულებით ივსებოდა...

- აი, მეორე თეორია: ყოველი იდეა, რომელიც რეალურ ზეგავლენას ახდენს, რეალურად არსებობს. უსხეულო მოჩვენებასავით არ დაბორიანობს. ნამდვილი სხეული - თვალები, პირი, ფეხები, მუცელი - აქვს... ან კაცია, ან ქალი და კაცებს ან ქალებს დასდევს... სწორედ ამის შესახებ ამბობს სახარება: "სიტყვა განსხეულდა..."

კვლავ მოლოდინით შემომხედა.

- მესამე თეორია შემდეგია, - ნაჩქარევად განაგრძო, რადგან ჩემი სიჩუმის ატანა აღარ შეეძლო: - მარადისობა ჩვენს წუთისოფელშიც არსებობს, მაგრამ მისი პოვნა ძალიან რთულია. წარმავალზე ბრუნვა გზას გვიბნევს. მხოლოდ ცოტანი, ყველაზე რჩეულები, ახერხებენ, წუთისოფელშიც იცხოვრონ და მარადისობაშიც. ყველა ვერ გაუძლებდა და დაიღუპებოდა. ჰოდა, ღმერთმა ისინი შეიბრალა და რწმენა გამოუგზავნა. ამგვარად, მარადისობაში ცხოვრება ბრბოსაც შეუძლია.

მიტროპოლიტმა სათქმელი რომ ამოთქვა, გულს მოეშვა. გაღიმებულმა უნამწამო თვალებით ამომხედა. თითქოს ამბობდა: "რაც მაქვს, იმას გავცემ". აღელვებული ვიყავი: წესიერად არც კი მიცნობდა და მთელი თავისი ცხოვრების ნაყოფს გულით მთავაზობდა.

თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

- როგორ მოგწონს ჩემი თეორიები? - მკითხა და ჩემი ხელი ხელებში მოიქცია.

შემომხედა, თითქოს ჩემი პასუხიდან უნდოდა გაეგო, მისმა ცხოვრებამ ფუჭად ხომ არ ჩაიარა.

კანკალებდა. ვიცოდი, რომ სიმართლეზე მაღლა ადამიანის სხვა, გაცილებით დიდი მოვალეობა იდგა.

- ამ თეორიებმა, მამაო, - ვუპასუხე, - შეიძლება, ბევრი სული იხსნას.

მიტროპოლიტს სახე გაუბრწყინდა. მთელი მისი ცხოვრება გამართლდა.

- გმადლობ, შვილო ჩემო, - დაიჩურჩულა და ხელი თბილად ჩამომართვა.

ამ დროს ზორბასი თავისი კუთხიდან წამოხტა.

- მე მეოთხე თეორია მაქვს, - თქვა, - მაპატიეთ.

შეშფოთებულმა შევხედე. მიტროპოლიტი მიუბრუნდა:

- თქვი, შვილო ჩემო, დამილოცნიხარ. რა თეორია?

- რომ ორჯერ ორი ოთხია! - თქვა ზორბასმა სერიოზულად.

მიტროპოლიტმა მას თავგზააბნეულმა შეხედა.

- მეხუთე თეორიაც, მამაო, - განაგრძო ზორბასმა: - ორჯერ ორი არ არის ოთხი. რომელიც გნებავთ, ის აირჩიეთ!

- არ მესმის... - ჩაილულულა მიტროპოლიტმა და შემომხედა, თითქოს ჩემგან დახმარებას ითხოვდა.

- არც მე! - თქვა ზორბასმა და სიცილით გადაბჟირდა.

დაბნეულ ბერს მივუბრუნდი და საუბრის თემა შევცვალე:

- რას იკვლევთ აქ, მონასტერში?

- მონასტრის ძველ ხელნაწერებს ვიწერ, შვილო ჩემო. ცალკე ამოვიწერე ყველა ეპიტეტი, რომლითაც ჩვენმა ეკლესიამ ღვთისმშობელი შეამკო.

ამოიხვნეშა.

- დავბერდი, - თქვა, - სხვას ველარაფერს ვაკეთებ. გულზე მეძვება, როცა ღვთისმშობლის ამ შემამკობელ გამოთქმებს ვიწერ, სამყაროს უბადრუკობა მაგინწყდება.

ბალიშს დაეყრდნო და ჩურჩულით დაიწყო, თითქოს ბოდავდა:

- “დაუმჭნარი ყვავილი, კეთილი მიწა, ვენახი, ნაკადული, მდინარე, საკვირველებათა წყარო, გეცის კიბე, ხიდი, ხომალდი, ნავთსაყუდელი, სამოთხის გასაღები, ცისკარი, კელაპტარი, ელვა, ცეცხლოვანი სვეტი, უძლეველი მხედარი, ურყევი კოშკი, აუღებელი კედელი, საფარველი, თავშესაფარი, ნუგეში, სიხარული, კვერთხი ბრმათათვის, ობოლთა შემწე, წმინდა ტრაპეზი, საკვები, მშვიდობა, სიწყნარე, სურნელი, ლხინი, თაფლი და რძე...”

- ბოდავს, საცოდავი... - გადმომიჩურჩულა ზორბასმა, - რამეს დავაფარებ, რომ არ გაცივდეს...

აღგა, საბანი დააფარა და ბალიში გაუსწორა.

- სამოცდაჩვიდმეტი სახისაა სიგიჟეო, გაგონილი მაქვს, - თქვა, - ამასაც თუ მივუმატებთ, სამოცდათვრამეტი გახდება.

ირიჟრაჟა. ეზოში ხის სარაკუნოს ხმა გაისმა. სარკმლიდან გავიხედე და ერთი გალეული, შავთავსაბურავიანი ბერი დავინახე, რომელიც ეზოს ირგვლივ ნელა უვლიდა და მოგრძო ძელს პატარა ჩაქუჩს ურტყამდა. დილის ჰაერში სარაკუნოს ჰარმონიითა და ვედრებით სავსე ხმა იღვრებოდა. ბულბული დადუმდა, ნელ-ნელა იწყებდნენ ჟღურტულს ჩიტები ხეებზე.

სარკმელზე დაყრდნობილი, სარაკუნოს მელოდიას მოხიბლული ვუგდებდი ყურს და ვფიქრობდი, რომ სიცოცხლის მაღალი რიტმში შეიძლება დამდაბლდეს, მაგრამ დიდებული და კეთილშობილებით სავსე გარეგნული ფორმა შეინარჩუნოს. სული მიდის, მაგრამ ხელუხლებელს ტოვებს თავის ბინას, ნიჟარასავით დაღვლარჭნილსა და ფართოს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე აგებდა, რათა დატეულიყო.

დიდებული საკათედრო ტაძრები ამგვარი დაცარიელებული ნიჟარები მგონია, რომლებსაც ახლა უკვე ურწმუნო ხმაურიან ქალაქებში ვხვდებით. პრეისტორიული ურჩხულები, რომელთაგანაც წვიმებისა და მზისაგან შეჭმული ჩონჩხიდა დარჩენილა.

ვიღაცამ სენაკის კარზე დაგვიკაკუნა. მესტუმრე ბერის დათაფლული ხმა გაისმა:

- წირვა იწყება, ძმებო!

ზორბასი განრისხებული წამოვარდა:

- ვინ ისროლა?

ცოტა ხანს ელოდა. სიჩუმე იდგა. ბერი ჯერ კიდევ კართან უნდა მდგარიყო, რადგან ნაბიჯების ხმა არ გაგვიგია. ზორბასი წამოენთო.

- ეჰეი, ბერო, ვინ ისროლა? - კვლავ დაუყვირა.

აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა, რომელიც იქაურობას შორდებოდა. ზორბასი ერთი ნახტომით აღმოჩნდა კართან, გამოალო:

- ფუი, არამზადები! - თქვა და მიმავალი ბერისკენ გადააპურჭყა.
- მღვდლები, ბერები, მონაზვნები, სამრევლო საბჭოს წევრები, მნათეები, ფუი!

- წავიდეთ, - ვუთხარი, - აქ სისხლის სუნი დგას.

- მარტო სისხლი რომ იყოს! - დაიღრინა ზორბასმა. - ბატონო,

თუ გეხალისება, წადი წირვაზე. მე ყველაფერს გამოვჩხრეკ და გავიგებ.

- წავიდეთ! - გავუმეორე. - შენც, კეთილი ინებე და რაც შენი საქმე არ არის, იმაში ცხვირს ნუ ჩაყოფ.

- ზუსტადაც რომ ჩემი საქმეა, ბატონო!

ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე ეშმაკურად გაიღიმა:

- ეშმაკს, მგონი, უნდა, რომ ხელი მოგვიმართოს. იცი, ბატონო, რა შეიძლება დაუჭდეს ეს გასროლა მონასტერს? შვიდი ათასი!

ეზოში ჩავედით. აყვავებული ხეების ტკბილი სურნელი იდგა, სიმშვიდე სუფევდა. ბაქარია გვყარაულობდა, გამოიქცა, ზორბასს მკლავში ხელი სტაცა.

- ძმაო კანავარო, - ჩასჩურჩულა აკანკალებული ხმით, - გამომყევი!

- ვინ ისროლა? ვინმე მოკლეს? ჰეი, ბერო, თქვი, თორემ დაგახრჩობ!

ბერს ქვედა ყბა უცახცახებდა. გარშემო მიმოიხედა. ეზო ცარიელი იყო, სენაკები - ჩარაზული, ღია ეკლესიიდან მელოდია ტალღათაღლა მოედინებოდა.

- ორიგენი მომყევით... - ჩაიჩურჩულა. - სოდომი და გომორი!

კედელ-კედელ გავსრიალდით, ეზო გადავიარეთ და ბაღიდან გავედით.

მონასტრიდან ქვის გასროლის სიშორეზე სასაფლაო მდებარეობდა. შიგნით შევედით.

საფლავებს გადავალაჭეთ, ბაქარიამ ეგვტერის კარს ხელი ჰკრა და შევიდა. ჩვენც შევეყვით. შუაში ჭილოფზე ბერის შესამოსელში გახვეული სხეული იდო. ერთი სანთელი თავთან ენთო, მეორე - ფე-

ხებთან.

მიცვალე ბულისკენ დავიხარე, სახეზე გადავხადე.

- ყმაწვილი ბერი! - ჩავიჩურჩულე და თმა ყალყზე დამიდგა. -
დომეტიოსის ქერა ბერი!

საკურთხევლის კარზე მიქაელ მთავარანგელოზს ნამდვილი
ფრთები, გაშიშვლებული ხმალი, წითელი ხამლები უბრწყინავდა.

- მიქაელ მთავარანგელოზო! - დაიძახა ბერმა. - ცეცხლი გამო-
გზავნე, დაწვი ისინი! მიქაელ მთავარანგელოზო, კანკელიდან გა-
დმოხტი. გასროლის ხმა ვერ გაიგონე?

- ვინ მოკლა? ვინ? დომეტიოსმა? ხმა ამოიღე, წვერცანცარავ!

ბერი ზორბასს ხელიდან დაუსხლტა, მთავარანგელოზს ფეხებში
ჩაუვარდა. კარგა ხანს დარჩა გაუნძრევლად, თავანუელი, პირდა-
ღებული, თითქოს აყურადებო.

უცებ გახარებული ზეზე წამოვარდა.

- გადავწვავ მათ! - ისე თქვა, თითქოს გადანყვეტილება მიიღო.
- მთავარანგელოზი შეინძრა, თვალი ჩამიკრა!

პირჯვარი გადაინერა.

- დიდება შენდა, ღმერთო, - თქვა, - მომეშვა!

ზორბასმა ბერს ხელი ისევ მკლავში სტაცა.

- მოდი აქ, იოსებ, წავედით. იმას გააკეთებ, რასაც მე გეტყვი.

მომიბრუნდა:

- ფული მე მომეცი, ბატონო, საბუთებს მე მოვანერ ხელს. აქ მგ-
ლები არიან, შენ კი ცხვარი ხარ, შეგჭამენ. მე დამაცალე. ეს არამზა-
დები ვერსად წამივლენ. შუადღისას ტყე ჭიბეში გვექნება. წავედით,

ბაქარია!

ორივე ქურდულად გასრიალდა მონასტრისკენ. მე ფიჭვებისკენ განვაგრძე გზა.

მზე მალლა აწეულიყო, ცა და მიწა ბრწყინავდა, ფოთლებზე ცვარი კიაფობდა. ცხვირწინ შაშვი ამიფრინდა, პანტის ტოტზე ჩამოჭდა, ბოლო გააქნია, ნისკარტი გაალო, შემომხედა და ორ-სამჯერ დამცინავად დაუსტვინა.

ფიჭვებს შორის ეზოში მწყობრად გამომავალი, შავმოსასხამიანი, მხრებჩამოყრილი ბერები გავარჩიე. წირვა დასრულდა, ახლა სატრაპეზოსკენ მიემართებოდნენ.

“რა სამწუხაროა, - გავიფიქრე, - სულს სიმკაცრე და კეთილშობილება რომ აღარ გააჩნია”.

დაღლილი და ღამენათევი, ბალახზე დავწეცი. კამა, სალბი, დანამასტაკი სურნელს აფრქვევდა. დამშეული მწერები ზუზუნებდნენ, ველურ ყვავილებში თავჩარგულნი ნექტარს აგროვებდნენ. მზისგან გამთბარ გამჭვირვალე ჰაერში მთები ლურჯად მოჩანდა...

დამშვიდებულმა თვალები დავხუჭე. სიხარული ვიგრძენი, თითქოს ჩემ ირგვლივ სამოთხის სიმწვანე გაშლილიყო, თითქოს მთელი ეს სივრცე, სიმსუბუქე, აუღელვებელი თრობა ღმერთი იყო. ღმერთი სახეებს იცვლის და ბედნიერია ის, ვისაც ყოველი ნიღბის უკან მისი გამოცნობა შეუძლია. ხან ერთი ჭიქა გრილი წყალია, ხან ვაჟი, რომელსაც კალთაში ვათამაშებთ, ზოგჯერ კეკლუცი ქალია, ხანაც დილის მოკლე გასეირნება.

ნელ-ნელა ჩემ გარშემო ყველაფერი იწმინდებოდა, მსუბუქდებოდა, უცნაურ ზმანებად იქცეოდა. ცხადი და სიმზარი შენივთებულებულიყო, მეძინა და ბედნიერს სინამდვილე მესიმბრებოდა. დედამიწა და სამოთხე ერთი გამხდარიყო. ცხოვრება თაფლის მსხვილი წვეთით საგსე ველურ ყვავილად მომეჩვენა, ჩემი სული კი - ნექტრის შემგროვებელ ველურ ფუტკრად.

მოულოდნელად მოგწყდი ნეტარყუჩობას. ჩემ უკან ნაბიჯების ხმა და ჩუმი ლაპარაკი გავიგონე. იმავე წუთს მხიარული ხმა გაისმა:

- ბატონო, წავედით!

ზორბასი ჩემ წინ იდგა და თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა.

- მივდივართ? - შვებით ამოვისუნთქე. - ყველაფერი დამთავრდა?

- ყველაფერი! - მითხრა ზორბასმა და ხელი პიჯაკის გულის ჯიბეზე დაირტყა. - აქ მაქვს ტყე. მშვიდობაში! ლოლას შეჭმული შვიდი ათასიც ინებეთ!

უბიდან ქაღალდის ფულის დასტა ამოიღო.

- აიღე, - მითხრა. - ვალი გავისტუმრე, შენი აღარ მრცხვენია. ამაში ქალბატონი ბუბულინას წინდებიც, ჩანთებიც, სუნამოებიცა და ქოლგაც შედის. თუთიყუშის ფსტაც და ნაჩუქარი ჰალვაც.

- შენი იყოს, ზორბას, გჩუქნი, - ვუთხარი. - ღვთისმშობელს შენი სიმაღლის კელაპტარი უნდა დაუნთო შეურაცხყოფისთვის.

ზორბასი მიტრიალდა. მამა ზაქარია გამოჩნდა. გამწვანებული წვირიანი შესამოსელი და ძირგავარდნილი ჩექმები ეცვა. ორ ჯორს აღვირით ექაჩებოდა. ზორბასმა მას ასდრაქმიანების დასტა აჩვენა.

- გავიყოთ, მამაო იოსებ, - უთხრა. - ასი კილო ვირთევზა იყიდე, რომ ჭამო, უბედურო, იმდენი ჭამო, რომ გასკდე, გული აირიო და გადარჩე! ხელი გამომიშვირე!

ბერმა გაქონილ ქაღალდებს ხელი სტაცა და უბეში გადამალა.

- ნავთს ვიყიდი... - თქვა.

ზორბასმა ხმას დაუნია და ბერის ყურთან დაიხარა:

- ღამე იყოს, - უთხრა, - რომ ეძინოს, ძლიერმა ქარმა დაუბერ-

ოს... კედლებს ოთხივე კუთხეში უნდა შეასხა. ძონძები, ფლასები, ჩალა, რასაც ნახავ, ნავთში ჩაალბე და ცეცხლი წაუკიდე... მიხვდი?

ბერი კანკალებდა.

- ნუ კანკალებ, ბერო, განა მთავარანგელოზმა არ გიბრძანა? ნავთი და ღმერთი! კარგად იყავი!

ავმხედრდით. მონასტერს თვალი უკანასკნელად მოვაგლე.

- რამე გაიგე, ზორბას? - ვკითხე.

- გასროლის შესახებ? ფეხებზე დაიკიდე, ბატონო. მართალია ზაქარია: სოღომი და გომორია! დომეტიოსმა ლამაზი ბერი მოკლა.

- დომეტიოსმა? რატომ?

- ნუ გამოიკითხავ-მეთქი, ბატონო, გეუბნები, სიბინძურე და სიმყრალეა.

მონასტრისკენ შებრუნდა. ბერები სატრაპეზოდან გამოდიოდნენ და თავიანთი სენაკებისკენ მიემართებოდნენ.

- დამწყველეთ, წმინდა მამებო! - დაიყვირა.

XIX

პირველი ადამიანი, რომელსაც დაღამებულზე ჩვენს სანაპიროზე ჩამოქვეითებისას შევხვდით, ბუბულინა იყო. ბარაკის წინ მოკუნტული იწვა. ჭრაქი რომ ავანთე და მისი სახე დავინახე, თავმარი დამეცა.

- რა დაგემართა, მაღამ ჰორტენზია? ავად ხარ?

იმ წამიდან, რაც გონებაში დიდმა იმედმა, ქორწილმა, გაუელვა, ჩვენმა სირენამ შემორჩენილი ხიბლი სრულიად დაკარგა. ცდილობდა, ყველაფერი განვლილი წაეშალა, ის საოცარი ფრთები ჩამოეშორებინა, რომლითაც ფაშების, ბეგების, ადმირალების გაყვლეფის წყალობით მორთულიყო... ერთი სული ჰქონდა, სერიოზულ, დაოჯახებულ ჭკად - პატიოსან ქალად ქცეულიყო. აღარ იღებებოდა, არ ირთვებოდა, არ იბანდა, სუნი უდიოდა.

გორბასი ხმას არ იღებდა, ახლად შეღებილ ულვაშს ნერვიულად ისრესდა. დაიხარა, სპირტქურა აანთო და ყავადანი შემოღდა.

- შეუბრალებლო! - მოულოდნელად გაისმა კაბარეს ბებერი მომღერლის ხრინწიანი ხმა.

გორბასმა თავი ასწია და შეხედა. მზერა დაუთბა. ვერასოდეს ახერხებდა, ქალის მუდარით სავსე ხმისთვის აუღელვებლად ესმინა. ქალის ერთ ცრემლსაც კი მისი დახრჩობა შეეძლო.

არაფერი უთქვამს, ყავა და შაქარი ჩაყარა, მოურია.

- ამდენ ხანს გვირგვინდაუდგმელს რატომ მტოვებ? - ჩაიბუტბუტა ბებერმა სირენამ. - რა პირით შევხვდე სოფლელებს. ღირსება შემელახა! ღირსება შემელახა! თავს მოვიკლავ!

დაღლილი ლოგინში ჩავწექი. ბალიშზე მიყრდნობილი ამ კომიკურ და გულის ამაჩუყებელ სცენას ხარბად ვაკვირდებოდი.

მაღამ ჰორტენზია ზორბასს მიუახლოვდა, მუხლებზე შეეხო.

- გვირგვინები რატომ არ ჩამოიტანე? - ჰკითხა სულის შემძვრელად.

ზორბასმა იგრძნო, როგორ თრთოდა მის მუხლზე ბუბულინას ფუმფულა ხელი. მუხლი უკანასკნელი მყარი ადგილი იყო მიწაზე, რომელსაც ათასგზის ჩაძირული ქალი გადასარჩენად ეჭიდებოდა.

ზორბასმა ეს კარგად იცოდა. გული მოუღება, მაგრამ ისევ არ ამოულია ხმა. ყავა სამ ფინჯანში ჩამოასხა.

- გვირგვინები რატომ არ ჩამოიტანე, ზორბას? - კვლავ გაისმა მთრთოლვარე ხმა.

- კასტროში კარგები არ აქვთ, - უპასუხა ზორბასმა.

ფინჯნები მოგვანოდა და თვითონ კუთხეში მოკალათდა.

- ათენში მივწერე, - განაგრძო, - კარგები გამოგვიგზავნონ. თეთრ კელაპტრებზე, შოკოლადებსა და მოხალულუნუშიანი კამფეტებით სავსე ტომსიკებზეც მივწერე...

რაც მეტს ლაპარაკობდა ზორბასი, მით მეტად ემატებოდა მის წარმოსახვას ცეცხლი, თვალები უბრწყინავდა, როგორც პოეტს შემოქმედების ცეცხლოვან წამს და იმ ზღვრამდე მიდიოდა, სადაც ტყუილ-მართალი აღარ განირჩევა. ახლა ასე, მოკალათებული, ისვენებდა, ყავას ხმაურით ხვრებდა, სიგარეტს აბოლებდა. დღემ კარგად ჩაიარა, ტყე ჭიბეში ჰქონდა, კმაყოფილი იყო. მერე ძალა მოიკრიბა:

- ჩვენი ქორწილით, ჩემო ბუბულინა, ქვეყანაზე ერთი ამბავი უნდა ატყდეს. ნეტა გაჩვენა, შენთვის რა საპატარძლო კაბა შეგუკვეთე! ამიტომაც დავრჩი ამდენ ხანს კასტროში, ჩემო სიყვარულო. ორი ცნობილი მკერავი ჩამოვიყვანე ათენიდან და ვუთხარი: "ქალს, რომელსაც ცოლად ვირთავ, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში ბადალი არა ჰყავს! ოთხი ძლევა მოსილი სახელმწიფოს დედოფალი

იყო, ახლა დაქვრივდა და თანახმაა, მე გამომყვეს. ამიტომაც მინდა, რომ მისი საპატარძლო კაბაც უბადლო იყოს, მთლიანად აბრეშუმისა, მარგალიტებითა და ოქროს კილიტებით განწყობილი. მარჯვენა მკერდზე მზე ამოქარგეთ, მარცხენაზე - მთვარე!". "სტუმრებს თვალს მოსჭრის!" - შესძახეს მკერავებმა. "მოსჭრის და მოსჭრას! - ვუთხარი. - მთავარია, ჩემი სიყვარული იყოს კარგად!".

მადამ ჰორტენზია კედელს მიყრდნობილი უსმენდა. ტლანქი, ხორციელი ღიმილი გადმოიღვარა მის მომჩვარულ, დანაოჭებულ სახეზე. ყელზე შემოჭერილი ვარდისფერი ლენტი ლამის შემოსვდომოდა.

- რაღაც მინდა გითხრა ყურში... - თვალეზმოჭუტულმა უთხრა ჩუმად ზორბასს.

ზორბასმა თვალი ჩამიკრა, დაიხარა.

- რაღაც მოგიტანე, - ჩაუჩურჩულა საცოლემ და ენა ბალნიან ყურზე შეახო.

უბიდან მანდილი ამოიღო, რომელსაც ერთი კიდე გამონასკველი ჰქონდა და ზორბასს მისცა.

მან მანდილი ორი თითით დაიჭირა და მარჯვენა მუხლზე დაიდო, შემდეგ გარეთ გაიხედა და ზღვას მიაცქერდა.

- ნასკვს არ გახსნი, ზორბას? - ჰკითხა. - სულ არ გეჩქარება, უბედურო?

- ჯერ ყავას დავლევ, - უპასუხა. - სიგარეტს მოვწევ. ადრეც გამიხსნია, ვხვდები, რა არის შიგნით.

- ნასკვი გახსენი, ნასკვი გახსენი... - ემუდარებოდა სირენა.

- ჯერ სიგარეტს მოვწევ-მეთქი, ვთქვი!

საყვედურით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, შენი ბრალიაო. ნელა ეწეოდა, ნესტოებიდან კვამლს უშვებდა, ზღვას მისჩერებოდა.

- ხვალ ძლიერი სიროკო იქნება, - თქვა, - ამინდი შეიცვალა. ხეები აყვავდება, გოგონებს ძუძუები დაებერებათ, კაბებში ვეღარ ჩაეტევათ... გაზაფხული, ის მაცდური, ეშმაკის გამოგონებაა!

გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

- რაც კი კარგია ამ სამყაროში, ეშმაკის მოგონილია. ლამაზი ქალი, გაზაფხული, ღვინო მან გააჩინა; ღმერთმა კი ბერები, მარხვები, სალბის ნაყენი, უშნო ქალები შექმნა, ჭირსაც წაუღია ისინი!

თქვა და განრისხებული მზერა შეავლო უბედურ მადამს, რომელიც ახლა კუთხეში მიბუზულიყო და იქიდან უსმენდა.

- ზორბას... ზორბას... - ევედრებოდა წამდაუნუმ.

მაგრამ მან ახალ სიგარეტს მოუკიდა და ისევ ზღვას გახედა.

- გაზაფხულზე, - თქვა, - სატანა მეფობს, ქაშრები ეშვება, კაბის საკინძეები იხსნება, დედაბრები ოხრავენ... ეჰ, ქალბატონო ბუბულინა, გამეცალე!

- ზორბას... ზორბას... - კვლავ ევედრებოდა მადამი, დაიხარა, ცხვირსახოცი აიღო და ზორბასს მუჭში ჩაუკუჭა.

მანაც სიგარეტი მოისროლა, ნასკვს ხელი სტაცა, გახსნა და ახლა ხელისგულზე დადებულს დააცქერდა.

- ეს რა არის, ქალბატონო ბუბულინა? - ზიზღით ჰკითხა.

- ბეჭდებია... ბეჭდებია, ჩემო ოქრო... ნიშნობის ბეჭდები... - ჩაიბუტბუტა აკანკალებულმა ბებერმა სირენამ. - ხელისმომკიდე აქ არის, ამან გაიხაროს, მშვენიერი სადამოა, სიროკო უბერავს, ღმერთი გვხედავს. დავინიშნოთ, ზორბას!

ზორბასი ხან მე მიყურებდა, ხან მადამ ჰორტენზიას, ხან ბეჭდებს. ბევრი ეშმაკი იბრძოდა მასში და ჭერჭერობით ვერც ერთი ვერ იმარჯვებდა. უბედური ქალი შემკრთალი შეჰყურებდა.

- ჩემო ზორბას... ჩემო ზორბას... - ჩურჩულებდა.

მე უკვე სანოლში ვიყავი წამომჭდარი და ველოდებოდი.

ნეტავ რომელ გზას აირჩევს ზორბასი?

მოულოდნელად თავი გააქნია, გადაწყვეტილება მიიღო. სახე გაუნათდა, ტაში შემოჰკრა და ზეზე წამოვარდა.

- გარეთ გავიდეთ! - შესძახა. - ვარსკვლავების ქვეშ, ღმერთმა რომ დაგვინახოს! ხელისმომკიდევ, ბეჭდები აიღე. გალობა იცი?

- არა, - ვუპასუხე, წამოვხტი და მადამს წამოდგომაში დავეხმარე.

- დამავიწყდა, მეთქვა, ერთ დროს მედავითნე ვიყავი, მღვდელს ქორწილებში, ნათლობაში, დაკრძალვებში დავყვებოდი, ტროპ-არები ძალიან კარგად შევისწავლე. მოდი, ჩემო ბუბულინა, მოდი, ჩემო იხვო, გაინძერი, მოდი, საფრანგეთის ხომალდო, მარჯვნივ დამიდექი!

ზორბასში ამ ღამეს ყველა დემონზე კვლავ არშიყის მოყვარულ, გულკეთილ დემონს გაემარჯვა: კაბარეს დაბერებული მომღერალი შეებრალა, მისი დაბინდული, ჩამქრალი თვალების დანახვაზე გული გაებზარა.

“ეშმაკსაც წაუღია! - ჩურჩულებდა და გადაწყვეტილებას იღებდა. - მდედრობითი სქესისთვის კიდევ შემიძლია სიხარულის მინიჭება. ჰოდა, მივანიჭებ!”

სანაპიროზე გავარდა, მადამს ხელკავი გაუყარა, ბეჭდები მომანოდა, ზღვისკენ მიბრუნდა და გალობა წამოიწყო: “კურთხეული არს ღმერთი ჩვენი, ყოვლადვე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!”

მომიბრუნდა:

- ყურადღებით იყავი, ბატონო...

- ამაღამ ბატონი არავინაა, - ვუთხარი, - ხელისმომკიდე დამიძახე.

- ყურადღებით იყავი, ხელისმომკიდევ. როცა დავიძახებ: “მიდი! მიდი!”, ბეჭდები გაგვიკეთე.

თქვა და ისევ უსმენოდ, ვირივით აყროყინდა: “მონისა ამათ ღმერთისათა, ალექსისი და ჰორტენზია, ან შეერთებულთა ურთიერთარს, და ცხოვრებისა მათისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ!”

- უფალო, შეგვიწყალებ! უფალო, შეგვიწყალებ! - ჩავაგალობე, ცრემლებსა და სიცილს ძლივს ვიკავებდი.

- სხვა ტროპარებიც არის, - თქვა ზორბასმა, - მაგრამ ეშმაკმა წამილოს, თუ მახსოვდეს! თუმცა, მოდი, მთავარს დავუბრუნდეთ.

გახარებული ჰაერში შეხტა, დაიყვირა:

- მიდი! მიდი! - და ხელი გამომიწოდა.

- შენც გაუწოდე ხელი, ძვირფასო, - უთხრა თავის დანიშნულს.

ქალს რეცხვისგან შეჭმული მსუქანი ხელი უკანკალებდა. ორივეს თითებზე ბეჭდები გაფუკეთე. ზორბასი გადარეული ღრიალებდა: “დაიწინდვის მონა ღვთისა ალექსიოსი და მხევალი ღვთისა ჰორტენზია; დაიწინდვის მხევალი ღვთისა ჰორტენზია და მონა ღვთისა ალექსიოსი, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!”.

- მორჩა, დამთავრდა, გილოცავ! მოდი აქ, ჩემო ქალბატონო ზორბადენა, შენს ცხოვრებაში პირველად გეამბორო პატიოსნად!

მაგრამ მაღამ ჰორტენზია ძირს გართხმულიყო, ზორბასს ფეხებზე ეხვეოდა და ტიროდა. აღტყინებულმა ზორბასმა თავი თანაგრძნობით გაიქნია.

- ბეჩავი ქალები! - ჩაიჩურჩულა.

ქალბატონი ჰორტენზია წამოდგა, კაბის კალთები დაიფერთხა, მკლავები გაშალა.

- ეჰ, ეჰ, - დაიყვირა ზორბასმა, - დიდი სამშაბათია დღეს, ხელები დაუშვი! დიდი მარხვას!

- ჩემო ზორბას... - ჩაიჩურჩულა შეღონებულმა ქალმა.

- მოთმინება იქონიე, ჩემო ქალბატონო, აღდგომამდე მოიცადე და ხორცი მერე ვჭამოთ. წითელი კვერცხებიც დავურტყათ. ახლა დროა, შინ დაბრუნდე. რას იტყვის ხალხი, როცა დაგინახავენ, რომ ამ დროს გარეთ დადიხარ?

ბუბულინამ მუდარით შეხედა.

- არა, არა, - უთხრა ზორბასმა, - აღდგომამდე! ჩვენთან ერთად წამოდი, ხელისმომკიდევ!

ყურში ჩამჩურჩულა:

- ღვთის გულისათვის, მარტოებს ნუ დაგვტოვებ! საერთოდ არ ვარ მაგის გუნებაზე.

სოფლის გზას დავადექით. ცაში ვარსკვლავები ციმციმებდა, ზღვის სუნი იდგა, ღამის ფრინველები ხმიანობდნენ. ზორბასის მკლავზე ჩამოკიდებული ბებერი სირენა ბედნიერი და ნაღვლიანი მოაბიჯებდა.

დღეს ნავსაყუდელს მისდგომოდა, რომელსაც ასე ნატრობდა. უბედური მთელი ცხოვრება მღეროდა, ქეიფობდა, პატიოსნებს დასცინოდა, მაგრამ გული ეწვოდა. როდესაც მაკიაჟიანი, მკვეთრად შეღებილი, ჭყეტელა საგარეო კაბებში გამონწყობილი ალექსანდრის, ბეირუთის, კონსტანტინოპოლის ქუჩებში გაივლიდა ხოლმე და ღარიბ ქალებს დაინახავდა, რომლებიც ჩვილებს აწოვებდნენ, ძუძუებში ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე, ებერებოდა და კერტები უმაგრებოდა, თითქოს ისინიც ჩვილის ბაგეებს ეძებდნენ. “უნდა გავთხოვდე, უნდა გავთხოვდე, ბავშვი უნდა გავაჩინო...”, ეს იყო

მთელი მისი საფიქრალი და ოხვრას გულს ამოაყოლებდა ხოლმე. მაგრამ გულისტკივილი კაციშვილისთვის არ გაუმხელია. ახლა - დიდება შენდა, ღმერთო! - მართალია, ცოტა გვიან, მაგრამ მაინც, მოდუნებული და ზვირთებისგან დაღუნილი, სანუკვარი ნავსაყუდლისაკენ მიემართებოდა...

ქალი შიგადაშიგ გვერდით მდგომი აყლაყუდასკენ აპარებდა თვალს. "არც ოქროსფუნჯიანი მდიდარი ფაშაა, არც ლამაზი თავალიშვილი, მაგრამ არა უშავს, - ფიქრობდა. - დიდება შენდა, ღმერთო! ჩემი ქმარი გახდა, ჭვარდანერილი ქმარი. დიდება შენდა, ღმერთო!"

ზორბასი ქალს ლამის მიათრევდა. ერთი სული ჰქონდა, სოფლამდე მისულიყვნენ და თავიდან მოეშორებინა. საცოდავი ქვებზე ბორძიკობდა, ფეხის ფრჩხილები დაემტვრა, კოყრები სტკიოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. რას იტყოდა? როგორ დაიჩივლებდა? ყველაფერი კარგად იყო, დიდება შენდა, ღმერთო!

ბატონის ასულის ლეღვის ხესა და ქვრივის ბაღს ჩავუარეთ. სოფლის პირველი სახლები გამოჩნდა. გაგზერდით.

- ღამე მშვიდობისა, ჩემო ოქრო, - უთხრა კაბარეს ბედნიერმა მომღერალმა და ფეხის წვერებზე აიწია, რომ დანიშნულის ბაგეებს მისწვდომოდა.

ზორბასი არ იხრებოდა.

- ფეხები დაგიკოცნო, ჩემო სიყვარულო? - ჰკითხა ქალმა და ლამის ფეხებში ჩაუვარდა.

- არა! არა! - შესძახა გრძობამორეულმა ზორბასმა და გულში ჩაიკრა. - შენთვის ფეხები მე უნდა დამეკოცნა, ჩემო ქალბატონო, მაგრამ დაღლილი ვარ... ღამე მშვიდობისა!

დაცვილდით. უკანა გზას ხმის ამოუღებლად გავუყევით. ღრმად ვისუნთქავდით სურნელოვან ჰაერს. წუთით ზორბასი მობრუნდა და შემომხედა.

- რა ვქნათ, ბატონო? - მკითხა. - ვიცინოთ თუ ვიტყვირით? რამე მირჩიე.

პასუხი ვერ გავეცი. მეც ბურთი მქონდა ყელში გაჩრილი და არ ვიცოდი, რა იყო ეს - ქვითინი თუ ხარხარი.

- ბატონო, - მოულოდნელად ისევ მკითხა ზორბასმა, - რას ეძახდნენ მექალთანე ძველ ღმერთს, რომელსაც სამყაროში ერთი მღვდრიც არ დაუტოვებია უკმაყოფილო? რაღაც მაქვს გაგონილი. ამბობენ, წვერს ისიც იღებავდა, მკლავებზე გულებსა და გორგონებს იტვიფრავდა, ინიღბებოდა, ხარად, გედად, ვერძად, უკაცრავად და - ვირადაც გარდაისახებოდა, თითოეული ბოზის მადის თანახმად. აბა, ერთი მისი სახელი მითხარი, შენ გახარებას!

- მგონი, ზევსზე მეუბნები. საიდან გაგახსენდა?

- ღმერთმა სული გაუნათლოს! - თქვა ზორბასმა და ხელები გეცისკენ აღმართა. - ბევრს გაუძლო, ძალიან დაიტანჯა, ნამდვილი დიდმოწამე იყო. ყური მივდე, ბატონო, რაღაც გამეგება. შენ წიგნებს უსმენ, მაგრამ აბა, დაფიქრდი, ვინ წერს მათ. ჰმ! მასწავლებლები! მერე და მასწავლებლებს მექალთანეებისა და ქალებისა რა ესმით? ვაი, მაგათ პატრონს!

- თავად რატომ არ წერ, ზორბას, რომ სამყაროს ყველა საიდუმლო გაგვიმჟღავნო?

- რატომ? იმიტომ, რომ მე ყველა საიდუმლოს, რომლებზეც ვლაპარაკობ, საკუთარ თავზე გამოვცდი და დრო არ მაქვს. ხან სამყაროა, ხან ქალი, ხან ღვინო, ხან სანთური. დრო არ მაქვს ამ სისულელის, კალმის, ასაღებად. სამყარო სწავლულთა ხელში ჩავარდა. ვინც საიდუმლოებით ცხოვრობს, დრო არა აქვს და ვისაც დრო აქვს, საიდუმლოებით არ ცხოვრობს. მიხვდი?

- რაო, ზევსმა? თემიდან არ გადაუხვიო.

- ეჰ, უბედური! - თქვა ზორბასმა და ამოიხვნეშა. - მხოლოდ მე ვიცი, რამდენი იტანჯა. სიმართლეა, რომ ქალები უყვარდა, მაგრამ

არა ისე, როგორც ეს თქვენ, სწავლულებს, გგონიათ, სრულიადაც არა! ის მათ გულშემატკივრობდა, თითოეულის დარდი ესმოდა, მათთვის მსხვერპლს გაიღებდა. როცა რომელიმე მხარეში დადარდიანებულ სანდომიან ქალს დაინახავდა (ბიჭო, სანდომიანიც რომ არ ყოფილიყო, ურჩხულიც რომ ყოფილიყო), რომლის ქმარიც შინ არ იყო და ძილი არ ეკარებოდა, პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე, ტანისამოსს იცვლიდა, იმ სახეს იღებდა, რომელიც ქალს გონებაში ჰქონდა და მის საძინებელში შედიოდა.

ფარული სასიყვარულო კავშირების გაბმის ხასიათზე, მერწმუნე, ყოველთვის არ იყო, ბევრჯერ ილაჯიც გასწყვეტია. როგორ უნდა გასწვდომოდა ამხელა სამყაროს, საწყალი! ხშირად იღლებოდა, უგუნებოდ იყო. როდისმე, ბატონო, რამდენიმე ნერბთან ნამყოფი ყოჩი გინახავს? დორბლი ჩამოსდის, თვალეზი ებინდება და წირპლით ევსება, ახველებს, ხმა ეხრინნება, ფეხზე ვერ დგება. საცოდავი ზევსიც ბევრჯერ იყო ასე ცუდად. შინ გამთენიისას ბრუნდებოდა, ამბობდა: “ეჰ, როდის იქნება, ღმერთო, მეც დავწვე და დავიძინო? ფეხზე ველარ ვდგავარ!” და დორბლს იწმენდა.

მაგრამ მოულოდნელად ოხვრის ხმა გაიგონა: ქვემოთ, მიწაზე, ერთმა ქალმა საბანი გადაიძრო, ვერანდაზე გამოვიდა და ამოიხვინეშა. ზევსს მაშინვე გული მოუღბა: “ეჰ, ეჰ, მოდი, ისევ ჩავალ დედა-მიწაზე, მე უბედური, - ჩაიჩურჩულა. - ვილაც ქალმა ამოიხვინეშა, ჩავალ, ვანუგეშებ!”

ამასობაში ქალებმა ძალა გამოაცალეს. ზევსი წელში განწყდა, აღებინებდა, ბოლოს დამბლა დაეცა და მოკვდა. მერე მისი მემკვიდრე, ქრისტე, მოვიდა, დაინახა, ძველი ღმერთი რა შავ დღეშიც იყო და შესძახა: “შორს ქალებისგან!”

ვუსმენდი ზორბასს, მისი გონების სისხარტე მომწონდა და სიცოლისგან ვბჭირდებოდი.

- იცინე, იცინე, ბატონო, მაგრამ ღმერთ-ეშმაკმა თუ ხელი მოგვიმართა და საქმე კარგად წაგვივიდა - შეუძლებელი მგონია, მაგრამ მაინც! - იცი, რას გავხსნი? ქორწინების სააგენტოს! ქორწინების სააგენტო “ზევსს”! მოვიდოდნენ უბედური ქალები, რომლებმაც ქმრის

პოვნა ვერ შეძლეს: შინაბერები, უშნოები, დაბრეცილები, ბრუციანები, კოჭლები, კუზიანებიც. მე მათ სასტუმრო ოთახში მივიღებდი, რომლის კედლებიც ლამაზი ჭაბუკების ფოტოებით იქნებოდა მორთული და ვეტყვოდი: “აირჩიეთ, ჩემო ლამაზო ქალბატონებო, რომელიც გნებავთ. მე ვიზრუნებ, რომ ის თქვენი ქმარი გახდეს”, მოვძებნიდი რომელიმე ჭაბუკს, რომელიც მას ემგვანებოდა, ჩავაცმევდი, როგორც ფოტოსურათზეა, ფულს მივცემდი და ვეტყვოდი: “ქუჩა ესა და ეს, ნომერი ესა და ეს, გაიქეცი და მოძებნე ესა და ეს, ეარშიყე. არ შეგეზიზღოს, მე ვიხდი, მასთან დანეჭი, ტკბილი სიტყვები უთხარი, რომლებსაც მამაკაცები ქალებს ეუბნებიან და რომელიც უბედურს არასოდეს გაუგონია; შეჭფიცე, რომ ცოლად შეირთავ. უბედურს ცოტა სიხარული მიანიჭე, სიხარული, რომელიც თხებსაც, კუებსაც და ყურბელებსაც კი აქვთ...”

რომელიმე ბებერი დედაკაცი თუ გამოჩნდებოდა, ქალბატონი ბუბულინასავით დროული, რომლის ნუგეშისცემაც, რაც უნდა გადამეხადა, არავის მოუნდებოდა, აი, მაშინ პირჯვარს გადავიწერდი და საქმეს მე, სააგენტოს დირექტორი, ავიღებდი საკუთარ თავზე. ყველა სულელი იტყვოდა: “ჰეი, ბებერო გარყვნილო! თვალები არა გაქვს, რომ დაინახო, ცხვირი არა გაქვს, რომ იყნოსო? - მაქვს, სულელებო, მაქვს, თქვე გრძნობადაკარგულებო, თვალებიც მაქვს და ცხვირიც, მაგრამ გულიც მაქვს და მტკივა! და როცა გული გაქვს, მაშინ ცხვირი და თვალები აღარ გაქვს! ყველაფერი იკარგება!”

მეც, ამდენი ჯაფისგან დამბლადაცემული, მოვკვდები, გასაღების მპყრობელი პეტრე სამოთხის კარს გამიღებს და მეტყვის: “შემოდი, სიყვარულით დამწვარო ზორბას, შემოდი, დიდმოწამე ზორბას. წადი, შენს ამხანაგ ზევსს გვერდით მიუწევი, რომ შენც დაისვენო, დალოცვილო. ცხოვრებაში ბევრი იტანჯე!”

ზორბასი გაუთავებლად ლაპარაკობდა, მისი წარმოსახვა ხაფანგებს აგებდა და შიგ თავადვე ებმებოდა, ნელ-ნელა თავის ზღაპარს თვითონვე იჭერებდა. ბატონის ასულის ლედვის ხეს რომ ჩავუარეთ, ზორბასმა ამოიხვნეშა და ხელები შემართა, თითქოს ფიცს დებსო:

- მშვიდად იყავი, ჩემო ბუბულინა, ჩემო ძირგამომპალო, აფრე-

ბდაფლეთილო ხომალდო! მშვიდად იყავი, უნუგეშებელს არ დაგტოვებ! ოთხმა ძლევამოსილმა სახელმწიფომ მიგატოვა, ახალგაზრდობამ მიგატოვა, ღმერთმა მიგატოვა; მე, ზორბასი, არ მიგატოვებ!

შუალამე გადასული იყო, როცა ჩვენს სანაპიროს მივალწიეთ. ქარი ამოვარდა, აფრიკიდან მოსული ცხელი სამხრეთის ქარი ხეებში, ვენახებში, კრეტის მთელ მინაზე დაქროდა. ზღვაზე წამოწოლილი კუნძული თბილ, ხეების გამკვირტავ ქარს ტაოდაყრილი იღებდა. ზევსი, ზორბასი, სასიყვარულო სამხრეთის ქარი ჩემში ერთ მძიმე, შავწვერიან მამაკაცურ სახეში ერთდებოდა, რომელსაც შავი ცხიმიანი თმა ჰქონდა და წითელი თბილი ბაგეებით მაღამ ჰორტენზიასკენ - მიწისკენ - იხრებოდა.

დაწვებით. კმაყოფილმა ზორბასმა ხელები მოიფშვნიტა.

- კარგი დღე იყო დღეს, ბატონო, - მითხრა. - რას ნიშნავს კარგიო, მკითხავ. დატვირთულს! აბა, გონების თვალი გადაავლე: დილით ეშმაკის დედასთან ვიყავით, მონასტერში და ილუმენი გავაცურეთ, რამდენიც უნდა, იმდენი გვწყევლოს! შემდეგ ჩვენს ბუნაგში ჩამოვედით, ქალბატონი ბუბულინა დაგვხვდა, დავინიშნეთ, აგერ, ბეჭედიც. უმაღლესი სინჯის ბაჭაღლოა. ამბობდა, კიდევ ორი ფუნტი მაქვს, იმათგან, რომელიც გასული საუკუნის დამლევს ინგლისელმა აღმირალმა მომცაო. თურმე დასამარხავად ინახავდა. ახლა კი ოქრომჭედელს მიუტანა და მათგან ბეჭედები გააკეთებინა. რას გაუგებ ადამიანს!

- დაიძინე, ზორბას, - ვუთხარი, - დაწყნარდი, საკმარისია. ხვალ მნიშვნელოვანი დღე გვაქვს, საბაგიროს პირველი ბოძი უნდა ჩავასოთ. მღვდელ სტეფანოსსაც შევატყობინე, მოვა.

- კარგი ქენი, ბატონო, ძალიან ჭკვიანურია! წვერცანცარა და უხუცესები მოვიდნენ, სანთლები დავინაწილოთ, ავანთოთ, ეს შთაბეჭდილებას მოახდენს და ჩვენს საქმეს წაადგება. ასე ნუ მიყურებ. მე ჩემი საკუთარი ღმერთი და საკუთარი ეშმაკი მყავს, მაგრამ ხალხს...

გაიცინა. აფორიაქებული, ვერ იძინებდა.

- პაპაჩემი, - თქვა ცოტა ხანში, - ღმერთმა გაანათლოს იმის ძეგლები! - ჩემსავით გარყვნილი იყო, კაპიტანი, მაგრამ მკრეხელმა წმინდა საფლავი მოილოცა და ჰაჭი გახდა. ღმერთმა იცის, რისთვის. სოფელში დაბრუნებულს მეჭვარე, თხის ქურდი და ერთი უხეირო ვინმე, ეუბნება: “ნათლიმამ, წმინდა საფლავიდან ჭვარი პატიოსნის ნატეხი არ ჩამომიტანე?” - “როგორ თუ არ ჩამოგიტანე, - უთხრა ჩემმა გაიძვერა პაპამ. - შენ დამავინწყდებოდი? სალამოს მოდი, მღვდელიც მოიყვანე, რომ აკურთხოს და გადმოგცე. შემწვარი გოჭიც გამოაყოლე, ღვინოც მოიტანე და მშვიდობაში მოიხმარე!”

პაპა საღამოს შინ დაბრუნდა, თავის ჭიანჭამ კარს პანანინა ნაფოტი აათალა, სულ პატარა, ბრინჯის მარცვლის ოდენა, ბამბაში გაახვია, ზედ ცოტა ზეთიც დაანვეთა და დაელოდა. ცოტა ხანში, გავიხედოთ და მეჭვარეც მოვიდა მღვდლითა და გოჭით. მღვდელმა ოლარი ჩამოიკიდა, აკურთხა, პატიოსანი ხე დიდის ამბით გადასცა და გოჭს ეცნენ. დაიჭერებ, ბატონო? მეჭვარემ პატიოსან ხეს თაყვანი სცა, ყელზე ჩამოიკიდა და მას შემდეგ სხვა ადამიანი გახდა. შეიცვალა. მთებში წავიდა, არმატოლებსა და კლეფტებს შეუერთდა, თურქულ სოფლებს წვავდა, ფულს უყოყმანოდ იტაცებდა ხოლმე. რისა უნდა შეშინებოდა? თან პატიოსანი ხე ჰქონდა, ტყვია არ ეკარებოდა.

ზორბასი სიცილისგან გადაბჟირდა.

- ყველაფერი იდეაა, - მითხრა. - გჯერა? ძველი კარის ნაფოტი პატიოსან ხედ გადაიქცევა. არ გჯერა? თვით ჯვარი პატიოსანი ერთ ძველ კარად იქცევა.

ზორბასის სულს სადაც უნდა შეხებოდი, ნაპერწკლებს ყრიდა.

- როდისმე ომში ყოფილხარ, ზორბას?

- აბა, რა ვიცი? - მიპასუხა და მოიღუშა. - არ მახსოვს. რომელ ომში?

- სამშობლოსთვის გიბრძოლია?

- არ მოეშვები ამაზე ლაპარაკს? ჩავლილი, დავიწყებული სისულელეა.

- ამას სისულელეს უწოდებ, ზორბას? არ გრცხვენია? ასე ლაპარაკობ სამშობლოზე?

ზორბასმა თავი ასწია და შემომხედა. მეც წამოვიწიე. თავზე ჭრაქი დამნათოდა. კარგა ხანს მკაცრად მიყურებდა. ბოლოს ულვაში ჩაბლუჭა და თქვა:

- უმია მასწავლებლის ხორცი, მასწავლებლის ტვინი... მაპატიე,

ბატონო, რაც უნდა გითხრა, სულერთია, შეაყარე კედელს ცერცვი.

- მაგას როგორ ამბობ? - შევეკამათე. - მესმის, ზორბას, გეფიცები, მესმის!

- კი, გონებით ხვდები. ამბობ: სწორია, არასწორია; ასეა, ასე არ არის; მართალი ხარ, არ ხარ მართალი. მაგრამ რა მერე? შენს მკლავებს, შენს ფეხებს, შენს მკერდს ვაკვირდები, როცა ლაპარაკობ: ეს ყველაფერი უტყვი რჩება, არაფერს ამბობენ. თითქოს უსისხლონი იყვნენ. მაშ, რით უნდა მიხვდე? გონებით? ჰმ!

- თქვი, ზორბას, ნულარ აჭიანურებ! - გასახელებლად დაგუყვირე. - მგონი, დიდად არ განალვლებს სამშობლო, შე უსინდისო!

გაბრაზდა, მუშტი კედელს მიართყა, ნავთის ბიდონებმა ზრიალი დაიწყო.

- მაგას მე არ უნდა მეუბნებოდე, - დამიყვირა. - ჩემი თმით აიასოფია მოვქსოვე და ყელზე ჩამოკიდებულს, ავგაროზივით დავატარებდი. დიახ, ამ ხელებით მოვქსოვე, ამ თმით, რომელიც მაშინ ყორანივით შავი მქონდა. მე, რომ მიყურებ, მაკედონიის ჭიუხებში პავლოს მელასთან(პავლოს მელასი (1870-1904) - ბერძენი ოფიცერი, რომელმაც სახელი გაითქვა მაკედონიის ომში (1904-1908).) ერთად დავდიოდი. ბუმბერაზი ვიყავი, მამაცი. ყველაფერი მქონდა: წინდები, ავგაროზები, ჯაჭვები, სავაზნეები, დამბაჩები. ერთიანად რკინასა და ვერცხლში ვიჭექი. სიარულისას ისეთ ხმაურს ვტეხდი, თითქოს კავალერიამ ჩაიარაო. აი, ამას შეხედე, ამასაც... ამასაც!..

პერანგი შეიხსნა, შარვალი გაიძრო.

- ჭრაქი მოიტანე! - მიბრძანა.

მიგუახლოვდი. ჭრაქმა მჭლე, დანაოჭებული სხეული გაანათა. ღრმა იარები, ნატყვიარები დაგუნახე. სხეული საცერივით ჰქონდა დაცხავებული.

- აბა, ერთი ამასაც შეხედე!

ზურგიტ შემომიბრუნდა.

- ხედავ, უკან ერთი ნაკანრიც არა მაქვს... მიხვდი? ახლა გასწიე ჭრაქი!

შარვალი და პერანგი ჩაიცვა, ლოგინზე ჩამოჯდა.

- სირცხვილია! - დაიღრიალა. - ბიჭო, ადამიანი როდის გახდება ადამიანი? შარვლები გვაცვია, საყელოები გვიკეთია, ქუდები გვახურავს და მაინც ჯერ კიდევ ჭორები ვართ, მგლები, მეღიები, ღორები. ამბობენ, ღვთის სახე გვაქვსო! ვის? ჩვენ? მიმიფურთხებია ჩვენი ცხვირ-პირისთვის!

ზორბასს საზარელი მოგონებები ამოუტივტივდა და კიდევ უფრო გახელდა. მორყეულ, გამოხრულ კბილებში ყურით გაუგონარ სიტყვებს სცრიდა. წამოდგა, წყლიან კოკას დასწვდა, დალია, კიდევ დალია. გაგრილდა და გონს მოეგო.

- სადაც უნდა შემეხო, - ამოიხრა, - იარებით ვარ სავსე. შენ კიდევ ქალებზე მეტჟურები. როგორც კი მიხვდი, რომ ჭეშმარიტი მამაკაცი ვიყავი, მათკენ აღარც გამიხედავს. თუ გავიხედავდი, მხოლოდ წამით, მამალივით ვეცემოდი ხოლმე და მივდიოდი. “ბინძური ძუკნები, - ვამბობდი, - ბინძური დედაკაცები, უნდათ, რომ ძალა გამოცალონ! ფუი, მომწყდნენ თავიდან!”

ჰოდა, დამბაჩას ხელი დავავლე და გზას გავუდექი! აჯანყებულთა რიგებს შევუერთდი, კომიტაჯი(“კომიტაჯებს” უწოდებდნენ აჯანყებულთა საიდუმლო ორგანიზაციის წევრ მამაკაცებს, რომლებიც ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდნენ ბალკანეთში. მათ ფარულად აფინანსებდნენ სხვა ქვეყნები, განსაკუთრებით კი ბულგარეთი.) გავხდი. ერთ დღეს, შებინდებულზე, რომელიღაც ბულგარულ სოფელში შევრგე თავი და თავლაში დავიმაღე. ბულგარელი მღვდლის, ერთი სისხლისმსმელი კომიტაჯის სახლი იყო. ღამით შესამოსელს იხდიდა, მწყემსივით იცვამდა, იარაღს იღებდა და ბერძნული სოფლებისაკენ გასწევდა ხოლმე. დილით, გამთენიისას, ბრუნდებოდა, ლაფსა და სისხლს ჩამოირეცხავდა და წირვას ატარებდა. იმ დღეებში ერთი ბერძენი მასწავლებელი მოკლა თავის

ლოგინში, მძინარე. ჰოდა, მღვდლის თავლაში შევედი და დაველოდე. ხარების უკან ნეხვში ვინეჩი და ველოდი. გავიხედოთ და, სალამო ხანისთვის მღვდელი შემოვიდა, რომ საქონლისთვის ეჭმია. ვეცი და ბატკანივით დაგვკალი. ყურები მოვსხიპე და თან წავიდე. იცი, ბულგარელების ყურებს ვაგროვებდი. ჰოდა, მღვდლის ყურები ავიღე და წავედი.

ცოტა ხანში, დღისით-მზისით, იმ სოფელში ისევ მივედი, თავი მენწვრილმანედ გავასაღე. იარალი მთაში მქონდა დატოვებული. სოფელში პურის, მარილისა და ბიჭებისთვის ცარუხების საყიდლად შევედი. ამ დროს ერთი სახლის წინ შავებში ჩაცმული ხუთი ფეხშიშველა ბავშვი დავინახე, რომლებიც ხელგანვდილი მათხოვრობდნენ. სამი გოგონა და ორი ბიჭი იყო. უფროსი ათ წლამდე იქნებოდა, უმცროსი - ჯერ კიდევ ჩვილი და უფროს გოგოს გულში ჰყავდა ჩახუტებული, კოცნიდა და ეფერებოდა, რომ არ ეტირა. არ ვიცი, რატომ, ალბათ, გონება ღმერთმა გამინათა, მათთან მისვლა მომინდა.

- ვისები ხართ, ბავშვებო? - ვეკითხები ბულგარულად.

უფროსმა ბიჭმა თავი ასწია:

- მღვდლისები, - მიპასუხა, - გუშინწინ თავლაში რომ მოკლეს.

თვალთ დამიბნელდა, მიწა დოლაბივით დატრიალდა, კედელს მივეყრდენი.

- მომიახლოვდით, ბავშვებო! - ვუთხარი. - ჩემთან მოდით.

სელახიდან(სელახი - ქამარი, რომელსაც ბევრი ჯიბე და იარაღის ჩასადები აქვს.) თურქული ლირებით სავსე ტომსიკა ამოვიღე, ჩავიმუხლე, მიწაზე წამოვცალე.

- აი, აიღეთ, - დავუძახე, - აიღეთ! აიღეთ!

ბავშვები ეცნენ, პატარა ხელებით ლირების აკრეფა დაიწყეს.

- თქვენია, თქვენია! - ვეძახდი. - აიღეთ!

წვრილმანებით სავსე გოდორიც დავეტოვე.

- ყველაფერი თქვენია, აიღეთ!

მაშინვე გამოვიქეცი, სოფლიდან გამოვედი, პერანგი გავიხსენი, მოქსოვილი აია-სოფია მოვიძრე, გავგლიჯე, გადავაგდე და გავიქეცი... და ჯერაც გავრბივარ!

ზორბასი კედელს მიეყრდნო და შემომხედა:

- ამგვარად დავაღწიე თავი, - თქვა.

- სამშობლოს დააღწიე თავი?

- კი, სამშობლოს, - მიპასუხა ზორბასმა მშვიდი, მტკიცე ხმით.

ცოტა ხანში კი დაამატა:

- სამშობლოს დავაღწიე თავი, მღვდლებს დავაღწიე თავი, ფელს დავაღწიე თავი, მტვერს ვიფერთხავ. რაც დრო გადის, მით მეტ მტვერს ვიფერთხავ, ვმსუბუქდები. როგორ გითხრა? ვთავისუფლდები, ადამიანი ვხდები.

ზორბასს თვალები უბრწყინავდა, ფართო პირი კმაყოფილებისგან უცინოდა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ლაპარაკი განაგრძო. აბორგებულ გულს ვეღარ იურვებდა:

- ადრე ვამბობდი: ესენი თურქები და ბულგარელები არიან, ეს ბერძენია-მეთქი. ისეთი რამეები გამიკეთებია სამშობლოსთვის, ბატონო, თმა ყალყზე დაგიდგება. მოგვკალი, გავძარცვე, სოფლები გადავწვი, ქალები გავაუპატიურე, ოჯახები ამოვწყვიტე... რატომ? იმიტომ, რომ ბულგარელები, თურქები იყვნენ. ფუი, დაიკარგე, უნამუსო, ხშირად ვეუბნები საკუთარ თავს და შევაჩვენებ. ფუი, დაიკარგე, შტერო! ჭკუა ვისწავლე, ახლა ადამიანებს ვუყურებ და ვამბობ: ეს კარგი ადამიანია, ის - ცუდი. რა მნიშვნელობა აქვს, ბულგარელია თუ ბერძენი? ჩემთვის ერთი და იგივეა. კარგია თუ ცუდი, ახლა მხ-

ოლოდ ამას ვკითხულობ. და რაც ვბერდები, დიახ, გეფიცები პურს, რომელსაც ვჭამ, მეჩვენება, რომ ნელ-ნელა ამასაც აღარ ვკითხულობ. შე კაცო, რა მნიშვნელობა აქვს კარგსა და ავს! ყველა მეცოდება, გულ-ღვიძლი მეფლითება, როცა კაცს ვხედავ, თუნდაც თავი მოვაჩვენო, რომ არ მანალვლებს: ეს უბედურიც ჭამს, სვამს, უყვარს, ეშინია, მასაც თავისი ღმერთი და თავისი ანტიღმერთი ჰყავს, ისიც გაჭიმავს ფეხს, ისიც ჩანვება მიწაში და მატლები მასაც შეჭამენ-მეთქი... საწყალი! ყველანი ერთნი ვართ... სამატლე ხორცი!

თუ ქალია, მაშინ, ღმერთს გეფიცები, ტირილი მინდება. გამუდმებით მეშაყირები, ბატონო, ქალები გიყვარსო. როგორ არ უნდა მიყვარდეს, ბიჭო? ისინი ხომ სუსტი ქმნილებები არიან, რომლებმაც არ იციან, რას აკეთებენ, რომლებსაც თუ ძუძუში ჩაავლე ხელი, მაშინვე ყველა კარს გიხსნიან და გნებდებიან?

ერთხელ ისევ შევედი ბულგარულ სოფელში. სოფლის ერთმა უნამუსო, ბერძენმა მამასახლისმა გამცა და იმ სახლში გამომკეტეს, სადაც გაჩერებული ვიყავი. ბანზე ავვარდი, სახურავიდან სახურავზე გადავდიოდი. მთვარიანი ღამე იყო, კატასავით ვერანდიდან ვერანდაზე ვხტოდი, რომ თავი დამეღწია. მაგრამ ჩემი ჩრდილი შეამჩნიეს, სახურავზე ამოვიდნენ და სროლა ამიტეხეს. სწორედ ამ დროს - მეტი რა გზა მქონდა? - ერთ ებოში ჩავხტი. ბულგარულ ქალს პერანგის ამარა ეძინა ებოში. რომ დამინახა, დასაყვირებლად პირი დააღო, მაგრამ ხელი გავიშვირე, ვუთხარი: “ამან! ამან! ჩუმაღ!” და მკერდზე შევეხე. ქალი გაფითრდა, თავი დახარა. “შიგნით შემოდი, - ჩუმაღ მითხრა. - შემოდი, არავინ დაგვინახოს...”. შიგნით შევედი, ხელი ხელზე მომიჭირა: “ბერძენი ხარ?” - მკითხა. “კი, ბერძენი ვარ, არ გამცე”. ხელი წელზე მოვხვიე, ხმა არ ამოუღია. მასთან დავწექი, გული სიამოვნებისგან მითრთოდა. აი, ვამბობდი, ბიჭო ზორბას, ამას ჰქვია ნამდვილი ქალი, ნამდვილი ადამიანი! ეს ქალი ბულგარელია? ბერძენია? უცხოტომელია? ეს ერთი და იგივეა, ბიჭო. ადამიანია, ადამიანი. სირცხვილი არ იქნება, რომ მოკლა?!

ამას ვამბობდი, სანამ მასთან, მის სითბოში ვიყავი, მაგრამ სამშობლო, ცოფიანი ძალი, თავს არ მანებებდა! დილით ბულგარულად გადაცმული გამოვედი. ბულგარელმა ქვრივმა თავისი ცხონებუ-

ლი ქმრის ტანსაცმელი სკივრიდან ამოიღო, მომცა, მუხლებს მიკოცნიდა და მევედრებოდა, დავბრუნებულიყავი.

ღიახაც, მეორე ღამესვე დავბრუნდი. აბა როგორ, პატრიოტი ვიყავი, ველური ცხოველი! ერთი ბიღონი ნავთით დავბრუნდი და სოფელი გადავწვი. ალბათ, ის უბედურიც დაიწვებოდა. ლიუდმილა ერქვა...

ზორბასმა ამოიხვნეშა, სიგარეტს მოუკიდა, ორჯერ მოქაჩა და მოისროლა:

- სამშობლოო, მეუბნები... იმ სისულელეებს უსმენ, რასაც შენი ქალაქლები გეუბნებიან... მე მომისმინე. სანამ სამშობლო იარსებებს, ადამიანი ველურ ნადირად, მხეცად დარჩება... მაგრამ, დიდება შენდა, ღმერთო, გადავრჩი, ყველაფერი დამთავრდა! შენი საქმე როგორღაა?

არ ვუპასუხე. ყველა პრობლემას, რომელთა გადაჭრას ცოტცოტაობით ჩემს მარტოობაში, სკამზე მილურსმული, ვცდილობდი, ეს ადამიანი მთაში, სუფთა ჰაერზე, მახვილის ერთი მოქნევით ჭრიდა.

სასონარკვეთილმა თვალები დავხუჭე.

- გძინავს, ბატონო? - ოხვრით მკითხა ზორბასმა. - მე სულელი კი ვზივარ და გელაპარაკები!

ბურღუნით ჩანვა ლოგინში და ცოტა ხანში ხვრინვა ამოუშვა.

მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. პირველმა ბულბულმა, რომლის ხმაც ამ საღამოს ჩვენს მარტოობაში გაისმა, სამყარო გაუსაძლისი სიმწრით აავსო და მოულოდნელად ვიგრძენი, თვალებიდან ცრემლები როგორ ჩამომიგორდა.

დილაუთენია ავდექი, კარში დავდექი და ზღვასა და მიწას გავხედე. მომეჩვენა, რომ სამყარო ერთ ღამეში შეცვლილიყო. ჩემ პირისპირ, ქვიშაზე, ჯერ კიდევ გუშინ საცოდავ ბუჩქს პანანინა თეთრი ყვავილები ამოეყარა. ჰაერში აყვავებული ლიმონისა და ფორთ-

ოხლის ხეების ტკბილი სურნელი იღვრებოდა. ახლად მორთულ მიწაზე პირველი ნაბიჯი გადავდგი. მარადიული განახლებადი სასწაულის ცქერით ვერ ვძლებოდი.

მოულოდნელად უკნიდან მხიარული შეძახილი გავიგონე. მოგბრუნდი. ნახევრად შიშველი ზორბასი ფეხზე წამომხტარიყო, კარში იდგა და გაბაფხულს ისიც მოხიბლული უყურებდა.

- ეს რა არის, ბატონო! - შესძახა თავგზააბნეულმა. - რჯულს გეფიცები, პირველად ვხედავ სამყაროს. რა სასწაულია, ბატონო, ის ლაჟვარდისფერი, იქ რომ ტორტმანობს? რა ჰქვია მას? ზღვა? ზღვა? და ის, მწვანე ყვავილებიანი კალთა რაღაა? მიწაა? რომელმაც ხელოვანმა შექმნა? ვფიცავ, ბატონო, პირველად ვხედავ.

თვალეებზე ცრემლი მოსდგომოდა.

- ჰეი, ზორბას, - დავუძახე, - გამოყეყედი?

- ნუ იცინი! განა ვერ ხედავ? გვაჭადოებენ, ბატონო!

გარეთ გამოვარდა, ცეკვა დაიწყო, გაბაფხულის დადგომით გახარებული კვიცივით მწვანეზე გაგორდა.

მზემ გამოანათა. გასათბობად ხელისგულები მიფუშვირე. კვირტებისა და მკერდის დამბერავი ქარი ქროდა, სული კვირტივით იხსნებოდა, გრძნობდი, რომ სული და სხეული ერთი და იმავე მასალისაგან იყო შექმნილი.

ზორბასი უკვე წამომდგარიყო, დაცვარული თმა მიწით ჰქონდა სავსე.

- ჩქარა, ბატონო! - დამიძახა. - ჩავიცვათ, მოვირთოთ. დღეს კურთხევა გვაქვს. სადაცაა, მღვდელი და სოფლის თავკაცები მოვლენ. თუ დაგვინახეს, რომ ბალახზე ვგორავთ, რა სირცხვილი იქნება ფირმისთვის! აბა, ჩქარა, საყელოები და ჰალსტუხები! სერიოზული სახეები მივიღოთ! არა უშავს, თავი თუ არ გაქვს, მთავარია, ქუდი გქონდეს... ფუი ამისი!..

ჩავიცვით, მოვემზადეთ, მალე მუშები მოვიდნენ, თავკაცებიც გამოჩნდნენ.

- თავი შეიკავე, ბატონო, არ გაგეცინოს, აქეთ არ გავხდეთ დასაცინი.

წინ მღვდელი სტეფანოსი მოდიოდა ღრმაჯიბეებიანი გაქონილი შესამოსლით. კურთხევისას, დაკრძალვებზე, ქორწილებში, ნათლობებში სწორედ ამ უძირო ჯიბეებში იყრიდა განურჩევლად ყველაფერს, რითაც უმასპინძლებოდნენ: ქიშმიშს, ბლითებს, ხაჭოს კვერებს, კიტრებს, კეფტედესს(კეფტედესი - გუფთისმაგვარი კერძი.), კოლიოს, ნუშის შაქარლამებს. სალამოს კი ბებერი ფოფოლია სათვალეს იკეთებდა და მათ პირის ცმაცუნით არჩევდა...

მღვდელ სტეფანოსს უკან სოფლის თავკაცები მოჰყვებოდნენ: ყავახანის პატრონი კონდომანოლიოსი, ქვეყანაში გამოსული კაცი, ხანიამდე იყო ჩასული და პრინცი გეორგიოსი ჰყავდა ნანახი; ძია ანაღნოსტისი, ქათქათა განიერსახელოებიან პერანგში გამონწყობილი, მშვიდი და ღიმილგადაფენილი; სერიოზული, ავტორიტეტული ხელჯოხიანი მასწავლებელი; დაბოლოს, ნელი, მძიმე ნაბიჯით - მაგრანტონისი. შავი სარიკი მოეხვია, შავი პერანგი და შავი ჩექმები ეცვა. დამწუხრებულმა და მრისხანემ ცალყბად გაიღიმა და განცალკევებით, ზღვისკენ ბურგმეჭყევით დადგა.

- ღვთის სახელით! - თქვა ზორბასმა დარბაისლურად, მერე ხალხს წინ წაუძღვა და ისინიც რელიგიური ღვთისმოსაობით მიჰყვნენ.

მაგიური რიტუალების ძველისძველი მოგონებები იღვიძებდნენ სოფლურ გულებში. ყველას თვალები მღვდლისთვის მიეღურსმა, თითქოს უნდოდათ, ენახათ, უხილავ ძალებს როგორ შეებრძოლებოდა და შეულოცავდა. ათასი წლის წინ ჯადოქარი ხელებს აღაპყრობდა, გარშემო წმინდა წყალს ასხურებდა, საიდუმლო ყოვლისშემძლე სიტყვებს ჩურჩულებდა და ბოროტ დემონებს განდევნიდა. წყლიდან, მიწიდან და ჰაერიდან კი ადამიანის დამხმარე კეთილი სულები მოიჩქაროდნენ.

საბაგიროს პირველი ბოძის ჩასაგდებად სანაპიროსთან გაჭრილ ორმოს მივადექით. მუშებმა ფიჭვის პირველი დიდი მორი ასწიეს და ორმოში ფეხზე დააყენეს. მღვდელმა სტეფანოსმა ოლარი გადაიცვა, უსუპი აიღო, ბოძს მკაცრი, გამკიცხავი მზერა მიაპყრო და ლოცვა დაიწყო: "...და დაამტკიცე ესე კლდესა ზედა მტკიცესა, რათა არა მოიწიოს ამას ზედა არცა ქარი, არცა წყალი და არც სხვა მავნებლისა ძლიერება... ამინ!"

- ამინ! - ხაფი ხმით დაიძახა ზორბასმა და პირტვარი გადაიწერა.

- ამინ! - დაიძახეს სოფლის თავკაცებმა.

- ამინ! - შესძახეს ბოლოს მუშებმაც.

- ღმერთმა დალოცოს თქვენი საქმე და მოგვეგოთ აბრაამისა და ისააკისაგან! - დაილოცა მღვდელი სტეფანოსი და ზორბასმა მუჭში ქალაქის ფული ჩაუკუჭა.

- დამილოცნიხარ! - დაიხურჩულა კმაყოფილმა მღვდელმა.

ბარაკში დავბრუნდით. ზორბასი სტუმრებს ღვინითა და სამარხვო კერძებით - რვაფეხათი, ხამანწკებით, ბარდით, ზეთისხილით - გაუმასპინძლდა. შემდეგ ყველა ოფიციალური პირი ნაპირს გაუყვა და გაუჩინარდა. მაგიური რიტუალი დასრულდა.

- ყველაფერი მოვაგვარეთ! - თქვა ზორბასმა და ხელები მოიფშვნიტა.

გამოიცვალა, სამუშაო ტანისამოსი ჩაიცვა, წერაქვი აიღო.

- ბიჭებო, - მუშებს დაუძახა, - წინ, ღვთის სახელით!

მთელი ის დღე ზორბასს თავი არ აუწევია, ცოფიანივით ეცა სამუშაოს. ყოველ ორმოცდაათ მეტრში მუშები ორმოებს თხრიდნენ, ბოძებს ასობდნენ, ბაგირებს ჭიმავდნენ და მთის მწვერვალისაკენ მიიწევდნენ. ზორბასი ზომავდა, ანგარიშობდა, ბრძანებებს გასცემდა, მთელი დღე არც უჭამია, არც მოუწევია, სული არ მოუთქვამს. თავაუღებლად მუშაობდა.

- სანახევროდ გაკეთებულმა საქმემ, - მითხრა ერთხელ, - სანახევროდ ლაპარაკმა, სანახევროდ ჩადენილმა ცოდვამ, სანახევროდ გაკეთებულმა სიკეთემ მიიყვანა სამყარო დღევანდელ საშინელე-ბამდე. მიდი, ადამიანო, ბოლომდე, შეუტეე და ნუ გეშინია! ღმერთს ეშმაკთა მეთაურზე მეტად ნახევრად ეშმაკი ეჭავრება!

სალამოს, როცა საქმე მოამთავრა, ქვიშაზე სიქაგამოცლილი მიეგდო.

- აქ დავიძინებ, - თქვა, - გათენებას დაველოდები, რომ ისევ საქმეს შევუდგეთ. ცვლებს დავადგენ, რომ ღამითაც ვიმუშაოთ.

- ასე რატომ ჩქარობ, ზორბას?

ცოტა ხანს ორჭოფობდა.

- რატომ? მინდა, ვნახო, დახრა სწორად გამოვიანგარიშე თუ არა. თუ ვერ გამოვიანგარიშე, ეშმაკი წაგვიღებს, ბატონო. და რაც უფრო მალე ვნახავ, რომ საქმე კარგად არ მიდის, მით უკეთესი!

ნაჩქარევად ჭამა და ცოტა ხანში სანაპიროზე მისი როხროხი გაისმა. მეც კარგა ხანს ვფხიზლობდი, ბაც ცისფერ ზეცაში თანავარსკვლავედების ნელ მოძრაობას ვადევნებდი თვალს. ჩემი თავიც ობსერვატორიის გუმბათივით მათ კვალდაკვალ მოძრაობდა. “ადევნე თვალი ვარსკვლავთა მსვლელობას, თითქოს შენც მათთან ერთად ბრუნავდე...” - მარკუს ავრელიუსის ამ ფრაზამ გული ჰარმონიით ამიღისო.

აღდგომა დადგა. ზორბასი გამოეწყო, მოირთო, წინდებიც ჩაიცვა - ყოფილი საყვარლის მოქსოვილი ბადრიჯნისფერი მაკედონიური სქელი წინდები. გორაკზე, ჩვენს სანაპიროსთან ახლოს, აფორიაქებული ბოლთას სცემდა, ხელით თვალებს იჩრდილავდა და გაღმა სოფელს გასცქეროდა.

- იგვიანებს ქუჩის ქალი... იგვიანებს უღირსი დედაკაცი... იგვიანებს დახეული ალაში...

ახალდაფრთიანებული პეპელა მოფრინდა, ზორბასის უღვაშზე ჩამოჯდომა სწაღდა, მაგრამ ზორბასს მოეღიტიინა და შეუბერა. პეპელა მშვიდად აფრინდა და კაშკაშა სინათლეში გაუჩინარდა.

დღეს მადამ ჰორტენზიას ველოდით, რათა აღდგომა მასთან ერთად გვებეიმა. შამფურზე ბატკანი შევწვით, კოკორეცი(კოკორეცი - ბერძნული ეროვნული კერძი, რომელიც საქონლის შიგნეულისგან მზადდება.) გავაკეთეთ, კვერცხები შევღებეთ, ქვიშაზე თეთრი ზენარი გავშალეთ. ზორბასმა და მე, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მოვილაპარაკეთ, მისთვის დიდებული დახვედრა მოგვეწყო. ამ უკაცრიელ ქვიშიან სანაპიროზე ქონიანი, სურნელოვანი, ლპობაშეპარული სირენა, ჩვენდა უნებურად, უცნაურად გვხიბლავდა. როცა ჩვენთან არ იყო, რაღაც გვაკლდა: ოდეკოლონის სურნელი, წითელი ფერი, იხვივით ბაჭბაჭი, ჩახრინწული ხმა და ამღვრეული, უფერული თვალეები.

მირტისა და დაფნის ტოტები მოვჭერით და ტრიუმფალური თაღის მსგავსი რაღაც გავმართეთ, რომ მის ქვეშ გამოევლო. თაღზე ოთხი - ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და რუსეთის - დროშა დავაჭედეთ, შუაში კი, ყველაზე მაღლა, გრძელი ლურჯმოლებიანი თეთრი ზენარი(იგულისხმება საბერძნეთის ეროვნული დროშა.) ავაფრიალეთ. ზარბაზნები არ გვქონდა, მაგრამ ორი დამბაჩა ვითხოვეთ და შევთანხმდით, გორაკზე დავმდგარიყავით და სანაპიროზე პრანჭვა-გრეხით მომავალი სელაპის დანახვისთანავე სროლა აგვეტეხა. უდაბურ ქვიშიან სანაპიროზე მისთვის ძველი დიდების გა-

ცოცხლება გვინდოდა, რათა ის უბედურიც წამით მოტყუებულიყო და დაეჭერებინა, რომ ისევ გაახალგაზრდავდა, კანს ვარდისფერი დაუბრუნდა, მკერდაკოკრილს გაპრიალებული ქოშები და აბრეშუმის წინდები ეცვა. რა ღირებულება ექნებოდა ქრისტეს აღდგომას, ჩვენში ახალგაზრდობა, სიხარული, სასწაულის რწმენა რომ არ აღედგინა და მეძავ დედაბერს ისევ ოცი წლის გოგოსავით არ ეგრძნო თავი?

- იგვიანებს ქუჩის ქალი... იგვიანებს უღირსი დედაკაცი... იგვიანებს დახეული ალაში... - ბურღუნებდა მალიმალ ზორბასი და ბადრიჭნისფერ წინდებს ექაჩებოდა, რომლებიც წამდაუნუმ ეჩაჩებოდა.

- მოდი, დაჭექი, ზორბას! - ვუთხარი. - ხის ჩრდილში სიგარეტი მოწიე. საცაა, გამოჩნდება.

ერთხელ კიდევ ესროლა მოწყურებული მზერა სოფლის შარაგმას და კერატის ხის ძირში დაჯდა. შუადღე ახლოვდებოდა, ჩამოცხა. შორიდან სააღდგომო მარების რეკვის მხიარული ხმა ისმოდა. ქარს შიგადაშიგ ჩვენამდე ლირის ხმებიც მოჰქონდა. მთელი სოფელი გაბაფხულის სკასავით ბუზუნებდა.

ზორბასმა თავი გააქნია.

- დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, - თქვა, - რაც ჩემი სული ყოველ აღდგომაზე ქრისტესთან ერთად აღდგებოდა ხოლმე. ახლა მხოლოდ ჩემი სხეული აღდგება. ხან ერთი მეპატიჟება, ხან მეორე, სხვადასხვა კერძს მთავაზობენ, მეც უფრო უხვად და უფრო გემრიელ საჭმელს ვჭამ, რომელთაგანაც ყველაფერი ნეხვად არ იქცევა. რაღაც გადარჩება და გართობად, ცეკვად, სიმღერად, ჩხუბად გარდაიქმნება. სწორედ ამ რაღაცას ვუწოდებ “აღდგომას”.

ვიღაც დალანდა და ბეზე წამოხტა, მაგრამ მაშინვე მოიქუფრა:

- ვიღაც ბავშვი მორბის, - თქვა და მაცნის შესაგებებლად გავარდა.

ბავშვი ფეხის წვერებზე აიწია და ზორბასს ყურში რალაც ჩასჩურჩულა. ზორბასი გადარეული შეხტა:

- ავადაა? - შეჰყვირა. - ავადაა? მომშორდი, თორემ გაგნკებულავ!

მომიბრუნდა:

- ბატონო, - მითხრა, - სოფელში გავვარდები, რომ ვნახო ერთი, რა დაემართა იმ ქუჩის ქალს... მოითმინე. ორი წითელი კვერცხი მომეცი, რომ წავუღო და დავუჭახუნოთ. წავედი!

წითელი კვერცხები ჭიბეში ჩაიწყო, ჩაჩაჩული წინდები აიწია და გზას გაუდგა.

მალლობიდან ჩამოვედი და ჩვენს სანაპიროზე გრილ კენჭებზე წამოვწექი. მსუბუქი სიო უბერავდა, ზღვა იფოფრებოდა. ორი თოლია ტალღებზე დაეშვა. ზღვის რიტმს აყოლილებმა და ამყად თავანულებმა რწევა დაიწყეს.

რა სასიამოვნო იყო იმის წარმოდგენა, თუ რა კმაყოფილებას ჰგვრიდათ ტალღების სიგრილე. თოლიებს ვუყურებდი და ვფიქრობდი: “აი, ეს არის გზა, რომ ცხოვრების დიდ რიტმს მიაგნო და მიენდო”.

ზორბასი ერთ საათში გამოჩნდა, უღვაშზე ხელს კმაყოფილი ისვამდა.

- გაციებულა საცოდავი, არაფერია. ახლა, ვნების კვირაში, ღამისთვის ლოცვებზე ისიც დადიოდა, მერე რა, რომ ფრანგია. მითხრა, ასე შენს პატივსაცემად მოვიქეციო. გაცივდა უბედური. კოტომები დავაყარე, კანდელის ზეთით კარგა გვარიანად დავბილე, რომიც დავალევი, ხვალ ჩიტვით იქნება. ეგ უნამუსო, ამტანი ვინმეა. ელიტინებოდა, როცა ვბელდი და მტრედივით ლულუნებდა.

საჭმელად მოვეწყვეთ. ზორბასმა ჭიქები შეავსო:

- ბუბულინას გაუმარჯოს! სიკვდილსაც დავიწყებია! - თქვა თბილ-

ად.

კარგა ხანს ვჭამდით და ვსვამდით. კრინტი არ დაგვიძრავს. ქარს შორიდან ფუტკრების ბუზუნი და ლირის მხიარული ხმები მოჰქონდა. ქრისტეს აღდგომას კვლავ გეიმობდნენ, სააღდგომო ბატკანსა და ბლითებს სასიყვარულო შაირები მოსდევდა.

კარგად რომ ჭამა და დალია, ზორბასმა ბანჯგვლიანი ყური ცქვიტა:

- ლირა... - ჩაიჩურჩულა, - სოფელში ცეკვავენ!

გეზე წამოვარდა. ღვინო უკვე თავში ავარდნოდა.

- ბიჭო, რას ვუზივართ აქ ჭოტებივით? - დაიყვირა. - წავიდეთ, ვიცეკვოთ! ბატკანი არ გებრალევა? ასე უაზროდ უნდა დაიკარგოს? მოდი, ის ცეკვად და სიმღერად ვაქციოთ! ზორბასი აღდგა!

- ზორბას, ხომ არ გადაირიე?

- გეფიცები, რაც გინდა, თქვი, ბატონო, მაგრამ ბატკანი, წითელი კვერცხები, სააღდგომო ბლითები, ხაჭო მენანება. გეფიცები, პური და მეთისხილი რომ მეჭამა, ვიტყოდი: "ეჰ, მოდი, დავწვები, დავიძინებ, მოლხენა რაში მჭირდება? მეთისხილი და პურია, უკეთესს რას ელი?", მაგრამ ახლა მენანება-მეთქი, გეუბნები, ასეთი საჭმელი უფსკრულში გადაეშვას! წავიდეთ, აღდგომა ვიზეიმოთ, ბატონო!

- დღეს მაგის გუნებაზე არა ვარ. შენ წადი, ჩემ ნაცვლადაც იცეკვე!

ზორბასმა მკლავში ხელი მტაცა, ფეხზე წამომავლო.

- ქრისტე აღდგა, ჩემო ბიჭო! ეჰ, შენი ახალგაზრდობა მომცა! მღვა, ქალი, ღვინო, ბლომად სამუშაო, რომ თავით გადავეშვა! თავით გადაეშვა საქმეში, ღვინოში, სიყვარულში და არც ღვთისა შეგემინდეს, არც ეშმაკის - ეს არის ვაჟკაცობა!

- ბატკანი ლაპარაკობს შენში, ზორბას. გადაირია, მგლად იქცა! -

ვუთხარი სიცილით.

- ბიჭო, ბატკანი ზორბასად იქცა. ზორბასი ლაპარაკობს-მეთქი! მომისმინე და შემაჩვენე. მე სინდბადი ვარ, არა იმიტომ, რომ ბევრი ქვეყანა მოვიარე, სულაც არა! არამედ იმიტომ, რომ მოვიპარე, მოვკალი, ვიცრუე, უამრავ ქალთან ვინეჯი. ყველა მცნება დავარღვიე. რამდენია? ათი? ბიჭო, რატომ ოცი არ არის, ორმოცდაათი, ასი, რომ ყველა დამერღვია? ღმერთი თუ არსებობს, სიკვდილის შემდეგ მის წინაშე წარდგომისა სრულებითაც არ შემეშინდება. არ ვიცი, უკეთ როგორ ავიხსნა, მაგრამ ამას ყველაფერს, მგონი, მნიშვნელობა არა აქვს. ღმერთს ეგლა აკლია, რომ დედამიწის რაღაც ჭიაცულებს ჩაუსაფრდეს და მათი ცოდვები აღნუსხოს. გაბრაზდეს, იგინოს და ხასიათი გაიფუჭოს იმიტომ, რომ მცნებები დაარღვიეს, გვერდით მყოფ მდედრ ჭიაცულას ეცნენ და ოთხშაბათ-პარასკევს ერთი ლუკმა ხორცი ჩახეთქესო?! ფუი, გადაშენდით, არამზადებო!

- კარგი, ზორბას, - ვუთხარი გასაღიზიანებლად, - კარგი, ღმერთი იმას კი არ გეკითხება, რა შეჭამე, არამედ იმას, რა გააკეთე!

- მერწმუნე, მაგასაც არ გეკითხება! საიდან იცი, გაუნათლებელო ზორბას, მკითხავ. დანამდვილებით ვიცი. მე ორი ძე რომ მყოლოდა, ერთი გონიერი, მეოჯახე, მომჭირნე, ღვთისმომშიში, მეორე კი გაქნილი, სამართალდამრღვევი, მოქეიფე, მექალთანე, ორივეს მაგიდასთან დავისვამდი. თუმცა რა ვქნა, გული მაინც მეორისკენ გადაიხრებოდა. ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი მსგავსი იქნებოდა. ვინ გითხრა, რომ მე ღმერთს მღვდელ სტეფანოსზე მეტად არ ვგავარ, რომელიც დღედაღამ მეტანიებს ასრულებს, გროშებს აგროვებს და ზამთარში თოვლს არ გამოიმეტებს?

ღმერთი ღრეობს, კლავს, უსამართლობას სჩადის, უყვარს, მუშაობს, ზუსტად ჩემნაირად დასდევს მოუხელთებელ ფრინველებს. ჭამს იმას, რაც მოსწონს, მისთვის სასურველ ნებისმიერ ქალს ეუფლება. ხედავ წყაროს წყალივით ლამაზ ქალს, მიწაზე დადის და გულს გიხარებს. მოულოდნელად მიწა იხსნება და ქალი იკარგება. სად მიდის? ვის მიჰყავს? თუ კეთილგონიერია, ვამბობთ: ღმერთმა წაიყვანაო, თუ პრანჭიაა, ვამბობთ: ეშმაკმა წაიყვანაო. მაგრამ გუებნები, ბატონო: ღმერთი და ეშმაკი ერთია!

არაფერი მითქვამს. ზორბასმა ჯოხი აიღო, ქუდი დარდიმან-დულად გვერდზე მოიქცია, სიბრაღულით შემომხედა - ასე მომეჩვენა - ტუჩები წუთით შეარხია, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია და ჩქარი ნაბიჯით, უღვაშის გრეხით, სოფლისკენ გასწია.

სალამოს შუქზე კენჭებზე მის გიგანტურ ჩრდილს ვხედავდი, რომელიც ჯოხის ქნევით მშორდებოდა. მისი გავლისას მთელი სანაპირო ცოცხლდებოდა. კარგა ხანს მიყურადებელი ვიყავი ზორბასის ნაბიჯებს, რომელიც ნელ-ნელა იკარგებოდა. მოულოდნელად, როცა მივხვდი, რომ მართო ვრჩებოდი, ზეზე წამოვხტი. რატომ? საითკენ უნდა გავქცეულიყავი? არ ვიცოდი. ჯერ არაფერი გადამეწყვიტა. ჩემი სხეული ზეზე წამოიჭრა, ის თავად, ჩემ დაუკითხავად, იღებდა გადაწყვეტილებას.

- წინ! - თქვა ხმამალლა, თითქოს ბრძანებას გასცემდა.

პირდაპირ სოფლისკენ გავეშურე. მტკიცედ, ჩქარა მივაბიჯებდი, აქა-იქ ვჩერდებოდი და გაბათხულს შევისუნთქავდი. მიწას გვირილის სუნი ასდიოდა, და ბაღია-ბაღებს რაც უფრო ვუახლოვდებოდი, აყვავებული ლიმონის, ფორთოხლისა და დაფნის სურნელი მატულობდა. მოციმციმე ცისკრის ვარსკვლავი დასავლეთისკენ როკვით დაიძრა.

“ზღვა, ქალი, ღვინო, ბლომად სამუშაო! - ჩემდა უნებურად ზორბასის სიტყვებს ვჩურჩულებდი და მივდიოდი. - ზღვა, ქალი, ღვინო, ბლომად სამუშაო! თავით გადაეშვა საქმეში, ღვინოში, სიყვარულში, არც ღმერთის შეგეშინდეს, არც ეშმაკის... ეს არის ვაჟკაცობა!” - ვიმეორებდი გულში, თითქოს თავს ვიმხნევებდი და გზას განვაგრძობდი.

უცებ შევჩერდი. თითქოს საწაღელი ადგილისთვის მიმეღწიოს. სად ვარ? მიმოვიხედე: ქვრივის ბალთან ვიდექი. ლერწმის ღობისა და ოპუნციის იქით ქალი ტკბილი ხმით ღიღინებდა. ირგვლივ არაფერი იყო. მიგუახლოვდი, ლერწმები გადავწიე. ფორთოხლის ხესთან ძაძით მოსილი ქალი ყელმოშიშვლებული იდგა, აყვავებულ ტოტებს ჭრიდა და მღეროდა. ბინდში ვარჩევდი, როგორ ანათებდა მისი ნა-

ხევრად მოღეღილი მკერდი.

სუნთქვა შემეკრა. “ნამდვილი მტაცებელია, - გავიფიქრე, - და ეს იცის. რა უძლური, წარმავალი ქმნილებები, სულელები, სუსტები არიან მის წინაშე მამაკაცები! ზოგიერთი მწერის - ჩოქელას, კალიის, ობობის - მსგავსად განთიადისას ისიც გამგელებული იქნება, მამაკაცებს შეჭამს...”

ქვრივმა, თითქოს ჩემი მზერა იგრძნო, დანდობილა ღიღინი შეწყვიტა და შემობრუნდა. ჩვენი თვალები წამით ერთმანეთს შეხვდა. ვიგრძენი, რომ მუხლები მომეკვეთა, თითქოს ლერწმების უკან ძუ ვეფხვს გადაყვროდი.

- ვინ არის? - ჩუმად იკითხა ქვრივმა.

საკინძე შეიკრა, მკერდი დამალა. სახე მოექუფრა.

წასვლა მინდოდა, მაგრამ ზორბასის სიტყვებმა გული ერთბაშად ამივსო. გავმხნევი. “ზღვა, ქალი, ღვინო...”

- მე ვარ, - ვუპასუხე, - მე, გამიღე!

ეს სიტყვები წარმოვთქვი თუ არა, შემეშინდა. ისევ წასვლა დავაპირე, მაგრამ გავუძელი, ზორბასის შემრცხვა.

- ვინ შენ?

ნელი, ფრთხილი, უხმაურო ნაბიჯი გადმოდგა, კისერი წაიგრძელა, თვალები მოჭუტა, რომ უკეთ დაენახა. მერე კიდევ ერთი ნაბიჯი გადმოდგა, მოლოდინად იქცა.

ერთბაშად სახე გაუბრწყინდა, ენის წვერით ტუჩები გაილოკა.

- ბატონი? - იკითხა დამტკბარი ხმით.

კიდევ ერთი ფრთხილი ნაბიჯი გადმოდგა. მზად იყო, მომვარდნოდა.

- ბატონი? - იკითხა კვლავ წყნარად.

- ჰო.

- შემოდი!

მზე ამობრწყინდა, გათენდა. ზორბასი დაბრუნებულიყო, ბარაკის გარეთ იჯდა, აბოლებდა და ზღვას გასცქეროდა. მელოდა.

როგორც კი გამოვჩნდი, თავი ასწია და შემომხედა. ნესტოები მეძებარევით აუთამაშდა. კისერი წაიგრძელა, ღრმად ჩაისუნთქა, ჰაერი დაყნოსა და ერთბაშად სახეზე ღიმილი გადაეფინა. ქვრივის სუნი იკრა ჩემზე.

ნელა წამოდგა, ერთბაშად გაიღიმა, ხელები გაშალა და მითხრა:

- დამილოცნიხარ!

წამოვჩექი, თვალები დავხუჭე. მესმოდა, ზღვა როგორ ჩუმად სუნთქავდა, თითქოს ნანას მიმღეროდა, მე კი მასზე თოლიასავით ვირწეოდი. ასე ტკბილად დანანავებული ძილში ჩავიძირე და მესიზმრა: უზარმაზარი არაბი ქალი ფეხმორთხმული მიწაზე იჯდა და მომეჩვენა, რომ შავი გრანიტის ძველ ციკლოპურ ტაძარს ჰგავდა. ჯიუტად ვუვლიდი გარს, შესასვლელს ვეძებდი. ფეხის თითებს ძლივს ვწვდებოდი. მოულოდნელად, როგორც კი მის ქუსლს შემოგუარე, გამოქვაბულივით შავი კარი დავინახე და ბოხი ხმა გაისმა: “შემოდი!”. მეც შევედი.

ნაშუადღევს გამეღვიძა. სარკმლიდან მზემ შემოანათა, მისი შუქი ბენრებზე გადმოიღვარა და კედელზე დაკიდებულ სარკეს ისეთი ძალით დაეცა, თითქოს ათას ნაწილად დაამსხვრიაო.

გონებაში სიზმრად ნანახი უზარმაზარი არაბი ქალი ამომიტივტივდა. ზღვა გატაცებით ჩურჩულებდა, თვალები ისევ დავხუჭე და მომეჩვენა, რომ ბედნიერი ვიყავი. სხეული შემსუბუქებოდა და იმ მტაცებელივით კმაყოფილი ვიყავი, რომელიც სანადიროდ გამოვი-

და, საკბილო დაიჭირა, შეჭამა და ახლა, მზებზე წამოწოლილი, თათებს ილოკავდა. ტვინი, ისიც ხომ სხეულის ნაწილია, დანაყრებული ისვენებდა. თითქოს სულის შემძვრელ კითხვებზე, ასე რომ აშინებდნენ, უმარტივესი პასუხი ეპოვა.

ჩემ შიგნიდან გუშინდელი ღამის მთელი სიხარული მოედინებოდა, იტოტებოდა, იმ მიწას რწყავდა და ანაყრებდა, რომლისგანაც ვიყავი შექმნილი. წამოწოლილი და თვალდახუჭული, ვგრძნობდი, რომ ჩემში რაღაც იცვლებოდა. პირველად გუშინ ღამით დავრწმუნდი ასე ხელშესახებად, რომ სულიც ხორცია, შეიძლება, უფრო სწრაფად მოძრავი, უფრო გამჭვირვალე, უფრო თავისუფალი, მაგრამ ხორცი. ხორციც სულია, ოდნავ რულმორეული, დიდი მგზავრობისგან გადაქანცული, მძიმე მემკვიდრეობით დამძიმებული, მაგრამ დიად წუთებში ისიც იღვიძებს, მამაცდება და ხუთივე საცეცს ფრთებივით შლის.

ვიღაცის ჩრდილი დამეცა. თვალები გაგახილვე: კარში ზორბასი იდგა და კმაყოფილი დამყურებდა.

- არ გაიღვიძო, ბატონო! არ გაიღვიძო... - დედობრივი სიყვარულით ჩამჩურჩულა. - დღესაც უქმეა, დაიძინე!

- ძილით გავძეხი, - ვუთხარი და ზეზე წამოვხტი.

- ერბოკვერცხს შეგიწვავ, - ღიმილით მითხრა ზორბასმა, - ძალას აღვიდგენს.

ხმა არ გამიცია, სანაპიროსკენ გავიქეცი და ზღვაში ჩავხტი, მერე მზებზე გავშრი. ნესტოებზე, ტუჩებზე, თითის წვერებზე მაინც ტკბილი, მოუცილებელი სურნელი ამდიოდა, ყვავილის ესენციისა თუ დაფნის ზეთის, რომელსაც კრეტელი ქალები თმაზე ისვამენ.

გუშინ ერთი კონა ლიმონის ტოტები მოეჭრა, რათა ამ საღამოს ქრისტესთვის ეკლესიაში მიერთმია, როცა სოფლელები სოფლის მოედანზე, ალგების ძირას, იცეკვებდნენ და ეკლესია ცარიელი იქნებოდა. მისი საწოლის თავთან ხატების კუთხე ლიმონის აყვავებული ტოტებით იყო სავსე. ყვავილებს შორის დიდთვალეობა, გულკ-

ეთილი და ნაღვლიანი ღვთისმშობელი მოჩანდა.

ზორბასი დაიხარა და თეფშით ერობოკვერცხი, ორი დიდი ფორთოხალი და სააღდგომო ბლითები დამიდო. ბედნიერი, უხმოდ მემსახურებოდა, როგორც დედა - ომიდან დაბრუნებულ ვაჟიშვილს. ალერსით შემომხედა.

- წავალ, რამდენიმე ბოძს ჩავასობ, - მითხრა და წავიდა.

აუჩქარებლად ვჭამდი მზეში, ხორციელ სიხარულში ღრმად ჩაძირული, თითქოს გრილ მწვანე ზღვაში ვცურავდი. გონებას არ ვაცლიდი, ეს ხორციელი სიხარული მოეგროვებინა, თავის ყალიბში შეეჭეჭეჭა და აზრად ექცია. სხეულს ვაცლიდი, თხემით ტერფამდე ცხოველივით ეხარა. ხანდახან განცვიფრებული ვუმბერდი ქვეყნის სასწაულს ჩემ გარშემო თუ სასწაულს ჩემ შიგნით: “ეს რა არის? - ვკითხულობდი. - როგორ მოხდა, რომ სამყარო ასე კარგად არის შეხამებული ჩვენს ფეხებთან, ჩვენს ხელებთან, ჩვენს მუცელთან?”, მერე ისევ ვხუჭავდი თვალებს და ვღუმიდი.

მოულოდნელად ბეზე წამოვხტი, ბარაკში შევედი, “ბუდას” ხელნაწერი ავიღე და გადავშალე. უკვე ბოლოში ვიყავი. აყვავებული ხის ძირას წამოწოლილ ბუდას ხელი აენია და ხუთ სტიქიას - მინას, წყალს, ცეცხლს, ჰაერს, სულს - უბრძანებდა, გამქრალიყვნენ.

აგონია უკვე დამეძლია, ბუდასთვის მსხვერპლშენირვა დამთავრებული მქონდა, ხელი ავნიე და ჩემში არსებულ ბუდას ვუბრძანე, გამქრალიყო.

ყოვლისშემძლე შელოცვებით უმოწყალოდ გავაქრე მისი სხეული, შემდეგ - სული, ბოლოს კი - გონება. ვჩქარობდი.

უკანასკნელ სიტყვებს ვჭლაბნიდი, ბოლოჯერ ვყვიროდი. ჩემი სახელი წითელი მსხვილი ფანქრით მიგაწერე. დავასრულე.

მსხვილი კანაფით ხელნაწერი მტკიცედ შევკარი. უცნაური სიხარული განვიცადე, თითქოს მტერს ხელ-ფეხს ვუკოჭავდი. ველურებიც ასე კოჭავენ თავიანთ საყვარელ მიცვალებულებს, რათა სამა-

რიდან ამოსვლა და მოჩვენებად გადაქცევა ველარ შეძლონ.

ერთმა ფეხშიშველა გოგონამ მოირბინა. ყვითელი ქვედატანი ეცვა, წითელი კვერცხი ჩაებლუჭა. შედგა და შეშინებულმა შემომხედა.

- რაო? - შევეკითხე და გასამხნეველად გავუღიმე. - რამე გინდა?

ქოშინით მითხრა:

- მადამმა გამომგზავნა, მოდიო, შემოგითვალა. ლოგინში წევს სანყალი. შენ ბორბასი არ გქვია?

- კარგი, - ვუთხარი, - მოვდივარ.

მეორე ხელშიც ჩავუდე წითელი კვერცხი. გოგონამ ჩაბლუჭა და გაიქცა.

წამოვდექი და გზას დავადექი. სოფლის ხმაური სულ უფრო მიახლოვდებოდა, ლირის დაკვრის, სადღესასწაულო შეძახილების, თოფის გასროლის ხმები, შაირები ისმოდა. მოედანს მივალწიე. ვაჟები და ქალიშვილები ახლად აყვავებული ალვების ძირას შეგროვილიყვნენ და ფერხულში ჩაბმულიყვნენ. გარშემო სკამებზე მოხუცები ჩამწკრივებულიყვნენ, ნიკაპით ჯოხზე გადაჭვარედილებულ ხელეებს დაყრდნობოდნენ. უკან დედაბრები იდგნენ. შუაში სახელგანთქმული ლირაზე დამკვრელი, ფანურიოსი, დაბრძანებულიყო. ყურზე აპრილის ვარდი გაედო. მარცხენა ხელში ლირა ეჭირა, მარჯვენით სიმებზე ხემს უსვამდა.

- ქრისტე აღდგა! - დავიძახე ჩავლისას.

- ჭეშმარიტად აღდგა! - გაისმა კაცებისა და ქალების მხიარული შეძახილი.

სწრაფი მზერა მოვაგლე. ბრგე, წელწვრილი ჭეელები ფართო შარვლებში გამონყობილიყვნენ. სარიკის ფოჩები შუბლსა და საფეთქლებზე კულულებივით ჩამოშლოდათ. გოგონებს ყელზე ოქროს

მონეტებიანი ყელსაბამები ჩამოევიდათ, თეთრი ნაქარგი თავსაფრები მოეხვიათ, ვაჟებს ქვეშ-ქვეშ გახედავდნენ ხოლმე, მალულად უთვალთვალეობდნენ და იბნიდებოდნენ.

- პატივს ხომ არ დაგვდებდი, ბატონო? - გაისმა რამდენიმე ხმა.

მაგრამ უკვე ჩავუარე მათ და მიბრუნებას აღარ ვაპირებდი.

მადამ ჰორტენზია ფართო სანოლში იწვა, რომელიც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა. სიცხისგან ლოყები წამონთებოდა, ახველებდა.

როგორც კი დამინახა, საყვედურით ამოიხვნეშა:

- ზორბასი, მეჭვარევ, ზორბასი სადღაა?..

- ავადაა. იმ დღიდან, როცა ცუდად გახდი, ისიც ავად შეიქნა. შენი ფოტოსურათი უჭირავს, დაჰყურებს და ოხრავს.

- მომიყევი... მომიყევი... - ჩაიჩურჩულა უბედურმა სირენამ და ბედნიერმა თვალები დახუჭა.

- გამომგზავნა, რომ გკითხო, რამე ხომ არ გინდა... ასე შემოგითვალა, ამაღამ გინახულებ, თუნდაც ხოხვით მომიწიოს მოსვლაო... მეტს ველარ ვუძლებ, შენთან განშორება ველარ ამიტანიაო.

- მომიყევი... მომიყევი... მომიყევი...

- დეპეშა მივიღეო ათენიდან, საპატარძლო კაბა, გვირგვინები, ფესსაცმელი, ნუშის შაქარლამა გემზე დაიტვირთა, მოდისო... ვარდისფერლენტიანი თეთრი კელაპტრებიცო...

- მომიყევი... მომიყევი... მომიყევი...

ჩაძინებულს სუნთქვა შეეცვალა, ბოდვა დაიწყო. ოთახში ოდეკოლონის, ამიაკისა და ოფლის სუნი იდგა. ღია ფანჯარიდან სკინტლისა და ბოცვრების მძაფრი სურნელი შემოდიოდა.

წასასვლელად გამზადებული კარში მიმითოსს გადავანწყდი. დღეს ჩექმები და ახალი ლურჯი შარვალი ეცვა. ყურზე რეჰანის ღერი გაედო.

- მიმითოს, - ვუთხარი, - კალო-ხორიოში გაიქეცი და ექიმი მოიყვანე.

მიმითოსს ჩექმები უკვე გაეხადა, გზაში რომ არ გასცვეთოდა და იღლიაში ამოედო.

- ექიმი ნახე და ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეცი. უთხარი, ცხენს მოაჭდეს და აქ გაჩნდეს. გადაეცი, რომ მადამი მძიმედ არის ავად. საცოდავი გაცივდა-თქო. გაიქეცი.

- უკვე მივდივარ!

ხელისგულებზე დაიფურთხა, გახარებულმა შემოჰკრა, მაგრამ აღვლიდან არ იძვროდა. მიღიმოდა.

- ნადი-მეთქი, გეუბნები!

არ მიდიოდა, თვალს მიკრავდა და ეშმაკურად მიღიმოდა.

- ბატონო, - მითხრა, - სახლში ყვავილის ესენციის ბოთლი მოგიტანე... საჩუქარია.

ცოტა ხნით შეჩერდა, დაელოდა, რომ მეკითხა, ვინ მიგზავნიდა, მაგრამ ხმა არ ამომიღია.

- არ მეკითხები, ვინ გამოგიგზავნა, ბატონო? - მკითხა ხითხითით. - თმაზე იპკუროსო, ასე მითხრა, კარგი სუნი რომ აუვიდესო!

- სწრაფად მოუსვი! და მოკეტე!

გაიცინა, ისევ დაიფურთხა ხელისგულებზე:

- ჰო! ჰო! - დაიყვირა. - ქრისტე აღდგა!

და გაქრა.

XXII

აღვებქვეშ სააღდგომო ცეკვა გაჩაღებულიყო. ფერხულს სათავეში ოციოდე წლის შავგვრემანი ღონიერი ჭაბუკი ჩასდგომოდა. ღინღლიან ლოყებს საპარსი ჯერაც არ მიჰკარებოდა. ხუჭუჭა ბეწვი მკერდზე ჯაგარივით მოსდებოდა და გაღელილი პერანგიდან შავად მოუჩანდა. თავი უკან გადაეგდო, ფეხებს მიწას ურტყამდა, შიგადაშიგ გოგონებისკენ აპარებდა ხოლმე მზერას და მუქ სახეზე სკლერები თეთრად უელავდა.

გახარებული და, იმავდროულად, შეშფოთებულიც ვიყავი. მადამ ჰორტენზიასაგან ვბრუნდებოდი. მომვლელი ქალი დავეუტოვე და ახლა მშვიდად მოვდიოდი, რათა მოცეკვავე კრეტელებისთვის მეყურებინა. ძია ანაღნოსტისს მიგუახლოვდი და გვერდზე მივეუჭექი.

- ვინ არის ის ჭაბუკი, მოცეკვავეთა თავში რომ დგას? - ჩავჩურჩულე ყურში.

ძია ანაღნოსტისმა გაიცინა და სიამაყით სავსემ მითხრა:

- მთავარანგელოზივითაა, უნამუსო, სულებს რომ გვართმევს. მწყემსი სიფაკასია. მთელი წელი მთაშია საძოვარზე, მხოლოდ აღდგომამზე ჩამოდის ადამიანების სანახავად და საცეკვაოდ.

ამოიხვნემა.

- ეჰ, მისი სიჭეილე მომცა! - ჩაიჩურჩულა. - მისი სიჭეილე მომცა, ღმერთი, რჯული, კონსტანტინოპოლს ავიღებდი!

ახალგაზრდამ თავი გაიქნია და ატეხილი ვერძივით დაიბღავლა:

- დაუკარი, ფანურიოს! ისე დაუკარი, რომ სიკვდილი მოკლა.

სიკვდილი ყოველ წამს კვდებოდა და სიცოცხლე თავიდან იბადებოდა. ათასობით წელია, ჭაბუკები და ქალიშვილები ახლად შე-

ფოთლილი ხეების - ალვების, მუხების, ჭადრებისა და ტანწერწერა ფინიკების - ქვეშ ცეკვავენ და კიდევ ათასობით წელი იცეკვებენ ვნებით აღგზნებული სახეებით. სახეები ინავლება, მიწას უბრუნდება, ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან. არსი კი იგივე რჩება: უკვდავმა, შეყვარებულმა, ოცი წლის ჭაბუკმა მარად უნდა იცეკვოს.

ბიჭმა ხელი ასწია, რომ უღვაში გადაეგრიხა, რომელიც არ ჰქონდა.

- დაუკარი! - კვლავ დაიყვირა. - დაუკარი, ბიჭო ფანურიოს, თორემ გადავირევი.

ღირაზე დამკვრელმა სიმებს ხელი გამოჰკრა, საკრავმა გაიჟღერა. ჭაბუკი შეხტა, ფეხი ჰაერში სამჯერ მოიქნია, ჩექმის წვერით გვერდით მდგომ მეველე მანოლაკასს თავიდან თეთრი სარიკი მოგლიჯა.

- გაიხარე, ბიჭო, სიფაკას! - გაისმა ხმები. გოგონებს გააჟრჟოლათ და თვალეები დახარეს.

თამამმა ჭაბუკმა ხმის ამოუღებლად, ისე, რომ არავისთვის შეუხედავს, მარცხენა ხელი თეძოზე დაიღო. ცეკვავდა და მორცხვ, თუმცა აღტყინებულ მზერას მიწას არ ამორებდა.

მოულოდნელად ცეკვა შეწყდა. ბებერი მნათე ანდრულიოსი გამოჩნდა, ხელები აღმართა, შეჰყვირა:

- ქვრივი! ქვრივი! ქვრივი! - სულს ძლივს ითქვამდა.

მეველე მანოლაკასი პირველი წამოვარდა. მოედნიდან ეკლესია მოჩანდა, რომელიც ჯერ კიდევ მირტებითა და დაფნებით იყო მორთული. აჭარხლებული მოცეკვავეები ანაზღად შეჩერდნენ, მოხუცები სკამებიდან წამოდგნენ, ფანურიოსმა ღირა მუხლებზე ჩამოიღო, ყურიდან აპრილის ვარდი ჩამოიღო და დაყნოსა.

- სად არის, ანდრულიოს? - აღგზნებულებმა წამოიყვირეს. - სად?

- ეკლესიაში. აგერ ახლა შევიდა, წყეული. ლიმონის აყვავებული რტოები ეჭირა.

- ჩქარა, ბიჭებო! - დაიღრიალა მეველემ და პირველი გავარდა.

იმწამს ეკლესიის ზღურბლს ქვრივმა გადმოაბიჯა. შავი მანდილი ეხვია და პირჯვარს იწერდა.

- უნამუსო! კახპა! მკვლეელი! - გაისმა საცეკვაო მოედანზე. - სირცხვილით გარეთ როგორ გამოდის?! ეცით, ბიჭებო, სოფლის შემარცხვენელს!

ზოგი მეველესთან ერთად ქვემოთ, ეკლესიისაკენ გავარდა, ზოგიც ზემოდან ესროდა ქვებს. ერთ-ერთი ქალს მხარში მოხვდა. ქვრივმა შეჰკვივლა, ხელები სახეზე აიფარა, წელში მოხრილი აქეთ-იქით აწყდებოდა, გაქცევას ლამობდა; მაგრამ ახალგაზრდებს უკვე ეკლესიის ჭიშკრამდე მიეღწიათ, მანოლაკასს დანა ამოეღო.

ქვრივმა კვილით უკან დაიხია, მოიხარა და ბარბაცით გაიქცა, რომ თავი ეკლესიაში შეერგო. მაგრამ იქ, ზღურბლზე, მოხუცი მავრანტონისი იდგა მდუმარედ, ხელები გაეშალა და კარის წირთხლს ჩასჭიდებოდა.

ქვრივი მარცხნივ გადახტა, გავარდა და ებოში მდგარ დიდ კვიპაროსს აეკრა. ჰაერში ქვამ გაიწვილა, თავში მოხვდა და შავი ხილაბანდი გადააძრო. თმა მხრებზე დაეფინა.

- ღვთის გულისათვის! ღვთის გულისათვის! - კვნესოდა ქვრივი და კვიპაროსს მჭიდროდ ეკვროდა.

ზემოთ, მოედანზე, მოგროვილი გოგონები თეთრ მოსახვევებს წინწნიდნენ. ყორეებზე გადმოკიდებული დედაბრები გაჰკიოდნენ:

- მოკალით, ბიჭო, მოკალით!

ახალგაზრდები ეცნენ, ხელი სტაცეს. ქალს შავი ზედატანი შემოეხა, მარმარილოსავით თეთრმა მკერდმა გამოანათა. შუბლზე, ლოყებზე, ყელზე სისხლი ჩამოსდიოდა.

- ღვთის გულისათვის! ღვთის გულისათვის! - ქვრივი ჯერ კიდევ კვნესოდა.

სისხლი სდიოდა, მკერდი უელავდა. გადარეულმა ჭაბუკებმა ქამრებიდან დანები დააძრეს.

- შეჩერდით! - დაიყვირა მანოლაკასმა. - ჩემია!

ჯერ კიდევ ეკლესიის ზღურბლზე მდგარმა მოხუცმა მავრანტონისმა ხელი ასწია. ყველა გაჩერდა.

- მანოლაკას, - წარმოთქვა ბოხი ხმით, - შენი ბიძაშვილის სისხლი შემოგღადადებს, მისთვის შური იძიო!

ყორიდან ჩამოვხტი და გავვარდი, რომ ეკლესიამდე მიმეღწია, მაგრამ ფეხი ქვას წამოგკარი და ძირს გავვორდი. იმწამს გვერდით სიფაკასმა ჩამიარა. დაიხარა, კატასავით ქეჩოში ჩამავლო ხელი და ფეხზე წამომაცენა.

- აქ რა დაგკარგვია, კოხტაპრუნავ? - მითხრა. - მოუსვი აქედან!

- არ გეცოდება, სიფაკას? შეიბრალებ!

მთაკაცმა გაიცინა:

- ქალი ვარ, შემებრალოს? კაცი ვარ! - და ისიც ერთი ნახტომით ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა.

სირბილით დავედევნე. ქვრივს ყველანი გარს შემორტყმოდნენ. მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ქვრივის ქოშინი ისმოდა.

მანოლაკასმა პირჯვარი გადაისახა, ნაბიჯი გადადგა და დანა შემართა. ყორებზე გადმოყუდებული დედაბრები გახარებულები კიოდნენ, გოგონებმა თავსაფრები თვალებზე აიფარეს.

ქვრივმა მხნეობა დაკარგა, მის თავზე აღმართული ხანჯალი რომ დაინახა, დაიღმუვლა, კვიპაროსის ძირას ჩაიკეცა და თავი მხრებში ჩარგო. მისმა თმამ მიწა დაფარა, ქათქათა კისერმა გამოანა-

თა.

- ღვთის სახელით! - დაიყვირა მოხუცმა მავრანტონისმა და პირველი გადაიწერა.

სწორედ მაშინ უკნიდან ვილაცის ხაფი ხმა გაისმა:

- დანა დაუშვი, მკვლელი!

ყველანი გაოცებულები მიბრუნდნენ. მანოლაკასმა თავი ასწია. მის წინ ზორბასი იდგა, ხელებს გადარეული იქნევდა და ყვიროდა:

- ბიჭო, არა გრცხვენიათ? ვაჟკაცები არ ხართ? მთელი სოფელი ერთ ქალს კლავთ! კრეტა, გინდათ, შეარცხვინოთ?!

- შენს საქმეს მიხედე, ზორბას. ნუ ჩაერევი! - დაუდრინა მავრანტონისმა და ძმისწულს მიუბრუნდა:

- მანოლაკას, - უთხრა, - ქრისტესა და ღვთისმშობლის სახელით, დაარტყი!

მანოლაკასი ერთი ნახტომით ქვრივთან გაჩნდა, სწვდა, ძირს დასცა, მუცელზე მუხლი დააჭირა და დანა შემართა. მაგრამ დარტყმა ვერ მოასწრო, ზორბასს უკვე მკლავში ეტაცა ხელი მანოლაკასისთვის, ხელზე დიდი სარიკი დაეხვია და ცდილობდა, მეველისთვის დანა გამოეგლიჯა.

ქვრივმა მუხლებზე წამოიწია, მალულად მიმოიხედა, რომ გაქცეულიყო, მაგრამ სოფლელებიდან ზოგი ჭიშკარში ჩამდგარიყო, დანარჩენები ეზოს ირგვლივ იდგნენ. რომ დაინახეს, გაქცევას ლამობსო, წინ წაიწიეს და წრე შეამჭიდროვეს.

ამასობაში ზორბასი უხმოდ იბრძოდა, მარდად მოძრაობდა. ჭიშკარში მდგომი ბრძოლას თვალს დაძაბული ვადევნებდი. მანოლაკასს მრისხანებისაგან სახე გალურჯებოდა. სიფაკასი და კიდევ ერთი ახმახი დასახმარებლად დაიძრნენ, მაგრამ გადარეულმა მანოლაკასმა თვალები დაუბრიალათ:

- უკან! უკან! - დაიყვირა. - არავინ მომიახლოვდეს!

კვლავ გაცოფებული ეცა ზორბასს, ხარივით შუბლით დაეტაკა.

ზორბასი ტუჩებს იკვნეტდა, ჩემად იყო. მეველის მარჯვენა მარნუხივით ეჭირა და დარტყმების ასაცილებლად აქეთ-იქით იხრებოდა. გაცოფებული მანოლაკასი ზორბასის ყურს კბილებით სწვდა და მთელი ძალ-ღონით გამოქაჩა. სისხლმა ითქრიალა.

- ზორბას! - თავბარდაცემულმა შევძახე და მის საშველად გავგარდი.

- წადი, ბატონო, - დამიყვირა, - ნუ ჩაერევი!

მუშტი შევრა და მანოლაკასს ფეხებშუა ამოართყა. ველური მხეცი ერთბაშად გაშეშდა, ნახევრად მოკვნიტილ ყურს პირი უშვა, ლურჯი სახე გაუფითრდა. ზორბასმა ხელის ერთი დაკვრით ძირს დასცა, დანა წაართვა, გატეხა და გვერდზე მოისროლა. ცხვირსახოციტ ყურიდან ჩამოსული სისხლი მოიწმინდა და ოფლად გაღვარული სახეც შეიმშრალა. მთელი სახე სისხლით მოეთხვარა. გაიმართა და გარშემო მიმოიხედა. თვალები შემუპებოდა და ჩასისხლიანებოდა.

- ადექი, გამომყევი! - დაუძახა ქვრივს და ჭიშკრისკენ დაიძრა.

ქვრივი წამოიმართა, მთელი ძალა მოიკრიბა, რომ გაქცეულიყო, მაგრამ ვერ მოასწრო. მოხუცი მავრანტონისი ელვის სისწრაფით ეცა, წააქცია, მისი თმა მკლავზე სამჯერ დაიხვია და დანის ერთი მოქნევით თავი გააგდებინა.

- ცოდვას ჩემს თავზე ვიღებ! - დაიყვირა, ქვრივის თავი ეკლესიის ზღურბლზე მოისროლა და პირჯვარი გადაიწერა.

ზორბასი შემობრუნდა და ამის დანახვაზე გადარეულმა უღვაშიდან ერთი ბლუჯა თმა ამოიგლიჯა. მივვარდი და მკლავში ვტაცე ხელი. შემომხედა. წამწამებზე ორი მსხვილი ცრემლი ეკიდა.

- წავედით, ბატონო! - მითხრა ყრუდ.

იმ საღამოს ზორბასს არაფერი უჭამია. “ყელში ლუკმა არ გადა-
მდის, - ამბობდა, - ვერ ვყლაპავ”. ყური ცივი წყლით დაიბანა, ბამბა
არაყში დაასველა და შეიხვია. ლოგინში წამომჭდარს თავზე ხელე-
ბი შემოეჭდო და რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო.

ძირს ვიჭექი კედელს მიყრდნობილი და ვგრძნობდი, თბილი
ცრემლები ლოყებზე ნელ-ნელა როგორ ჩამომდიოდა. გონება სრ-
ულიად არ მიმუშავებდა, ვედარაფერზე ვფიქრობდი. ბავშვივით ვტ-
იროდი.

მოულოდნელად ზორბასმა თავი ასწია და შინაგანი მონოლოგი
ყვირილით განაგრძო:

- გეუბნები, ბატონო, დედამინაზე რაც ხდება, ყველაფერი უსამ-
ართლობაა, უსამართლობა, უსამართლობა! მე ამას არ ვეთანხმე-
ბი, მე - მატლი, მე - ლოფორთქინა, ზორბასი! რატომ უნდა იხოცე-
ბოდნენ ახალგაზრდები და ბებრეკები რჩებოდნენ? რატომ უნდა
იხოცებოდნენ პატარა ბავშვები? შვილი მყავდა, ჩემი პატარა დიმიტ-
რი, სამი წლისა მომიკვდა. არასოდეს - გესმის? - ღმერთს ამას არ-
ასოდეს ვაპატიებ! რომ მოვკვდები, თუ გაბედავს და დამენახვება,
იცოდე, თუ ნამდვილი ღმერთია, შერცხვება! დიახ, დიახ, შერცხვება
ჩემი, ლოფორთქინასი, ზორბასისა.

ტკივილმა სახე დაუღრიჭა. ჭრილობა კვლავ გაეხსნა. ტუჩები და-
იკვნიტა, რომ არ ეყვირა.

- მოიცა, ზორბას, - ვუთხარი, - სახვევს გამოგიცვლი.

ყური კვლავ არყით მოვბანე, საწოლიდან ქვრივის გამოგზავნი-
ლი ყვავილის ესენცია ავიღე და ბამბა დავასველე.

- ყვავილის ესენციაა? - მკითხა ზორბასმა და ხარბად ჩაისუნთქა.
- თმაზეც მასხურე, აი, ასე! ხელებზეც დამასხი, მიდი!

გამოცოცხლდა. გაოცებულმა შევხედე.

- ასე მგონია, ქვრივის ბაღში შევდივარ, - მითხრა.

და ისევ დაიჩვილა, ახლა უკვე ჩურჩულით:

- რამდენი წელი იყო საჭირო, რამდენი წელი, რათა მიწას ამგვარი სხეული შეექმნა! მისი შემყურე იტყოდი: “ეჰ, ოცი წლისა ვყოფილიყავი და ამომწყდარიყო ადამიანთა მოდგმა დედამიწაზე, მხოლოდ ის გადარჩენილიყო და მასთან ბავშვები მეკეთებინა, ბავშვები კი არა, ნამდვილი ღმერთები და სამყარო კვლავ ამევსო!” ახლა კი...

ზეზე წამოვარდა. თვალცრემლიანმა მითხრა:

- არ შემძლია, ბატონო! უნდა გავიარო, ორ-სამჯერ მთაზე უნდა ავიდე და ჩამოვიდე, რომ დავიქანცო, რომ გონება დამიმშვიდდეს... ჰეი, გოგო, ქვრივო, უნდა დაგიტირო, თორემ გავსკდები!

გარეთ გავარდა და მთისკენ გაეშურა, სიბნელეში გაუჩინარდა.

ლოგინში ჩავნექი, ჭრაქი ჩავაქრე და ჩემი საცოდავი არაადამიანური ჩვეულებით ისევ სინამდვილის გარდაქმნა დავიწყე. მას სისხლი, ხორცი, ძვლები წავართვი, განყენებულ იდეად ვაქციე და ზოგად კანონებთან დავაკავშირე, რათა შემზარავი დასკვნა გამეკეთებინა: მოსახლენი მოხდა. მომხდარი სამყაროს რიტმით იყო ნაკარნახევი და ჰარმონიისთვის იყო საჭირო. ბოლოს კი გამაოგნებელ სანუგეშო აზრამდე მივედი: რაც მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო; სწორიც იყო, რომ მოხდა.

ქვრივის მკვლელობა საზარელ, თავზარდამცემ ამბად იქცა ჩემი გონებისთვის, სადაც ყველაფერი, უკვე წლებია, რაღაც წესრიგს დამორჩილებოდა. ამ ამბავმა გული ამიფორიაქა, მაგრამ მაშინვე ყველა თეორია ეცა მას, რათა სურათ-ხატებსა და ხრიკებში გაეხვიათ და განეიარაღებინათ - ზუსტად ისე, როგორც ფუტკრები ახვევენ და უნდობლად კელას დინდგელში, რომელმაც მათ სკაში თაფლის წასართმევად შერგო თავი.

ამგვარად, რამდენიმე საათში ქვრივი ჩემს მეხსიერებაში მშვიდი, მოლიმარი, სიმბოლოსთვის ნიშანდობლივ ღვთაებრივ უძრავობაში განისვენებდა. ჩემი გულის ცვილში გახვეულ ქვრივს ჩემში პა-

ნიკის გამონწვევა და გონების პარალიზება აღარ შეეძლო. ჩავლილი დღის საშინელება დროსა და სივრცეში გაიშალა, დიდ დაღუპულ ცივილიზაციებთან გაიგივდა, ისინი - დედამიწასთან, დედამიწა კი - სამყაროსთან. ამგვარად, ქვრივთან დაბრუნებულს, იგი უკვე მარადიულ კანონებს დამორჩილებული და მშვიდ ღვთაებრივ უძრაობაში თავის მკვლელებთან შერიგებული დამხვდა.

დრომ ჩემში თავისი ჭეშმარიტი არსი შეიძინა: თითქოს ქვრივი ათასობით წლის წინ მომკვდარიყო, ხოლო ეგეოსური კულტურის კნოსოსის ხუჭუჭთმიანი გოგონები დღეს დილით გარდაცვლილიყვნენ.

ძილმა სიკვდილივით (ამაზე გარდაუვალი რამ არ არსებობს) წამართვა თავი და წყვდიადში უხმაუროდ ჩავსრიალდი.

არ გამიგია, როდის დაბრუნდა ან საერთოდ თუ დაბრუნდა ზორბასი. დილით მთაზე ვიპოვე, მუშებს ეჩხუბებოდა. მათი გაკეთებული არაფერი მოსწონდა. სამი მუშა გააგდო, რომლებიც შეენინააღმდეგნენ, თავად აიღო ცული და ხეებსა და ბუჩქებს შორის ბოძებისთვის გზა გაჭრა. მთაში ავიდა, ფიჭვების მჭრელ მუშებს უყვირა. ერთმა გაიცინა და რაღაც ჩაიჩურჩულა. ზორბასი ეძგერა.

სალამოს სიქაგაცლილი, ჩამოფლეთილი ჩამოვიდა და სანაპიროზე გვერდით მომიჯდა. ხმის ამოღება უჭირდა. რამდენჯერაც რამის თქმა მოინდომა, ხეტყებე, ბაგირსა და მურა ნახშირზე დაიწყო ლაპარაკი ხარბი საქმოსანივით, რომელიც ჩქარობს, რაც შეიძლება ძირფესვიანად გაანადგუროს არემარე, მოგება ნახოს და წავიდეს.

ქვრივზე რაღაცის თქმა რომ მოვიინდომე (მე ხომ ყველას მანუგეშებლად ვიქეცი), ზორბასმა ხელი გამოიწოდა და პირზე ამაფარა.

- ჩუმად! - მითხრა ჩამწყდარი ხმით.

ნირწამხდარმა პირი მოვკუმე. აღდამიანობა ამას ნიშნავს, ვამბობდი გულში ზორბასის ტკივილის შემყურე. ეს ცხელი სისხლისა და მყარი ძვლების მქონე აღდამიანი ტკივილისას ნამდვილ ცრემლებს

ყრის, ბედნიერებისას კი ზეციდან დაფრქვეულ სიხარულს მადლიერებით იღებს.

ასე გავიდა სამი-ოთხი დღე. ზორბასი თავდაუზოგავად მუშაობდა, არც ჭამდა, არც სვამდა, დნებოდა. ერთ საღამოს ვუთხარი, ქალბატონი ბუბულინა ისევ ლოგინში წევს, ექიმი არ მოვიდა, ბოდავს და სულ შენს ხსენებაშია-მეთქი.

მუშტი შეკრა.

- კარგი, - თქვა.

მეორე დღეს დილაუთენია სოფელში წავიდა და მალე დაბრუნდა.

- ნახე? - ვკითხე. - როგორ არის?

ზორბასმა წარბები შეკრა.

- არც არაფერი, კვდება, - მითხრა და სწრაფად გაეშურა მთისკენ.

იმავე საღამოს, ისე, რომ არ უვახშმია, ჯოხი აიღო და გარეთ გავიდა.

- სად მიდიხარ, ზორბას? - ვკითხე. - სოფელში?

- არა, ერთს გავივლი და დავბრუნდები.

დიდი, მტკიცე ნაბიჯებით გაემართა სოფლისაკენ.

დაღლილი ვიყავი და დავწევი. ჩემი გონება კვლავ მიწიერს დაუბრუნდა, მწარე მოგონებები წამომემშალა. გონებაში სხვადასხვა ამბრი მიტრიალებდა, მაგრამ ფიქრით მალე ისევ ზორბასს დავუბრუნდი.

გზად მანოლაკასი თუ შეხვდება, გავიფიქრე, გადარეული კრეტელი ეცემა და მოკლავს. ამბავი მომიტანეს, მთელი ეს დღეები

თავის სახლშია გამოკეტილი და იღრინებაო. თურმე სოფელში გამოჩენის რცხვენია და იმუქრება, ზორბასი თუ სადმე მოვიხელთე, შუაზე გავვლეთო. წინა ღამეს ერთ მუშას დაენახა, ბარაკის გარშემო შეიარაღებული როგორ წრიალებდა. თუ ამ სადამოს ერთმანეთს შეხვდებიან, მკვლელობა მოხდება...

გეზე წამოგვარდი, ჩავიცვი და სოფლისკენ ჩქარი ნაბიჯით გავწიე. მშვიდი ღამე იყო, ნესტიანი. იის სუნი იდგა. ცოტა ხანში სიბნელეში ზორბასი გავარჩიე, რომელიც, დაღლილი, ნელა მიდიოდა. ხანდახან ჩერდებოდა, ვარსკვლავებს ახედავდა, აყურადებდა, მერე კვლავ გზას განაგრძობდა და ქვებზე მისი ჯოხის კაკუნი ისმოდა.

უკვე ქვრივის ბაღს უახლოვდებოდა. ჰაერში ლიმონისა და ცისგაზის სუნი იფრქვეოდა. უცებ ფორთოხლის ხეებს შორის ბულბულის სტვენა გაისმა. ისე გალობდა, ადამიანს სუნთქვას შეუკრავდა. ზორბასიც მოულოდნელად შეჩერდა, ნეტარებისაგან მასაც გული შეეკუმშა.

ანაზღად ღობის ლერწმები შეირხა და ფოლადის სამართებელივით ბასრი ფოთლების შრიალი გაისმა.

- ჰეი, ნათლია, - დაიძახა ვიღაცამ, - ჰეი, ბებერო, კეთილი იყოს შენი მობრძანება!

გავშეშდი. ხმა ვიცანი.

ზორბასმა ერთი ნაბიჯი გადადგა, ჯოხი ასწია და კვლავ გაჩერდა. ვარსკვლავების ციალში მის ყოველ მოძრაობას კარგად ვარჩევდი.

ლერწმებიდან ვიღაც აყლაყუდა გადმოხტა.

- რომელი ხარ? - დაიყვირა ზორბასმა და კისერი წაიგრძელა.

- მანოლაკასი ვარ.

- შენს გზაზე წადი, გამეცალე!

- რატომ შემარცხვინე, ზორბას?

- მე არ შემირცხვენია, მანოლაკას, გამეცალე-მეთქი, გეუბნები. ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, მაგრამ ბედმა ზურგი გაქცია, ხომ იცი, რა უკუღმართია?

- ბედი თუ ბედისწერა, წაღმართი თუ უკუღმართი არ ვიცი მე, - უთხრა მანოლაკასმა და მისი კბილების ღრტიალი შემომესმა, - სირცხვილი მინდა ჩამოვირეცხო. ახლავე. დანა გაქვს?

- არა, - უპასუხა ზორბასმა, - მხოლოდ ჯოხი.

- წადი და დანა მოიტანე. აქ დაგელოდები. წადი!

ზორბასი არ განძრეულა.

- გეშინია? - გაისმა მანოლაკასის დამცინავი ხმა. - წადი-მეთქი, გეუბნები!

- რაში მჭირდება, მანოლაკას, დანა? - უთხრა ზორბასმა, რომელსაც ნელ-ნელა ცეცხლი ედებოდა, - რა უნდა ვუქნა, ბიჭო? ეკლესიაში, როგორც მახსოვს, შენ დანა გქონდა და მე - არა, მაგრამ, მგონი, რაღაც მოვახერხე.

მანოლაკასმა დაიღრინა.

- დამცინი კიდევ? იმით სარგებლობ, რომ მე შეიარაღებული ვარ და შენ - არა და მამასხარავე. დამპალო მაკედონიელო, დანა მოიტანე, რომ გავსწორდეთ!

- შენ დანა დააგდე, მე ჯოხს მოვისვრი, რომ გავსწორდეთ! - უპასუხა ზორბასმა. სიბრაზისაგან ხმა უთრთოდა. - მოდი, დამპალო კრეტელო!

ზორბასმა ჯოხი მოისროლა. ლერწმებში ჩავარდნის ხმა გავიგონე.

- დანა გადააგდე! - კვლავ გაისმა ზორბასის ხმა.

თითის წვერებზე, ფრთხილად მივეახლოვდი. შიშველი დანის ელვისებურ ციალს თვალი შევასწარი. ისიც ლერწმებში ჩავარდა.

ზორბასმა ხელისგულებზე დაიფურთხა.

- მოდი! - დაიყვირა და მისკენ გაექანა.

მაგრამ სანამ ორი ვაჟკაცი ერთმანეთს შეებმებოდა, შუაში ჩაფუხტი.

- მოიცადეთ! - დავიყვირე. - მოდი აქ, მანოლაკას, შენც მოდი, ზორბას. გრცხვენოდეთ!

მეტოქეები ნელი ნაბიჯით მომიახლოვდნენ. ორივეს მარჯვენა ხელში ხელი ჩაჭჭიდე.

- ერთმანეთს ხელი ჩამოართვით, კარგი ვაჟკაცები ხართ ორივენი, შერიგდით!

- შემარცხვინა... - თქვა მანოლაკასმა და ხელის გამორთმევა სცადა.

- შენ კაცი აღვილად ვერ შეგარცხვენს, ჩემო მანოლაკას! - ვუთხარი. - მთელი სოფელი შენს ვაჟკაცობაზე ლაპარაკობს. იმას ნუ უყურებ, გუშინწინ ეკლესიაში რაც მოხდა. რაც იყო, იყო, ჩაიარა! თანაც არ დაგავინწყდეს, ზორბასი უცხოა, მაკედონიელი. დიდი სირცხვილია, ჩვენ, კრეტელებმა, ჩვენს კუთხეში ჩამოსულ უცხო მხარის შვილზე ხელი აღვმართოთ... მიდი, ხელი ჩამოართვი, ვაჟკაცობა ამას ჰქვია. ბარაკში წავიდეთ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, სოსისი შევწვათ, ჩემო მანოლაკას, რომ მეგობრობამ გაიმარჯვოს!

მანოლაკასს ხელი წელზე მოვხვიე, გვერდზე გავიყვანე.

- მოხუცია, - ყურში ვუჩურჩულე. - ასეთ ვაჟკაცს მასთან თავის გაყადრება არ შეგშვენის!

მანოლაკასი მორბილდა.

- კარგი, - მითხრა, - შენი ხათრით!

ზორბასისკენ ნაბიჯი გადადგა, მძიმე ხელი გაუწოდა და უთხრა:

- მოდი, ნათლია ზორბას, რაც იყო, იყო. ხელი მომეცი!

- ყური მომაჭამე, - უთხრა ზორბასმა, - ალალი იყოს. აი, ჩემი ხელიც!

ხელს კარგა ხანს, ძლიერად ართმევდნენ. ერთმანეთს სულ უფრო და უფრო ძლიერად უჭერდნენ, სახეში მიშტერებოდნენ და ბრაზი ემატებოდათ. შემეშინდა, ჩხუბი ისევ არ წამოეწყობოდა.

- მაგარი ხელი გქონია, - უთხრა ზორბასმა. - ვაჟკაცი ხარ, მანოლაკას!

- შენც კარგი ჩამორთმევა გცოდნია. აბა, კიდევ მოუჭირე, თუ შეგიძლია!

- საკმარისია, - დავიყვირე, - წამოდით, ჩვენი მეგობრობა დავასველოთ!

შუაში ჩავდექი, მარჯვნივ ზორბასი მედგა, მარცხნივ - მანოლაკასი. უკან, ჩვენი სანაპიროსაკენ, გავწვიეთ.

- წელს კარგი მოსავალი იქნება... - ვთქვი საუბრის თემის შესაცვლელად, - ხშირად წვიმდა.

მაგრამ არავინ ამყვა. ჯერ კიდევ აღელვებულები იყვნენ. მთელი იმედი ღვინოზე მქონდა დამყარებული. ბარაკს მივალწვიეთ.

- კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჩემო მანოლაკას, ჩვენს ქობმასში! - ვუთხარი. - ზორბას, სოსისი შეგვიწვი და გაგვიმასპინძლდი.

მანოლაკასი ბარაკის გარეთ, ქვაზე, ჩამოჯდა. ზორბასმა ფიჩხს შეუნთო, კერძი მოამზადა, სამივე ჭიქა გააღიცილიცა.

- გაგიმარჯოთ, - ვუთხარი და გაპიპინებული ჭიქა ავწვიე. - გაგიმა-

რჯოს, ჩემო მანოლაკას! გაგიმარჯოს, ზორბას! მიუჭახუნეთ!

მიუჭახუნეს, მანოლაკასმა რამდენიმე წვეთი ღვინო ძირს დაანვეთა.

- ასე დაიღვაროს ჩემი სისხლი, - თქვა სერიოზული ხმით, - ასე დაიღვაროს ჩემი სისხლი, თუ კიდევ აღვმართო შენზე ხელი, ზორბას!

- ჩემი სისხლიც ასე დაიღვაროს, - თქვა ზორბასმა და მანაც რამდენიმე წვეთი ძირს დაღვარა, - თუ მოჭმული ყური არ დავივიწყო, მანოლაკას!

XXIII

დილაუთენია ლოგინში წამომჭდარმა ზორბასმა გამაღვიძა.

- გძინავს, ბატონო?

- რა მოხდა, ზორბას?

- სიზმარი ვნახე. უცნაური სიზმარი. მე მგონი, მალე სადღაც გავე-
მგზავრებით. მომისმინე და გაგეცინება. თითქოს აქ, ნავსადგურში,
ერთი დიდი, ქალაქისოდენა გემი იდგა. გასვლის საყვირი მისცა.
მეც ვითომ სოფლიდან გავრბოდი, რომ მიმესწრო. ხელში თუთიყუ-
ში მეჭირა. როგორც იქნა, მივალწიე და ხომალდზე ავედი. კაპიტანი
მოვიდა: “ბილეთი!” - დამიყვირა. - “რა ღირს?” - ვკითხე და ჭიბიდან
ქალაქის ფულის შეკვრა ამოვიღე. - “ათასი დრაქმა”. - “რვაასი
რომ გადავიხადო?” - ვკითხე. - “არა, ათასი”. - “რვაასზე მეტი არა
მაქვს, აჰა, გამომართვი!” - “გროშიც არ დააკლდება. ათასი! თუ არა
და გემიდან დროზე ჩადი!”. მაშინ მეც გავბრაზდი: “მომისმინე, კაპი-
ტანო, - ვუთხარი, - შენთვის კარგი მინდა. ეს რვაასი აიღე, აგერ რომ
გაძლევი, თორემ გავიღვიძებ, უბედურო და ამასაც დაკარგავ!”

ზორბასი სიცილისაგან გადაბჟირდა:

- ბიჭო, რანაირადაა ადამიანი მოწყობილი! მასში პურს, ღვინოს,
თევზს, თაღვამს დებ და ოხვრა, სიცილი და სიზმარი გამოდის. ნა-
მდვილი ქარხანაა! ჩვენს თავში, ასე მგონია, ხმოვანი ფილმების კი-
ნორეჟისორი ცხოვრობს.

უცებ ლოგინიდან წამოხტა:

- მაგრამ თუთიყუში რაღა შუაშია? - მკითხა ადელგებულმა. - თუ-
თიყუში რას ნიშნავს, ჩემთან ერთად რატომ მოდიოდა? ვაჰ, მგო-
ნი...

დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ერთი დაბალი, ეშმაკივით წი-
თური მაცნე ქოშინით შემოვიდა.

- ღვთის გულისათვისო, უბედური მაღამი ყვირის, ექიმი მომიყვანეთო. კვდება, საწყალი და მისი ცოდვა თქვენს კისერზე იქნება.

შემრცხვა. ქვრივის გამო აფორიაქებულებს ჩვენი ბებერი მეგობარი სრულებით გადაგვაგინწყდა.

- სტკივა ბედშავს, - ხალისიანად განაგრძო ჟღალწვერამ, - ისე ახველებს, სასტუმრო მანზარებს. ვირივით ყროყინებს! მთელი სოფელი ირყევა.

- ნუ იცინი, - დავუყვირე, - გაჩუმდი.

ფურცელი ავიღე და წერას შევუდექი.

- გაიქეცი, ეს წერილი ექიმს მიუტანე. არ დაბრუნდე, სანამ ცხენზე ამხედრებულს არ ნახავ. გესმის? წადი!

წერილს ხელი დასტაცა, ქამარში ჩაიკუჭა და აღმართს აუყვა.

ზორბასი უკვე ფეხზე წამომხტარიყო, მარდად, უხმოდ ჩაიცვა.

- მოიცადე, მეც მოგყვები, - ვუთხარი.

- მეჩქარება, მეჩქარება... - მითხრა და სოფლისკენ გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ მეც იმავე გზას დავადექი. ქვრივის უპატრონო ბალთან მიმითოსი იჭდა, ნაცემი ძაღლივით მობუზული და გაცოფებული. გამხდარიყო, თვალები ფოსოებში ღრმად ჩასცვენოდა, უელავდა. მობრუნდა და თვალი რომ მკიდა, ქვას დასწვდა.

- აქ რას აკეთებ, მიმითოს? - ვკითხე და ბაღს ხარბად მოვაგლე თვალი.

კისერზე თბილი, ალერსიანი მკლავები ვიგრძენი... ლიმონის ყვავილებისა და დაფნის სურნელი იდგა. ჩუმად ვიყავით. ბინდში ვხედავდი ქვრივის ცეცხლოვან შავ თვალებს, კაკლის ფოთლით გაპრიალებული ქათქათა კბილების ნათება თვალს მჭრიდა.

- რას მეკითხები? - დაიღრინა მიმითოსმა. - მიდი, შენს საქმეს მიხედე!

- სიგარეტი გინდა?

- აღარ ვეწევი. ყველანი ნაძირლები ხართ. ყველანი! ყველანი! ყველანი!

გულამოვარდნილი შეჩერდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა და ვერ პოულობდა.

- ნაძირლებო... უნამუსოებო... მატყუარებო... მკვლევებო!

თითქოს მიაგნო სიტყვას, რომელსაც ეძებდა, გეგე წამოვარდა, ტაში შემოჰკრა:

- მკვლევებო! მკვლევებო! მკვლევებო! - ყვიროდა. უცებ სიცილი აუტყდა.

გული მომეწურა.

- მართალი ხარ, მიმითოს, მართალი ხარ! - ჩავიჩურჩულე და ჩქარი ნაბიჯით გავეცალე.

სოფლის შესასვლელში მოხუცი ანაღნოსტისი დავინახე, ჯოხს დაყრდნობოდა და ქორფა ბალახში ერთმანეთს ადევენებულ ორ ყვითელ პეპელას უყურებდა. ახლა, როცა დაბერდა და ყანის, ქაღების, შვილების დარდი აღარ ჭამდა, სამყაროს დასათვალიერებლად მოიცალა. მიწაზე ჩემი ჩრდილი დაინახა და თავი ასწია:

- საით გაგიწევია ამ დილაუთენია? - მკითხა.

ეტყობა, ჩემს აღელვებულ სახეს თვალი მოჰკრა და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, მითხრა:

- ჩქარა, შვილო, ან მიუსწრებ ცოცხალს, ან არა... ეჰ, უბედური!

ფართო სანოლი, მისი ყველაზე ერთგული სამუშაო იარაღი, პა-

ტარა ოთახის შუაში გადაეადგილებინათ და მას მთლიანად ავსებდა. ერთგული მესაიდუმლე, მწვანეფრაკიანი, ყვითელქუდიანი, მრგვალთვალება, ჩაფიქრებული და მოუსვენარი თუთიყუში მისკენ გადახრილიყო. დაჰყურებდა თავის მწოლიარე ქალბატონს, რომელიც კვნესოდა. თავს აქეთ-იქით ხრიდა, რომ უკეთესად გაეგო...

არა, არა, ეს არც სიყვარულით გამოწვეული, მისთვის ასე ნაცნობი კვნესა, იყო, არც მტრედის ნაზი ღუღუნი, არც ლიტინით გამოწვეული ხითხითი... თავისი ქალბატონის სახეზე ჩამოსულ ცივ ოფლს, საფეთქლებზე მინებებულ სელისფერ დაუბანელ, დაუვარცხნელ თმას და საწოლში პატრონის მძიმე წრიალს თუთიყუში პირველად ხედავდა და შფოთავდა... უნდოდა, დაეყვირა: “კანაგარო! კანაგარო!”, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოსდიოდა.

ყველასგან მიტოვებული ქალბატონი კვნესოდა, მომჩვარული მსუქანი მკლავებით ზეწარს იხდიდა, სული ეხუთებოდა. შეუღებავი იყო, ჩამომჰკნარი. ოფლისა და ხრწნაშეპარული ხორცის მძაფრი სუნი იდგა. მისი გაცვეთილი, ძირგავარდნილი ქოშები საწოლთან ეყარა. ამის შემხედვარეს გული მოგეწურებოდა. ქალბატონზე მეტად სიბრაულეს სწორედ ეს ქოშები იწვევდა.

ავადმყოფის თავთან მჭდარი ზორბასი თვალმოუცილებლად დაჰყურებდა ამ ქოშებს. ტირილის შესაკავებლად ტუჩებს კუმავდა. შევედი და ზორბასის უკან დავდექი, მაგრამ მას არც გაუგია.

საცოდავი ქალი ბორგავდა, სუნთქვა უჭირდა, ხროტინებდა. ზორბასმა დასანიაველად ლურსმნიდან ტილოს ვარდებიანი ქუდი ჩამოხსნა. ხელს ჩქარ-ჩქარა, მოუხერხებლად იქნევდა, თითქოს სველი ნახშირის ანთებას ცდილობსო.

შემკრთალმა ქალმა თვალები გაახილა და ირგვლივ მიმოიხედა. სამყარო დაბინდულიყო, ვერავის არჩევდა, ზორბასსაც კი, რომელსაც წითელვარდებიანი ქუდი ეჭირა.

მის გარშემო წყვდიადი იდგა, მიწიდან ლურჯი ორთქლი ადიოდა და გამუდმებით იცვლებოდა, ხან მოხარხარე პირის ფორმას იღებდა, ხან ბრჭყალებიანი ფეხებისას, რომლებიც მისკენ მოიწვედნ-

ენ, ხანაც შავი ფრთებისას.

საცოდავმა ფრჩხილები ჭუჭყიან, ცრემლით, დორბლითა და ოფლით დალაქავებულ ბალიშს ჩაასო და ხმამაღლა ამოიხავლა:

- არ მინდა სიკვდილი! არ მინდა!

სოფლის ორ მოზარეს უკვე სუნი ეკრა. ისინი ოთახში შემოსრიალდნენ, იატაკზე მოკალათდნენ და ზურგით კედელს მიეყრდნენ.

თუთიყუშმა მრგვალი თვალი შეავლო მათ, გაბრაზდა, ყელი მოიღერა და დაიყვირა: “კანავ...”, მაგრამ გადარეულმა ზორბასმა გალიისკენ გაიშვირა ხელი და თუთიყუში მიყურდა.

კვლავ გაისმა სასონარკვეთილი ხავილი:

- არ მინდა სიკვდილი! არ მინდა.

კარში ორი პირტიტველა, მზისგან დამწვარი ჭაბუკი გამოჩნდა. მომაკვდავი კარგად შეათვალიერეს, გახარებულებმა ერთმანეთს რალაც ანიშნეს და გაუჩინარდნენ.

ეზოში მაშინვე შეშინებული კრიახისა და ფრთების ფართხუნის ხმა გაისმა, თითქოს ვიღაცა ქათმებს დასდევდა დასაჭერად.

პირველი მოზარე, დედაბერი მალამატენია, მეგობარს მიუბრუნდა:

- დაინახე, ლენიო, დაინახე? დამშულები ჩქარობენ. ქათმებს ახლავე დაკლავენ და მალე ძვლებსდა დატოვებენ. სოფლის ყველა უქნარამ ეზოში მოიყარა თავი და საცაა, შეტევაზე გადმოვლენ!

მერე მომაკვდავის საწოლისკენ მიტრიალდა:

- დროზე მოკვდი, შე ქალო, - ამოიკივლა, - დროზე მოკვდი, რომ ჭამა ჩვენც მოვასწროთ!

- კაცმა რომ თქვას, - თქვა ლენიომ და უკბილო პირი მოკუმა. -

კაცმა რომ თქვას, მალამატენია, კარგსაც შვრებიან... ცხონებული დედაჩემი მეუბნებოდა: მოიტაცე, რომ ჭამო და მოიპარე, რომ გქონდესო. ჩვენც დროზე დავიტიროთ, რომ ორიოდე ლუკმას მივესწროთ. იქნებ ერთი-ორ კოჭის ძაფსაც წამოგავლოთ ხელი. ხომ იცი, არც შვილები ჰყავდა, არც ძაღლები, მის ქათმებსა და კურდღლებს ვინ შეჭამს? მის ღვინოს ვინ დალევს? ვის დარჩება კოჭის ძაფები, სავარცხლები, კანფეტები? ეჰ, აბა რა გითხრა, მალამატენია, ღმერთმა მომიტევოს, მაგრამ ერთი სული მაქვს, ვეცე და რასაც მოვიხელთებ, მოვიპარო!

- მოიცა, შე თავმკვდარო, ნუ ჩქარობ, - უთხრა მალამატენიამ და მეგობარს ხელი მკლავში სტაცა. - მეც, გეფიცები, გონებაში სულ ეგ მიტრიალებს, მაგრამ სულის დალევა აცალე!

უბედური მადამ ჰორტენზია ბალიშის ქვეშ რაღაცას ეძებდა, რაღაცას ითხოვდა. როგორც კი საფრთხე ეგრძნო, სკივრიდან პრიალა ძვლის ჭვარცმა ამოეღო და თავქვეშ ამოეღო. ეს ჭვარცმა წლების მანძილზე დახეულ პერანგებსა და ხავერდის ძონძებს შორის დავინწყებული იდო სკივრის ფსკერზე. თითქოს ქრისტე წამალია, რომელიც მხოლოდ მძიმე ავადმყოფობის დროს უნდა მიიღო. სანამ უდარდელად ვცხოვრობთ, ვჭამთ, ვსვამთ და გვიყვარს, არ გვჭირდება.

ხელის ფათურით სპილოს ძვლის ქრისტე მოძებნა და ოფლიან, მომჩვარულ ძუძუებზე მიიკრა.

- ჩემო ქრისტე... ჩემო ქრისტე... - სიყვარულით ჩურჩულებდა, თავის უკანასკნელ საყვარელს გულში იკრავდა და კოცნიდა.

მისი სიტყვები, ნახევრად ფრანგული, ნახევრად ბერძნული, სინაზისა და ვნებისაგან ერთმანეთში არეულიყო. თუთიყუშმა გაიგონა, იგრძნო, რომ ხმის ტონი შეიცვალა, ჩავლილი ღამისთევები გაიხსენა და ზემე გახარებული წამოვარდა:

- კანავარო! კანავარო! - მამალივით დაიყვილა.

ზორბასი აღარ განძრეულა მის ჩასაჩუმებლად. სიყვარულით უც-

ქერდა მტირალ ქალს, რომელიც ჭვარცმულ ღმერთს კოცნიდა და ცრემლებით დასველებულ ჩამომდნარ სახეზე წარმოუდგენელი ნეტარება ეფინებოდა.

კარი გაიღო და მოხუცი ანაღნოსტისი შემოვიდა ფეხაკრეფით. ქუდი ხელში ეჭირა. ავადმყოფს მიუახლოვდა, დაიჩოქა და თავი დახარა:

- მომიტევე, მადამ, - უთხრა მას, - მომიტევე და ღმერთი შენც მოგიტევეს. თუკი როდისმე რამე უკადრისი სიტყვა დამცდენია, მომიტევე. ადამიანები ვართ!

მაგრამ მადამი მშვიდად იწვა, ენით გამოუთქმელ ნეტარებაში ჩაძირულიყო და მოხუცი ანაღნოსტისის ხმა არ ესმოდა. გამქრალიყო მისი ტანჯვა-წამება, მარტოხელა სიბერე, სიღარიბე, დამცირება, გამწარებული საღამოები, როცა თავის ზღურბლზე ეულად იჯდა და უბრალო პატიოსანი დედაკაცივით სოფლურ წინდას ქსოვდა. არადა, ხომ იყო დრო, როცა ეს პარიზელი პრანჭია, თვალყუყუნა ქალი ოთხ ძღვევამოსილ სახელმწიფოს თავის ნებაზე ათამაშებდა და ოთხი დიდი ფლოტი ესალმებოდა!

ლაჟვარდისფერ ზღვაში აქაფებულ ტალღებზე რკინის მცურავ კოშკებს ხედავდა, რომლებზეც სხვადასხვა ქვეყნის დროშები ფრიალებდა. შემწვარი გნოლები და წვერა სურნელს აფრქვევდა, ხილი გამოთლილი ბროლის ვაზებით მოჰქონდათ, შამპანურის საცობები ჭავშნოსნის რკინის ჭერს ეხეთქებოდა.

შავი, წაბლისფერი, ჭალარა, ქერა წვერები და ოდეკოლონის, იის, მუშკის, სურნელოვანი ზეთის სუნი მოაგონდა. კაიუტის რკინის კარი დაიკეტა, მძიმე ფარდები დაეშვა, შუქი აინთო და მადამ ჰორტენზიამ თვალეები დახუჭა. მთელი მისი მრავალნაამბორალი, მრავალტანჯული ცხოვრება - ეჰ, ღმერთო! - სულ რაღაც წამი ყოფილა...

მუხლებიდან მუხლებზე გადადიოდა, ოქრომკედით ნაქარგ პიჯაკებს ეფერებოდა, თითებს ხშირ სურნელოვან წვერში ასრიალებდა. მათი სახელები დავიწყებოდა, თვითონაც და თავის თუთიყუშსაც. მხოლოდ კანავარო ახსოვდა, რადგან ყველაზე გულუხვი იყო

და თუთიყუშსაც მხოლოდ მისი სახელის წარმოთქმა შეეძლო. დანარჩენი ჩახლართული და რთულად წარმოსათქმელი სახელები კი მესხიერებიდან ამოშლოდა.

მადამ ჰორტენზიამ ღრმად ამოიოხრა და ჯვარცმული ქრისტე გულში ძლიერად, ვნებით ჩაიკრა:

- ჩემო კანავარო... ჩემო კანავარო... - ბოდავდა და მომჩვარულ, ოფლიან მკერდში იკრავდა.

- გონებას კარგავს, - ჩაიჩურჩულა ლენიომ. - თავის ანგელოზს დაინახავდა და შეეშინდა... მანდილები მოვიხსნათ, მივუახლოვდეთ.

- ქალო, ღვთისა არ გეშინია? - ჰკითხა მალამატენიამ. - ცოცხალია, ქალო, როგორ დავიტიროთ?

- ეჰ, მალამატენია, - დაისისინა ლენიომ, - მის სკივრებსა და ტანსაცმელს ვერ ხედავ, მაღაზიაში ქონებას, ეზოში ქათმებსა და კურდღლებს ვერ უყურებ? შენ კი ზიხარ და მეუბნები, სული დალიოსო! თან რას წაიღებს?!

თქვა და ზეზე წამოვარდა. მეორე დედაბერი უკან მიჰყვა გადარეული. შავი თავსაფრები მოიძრეს, მეჩხერი თეთრი თმა გაიშალეს და სანოლს შემოუსხდნენ. პირველად ლენიომ ამოუშვა წვრილი, შემადრწუნებელი ხმა:

- ვაიი!

ზორბასი მივარდა, დედაბრებს თმაში სწვდა, გარეთ გაყარა და მიაყვირა:

- მოკეტეთ, ბინძურო ენაჭარტალებო! ჯერ კიდევ ცოცხალია, ეშმაკსაც წაუღიხართ!

- გამოყეყეხებული ბებერი! - დაიღრინა მალამატენიამ და მოსახვევი გამოიკვანძა. - ეს საიდანღა გამოტყვრა, უცხო მიწიდან მოთრეული!

კაპიტნის მრავალტანჯულმა ცოლმა, მადამ ჰორტენზიამ, კვილი გაიგონა, ტკბილი დრამა გაუჩინარდა, საფლაგმანო გემი ჩაიძირა, შემწვარ-მოხრაკულები, შამპანურები, სურნელოვანი წვერიც გაქრა და კვლავ სიკვდილის ამ მყრალ სარეცელში, ქვეყნის დასალიერში, აღმოჩნდა. წამოიწია, თითქოს წასვლა და თავის დაღწევა უნდაო, მაგრამ უკანვე დაეცა და ჩუმად, საყვედურით დაიკვნესა:

- არ მინდა სიკვდილი... არ მინდა...

ზორბასი დაიხარა, დაკოჟრილი ხელით გაგარვარებულ შუბლზე შეეხო, სახიდან თმა მოაშორა, ჩიტივით წვრილი თვალები აუცრემლიანდა.

- ჩუმად, ჩუმად, ჩემო ქალბატონო, - ჩაუჩურჩულა, - მე აქ ვარ, ზორბასი, ნუ გეშინია!

ხილვა უზარმაზარ პეპელასავით ერთბაშად დაბრუნდა და კვლავ მთელი სანოლი დაფარა. მომაკვდავი დედაკაცი ზორბასის ხელს დასწვდა, მეორე ხელი ნელა ასწია, ყელზე მოეფერა და ბაგეები შეარხია:

- ჩემო კანავარო... ოჰ, ჩემო კანავარო...

ძვლის ჯვარცმა ბალიშიდან ჩასრიალდა, ძირს დაეცა და ქრისტე ჯვარს მოსწყდა. ეზოში კაცის ხმა გაისმა.

- ბიჭო, ქათამი ჩადე-მეთქი, გეუბნები, წყალი უკვე დულს!

ზორბასმა მადამ ჰორტენზიას მკლავი ნელა მოიშორა ყელიდან. წამოდგა. ფერი წასვლოდა. ხელის ზურგით თვალებზე ცრემლები მოიწმინდა. ავადმყოფს შეხედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. თვალები კვლავ მოიწმინდა და დაინახა, რომ ქალი დასიებულ ფეხებს იქნევდა და პირს აფჩენდა. ერთი-ორჯერ შეირხა, ბეწრები ძირს ჩამოსრიალდა. ნახევრად შიშველი, მთლად ოფლიანი, დასივებული, გამწვანებულ-გაყვითლებული ქალი გამოჩნდა. დასაკლავი ქათამივით ხმამაღლა დაიკრიახა და ფართოდ გაღებულ, შეშინებული თვალები გაუშეშდა.

თუთიყუში გალიის ქვედა ქანდარაზე ჩახტა, რკინის წნელზე ჩამოეკიდა და ზორბასი დაინახა, რომელმაც მისი ქალბატონისკენ ხელი გაიწოდა და ძალიან ფრთხილად, ენით გამოუთქმელი სინამბით, თვალები დაუხუჭა...

- აბა, მარდად, მოკვდა! - დაიკვივლეს მოზარეებმა და საწოლს მისცვივდნენ.

ერთად კიოდნენ, აქეთ-იქით ირწეოდნენ, მკერდში მჭილს იცემდნენ. ამ მონოტონური დატირებისა და რხევისაგან ნელ-ნელა თავბრუ ესხმოდათ, ძველისძველი წამლით ინამლებოდნენ, გულის ქერქი სკდებოდა და დატირება ამოდიოდა:

არამც და არამც არ გიხდება საწოლი მიწის...

ზორბასი ეზოში გავიდა. ტირილი უნდოდა, მაგრამ ქალების მოერიდა. მახსოვს, ერთ დღეს მითხრა: “ტირილის არ მრცხვენია, ოღონდ მამაკაცებთან. მეგობართა წრეში. ქალებს მუდამ მამაკაცებად უნდა მოვაჩვენოთ თავი, რადგან ჩვენც თუ ავბლუქუნდით, იმ უბედურებმა რაღა ქნან? სამყარო დაილუპება”.

მიცვალებული ღვინით განბანეს. გამპატიოსნებელმა დედაბერმა სკივრიდან სუფთა ტანსაცმელი ამოიღო, გამოუცვალა, იქვე ნაპოვნი ერთი ბოთლი ოდეკოლონიც დაასხა. ახლომახლო ბოსტნებიდან მკვდრის ბუმები მოფრინდნენ და ნესტოებში, თვალების უპეებსა და ტუჩის კუთხეებში კვერცხები დადეს.

შემგლისფერდა. ცა დასავლეთისკენ თბილ, მუქ იისფრად შეიფერა. ოქროს არშიამოვლებული წითელი ფუმფულა ღრუბლები საღამოს შუქში ფორმას დაუსრულებლად იცვლიდნენ. ბამბისა და აბრეშუმის დაძენძილ ხომალდებად, გედებად, ხანაც ფანტასტიკურ მხეცებად გარდაისახებოდნენ. ლერწმებს შორის, ეზოს გადაღმა, აღელვებული ზღვა ტორტმანებდა.

ორი გამძლარი ყვავი ლელვის ხიდან ჩამოფრინდა და ეზოს ფილებზე დახტოდა. გაბრაზებული ზორბასი ქვას დასწვდა და ესროლა.

ემოს ერთ კუთხეში სოფლის მანანწალებს ღრეობა გაემართათ. სამზარეულოს მოზრდილი მაგიდა გამოეთრიათ, პურისთვის, თეფშებისთვის, დანა-ჩანგალისთვის მიეგნოთ, საკუჭნაოდან მოწნული ბოცით ღვინო გამოეთანათ, სამი ქათამი მოეხარშათ და, დამშეულები, გახარებულები ჭამდნენ, სვამდნენ, თან ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებდნენ.

- ღმერთმა შეუნდოს! დავივინყოთ მისი ცოდვები!

- ყველა მისი საყვარელი, ბიჭებო, მისი სულის წასაყვანად ანგელოზად იქცეს.

- ბიჭო, ერთი ბებერ ზორბასს შეხედე, - თქვა მანოლაკასმა, - მესაფლავეებს დასდევს! დაქვრივდა უბედური, დაფუძახოთ, შესანდობარი დალიოს. ეი, კაპიტანო ზორბას, ეი, ძმობილო!

ზორბასი მიბრუნდა. გაშლილი სუფრა დაინახა. ქათმებს ოხშივარი ასდიოდა, ღვინო ჭიქებში იყო ჩამოსხმული, ძლიერ, მზებე გამავებულ ჭაბუკებს თავზე სარიკები დაეხვიათ, უდარდელობასა და სიყმანვილეს ასხივებდნენ.

“ზორბას, ზორბას, - ჩაიჩურჩულა, - გაუძელი. ახლა მჭირდება შენი თავი!”

მიუახლოვდა, ჭიქა ღვინო ერთბაშად გამოცალა, მეორე დალია, მერე მესამე. ქათმის ერთი ნაჭერი შეჭამა. ხმა არავის ამოუღია, არც ზორბასს დასცდენია სიტყვა. ჩქარ-ჩქარა ჭამდა და სვამდა, ხარბად, ერთ ლუკმად, ერთ ყლუპად, მდუმარედ. თავი ოთახისკენ მიებრუნებინა, სადაც მისი ბებერი საყვარელი უძრავად იწვა, და ღია სარკმლიდან გამომავალ დატირებას უსმენდა. შიგადაშიგ სევდიანი მელოდია წყდებოდა და ყვირილის, კარადების გაღება-დახურვისა და ჩქარი, მძიმე ნაბიჯების ხმა ისმოდა, თითქოს იბრძვიანო. მერე კვლავ ფუტკრის ბუზუნით მონოტონური, უსასოო, სევდიანი დატირება იწყებოდა.

მოზარეები მკვდრის ოთახში აქეთ-იქით დარბოდნენ, მოთქვამდნენ და თან გადარეულები რალაცას ეძებდნენ. გარდერობი გამო-

ხსნეს, ხუთი-ექვსი კოვზი, ცოტა შაქარი, ერთი ქილა ყავა, ერთი კოლოფი რაჭათლუკუმი იპოვეს. მისცვივდნენ. ლენიომ ყავასა და რაჭათლუკუმს დაავლო ხელი, დედაბერმა მალამატენიამ - შაქარსა და კოვზებს. ორ რაჭათლუკუმსაც სტაცა ხელი, პირში ჩაიტენა და პირგამოტენილს დატირება მოგუდული გამოუვიდა.

ზედ დაგეყარა ყვავილები, ვაშლები - ფერხით...

ოთახში ორი დედაბერი შემოძვრა. სკვირს ეცნენ, რამდენიმე მანდილს, ორ-სამ პირსახოცს, სამ წინდას, ერთ წვივსაკრავს სტაცეს ხელი, უბეში ჩაიტენეს, მკვდრისკენ მიბრუნდნენ და პირჯვარი გადაისახეს.

მალამატენიამ დედაბრები დაინახა, რომლებიც სკვირში იქექებოდნენ და გაცოფდა.

- დატირება გააგრძელე, ქალო, ახლავე მოვალ! - მიაძახა ლენიოს და თვითონაც სკვირში ჩაძვრა.

სკვირში ატლასის ძონძები, გახუნებული ბადრიჭნისფერი ხალათი, ძველისძველი წითელი ფეხსაცმელი, გატეხილი მარაო, ახალი წითელი ქოლგა ეწყო, ძირში კი აღმირალის ძველი სამკუთხა ქუდი იდო, მისთვის ოდესღაც რომ ეჩუქებინათ. როცა ქალი მარტო იყო, სერიოზული და მელანქოლიური, სარკის წინ იხურავდა და სამხედრო სალამს აძლევდა.

ვარს ვიღაც მოუახლოვდა. დედაბრები დაფაცურდნენ, ლენიო ისევ მკვდრის სანოლს ჩაეჭიდა და მკერდში მჭიდის ცემა და კივილი დაიწყო:

წითელ მიხაკებს მოუხატავთ ეგ შენი ყელი...

ზორბასი შემოვიდა და მშვიდ, გაყვითლებულ, ბუზბუზასეულ, გულხელდაკრეფილ ქალს დახედა, რომელსაც ყელზე ხავერდის ლენტის ჯერ კიდევ ეკეთა.

“მიწის ბელტია, - გაიფიქრა, - მიწის ბელტი, რომელსაც შიოდა,

იცინოდა და ვილაცხას ეხვეოდა. ერთი მუჭა ტალახია, რომელიც ტიროდა და ახლა? რომელ ეშმაკს მოვყავართ სამყაროში და რომელ ეშმაკს მივყავართ?

გადააფურთხა და დაჭდა. ნაჭამ-ნასვამს ძალა მოეკრიბა.

გარეთ, ეზოში, ახალგაზრდები ფერხულში ჩაბმულიყვნენ. ლირაზე დამკვრელი ფანურიოსი მოვიდა, მაგიდა, ნავთის ბიდონები, გობი, სარეცხის კალათა მისწი-მოსწიეს, ადგილი გაითავისუფლეს და ცეკვა დაიწყეს.

უხუცესებიც მოვიდნენ: ძია ანაღნოსტისი თავისი გრძელი მოკაუჭებული ჯოხითა და თეთრი ფართოსახელოებიანი პერანგით; ჩასუქებული კონდომანოლიოსი და მასწავლებელი, რომელსაც ქამარზე სპილენძის სამელნე ეკიდა, მწვანე კალმისტარი ყურზე გაედო. მოხუცი მაგრანტონისი აკლდათ: მართლმსაჯულებას ემალებოდა და მთაში ასულიყო.

- ეს რანაირად მხედები, გოგო! - თქვა ძია ანაღნოსტისმა, მოქეიფეებს მიუბრუნდა და ხელი ასწია. - ისიამოვნეთ! ჭამეთ და სვით, ღმერთმა დაგლოცოთ, მაგრამ ნუ ყვირით, სირცხვილია. მკვდარს ესმის. ესმის გოგოს!

კონდომანოლიოსმა გამოაცხადა:

- ცხონებულის ქონება უნდა აღვუნახოთ და სოფლის ღარიბებს გაგუნაწილოთ. რაც ჭამეთ, ჭამეთ, რაც დალიეთ, დალიეთ, იკმარეთ! გაძარცვა არც იფიქროთ, შავ დღეზე გაჩენილებო, თორემ ამას ხომ უყურებთ! - თქვა და შესაშინებლად ჯოხი შეარხია.

სოფლის უხუცესების უკან ათიოდე თმაგანწილი, ფეხშიშველი, ჩამოკონკილი ქალი გამოჩნდა. თითოეულს ცარიელი ტომარა ამოვიღლიავებინა ან მხარზე გოდორი მოეგდო. ქურდულად, მღუმარედ მოიპარებოდნენ.

ძია ანაღნოსტისი შებრუნდა და მათ დანახვაზე გაცეცხლებულმა დაიყვირა:

- ეი, მანანალებო, უკან დაიხიეთ! რაო, შეტევაზე გადმოდიხართ? ყველაფერს ქალაქდზე ჩამოვწერთ, შემდეგ კი წესითა და სამართლიანობით გაგუნაწილებთ ღარიბებს. უკან-მეთქი, გეუბნებით, ჯოხი არ ამანვეინოთ!

მასწავლებელმა ქამრიდან სპილენძის სამელნე ჩამოიხსნა, დიდი ფურცელი ორად მოკეცა და მალაზიისკენ მიბრუნდა, რათა აღწერა იქიდან დაეწყო.

უცებ საშინელი ხმაური ატყდა: ბიღონები ერთმანეთს ეხეთქებოდა, კოჭის ძაფები მოგორავდა, ფინჯნები იმსხვრეოდა. სამზარეულოდანაც ქვაბების, თეფშების, ჩანგლების ჟღერიალი ისმოდა.

მოხუცი კონდომანოლიოსი მათკენ გაიქცა, ჯოხს იქნევდა, მაგრამ რომელი ერთისთვის უნდა მოესწრო! დედაბრები, მამაკაცები, ბავშვები კარიდან გამორბოდნენ, ფანჯრებიდან და ლობეებიდან ხტებოდნენ, ერდოდან ჩამოდიოდნენ. თან მიჰქონდათ ყველაფერი, რის დატაცებასაც ასწრებდნენ: ტაფები, ქვაბები, ლოგინები, ბოცვრები... ზოგიერთს ანჯამებიდან ფანჯრები და კარი ჩამოეხსნა და ზურგზე მოკიდებულს მიათრევდა. მიმითოსსაც ცხონებულის ფეხსაცმელი მოეტაცა, ზონრით ერთმანეთზე გადაება და კისერზე ჩამოეკიდა, თითქოს კისერზე შესმული მადამ ჰორტენზია მიჰყავდა და მხოლოდ ფეხსაცმელი მოუჩანდა...

მასწავლებელმა წარბი შეიკრა, სამელნე ისევ ქამარზე ჩამოიკიდა, სუფთა ფურცელი კიდევ ერთხელ გადაკეცა, უზომოდ ღირსებაშელახულმა ზღურბლს მღუმარედ გადააბიჯა და წავიდა.

საცოდავი ძია ანაღნოსტისიც ყვიროდა, ივედრებოდა, ჯოხს იქნევდა:

- გრცხვენოდეთ, ხალხო, გრცხვენოდეთ, მკვდარსაც ესმის!

- მღვდელს ხომ არ დაგუძახო? - იკითხა მიმითოსმა.

- რომელ მღვდელს, შე სულელო? - უყვირა კონდომანოლიოსმა. - ბიჭო, ის ფრანგი იყო, ვერ ხედავდი, პირჯვარს როგორ იწერ-

და? ოთხი თითით, წყეული! მოდი, დროზე დაგმარხოთ, რომ არ აყროლოდეს და სოფელი არ ააქოთოს!

- გეფიცები, უკვე მატლები ეხვევა! - თქვა მიმითოსმა და პირჯვარი გადაისახა.

ძია ანაღნოსტისმა კეთილშობილური თავი გადააქნია:

- რამ გაგაკვირვა, შე სულელო? ადამიანი, იცოდე, დაბადებიდანვე მატლებითაა საგსე, მაგრამ ვერ ვხედავთ. აყროლებას როცა ვინყებთ, ნახვრეტებიდან გამოდიან - თეთრები, ყველის მატლებიგით!

პირველი ვარსკვლავები გამოჩნდა და ჰაერში მოცახცახე ვერცხლის მანზალაკებივით დაევიდა. მთელი ღამე წკრიალის ხმა ისმოდა.

ზორბასმა მიცვალეხულის სანოლის თავიდან თუთიყუშის გალია ჩამოხსნა. დაობლებული, თავზარდაცემული ფრინველი კუთხეში მიკუნჭულიყო. თვალებს აცეცებდა, ვერაფერს ხვდებოდა. მერე თავი ფრთებქვეშ ამოიღო და აიბუზა.

ზორბასმა გალია რომ ჩამოხსნა, თუთიყუში ზეზე წამოხტა, რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ზორბასმა ხელი ასწია და აღერსიანად უთხრა:

- ჩუმად, ჩუმად, ჩემთან წამოდი.

მერე დაიხარა და მიცვალეხულს დახედა. დიდხანს უყურებდა, ყელში ბურთი ეჩხირებოდა. მისკენ დახრა და კოცნა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა.

- აბა, მშვიდობით, - ჩასჩურჩულა.

გალია აიღო და ეზოში გავიდა. თვალი რომ მომკრა, მომიახლოვდა:

- წავიდე... - მითხრა ჩუმად და მკლავში ხელი გამომდღო.

მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ ტუჩები უთრთოდა.

- ყველანი ამავე გზას დავადგებით... - ვუთხარი სანუგეშებლად.

- ნუგეშისცემას გაუმარჯოს! - წაისისინა სარკასტულად. - წავიდეთ აქედან.

- მოიცადე, ზორბას, გამოსვენებას უპირებენ, მოიცადე, ვნახოთ... ვერ გაუძლებ?

- გაგუძლებ... - მიპასუხა ჩამწყდარი ხმით.

გალია ძირს დადგა და გულხელი დაიკრიფა.

მიცვალებულის ოთახიდან ქუდმოხდილი ძია ანაღნოსტისი და კონდომანოლიოსი გამოვიდნენ, პირჯვარი გადაისახეს. მათ უკან მომავალ ოთხ მოცეკვავეს, ყურებზე აპრილის ვარდები რომ გაედოთ და შეზარხოშებულები კარგ ხასიათზე იყვნენ, კარი მოჰქონდათ, რომელზეც ცხედარი ესვენა. უკან მოჰყვებოდნენ ლირაზე დამკვრელი, ათამდე მხიარული მამაკაცი, რომლებიც ჯერ კიდევ იღეჭებოდნენ და ხუთი-ექვსი ქალი, რომლებსაც ქვაბები ან სკამები მოჰქონდათ. სულ ბოლოს მიმითოსი მოდიოდა, კისერზე ძირგავარდნილი ფეხსაცმელები ჩამოეკიდებინა.

- მკვლელებო! მკვლელებო! მკვლელებო! - ყვიროდა და იცინოდა.

თბილი, ნოტიო ქარი უბერავდა. ზღვაც გადაირია. ლირაზე დამკვრელმა ხემი ასწია. თბილ ღამეში მისი ხმა მხიარულად მორაკრაკებდა:

რატომ ჩახვედი, მზეო ჩემო, რატომ ჩახვედი?!..

- წავიდეთ! - მითხრა ზორბასმა. - ყველაფერი დამთავრდა...

XXIV

სოფლის ორღობეებში მღუმარედ მივაბიჭებდით. ჩაბნელებული სახლები შავად მოჩანდა. სადღაც ძალი ყეფდა, სადღაც ხარი ზმუნოდა. შიგადაშიგ ქარს ჩვენამდე ლირის მხიარული, მჩქეფარე, წყლის რაკრაკის მსგავსი ხმა მოჰქონდა.

სოფლიდან გამოვედით და ჩვენი სანაპიროსკენ დავადექით გზას.

- ზორბას, - ვუთხარი მძიმე სიჩუმის დასარღვევად, - ეს რა ქარია? სამხრეთისა?

ზორბასი წინ მიდიოდა, თუთიყუშის გაღია ხელში ფარანივით ეჭირა. არაფერი მიპასუხა.

ჩვენს სანაპიროს რომ მივადექით, ზორბასი მომიბრუნდა და მკითხა:

- გშია, ბატონო?

- არა, არ მშია, ზორბას.

- გეძინება?

- არა.

- არც მე. მოდი, კენჭებზე დავსხდეთ. რაღაც მინდა გკითხო.

ორივე დაღლილი ვიყავით, მაგრამ დაძინება არ გვინდოდა. ამ დღის სიმწარეს ვერ ვივიწყებდით. ძილი საფრთხის დროს გაქცევად გვეჩვენებოდა და დაძინების გვრცხვენოდა.

ზღვის პირას დავსხედით. ზორბასმა გაღია მუხლებს შორის ჩაიდგა და კარგა ხანს დუმდა. მთას შიშის მომგვრელი თანავარსკვლავედი ამოსცდა, მრავალნახნაგა, მორკალულკუდიანი დრაკონი. შიგადაშიგ ცას ვარსკვლავი წყდებოდა.

ზორბასი ამ ყველაფერს პირღია შეჰყურებდა, თითქოს პირველად ხედავდა.

- ნეტა იქ, ზემოთ, რა ხდება! - ჩაიჩურჩულა.

ცოტა ხნის შემდეგ კი გადანწყვიტა, ეკითხა:

- იცი, რა მითხარი, ბატონო, - მისი სერიოზული ხმა ცხელ ღამეს მღელვარებით ავსებდა, - რას ნიშნავს ყოველივე ეს? ვინ შექმნა? რატომ შექმნა ასე? და, რაც მთავარია (ზორბასის ხმაში ბრაზი და შიში იგრძნობოდა), რატომ უნდა ვკვდებოდეთ?

- არ ვიცი, ზორბას! - მივუგე და შემრცხვა, თითქოს ყველაზე მართივ რაღაცას მეკითხებოდნენ და ახსნა არ შემეძლო.

- არ იცი?! - მითხრა ზორბასმა და თვალები გადმოკარკლა.

ადრეც ასევე გადმოკარკლა, როცა მკითხა, ვცეკვავდი თუ არა და ვუპასუხე, ცეკვა არ ვიცი-მეთქი.

მცირე ხნით იყუჩა, მერე მოულოდნელად ამოხეთქა:

- აბა ამ სულელურ ქაღალდებს რისთვისდა კითხულობ? ამას თუ არ ამბობენ, მაშ რას ამბობენ?

- იმ ადამიანის წუხილზე ლაპარაკობენ, რომელსაც შენს კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეუძლია, ზორბას.

- მიმიფურთხებია ამ წუხილისათვის! - თქვა ზორბასმა და აღშფოთებულმა ფეხი ქვებს დაჰკრა.

თუთიყუში მოულოდნელ ხმაურზე შეფრთხიალდა.

- კანავარო! კანავარო! - აყვირდა, თითქოს დახმარებას ითხოვს.

- შენც მოკეტე! - უთხრა ზორბასმა და გალიას მუშტი უთაქა.

კვლავ მომიბრუნდა:

- მითხარი, საიდან მოვდივართ და საითკენ მივემართებით. შენ ხომ სოლომონის სიბრძნეებზე ჩამოჭკნი, ორი-სამი ათასი კილო ქალაქი გექნება გამონურული. რა წვენი გამოადინე?

ზორბასის ხმაში ისეთი მღელვარება იგრძნობოდა, რომ სუნთქვა შემეკრა. ეჰ, მისთვის პასუხის გაცემა რომ შემძლებოდა!

დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანის უმაღლესი მიღწევა არც ცოდნაა, არც სათნოება, არც სიკეთე, არც გამარჯვება, არამედ რაღაც უფრო მეტი, უფრო გმირული და უიმედო: შიში, წმინდა შიში. რა არის წმინდა შიშის იქით? ამის გაგება ადამიანის გონებას არ ძალუძს.

- ვერ მპასუხობ? - მკითხა ადელგებულმა ზორბასმა.

შევეცადე, ჩემი ამხანაგისთვის წმინდა შიშის არსი გამეგებინებინა.

- ერთი ციციქნა მატლები ვართ უზარმაზარი ხის პატარა ფოთოლზე, ზორბას, - ვუპასუხე. - ეს ფოთოლი ჩვენი დედამიწაა, დანარჩენი ფოთლები ვარსკვლავებია, რომელთა ციალსაც ღამით ხედავ. ჩვენს პატარა ფოთოლზე დაგხოხავთ და ბეჭითად ვიძიებთ: ვყნოსავთ - სუნი ასდის, ყარს; გემოს ვუსინჯავთ - იჭმება; ვურტყამთ - ექოს გამოსცემს და ცოცხალ არსებასავით ყვირის.

ბოგიერთები, ყველაზე უშიშრები, ფოთლის კიდემდე ვაღწევთ. იმ კიდიდან თვალეზგაფართოებულები, ყურებდაცქვეტილები, ქვემოთ, ქაოსში ვიყურებით. თმა ყალყზე გვიდგება. ვგრძნობთ, რომ ჩვენს ქვემოთ საშინელი უფსკრულია, შიგადაშიგ უზარმაზარი ხის სხვა ფოთლების შრიალი გვესმის, ფესვებიდან ამოსულ წვენს ვგრძნობთ და გული გვევსება. უფსკრულისკენ გადახრილ ჩვენს სხეულსა და სულს შიში ეუფლება. იმ წამიდან იწყება...

გავჩერდი. მინდოდა მეთქვა: "იმ წამიდან იწყება პოეზია", მაგრამ ზორბასი ვერ მიხვდებოდა და გავჩუმდი.

- რა იწყება? - დაინტერესდა ზორბასი. - რატომ გაჩერდი?

- ...დიდი საფრთხე იწყება, ზორბას, - ვუთხარი. - ზოგს თავბრუ ეხვევა და ბოლავს, ზოგს ეშინია და უნდა, რამე პასუხს მიაგნოს, რითაც გულის გამაგრება შეუძლია და მას “ღმერთს” უწოდებს. ზოგი ფოთლის კიდიდან უფსკრულს მშვიდად, გაჟვაცურად ჩაჰყურებს და ამბობს: “მომწონს”.

ზორბასი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, გაგებას ცდილობდა. ბოლოს მითხრა:

- მე სიკვდილს ყოველ წამს ვუყურებ. ვუყურებ და არ მეშინია. მაგრამ არასოდეს, არასოდეს ვამბობ: მომწონს-მეთქი. სრულიადაც არ მომწონს! მე ხომ თავისუფალი ვარ? ჰოდა, არ მომწონს!

გაჩუმდა, მაგრამ მალე წამოიყვინძო:

- არა, სიკვდილს კრავივით ქედს არ მივუშვერ და არ ვეტყვი: “დამკალი, ჩემო ბატონო, რომ განვიწმინდო!”

ხმას არ ვიღებდი. ზორბასი შემობრუნდა და გაბრაზებულმა შემომხედა.

- მე ხომ თავისუფალი ვარ? - კვლავ დამიყვინძო.

არაფერი მიპასუხია. გაჭირვების ჟამს თქვა “ღიახ” და გარდაუვალი საკუთარ თავისუფალ ნებად გარდასახო - ალბათ, ეს არის ხსნის ერთადერთი ადამიანური გზა. ეს ვიცოდი და ამიტომაც ხმას არ ვიღებდი.

ზორბასი მიხვდა, რომ მისთვის სათქმელი აღარაფერი მქონდა, გალია ფრთხილად აიღო, თუთიყუშს რომ არ გაღვიძებოდა, თავთან დაიდგა და დაწვა.

- ძილი ნებისა, ბატონო, - მითხრა. - დღეს გვეყო.

ეგვიპტიდან სამხრეთის თბილი ქარი უბერავდა და კრეტის ხილსა და ქალიშვილების მკერდს სწრაფად ამწიფებდა. ვგრძნობდი,

შუბლზე, ტუჩებსა და ყელზე სითბო მეღვრებოდა, ჩემი ტვინი თესლივით ტკაცუნებდა და იზრდებოდა.

ვერ ვიძინებდი, არც მინდოდა. არაფერზე ვფიქრობდი. ამ თბილ ღამეს მხოლოდ რაღაცას თუ ვიღაცას ვგრძნობდი ჩემ შიგნით, რომელიც მწიფდებოდა. ვხედავდი, ნათლად აღვიქვამდი ამ შესანიშნავ სანახაობას - ჩემს ცვლილებას. რაც ჩვენი მკერდის ყველაზე ბნელ სიღრმეებში ხდება, ახლა ნათლად, ცხადად, ჩემ წინ ხდებოდა. ზღვის ნაპირას ჩამომტდარი სასწაულის ყურებით ვტკბებოდი.

ვარსკვლავები გაიცრიცა, ცა განათდა. სინათლეში მთების, ხეების, თოლიების კონტურები გამოიკვეთა. თენდებოდა.

რამდენიმე დღე გავიდა. ყანები დაპურდა, მარცვლით სავსე თავთავები სიმძიმისგან დაიხარა. ჭრიჭინები ზეთისხილის ხეებზე ჭრიჭინით არემარეს აყრუებდნენ, მზის კაშკაშა შუქზე მწერები ბრწყინავდნენ და ზუზუნებდნენ. ზღვას ოხშივარი ასდიოდა.

ზორბასი დილაუთენია ხმისამოუღებლად მიდიოდა მთაში. საბაგროს მონყოლა უკვე სრულდებოდა: ბოძები ჩაარჭვეს, ბაგირი გაჭიმეს, ჭოჭონაქები დაკიდეს. ზორბასი სამუშაოდან ღამით სიქაგაცლილი ბრუნდებოდა. ცეცხლს ანთებდა, საჭმელს ამზადებდა. ვჭამდით, ვცდილობდით, ჩვენ შიგნით არსებული დიდი დემონები - სიყვარული, სიკვდილი, შიში - არ გაგვეღვიძებინა. არც ქვრივზე ვლაპარაკობდით, არც მაღამ ჰორტენზიაზე, არც ღმერთზე. ჩვენ წინ გადაშლილ ზღვას ორივენი მუნჯებივით გავცქეროდით.

ერთ დილას ავდექი, დავიბანე. თითქოს სამყაროც ჩემსავით წამოდგა და განიბანაო, განახლებულმა ისე გამოანათა. სოფლის გზას დავადექი. მარცხნივ ლილისფერი ზღვა ლივლივებდა, მარჯვნივ ოქროს შუბებივით შემართული ხორბლის ყანა მოჩანდა. მწვანე ფოთლებითა და ვაკრებით სავსე ბატონის ასულის ლედვის ხეს ჩავუარე. ქვრივის ბაღს ისე სწრაფად გავცდი, მისკენ არც კი გამიხედავს და სოფელში შევედი. სასტუმრო დაობლებული და მიტოვებული დამხვდა, კარ-ფანჯარა აღარ ჰქონდა, ეზოში ძაღლები დანანნალებდნენ, ოთახები ცარიელი და გაპარტახებული იყო. მიცვალებულის ოთახში აღარც საწოლი იდგა, აღარც სკივრი, აღარც სკამი.

ყველაფერი დაეტაცებინათ, მხოლოდ ერთ კუთხეში ჯერ კიდევ ეგდო დაძონძილი, ძირგავარდნილი, წითელპომპონიანი ცალი ჩუსტი. ქალბატონის ერთგული მისი ფეხის ფორმას ჯერაც ინახავდა. ადამიანებზე მეტად გულშემატკივარ ამ საცოდავ ჩუსტს საყვარელი, მრავალტანჯული ფეხი არ დავიწყებოდა.

დაბრუნება დამაგვიანდა. ზორბასს ცეცხლი უკვე დაენთო და საჭმლის გასაკეთებლად ემზადებოდა. თავი რომ წამოსწია და შემომხედა, მიხვდა, საიდან მოვდიოდი და წარბები შეჭმუხნა. ამდენი დღის შემდეგ ამ საღამოს გული კვლავ გადამიშალა, დამელაპარაკა:

- ყოველი ტკივილი, ბატონო, - მითხრა, თითქოს თავის მართლებას ცდილობდა, - გულს ორად მიპობს, მაგრამ ორმოცგან დაჭრილი მაშინვე მთელდება და იარა აღარ ეტყობა. შეხორცებული ჭრილობებით ვარ სავსე, ამიტომაც ვუძლებ.

- ზორბას, ძალიან მალე დაივიწყე უბედური ბუბულინა, - ვუთხარი. ხმაში, ჩემდა უნებურად, უკმეხობა შემეპარა. ზორბასს ეწყინა, ხმას აუნია.

- ახალ გზას დავადექი, - დაიყვირა, - ახალი გეგმები დავისახე. გუშინდელი აღარ მაინტერესებს, წინასწარაც არაფერს ვითხოვ. მხოლოდ ის მადარდებს, ახლა, ამნამს რა ხდება. თავს ვეკითხები: "ახლა რას აკეთებ, ზორბას? - მძინავს. - მაშ, კარგად დაიძინე! - ახლა რას აკეთებ, ზორბას? - ვმუშაობ. - მაშ, კარგად იმუშავე! - ახლა რას აკეთებ, ზორბას? - ქალს ვეხვევი. - მაშ, კარგად მოეხვიე, ზორბას, სხვა ყველაფერი დაივიწყე, სხვა არაფერი არსებობს სამყაროში, მხოლოდ ის და შენ, შეუბერე!"

ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

- როცა ბუბულინა ცოცხალი იყო, არც ერთ კანავაროს მისთვის იმდენი სიხარული არ მიუნიჭებია, რამდენიც მე, მანანწალა ბებერ ზორბასს. როგორო, მკითხავ? კანავაროები მას კოცნიდნენ და თან თავიანთ ფლოტზე, კრეტაზე, თავიანთ მეფეებზე, ბუმბენტებზე ან ცოლებზე ფიქრობდნენ. მე კი ყველაფერს ვივიწყებდი, ყველაფერს

და ის უნამუსო ამას ხვდებოდა. იცოდე, ბრძენთაბრძენო, ქალისთვ-ის ამაზე დიდი სიხარული არ არსებობს! ნამდვილი ქალი, იცოდე, მეტად ხარობს იმ სიხარულით, რომელსაც გასცემს, ვიდრე იმით, რომელსაც მამაკაცისგან იღებს.

დაიხარა, ცეცხლში შეშა შეუკეთა, ცოტა ხანში კი მითხრა:

- გეგ საბავიროს ვხსნით. თითქოს მიწაზე აღარ დავაბიჯებ, საბავირო ვარ, მხრებზე ჭოჭონაქებს ვგრძნობ!

- გახსოვს, ზორბას, პირეასის ყავახანაში რა სატყუარა გადმომი-იგდე, ანკესზე რომ წამოგეგე? ისეთ წვნიანებს ვამზადებ, დედამ რომ გემო გაუსინჯოს, შვილს არ მიაწვდისო. როგორ მიხვდი, წვნი-ანები ყველაზე მეტად რომ მიყვარს?

ზორბასმა თავი გააქნია:

- აბა, რა ვიცი, ბატონო? თავისით გამოვიდა. ყავახანის კუთხეში წყნარად მიმჯდარი, მობუზული, აკანკალებული, ოქროსვარაყიან წიგნზე დახრილი რომ დაგინახე, მეც არ ვიცი, ისე მივხვდი, რომ წვ-ნიანი გეყვარებოდა. ასე გამომივიდა-მეთქი, გუუბნები, რას გაიგებ?

დადუმდა და რაღაცას მიაყურადა.

- ჩუმად, - მითხრა, - ვილაც მოდის!

ჩქარი ნაბიჯებისა და სირბილით მომავალი ადამიანის ქოშინის ხმა გაისმა. უცებ ცეცხლის შუქზე ჩვენ წინ ბერი გაჩნდა. შესამოსელი დახეოდა, თავშიშველს წვერი შეტრუსოდა და ნახევარი ულვაშიდა შერჩენოდა. ნავთის სუნი უდიოდა.

- მამა ზაქარიას გაუმარჯოს! - შესძახა ზორბასმა. - მამა იოსებს გაუმარჯოს. ეს რა დღეში ხარ?

ბერი ცეცხლთან ჩაიკეცა, ყბა უცახცახებდა.

ზორბასი დაიხარა და თვალი ჩაუკრა.

- ჰო, - უპასუხა ბერმა.

ზორბასი გახარებული წამოვარდა.

- გაგიმარჯოს, ბერო! ახლა კი ნამდვილად შეხვალ სამოთხეში, თანაც ხელში ნავთის ბიდონი გეჭირება.

- ამინ! - ჩაიხურჩულა ბერმა და პირჯვარი გადაიწერა.

- როგორ მოხდა? როდის? მოჰყევი!

- მთავარანგელოზი მიქაელი გამომეცხადა, ძმაო კანავარო. ბრძანება მივიღე. მომისმინე: სამზარეულოში მარტო ვიყავი და ლობიოს ვარჩევდი. კარი ჩაკეტილი იყო, მამები მწუხრის ლოცვაზე იდგნენ, სიჩუმე გამეფებულებოდა. ჩიტების გალობას ყურს ვუგდებდი და ანგელოზებად მეჩვენებოდნენ. მშვიდად ვიყავი, ყველაფერი მომზადებული მქონდა, ველოდი. ერთი ბიდონი ნავთი ვიყიდე და სასაფლაოს სამლოცველოში, წმინდა საკურთხევლის ქვეშ, დავმალე, რათა მიქაელ მთავარანგელოზს დაელოცა...

ჰოდა, გუშინ საღამოს ლობიოს ვარჩევდი, სამოთხეზე ვფიქრობდი და ვამბობდი: "ქრისტე ღმერთო, ოღონდ კი ცათა სასუფევლის ღირსი გავხდე და თუნდაც მარადიულად ვარჩიო ლობიო სამოთხის სამზარეულოში!". ამას ვფიქრობდი და ცრემლები ჩამომდიოდა. მოულოდნელად თავზემთ ფრთების ფართხუნის ხმა მომესმა. მივხვდი და თავი დავხარე. მაშინვე ხმა გავიგონე: "ზაქარია, აიხედე, ნუ გეშინია!". აცახცახებული ძირს დავეცი. "აიხედე, ზაქარია!" - კვლავ გაისმა ხმა. ავიხედე და დავინახე: კარი ღია იყო. ზღურბლზე მიქაელ მთავარანგელოზი იდგა, ბუსტად ისეთი, როგორიც საკურთხევლის კარზეა გამოსახული: შავფრთიანი, წითელხამლიანი, ოქროსმუზარადიანი. ოღონდ ხმლის ნაცვლად ჩირაღდანი ეჭირა. "იხარე, ზაქარია!" - მეუბნება. "შენ წინაშე ვდგავარ მონა ღვთისა, - მივუგე, - მიბრძანე!". "ანთებული ჩირაღდანი აიღე, უფალი შენთანა!". ხელი გავიწოდე, ვგრძნობდი, რომ ხელისგული მეწვოდა. მთავარანგელოზი გამქრალიყო. კარიდან ცაზე მხოლოდ ცეცხლოვანი ზოლი დავინახე, თითქოს ზეცას ვარსკვლავი მოსწყდაო.

ბერმა სახიდან ოფლი მოიწმინდა. ფერი წასვლოდა, ციებიანი-
ით კბილს კბილზე აცემინებდა.

- მერე? - ჰკითხა ზორბასმა. - თამამად, ბერო!

- მამები მწუხრის ლოცვის შემდეგ სატრაპეზოში შემოდოდნენ. ილუმენმა ჩამიარა და მუჭლუგუნი მითავაბა, თითქოს ძალი ვყოფილიყავი. მამებმა გაიცინეს, მე კრინტი არ დამიძრავს. ჰაერში ჯერ კიდევ გოგირდის სუნი იდგა მთავარანგელოზის გავლის შემდეგ, მაგრამ ვერავინ მიხვდა. მაგიდას შემოუსხდნენ. “ზაქარია, - მეუბნება მეტრაპეზე, - შენ არ შეჭამ?”. კრინტი არ დამიძრავს. “ანგელოზთა საბრლოთი ნაყრდება!” - თქვა დომეტიოსმა, მამათმავალმა. მამებმა კვლავ გაიცინეს. მეც ავდექი, სასაფლაოსკენ გავწიე და მთავარანგელოზს ფეხებში ჩავუვარდი. მისი ფეხი ქედზე მძიმედ ვიგრძენი. საათებმა ელვასავით გაირბინა. ასევე გაირბენს საათები და საუკუნეები სამოთხეში. შუალამისას სიჩუმე ჩამოწვა, ბერებს დაეძინათ. წამოვდექი, პირჯვარი გადავიწერე, მთავარანგელოზს ფეხზე ვემთხვიე. “იყავნ ნება შენი!” - ვთქვი, ნავთიან ბიდონს ხელი დავავლე, თავი მოვხადე, უბე ძონძებით მქონდა გატენილი, გარეთ გავედი.

უკუნეთი იდგა, მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. მონასტერი ჯოჯოხეთივით ჩაშავებულიყო. ეზოში შევედი, კიბეზე ავედი, წინამძღვრის სენაკთან მივედი, ნავთი კარს, ფანჯრებს, კედლებს შევასხი, დომეტიოსის სენაკისა და გრძელი ვერანდისკენ გავიქეცი, როგორც შენ ამიხსენი, იქიდან დავიწყე. მერე ეკლესიაში შევედი, სანთელი ავიღე, ქრისტეს კანდელიდან ავანთე და ცეცხლი წაგუკიდე...

ბერი აქოშინებული შეჩერდა, თვალეებში ცეცხლის ალი უგიზგიზებდა.

- დიდება შენდა, ღმერთო, - დაიღრიალა და პირჯვარი გადაიწერა, - დიდება შენდა, ღმერთო! მონასტერი ერთბაშად ალში გაეხვია. “ჯოჯოხეთისკენ გზა გქონიათ!” - ხმამაღლა დავიყვირე და მოვკურცხლე. ბარების რეკვისა და ბერების ყვირილის ხმა მესმოდა, მე კი გავრბოდი, გავრბოდი...

გათენდა. ტყეში დავიმალე. ვკანკალეხდი. მზე ამოვიდა. გავი-

გონე, რომ ბერები ტყეში დარბოდნენ, მეძებდნენ, მაგრამ ღმერთმა ცვარ-ნამი გადამაფარა და ვერ შემნიშნეს! შებინდებისას კვლავ ჩამესმა ხმა: “სანაპიროზე ჩადი, გაიქეცი!” - “მთავარანგელოზო, გამიძეხ!” - შევძახე და კვლავ გზას დავადექი. არ ვიცოდი, საითკენ მივდიოდი, მთავარანგელოზი ხან ნათელივით მიმიძლოდა, ხან შავი ფრინველივით ხეთა შორის, ხანაც ბილიკივით, რომელიც თავქვე ეშვებოდა. მე კი მივრბოდი, უკან ბრმად მივდევდი. და აგერ - დიდია მისი მადლი! - გიპოვე, ჩემო კანავარო. გადავრჩი.

ზორბასი ხმას არ იღებდა, მაგრამ მთელ სახეზე ფართო, დემონური, უხმო სიცილი გადაჰფენოდა. მისი პირის კუთხეებს სახედარივით ბანჯგვლიან ყურებამდე მიეღწია.

საჭმელი უკვე მზად იყო, გადმოდგა.

- ბაქარია, - ჰკითხა, - “ანგელოზთა საბრდო” რა არის?

- სული, - უპასუხა ბერმა და პირჯვარი გადაიწერა.

- სული? მაშ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰაერი? ქრისტიანო, დაჯექი, რომ პური და თევზის წვნიანი ჭამო და გონს მოხვიდე. გვარიანად გაისარჯე, ჭამე!

- არ მშია, - თქვა ბერმა.

- ბაქარიას არ შია, მაგრამ იოსებს? არც იოსებს შია?

- იოსები, - წყნარად მოგვიგო ბაქარიამ, თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოს გვანდობდა, - წყეული იოსები დაიწვა, დიდება უფალს!

- დაიწვა? - გაიცინა ზორბასმა. - როგორ? როდის? დაინახე?

- ძმაო კანავარო, ქრისტეს კანდელიდან სანთლის ანთების დროს დაიწვა. ჩემი თვალით დავინახე, ცეცხლისფერასობიანი შავი ლენტის მსგავსად პირიდან როგორ ამომდიოდა. სანთლის ალზე გველივით დაიკლაკნა და დანაცრდა. ამოვისუნთქე, დიდება შენდა, ღმერთო. ასე მგონია, უკვე სამოთხეში შევედი.

ცეცხლს მოშორდა.- წავალ, - თქვა, - სანაპიროზე წამოვწვები. ასეთი ბრძანება მაქვს.

ნაპირს გაუყვა და ღამეში გაუჩინარდა.

- მისი ცოდვა შენზეა, ზორბას, - ვუთხარი. - ბერები თუ იპოვიან, დაიღუპება.

- ვერ იპოვიან, მშვიდად იყავი, ბატონო. ამგვარი კონტრაბანდისა რაღაც გამეგება. ხვალ დილაუთენია გავპარსავ, ადამიანურ ტანსაცმელს ჩავაცმევ და გემზე დავსვამ. ნუ დაღონდები, ბატონო, წერილმანია... კარგი წვნიანია? მადიანად ჭამე “ადამიანთა საზრდო” და ნუ დეღავ.

ზორბასმა მადიანად ჭამა, დალია, ულვაში მოიწმინდა. ლაპარაკის ხასიათზე იყო მოსული.

- დაინახე? მასში ეშმაკი მოკვდა. ახლა დაცარიელდა უბედური, მორჩა! ისიც სხვების დღეში ჩავარდა.

წუთით დაფიქრდა და მოულოდნელად:

- გინდა თქვა, ბატონო, რომ ეს ეშმაკი...

- ნამდვილად, - ვუპასუხე. - ის მონასტრის გადაწვის იდეამ შეიპყრო; გადაწვა და დაწყნარდა. ამ იდეას სურდა, რომ ხორცი ეჭამა, ღვინო ესვა, მომწიფებულიყო, საქმედ ქცეულიყო. ბაქარიას კი ხორცი და ღვინო არ სჭირდებოდა, მარხვით მწიფდებოდა ამ საქმისთვის.

ზორბასი დაფიქრდა.

- მგონი, მართალი ხარ, ბატონო, - მითხრა. - ხუთი-ექვსი დემონი მეც უნდა მეჭდეს!

- ყველას გვიმის, ზორბას, ნუ გეშინია. რაც უფრო მეტი გვიმის, მით უკეთესი. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა გზას ადგანან. მთავარია, ერთი მიზნისკენ წავიდნენ.

ამ სიტყვებმა ზორბასი ააფორიაქა, თავი მუხლებზე ჩამოლო და ჩაფიქრდა.

- რა მიზნისკენ? - მკითხა ბოლოს და ამომხედა.

- აბა, რა ვიცი, ზორბას? რთულ რაღაცებს მეკითხები. აბა, რა გითხრა?

- მარტივად მითხარი, რომ გავიგო. მე ჩემს დემონებს აქამდე ნებას ვაძლევდი, ის გაეკეთებინათ, რაც უნდოდათ, იმ გზას დასდგომოდნენ, რომელიც მოეწონებოდათ. ამის გამო ზოგი უნამუსოს მეძახის, ზოგი - ნამუსიანს, ზოგი - სულელს, ზოგი - სოლომონ ბრძენს. მე კი ისინიც ვარ და ბევრი სხვაც. თუ შეგიძლია, გამაგებინე, რა არის მიზანი?

- ზორბას, შეიძლება, ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ადამიანი სამი სახისაა: ისინი, ვისაც ცხოვრების მიზნად ჭამა-სმა, კოცნა, გამდიდრება, დიდების მოხვეჭა დაუსახავთ... შემდეგ ისინი, ვინც არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ყველა ადამიანის ცხოვრებაზე ზრუნვას ისახავენ მიზნად. გრძნობენ, რომ ყველა ადამიანი თანაბარია და იბრძვიან, რომ განათლება მისცენ, შეიყვარონ, სიკეთე გაუკეთონ მათ. დაბოლოს, არიან ისინი, რომლებიც მიზნად ისახავენ, სამყაროს ცხოვრებით იცხოვრონ. ყველანი: ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, ვარსკვლავები ერთნი ვართ, ყველანი ერთსა და იმავე საშიშ ბრძოლაში ვართ ჩაბმული. რომელ ბრძოლაში? მატერიის სულად ქცევაში.

ზორბასმა თავი მოიქექა.

- ხისთავიანი ვარ, - თქვა, - აზრს ადვილად ვერ ვწვდები... ვახ, ბატონო, ნათქვამის ცეკვით გადმოცემა რომ შეგძლებოდა, გავიგებდი!

სასონარკვეთილმა ტუჩზე ვიკბინე. ყველა ამ უიმედო ფიქრის ცეკვით გამოხატვა რომ შემძლებოდა!

- ან რომ შეგძლებოდა, ბატონო, ეს ყველაფერი ჩემთვის ჰუსეინ-

აღასავით ზღაპარივით გეამბნა. ეს ბებერი თურქი ჩემ მეზობელად ცხოვრობდა. ღრმად მოხუცი იყო, დატაკი, უცოლშვილო, ეული. ძველი, მაგრამ გაქათქათებული ტანსაცმელი ეცვა, თვითონ ირეცხავდა, საჭმელსაც თვითონ იმზადებდა, სახლს ალაგებდა, საღამოს კი ჩვენთან მოდიოდა, ბებიაჩემისა და სხვა ბებერი მეზობლების გვერდით ჯდებოდა და წინდას ქსოვდა.

ჰუსეინ-ალა წმინდა ვაცი იყო. ერთხელ მუხლებზე დამისვა, თავზე ხელი დამადო, თითქოს მლოცავდა და მითხრა: “ალექსის, რაღაცას გაგანდობ. პატარა ხარ და ვერ მიხვდები, მაგრამ როცა გაიზრდები, გაიგებ. მომისმინე, შვილო: ღმერთს ვერც ზეცის შვიდი სართული იტევს და ვერც მიწისა, ადამიანის გულში კი ეტევა. ამიტომაც ჭკუით იყავი, ალექსის, ადამიანს გული არასოდეს ატკინო!”

მდუმარედ ვუსმენდი ზორბასს. ნეტავ შემძლებოდა, პირი საერთოდ არ გამელო, სანამ აბსტრაქტული იდეა თავის უმაღლეს მწვერვალს არ მიაღწევდა და ზღაპრად არ იქცეოდა! მაგრამ ეს მხოლოდ პოეტს ან ხალხს შეუძლია მრავალსაუკუნოვანი რუდუნებით მუშაობის შემდეგ.

ზორბასი ადგა:

- წავალ, ჩვენს ცეცხლის გამჩაღებელს მოვიწახულებ. დავაფარებ, რომ არ გაცივდეს. მაკრატელსაც წავიღებ, დასჭირდება.

გაიცინა.

- როცა ადამიანები გახდებიან, ბატონო, - თქვა, - ადამიანები სახელითა და საქმით, ბაქარია ადგილს კანარის ჩიტის გვერდით დაიკავებს!

გადასაფარებელი და მაკრატელი აიღო და ნაპირს გაუყვა. ფერმკრთალი მთვარე გამოჩნდა და დედამიწას მწუხარე შუქი მოჰფინა.

ჩამქრალ ცეცხლთან მარტო მჯდარი, ზორბასის სიტყვებზე ვფიქრობდი. ისინი არსით, მიწის თბილი სურნელითა და ადამიანური სი-

მძიმით იყო სავსე. სიტყვები არსების სიღრმიდან ამოსდიოდა და ჯერ კიდევ ადამიანურ სითბოს ინარჩუნებდა. ჩემი სიტყვები კი ქალაღლისა იყო, გონების ნაყოფი, მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი ჰქონდა მიპკურებული და თუ რამე ღირებულება გააჩნდა, ისიც ამ წვეთის წყალობით.

წამოწოლილი ნაკვერცხალს ვჩხრეკდი, როცა მოულოდნელად მხრებჩამოყრილი, განცვიფრებული ზორბასი გამოჩნდა.

- ბატონო, - მითხრა, - არ შეგეშინდეს...

ზეზე წამოვხტი.

- ბერი მოკვდა.

- მოკვდა?!

- კლდეზე იწვა, მთვარის შუქზე კარგად ჩანდა. ჩავიმუხლე და წვერისა და დარჩენილი უღვაშის გაკრეჭა დავეწყე. ვჭრიდი, ვჭრიდი, არ ინძრეოდა. გავეტიე, თმა მთლიანად გადავკრიჭე. ნახევარი კილო გამოვიდოდა. უცებ სიცილი ამიტყდა! “ჰეი, სინიორ ბაქარია, - დავეძახე და მუჭლუგუნი წავკარი, - გაიღვიძე, ღვთისმშობლის სასწაული იხილე!”. არ ინძრეოდა. ხელი ისევ წავკარი, არაფერი! ხომ არ მოკვდა უბედური-მეთქი, გავიფიქრე. შესამოსელი გავუხსენი, მკერდი მოვუშიშვლე, გულზე ხელი დავადე. მაგრამ არაფერი! სიჩუმე. მექანიზმი აღარ მუშაობდა.

ზორბასი ლაპარაკის ხასიათზე დადგა. სიკვდილმა წამით თავგზა აუბნია, მაგრამ მაშინვე გაუარა.

- რა ვუყოთ ახლა, ბატონო? მე თუ მკითხავ, უნდა დავწვათ. ნავთი გაეცი, ნავთს მიიღებ, სახარება ამას არ გვეუბნება? მისი გაქონილი ტანსაცმელი ახლა ნავთმაც დაასველა და ნახავ, ცეცხლი ისე მოეკიდება, როგორც იუდას დიდ ხუთშაბათს.

- რაც გინდა, ის ქენი, - ვუთხარი უკმაყოფილოდ.

ზორბასი ჩაფიქრდა.

- შარია, - თქვა ბოლოს, - დიდი შარი... ცეცხლი რომ მოვეუკიდო, შესამოსელი ჩირაღდანავით აბრიალდება, მაგრამ ეს უბედური გადავალტყავებულება, დიდი დრო გავა, სანამ დანახშირდება. ხომ ხედავ, უბედურს ცხიმი არა აქვს, ცეცხლს რომ დაეხმაროს...

თავი გადააქნია.

- ღმერთი რომ ყოფილიყო, როგორ გგონია, ამ ყველაფერს გაითვალისწინებდა, მსუქანს შექმნიდა, ქონიანს, რომ გვშველებოდა? რას იტყვი?

- ნუ გამრევ ამაში, - ვუთხარი. - რაც გინდა ის ქენი, ოღონდ სწრაფად.

- კარგი იქნებოდა, ამისგან სასწაული გამოსულიყო. ბერებს ენამათ, რომ თავად ღმერთი იქცა დალაქად და ის ჯერ გაპარსა, შემდეგ კი მოკლა, რადგან მონასტერზე ხელი აღმართა...

თავი მოიქექა.

- რა სასწაული? მოიფიქრე რამე, ზორბას!

მთვარე სადაცაა ჩავიდოდა, ცა და ზღვა შეერთებულიყო და გავარვარებული სპილენძით მონითალო-ოქროსფრად ღუოდა.

დაღლილი ვიყავი, დაგწევი. გამთენიისას გამეღვიძა. დავინახე, რომ ზორბასი ჩემ გვერდით იჯდა და ყავას ადუღებდა.

ფერი არ ედო, უძილობისგან თვალები დასიებოდა და ჩანითლებოდა, მაგრამ სქელი, თხასავით ტუჩები ეშმაკურად უღიმოდა.

- მთელი ღამე არ მეძინა, ბატონო, საქმე მქონდა.

- რა საქმე, მკრეხელო?

- სასწაულს ვახდენდი.

გაიცინა და ტუჩებზე თითი მიიღო.

- მშვენივრად იცი, რასაც ვამბობ! ხვალ საბაგიროს გახსნა გვაქვს; არამზადები საკურთხებლად მოვლენ. შურისმაძიებელი ღვთისმშობლის სასწაულის ამბავსაც მაშინ გაიგებ, დიდია მისი მადლი!

ყავა დამისხა.

- ბიჭო, იღუმენად გამოვდგები, - თქვა. - მონასტერი რომ გამეხსნა, ნაძლევს ვღებ, ყველა სხვა დაიკეტებოდა, რადგან მთელ კლიენტურას წავართმევდი. ცრემლები გინდა? ერთი სველი ღრუბელი და ყველა ჩემი ხატი ატირდებოდა. ქუხილი გინდა? საკურთხევლის ქვეშ ერთ მონყობილობას დავამაგრებდი, რათა დაექუხა. მოჩვენებები გინდა? მთელი ღამე ჩემი ერთგული ბერები მონასტერში ზეწრებით იხეთილავდნენ. კოჭლებს, ფეხმოქცეულებს, დამბლდაცემულებს ყოველ წელს ღვთისმშობლის დღესასწაულისთვის მოვამზადებდი, რათა ნათელი ეხილათ და საცეკვაოდ წამომხტარიყვნენ...

ნუ იცინი, ბატონო! ბიძა მყავდა, რომელმაც ერთხელ ერთი ბებერი, მიგდებული, მომაკვდავი ჯორი იპოვა. წამოიყვანა და ყოველდღე საძოვარზე დაჰყავდა. “ბიძია ხარალამბის, - ეკითხებოდნენ სოფლელები, - ეს ბებერი ჯორი რაში გჭირდება?”. “ჩონჩორიკის ქარხნის მაგივრობას მიწევს!” - პასუხობდა ბიძაჩემი. მე ის მონასტერი, ბატონო, სასწაულების დამამზადებელ ფაბრიკად მექნებოდა.

მაისის დამდეგის ეს შუადღე დაუვიწყარი დარჩება ჩემს ცხოვრებაში. საბაგირო მზად იყო, ბოძები, ბაგირი, ჭოჭონაქები დილის მზებზე ბრწყინავდა. ფიჭვის გასხეპილი მორები მთის წვერზე დაეხვავებინათ და მუშები ნიშანს ელოდნენ, რომ ისინი ბაგირზე დაეკიდებინათ და სანაპიროსკენ დაეშვათ.

ერთი დიდი ბერძნული დროშა საბაგიროს წვერზე, მთაზე, ფრიალებდა, მეორე - მის ბოლოში, სანაპიროზე. ბარაკის გარეთ ზორბასს კასრით ღვინო დაედგა. მუშა შამფურზე მსუქან ბატკანს ატრიალებდა. საბაგიროს კურთხევისა და გახსნის შემდეგ მოწვეული სტუმრები თითო ჭიქა ღვინით საქმეს დალოცავდნენ და ერთ ნაჭერ ხორცს დააყოლებდნენ.

ზორბასმა ბარაკიდან თუთიყუშის გალიაც გამოიტანა და პირველ ბოძთან ახლოს ლოდზე ფრთხილად დადგა.

- თითქოს ჩემს ქალბატონს ვხედავდე, - ჩაიჩურჩულა, თბილად გახედა, ჭიბიდან ერთი მუჭა ფსტა ამოიღო და თუთიყუშს აჭამა.

ზორბასი სადღესასწაულოდ გამოწყობილიყო, ყელთან შეხსნილი თეთრი პერანგი, ნაცრისფერი პიჯაკი, მწვანე შარვალი და რეზინისძირიანი ფეხსაცმელი ეცვა. გახუნებულ ულვაშზე სურნელოვანი გეთი წაესვა.

ზორბასი გაიქცა და სტუმრებს შეეგება, როგორც დიდი ბატონი დიდ ბატონებს, სოფლის თავკაცებს. უხსნიდა, რა იყო საბაგირო, რა სიმდიდრეს მოუტანდა სოფელს და არწმუნებდა, ღვთისმშობელი დამეხმარა, რომ ის სრულყოფილად ამეგოო.

- სწორი დახრის მოძებნა ძალიან მნიშვნელოვანია, - ამბობდა. - მთელი მეცნიერებაა! თვეები ამაოდ ვწვალობდი. ადამიანის გონება დიდ საქმეებამდე ვერ აღწევს, ღმერთმაც უნდა გაუნათოს გონება. ჰოდა, დამინახა მადლიანმა, რომ ვწვალობდი და შემიბრალა: "საწყალი ზორბასი, - თქვა, - კარგი ადამიანია, სოფლისთვის სიკე-

თე უნდა. მოდი, დავეხმარები”. და, აგერ, სასწაული!

ზორბასი შედგა და სამჯერ გადაიწერა პირჯვარი.

- სასწაული მოხდა! ერთ ღამეს სიზმარში შავოსანი გამომეცხა-და. ღვთისმშობელი იყო, - დიდია წყალობა მისი! - ხელში ერთი ცი-და საბაგირო ეჭირა. “ზორბას, შენთვის ზეციდან გეგმა მომაქვს, აი, ეს დახრა მიეცი, დამილოცნიხარ!” - მითხრა და გაუჩინარდა. რო-გორც კი გამომეღვიძა, წამოვვარდი, გავიქეცი იქ, სადაც ცდებს ვა-ტარებდი და რას ვხედავ? კანაფს სწორი დახრა მიელო და საკმ-ევლის სუნი ასდიოდა. ნამდვილად ღვთისმშობელი უნდა შეხებო-და!

კონდომანოლიოსმა პირი გააღო, რაღაცის კითხვა უნდოდა, მა-გრამ ქვიან ბილიკზე ჯორზე ამხედრებული ხუთი ბერი გამოჩნდა; ერთი წინ მოუძლოდათ, მხარზე დიდი ხის ჯვარი გაედო და ყვირო-და. რას ყვიროდა? ჯერ კიდევ ვერ ვარჩევდით.

გალობა უკვე გარკვევით ისმოდა, ბერები პირჯვარს იწერდნენ, ფლოქვებქვეშ ქვები ნაპერწკლებს ყრიდა.

ქვეითად მომავალმა ბერმა მოაღწია, ოფლი ღვარად ჩამოსდ-იოდა. ჯვარი აღმართა და დაიძახა:

- ქრისტიანებო, სასწაული! ქრისტიანებო, სასწაული! ბერები მრ-ავალმონყალე ღვთისმშობელს მოაბრძანებენ... მუხლზე დაემხეთ და ეთაყვანეთ!

გულაჩუყებულმა სოფლელებმა - უხუცესებმა და მუშებმა - მოირ-ბინეს, ბერს გარს შემოერთყნენ და პირჯვარი გადაიწერეს. მე განზე ვიდექი. ზორბასმა სწრაფი მზერა მტყორცნა.

- შენც მოგვიახლოვდი, ბატონო, - მითხრა, - მოგვიახლოვდი, რომ მრავალმონყალის სასწაული შეიტყო!

ბერმა სხაპასხუპით, ქოშინით დაიწყო მოყოლა:

- მოისმინეთ, ქრისტიანებო. ღვთის სასწაულია, ღვთის სასწაუ-

ლი! ისმინეთ, ქრისტიანებო! წყეული ბაქარიას სულს ეშმაკი დაეუფლა და გუშინწინ ღამე წმინდა მონასტრისთვის ნავთის გადასხმა დაავალა. ღმერთმა მუჭლუგუნი გვკრა, გავიღვიძეთ, ხანძარი დავინახეთ, გეზე წამოვხტით. ილუმენის სენაკს, ვერანდას, დანარჩენ სენაკებს ცეცხლი მოსდებოდა. ბარები დავარისხეთ, ვყვიროდით: “შურისმძიებელო ღვთისმშობელო, შეგვეწიე!”. დოქებითა და სათლებით გავიქეცით და მისი მადლით გამთენიისთვის ხანძარი ჩავაქრეთ!

ეკლესიაში წავედით, სადაც მისი სასწაულმოქმედი ხატია დაბრძანებული და მუხლი მოვიდრიკეთ: “ღვთისმშობელო, შურისძიება, - დავიყვირეთ, - ლახვარი აღმართე და დამნაშავე განგმირე!”. ეზოში რომ შევიკრიბეთ, ვნახეთ, იუდა ბაქარია გვაკლდა. “მან გადაგვწვა, მან!” - დავიყვირეთ ყველამ და მის მოსაძებნად მიმოვიფანტეთ. მთელი დღე ვეძებეთ, არაფერი. მთელი ღამე ვეძებეთ, არაფერი. დღეს დილით კვლავ შევედით ეკლესიაში და რას ვხედავთ, ქრისტიანებო? ღვთის ხილვა, ღვთის სასწაული! მკვდარი ბაქარია ღვთისმშობლის ფეხებთან დამხობილიყო, წმინდა ქალწულის ლახვრის წვერზე კი სისხლის მსხვილი წვეთი მოჩანდა.

- უფალო, შეგვიწყალებ! უფალო, შეგვიწყალებ! - წაიჩურჩულეს იქ მყოფებმა, მუხლებზე დაემხვნენ და შუბლით მიწას შეეხვნენ.

- კიდევ ერთი საშინელი რამ! - განაგრძო ბერმა და ნერწყვი გადაყლაპა. - ეშმაკეულის ასაყვანად რომ დავიხარეთ, ყველანი პირდაღებულები დავრჩით: ღვთისმშობელს მისთვის ფრანგი მღვდელივით თმა და წვერ-ულვაში მოეპარსა!

შევტრიალდი, სიცილს ძლივს ვიკავებდი. ზორბასს შევხედე და გადავუჩურჩულე:

- მკრეხელო!

ზორბასი კი ბერს თვალცრემლიანი უყურებდა და ღვთისმოსავლივით პირჯვარს ბედიბედ იწერდა.

- დიდი ხარ შენ, უფალო და სასწაულ არიან საქმენი შენნი, - ჩურჩულებდა.

ამასობაში ბერებმაც მოაღწიეს და ჩამოქვეითდნენ. წინამძღოლს გულში სასწაულმოქმედი ხატი ჩაეკრა. ქვაზე დადგა და ყველანი სამთხვევად მისცვივდნენ, თან ერთმანეთს ფეხს აბიჯებდნენ. მსუქან დომეტიოსს ლანგარი ეჭირა, შესაწირს აგროვებდა და თან უხეშ სოფლურ შუბლებს ვარდის წყალს ასხურებდა; მის ირგვლივ სამი ბერი იდგა, ბანჯგვლიანი ხელები მუცლებზე დაეწყოთ და ოფლში განურულები გალობდნენ.

- კრეტის სოფლებს მოვივლით, - თქვა მსუქანმა დომეტიოსმა, - რომ მორწმუნეებმა თაყვანი სცენ და შესაწირავი გაიღონ... ფულს შევაგროვებთ და წმინდა მონასტერს აღვადგენთ...

- ნაძირლები! - ჩაიჩურჩულა ბორბასმა. - მოგებულები ისევ ესენი დარჩებიან.

იღუმენს მიუახლოვდა:

- წმინდაო იღუმენო, კურთხევისათვის ყველაფერი მზადაა. დაეღვთისმშობლის მადლი შეგვეწიოს საქმეში!

მზე შუბის ტარზე იდგა, ნიავიც კი არ უბერავდა, ძალიან ცხელოდა. მამები ბერძნულდროშიანი პირველი ბოდის გარშემო დადგნენ, ფართო სახელოებით შუბლი მოიწმინდეს და “სახლის საძირკვლის” საკურთხებლად ლოცვა წამოიწყეს: “უფალო, უფალო, დაამტკიცე ესე კლდეა ზედა მტკიცესა, რათა არა მოიწიოს ამას ზედა არცა ქარი, არცა წყალი...”, უსუპი სპილენძის ჯამში ჩააწეს და ბოდს, ბოგირს და ჭოჭონაქებს ასხურეს, მერე - ბორბასსა და მე, ბოლოს კი - სოფლელებს, მუშებსა და ზღვას.

ხატი ფრთხილად ასწიეს, თითქოს ავადმყოფი ქალი ყოფილიყო, დიდ ლოდზე, თუთიყუშის გვერდით, მოათავსეს და გარშემო გამწკრივდნენ. ბოდის მეორე მხარეს სოფლის უხუცესები დადგნენ, შუაში კი - ბორბასი. მე კვლავ ზღვისკენ მიბრუნებული ველოდი.

გამოცდა სამი მორით უნდა ჩაეტარებინათ. წმინდა სამება. თუმცა მერე შურისმაძიებელი ღვთისმშობლის სახელზე კიდევ ერთი ფიჭვის მორი დავამატეთ.

ბერებმა, სოფლელებმა, მუშებმა პირჯვარი გადაისახეს:

- ღვთისა და ღვთისმშობლის სახელით! - დაიჩურჩულეს.

ზორბასი ერთი ნაბიჯით პირველ ბოძთან აღმოჩნდა, თოკი მოქაჩა, დროშა დაუშვა. ეს ნიშანი იყო, რომელსაც მუშები მალლა, მთაზე, ელოდნენ. ყველამ უკან დავიხიეთ და მთის წვერს მივაჩერდით.

- სახელითა მამისათა! - შესძახა ილუმენმა.

რა მოხდა მერე, ამის აღწერა შეუძლებელია. კატასტროფა თავს ჭექა-ქუხილივით დაგვატყდა, თავის დაღწევა ძლივს მოვასწარით. მთელი საბაგირო შეზანზარდა. ფიჭვი, რომელიც მუშებს ბაგირზე დაეკიდათ, საშინელი ძალით დაექანა ქვემოთკენ, ნაპერწკლებს ისროდა, დიდი ნაფოტები სცვიოდა და ჰაერში იფანტებოდა. რამდენიმე წამში სანაპირომდე მხოლოდ ნახევრად დამწვარმა ჯირკმალმა ჩამოაღწია.

ზორბასმა ნაცემი ძალღივით შემომხედა. ბერები და სოფლელები განზე გადგნენ. დაბმულმა ჯორებმა ფლოქვების ცემა დაიწყეს. მსუქანი ღომეტიოსი ძირს გაგორდა:

- მომიტევე მე, უფალო! - ჩურჩულებდა თავზარდაცემული.

ზორბასმა ხელი ასწია.

- არაფერია, - თქვა. - პირველი მორი ყოველთვის ასე შვრება. ახლა მექანიზმი გაიმართება. შეხედეთ!

დროშა ასწია, ნიშანი მისცა და სირბილით მოშორდა იქაურობას.

- ...და ძისათა! - კვლავ შესძახა ილუმენმა, ხმა ოდნავ უთრთოდა.

მეორე მორი დაეშვა, ბოძები შეზანზარდა, მორი გამოექანა, დელფინივით მოხტოდა, ჩვენკენ მოქროდა, მაგრამ ჩამოსვლა ვერ მოასწრო, ნაფოტებად იქცა და შუაგზაზე გაიფანტა.

- ეშმაკმა დალახვროს! - დაიხურჩულა ზორბასმა და უღვაში ჩაიკვნითა. - დაქანებამ არ გაამართლა.

გაცოფებული მივარდა ბოძს, ალაში აღმართა, კვლავ ანიშნა. ჯორებს ამოფარებულმა ბერებმა პირჯვარი გადაიწერეს. სოფლის უხუცესები გასაქცევად მზად იყვნენ.

- ...და სულისა წმიდისათა! - ამოიქშინა ილუმენმა და შესამოსელი აიკვალთა.

მესამე მორი უზარმაზარი ფიჭვი იყო. დაშვებისთანავე გრგვინგის ხმა გაისმა.

- დაწექით, უბედურებო! - იყვირა ზორბასმა და გაიქცა.

ბერები პირქვე დაემხნენ, სოფლელებმა მოკურცხლეს.

ფიჭვმა მალაყი გააკეთა ჰაერში, კვლავ ბაგირზე დაეკიდა, ნაპერწკლები გაყარა და სანამ თვალს შევასწრებდით, მთასა და სანაპიროს გადაეფლო და შორს ზღვაში დგაფუნით ჩავარდა. ბევრი ბოძი გადაიხარა. ჯორები დაფრთხნენ, აპეურები აიწყვიტეს და გაიქცნენ.

- არაფერია! არაფერია! - დაიყვირა გადარეულმა ზორბასმა. - მექანიზმი ახლა გაიმართება, წინ!

ალაში კვლავ აღმართა. იგრძნობოდა, რომ უსასოოდ იყო და ჩქარობდა, ამ ყველაფერს ბოლო მოღებოდა.

- ...და უწმინდესი შურისმაძიებელი ღვთისმშობლის სახელით, - ენის ბორძიკით წარმოთქვა კლდეს ამოფარებულმა ილუმენმა.

მეოთხე მორი უცებ გამოვარდა. თავბარდამცემი გრუხუნი გაისმა, მეორედაც დაიგრგვინა და ბოძები ერთიმეორის მიყოლებით ბანქოს ხუხულასავით გადაწვა.

- უფალო, შეგვიწყალებ! უფალო, შეგვიწყალებ! - შეჰყვირეს მუშებმა, სოფლელებმა, ბერებმა და თვალის დახამხამებაში გაქრნენ.

ერთმა ნაფოტმა დომეტიოსს გვერდი დაუზიანა, მეორემ კინაღამ ილუმენს თვალი ამოსთხარა. სოფლელები გაუჩინარებულყვნენ. მხოლოდ ღვთისმშობელი იდგა ქვაზე, ხელში ლახვარი ეჭირა და ადამიანებს მკაცრად უყურებდა. მის გვერდით კი სანყალ თუთიყუშს მწვანე ბუმბული აშლოდა და კანკალებდა.

ბერებმა ღვთისმშობელი გულში ჩაიკრეს, დომეტიოსი აიყვანეს, რომელიც ტკივილისგან ღრიალებდა, ჭორები მოაგროვეს, შესხდნენ და წავიდნენ. მუშა, რომელიც შამფურზე ბატკანს ატრიალებდა, შეშინებული გაქცულიყო. ბატკანი იწვოდა.

- ბატკანი დანახშირდება! - დაიყვირა ზორბასმა და მის გადასაბრუნებლად გაიქცა.

გვერდზე მივუჭექი. სანაპიროზე აღარავინ იყო. მარტო დავრჩენილიყავით. ზორბასი მობრუნდა და დაბნეული მზერით შემომხედა... არ იცოდა, მარცხს როგორ მივიღებდი, ეს თავგადასავალი როგორ დამთავრდებოდა. დანა აიღო და ბატკანს მიუბრუნდა, ერთი ნაჭერი ჩამოათალა, გასინჯა. მაშინვე გადმოიღო ცეცხლიდან და ხეს მიაყუდა.

- თითებს ჩაიკვნეტ, - თქვა, - თითებს ჩაიკვნეტ, ბატონო! გემოს არ გაუსინჯავ?

- ღვინოც მოიტანე, პურიც, მომშივდა.

ზორბასი მკვირცხლად წამოხტა, კასრი ბატკნის გვერდით მოაგორა, ხორბლის დიდი ბატონი და ორი ჭიქა მოიტანა. დანები ავიღეთ, თითო დიდი ნაჭერი ხორცი ჩამოვათალეთ, პური სქლად დავჭერით და ხარბად დავიწყეთ ჭამა.

- გემრიელია, არა, ბატონო? - მკითხა ზორბასმა. - თითებს ჩაიკვნეტ. აქ, ხომ ხედავ, ღალიანი ბალახი არ არის, ცხოველები მშრალად იკვებებიან და მათი ხორცი ძალიან გემრიელია. მახსოვს, ერთადერთხელ ვჭამე ასეთი გემრიელი ხორცი. იცი, ის დრო იყო, როცა ჩემი თმით აია-სოფია მქონდა მოქსოვილი და თილისმასავით ვატარებდი... ძველი ამბავია!

- მოჰყევი, მოჰყევი!

- ძველი ამბავია-მეთქი, გეუბნები, ბატონო! ბერძნული სისულელეებია!

- მოჰყევი, ზორბას, მე მომწონს!

- ბულგარელებს ალყაში ვყავდით მოქცეული. დადამდა. ირგვლივ, მთის ქედებზე, ჩვენს შესაშინებლად ცეცხლს ანთებდნენ, დოლებს უბრაგუნებდნენ და მგლებივით ყმუოდნენ. ისინი სამასამდე იქნებოდნენ, ჩვენ - ოცდარვა. კაპიტანი რუვასი გვმეთაურობდა. ღმერთმა აცხონოს, თუ მოკვდა, კარგი ვაჟკაცი იყო!

- ეი, ზორბას, - მეუბნება, - ბატკანი შამფურზე წამოაგე!

- ორმოში უფრო გემრიელად იწვება, კაპიტანო, - ვუთხარი.

- რაც გინდა და როგორც გინდა, ოღონდ ჩქარა. გვშია!

ორმო ამოვთხარეთ, ბატკანი ჩავდე, ზემოდან დიდი ნალგერდლები დავაყარეთ, აბგებიდან პური ამოვიღეთ და გარშემო შემოგვსხედით.

- შეიძლება ჩვენთვის ეს უკანასკნელიც იყოს! - თქვა კაპიტანმა რუვასმა. - ბიჭებო, ვინმეს ხომ არ გეშინიათ?

ყველას გაგვეცინა. ვის უნდა შინებოდა! ხელი ხის მათარებს დავავლეთ.

- გაგიმარჯოს, კაპიტანო. შენი ტყვია სულ მიზანში ხვდებოდეს!

ერთი დავლიეთ, მეორე, ბატკანი ორმოდან ამოვიღეთ. ოჰ, ეს რა იყო, ბატონო! რომ მახსენდება, დღესაც ნერწყვი მადგება. ენაზე დნებოდა, ტვინივით ნაზი იყო! ვაჟკაცურად დავეძგერეთ.

- ამაზე გემრიელი ხორცი ჩემს დღეში არ მიჭამია! - თქვა კაპიტანმა. - ღმერთმა შეგვარგოს!

მან, რომელიც არასოდეს სვამდა, სასმისი ერთ ყლუპად გამოცალა.

- ბიჭებო, კლუფტური იმღერეთ! ისინი იქ მგლებივით ყმუიან, ჩვენ ადამიანებივით ვიმღეროთ. “მოხუცი ღიმოსი” დავძახოთ.

თვალის დახამხამებაში გადავყლაპეთ საჭმელი, თითოც გადავკარიტ. სიმღერა გახურდა. მდინარის ნაპირებმა ბანი მოგვცეს:

“გულს რას ვუბამ, თორემ უკვე დავბერდი, ორმოცი წლის კლუფტი...”

დიდი სიამოვნება იყო.

- გაგვიმარტოს, - თქვა კაპიტანმა. - კარგად ვისიამოვნეთ! აბა, ბიჭო ალექსის, ბეჭზე გვიმკითხავე... რას ამბობს?

ბატკნის ბეჭი ხანჯლით გაფეხიკე და ცეცხლთან მივიტანე.

- საფლაგებს ვერ ვხედავ, კაპიტანო. ვერც სიკვდილს ვხედავ. ამჯერადაც გადავრჩებით, მგონი.

- ღმერთმა გისმინოს, - თქვა ერთმა ახალდაქორწინებულმა. - ერთი ვაჟის გაკეთება მოვასწრო და მერე, რაც გინდა მოხდეს!

ზორბასმა თირკმლის დიდი ნაჭერი ჩამოიჭრა.

- კარგი იყო ის ბატკანი, - თქვა, - მაგრამ ესეც კარგია. იმას არ ჩამოუვარდება.

- დაასხი, ზორბას, დავლიოთ. ჭიქები გავალიცლიცოთ და ბოლომდე გამოვცალოთ!

სასმისები მივუჭახუნეთ და დავლიეთ. სახელგანთქმული, კურდ-ლლის სისხლივით შავი გერაპეტრული ღვინო გვქონდა. მისი დაღვევისას თითქოს მიწის სისხლს ეზიარებოდი და ვერ ძღებოდი, კიდევ უფრო მეტი გინდებოდა. ძარღვებში ძალა გედვრებოდა, გულში - სიკეთე. ლაჩარს ვაჟკაცად გაქცევდა, ვაჟკაცს - მხეცად! წვ-

რილმანი საფიქრალისგან თავისუფლდებოდი, საზღვრები იშლებოდა, ადამიანებს, ცხოველებს, ღმერთს ერწყმოდი, მათთან ერთად ერთი მთლიანი ხდებოდი.

- მოდი ერთი, ჩვენც ვნახოთ, ბატკნის ბეჭი რას ამბობს, - ვუთხარი. - მიწინასწარმეტყველე, ზორბას!

ზორბასმა ბეჭს ხორცი გულდასმით გააცალა, მერე დანით გაფხიკა, ცეცხლთან მიიტანა და ყურადღებით დახედა.

- ყველაფერი კარგადაა, - თქვა, - ათასი წელი ვიცოცხლებთ, ბატონო. მხნედ იყავი.

ისევ დაიხარა და დააკვირდა:

- მოგზაურობას ვხედავ, - თქვა, - დიდ მოგზაურობას. მოგზაურობის დასასრულს კი ერთ დიდ სახლს უამრავი კარით. რამე ქალაქი იქნება, ბატონო. შეიძლება მონასტერიც იყოს, სადაც მე მეკარე ვიქნები და, როგორც ვამბობდით, კონტრაბანდულ საქონელს შევიტან.

- დაასხი, დავლიოთ, ზორბას და წინასწარმეტყველებას შეეშვი. მე გეტყვი, მრავალკარიანი სახლი რასაც ნიშნავს. ეს მიწა საფლავებით, ეს არის მოგზაურობის უკიდურესი წერტილი. გაგიმარტოს, მკრეხელო!

- გაგიმარტოს, ბატონო! ბედი, როგორც ამბობენ, ბრმაა. არ იცის, სად მიდის, გამვლელებს ფეხს წამოჰკრავს ხოლმე და რომელსაც დაეცემა, მას იღბლიანს ეძახიან. ეშმაკსაც წაუღია ამგვარი იღბალი. ჩვენ არ გვჭირდება, ბატონო!

- არ გვჭირდება, ზორბას! აბა ჰე!

დავლიეთ და მერე ბატკნისგან ძვლებიდა დავტოვეთ. სამყაროში ყველაფერი შემსუბუქდა, ზღვა იცინოდა, მიწა გემბანივით ირწეოდა, ორი თოლია კენჭებზე დადიოდა და ლამის ადამიანებივით საუბრობდა.

წამოვდექი.

- მოდი, ზორბას, ცეკვა მასწავლე!

ზორბასი წამოხტა, სახე გაუბრწყინდა.

- ცეკვა, ბატონო? - მკითხა. - ცეკვა? მოდი!

- ზორბას, ჩემი ცხოვრება შეიცვალა, მიდი!

- ჯერ ზეიბევიკოს გასწავლი, ველურს, ვაჟკაცურს. მას კომიტატე-ბი ბრძოლის დაწყებამდე ცეკვავდნენ.

ფეხსაცმელი გაიხადა, ბადრიჭინისფერი წინდები მოისროლა, პერანგის ამარა დარჩა, მაგრამ მაინც სული ეხუთებოდა, ისიც მოისროლა.

- ჩემს ფეხს დააკვირდი, ბატონო, - მითხრა. - მოინდომე!

ჯერ ერთი ფეხი გაიშვირა, მიწას მსუბუქად შეახო, მერე - მეორე. ნაბიჯები მხიარულად გადაეწნენ ერთმანეთს, მიწამ ბანი მისცა. ხელი მხარში ჩამჭიდა:

- მოდი, ჩემო ბიჭო, ერთად!

ფერხულში ჩავებით. ზორბასი მისწორებდა, სერიოზულად, დიდი მოთმინებით, სიყვარულით. გამბედაობას ვიკრებდი, ვგრძნობდი, მძიმე ფეხებზე ფრთები მესხმებოდა.

- გაგიმარჯოს, ჩემო მიმინო! - დაიძახა ზორბასმა, თან ტაშს უკრავდა, რომ რიტმიდან არ ამოვვარდნილიყავი. - გაგიმარჯოს, ჩემო ბიჭო! ყველაფერი ეშმაკს წაუღია! ეშმაკმა წაიღოს, რაც კარგი და სარფიანია. ეჰ, ბიჭო! ახლა, როცა შენც ცეკვავ და ჩემს ენას სწავლობ, სათქმელი რაღა გვაქვს!

შიშველი ტერფებით კენჭებს ეხებოდა, ტაშს უკრავდა.

- ბატონო, - დამიყვირა, - ბევრი რამ მაქვს შენთვის სათქმელი.

არც ერთი ადამიანი არ მყვარებია შენსავით, ბევრი რამ მინდა გითხრა, მაგრამ ენა ვერ მომიბრუნებია... ჰოდა, ვიცეკვებ! გვერდით მიდექი, ფეხი არ დაგადგა! მიდი! ჰოპ, ჰოპ!

ერთი შეხტა, ხელ-ფეხი ფრთებად გადაექცა. გამართული ხტებოდა მიწიდან და ასე, ცისა და ზღვის ფონზე რომ ვუყურებდი, მოხუც ამბოხებულ მთავარანგელოზად მეჩვენებოდა. ზორბასის ეს ცეკვა ნამდვილი გამონგევა, ჟინი და ჯანყი იყო. თითქოს ყვიროდა კიდევ! "რას მიზამ, ყოვლისშემძლევ? ვერაფერს. მხოლოდ ჩემი მოკვლა შეგიძლია. მომკალი, არ მანადვლებს. გულის წადილი ავისრულე, ვთქვი, რის თქმაც მინდოდა. მოვასწარი და ვიცეკვე, სხვა აღარაფერი მჭირდება!".

ზორბასის ცეკვას ვუყურებდი და ადამიანის დემონურ აჯანყებას პირველად ვგრძნობდი. მას სიმძიმე, მატერია და წინაპართა წყევლა დაეძლია. მისი ამტანობა, სიმკვირცხლე, სიამაყე მომწონდა. ქვიშაზე ზორბასის ძლიერი და, იმავდროულად, დახვეწილი ნაბიჯები ადამიანის სულის ბნელი მხარის ისტორიას ჰყვებოდა.

გაჩერდა. დანგრეულ საბაგიროს შეხედა. მზე გადაინვერა, ჩრდილები დაგრძელდა. ზორბასმა თვალები გადმოკარკლა, თითქოს უცებ რაღაც გაახსენდაო. შემობრუნდა, შემომხედა და ხელი პირზე აიფარა.

- ვაჰ, ვაჰ, ბატონო! - მითხრა. - დაინახე, რა ნაპერწკლებს ყრიდა ის უნამუსო საბაგირო?

ორივენი სიცილით გადავბჟირდით. ზორბასი მომვარდა, გულში ჩამიკრა და კოცნა დამიწყო.

- შენც იცინი? - დამიყვირა სიყვარულით. - შენც იცინი, ბატონო? გაგიმარტოს, ჩემო ვაჟკაცო!

ვხარხარებდით, კენჭებზე კარგა ხანს ვჭიდაობდით, მერე სანაპიროზე გავიშხლართეთ და ხელიხელგადახვეულებმა დავიძინეთ.

ალიონზე ავდექი და ჩქარი ნაბიჯით გავუყევი ნაპირს სოფლისკ-

ენ, გული მიფართხალებდა. ასეთი სიხარული ცხოვრებაში იშვიათად მიგემია. სიხარული კი არა, დიდი, უცნაური, გაუმართლებელი სიამოვნება იყო. არა უბრალოდ გაუმართლებელი, არამედ სრულიად გაუმართლებელი. მუშებზე, საბაგიროში, ვაგონებში დახარჯული მთელი ფული დავკარგე. გადასაზიდად ნავსადგური ავაშენეთ და ახლა გადასაზიდი აღარაფერი გვქონდა. ყველაფერი დაიკარგა.

სწორედ ახლა მოულოდნელი შვება ვიგრძენი. თითქოს აუცილებლობის მაგარი, გაუღიმარი თავის ქალის ერთ კუნჭულში მოთამაშე თავისუფლება აღმოვაჩინე. მასთან ერთად მეც ვთამაშობდი.

როცა ყველაფერი უკუღმა მიგდის, უნდა გიხაროდეს, რადგან ამ დროს შეგიძლია გამოსცადო, აქვს თუ არა შენს სულს სიმტკიცე და ღირსება! გგონია, რომ უხილავი, ყოვლისშემძლე მტერი ცდილობს, ძირს დაგცეს, მაგრამ ისევ ფეხზე დგახარ. ამ მტერს ზოგი ღმერთს უწოდებს, ზოგიც - ეშმაკს. ამგვარად, ყოველთვის, როცა გარეგნულად გამარჯვებულები ან დამარცხებულები ვართ, ჭეშმარიტი მამაკაცი გამოუთქმელ სიამაყესა და სიხარულს გრძნობს; გარეგანი უბედურება უდიდეს, ურთულეს ღვთისმოსაობად გარდაიხსება.

ერთ საღამოს ზორბასმა მითხრა:

- მაკედონიაში თოვლიან მთაზე ერთ ღამეს საშინელი ქარი ამოვარდა და პატარა ქოხი შეარყია, რომლისთვისაც თავი მქონდა შეფარებული. დანგრევას უპირებდა, მაგრამ კარგად მქონდა გამაგრებული, ანთებული ბუხრის წინ მარტოდმარტო ვიჯექი, ვიცინოდი, ქარს ვუტევი და ვუყვიროდი: “ჩემს ქოხში ვერ შემოხვალ, კარს ვერ შემომიღებ, ბუხარს ვერ ჩამიქრობ, ვერ გამტეხ!”.

ზორბასის ამ სიტყვებმა სული გამიმხნევა. მივხვდი, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როგორ უნდა ელაპარაკოს გასაჭირს.

სანაპიროზე სწრაფად მივაბიჯებდი, მეც უხილავ მტერს ველაპარაკებოდი, ვუყვიროდი: “ჩემს სულში ვერ შემოხვალ, კარს ვერ შემომიღებ, ბუხარს ვერ ჩამიქრობ, ვერ გამტეხ!”.

მზე მთას ჯერ კიდევ არ ამოშორებოდა, ცაში და ზღვაზე ლურჯი,

მწვანე, ვარდისფერი და სადაფისფერი კიაფობდა. გაღმა, ზეთისხილის ხეებში წითლად შეფერილი ჩიტები ჭიკჭიკით იღვიძებდნენ.

ნაპირ-ნაპირ მივდიოდი, რათა ამ უდაბურ სანაპიროს გამოვმშვიდობებოდი, გონებაში აღმებეჭდა და წასვლისას თან გამეყოლებინა.

ძალიან გავიხარე ამ სანაპიროზე, ზორბასთან ცხოვრებამ გული გამიფართოვა. მისმა ზოგიერთმა შეხედულებამ გონება დამიმშვიდა და ჩემში არსებული ჩახლართული საფიქრალი უმარტივესად ამოხსნა. ეს ადამიანი თავისი უტყუარი ალღოთი, თავისი არწივის თვალით შეუმცდარ, მოკლე გზებს პოულობდა და მწვერვალს ადვილად აღწევდა.

ხალხის ჯგუფმა ჩაიარა. ვაცებსა და ქალებს საჭმლითა და ბოთლებით სავსე კალათები მოჰქონდათ და პირველმაისობის აღსანიშნავად თავ-თავიანთ ბაღჩა-ბაღებში მიდიოდნენ. ქალწულებრივი ხმა წკრიალებდა, ზარივით რეკავდა. ერთმა პატარა მკერდაბურცულმა გოგონამ აქოშინებულმა ჩამირბინა და თავის საშველად ერთ დიდ ლოდზე ავარდა. უკან შავწვერა, ფერმკრთალი და გადარეული კაცი მოსდევდა.

- ჩამოდი... ჩამოდი... - ხმაჩახლეჩილი ეძახდა.

მაგრამ ლოყებდაჟღაჟა გოგონამ ხელები თავზე შემოიწყო და ოხშივარავარდნილი სხეულის ნელი რხევით სიმღერა წამოიწყო:

გაიკვეკლუცე... თანაც თითქოს მითხარ ხუმრობით

არ მიყვარხარო...

ნეტა იცოდე, გულგრილობა ისე დიდია, ჩემო ძვირფასო,

ფეხზე მკიდია...

- ჩამოდი... ჩამოდი... - დაუძახა შავწვერიანმა, ჩახრინწული ხმით, აქოშინებული ევედრებოდა.

მოულოდნელად ფეხში ხელი სტაცა და მოუჭირა. გოგონასაც, თითქოს ამას ელოდაო, გულზე მოეშვა და ტირილი აუვარდა.

სწრაფად ჩავუარე, ყველა ეს სურვილი გულს მიწამლავდა. გონებაში ჩასუქებული, ფერუმარილიანი ბებერი სირენა ამომიტივტივდა, რომელიც კარგად დანაყრებული, ნაკოცნი, ერთ საღამოს გაცივდა და მიწამ პირი უყო; ახლა უკვე გასივდებოდა და გამწვანდებოდა, კანი დაუსკდებოდა, სითხე გადმოიღვრებოდა, მატლები დაესეოდა...

თავბარდაცემულმა თავი გავიქნიე. ზოგჯერ მიწა გამჭვირვალე ხდება და დიდი ქარხნის ღირექტორს, მატლს ვხედავთ, რომელიც დღედაღამ ქვემოთ, თავის მიწის ქარხანაში მუშაობს, მაგრამ პირს ჩქარა მოვაბრუნებთ ხოლმე, რადგან ადამიანი ყველაფერს უძლებს, ერთი ციციქნა თეთრი მატლის გარდა.

სოფლის შესასვლელში ფოსტალიონს გადავეყარე, რომელსაც ის იყო საყვირი პირთან უნდა მიეტანა.

- წერილია, ბატონო! - დამიძახა და ცისფერი კონვერტი მომანოლდა.

გახარებული შევხტი, როცა წერილი, დახვეწილი ნაწერი გაგარჩიე. სოფელი სწრაფად გავიარე, ზეთისხილის ბაღში გავედი და ბარათი დიდი მოლოდინით გავხსენი. მოკლე, ნაჩქარევად დანერილი წერილი ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე:

“საქართველოს საზღვარი გადავლახეთ, ქურთებს გადავურჩით, ყველაფერი კარგად მიდის. ასე მგონია, მხოლოდ ახლა გავიგე, რას ნიშნავს ბედნიერება, რადგან ამოვხსენი ქრისტეს სწავლების უძველესი გამოცანა: ბედნიერებაა, როცა შენს მოვალეობას ასრულებ. რაც უფრო ძნელია მოვალეობა, მით უფრო დიდია ბედნიერება...”

რამდენიმე დღეში ეს დევნილი, სიკვდილის პირას მისული ბერძნები ბათუმში იქნებიან. დღეს დეპეშა მივიღე: “პირველი თბომავლები გამოჩნდა!”.

ათასობით გონიერი, მშრომელი ბერძენი, მათი ფართოთეძოიანი ცოლები და შვილები მალე მაკედონიასა და თრაკიაში გადასახლდებიან. საბერძნეთს ძარღვებში ახალ, ვაჟკაცურ სისხლს გადავუსხამთ.

ცოტა დავიღალე, მაგრამ არა უშავს. გავიმარჯვეთ, ჩემო მასწავლებლო, მომავალ შეხვედრამდე!”

წერილი შევინახე და ნაბიჯს ავუჩქარე. მეც ბედნიერი ვიყავი. მთის ციცაბო ბილიკს ავუყევი, ხელში ბეგქონდარას აყვავებული ტოტი მეჭირა. შუადღე ახლოვდებოდა, ჩემს ფეხებთან ჩრდილი გროვდებოდა, შევარდენმა მალლა ირაო შეკრა, ფრთებს ისე სწრაფად აქნევდა, რომ უძრავი მოჩანდა. ერთმა მწყერმა ჩემი ფეხის ხმა გაიგონა, ბუჩქებიდან წამოფრინდა და ჰაერში მკვეთრად აიჭრა.

ბედნიერი ვიყავი. რომ შემძლებოდა, ვიმღერებდი და გულზე მომეშვებოდა. მხოლოდ დაუნაწევრებელ ბგერებს ვღრიალებდი. “რა მოგივიდა? - ვეკითხებოდი თავს დაცინვით. - მაშ, ასეთი პატრიოტი ყოფილხარ და არ იცოდი? ასე ძლიერ გიყვარს შენი მოდგმა? დამშვიდდი. არ გრცხვენია?”. მაგრამ პასუხს არავინ მცემდა და აღმართს კვლავ ყვირილით მივუყვებოდი. ზანზალაკების ხმა შემომესმა. ზემოთ კლდეებზე შავი, ყავისფერი, ნაცრისფერი თხები გამოჩნდნენ. ქედმოუდრეკელი ვაცი წინ ამაყად მიუძლოდათ. ჰაერში თხის სუნი დადგა.

- ჰეი, ნათლია! საით გაგინევია? ვის ეძებ?

მწყემსი ლოდზე ამხტარიყო, თითები პირთან მიეტანა, უსტვენდა და მეძახდა.

- საქმე მაქვს! - ვუპასუხე და ზემოთ სვლა განვაგრძე.

- მოიცა, რძე დალიე, გაგრილდი! - დამიძახა მწყემსმა, თან ლოდისგან ლოდზე მოხტოდა, რომ მომახლოვებოდა.

- საქმე მაქვს! - კვლავ დავუძახე, თითქოს არ მინდოდა, ვინმესთან საუბრის გამო განცდილი სიხარულით მოგვრილ სიამოვნებაზე

მეთქვა უარი.

- არ მკადრულობ, არა?! - იწყინა მწყემსა. - მაშინ, კარგად!

თითები პირში ჩაიდო, არვეს დაუსტვინა და ყველანი კლდეებს უკან გაუჩინარდნენ.

ცოტა ხანში მთის მწვერვალს მივალწიე და თითქოს მოგზაურობის მიზანი ეს მწვერვალი ყოფილიყო, დავმშვიდდი. კლდის ძირას ჩრდილში წამოვწეი და მდელოსა და ზღვას გადავხედე; ღრმად ვსუნთქავდი, ჰაერში სალბისა და ბეგქონდარას სურნელი იდგა.

ავდექი, ერთი კონა სალბი დავკრიფე, ბალიშივით თავქვემ ამოვიდე და მივწეი. დაღლილი ვიყავი, თვალეები დავხუჭე.

წამით გონება შორს, მაღალი დათოვლილი ზეგნისკენ გამექცა. შევეცადე, ადამიანთა ჯგუფები და ნახირი წარმომედგინა, რომლებიც ჩრდილოეთისკენ მიიწევდნენ, ჩემი მეგობარი კი ყოჩივით წინ მიუძღოდათ. მაგრამ მალე გონება დამებინდა, დაუძლეველი რული მომერია.

მინდოდა, შევწინააღმდეგებოდი, არ დამეძინა, თვალეები გავახილე. პირდაპირ, ზუსტად კლდის წვერზე, ყორანი ჩამომჭდარიყო. მისი შავ-ლურჯი ფრთები მზეზე ლაპლაპებდა, დიდ ყვითელ ნისკარტსაც კარგად ვარჩევდი. გავბრაზდი, ავის მომასწავებელ ნიშნად მეჩვენა, ქვა ავიდე და ვესროლე. ყორანმა ფრთები მშვიდად და აუჩქარებლად გაშალა.

წინააღმდეგობის განწევის ძალა აღარ მქონდა, თვალეები ისევ დავხუჭე და ერთბაშად ძილმა წამილო.

აღბათ, სულ რამდენიმე წამის ჩაძინებული ვიქნებოდი, რომ შევყვირე და წამოვხტი. ამ დროს სწორედ იმ ყორანმა გადამიფრინა თავზე. კლდეს მივეყუდე. ვკანკალებდი. ერთმა სიმარმა, ხმალივით, გონება ორად გამიპო:

თითქოს ათენში ვიყავი და ერმუს ქუჩაზე ავდიოდი. მზე ჩახჩახებ-

და, ქუჩა ცარიელი იყო, მალაზიები - დაკეტილი, მკვდარი. უცებ, კაპ-ნიკარეას ეკლესიას რომ ჩავუარე, ჩემი მეგობარი დავინახე: ფერნ-ასული, აქოშინებული მორბოდა სინტაგმის მოედნიდან, ერთ ანონ-ილ კაცს მიჰყვებოდა, რომელიც უზარმაზარი ნაბიჯებით მიდიოდა. ჩემი მეგობარი დიპლომატივით გამოწყობილიყო. თვალი მომკრა და აქოშინებულმა შორიდან დამიძახა:

- ჰეი, მასწავლებლო, როგორ ხარ? წლებია, არ მინახავხარ. ამ საღამოს შემომიარე, ვისაუბროთ.

- სად? - ხმამაღლა დავუძახე, თითქოს ძალიან შორს იყო და მთელი ძალა უნდა მომეკრიბა, რომ გაეგონა.

- ომონიაზე, საღამოს, ექვსზე. ყავახანა “სამოთხის წყაროში”.

- კარგი, მოვალ.

- ასე ამბობ, - გაისმა მისი საყვედურნარევი ხმა, - ასე ამბობ, მაგრამ არ მოხვალ.

- ნამდვილად მოვალ! - დავუძახე. - ჩამომართვი ხელი!

- მეჩქარება.

- სად გეჩქარება? ჩამომართვი ხელი!

ხელი გამომიწოდა. მოულოდნელად მკლავი მოსწყდა, სივრცე გადმოჭრა და ჩემს ხელს დასწვდა.

ცივმა შეხებამ თავბარი დამცა, დავიყვირე და გამომეღვიძა.

ყორანი ისევ დავინახე, ჯერ კიდევ ჩემ თავზე მოთ მიფრინავდა და მშორდებოდა. პირში სიმწარე ვიგრძენი.

თავი აღმოსავლეთისაკენ მივაბრუნე, თვალი სივრცეს გავეშტერე, თითქოს მიწოდდა, მზერით გადამელახა მანძილი და დამენახა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მეგობარი საფრთხეში იყო. სამჯერ დავიძახე მისი სახელი:

- სტავრიდაკის! სტავრიდაკის! სტავრიდაკის!

თითქოს მისი გამხნელება მინდოდა, მაგრამ ჩემი ხმა რამდენიმე მეტრზე გაიფანტა ჰაერში.

მთიდან ქვემოთ დავუყევი გზას. ვცდილობდი, სხეული დამეღალა და ტკივილი გულიდან სხეულზე გადამეტანა. ამაოდ იბრძოდა ჩემი გონება, საიდუმლო შეტყობინებებისთვის დაეცინა, რომლებიც ბოგჭერ ადამიანის სულში შეღწევას ახერხებენ. ვიგრძენი, რომ ჩემში პირველყოფილი, გონებაზე ღრმა, დაუეჭვებლობა ცოცხლდებოდა და შიშმა მომიცვა. ამგვარივე წინათგრძნობა ბოგიერთ ცხოველსაც - ცხვრებს, თაგვებს - აქვთ მიწისძვრამდე. ჩემში პირველყოფილმა სულმა გაიღვიძა, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო მიწას მონყვეტილი და ჭეშმარიტებას უშუალოდ, გონების გადამასხვაფერებელი ჩარევის გარეშე გრძნობდა.

- საფრთხეშია... საფრთხეშია... - ვჩურჩულებდი. - მოკვდება... შეიძლება, ჯერ კიდევ არ იცის ეს. მე კი ნამდვილად ვიცი.

მთიდან რომ ჩამოვრბოდი, კენჭიანზე დავეცი და კენჭებთან ერთად დავგორდი. ხელ-ფეხი დამისისხლიანდა, დამეკანწრა, პერანგი გამეხა.

- მოკვდება... მოკვდება, - ვიმეორებდი სულშეხუთული.

საცოდავმა ადამიანმა სულს მაღალი, გადაულახავი გაღავანი შემოარტყა, ერთი პატარა კალო გაამაგრა და ყოველდღიურ ხორციელ და სულიერ ცხოვრებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დამყარებას ცდილობს. ამ კალოზე ყველაფერი გაკვალულ გმებს, წმინდა რუტინას, ადვილად გასაგებ კანონებს უნდა დამორჩილებოდა, რათა მტკიცედ დარწმუნებულებს მოსახდენის წინასწარ განჭვრეტა და იმის განსაზღვრა შეგვძლებოდა, როგორ ჯობდა მოქცევა. საიდუმლო კალოზე ცხოვრების თავდასხმებისაგან დაცული ყოველდღიური ერთფეროვნება გამეფებულა. ის, რასაც ყველა და ყველაფერი ათასი წელია დევნიან, საძულველი მომაკვდინებელი მტერია: დიდი დაუეჭვებლობა. და ამ დიდ დაუეჭვებლობას გაღავანი გადმოელახა და მომვარდნოდა.

ჩემს სანაპიროს რომ მივალწიე, ცოტა ამოვისუნთქე, თითქოს ჩემი კალოს მეორე, გამაგრებულ ზღუდეს მივალწიე.

“ეს ყველაფერი, - გავიფიქრე, - ჩვენი საკუთარი შფოთვის ნაცოფია და ძილში სიმბოლოს უბრწყინვალეს სამოსს ირგებს. ჩვენ თავად ვქმნით მათ. ისინი შორიდან არ მოდიან. ბნელი უბნებიდან ჩვენამდე მოსული შეტყობინებები კი არა, ჩვენი საკუთარი ფიქრებია, რომლებსაც უჩვენოდ არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ. ჩვენი სული მიმღები კი არა, გამტარია, არ უნდა შეგვეშინდეს”.

დავმშვიდდი. გონებამ ბნელი შეტყობინებისაგან აფორიაქებული გული კვლავ დააშოშმინა, უგუნურ ღამურას ფრთები შეაკვეცა, გაკერა, გარდაქმნა, უბრალო თავგად აქცია და დაამშვიდა.

ბარაკს მივადექი. უნებურად მეღიმებოდა და მრცხვენოდა, რომ ასე ადვილად ამეზნა თავგზა. ერთფეროვანი ყოველდღიურობის წმინდა გზას დავუბრუნდი, მშოიოდა, მწყუროდა, ქანცგანყვეტილი ვიყავი და ქვებისგან გაჩენილი ნაკანრები მეწვოდა. მაგრამ მაინც შევებას ვგრძნობდი: ღობეზე გადმომხტარი საშიში მტერი ჩემი სულის მეორე, თავდაცვით ზღუდეს შეეჩერებინა.

XXVI

ყველაფერი დამთავრდა. ზორბასმა ბაგირები, სამუშაო იარაღი, ვაგონები, რკინიგზი, ხეტყე შეაგროვა, სანაპიროზე დაახვავა და გემს ელოდებოდა, რომ დაეტვირთა.

- ყველაფერს გჩუქნი, ზორბას, - ვუთხარი, - შენია, ხეირი ნახე.

ზორბასს ყელის ძარღვები დაეჭიმა, თითქოს ქვითინს იკავებსო.

- ერთმანეთს უნდა დავშორდეთ? - ჩაიბურღლუნა. - სად მიდიხარ, ბატონო?

- საზღვარგარეთ მივდივარ. ჩემში მჯდარ ჭიას კიდევ ბევრი ქალაქი აქვს შესაჭმელი.

- ჯერ კიდევ ვერ ისწავლე ჭკუა, ბატონო?

- ვისწავლე, ზორბას, ვისწავლე! შენ მოგბაძავ: ისე მოვექცევი წიგნებს, როგორც შენ მოექცევი ბალს. იმდენ ქალაქს შევჭამ, რომ გული ამერიოს, ვალებინო და გაგთავისუფლდე.

- მე რაღა მეშველება უშენოდ, ბატონო?

- ნუ ინაღვლებ, ზორბას, ისევ შევხვდებით ერთმანეთს და - ვინ იცის, დიდია ადამიანის ძალა! - ჩვენს დიდ გეგმას განვახორციელებთ: ისეთ მონასტერს ავაგებთ, ჩვენ რომ გვინდა, ღვთის გარეშე, ეშმაკის გარეშე და თავისუფალი ადამიანებით დავასახლებთ. შენ, ზორბას, მეკარე იქნები, წმინდა პეტრეს დარად გასაღები გეჭირება და კარს გააღებ და დაკეტავ...

ზორბასი ძირს იჯდა და ზურგით ბარაკს მიყრდნობილი ჭიქას წამლაუნუმ ივსებდა, სვამდა და ხმას არ იღებდა.

დაღამდა. ვივახშმეთ და ახლა უკანასკნელად ვსაუბრობდით. შიგადაშიგ ვსვამდით. ერთმანეთს ხვალ დავშორდებოდით, კასტ-

როში მივდიოდი.

- კი... კი... - მითხრა ზორბასმა. უღვაშს იწინვნიდა და მისაყო-
ლებლის გარეშე სვამდა.

ჩვენ თავზემთ ზაფხულის ვარსკვლავიანი ცა ელვარებდა, გუ-
ლებს ბლავილი სწადდათ, მაგრამ თავს იკავებდნენ.

“დაემშვიდობე, სამუდამოდ დაემშვიდობე, - ვფიქრობდი. - კარგ-
ად შეხედე, ამის მერე ხომ ველარასოდეს ნახავ ზორბასს!”

მინდოდა, ბებრულ მკლავებში ჩავვარდნოდი და ავტირებული-
ყავი, მაგრამ შემრცხვა. მღელვარების დასაფარავად გაღიმება ვცა-
დე, მაგრამ ვერ შევძელი. ყელში ბურთი მქონდა მოწოლილი.

ზორბასს შეხედე. მან თავი გადასწია, რომ სასმელი გადაეკრა.
ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ცხოვრება მართლაც უცნაური
რამეა: ადამიანები ერთმანეთს ქარიშხლისგან წამოშლილი ფო-
თლებივით ხვდებიან და შორდებიან; სულ ტყუილად წვალობ, საყვ-
არელი ადამიანის სახეს, სხეულს, ჟესტებს ჰკიდო თვალი. რამდენი-
მე წელიწადში აღარ გემახსოვრება, ლურჯი თვალები ჰქონდა თუ
შავი...

“მტკიცე ბრინჯაო ან ფოლადი უნდა ყოფილიყო ადამიანის გუ-
ლი და არა ჰაერი!” - ვყვიროდი გულში.

ზორბასი სვამდა, მსხვილი თავი სწორად, გაუნძრევლად ეჭირა.
გეგონებოდა, ღამით ვიღაცის ფეხის ხმას აყურადებდა, რომელიც
უახლოვდებოდა ან შორდებოდა და რომელიც მხოლოდ საკუთარი
არსების სიღრმიდან მოესმოდა...

- რაზე ფიქრობ, ზორბას?

- რაზე უნდა ვიფიქრო, ბატონო? არაფერზე. არაფერზე-მეთქი,
გეუბნები! არაფერზე არ ვფიქრობ!

ცოტა ხანში ისევ გაივსო ჭიქა:

- გაგიმარჯოს, ბატონო!

ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ. ორივენი მივხვდით, რომ ასეთ ნალველს დიდხანს ვერ გავუძლებდით. ან უნდა გვეტირა, ან გვეცევა, ან გავლექილიყავით.

- დაუკარი, ზორბას! - შევთავაზე.

- ხომ შევთანხმდით, ბატონო? სანთურის ხალისიანი გული უნდა. დაკვრას ერთ თვეში შევძლებ, ორი თვეში ან ორ წელიწადში, აბა, რა ვიცი? და მაშინ ორი ადამიანის სამუდამო განშორებაზე ვიმღერებ.

- სამუდამო! - ამოვიყვირე თავზარდაცემულმა.

გულში ამ საბედისწერო სიტყვას ვიმეორებდი, მაგრამ მის ხმამაღლა წარმოთქმას ვერ ვბედავდი. შემეშინდა.

- სამუდამოდ! - გაიმეორა ზორბასმა და ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. - სამუდამოდ. რომ მეუბნები, ისევ შევხვდებით და მონასტერს ავაშენებთო, სულთმობრძავის ნუგეშისცემაა... ამაზე თანახმა არა ვარ! ეს არ მინდა! ქალები ვართ, რომ ნუგეშისცემა გვინდოდეს? ნუგეშისცემა არ გვჭირდება! დიახ, სამუდამოდ!

- შეიძლება, დავრჩე... - ვთქვი ზორბასის ღრმა გრძნობით შეშინებულმა. - შეიძლება, შენთან ერთადაც წამოვიდე. თავისუფალი ვარ!

ზორბასმა თავი გააქნია:

- არა, არა ხარ თავისუფალი, უბრალოდ, შენი საბელი სხვა ადამიანებთან შედარებით ოდნავ უფრო გრძელია, სულ ეს არის. შენ, ბატონო, გრძელი საბელი გაქვს გამობმული, მიდი-მოდიხარ, გგონია, რომ თავისუფალი ხარ, მაგრამ არ ჭრი ამ საბელს. ხოლო თუ საბელს არ გადაჭრი...

- ერთ დღესაც გადავჭრი! - ვთქვი ჭიუტად, რადგან ზორბასის სიტყვები ღია ჭრილობაზე მომხვდა და მეტკინა.

- რთულია, ბატონო, ძალიან რთული. აქ სიგიჟეა საჭირო. სიგიჟე. გესმის? სულ ეს არის! მაგრამ შენ გონება გაქვს და ეს შეგჭამს. გონება მედუქნესავითაა, დავთარი უჭირავს, იწერს: ამდენი გავეცი, ამდენი მივიღე, ეს მოგებაა, ეს - ზარალი. კარგი მეურნეა, უკან დასახევ გზას იტოვებს. საბელს არ ჭრის, არა! გაიძვერას, ხელში მტკიცედ უჭირავს. თუ ხელიდან გაეშვა, დაიღუპება, დაიღუპება სანყალი! მაგრამ თოკს თუ არ განწყვეტ, მითხარი ერთი, რა ამრი აქვს ცხოვრებას? გვირილის ნაყენია, გვირილის, რომი არ არის, სამყარო რომ ამოატრილოს!

გაჩუმდა. დალევა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

- მაპატიე, ბატონო, სოფლელი ვარ. სიტყვები კბილებზე ისე მეწებება, როგორც - ტალახი ფეხებზე. წინადადებების გამართვა და ბრდილობიანად გამოთქმა არ შემეძლია, მაგრამ შენ ჩემი გესმის.

ჭიქა გამოცალა, შემომხედა.

- გესმის! - დაიყვირა, თითქოს მოულოდნელად გაბრაზდაო. - გესმის და ეს მოგიღებს ბოლოს! რომ ვერ ხვდებოდე, ბედნიერი იქნებოდი. რა გაკლია? კარგი ადამიანი ხარ, ახალგაზრდა, ფული და გონება არ გაკლია, ჯანმრთელობასაც არ უჩივი. ნამდვილად არაფერი გაკლია, ეშმაკმა წაგიღოს! არაფერი, სიგიჟის გარდა - აკი ადრეც ვთქვით - და ეს თუ გაკლია, ბატონო...

თავი დააქნია და კვლავ დადუმდა.

ატირებას ცოტაღა მიკლდა. რასაც ზორბასი ამბობდა, სრული სიმართლე იყო... ბავშვი რომ ვიყავი, მოუთოკავ სურვილებს ვერ ვერეოდი, ვიჭექი და ვოხრავდი, რადგან სამყარო ვერ მიტევდა.

შემდეგ, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში, სულ უფრო ვჭკვინდებოდი. ზღვარი გავავლე, შესაძლებელი შეუძლებლისაგან განგაცალკევე, ადამიანური - ღვთაებრივისაგან, ფრანი მტკიცედ მეჭირა, რომ არ გამფრენოდა.

ერთმა დიდმა ვარსკვლავმა ცა გადასერა და დაიკარგა. ზორბა-

სი შეირხა, თვალეხი ჭყიტა და თავზარდაცემული შეაცქერდა, თითქოს ვარსკვლავის ჩამოვარდნას პირველად ხედავდა.

- ვარსკვლავი დაინახე? - მკითხა.

- კი.

გავჩუმდით.

მოულოდნელად ზორბასმა გაძვალტყავებული ყელი მოიღერა, ღრმად ჩაისუნთქა და ველური, განწირული ყვირილი ამოუშვა. ერთბაშად ყვირილი თურქულმა სიტყვებმა შეცვალა და ზორბასის არსებიდან ძველმა მონოტონურმა, ვნებით, სიმწრითა და მარტოობით სავსე მელოდიამ დაიწყო ამოსვლა. მიწა გაიპო, უტკბესი აღმოსავლური სანამლავი გადმოიღვარა; ვგრძნობდი, როგორ წყდებოდა ჩემში სათნოებასა და იმედთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი:

იკი კიკლიკ ბირ თეფენდე ოთიიორ,

ოთმე დე, კიკლიკ, ბენიმ ნერთიმ იეთიიორ,

ამან! ამან!

უდაბური ადგილი, უკიდევანო ქვიშა; ვარდისფერი, ცისფერი, ყვითელი ჰაერი თრთოდა, მოვლუნდი, სული მღეროდა და ზეიმობდა, რომ არავინ ეპასუხებოდა. მარტოობა... მარტოობა... მოულოდნელად თვალეხი ამიცრემლიანდა:

იმ გორაკზე ორი გნოლი გალობს...

გეყოთ, გეყოთ, ნულარ მოთქვამთ ასე,

კი არ მართობთ, სევდა-დარდით მათრობთ!

ზორბასი გაჩუმდა. თითით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მიწაზე დაფერთხა. მერე დაიხარა და მიწას დააჩერდა.

- ეს რა სიმღერაა, ზორბას? - ვკითხე ცოტა ხნის დუმილის შემდ-

ეგ.

- მეაქლემის სიმღერაა, რომელსაც ის მარტოობაში მღერის. წლებია, აღარ გამხსენებია, ახლა კი...

ხმა მშრალი ჰქონდა, ყელი გადაკეტვოდა.

- ბატონო, - მითხრა, - ძილის დროა. ხვალ დილაუთენია უნდა გაიღვიძო, კასტროზე გასამგზავრებლად გემს რომ მიუსწრო. ღამე მშვიდობისა!

- არ მეძინება, - ვუპასუხე. - დავრჩები. უკანასკნელი ღამეა, რომელსაც ერთად ვატარებთ.

- სწორედ ამიტომაც მალე უნდა დავამთავროთ, - შესძახა ზორბასმა და იმის ნიშნად, რომ დაღევა აღარ უნდოდა, დაცლილი ჭიქა გადმოაბრუნა - აი, როგორც კაცები სიგარეტს, ღვინოს, კამათელს აგდებენ, ვაჟკაცურად.

უნდა იცოდე, რომ მამაჩემი უზარმაზარი ვაჟკაცი იყო. მე ნუ მიყურებ, იმასთან სად მოვალ. ის, როგორც იტყვიან, ნამდვილი ძველი ბერძენი იყო, ხელის ჩამორთმევისას ხელს მოგტეხდა. მე შემოდღია შიგადაშიგ გამართულად ვილაპარაკო, მაგრამ მამაჩემი ღრენდა, ხვიხვინებდა და მღეროდა, ჩვეულებრივი ადამიანური სიტყვები პირიდან იშვიათად ამოსდიოდა.

მამაჩემი ყველანაირი ვნებით იყო შეპყრობილი, მაგრამ ყველაფერს ხანჭლით სხებდა. გაუთავებლად აბოლებდა. ერთ დილას ადგა და ყანის მოსამკვლად წავიდა, ღობეს მიეყუდა, უზარმაზარი ხელი ქამარზე მოივლო, რომ თამბაქოს ქისა ამოეღო და სანამ საქმეს შეუდგებოდა, პაპიროსი გაეხვია. მაგრამ ქისა ცარიელი აღმოჩნდა, ავსება დავიწყებოდა.

სიბრაზისაგან გაიბერა, დაიღრინა. ერთბაშად, ერთი ნახტომით, უკან მობრუნდა და გადარეული გაიქცა სოფლისკენ. მოულოდნელად, სირბილისას - ადამიანი ამოუცნობია-მეთქი, გეუბნები - გაჩერდა, შერცხვა, თამბაქოს ქისა ამოიღო, კბილებით დაგლიჯა და გაც-

ოფებულმა ფეხით გათელა.

- უნამუსო, უნამუსო! - დაიღრინა. - ბოზო!

იმ წამიდან სიგარეტი პირში აღარ ჩაუდვია. ასე იქცევიან ვაჟკაცები, ბატონო. ღამე მშვიდობისა!

წამოდგა, უკანმოუხედავად წავიდა, ზღვის კიდემდე მიაღწია და სიბნელეში გაუჩინარდა.

მეტად აღარ მინახავს. მამლის ყვილამდე ჯორი მომიყვანეს. შევჯექი და წაველი. ეჭვი მქონდა, მაგრამ შეიძლება ვცდები კიდევ, რომ საიდანღაც მალულად მიყურებდა. არ გამოიქცა, რომ ერთმანეთისთვის გამოსალმების ჩვეული სიტყვები გვეთქვა, თვალეები აგვწყლიანებოდა, ხელი და ცხვირსახოცი დაგვექნია და ფიცი მიგვეცა.

ერთბაშად დავშორდით.

კასტროში დეპეშა მივიღე. ავიღე და დიდხანს დავყურებდი, ხელი მიკანკალებდა. შეშინებული მივშტერებოდი, მუსტად ვიცოდი, რა ეწერებოდა შიგ.

დახევა მომინდა. რატომ უნდა წამეკითხა, ისედაც ხომ ვიცოდი? მაგრამ, ვაი, რომ საკუთარი სულის ნდობაც კი არ გაგვაჩნია. მეწვრილმანე გონება მას ისევე ატყუებს, როგორც ბებერი შემლოცველები და მკითხავები გვატყუებენ. დეპეშა გაგხსენი. თბილისიდან იყო; წამით ასოები თვალწინ ამიცეკვდნენ, ვერაფერს ვარჩევდი. მაგრამ ნელ-ნელა დალაგდნენ და წავიკითხე:

“გუშინ, ნაშუადღევს, სტავრიდაკისი ფილტვების ელვისებური ანთებით გარდაიცვალა”.

ხუთი გრძელი, საშინელი წელი გავიდა. გეოგრაფიული საზღვრები ფერხულში ჩაებნენ, ქვეყნები გარმონივით იშლებოდა და ერთდებოდა. ერთხანს მე და ზორბასი ქარიშხალში დავიკარგეთ, ჩვენ შორის შიმშილი და შიში ჩადგა. პირველი სამი წლის განმავლობა-

ში დროდადრო მის მოკლე ბარათებს ვიღებდი.

პირველად წმინდა მთიდან მივიღე: ღია ბარათზე კარის ღვთისმშობელი იყო გამოსახული. დიდი მწუხარე თვალები და მტკიცე, ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი ჰქონდა. მსხვილი ასოებით ნაწერი ქაღალდი ალაგ-ალაგ კალმით იყო გახვრეტილი: “აქ საქმე არ გამოდის, ბატონო. ბერები რწყილსაც კი ატყავებენ. წავალ!”. რამდენიმე დღის შემდეგ სხვა ბარათი მივიღე: “მონასტრებს ასე, თუთიყუშით ხელში, ვერ შემოვივლიდი. ლატარიის გამყიდველს ვგავდი. ერთ ყოჩაღ ბერს ვაჩუქე, რომელსაც შაშვი ჰყავდა. ისე ტკბილად გალობდა უნამუსო “უფალო, შეგვიწყალებს”, გადაირეოდი. ჩვენს საწყალ თუთიყუშსაც ასწავლის გალობას. ეჰ, რამდენი რამ ნახა უნამუსომ ცხოვრებაში და ახლა... მღვდელიც უნდა გახდეს? წყევლამ უნია!

მეგობრულად გეხვევი, მამა ალექსიოსი, მარტოდმყოფელი”.

ექვსი-შვიდი თვის შემდეგ რუმინეთიდან ღია ბარათი მივიღე. ზედ ერთი მსუქანი, მკერდმოშიშვლებული ქალი იყო გამოსახული: “ისევ ცოცხალი ვარ, ვჭამ, ლუდს ვსვამ, ნავთობზე ვმუშაობ, კანალიზაციის ვირთხა გავხდი. აქ ყველაფერი უხვადაა, რასაც გული ინატრებს. სამოთხეა ჩემნაირი ცოდვილი ბეხრეკისტვის. ხომ გესმის, ბატონო. ჩემი სამება ცხოვრება, მეძავი და წმინდა ღმერთია.

მეგობრულად გეხვევი, ალექსის ზორბესკო, კანალიზაციის ვირთხა”.

ორი წელი გავიდა. ერთ დღეს ისევ მივიღე წერილი, ახლა უკვე სერბეთიდან: “ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. ჯოჯოხეთური სიცოცხლეა. იძულებული გავხდი, დავქორწინებულიყავი. ამოაბრუნე, რომ ნახო, როგორია. აუ, რა ქალია. მუცელი ოდნავ შებერილი აქვს, რადგან უკვე პატარა ზორბასსაც მიმზადებს. შენს ნაჩუქარ კოსტიუმში ვარ გამოწყობილი. საქორწინო ბეჭედი, ჩემს ხელზე რომ ხედავ, საწყალი ბუბულინასია - ყველაფერი ხდება! ღმერთმა აცხონოს! ლუბა ჰქვია. მელიისსაყელოიანი პალტო, რომელიც მაცვია, მისი მზითევა. პირველი ქმრისგან შვიდგოჭიანი ღორი და ორი ბავშვიც მოჰყვა. ქვრივია. აქ ახლოს, მთაში, მაგნიზიტის საბადო ვიპოვე, კიდევ ერთ

კაპიტალისტს ავურიე გონება, დროს ბატონკაცურად ვატარებ.

მეგობრულად გეხვევი, ალექსის ზორბიეცი, ყოფილი ქვრივი”.

კონვერტში კარგად ნაკვები, სანეფოდ გამოწყობილი ზორბასის ფოტო იდო. ბენვის ქუდი ეხურა, ხელჯობი ეჭირა და ახალშეკერილი გრძელი პალტო ეცვა. მკლავზე 25 წლამდე გემრიელი სლავი ქალი, ველური ფაშატი, ჩამოჰკიდებოდა. სქელგავიანი იყო, პრანჭია, მკერდსავსე. მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. ქვემოთ კი მსხვილი, დაბრეცილი ასოებით ეწერა: “მე, ზორბასი და მარადიული საზრუნავი, ცოლი. ახლა მას ლუბა ჰქვია”.

მთელი ამ წლების განმავლობაში უცხოებაში დავხეტიალობდი. მეც მქონდა ჩემი მარადიული საზრუნავი, მაგრამ მას არც საცხე მკერდი ჰქონდა, არც პალტო და ღორები ებადა, რომ მოეცა. ერთ დღესაც ბერლინში ის დეპეშა მივიღე, თავში რომ ვახსენე: “მშვენიერი მწვანე ქვა ვიპოვე. ახლავე ჩამოდი. ზორბასი”.

გითხარით, გამბედაობა არ მყოფნიდა-მეთქი, ყველაფერი მიმეტოვებინა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვაჟკაცური საქციელი ჩამედინა. ზორბასი სამართლიანად მთვლიდა დაკარგულ ადამიანად - მწიგნობრად.

მას შემდეგ აღარ მოუწერია. კვლავ საზარელი ამბები ჩადგა ჩვენ შორის. სამყარო დაჭრილივით თუ მთვრალივით განაგრძობდა ბარბაცს, პირადმა სიყვარულმა და საზრუნავმა გვერდზე გაიწია.

მეგობრებს ხშირად ველაპარაკებოდი ზორბასზე, ამ დიად სულზე. მოგვწონდა გაუნათლებელი ადამიანის ამაყი და თავდაჯერებული, გულის კარნახს აყოლილი ცხოვრება. სულიერ მწვერვალებს, რომელთა დასაპყრობადაც მრავალი წლის ჯაფა დაგვჭირდა, ის რამდენიმე მოქნილი სიტყვით აღწევდა. ვამბობდით: “დიადი სულის პატრონია ზორბასი”, ან ვაზვიადებდით და ვამბობდით: “გიჟია”.

ასე გადიოდა მოგონებებით მოწამლული დრო. ჩემი მეორე მეგობრის ჩრდილი, რომელიც კრეტის სანაპიროს ზორბასის ეპოქაში დაეცა, მოსვენებას არ მაძლევდა, არ მეშვებოდა, რადგან მეც არ

ვეშვებოდი.

ამ ჩრდილის შესახებ არავისთვის მითქვამს. ეს იყო საიდუმლო საუბარი მეორე ნაპირთან, რაც სიკვდილთან მაგუებდა. ეს ჩემი საიდუმლო ხიდი იყო ჯოჯოხეთთან. როდესაც ჩემი მეგობრის სული მასზე გადადიოდა, ვგრძნობდი, რომ დაღლილსა და ფერდაკარგულს ლაპარაკიც არ შეეძლო, ჩემთვის ხელის ჩამორთმევის ძალაც არ ჰქონდა.

ხანდახან აღელვებული ვფიქრობ ხოლმე, ვაითუ ჩემმა მეგობარმა ვერ მოასწრო, სიცოცხლეშივე დაემარცხებინა სხეული, მოემზადებინა და განემტკიცებინა სული, რათა სხეულთან გაყრის წამს სიკვდილის შიში არ დაუფლებოდა და ჰაერში არ გაფანტულიყო. ეგებ, ვფიქრობდი, გაქრობის საფრთხის წინაშე დგას, რადგან არ მიეცა დრო, უკვდავეყო ის, რის უკვდავეყოფაც მის მოკვდავ სხეულს შეეძლო.

მაგრამ მოულოდნელად ძალას იკრებს - თუ ეს მისდამი ჩემი დიდი სიყვარულით გამონვეული წარმოსახვაა? - და ძლიერი, გაახალგაზრდავებული მოდის, ლამისაა, კიბეზე მისი ნაბიჯების ხმა გავიგონო.

ცოტა ხნის წინ ენგადინის დათოვლილი მთები მარტომ დავლაშქრე, სადაც ოდესღაც მე და ჩემმა მეგობარმა და ერთმა ქალმა, რომელიც ორივეს გვიყვარდა, ამაღლებული, განსაკუთრებული დღეები და ღამეები გავატარეთ.

იმავე სასტუმროში ვიყავი, სადაც მაშინ გავჩერდით. მეძინა. ღია ფანჯრიდან მთვარის შუქი მოწვეთავდა, ჩემს მიძინებულ ძარღვებში მთები, დათოვლილი ნაძვები, მუქი ლურჯი ღამე შემოდიოდა.

გამოუთქმელი ნეტარება ვიგრძენი, თითქოს ძილი ღრმა, მშვიდი და გამჭვირვალე ბღვა ყოფილიყო, მე კი მის სიღრმეში ბედნიერი და უმოძრაო ვინეჭი. იმდენად დიდი იყო ჩემი მგრძნობელობა, რომ ნავს წყლის ბედაპირზე, ათასი მეტრით ჩემს ბემოთ რომ გაეცურა, სხეულს გამიკანწრავდა.

მოულოდნელად ჩრდილი დამეცა. მივხვდი, ვინც იყო. მისი საყვედურით საგსე ხმა გაისმა:

- გძინავს?

მეც იმავე ტონით ვუპასუხე:

- დაიგვიანე. თვეებია, შენი ხმა არ გამიგონია... სად დადიოდი?

- მე მუდამ შენთან ვარ, მაგრამ შენ მივიწყებ. ყოველთვის არ მაქვს ძალა, მოგიხმო, შენ კი ჩემი მიტოვება გინდა. კარგია მთვარე, კარგია დათოვლილი ხეები, კარგია ცხოვრება ზემო სამყაროში, მაგრამ მეც ნუ დამივიწყებ.

- არასოდეს მავიწყდები, შენც ხომ იცი ეს. პირველ დღეებში საზღვარგარეთ წავედი, ველური მთები დავიარე, სიქა გავაცალე სხეულს, დამეებს ვათენებდი და შენ გამო ვტიროდი. ლექსებსაც ვწერდი, რომ ტკივილი ჩამეხშო. მაგრამ უღიმღამო ლექსები გამოვიდა და ტკივილი საერთოდ ვერ წამგვარეს, რომ ამომესუნთქა. ერთი ასე იწყება:

მიჰყვებოდი როს სიკვდილს აღმართებზე მსუბუქად,

გზას გითმობდა სუმბული, სული, როგორც ბუმბული,

გზას იკვლევდა, თითქოსდა იყო ძმად შეფიცული

მიჰყვებოდი ღიმილით, ცხოვრებაში დიდგული...

მეორე, ასევე დაუმთავრებელ ლექსში გეძახდი:

სულს სჭირდება მუხრუჭი, ყოფა იყოს თუნდ ფუჭი,

არ თქვას - ზეცას წავალო, ცხოვრებაგ წარმავალო!

მწარედ გაიღიმა, ჩემკენ გადმოიხარა და მისი სიფითრის დანახვაზე ჟრუანტელმა დამიარა.

დიდხანს უსიტყვოდ მიყურებდა თვალების ღრმულებიდან. თვალის კაკლები არ ჰქონდა, მიწის ორი ბელტით გამოვსებოდა.

- რაზე ფიქრობ? - ჩავიჩურჩულე. - რატომ არაფერს ამბობ?

მისი ხმა კვლავ შორეულ ოხვრასავით გაისმა:

- ეჰ, რა დარჩა სულისგან, რომელსაც სამყარო ვერ იტევდა! სხვისი ლექსის რამდენიმე გაფანტული, საცოდავი სტრიქონი, ერთი სრული სტროფიც არ გამოდის! მიწაზე დავდივარ, შეყვარებულებში ვტრიალებ, მაგრამ მათი გულები დახურულია. საიდან შევიდე? როგორ გავცოცხლდე? ბატონის ჩარაზულ სახლს ძალიან ვაძინებ... ნეტავი თავისუფლად ცხოვრება შემძლებოდა და იძულებული არ ვყოფილიყავი, დასახრჩობად განწირულივით თქვენს თბილ, ცოცხალ სხეულებს არ ჩავბლაუჭებოდი!

თვალის ბუდეებიდან ცრემლები წამოსცვივდა, მიწის ბელტები ტალახად იქცა.

მაგრამ მალე მისი ხმა მტკიცედ გაისმა:

- უდიდესი სიხარული მაშინ მომანიჭე, ერთხელ ციურიხში ჩემს დღეობაზე რომ მადღეგრძელე. გახსოვს? კიდევ ვიღაც იყო ჩვენთან ერთად...

- მახსოვს, - ვუბასუხე, - ის იყო, "ჩვენს ქალბატონს" რომ ვეძახდით...

დავდუმდით. მას შემდეგ საუკუნეებმა განვლო! იმ დღეს სამივე შეყვარებული თბილ ოთახში ვიყავით ჩაკეტილი, გარეთ კი თოვდა. მაშინ ჩემს მეგობარს ხოტბა შევასხი.

- რაზე ფიქრობ, მასწავლებლო? - მსუბუქი ირონიით მკითხა აჩრდილმა.

- ბევრ რამეზე, ყველაფერზე...

- მე კი შენს უკანასკნელ სიტყვებზე ვფიქრობ. მაშინ ჭიქა ასწიე

და თქვი: “ჩემო ქალბატონო, როცა სტავრიდაკისი ჩვილი იყო, ბებერ პაპას ცალ მუხლზე ესვა, მეორეზე კრეტული ლირა ჰქონდა ჩამოდებული და გმირულ სიმღერებს მღეროდა. მოდი, ამაღამ მისი სადღეგრძელო დავლიოთ. ბედმა ქნას, რომ მუდამ ღვთის კალთაში მჯდარიყოს!”.

ღმერთმა ძალიან მალე შეისმინა ეს ლოცვა, მასწავლებლო!

- არა უშავს, - ვუთხარი, - სიყვარული სიკვდილს ამარცხებს.

მწარედ გაიღიმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ვიგრძენი, მისი სხეული როგორ ქრებოდა, როგორ იქცეოდა სიბნელეში ქვითინად, ოხვრად, დაცინვად...

სიკვდილის გემო ტუჩებზე რამდენიმე დღეს დამრჩა, მაგრამ გულზე მომეშვა. სიკვდილი ჩემს ცხოვრებაში ნაცნობი, საყვარელი სახით შემოვიდა, მეგობარივით, რომელიც ჩვენს წასაყვანად მოდის და კუთხეში ჩამომჯდარი გველოდება, სანამ საქმეს დავამთავრებთ. არსად ეჩქარება. გონება დამიმშვიდდა, როცა სიკვდილი ასე, მეგობრის სახით გამომეცხადა.

ხანდახან ჩვენს ცხოვრებაში სიკვდილი გამაბრუებელი სურნელის მსგავსად იღვრება. განსაკუთრებით მაშინ, როცა მარტო ხარ, მთვარე ანათებს, ღრმა სიჩუმე დგას, შენი სხეული კი ახალდაბანილია, მსუბუქი, სძინავს და სულს დიდ დაბრკოლებას არ უქმნის. მაშინ წუთით სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არსებული ძვიდვ გამჭვირვალე ხდება და ხედავ, ქვესკნელში რა ხდება.

ერთ ამგვარ მსუბუქ წამს აქ, მარტობაში, ზორბასი მესიზმრა. საერთოდ არ მახსოვს, როგორი იყო, რა თქვა, რატომ მოვიდა. როცა გავიღვიძე, გული გახეთქვაზე მქონდა და მოულოდნელად, არც კი ვიცოდი, რატომ, თვალეები ცრემლით ამევსო.

იმავედროულად ძლიერმა სურვილმა - სურვილმა კი არა, აუცილებლობამ - მომიცვა, ჩვენ მიერ კრეტის სანაპიროზე გატარებული ცხოვრება აღმედგინა, გონებისთვის ძალა დამეთანებინა, ზორბასის ყველა სიტყვა, ყვირილი, ჟესტები, სიცილი, ტირილი, ცეკვა გამეხს-

ენებინა, შემეგროვებინა და შემომენახა.

ისე ძლიერი და მოულოდნელი იყო ეს სურვილი, შემეშინდა, რომ ეს მართლაც ნიშანი იყო: ამ წუთში ზორბასი სადღაც სულს დაფავდა. ჩვენი სულების ისეთ ერთობას ვგრძნობდი, შეუძლებლად მიმაჩნდა, ერთი ისე მომკვდარიყო, რომ მეორე არ შეძრწუნებულყო, არ ეყვირა.

მეხსიერებაში ზორბასის ყველა ნამოქმედარის თავის მოყრასა და მათი სიტყვებით გადმოცემას არ ვჩქარობდი. ბავშვურმა შიშმა მომიცვა. “თუ ამას გავაკეთებ, - ვეუბნებოდი საკუთარ თავს, - ეს ნიშნავს, რომ ზორბასი ნამდვილად საფრთხეშია. მოდი, წინააღმდეგობას გავუწევ იმ ხელს, რომელიც წერისკენ მიბიძგებს”.

ორ დღეს ვწინააღმდეგებოდი, სამ დღეს, ერთ კვირას. სხვა საწერს მიგვარდი, ვმოგზაურობდი, ვკითხულობდი. ამგვარი ხრიკებით ვცდილობდი, უხილავი არსება მომეტყუებინა. მაგრამ ჩემი გონება მთლიანად ზორბასს დაეპყრო. ვფორიაქობდი, მიმიძიდა.

ერთ დღეს ეგინის სანაპიროზე მდგარი ჩემი სახლის ვერანდაზე ვიჭექი. შუადღე იყო, მზე ანათებდა, სალამინის მშვენიერ შიშველ ფერდობებს გავყურებდი. მოულოდნელად, ისე, რომ ამაზე საერთოდ არ მიფიქრია, ქალაღი ავიღე, ვერანდის გავარგარებულ ფილებზე წამოვწექი და ზორბასის ამ სვინაქსარის წერა დავიწყე.

ნაჩქარევად, მონდომებით ვწერდი, ვცდილობდი, განვლილი დღეები გამეხსენებინა და ზორბასის პიროვნება მთლიანად აღმედგინა. თითქოს მისი დაკარგვა მე დამანვებოდა პასუხისმგებლობად. დღედაღამ ვმუშაობდი, რათა მისი - ჩემი “მოძღვრის” - სახე სრულყოფილად წარმოემჩინა.

აფრიკის ველური ტომების შამანებივით ვმუშაობდი, რომლებიც გამოქვებულებში სიმბარში ნანახ წინაპარს ხატავენ და ცდილობენ, იგი შეძლებისდაგვარად ზუსტად გადმოსცენ, რათა სულმა თავისი სხეულის ამოცნობა და დაბრუნება შეძლოს.

რამდენიმე დღეში სვინაქსარი დასრულდა.

იმ დღეს კვლავ ვერანდაზე ვიჯექი. სალამო იყო, ზღვას გავცქეროდი. დასრულებული ხელნაწერი მუხლებზე მედო. სიხარულსა და შვებას ვგრძნობდი, თითქოს სიმძიმე ჩამომეხსნა იმ ქალივით, რომელმაც იმშობიარა და ახალშობილი გულში ჰყავს ჩახუტებული.

მზის ჩასვლისას ვერანდაზე სულა ამოვიდა, პუტკუნა, ფეხშიშველი, სიცოცხლით სავსე გოგონა, რომელსაც ჩემთვის ფოსტიდან წერილები მოჰქონდა. ბარათი დამიტოვა და გაიქცა. მივხვდი. ყოველ შემთხვევაში, მომეჩვენა, რომ მივხვდი. როცა გავხსენი და წავიკითხე, არ წამოვვარდნილვარ, არ დამიყვირია, არ გამკვირვებია. დარწმუნებული ვიყავი. ვიცოდი, რომ სწორედ ახლა, როცა დასრულებული ხელნაწერი მუხლებზე მედო და ჩამავალ მზეს გავყურებდი, ამ წერილს მივიღებდი.

ჩუმად წავიკითხე, ისე, რომ ტირილი არ ამვარდნია. სერბეთიდან იყო, სკოპიასთან ახლოს მდებარე რომელიღაც სოფლიდან. ჩიქორთული გერმანულით იყო ნაწერი. აი, მისი თარგმანი:

“სოფლის მასწავლებელი ვარ. გწერთ, რომ სამწუხარო ამბავი გაცნობთ. ალექსის ზორბასი, რომელსაც აქ მაგნეზიტის მაღარო ჰქონდა, გასულ კვირას სალამოს ექვს საათზე გარდაიცვალა. სულთან გაყრამდე მიხმო:

“მოდი აქ, მასწავლებლო, საბერძნეთში ესა და ეს მეგობარი მყავს. თუ მოგვკვდები, მისწერე, რომ მოგვკვდი, რომ უკანასკნელ წამამდე საღ გონებაზე ვიყავი და მახსოვდა ის. ჩადენილს არ ვნანობ. უთხარი, კარგად იყოს, რომ უკვე დროა, ჭკუას მოეგოს... ჩემი აღსარების ჩასაბარებლად და საზიარებლად მღვდელი თუ მოვა, უთხარი, აქედან მოუსვას, დაე დამწყევლოს! სიცოცხლეში უამრავ რამეს შევეჭიდე, მაგრამ მაინც დიდი არაფერი გამიკეთებია. ჩემნაირ ადამიანებს ათასი წელი უნდა ეცოცხლათ. მშვიდობით!”

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო. მაშინვე წამოიწია, გეწრები გადაყარა, ზეზე წამოდგომა უნდოდა. ლუბა, მისი ცოლი, მე და რამდენიმე მკლავმაგარი მეზობელი მივცვივდით, რომ შეგვეჩერებინა, მაგრამ მან გვერდზე მოგვისროლა, ადგა, ფანჯარასთან მივიდა. რაფას ჩაეჭიდა, მთებისკენ გაიხედა, თვალები დააჭყიტა და ჭერ ახ-

არხარდა, მერე კი ცხენივით აჭიხვინდა. ასე, ფეხზე მდგომი და ფანჯრის რაფაში ფრჩხილებჩასობილი შეეგება სიკვდილს.

მისი ცოლი ლუბა მთხოვს, მოგწეროთ, რომ მოგესალმებათ, რომ ცხონებული ხშირად ელაპარაკებოდა თქვენს კეთილშობილებაზე და რომ დაგვაგალა, თუ მოკვდებოდა, მისი სანთური თქვენთვის სამახსოვროდ გადმოგვეცა.

ჰოდა, ქვრივი გვედრებათ, თუ ჩვენს სოფელში ჩამოხვალთ, მობრძანდეთ, ღამე მის სახლში გაათიოთ და მშვიდობიანად გამგზავრების დილას სანთურიც ჩაიბაროთ”.

დასასრული